

ზურაბ გვიშიანი, თამაზ ხმელიძე

**სამშენებლო ტერმინების
მოკლე განმარტებითი ლექსიკონი**



საგამომცემლო სახლი
„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზურაბ გვიშანი, თამაზ ხმელიძე

სამშენებლო ტერმინების მოკლე განმარტებითი ლექსიკონი



რეკომენდებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 01.11.2022, ოქმი №3

თბილისი

2023

ლექსიკონი შეიცავს ტერმინებსა და ცნებებს, რომლებიც ეხება მშენებლობასა და მის მონათესავე მიმართულებებს: არქიტექტურა, ხუროთმოძღვრება, საკულტო და საერო ნაგებობები, წყლის ინჟინერია, მენეჯმენტი, ეკონომიკა, უსაფრთხოება, სეისმომდეგობა, საგანგებო სიტუაციები, სამშენებლო მანქანები და სხვ.

ლექსიკონი საცნობარო ხასიათისაა და განკუთვნილია სამშენებლო სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისა და სტუდენტთა ფართო წრისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი:

საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი
პროფესორი **მერაბ ნიკოლაიშვილი**

კონსულტანტები:

პოლონეთის რესპუბლიკის ე. ბელოსტოკის ტექნოლოგიური
უნივერსიტეტის პროფესორი **ლეს ღზიენისი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო
ფაკულტეტის პროფესორი **გელა ყიფიანი**

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2023

ISBN 978-9941-28-949-1

<http://www.gtu.ge>



Verba volant,
scripta manent

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.

ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიციას.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

Zurab Gvishiani, Tamaz Khmelidze

**SHORT EXPLANATORY DICTIONARY OF
CONSTRUCTION TERMS**



Recommended by Editorial-
Publishing Council of the GTU
01.11.2022, №3

Tbilisi

2023

UDC 030.8:624

The dictionary contains terms and concepts related to construction and its related fields, such as: architecture, architecture, religious and secular buildings, water engineering, management, economy, safety, seismic resistance, emergency situations, construction vehicles, etc.

The dictionary is of a reference nature and is intended for a wide circle of specialists and students employed in the field of construction.

Scientific editor:

Merab Nikolaishvili, Professor, Academician of the Engineering Academy of Georgia, Honored Builder of Georgia

Consultants:

Lech Dzieńis, Professor, Białystok University of Technology, Republic of Poland

Gela Kipiani, Professor, Georgian Technical University

© Publishing House - Technical University, 2023

ISBN 978-9941-28-949-1

<http://www.gtu.ge>

All rights reserved. No part of this publication may be reproduced (will this be a text, photo, illustration or otherwise) in any form or by any means (electronic or mechanical) without the prior written permission of publisher.

Piracy is punished according to the law.

Author(s) are responsible for the accuracy of all the facts provided in the book.

The position of author(s) might not be coinciding with the position of the Publishing House.



Verba volant,
scripta manent

წინასიტყვაობა

ლექსიკონი მოიცავს ცნობებს საკითხთა ფართო წრიდან, რომლებიც დაკავშირებულია მშენებლობასა და არქიტექტურასთან, აგრეთვე რიგ დარგებთან, რომელთა მდგომარეობასა და განვითარებაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სამშენებლო კომპლექსის ტექნიკური პროგრესი.

წინამდებარე ნაშრომი დაფუძნებულია სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონის მასალებზე, თუმცა, მკითხველთა მზარდი მოთხოვნების შესაბამისად შევეცადეთ დაგვეხვეწა სალექსიკონო სტრუქტურა და შეძლებისდაგვარად მარტივად გადმოგვეცა მათი შინაარსი.

ლექსიკონში მოცემულია ფართოდ გამოყენებადი სიტყვები და ტერმინები და შეიცავს: ტერმინის ქართულ დასახელებას, თარგმანს ინგლისურ და რუსულ ენებზე და ლაკონურ განმარტებას. ტერმინების ინლისურ-რუსული თარგმანები, მკითხველს გაუადვილებს ტექსტის ადეკვატურ გააზრებასა და საკუთრივ ლექსიკონის გამოყენებას. ის დაეხმარება სამშენებლო მიმართულების უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლების ყველა საფეხურის სტუდენტებს პროფესიის დაუფლებაში, მშენებლებს – პროფესიულ საქმიანობაში.

ლექსიკონის შემდგენლები მადლობას უხდებიან სამეცნიერო რედაქტორს მერაბ ნიკოლაიშვილს, კონსულტანტებს ლევ დზიენისს და გელა ყიფიანს, კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტს მედეა რჩეულიშვილს, ასევე კოლეგებს, რომლებმაც თავიანთი შენიშვნებით, წინადადებებით, გამოძახილითა თუ რეკომენდაციით ხელი შეუწყვეს ნაშრომის დახვეწას. ყველა საქმიანი შენიშვნა და რეკომენდაცია მიღებული იქნება მადლიერებით.

ლექსიკონის შედგენისას გამოყენებულია სამშენებლო სპეციალობების ტექნიკური ლიტერატურა, რომელიც მითითებულია ნაშრომის ბოლოს.

ლექსიკონი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფარგლებში.

აალება (ignition, воспламенение) – ალის გაჩენის პროცესი, რომელიც გამოწვეულია ხახუნით, გავარჯარებული საგნის შეხებით, ელექტრობით, ქიმიური რეაქციით, მაღალი ტემპერატურით, გამოსხივებითა და სხვა ფიზიკური მოვლენებით.

ალი (flame, пламя) – 1. წვა აირად ფაზაში, რომელსაც თან ახლავს ხილული გამოსხივება და სითბოს გამოყოფა; 2. აირისებრი გარემო, რომელშიც მიმდინარეობს წვისა და ჟანგვის პროცესი სითბოს გამოყოფითა და მაღალი ტემპერატურის განვითარებით.

აალებადი ნივთიერება (flammable substance, воспламеняющее вещество) – ნივთიერება, რომელიც ადვილად აალებდა სითბოს ჩვეულებრივი წყაროს (წყაროების) ზემოქმედებით 316°C ან უფრო ნაკლებ ტემპერატურაზე.

აალებადი სითხე (flammable liquid, воспламеняющаяся жидкость) – სითხე, რომლის აალების ტემპერატურა დახურულ ჭურჭელში 38°C-ზე დაბალია.

აალების ტემპერატურა (ignition temperature, температура воспламенения) – მინიმალური ტემპერატურა (გრად.), რომელიც საჭიროა მასალის (ნივთიერების) აალებისათვის. განისაზღვრება სპეციალური ტესტისა და აპარატურის მეშვეობით.

აბაზანა (bath, tank; ванна) – რეზერვუარი, ჭურჭელი ან აპარატი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად ივსება თხევადი გარემოთი (წყალი, ხსნარი, ნაღონობი). არსებობს საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, მეტალურგიული, ქიმიური და სხვ. დანიშნულებისა.

აბაკი (abacus, абак) – კლასიკური არქიტექტურული ორდერის სვეტის კაპიტელის ზედა ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, კვადრატული ან მართკუთხედის ფორმის ფილაა, ბრტყელი (დორიული ორდერი), ჩახნექილი (კორინთული ორდერი) ან დაპროფილებული ნაპირე-

ბით.

აბანოზი (ეკალმუხა, შავი ხე) (ceylon ebony; эбеновое дерево, эбен) – ძვირფასმერქნიანი ხე.

აბატონი (abatон, абатон) – ბერძნული ტაძრის ნაწილი, სადაც შესვლა აკრძალულია.

აბრაზივი (abrasive, абразивы) – ბუნებრივი წარმოშობის სალი მინერალის (კორუნდი, კვარცი, კაჟი, პემზა) ან ხელოვნური (ალმასი, ალბორი) აბრაზიული ფხვნილი, რომლისგანაც აბრაზიული ინსტრუმენტი და ზუმფარა (გამოიყენება მასალის ან ნაკეთობის ზედაპირის გასახეხად) მზადდება.

აბრაზიული ინსტრუმენტი (abrasive tool, абразивный инструмент) – ლითონის, მინისა და სხვ. მასალის აბრაზიული დამუშავებისათვის საჭირო ინსტრუმენტი.

აბრისი (outline, абрис) – 1. კონტური, კონფიგურაცია; საგნის გარე მოხაზულობა; 2. მონახაზი; ტოპოგრაფიულ სამუშაოებში ტერიტორიის ხელით შესრულებული დამხმარე სქემატური ნახაზი, რომელზეც დატანილია მიღებული მონაცემები.

აბსოლუტური ნიშნული (Absolute benchmark; абсолютная отметка, альтитуда) – სამგანზომილებიან სივრცეში კოორდინატი (ორი დანარჩენი - გრძედი და განედი), რომელიც აჩვენებს ზღვის დონის პირობითი ნულიდან რა სიმაღლეზეა ესა თუ ის ობიექტი.

აბსოლუტური ნული (absolute zero, абсолютная ноль) – ყველაზე დაბალი შესაძლო თეორიული ტემპერატურა (°K), რომელიც შეესაბამება -273,16°C ტემპერატურას.

აბსოლუტური სიმაღლე (absolute height, абсолютная высота) – დედამიწის ზედაპირის რომელიმე წერტილის სიმაღლე, რომელიც აითვლება ოკეანის ან მასთან შეერთებული ზღვის ძირითადი დონეებრივი ზედაპირიდან შვეული ხაზის მიმა-

რთულებით (ნულოვან დონედ პირობითად მიღებულია თეთრი ზღვის ზედაპირი). საქართველოსა და ამიერკავკასიაში ა.ს. ათვლა ხდება შავი ზღვის დონიდან (ფოთის ფუტშტოკის ნული).

აბსოლუტური ტემპერატურა (absolute temperature, абсолютная температура) – აბსოლუტური ნულიდან ათვლილი ტემპერატურა.

აბსოლუტური ტენიანობა (absolute humidity, абсолютная влажность) – წყლის ორთქლის რაოდენობა, რომელსაც შეიცავს 1 მ³ ჰაერი.

აბსორბერი (absorbere, абсорбер) – მოწყობილობა, რომელშიც ხდება აბსორბენტის მეშვეობით აირის ან სხვა ნივთიერების შთანთქმა (ან ნაწილებად დაყოფა). გამოიყენება აირების დასაშლელად სხვადასხვა ფრაქციად.

აბსორბცია (absorption, абсорбция) – აირის შთანთქმა, შეწოვა, შესრუტვა მყარი სხეულის ან სითხის მეშვეობით.

აბსცისა (abscess, абсцисса) – წერტილის ერთ-ერთი კოორდინატი დეკარტის მართკუთხა კოორდინატთა სისტემაში; მეტწილად ჰორიზონტალური კოორდინატი კოორდინატთა მართკუთხა ბრტყელ სისტემაში. აღინიშნება ლათინური ასო x-ით.

აგარაკი (cottage, дача) – დასასვენებლად განკუთვნილი სახლი, ადგილი ქალაქგარეთ.

აგეგმვა (survey planning; планирование, съемка) – განსაზღვრული ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკის ან გეგმის შედგენა მანძილების, სიმაღლეების, კუთხეების გაზომვით. მის საწარმოებლად გამოიყენება გეოდეზიური ხელსაწყოები, აგრეთვე ფოტო-, კინო-, აერო-, მრავალზონური და სხვა სახის გადაღებები. არსებობს ადგილმდებარეობის, გეოდეზიური, გეოლოგიური, თვალზომითი, ინსტრუმენტული, მარკშიადერული, პოლიგონური, ტაქომეტრიული, ტოპოგრაფიული, შვეული, ჰორიზონტალური და

სხვა სახის აგეგმვა.

აგლომერატი (agglomerate, агломерат) – 1. მცირე ზომის ნატეხების ფაშარი გროვა, ძირითადად გამდიდრებული მადნის კონცენტრატი; 2. ვულკანური სამთო ქანი, რომელიც შედგება ერთმანეთთან ბუნებრივად შეერთებული (შეცხობილი) მსხვილი ფრაგმენტებისგან (ტუფი, ბრექჩია და სხვ.).

აგლომერაცია (agglomeration, агломерация) – 1. სხვადასხვაგვარი ქანის ერთმთელად შეერთების ბუნებრივი პროცესი; 2. დასახლებული ადგილების, მეტწილად ქალაქური ტიპის, კომპაქტური დაჯგუფება, რომელიც ალაგ-ალაგ ერთმანეთს ერწყმის და ერთიანდება რთულ მრავალკომპონენტიან დინამიკურ სისტემაში ინტენსიური საწარმოო, სატრანსპორტო და კულტურული კავშირებით.

აგლოპორიტბეტონი (aggloporite concrete, аглопоритбетон) – მსუბუქი ბეტონის სახეობა, რომელშიც გამოყენებულია ფორიანი შემავსებელი აგლოპორიტი.

აგლოპორიტი (aggloporite, аглопорит) – ბეტონის ხელოვნური ფორებიანი შემვსები, თიხოვანი ქანების შეცხობით მიღებული საშენი მასალა.

აგლუტინატი (agglutinate, аглутинат) – მკვრივ მასად შეცხობილი პიროკლასტური მასალა.

აგრეგატი (aggregate, агрегат) – 1. ქანი, რომელიც სხვადასხვა მინერალის შენაერთია (მაგ., მარმარილო, გრანიტი); 2. სხვადასხვა ნაწილაკის ან საგნის მექანიკური შენაერთი; 3. ინერტული მასალების ნარევი (მაგ., ხრემისა და ქვიშის).

აგრესიული გარემო (aggressive environment, агрессивная среда) – თხევადი ან აირისებრი გარემო, რომელიც იწვევს ან აჩქარებს მასალების კოროზიას ქიმიური, ელექტროქიმიური და სხვა სახის ზემოქმედებით.

აგრიგალეზა (swirl, завихрение) – სითხეში ან აირში მბრუნავი დინებების წარ-

მოქმნა ნაკადების შეჯახების ან რაიმე წინაღობის გარსშემოვლის შედეგად.

აგური (brick, кирпич) – მინერალური წარმოშობის სხვადასხვა მინარევისგან (თიხა, კვარცის ქვიშა, ტრეპელი, კირი) დამზადებული ცალობითი, მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის მტკიცე საშენი მასალა, რომელსაც სიმტკიცე, ყინვა-მდეგობა და სხვა ტექნიკური თვისებები მიღებული აქვს გამოწვით ან მათალი წნევის ორთქლით დამუშავების შედეგად. აგურის სტანდარტული ზომებია 250×120×65 მმ.

აგური დაკალიბრებული (brick calibrated, калиброванный кирпич) – აგური, რომელიც ზუსტ ზომაზეა დამუშავებული.

აგური დაფაქტურებული (brick stacked, фактурный кирпич) – მოსაპირკეთებელი აგური წინაპირზე რელიეფური სურათით.

აგური დოლომიტური (brick dolomite, доломитовый кирпич) – ცეცხლგამძლე აგური, რომლის შედგენილობაში შედის 32-36% მაგნიუმის ჟანგი (MgO) და 50-56% კალციუმის ჟანგი (CaO).

აგური თიხისა (brick clay, глиняный кирпич) – აგური, მიღებული სათანადოდ შემზადებული თიხის დაყალიბებითა და გამოწვით.

აგური თიხის ღრუტანიანი (hollow brick clay, пустотелый глиняный кирпич) – სიცარიელებიანი აგური, რომელიც დამზადებულია ადვილდნობადი თიხისა და დანამატების გამოყენებით.

აგური კერამიკული (brick ceramic, керамический кирпич) – სწორი ფორმის სიღრუეებიანი ან მთლიანკვეთიანი ქვის საშენი ცალობითი მასალა, რომელიც დამზადებულია თიხისგან გამო წვის გზით. გამომწვარი თიხის აგური ყველაზე ხშირად გამოყენებული აგურის ტიპია შენობების, ნაგებობების, ღუმელების მშენებლობაში.

აგური კლინკერული (brick clinker, клинкерный кирпич) – კერამიკული საშენი მა-

სალა, დამზადებული სპეციალური ტიპის სრულად გამომცხვარი (1200°C) თიხისგან. გამოიყენება კედლების მოპირკეთებისა და ქუჩების მოკირწყვლისათვის.

აგური ლეკალოსებრი (brick leak, leakальный кирпич) – სპეციალური ნახაზის მიხედვით ფორმირებული აგური, რომელიც გამოიყენება კარნიზების, კუთხეების, კამარების, თალების, მრგვალი ღიობებისა და მისთ. წყობისათვის.

აგური მასიური (the bricks are massive, полнотелый кирпич) – ეკოლოგიურად სუფთა ცეცხლგამძლე თიხისგან დამზადებული აგური, რომელშიც არ არის სიცარიელები.

აგური მოსაპირკეთებელი (brick paving, облицовочный кирпич) – დაფაქტურებული, დეკორატიული ან დაფასონებული პირის მქონე აგური, განკუთვნილი შენობების ფასადებისა და ინტერიერების გაფორმებისთვის.

აგური მხურვალგამძლე (heatproof brick, жароупорный кирпич) – აგური, რომელიც მათალი ტემპერატურის გავლენით არ იშლება და არ განიცდის დეფორმაციას.

აგური სამშენებლო (brick building, строительный кирпич) – მართკუთხედის ფორმის ხელოვნური ქვა, რომელიც ფორმირებულია მინერალური მასალისგან და სიმტკიცე, წყალ- და ყინვა-გამძლეობა შეძენილი აქვს საცეცხლე ღუმელში გამოწვით ან გაორთქლვით; აგურის ძირითადი სახეობა გამოიყენება შენობის მზიდი და თვითმზიდი კედლების ასაშენებლად.

აგური სამშენებლო მსუბუქი (brick building light, легкий строительный кирпич) – აგური, რომელიც მზადდება თიხისა და ამოსაწვავი დანამატებისაგან, როგორცაა ხის ნახერხი, ტორფი, ქვანახშირი და სხვ.

აგური სილიკატური (brick silicate, силикатный кирпич) – ხელოვნური ქვის

სახეობა, რომელიც მიიღება ავტოკლავური მეთოდით (წყლის ორთქლის ზემოქმედებით 170-200°C ტემპერატურის პირობებში) კვარცის ქვიშისა (90%) და ჰაერკირის (10%) ნარევისაგან. საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2010 წლიდან მშენებლობაზე სილიკატური აგურის გამოყენება აკრძალულია.

აგური ფასონური (brick fasson, фасонный кирпич) – მოსაპირკეთებელი აგური რთული ფორმის (ფანჯარა, კამარა, სვეტი, რაფა, ღობე და სხვ.) წყობისათვის.

აგური ფერადი (brick colored, цветной кирпич) – სხვადასხვა შეფერილობის აგური, რომლის ფერიც დამოკიდებულია თიხისა და პიგმენტის სახეობასა და დამზადების ტექნოლოგიაზე.

აგური ქართული (georgian brick, грузинский кирпич) – ანტიკური პერიოდის (ძვ. წ. VI – ა. წ. IV საუკუნეები) კვადრატული ფორმის აგური, რომლის გვერდის სიგრძეა 46-54 სმ, სისქე – 10-11 სმ. დასამზადებლად გამოიყენებოდა თიხა, რომელიც შრებოდა ბუნებრივ პირობებში.

აგური შამოტის (brick shamite, шамотный кирпич) – აგური, რომელიც მიიღება დაფეული ცეცხლგამძლე თიხისა და შამოტისგან მაღალ ტემპერატურაზე გამოწვეთ. უძლებს 1800°C ტემპერატურას.

აგური ცეცხლგამძლე (brick refractory, огнеупорный кирпич) – ძნელდნობადი თიხისგან დამზადებული სუფთაზედაპირიანი, დიდი სიმტკიცისა და მაღალი ცეცხლგამძლეობის აგური.

აგური ძელურა (paving stones, брусчатка) – მართკუთხედის ფორმის მასიური ფილები, რომლებიც ჩამოისხმება ბეტონისაგან პლასტმასის ფორმებში.

აგურის მარკა (brick maker, марка кирпича) – სიმტკიცის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება ლაბორატორიულ პირობებში მრავალრიცხოვანი ნიმუშის კუმშვაზე გამოცდითა (შესაბამისი სტანდარტების დაცვით) და მიღებული შედე-

გების დამუშავებით მათემატიკური სტატისტიკის ფორმულების გამოყენებით.

აგურის წყობა (brick formation, кирпичная кладка) – გარკვეული წესით განლაგებული და ერთმანეთთან დუღაბით შეკავშირებული აგურების ერთობლიობა.

აგურფხვნილი (brick dust, цементная пыль) – ცემენტის ხელოვნური ჰიდრავლიკური დანამატი, რომელიც მიიღება აგურის ან თიხის ნაკეთობების ლეწის დაფეკვით.

ადვილჩაწყობადობა (placeability, удобоукладываемость) – ბეტონის ნარევის თვისება, შედარებით ადვილად შეავსოს ყალიბი და ამავე დროს სწრაფად მიიღოს საჭირო ფორმა, შეინარჩუნოს მთლიანობა და ერთგვაროვნება.

ადიდვა (drawing, волочение) – ლითონის დამუშავება წნევით, როდესაც ხდება ლითონის ნამზადის გამოწევა საადიდვო დგანის ფასონური პროფილის ხვრელში მისი განივი კვეთის შესამცირებლად.

ადობა (adobe, адоба) – მზეზე გამომცხვარი აგური თიხითა და დაჭრილი ჩალით (ბზით), რომელიც ძველ ეპოქაში საშენ მასალად გამოიყენებოდა.

ადსორბენტი (adsorbent, адсорбент) – მაღალდისპერსიული მასალა კარგად განვითარებული ზედაპირით, რომლითაც ხდება ამ ზედაპირთან შეხებაში მყოფი აირული ან თხევადი ნივთიერებების შთანთქმა. სხეული, რომლის ზედაპირზეც ხდება ადსორბცია.

ადსორბცია (dsorption, адсорпция) – სითხის ან მყარი სხეულის ზედაპირული შრის მიერ აირიდან ან ხსნარიდან რაიმე ნივთიერების შთანთქმა.

ალუღაბება (fermentation, затворение) – ცემენტის ფხვნილზე წყლის დამატების პროცესი მისი ჰაერატაციის მიზნით, რასაც საბოლოოდ მიყვავართ ცემენტის ქვის წარმოქმნამდე.

ადჰეზია (adhesion, адгезия) – მასალის თვისება, მიეწებოს (მიეკრას) მეორეს.

ადჰეზივი (adhesive, адгезив) – ბუნებ-

რივი ან სინთეზური წებოვანი ნივთიერება, რომელსაც უნარი აქვს, შეაერთოს ორი სხვადასხვა (ან ერთნაირი) მასალა ზედაპირული შეჭიდულობის გზით.

აერაცია (aeration, аэрация) – 1. აირმომოცვლა ნიადაგის ჰაერსა და ატმოსფეროს ჰაერს შორის, ბუნებრივი განიავება; 2. ჰაერმომოცვლა სარკმლიდან, ფრამუგიდან და სახურავის სარკმლიდან; 3. ჰაერით, ჟანგბადით გაჯერება.

აერირება შენობისა (aerathion building, аэрирование зданий) – შენობის ორგანიზებული ბუნებრივი ჰაერმომოცვლა ფრამუგებისა და სავენტილაციო სარკმლების მეშვეობით.

აეროზოლი (aerosol, аэрозоль) – დისპერსიული სისტემა, რომლის აირად გარემოში შეტივტივებულია მყარი სხეულის ნაწილაკები ან სითხის წვეთები (ნისლი, კვამლი, მტვერი და სხვ.).

აეროპორტი (airport, аэропорт) – ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და შენობების კომპლექსი სამოქალაქო თვითმფრინავების აფრენის, დაჯდომისა და მომსახურებისათვის. აეროპორტში ხორციელდება საჰაერო ტრანსპორტი, საბაჟო, სასაზღვრო და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი. ის, როგორც წესი, შედგება თვითმფრინავებისათვის ხელმისაწვდომი მინიმუმ ერთი საჰაერო ღია სივრცისაგან, რომელიც მოიცავს ოპერატიულ აქტიურ ზედაპირს ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და საშვეულმფრენო მოედნის სახით, აგრეთვე სხვა სასამსახურო შენობა-ნაგებობებს, როგორებიცაა: ტერმინალ(ებ)ი, ანგარი, საკონტროლო კომპი, სადისპეტჩერო, საწვავ-საპოხი მასალების საწყობი, სახელოსნოები, საჰაერო ტრანსპორტის მართვის ცენტრი, მგზავრთა მომსახურების ობიექტები (კაფე, რესტორანი, სამედიცინო ცენტრი) და სხვ.

ავანგარდიზმი (avant-garde, авангардизм) – XX საუკუნის ხელოვნებისა და

არქიტექტურის სხვადასხვა მიმდინარეობის სახელწოდება, რომელსაც ახასიათებს რეალისტურ ნორმებსა და ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტა; ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ფორმებისა და გამოსახვის საშუალებების ძიებას. ავანგარდისტები ხელოვნებას განიხილავენ, როგორც განსაკუთრებულ, სოციალურ დატვირთვას მოკლებულ ესთეტიკურ სფეროს.

ავარია (accident, авария) – 1. ნაგებობის ან მისი ნაწილის (საძირკველი, კედელი, კოჭი და სხვ.), რაიმე მანქანის, მექანიზმის (მატარებელი, ავტომანქანა და სხვ.) დაზიანება, რაც სახიფათო ადამიანის სიცოცხლისათვის; 2. საწარმოო (ტექნოლოგიური) პროცესის გაუთვალისწინებელი მოულოდნელი გაჩერება ან ნორმალური მუშაობის დარღვევა. როგორც წესი, ავარიას მოსდევს ტექნიკისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დაზიანება ან განადგურება, აგრეთვე ტექნიკური სისტემების მომსახურე პერსონალისა და ავარიის ადგილზე შემთხვევით აღმოჩენილ ადამიანთა ტრავმატიზმი; 3. ტექნიკურ სისტემაში შემთხვევა, რომელიც არ იწვევს ადამიანების დაღუპვას, ხოლო ტექნიკური საშუალებების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ არის; 4. ნაგებობისა და ტექნიკური მოწყობილობის რღვევა, სამიში ნივთიერებების ამოფრქვევა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის მსხვერპლი ან ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას, ქონებას ან გარემოს.

ავზი (tank, бак) – განსაზღვრული მოცულობის, დანიშნულებისა და სხვადასხვა ფორმის სითხეტევადი ჭურჭელი.

ავტობეტონსაზიდი (concrete truck, бетоновоз) – სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალება სპეციალური გონდოლისებრი ან მულდისებრი ფორმის ძარით, რომლის დანიშნულებაა ბეტონის ნარევის გადატანა დიდ მანძილზე.

ავტობლოკირება (lock-cut, автоблокировка) – თბიქტის მუშაობის რეჟიმის ავტომატური შეცვლა ავარიის ასაცვლებლად.

ავტოგენი (autogenous, автоген) – აპარატურა ლითონის ელემენტების შედუღების ან ჭრისათვის საწვავი აირებისა (აცეტილენი, წყალბადი და სხვ.) და ჯანგბადის ნარევის აალების მაღალი ტემპერატურის მეშვეობით.

ავტოგრეიდერი (autograder, автогрейдер) – თვითმავალი მანქანა, რომელიც გამოიყენება მოდნებისა და ფერდობის დასამუშავებლად, ასევე გრუნტის, თოვლის ან ნაყარი ფხვიერი საშენი მასალის მოსწორებისა და გადაადგილებისათვის.

ავტოგუდრონატორი (autogudronator, автогудронатор) – სატრანსპორტო საშუალება ცხელი და ცივი ორგანული შემკვრელი მასალების (ძირითადად გუდრონისა და ბიტუმის ნარევის) გადასატანად და გასანაწილებლად საავტომობილო გზების, აეროდრომებისა და ხიდების მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოებისათვის, აგრეთვე შენობის ბურუნის, საძირკვლების, წყალსატარი მილებისა და სხვ. ჰიდროსაინჰოლაციო მასალების ტრანსპორტირებისათვის.

ავტოთვითსაცლელი (dump truck, автосамосвал) – ავტომობილი ასაყრავებელი სატვირთო პლატფორმით. არსებობს ზოგადი დანიშნულების ავტომობილის ბაზაზე ან სპეციალიზებული სახით, მძიმე კარიერულ პირობებში სამუშაოდ. გამოიყენება საშენი მასალების (ბეტონი, ქვიშა, ხრეში, ღორღი, მადნეული, გრუნტი და სხვ.) გადასაზიდად და ჩამოყრით დასაცლელად.

ავტოკლავი (autoclave, автоклав) – ჰერმეტიკლად დახურული ლითონის ჭურჭელი, რომელშიც ატარებენ სხვადასხვა პროცესს ორთქლის, მაღალი ტემპერატურისა და წნევის ქვეშ (ტემპერატურა 500°C-მდე, წნევა 150 მპა-მდე). სამშე-

ნებლო საქმეში გამოიყენება სილიკატური აგურის, ცემენტის, პლასტიმასის, დუღაბისა და სხვათა დასამზადებლად დაჩქარებული მეთოდით.

ავტოკოლიმატორი (autocollimator, автоколлиматор) – კუთხური გაზომვისთვის განკუთვნილი ოპტიკურ-მექანიკური ან ელექტრონულ-მექანიკური ხელსაწყო.

ავტომატი (automatic machine, автомат) – აპარატი, რომელიც ამოქმედების შემდეგ რაიმე სამუშაოს/სამუშაოებს თავისით, ადამიანის ჩურევლად, შიგა მექანიზმის მეშვეობით ასრულებს.

ავტომატიზაცია (automation, автоматизация) – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც იყენებს თვითრეგულირებად ტექნიკურ საშუალებებსა და მათემატიკურ მეთოდებს ინფორმაციის, ენერჯის, მასალის მიღების, გამოყენების, გადაცემის, გარდაქმნის პროცესში მონაწილეობისგან ადამიანის მთლიანად ან ნაწილობრივ გასათავისუფლებლად.

ავტომატიზებული დაპროექტების სისტემა (computer-aided design, система автоматизированного проектирования) – კომპიუტერის პროგრამული პაკეტი, რომელიც საშუალებას იძლევა შექმნას საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტაცია, სამგანზომილებიანი (3D) მოდელები და ნახაზები. ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის მაგალითებია: AutoCAD, ArchiCAD, BricsCAD, Chief Architect, LibreCAD, FreeCAD და სხვ.

ავტომატიკა (avtomation, автоматика) – 1. დისკრეტული, უწყვეტი და ჰიბრიდული ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისათვის გამოყენებული ავტომატურად მოქმედ სხვადასხვა მექანიკურ, ელექტრონულ, პნევმატიკურ და ჰიდრაულიკურ მოწყობილობათა საერთო დასახელება; 2. ავტომატურად მოქმედი მექანიზმების, ხელსაწყოების ერთობლიობა; 3. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რომელიც ამუშავებს ტექ-

ნიკურ საშუალებებსა და მეთოდებს ტექნოლოგიური პროცესების განსახორციელებლად ადამიანის უშუალო მონაწილეობის გარეშე.

ავტომობილი (car, автомобиль) – ადამიანთა გადასაყვანი (მსუბუქი) ან ტვირთის გადასატანი (სატვირთო) მანქანა, რომელიც შიგაწვის, ჰიბრიდული ან ელექტრონული ძრავათი მოძრაობს ურელსო გზაზე.

ავტომოტრისა (railcar, автмотриса) – საკუთარი ძრავათი აღჭურვილი თვითმავალი სამგზავრო ან სატვირთო ვაგონი, რომელიც მოძრაობს შიგაწვის ძრავათი რელსიან გზაზე; ჩვეულებრივ მიბმული აქვს ერთი ან ორი ვაგონი და მასთან (მათთან) ერთად ქმნის სექციას.

ავტოსადგომი პანდუსებიანი (რამპებიანი) (car parks with ramps, автостоянки с пандусами) – მრავალსართულიანი ავტოსადგომი, რომლის სართულები ერთმანეთთან პანდუსებითაა დაკავშირებული. მიეკუთვნება ღია ტიპის ავტოსადგომს (შესაძლებელია იყოს მიწისქვეშაც).

ავტოსადგომი ღია (outdoor car park, открытая автостоянка) – ავტოსადგომი შემომზღუდავი კედლების გარეშე.

ავტოსადგური (autostation, автостанция) – შენობებისა და ნაგებობების კომპლექსი საქალაქო, საგარეუბნო და საერთაშორისო ავტოტრანსპორტის მგზავრთა, სახაზო პერსონალის, მოძრავი შედგენილობისა და ბარგის მომსახურებისათვის.

ავტოსატვირთველი (track loader, автопогрузчик) – თვითმავალი ავტოსატრანსპორტო მანქანა, რომელიც გამოიყენება ტვირთის სატვირთავ-განსატვირთავი საშუალებების შესასრულებლად საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე, სამშენებლო მოედანზე და სხვ.

ავტოსაწველა (car lift, автоподъемник) – სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება ადამიანის (ინსტრუმენტ-

ბიანად) გადასაყვანად სიმაღლეზე სამშენებლო-სამონტაჟო ან სარემონტო საშუალების შესასრულებლად.

ავტოსტრადა (motorway, freeway; автострада) – თანამედროვე ტიპის საგანგებოდ ნაშენები გზა ავტომობილების შეუფერხებელი და სწრაფი მოძრაობისათვის; აქვს სპეციალურად მოწყობილი შესასვლელები და გამოსასვლელები და არ არის გადაკვეთილი სხვა გზებით.

ავტოქტონური (autochthonous, автохтонный) – დამოუკიდებელი, ადგილობრივი წარმოშობისა (ქანები, ნახშირი, თიხა და სხვ.).

ავტოცემენტსაზიდი (cement truck, автоцементовоз) – სატვირთო ავტომობილი, რომლის შასიზე ან მისაბმელზე გარკვეული კუთხით დამონტაჟებულია სპეციალური კონსტრუქციის სტაციონარული ან მბრუნავი ცისტერნა ცემენტის გადასატანად. ცემენტის განსატვირთავად გამოიყენება ჰაერტუმბო.

ავტოცისტერნა (tank truck, автоцистерна) – ავტომობილი, რომელსაც ძარის ნაცვლად აქვს ცისტერნა. კონსტრუქციულად გათვალისწინებულია თხევადი, აირული და ფხვიერი ტვირთების გადასატანად ან ღროებით შესანახად.

აზბესტი (asbestos, асбест) – ქრიზოტილი, ქანსელი, მთის სელი – ბუნებრივი წვრილბოჭკოვანი ცეცხლგამძლე მინერალი, რომელსაც იყენებდნენ შიფერის, მილის, პანელის, ქსოვილის, მუყაოს, ქაღალდის, ჩალიჩისა და სხვათა დასამზადებლად აგრეგატის თბოიზოლაციისათვის. აზბესტის შედგენილობაში შედის ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებები (კანცეროგენები), ამიტომ მისი წარმოება თითქმის შეწყვეტილია.

აივანი (balcony, балкон) – 1. შენობის ფასადის სიბრტყიდან გამოწეული და, როგორც წესი, შიდა სათავსებთან დაკავშირებული, მოაჯირით შემოსაზღვრუ-

ლი ბაქანი; 2. ღერეფანი; საცხოვრებელი სახლის (კერძოდ, ქართული საცხოვრებელი სახლის) ერთ ან სამმხრივ ღია ნაწილი სვეტებზე დაყრდნობილი გადახურვით.

აირბეტონი (gas concrete, газобетон) – უჯრედოვანი ბეტონის სახესხვაობა, საშენი მასალა, ხელოვნური ქვა მოცულობაში თანაბრად განაწილებული 1-3 მმ დიამეტრის ფორებით.

აირგენერატორი (gas generator, газогенератор) – მყარი და თხევადი სათბობისაგან საწვავი აირის მისაღები აპარატი.

აირი (გაზი) (gas, газ) – ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობა, რომელშიც მისი ნაწილაკების (მოლეკულების, ატომების, იონების) თბური მოძრაობის კინეტიკური ენერგია ბევრად აღემატება ამ ნაწილაკებს შორის ურთიერთკავშირის პოტენციალურ ენერგიას, რის გამოც ნაწილაკები მოძრაობენ თავისუფლად, თანაბრად ავსებენ რა მოცემულ მოცულობას.

აირი ინერტული (inert gas, инертный газ) – აირი, რომელიც სხვა ნივთიერებებთან რეაქციაში შედის მხოლოდ უჩვეულო პირობებში, როგორცაა: მაღალი ტემპერატურა, წნევა და მსგავსი გარე ფიზიკური ძალები.

აირის სანთურა (gas burner, газовая горелка) – მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება აირადი საწვავის ჰაერთან ან ჟანგბადთან შესარევად და შემდეგ სახურებელ ღუმელში მისაწოდებლად.

აირმომარაგება (gas supply, газоснабжение) – აირული საწვავის ორგანიზებული მიწოდება და განაწილება სახალხო მეურნეობის ობიექტებზე.

აირსადენი (gasconduit, газопровод) – გრძელი მილსადენი აირის გარკვეულ მანძილზე ტრანსპორტირებისათვის.

აირსადენი გარე (external gas pipeline, наружный газопровод) – აირსადენი გამანაწილებელი სადგურიდან აირის მომხმარებლამდე (შენობისა და ნაგებო-

ბის გარე კედლებამდე) მისაწოდებლად. **აირსადენი მაგისტრალური** (main gas pipeline, магистральный газопровод) – ძირითადი აირსადენი ნაგებობა აირის შორ მანძილზე ტრანსპორტირებისათვის მოპოვების ადგილიდან მოხმარების ჰუნქტამდე.

აირსადენი მიწისქვეშა (underground gas pipeline, подземный газопровод) – აირსადენი, რომელიც განლაგებულია მიწის ზედაპირის ქვევით.

აირსადენი შიგა (internal gas pipeline, внутренний газопровод) – სხვადასხვა დანიშნულების აირსადენი შენობისა და ნაგებობის შიგნით.

აირსაცავი (gas storage, газохранилище) – აირის შესანახი ბუნებრივად შექმნილი ან ხელოვნურად აგებული რეზერვუარი (მაგ., გაზგოლდერი).

აირწიდაბეტონი (gas-slag concrete, газшлакобетон) – ბეტონი, რომელშიც ძირითადი შემკვრელია ბრძმედის გრანულირებული წიდა, დაფქული ქვიშა ან ნაცარი და დანამატი - აქტივიზატორი (კირი, თაბაშირი ან თხევადი მინა); აირწარმომქმნელია ალუმინის ფხვნილი.

აკუმულატორი (accumulator, аккумулятор) – მოწყობილობა, რომელშიც ხდება ელექტრობის (ენერგიის) დაგროვება შემდგომში მისი თანდათანობით დასახარჯავად.

აკუმულაცია (accumulation, аккумуляция) – რისამე (მაგ., ენერგიის) დაგროვება.

აკუსტიკა (acoustics, акустика) – 1. მეცნიერება ბგერის შესახებ; 2. სმენადობის პირობები შენობაში.

აკუსტიკა არქიტექტურული (architectural acoustics, архитектурная акустика) – ბგერის გავრცელების პირობები ამა თუ იმ შენობაში. შეისწავლის შენობაში ბგერის გავრცელებასა და შთანთქმას.

აკუსტიკა სამშენებლო (building acoustics, строительная акустика) – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სათავსის, შენობისა და დასახლებული

ადგილის ტერიტორიის ხმაურისაგან დაცვისა და მათთვის ოპტიმალური აკუსტიკური პირობების შექმნის საშუალებებს, უზრუნველყოფს ხმაურის ნორმალურ რეჟიმს.

აკუსტიკური მასალა (acoustic material, акустический материал) – მასალა, რომელიც გამოიყენება სათავსის შიგნით ხმაურის შთანთქმისათვის (ფიჭაპლასტი, ფოროპლასტი, ქაფპლასტი, მინერალური ბამბა, თაბაშირმუყაო და სხვ.) და გარედან შიგნით ბგერის შეღწევისგან დასაცავად (მერქანბოჭკოვანი ფილები, მინის ბამბა, ფოროვანი რეზინი და სხვ.).

ალათა (binding, переплет) – კარის ან ფანჯრის შეკრული ერთი ელემენტი, რომელიც ჩარჩოსთან მოძრავად ან უძრავადაა დამაგრებული.

ალბიტი (ბელომორიტი, პერისტერიტი) (albite, альбит) – ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული თეთრი ქანწარმომქმნელი მინერალი, მაგმური წარმოშობის სილიკატების კლასის ნატრიუმის მინდვრის შპატი, პლაგიოკლაზების ჯგუფის ალუმინის სილიკატი.

ალებასტრი (alabaster, алебастр) – იგივეა, რაც თაბაშირი.

ალევრიტი (aleurite, алеврит) – დანალექი წვრილმარცვლოვანი ფხვიერი ქანი.

ალიდადა (alidade, алидада) – სამიზნებელი ან მისანიშნებელი მოწყობილობა მიმართულების განსასაზღვრად და კუთხეების გასაზომად. გამოიყენება გეოდეზიაში.

ალმასი (ანდამანტი, ადამატი, ადამასი, პატიოსანი თვალი) (diamond, алмаз) – ნახშირბადის სუფთა ან ნახევრად სუფთა, გამჭვირვალე ან ნახევრადგამჭვირვალე, უკიდურესად მტკიცე ფორმა, რომელიც ბუნებრივად კრისტალიზებული იზომეტრიულ სისტემაში; ნახშირბადის მეტასტაბილური ალოტროპია.

ალმასი სინთეზური (synthetic diamond, синтетический алмаз) – ხელოვნური ალ-

მასი, რომელიც მიიღება გრაფიტისაგან მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში.

ალოტროპია (allotropy, аллотропия) – 1. ერთი და იმავე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 2. ლითონის უნარი, მყარ მდგომარეობაში ჰქონდეს სხვადასხვა კრისტალური აგებულება და, შესაბამისად, თვისება სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში.

ალტიმეტრი (altimeter, альтиметр) – გეოდეზიური სიმაღლის საზომი.

ალუმინი სამშენებლო (construction aluminum, строительный алюминий) – გრძელი მასალა, დამზადებული სამრეწველო მარკის ალუმინისგან.

ალუმინის კომპოზიციური პანელი (aluminum composite panel, алюминиевый композитный панель) – სამშენებლო მოსაპირკეთებელი კომპოზიციური მასალა.

ალუმინის კონსტრუქციები (aluminium constructions, алюминиевые конструкции) – სამშენებლო კონსტრუქციები და ნაკეთობანი, რომელთა საფუძველია ალუმინის შენადნობები ან ტექნიკური ალუმინი.

ალუმინის პუდრი (aluminium powder, алюминиевая пудра) – ალუმინის წვრილდისპერსიული ფხვნილი, რომლის წყლიანი სუსპენზია გამოიყენება აირწარმომქმნელი უჯრედოვანი ბეტონის (აირბეტონის) და სხვა ფოროვანი ნაკეთობების მისაღებად.

ალუმინსილიკატები (aluminosilicates, алюмосиликаты) – ჯგუფი ფართოდ გავრცელებული მინერალებისა, რომლებსაც მიეკუთვნება მინდვრის შპატი, ქარსი, თიხის მინერალები და სხვ.

ამბრაზურა (embrasure, амбразура) – სადგომისკენ გაფართოებული ფანჯრის ხვრეტი.

ამინოპლასტი (aminoplast, аминопласт) – კარბამიდულ ფისებზე დამზადებული

პლასტმასა.

ამონაგი (lining, футеровка) – ცემენტის წისქვილის, გამოსაწვავი ღუმლის, საცეცხლისის, საკვამლე მილის, ქიმიური აპარატის, აბაზანისა და სხვ. შიდა მოპირკეთება მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისგან დასაცავად.

ამონალი (ammonal, аммонал) – ამონიუმის გვარჯილის ჯგუფის ფეთქებადი ნივთიერება.

ამონიტი (ammonite, аммонит) – ასაფეთქებელი ნივთიერების სამრეწველო ნარევის სახეობა.

ამორტიზატორი (amortisator, амортизатор) – მოწყობილობა მანქანებისა და ნაგებობების დასაცავად რყევისა და დარტყმითი დატვირთვისაგან მათი მოქმედების შერბილებითა და შესუსტებით.

ამორტიზაცია (depreciation, амортизация) – ბიძგების, დარტყმების შერბილება სპეციალური მოწყობილობის საშუალებით;

ამორტიზაცია ჰიდრაულიკური (hydraulic shock absorption, гидравлическая амортизация) – დარტყმის ან რხევის შემცირება (ჩაქრობა) ჰიდროამორტიზატორის მეშვეობით.

ამოყრვა (backfilling, pull out; забутка) – კედლის წყობაში გარე და შიგა პწკარებს (რიგებს) შორის შუალედის, გაუქმებული შესასვლელის ან გასასვლელის შევსება ბეტონით, ბლოკით, აგურით ან ქვით.

ამოჭმა (etching, pickling, attacking, staining травление) – მყარი მასალის ზედაპირის დამუშავება ქიმიური ან ელექტროქიმიური ხერხით.

ამძრავი (drive, привод) – ძალური მოწყობილობა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მანქანა.

ამწე (crane, кран) – ციკლური მოქმედების ტვირთამწევი მანქანა, რომლის დანიშნულებაა ტვირთის აწევა და გადაადგილება ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად.

ამწე გრეიფერული ხიდური (grab bridge

crane, грейферный мостовой кран) – მოწყობილობა ხიდური ამწის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია გრეიფერით.

ამწე კაბელური (cable crane, кабельный кран) – ამწე სტაციონარული ან გადასაადგილებელი საყრდენებით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მზიდი ბაგირით, რომელზეც გადაადგილება სატვირთო ურიკა.

ამწე კედლისა (wall tap, стеной кран) – კედელზე სტაციონარულად ან მოძრავად მიმაგრებული ამწე, რომელიც გადაადგილება კედელზე ან მზიდ კონსტრუქციაზე ვერტიკალურ ამწესავალ გზაზე.

ამწე კონსოლური (cantilever crane, консольный кран) – ამწე, რომელიც განკუთვნილია ტვირთების გადასატანად ვერტიკალური ან ჰორიზონტალური მიმართულებით და აქვს საბრუნე (არასაბრუნე) კოჭი ან წამწე.

ამწე კოშკური (tower crane, башенный кран) – ამწე, რომელიც გამოიყენება ძირითადად მშენებლობებზე. აქვს მაღალი კოშკი, საბრუნე ისარი და ამწევი ჯალამბარი.

ამწე მისადგმელი (attachment crane, приставной кран) – ამწე, რომელიც მონტაჟდება საძირკველზე და დამატებით მაგრდება ასაგებ ნაგებობაზე, ე.ი. მისი კოშკი უძრავია და ემსახურება სამშენებლო მოედანს ერთი მხრიდან (სტაციონარული ამწე).

ამწე მაგნიტური (magnet crane, магнитный кран) – ამწე, განწყობილი ტვირთსატაცი ორგანოთი ელექტრომაგნიტის სახით.

ამწე მისაბმელი (trailing crane, прицепной кран) – ამწე, რომელსაც არა აქვს გადასაადგილებელი მექანიზმი და გადაადგილება მისაბმელი საწევარას მეშვეობით.

ამწე მობილური (mobile crane, мобильный кран) – მძლავრი ამწე საბრუნე კონსოლური ისრით, რომელიც მთლიან

საბრუნ ჩარჩოზე დაყენებული.

ამწე მუხლუხა (crawler crane, гусеничный кран) – ამწე მუხლუხა სავალი ნაწილით.

ამწე პნევმოთვლიანი (pneumatic wheel crane, пневмоколесный кран) – ისრიანი თვითმავალი პნევმატურსავალთვლიანი ამწე ღიზელის ამძრავით, რომელიც განლაგებულია საბრუნ ბაქანზე, იშვიათად – ერთდერძიან გამწევეზე.

ამწე პორტალური (gantry crane, порталный кран) – ამწე განკუთვნილი ღიდ ღია მოედანზე დასატვირთ-გადასატვირთავი სამუშაოებისათვის. ის П-სებრი პორტალის სახისაა, რომელზეც განლაგებულია საბრუნ ბაქანი მექანიზმებით, ისრითა და საყრდენ-საბრუნ მოწყობილობით.

ამწე რკინიგზისა (railway crane, железнодорожный кран) – პლატფორმაზე დამონტაჟებული ამწე, რომელიც გადაადგილდება რელსებზე.

ამწე საავტომობილო (automobile crane, автомобильный кран) – თვითმავალი სატვირთო-განმტვირთავი მანქანა, დამონტაჟებული ავტომობილის შასიზე, რომელსაც აქვს მუშა ორგანო მოძრავი კონსოლური ისრის სახით.

ამწე სამსხმელო (foundry crane, литейный кран) – ხიდურა ამწე, რომელსაც აქვს მექანიზმები სამსხმელო ციფხვის ასაწევად და გადასაყრავებლად. ძირითადად გამოიყენება მეტალურგიულ ქარხნებში.

ამწე სარელსო (rail mounted crane, рельсовый кран) – ამწე, რომელიც გადაადგილდება რელსებზე (იხ. ამწე რკინიგზისა).

ამწე სატვირთო-სამგზავრო (cargo-passenger crane, грузопассажирский кран) – ამწე, რომლის საშუალებით დამატებით შესაძლებელია ტვირთის გადატანა და მგზავრების (ძირითადად მუშების) გადაყვანა.

ამწე სტაციონარული (stationary crane, стационарный кран) – ამწე, რომელიც

იდგება საძირკველზე და სამშენებლო მოედანს ემსახურება ერთი სადგომიდან. მაღალი შენობის აგებისას ასეთი ამწე დამატებით მიემარება ასამშენებელ ნაგებობას და ეწოდება მისადგამი ამწე.

ამწე ხელის (manual faucet, ручной кран) – ამწე, რომლის მექანიზმი მოქმედებს ხელის ამძრავით.

ამწე ხიდური (travelling crane, мостовой кран) – ამწე, რომელიც შედგება ორი პარალელური მიმმართველის, მასზე მოძრავი ხიდისა და ტვირთის ამწევი კომპონენტისგან, რომელიც თავის მხრივ მოძრაობს ხიდზე.

ამწე ჯოჯგინა (travelling gantry crane, козловый кран) – ტვირთის ამწევი მექანიზმი-ნაგებობა ხიდურა კოჭის ან წამწის სახით, რომლის საყრდენები გადაადგილდება ბეტონის საძირკვლებზე მოწყობილ მიწისზედა სარელსო გზაზე და მოძრაობისას გადაფარავს მოედანს, რომელზეც წარმოებს დასატვირთავ-გადასატვირთავი სამუშაოები.

ამწის შვერი (crane outreach, вылет крана) – ამწის ისრის გადაწვდომა, რომელიც მისი მოქმედების რადიუსს განაპირობებს.

ამწისქვეშა კოჭი (undercrane beam, подкрановая балка) – კონსტრუქცია, რომელზეც მიემარება რკინიგზის რელსები ხიდური (შეკიდებული) ამწის სა-მოძრაოდ.

ანაკრები კონსტრუქციები (ასაწყობი კონსტრუქციები) (prefabricated structures, сборные конструкции) – მზა სამშენებლო კონსტრუქციები (კედლის ბლოკი, პანელი, რიგელი, გადახურვის ფილა და სხვ.), რომლებიც ქარხნული წესით მზადდება, გადაიტანება ობიექტზე და მონტაჟდება ადგილზე ამწის მეშვეობით.

ანალიზატორი (analyzer, анализатор) – მოწყობილობა ან ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც აწარმოებენ რაიმე ნივთიერების ან მოვლენის თვისებების

შესწავლასა და ანალიზს.

ანალიზი (analysis, анализ) – საგნის აზრობრივი დაშლა შემადგენელ ნაწილებად.

ანალიზი სპექტრული (spectrum analysis, спектральный анализ) – ნივთიერების შედგენილობის თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრის ფიზიკური მეთოდი, რომელიც ემყარება ნივთიერების ოპტიკურ სპექტრს.

ანალიზი ქიმიური (chemical analysis, химический анализ) – ნივთიერების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა.

ანალციმი (analgesic, анальцим) – კარკასული სტრუქტურის წყლიანი ალუმინსილიკატი; მინისებრი ელვარების თეთრი, რუხი ან უფერო მინერალი.

ანგობი (engobe, ангоб) – თეთრი ან ფერადი თიხის თხელი ფენა, რომლითაც გლუვი ზედაპირის მისაღებად გამოწვამდე იფარება კერამიკული ნაკეთობა.

ანდეზიტი (andesite, андезит) – ვულკანური წარმოშობის საშუალო მჟავიანობის მთის ქანი, მუქი ნაცრისფერი ან მოწითალო.

ანთება (ignition, зажигание) – წვის დაწყება მოკიდების წყაროს ზეგავლენით.

ანთრაციტი (anthracite, hard coal; антрацит) – შავი ფერის მკვრივი და ლითონისებრ პრიალა საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი.

ანიზოტროპია (anisotropy, анизотропия) – ნივთიერების ფიზიკურ თვისებათა არაერთგვაროვნება სხვადასხვა მიმართულებით.

ანკერი (anchor, анкер) – შენობის ცალკეული ელემენტების კედელთან დამაკავშირებელი (კედლის წყობაში ცალი ბოლოთი დატანებული) ლითონის საბურღი.

ანსამბლი (ensemble, ансамбль) – შენობების, საინჟინრო ნაგებობების სივრცითი კომპოზიციის ჰარმონიული მთლიანობა.

ანსამბლი არქიტექტურული (architectural ensemble, архитектурный ансамбль) – შენობებისა და ნაგებობების ერთიანი არქიტექტურული კომპოზიცია, შექმნილი გარკვეული არქიტექტურული იდეის მიხედვით.

ანტა (antes, анты) – ნაგებობის გვერდითი კედლის ოთხკუთხედის ფორმის გასქელებული დაბოლოება (პილასტრი), რომელიც ქმნის წინა პორტიკის განაპირა მხარეებს.

ანტაბლემენტი (entablature, trabeation; антаблемент) – ანტაბლემანი; კლასიკური არქიტექტურული ორდერის სვეტზე (კოლონაზე) დაყრდნობილი ჰორიზონტალური ნაწილი მზიდი სარტყლის სახით, რომელიც ძირითადად შედგება არქიტრავის, ფრიზისა და კარნიზისაგან.

ანტერიორი (anterior, anteriop) – ტაძრის წინა მხარე, ჰოსტერიონის საპირისპირო.

ანტეფიქსი (antefix, антефикс) – სახურავის კიდეულის გასწვრივ მოთავსებული ბუნებრივი ქვის (მარმარილო, გრანიტი), ხის ან კერამიკის ვერტიკალური დეკორატიული დეტალი მცენარეული ორნამენტის ან ადამიანის (ცხოველის) ნიღბის გამოსახულებით, რომელიც სახურავიდან გადასაყვანი წყლის დარის კედლის ფუნქციას ასრულებს.

ანტიდოტი (antidote, антидот) – ტოქსიკური ნივთიერება, რომლითაც აწარმოებენ სხეულის (დეტალის) შემოგარსვას ან აღსორბირებას. პრაქტიკაში ფართო გამოყენება ჰოვა გააქტიურებულმა ნახშირმა და თეთრმა თიხამ.

ანტისეისმური (anti-seismic, антисейсмический) – მიწისძვრის საწინააღმდეგო.

ანტისტატიკი (antistatic, антистатик) – პლასტმასის დანამატი, რომელიც ამცირებს პოლიმერული მასალის ელექტრიზაციას მისი გადამუშავებისა და ექსპლუატაციის დროს.

ანტიფრიზი (antifreeze, антифриз) –

სითხე, რომელსაც გაყინვის დაბალი ტემპერატურა აქვს.

ანტიფუნგინი (antifungin, антифунгин) – სითხე შენობის ხის ნაწილების დასაცავად ლჰობისაგან, რასაც ხის სოკო იწვევს.

ანტრესოლი (entreso, антресоль) – შენობის სართულის მოცულობაში ჩაშენებული დამატებითი ნახევარსართული სასარგებლო ფართობის გაზრდის მიზნით.

ანფილადა (suite enfilade, анфилада) – ერთ გრძივ ხაზზე განლაგებული, დიობებით დაკავშირებული ოთახების, დარბაზების და მისთ. რიგი, რომელიც ქმნის გამჭოლ პერსპექტივას. ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული ოთახები.

ანძა (mast, мачта) – დგარის სახით ვერტიკალურად დაყენებული საინჟინრო ნაგებობა, რომელსაც საერთო მდგრადობის უზრუნველსაყოფად სიმაღლეზე ადგილ-ადგილ დამაგრებული აქვს საჭიმრები.

ანჯამა (loops, петли) – ღეროთი შეერთებული ლითონის ორი თამასა კარის ან ფანჯრის ჩამოსაკიდად ან სხვადასხვა დეტალის შესაერთებლად.

ანჰიდრიდი (anhydride, ангидрид) – ჟანგბადიანი ნაერთი, რომელიც შეიძლება მივიღოთ შესაბამისი მჟავასგან წყლის წართმევით.

ანჰიდრიტი (anhydrite, ангидрит) – უწყლო კალციუმსულფატი, მინერალი.

აპარატი (apparatus, аппарат) – მოწყობილობის ან სისტემის დამთავრებული ერთობლიობა რაიმე ფუნქციის შესასრულებლად.

აპარატურა (equipment, аппаратура) – რაიმე სამუშაოს შესასრულებელი აპარატების, ხელსაწყოების ერთობლიობა; ლაბორატორიის, საამქროს, დიდი დანადგარისა და მისთ. მოწყობილობა.

აპარტამენტი (apartment, апартамент) – მდიდრულად მორთული დიდი ბინა.

არაბესკი (arabesque, арабеска) – რთული

ნატიფი ორნამენტების საერთო სახელი, დაფუძნებული გეომეტრიული, მცენარეული და კლასიკური მოტივების შეხამებაზე, რომელიც შეიცავს წარწერებს, ჩანაჭრებს, ცხოველებისა და ადამიანების გამოსახულებებსა და სხვ.

არამეტალები (nonmetals, неметаллы) – მარტივი ქიმიური ნივთიერებები, რომელთაც არ ახასიათებთ ბზინვარება, ჭედადობა და ცუდი ელექტრო- და სითბოგამტარები არიან (მაგ., ქვა, პლასტმასა, ბორი, ნახშირბადი, სილიციუმი, ფოსფორი, გოგირდი, სელენი, დარიშხანი, იოდი, აზოტი, ქლორი, ფთორი, ინერტული გაზები და სხვ.).

არამზიდი კონსტრუქცია (non-bearing construction, ненесущая конструкция) – კონსტრუქცია, რომელიც გავლენას არ ახდენს შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის სიხისტეზე, სიმტკიცესა და მდგრადობაზე.

არაორგანული (inorganic, non-organic, неорганический) – ის, რაც არ შეიცავს ცოცხალ ორგანიზმებს; შეისწავლის არაცოცხალი ბუნების თვისებებს, შედგენილობასა და გარდაქმნებს (მაგ., არაორგანული ქიმია).

არბოლითი (wood concrete, арболит) – რუსული წარმოების ცემენტიანი ბეტონი, რომელშიც შემავსებლად მცენარეული ორგანული მასალა გამოიყენება.

არგილითი (mudstone, аргиллит) – დანალექი ქანი, ქიმიური და მინერალური შედგენილობით არ განსხვავდება თიხისგან, თუმცა თიხაზე უფრო მაგარია და არ იხსნება წყალში. გამოიყენება შემვსებლად მსუბუქ ბეტონებში.

არეომეტრი (hydrometer, ареометр; ареометр) – სითხისა და ფხვიერი მასალის სიმკვრივის საზომი ხელსაწყო.

არკატურა (არკატურული სარტყელი, არკატურული ფრიზი) (arcature, аркатура) – კედლის სიბრტყეზე გამოყვანილი ყრუ თაღედი, რომელიც დეკორატიული ელემენტია.

არკტილიტი (arctilite არკტილიტ) – რუსული წარმოების ფენოვანი პლასტიკი, რომელიც შედგენილია არყის ხის შპონის, ქსოვილისა და ლითონის ბადის ფენების მრავალჯერადი განმეორებით.

არმატურა (reinforcement, fittings; арматура) – 1. ფოლადის, პლასტმასის, კომპოზიტის ცალკეული დეროები ან მათი ერთობლიობა, რომლებიც რკინაბეტონის კონსტრუქციებში თავის თავზე იღებენ გამჭიმავ (კოჭები) დაბეჭდვებს. შესაძლებელია მათი გამოყენება ბეტონის შეკუმშული ელემენტების გასაძლიერებლად; 2. წყალ- და გაზგაყვანილობის მოწყობილობების კომპლექსი, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ პროცესის სამართავად და დასარეგულირებლად (მაგ., ჩამკეტი არმატურა, მცველი არმატურა, მილსადენის არმატურა და სხვ.).

არმატურა არამიდკომპოზიტური (ორგანოპლასტიკი) (aramid composite rebar, арамид композитная арматура) – პოლიმერული კომპოზიტური დერო, შედგენილი გრძივი მიმართულებით განლაგებული არამიდის ბოჭკოებისგან.

არმატურა ბაზალტპლასტიკური (Basalt composite rebar, базальт композитная арматура) – პოლიმერული კომპოზიტური დერო, შედგენილი გრძივი მიმართულებით განლაგებული ბაზალტის ბოჭკოებისგან.

არმატურა განივი (transverse reinforcement, поперечная арматура) – პერიდული ან გლუვზედაპირიანი პროფილის არმატურა, რომელიც იღებს განივ ძალებს და ეწინააღმდეგება ამხლეჩი დაბეჭდვისაგან ადრული დახრილი ბზარების წარმოქმნას კონსტრუქციის საყრდენის სიახლოვეს, ამასთანავე შეკუმშული ზონის ბეტონს აკავშირებს გაჭიმული ზონის არმატურასთან.

არმატურა გრძივი (longitudinal reinforcement, продольная арматура) – პერიოდული პროფილის მუშა არმატურა, რომელიც

მელიც იღებს კონსტრუქციაში ადრულ გამჭიმ ძალებს და ეწინააღმდეგება კონსტრუქციის გაჭიმულ ზონაში შვეული ბზარების წარმოქმნას.

არმატურა დამცავი (გადამკეცავი) (protective reinforcement, защитная арматура) – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომლის დანიშნულებაა მოწყობილობის ავარიული დაცვა პარამეტრების ავარიული ცვლილებისას.

არმატურა კომპოზიტური (composite reinforcement, композитная арматура) – არამეტალური დეროები შედგენილი გრძივი მიმართულების მინის, ბაზალტის, ნახშირბადის ან არამიდის ბოჭკოებისაგან, გაქდენილი თერმოპლასტიკური ან თერმოპლასტიკური პოლიმერული შემკვრელით.

არმატურა კონსტრუქციული (გამანაწილებელი) (structural fittings, конструктивная арматура) – 1. არმატურა, რომელიც იღებს კონსტრუქციაში გაჩენილ შეკლება-გაფართოებისა და ტემპერატურულ ძალებს. მისი განივკვეთის ფართობი ინიშნება დაარმატურების მინიმალური პროცენტის მიხედვით; 2. არმატურა, რომელიც ეწყობა კონსტრუქციაში არა გაანგარიშებით, არამედ კონსტრუქციული მოსაზრებით.

არმატურა მარეგულირებელი (regulating fittings, регулирующая арматура) – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომლის დანიშნულებაა სამუშაო გარემოს პარამეტრების დარეგულირება მისი ხარჯის ცვლილების გზით.

არმატურა მილსადენის (pipeline fittings, трубопроводная арматура) – ტექნიკური მოწყობილობა, დაყენებული მილსადენზე ან რეზერვუარზე სამუშაო გარემოს ნაკადის სამართავად (დარეგულირება, განაწილება, გადაკეცვა, შერევა, ფაზაგაყოფა) გამავალი ნაკადის განივკვეთის ფართობის ცვლელადობით.

არმატურა მუშა (working armature, рабочая арматура) – პერიდული პროფილის

არმატურა, რომელიც თავის თავზე იღებს ელემენტში ძირითადი დატვირთვებისგან აღძრულ გამჭიმ (იშვიათად მკუმშავ) ძალებს; მისი განიკვეთის ფართობი მიიღება გაანგარიშებით.

არმატურა ფოლადის (steel fittings, стальная арматура) – ფოლადის ღერო ან ბადე ფოლადის მავთულებისგან, რომელიც გამოიყენება დასაარმირებელ მასალად რკინაბეტონისა და არმოქვის კონსტრუქციებში.

არმატურა ფოლადის სამონტაჟო (assembly steel reinforcement, монтажная стальная арматура) – პერიოდული ან გლუვზედაპირიანი პროფილის არმატურა, რომელიც ეწყობა მუშა და კონსტრუქციული არმატურების გასაერთიანებლად ბადეებსა და კარკასებში.

არმატურა ჩამკეტი (rebar shutter, затворная арматура) – მილსადენის სამრეწველო არმატურა, რომლის დანიშნულებაც სამუშაო გარემოს ნაკადის გადაკეტვაა.

არმატურა წინასწარ დაძაბული (prestressed reinforcement, предварительно напряженная арматура) – არმატურა, რომელიც კონსტრუქციის დამზადების პროცესში წინასწარ (ექსპლუატაციაში შესვლამდე) იღებს საწყის დაბზას (იძაბება) და ამ მდგომარეობაში ჩაბეტონდება კონსტრუქციაში.

არმატურის კარკასი (reinforcing cage, арматурный каркас) – გრძივი და განივი არმატურის ღეროებით დამზადებული კარკასი, რომელშიც ღეროები გადაკვეთის წერტილში ერთმანეთთან შედუღებითაა დაკავშირებული.

არმატურის ნორმატიული წინაღობა (normative reinforcement resistance, нормативное сопротивление арматуры) – არმატურის მასალაში ნორმებით დადგენილი დაბზის ზღვრული მნიშვნელობა.

არმატურის საანგარიშო წინაღობა (design reinforcement resistance, расчетное сопротивление арматуры) – არმატურის ნორმატიული წინაღობის სიდი-

დის ფარდობა მასალის საიმედოობის კოეფიციენტზე ანუ რეალური არმატურის მასალის წინაღობა ამ თუ იმ დეფორმაციის პირობებში.

არმატურის ჩაანკერება (reinforcement anchoring, анкеровка арматуры) – არმატურის მიერ მასზე მოქმედი ძალის მიღების უზრუნველყოფა საანგარიშო კვეთის გარეთ გარკვეული სიგრძის ჩამაგრებით ან ბოლოებზე სპეციალური ანკერების მოწყობით.

არმოცემენტი (reinforced cement, армоцемент) – რკინაბეტონის განსაკუთრებული სახეობა, რომლის დასამზადებლად გამოიყენება წვრილი მავთულის ბადეებით დაარმირებული წვრილმარცვლოვანი ბეტონი.

არმოცემენტის კონსტრუქციები (reinforced cement structures, армоцементные конструкции) – წვრილი მავთულით ნაქსოვი ან შენადუდი წმინდა ბადეებით დაარმირებული წვრილმარცვლოვანი ბეტონის თხელკედლიანი კონსტრუქციები.

არორუტი (arrowroot, арроут) – სახამებელი, რომელიც ტროპიკულ მცენარეთა ფესვებიდან და ნაყოფიდან მიიღება. გამოიყენება სამღებრო სამუშაოებში.

არტანი [(band(ing), shroud(ing), бандаж) – ლითონის რგოლი, ცალუდი ან სარტყელი, რომელიც გარშემო ეცმევა დეტალს ან კონსტრუქციას მისი სიმტკიცის ან ცვეთამედგობის გაზრდის მიზნით.

არტბეტონი (artcrete, артбетон) – თანამედროვე საშენი მასალის სახეობა – ბეტონი ქვიშა-თაბამირის საფუძველზე, რომელშიც ასევე შედის შემავსებელი, საღებარი და მისართი, რომლებიც ბეტონის ნაკეთობის ზედაპირზე დაიტანება ბათქაშის სახით და აძლევს მას შესანიშნავ ესთეტიკურ სახეს.

არტდეკო (art deco, артдеко) – XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობა დეკორაციულ ხელოვნებაში, რომელიც წარმო-

იშვა საფრანგეთში და ზეგავლენა იქონია იმდროინდელ არქიტექტურაზე, მოდასა და ვიზუალურ ხელოვნებაზე.

არტესონადო (artesonado, артесонадо) – ხის მოჩუქურთმებული და მოხატული ასაწყობი ჭერი. გავრცელდა შუა საუკუნეების მავრიტანული არქიტექტურიდან.

არტნუვო (art nouveau, артнуво) – ფრანგული ხელოვნების დეკორატიული-ორნამენტული სტილი XIX-XX საუკუნეებში. ახასიათებს ტალღისებრი მრუდი ხაზები, რომლებიც ინტერიერის დეკორში ერწყმის კონსტრუქციულ ელემენტებს.

არქიტექტონიკა (architectonics, архитектоника) – სამშენებლო კონსტრუქციის მუშაობის პრინციპის გამოსახვა არქიტექტურული ფორმით;

არქიტექტორი (architect, архитектор) – შესაბამისი განათლების ცენზის მქონე პირი, რომელიც თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით ქმნის საარსებო გარემოს გარკვეულ სივრცეში, ფორმასა და ისტორიულ კონტექსტში, პასუხისმგებელია ამ გარემოს ასპექტების არქიტექტურის ენით გამოსახვაზე.

არქიტექტურა (architecture, архитектура) – შენობა-ნაგებობათა დაპროექტება, აშენება, სამშენებლო კომპლექსისა და მისი გარემოს დიზაინის ხელოვნება და მეცნიერება ესთეტიკური ეფექტის გათვალისწინებით.

არქიტექტურა ეკოლოგიური (მწვანე არქიტექტურა) (sustainable architecture, экологическая архитектура) – მიმდინარეობა მშენებლობაში, რომელიც მწვანე დიზაინის ტექნიკას იყენებს.

არქიტექტურა ლანდშაფტური (landscape architecture, ландшафтная архитектура) – ჰარმონიული შეხამების შექმნის ხელოვნება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ადამიანის ათვისებულ ტერიტორიებს, დასახლებულ პუნქტებს, არქიტექტურულ კომპლექსსა და ნაგებობებს შორის.

არქიტექტურა ორგანული (organic architecture, органическая архитектура) – XX საუკუნის დასაწყისში დასავლური არქიტექტურის მიმართულება, რომელმაც გავლენა იქონია თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურაზე. ფილოსოფია, რომელიც პოპულარიზაციას უწევს ადამიანთა საცხოვრებელ გარემოსა და ბუნებას შორის ჰარმონიას დიზაინის კონცეფციებით, რომლებიც იმდენად ინტეგრირებულია ადგილმდებარეობასთან, რომ შენობები, ნაგებობები და გარემო მთლიანი ურთიერთდაკავშირებული კომპოზიცია ხდება.

არქიტექტურა რეგიონული (regional architecture, региональная архитектура) – ადგილობრივი ნაციონალური არქიტექტურა. მიმართულება მსოფლიო არქიტექტურაში, რომელშიც არქიტექტორები შთაგონებულნი არიან ეროვნული ექსკლუზიურობითა და ორიგინალურობის იდეებით, მიმართავენ ადგილობრივ თავისებურებებსა და ტრადიციებს და აკავშირებენ მათ თანამედროვეობასთან.

არქიტექტურა რელიგიური (religious architecture, религиозная архитектура) – ტაძარი, მონასტერი, სამლოცველო, ეკლესია, სამრეკლო, ბაზილიკა, მეჩეთი, სინაგოგა, რელიგიური გაერთიანების კულტურული ცენტრი და საკრალური სფეროს სხვა ნაგებობანი.

არქიტექტურული ანსამბლი (architectural complex, архитектурный ансамбль) – ერთიანი კომპოზიცია, გარკვეული არქიტექტურული იდეის გათვალისწინებით აგებული შენობებისა და ნაგებობების ერთობლიობა, ჩამოყალიბებული თანდათან – ხანგრძლივი დროის განმავლობაში ან აგებული მყისიერად, რაიმე ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად.

არქიტექტურული გრაფიკა (architectural graphics, архитектурная графика) – გრაფიკულ საშუალებათა კომპლექსი, რომელთა დახმარებით არქიტექტურული

ობიექტი გამოისახება სიბრტყეზე.

არქიტექტურული კომპლექსი (architectural complex, архитектурный комплекс) – ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული შენობებისა და ნაგებობების სისტემა.

არქიტექტურული კომპოზიცია (architectural composition, архитектурная композиция) – განსაზღვრული ჩანაფიქრის მიხედვით შენობის იერის შერწყმა და დაკავშირება მის გარემომცველ გარემოსთან.

არქიტექტურული მასშტაბი (architectural scale, архитектурный масштаб) – არქიტექტურული ელემენტების კომპოზიციური წყობის ხერხი, რომელიც ემყარება შენობის ნაწილების ურთიერთშეფარდებასა და ამ შეფარდების ათვისების უნარს.

არქიტექტურული ნატეხი (architectural moulding, архитектурный облом) – არქიტექტურული ელემენტი, რომელიც განსხვავებულია განივი კვეთის – პროფილის მიხედვით და განთავსებულია ჰორიზონტალურად (ცოკოლი, კარნიზი, კოლონის ბაზა), დანრილად (ფრონტონების კარნიზი), მრუდწირულად (კამარის არქივოლტი, ნერვიურა) ან ტეხილად (პორტალებისა და ფანჯრების მოჩარჩოება).

არქიტექტურული ორდერი (architectural order, архитектурный ордер) – არქიტექტურულ-კომპოზიციური სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს დგარ-კოჭოვანი სისტემის სტრუქტურა, მხატვრული დამუშავება და აგების განსაზღვრული წესი. ცნობილია ხუთი კლასიკური ორდერი: დორიული, იონიური, კორინთული, ტოსკანური და კომპოზიტური

არქიტექტურული პროექტი (architectural project, архитектурный проект) – არქიტექტორის საქმიანობის შედეგად დოკუმენტურად დაფიქსირებული მისი ჩანაფიქრი – არქიტექტურული ნახაზების ერთობლიობა, რომელშიც ჩამოყალი-

ბებულია არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურა და მოცულობით-სივრცითი დაგეგმარების პრინციპი და რომელიც ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, კომპლექსურად წყვეტს ქალაქმშენებლობით, მხატვრულ-ესთეტიკურ, ფუნქციურ და ტექნიკურ საკითხებს.

არქიტექტურული პროფილები (architectural profiles, архитектурные профили) – მოლიურები, მულიურები; არქიტექტურული ფორმის შემადგენელი ელემენტები. იყოფა ორ ჯგუფად: სწორხაზოვანი (თარო, პლინთი და სხვ.) და მრუდხაზოვანი (ლილვი, ფოსო, ბატიყელა, ქუსლი, სკოცია).

არქიტექტურული სტილი (architectural style, архитектурный стиль) – არქიტექტურულ-კონსტრუქციული და მხატვრული ხერხების ისტორიულად ჩამოყალიბებული მდგრადი ერთიანობა, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივ-ისტორიული იდეური შინაარსის ერთობლიობით.

არქიტექტურული ტრაქტატი (architectural treatise, архитектурный трактат) – კოდექსი არქიტექტორის უფლებებისა და მოვალეობის შესახებ.

არქიტექტურული ფორმა (architectural form, shape архитектурная форма) – ნაგებობის შესაბამისობა თავის პირდაპირ დანიშნულებასთან, რაც ითვალისწინებს კომპლექსის ზოგად დაგეგმარებას, კონსტრუქციების სიმტკიცესა და მდგრადობას, ეკონომიკურობას.

არქიტრავი (ეპისტილონი, ეპისტილი) (epistyle, архитрав) – კლასიკურ არქიტექტურაში ანტაბლემენტის სამი ნაწილიდან ყველაზე ქვედა ნაწილი, რომელიც უშუალოდ ეყრდნობა სვეტის (კოლონის) კაპიტელს.

არხი (channel, канал) – გრუნტში (თხრილში, ყრილში) გაყვანილი ღია ან დახურული წყალსატარი, რომელშიც წყალი თვითღინებით მიედინება.

არხი სავენტილაციო (channel ventilating, вентиляционный канал) – კედელში ჩაყოლებული ან გადახურვაზე შეკიდებული არხი, რომლის საშუალებითაც ხდება შენობაში სუფთა ჰაერის შემოსვლა და უვარგისის გაძევება ბუნებრივი ან იძულებითი გზით.

არხსათხრელი (channel digger, каналокопатель) – მისაბმელი ან თვითმავალი მანქანა, რომელიც გამოიყენება სარწყავი ან ამოსაშრობი არხების, აგრეთვე ტრანშეებისა და კიუვეტების გასაყვანად.

ასაფეთქებელი ნივთიერება (explosive, взрывчатое вещество) – მყარი, თხევადი ან აიროვანი ნივთიერებები ან ნივთიერებათა ნაერთები, რომლებიც დეტონირებენ მათი პირველადი ასაფეთქებლის, ბუსტერის ან ძირითადი მუხტის სახით გამოყენებისას ქობინებში, განადგურების მოწყობილობებსა და სხვა აპლიკაციებში.

ასაწყობ-მონოლითური კონსტრუქცია (composite construction, сборномонолитная конструкция) – ცალკეული ელემენტებისგან შემდგარი კონსტრუქცია, რომლის ერთი ნაწილი წინასწარაა დამზადებული ქარხანაში, ხოლო მეორე ნაწილი – ადგილზე, მონოლითური ბეტონის გამოყენებით, რითაც მიიღწევა მთლიანობა (მაგ., რკ.ბ.-ის კარკასულ შენობებში სვეტებისა და რიგელების შეერთების კვანძები).

ასაწყობი კონსტრუქციები (prefabricated constructions, сборные конструкции) – ქარხნული ან პოლიგონური წესით დამზადებული კონსტრუქციები.

ასენიზაცია (sanitation, sewage disposal, ассенизация) – სიბინძურის გატანის დონისძიებათა სისტემა; რომელიმე ადგილის ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება.

ასკარიტი (ascarite, аскарит) – აზბესტით გაჟღენთილი ნივთიერება, რომელიც კარგად შთანთქავს ნახშირჟანგს.

ასპირატორი (aspirator, аспиратор) – საწარმოო პირობებში ჰაერის სინჯის ასაღები ხელსაწყო მისი შედგენილობისა და დამტვრიანების გამოსაკვლევად.

ასპირაცია (aspiration, аспирация) – სავენტილაციო პროცესი ჰაერის ნაკადის მეშვეობით მცირე ზომის მშრალი ნაწილაკების სატრანსპორტო-ტექნოლოგიური მოწყობილობების სამუშაო ზონიდან წატაცებისათვის.

ასტამურა (ხვეწი) (scraper, стамеска) – ორმხრივად გაღესილი 2 მმ სისქის ფოლადის სპეციალური ფირფიტა, რომლის ფორმა განსხვავებულია ხელითა და ჩარხზე მუშაობისათვის. გამოიყენება გარანდული ზედაპირის მოსასწორებლად.

ასტრაგალი (ბაგეტი) (astragalus, астрагал) – რთული არქიტექტურული პროფილის (ხის, პლასტმასის, ლითონის, ქვის და სხვ.) ბრტყელი ან ნახევარწრიული ფორმის ნაკეთობა, რომელსაც ლილვაკის სახე აქვს.

ასტურიული სტილი (asturian style, астурийский стиль) – XI საუკუნის I ნახევარში რომანული სწინა არქიტექტურული სტილი ესპანეთში.

ასფალტბეტონი [asphalt(ic) concrete, асфальтобетон] – ხელოვნური საშენი მასალა, რომელიც მიიღება რაციონალურად შერჩეული და სპეციალურად მომზადებული მინერალური მასალებისა (დორღი, ქვიშა, მინერალური ფხვნილი) და ბიტუმის ნარევის გამკვრივებით.

ასფალტი (asphalt, асфальт) – შავი ან რუხი ფერის სამთო მინერალური ფისი, რომლითაც ფარავენ გზების, ქუჩების, ტროტუარების, მოედნების ზედაპირს; ბიტუმის ნარევი (50-60% ბუნებრივ და 13-60% ხელოვნურ ასფალტში) მინერალურ ნივთიერებებთან (კირქვა, ქვიშნარი და სხვ.).

ასფალტსაგები (asphalt placer, асфальтоукладчик) – საგზაო მანქანა, რომელიც ანაწილებს, აგებს და ნაწილობრივ ან

სრულად ამჭიდროებს ასფალტბეტონის ნარევს.

ატიკი (attic, аттик) – კლასიკურ არქიტექტურაში ანტაბლემენტის თავზე განლაგებული კედელი, რომელიც პარაპეტისაგან განსხვავდება მეტი სიმაღლითა და პლასტიკური დანაწევრების ხასიათით.

ატლანტი (ტელამონი, ატლასი) (atlante, атлант) – არქიტექტურული ელემენტის შვეული საყრდენი მამაკაცის ქანდაკების სახით, რომელიც ასრულებს დეკორატიულ ან ფუნქციურ როლს შენობის, აივნის, კარნიზის და სხვ. დასაყრდნობად. განთავსებულია სვეტის ან პილასტრის ადგილზე.

აუზი (swimming pool, бассейн) – ხელოვნური წყალსატევი.

აფეთქება (explosion, взрыв) – 1. დროის მცირე მონაკვეთში დიდი რაოდენობის ენერჯის გათავისუფლება შეზღუდულ მოცულობაში; 2. აირების უცარი ძლიერი გაფართოების შედეგი, რომელსაც თან სდევს დარტყმითი ტალღა ან შემოშლუღავი მასალების ან ნაგებობების ნგრევა ან ორივე ერთად.

აფსიდა (აფსიდი) (apse, апсида) – შენობის ნაწილი, გეგმით წრიული ან მრავალწახნაგოვანი ფორმის მოცულობა, რომელიც გადახურულია წრიული ან მრავალწახნაგა ნახევარგუმბათით (კონქით). ჩვეულებრივ, ქრისტიანულ ტაძარში აფსიდა აღმოსავლეთისკენაა მიმართული და მასში მოთავსებულია საკურთხევლის ნაწილი.

აფსკი (ფირი) (film, пленка) – რაიმე ზედაპირზე აფსკის წარმომქმნელი ნივთიერებისგან შექმნილი თხელი ფენა.

აქატი (agate, араг) – მინერალი, კვარცის მალულკრისტალური სახესხვაობა, კაჟმიწა.

აქტივაცია (activation, активация) – რაიმე პროცესის ინტენსიფიკაცია, რომელიც სისტემის სტაბილური მდგომარეობიდან გამოყვანით მიიღწევა.

აღსადგენი ობიექტი (recoverable object, восстанавливаемый объект) – ობიექტი, რომლისთვისაც განსახილველ სიტუაციაში მუშაობის უნარის აღდგენა გათვალისწინებულია ნორმატიულ-ტექნიკური ან საკონსტრუქტორო დოკუმენტაციით.

აშლარი (ashlar, ашлар) – ოთხკუთხა სამშენებლო ქვა, რომელსაც, როგორც წესი, მართკუთხა პარალელებიპედის (კუბოიდის), იშვიათად კი ტრაპეციის ფორმა აქვს და რომლის ყველა წახნაგი მოჭრილია მაღალი ან მეტ-ნაკლებად მაღალი სიზუსტით.

აცეტილენი (acetylene, ацетилен) – ნახშირწყალბადით (C₂H₂) გაჯერებული უფერო მზამიანი აირი უსიამოვნო სუნით.

აწევის ისარი (lifting boom, стрела подъема) – მრუდწირული კონსტრუქციის (კამარა, თაღი და მისთ.) ღერძის აწევის მაქსიმალური სიმაღლე მისი საყრდენების შემაერთებელი წრფის მიმართ.

აწყობა (customization, assembly, the set; настройка, сборка, набор) – დეტალებისა და კვანძებისაგან მანქანების, დაზგების, ნაგებობების მონტაჟი.

ახალი არქიტექტურა [new objectivity (architecture); новая архитектура] – XX საუკუნის 20-30-იანი წლებში, გერმანულენოვანი ევროპის არქიტექტურული მიმდინარეობა, რომელიც შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. მას ხშირად ახალშენებასაც (Neues Bauen) უწოდებენ.

ახალი მშენებლობა (New construction, новое строительство) – მშენებლობა, რომელიც ხორციელდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება.

ახალი ქალაქი (new town, новый город) – ქალაქების ან კომუნების ერთობლიობა, რომელიც ძირითადად პოლიტიკური ნებით იქმნებოდა მოკლე დროში ნაკლებად დასახლებულ ან საერთოდ დაუსახლებელ ადგილზე.

ბაბიტი (babbit, баббит) – შედარებით ძველი და ამჟამად ფართოდ გამოყენებული ანტიფრიქციული ძნელდნობადი (2320°C) არაერთგვაროვანი პლასტიკური შენადნობი კალისა და ტყვიის საფუძველზე სტიბიუმის, სპილენძის და სხვ. ელემენტების დანამატით.

ბაგეტი (baguette, багет) – 1. დაპროფილებული, ჩუქურთმიანი ან მოვარაყებელი ხის თამასა ჩარჩოსათვის; 2. ნახევარწრიული ფორმის მცირე ზომის ნივთი, ნაკეთობა (მაგ., ქალის ხელჩანთა მოკლე თასმით);

ბაგირგზა (საბაგირო გზა) (cableway, канатная дорога) – მოწყობილობა ტვირთისა და მგზავრების ტრანსპორტირებისათვის, რომელშიც ვაგონების, ვაგონების, გონდოლების, კაბინებისა და სავარძლების გადასაადგილებლად გამოიყენება გამწვევი ან გამწვევ-მზიდი ბაგირი, გაჭიმული ორ საყრდენს შორის ისე, რომ მოძრავი კაბინა-გონდოლები არ ეხებოდეს მიწის ზედაპირს.

ბაგირი (rope, cable; канат) – ფოლადის მავთულის, ნართის, სინთეზური, მინერალური ან მცენარეული ბოჭკოებისგან დამზადებული დრეკადი ნაკეთობა, რომელიც შეიძლება იყოს ხვეული (გრეხილი), არახვეული (არაგრეხილი) და წნული.

ბადე (net, screen; сетка) – ერთგვაროვანი უჯრედოვანი სისტემა, ბრტყელი მეჩხერქსოვილი ან წნული მავთულოვანი ნაკეთობა, რომელიც გამოიყენება ფხვიერი მასალის დასახარისხებლად ზომის (სისხოს) მიხედვით ან მათ გამოსაცალკევებლად სითხეებისა და აირებისგან.

ბადე მგრგვინავი (ბადე ცხავის) (screening mesh, грохотная сетка) – სამშენებლო ბადის სახეობა, რომელიც დამზადებულია ერთმანეთში გადახლართული მსხვილი არმატურის ღეროებისგან.

ბადია (bucket, бадья) – მაღალი სიმ-

ტკიცის ფოლადისაგან დამზადებული ჭურჭელი (ბუნკერი), რომელიც გამოიყენება ბეტონისა და სამშენებლო დუღაბის მისაწოდებლად მაღლივ მშენებლობაზე, აგრეთვე ჩვეულებრივ სამშენებლო ობიექტებზე.

ბაზა (ბაზისი) (base, база) – 1. კლასიკურ არქიტექტურაში სვეტის, კოლონის, პილასტრის, პილონის ქვედა დაპროფილებული ან ბრტყელი საყრდენი ნაწილი; 2. თვლებიან ორღერძიან სატრანსპორტო საშუალებებში მანძილი წინა და უკანა ღერძებს შორის.

ბაზალტი (basalt, базальт) – ფართოდ გავრცელებული კაინოტიპური (სადი) შავი ფერის ფუძეულკანური ქანი.

ბაზალტის ძაფი (basalt thread, базальтовая нить) – ვულკანური ბაზალტისგან დამზადებული ძაფი.

ბაზილიკა (basilica, базилика) – წაგრძელებული, გეგმით მართკუთხედის ფორმის ერთმალისანი შენობა ან შენობა, რომელიც ბოძების (სვეტების) რიგებით დაყოფილია სამ ან ხუთ გრძივ ნაწილად (ნავად).

ბაზო (door frame, дверная обвязка) – ჩარჩო, რომელშიც რაიმეს დეტალია ჩასმული (მაგ., კარის ბაზო, ფანჯრის ბაზო და სხვ.).

ბათქაში, შელესვა (plaster, plastering; штукатурка, оштукатуривание) – განსაკუთრებული ხსნარით (წყალში გახსნილი გაჯი ან ქვიშისა და კირის ნარევი) შელესილი შრე ქერის, კედლის, ტიხრისა და სხვა ზედაპირის მოსაპირკეთებლად.

ბათქაში აკუსტიკური (acoustic plaster; акустическая штукатурка) – ბგერათმთამნთქმელი ბათქაში, რომელიც დამზადებულია განსაზღვრული გრანულომეტრიული შედგენილობის (5 მმ-მდე) მსუბუქი შემკვებისა (პემზა, ვერმიკულიტი, პერლიტი, კერამიტი და სხვ.) და სხვადასხვა შემკვრელისგან (პორტლანდცემენტი, მაგნეზიური ცემენტი, კირი,

თაბაშირი და სხვ.).

ბათქაში ვენეციური (venetian plaster, венецианская штукатурка) – დეკორატიული ბათქაში, რომელსაც ბუნებრივი მარმარილოს ფაქტურა აქვს.

ბათქაში ლეონარდო (stucco leonardo, штукатурка леонардо) – დეკორატიული აკრილური რეცხვადი საფარი შიდა და გარე სამუშაოებისათვის.

ბათქაში მინერალური (mineral plaster, минеральная штукатурка) – ბათქაში, რომლის შედგენილობაში შედის პორტლანდცემენტი, კირის ჰიდრატი, ფხვიერი (ან მარცვლოვანი) მარმარილო (ან სხვა მინერალური მასალა, მაგ., გაბრო, გრანიტი, ქვიშაქვა, მდინარის ხრეში და სხვ.) და მსუბუქი ბუნებრივი შემავსებელი (ტუფი, ნიჟარქვა, ვულკანური წიდა და მისთ.).

ბათქაში მიუნხენური (munich plaster, мюнхенская штукатурка) – დეკორატიული ბათქაშის სახეობა, აკრილური დისპერსია სხვადასხვა ფრაქციის (2,5-3,5 მმ) მარმარილოს ნაფხვენის საფუძველზე.

ბათქაში მოზაიკურ-დეკორატიული (mosaic and decorative plaster, мозаично-декоративная штукатурка) – ბათქაში, რომელშიც შემავსებლად გამოყენებულია მარმარილოს, კვარცის, მალაქიტის ან ლაზურიტის ნაფხვენი, ხოლო შემკვრელად – აკრილური (სინთეზური) ფისები.

ბათქაში მშრალი (dry plaster, сухая штукатурка) – კედლის მოსაპირკეთებელი საშენი მასალა თხელი ფურცლების (ფირფიტების) სახით.

ბათქაში პოლიმერული (polymer plaster, полимерная штукатурка) – ბათქაში, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ელასტიკური მასალა – პოლიურეთანი, ეპოქსიდური ფისი ან აკრილი.

ბათქაში სგრაფიტო (გრაფიტო) (plaster sgraffito, штукатурка сграфито) – შენობის ფასადის დეკორატიული მოპირკეთების ხერხი, რომელიც სრულდება

ტრაფარეტისა და საკაწრის გამოყენებით.

ბათქაში სტრუქტურული (structural plaster, структурная штукатурка) – ბათქაში, რომელსაც აქვს არაერთგვაროვანი მარცვლოვანი მასის სახე სხვადასხვა წვრილი ქვების, მარცვლების, კვარცის, ქარსის, მერქნის ბოჭკოს და მისთ. დანამატით.

ბათქაში ტერაზიტული (terrasite plaster, терразитовая штукатурка) – ბათქაში, რომელიც შედგება თეთრი ცემენტის, კირ-ფიფქის, თეთრი ქვიშის, მარმარილოს, მინის, ქარსის, ანთრაციტის ნაფხვენისა და სხვა მასალების ნარევისგან.

ბათქაში ცემენტ-კირისა (cement-lime plaster, цемент-известковая штукатурка) – სამშენებლო ბათქაში, რომელიც მომზადებულია ცემენტისა და კირის საფუძველზე.

ბათქაში ცემენტ-ქვიშისა (cement-sand plaster, штукатурка цементно-песчаная) – სამშენებლო ბათქაში, რომელიც მომზადებულია ცემენტისა და ქვიშის საფუძველზე.

ბათქაში ცემენტისა (cement plaster, цементная штукатурка) – სამშენებლო ბათქაში, რომელიც მომზადებულია ცემენტის საფუძველზე.

ბაიონეტი (bayonet, байонет) – დეტალების სწრაფად შესასრულებელი შეერთება, რომელშიც ერთი დეტალი დაისმება მეორე დეტალზე.

ბაკელიტი (bakelite, бакелит) – ხელოვნური ფისი, ფენოლის ფორმალდეჰიდთან პოლიკონდენსაციის პროდუქტი ტუტის კატალიზატორის (მაგ., ამიაკი) მონაწილეობით.

ბაკი (tank, бак) – დიდი ჭურჭელი სითხის შესანახად ან გადასატანად; ავზი.

ბალაგანი (farce, booth; балаган) – სახელდახელოდ აგებული ხის ქონი, ფარდული, ბარაკი და მისთ., რომელიც გამოიყენება საწყობად, სავაჭროდ, მცირე საწარმოდ და სხვ.

ბალავარი (foundation, фундамент) – კედლის საყრდენი ლენტური საძირკველი, რომელიც შედგება რიყის ან გათლილი ქვებისა და ღულაბისაგან (კირი, ცემენტ-ქვიშა და სხვ.).

ბალანსი (balance, баланс) – წონასწორობა, თანაბრობა; შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი.

ბალანსური მერქანი (pulpwood, балансовая древесина) – მრგვალი ან ნაპობი სორტიმენტი ცელულოზისა და მერქნის მასის საწარმოებლად.

ბალასტი (ballast, балласт) – 1. გადახურვებში წონის გასაზრდელად დიდი ქვების ან მოკირწყვლის სისტემები, რომლებიც არ არის მიწებებული ან მექანიკურად მიმაგრებული სახურავის ფენილზე; 2. რკინიგზის შპალების ქვეშ დაგებული მაგარი ჯიშის კლდოვან-ნატეხოვანი მასალის (ქვიშა, ხრეში, ღორღი და სხვ.) ბალიში ვიწრო ფენის სახით; 3. ტვირთი, ამწე-სატრანსპორტო მექანიზმების ისრის ამწევი ძალისა და მდგრადობის რეგულირებისათვის.

ბალი (number, force; балл) – რაიმე მოვლენის ხარისხის ან სიძლიერის ციფრობრივი შეფასების პირობითი ერთეული.

ბალინიტი (balinitis, балинит) – მერქან-ფენოვანი ფურცლოვანი პლასტიკის სახეობა, რომელიც მიიღება ქიმიურად გაკეთილშობილებული (მწვავე ნატრში გამოტუტული) და ფენოლოფორმალდეჰიდური ფისით გაჟღენთილი არყის ხის შპონისგან.

ბალუსტრა (balustrade, балюстрада) – კლასიკური იონიური ორდერის კაპიტელის გვერდითი ნაწილი გრაგნილის სახით.

ბალუსტრადა (balustrade, балюстрада) – აივნის, ტერასის, კიბის, სახურავისა და ა.შ. მცირე სიმაღლის შემოღობვა, რომელიც შედგება ბალიასინების რიგისაგან, ზემოდან ერთმანეთთან შეერთებული მოაჯირით ან ჰორიზონტალური კოჭით.

ბამბა ბაზალტისა (basalt wool, базальтовая вата) – თბოსაიზოლაციო მასალა, რომელიც შედგება ბაზალტის თხელი ბოჭკოსგან.

ბამბა კაოლინისა (kaolin wool, каолиновая вата) – ტერქნიკური თიხამიწისა და კვარცის ქვიშის საფუძველზე დამზადებული მაღალტემპერატურული (1100-1250°C) თბოსაიზოლაციო მასალა.

ბამბა ქვისა (stone wool, каменная вата) – ბაზალტის ან სხვა მინერალების ბოჭკოებისგან დამზადებული თბოსაიზოლაციო მასალა.

ბამბა ცელულოზისა (ეკობამბა) (cellulose wadding, целлюлозная вата) – მერქნის ბოჭკოვანი მასალა. მზადდება მაკულატურისგან. შედგენილობაში შედის: 80% საგაზეთო ქაღალდი და 20% არააქროლადი დანამატები (ანტისეპტიკები და ანტიპირენები).

ბანერი (banner, баннер) – სარეკლამო ხასიათის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთა მოსაზიდად, ინფორმირებისათვის და პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად.

ბარბაცა (connecting rod, шатун) – მრუდხარა-მცოცავი მექანიზმის ნაწილი, რომელიც დგუშის ან მცოცის წინსვლით მოძრაობას გარდაქმნის მრუდხარას ან მუხლა ლილვის ბრუნვით მოძრაობად.

ბარბოტაჟი, ხუფხუფი (bubbling, бурботаж) – აირის ან ორთქლის დისპერსირება სითხის ფენაში გატარებით.

ბარელიეფი (bas-relief, барельеф) – სკულპტურული გამოსახულება სიბრტყეზე, რომლის ყველა ნაწილი სიბრტყიდან თავისი მოცულობის ნახევარზე ნაკლებად არის ამოწეული.

ბარიერი (barrier, барьер) – დაბალი ზღუდე, ტიხარი.

ბარიკადა (barricade, баррикада) – ქუჩებსა და ხიდებზე ბრძოლის დროს თავდასაცავად შექმნილი ხერგილები სხვადასხვა ხელმისაწვდომი საგნისაგან (მიწით სავსე ტომრები, მორები, ავეჯი, კას-

რები, საზიდრები და სხვ.).

ბარიტი (baryte, барит) – მძიმე შპატი ბარიუმის მინერალის სულფატების კლასიდან.

ბაროგრაფი (barograph, барограф) – ატმოსფერული წნევის ცვალებადობის უწყვეტი რეგისტრაციის ავტომატურად ჩასაწერი ხელსაწყო

ბარომეტრი (barometer, барометр) – ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო.

ბასტეა (bastea, бастеа) – ციხესიმაგრის ტიპის ხანგრძლივად თავდასაცავი ნაგებობა.

ბატარეა (battery, батареа) – 1. ერთი ტიპის ხელსაწყოების, აპარატების, მოწყობილობების გაერთიანებით მიღებული სისტემა; 2. გამაგრებული ადგილი, რომელიც რამდენიმე ქვემეხის პოზიციაა.

ბატიყელა (moulding ogee, цума recta; гусек) – არქიტექტურული ნატენი, კარნიზების, ზოლურებისა და სხვა ელემენტების გრძივი გომეტრიული სამკაული, შედგენილი წრის ორი რკალისგან, შეერთებული ასო Γ-ს მსგავსად და მიმართული ზედა მხარეს. არსებობს მისი ორი სახეობა: შებრუნებული და ქუსლა.

ბაუჰაუსი (bowhouse, байхаус) – მშენებლობისა და მხატვრული დაგეგმარების უმაღლესი სკოლა გერმანიაში (1919-1933 წწ.).

ბაქანი, პლატფორმა (site, platform; площадка, платформа) – 1. კიბის სვლებს შორის მოქცეული მცირე მოედანი; 2. სამგზავრო მატარებლების მოკლევადიანი გასაჩერებელი მოედანი, რომლის ზედაპირის ნიშნული მატარებლის კიბის ქვედა საფეხურის ან მატარებლის იატაკის დონეზეა.

ბგერა (sound, blast; звук) – დრეკადი გარემოს ნაწილაკების რხევითი მოძრაობა, რომელიც ტალღებად ვრცელდება აირისებრ, თხევად და მყარ გარემოში.

ბგერათგამტარობა (sound conductivity, звукопроводность) – მასალის თვისება, გაატაროს ბგერა თავის ტანში.

ბგერათიზოლაცია (soundproofing, звукоизоляция) – ღონისძიებების კომპლექსი სათავსში გარედან შემოსული ხმაურის ღონის შესამცირებლად.

ბგერათსაიზოლაციო მასალა (sound-insulating material, звукоизоляционный материал) – ბოჭკოვანი აგებულობის დრეკადი მასალა, რომელიც გამოიყენება დარტყმითი და ვიბრაციული ხმაურის საიზოლაციოდ.

ბგერათმშთანთქმელი მასალა (sound-acoustical material, звукопоглащающий материал) – მასალა დიდი რაოდენობის ღია, ერთმანეთთან შეერთებული ფორებით, რომელთა მაქსიმალური დიამეტრი არ აღემატება 2 მმ-ს.

ბგერათშთანთქმადობა (sound absorption, звукопоглощение) – მასალის უნარი, შთანთქას მასზე დაცემული ბგერა.

ბგერათშთანთქმის კოეფიციენტი (sound absorption coefficient, коэффициент звукопоглощения) – აურეკლავი ბგერითი ენერგიის შეფარდება ზედაპირზე დაცემული ბგერების ენერგიასთან.

ბეგი (berm; берма, пал) – მიწის მაღალი კაშხლის, რკინიგზის ყრილის, არხის ან კარიერის ფერდოზე გაკეთებული საფეხური, რომლის დანიშნულებაა ფერდოს მდგრადობის გაზრდა და დაცვა ატმოსფერული წყლით წარეცხვისაგან.

ბელეტაჟი (underwear, бельетаж) – 1. შენობის მეორე, მთავარი სართული, რომლის ოთახები უფრო მაღალია, ვიდრე პირველი სართულისა და რომელიც ძირითადად საცხოვრებლადაა განკუთვნილი; 2. კინოთეატრის, თეატრისა და მისთ. მაყურებელთა დარბაზის პარტერისა და ამფითეატრის თავზე მოთავსებული პირველი იარუსი.

ბელვედერი (belvedere, белведер) – შემადგენელ ადგილზე განლაგებული ცალკე მდგომი ნაგებობა ან ნაგებობის დამაგვირგვინებელი ნებისმიერი ფორმის ზედნაშენი კოშკის, გუმბათის, ღია გალერეის და მისთ. სახით, ყველა

მხრიდან ღია, სვეტებზე დაყრდნობილი გუმბათოვანი გადახურვის მქონე ნაგებობა, საიდანაც იშლება შემოგარენის ხედი.

ბელიტი (belite, белит) – ორკალციუმიანი სილიკატი, ერთ-ერთი ძირითადი ხელოვნური მინერალი, რომელიც მიიღება ცემენტის კლინკერის გამოწვის დროს.

ბენზინი (petrol, gasoline, benzine; бензин) – ალიფატური (ცხიმოვანი) რიგის თხევადი ნახშირწყალბადების ნარევი, რომელიც მიიღება ნავთობის კრეკინგით (მისი მიღება შეიძლება აგრეთვე ნახშირიდან, ფიქლებიდან).

ბენტონიტი (bentonite, бентонит) – ამერიკაში გავრცელებული სახელწოდება ისეთი თიხებისა, რომლებიც წარმოიქმნენ ვულკანური მიწის ფერფლის დალექვის თანადროული გამოფიტვის გზით.

ბეტონდამგები (paver, бетоноукладчик) – მოწყობილობა, რომელიც ბეტონის ნარევს აწვდის ყალიბში და რომლის ბუნკერი აღჭურვილია მკვებავითა და მომსწორებელ-გამანაწილებელი მოწყობილობით.

ბეტონების კლასიფიკაცია (concrete classification, классификация бетонов) – ბეტონების დაყოფა ძირითადი თვისებების მიხედვით. ეს თვისებებია: 1. სიმკვრივე (მოცულობითი მასა); 2. სიმტკიცე; 3. დანიშნულება; 4. შემკვრელი ნივთიერების სახეობა.

ბეტონი (concrete, бетон) – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშენი მასალა, რომელიც დამზადებულია დორღის (ხრეშის), ქვიშის, ცემენტის, წყლის ნარევისაგან. თვისებების გასაუმჯობესებლად ხშირად აძლევენ სხვადასხვა დანამატს.

ბეტონი ავტოკლავური (autoclaved concrete, автоклавный бетон) – ქარხნის პირობებში ავტოკლავში ორთქლის, მაღალი ტემპერატურისა და წნევის ზემოქმედებით გამაგრებული ბეტონი.

ბეტონი არქიტექტურული (architectural concrete, архитектурный бетон) – სამშენებლო ბეტონი (ნარევი) ცემენტ-ქვიშის, მინერალებისა და არაორგანული დანამატების საფუძველზე.

ბეტონი დაწნეხილი (pressed concrete, прессованный бетон) – მონოლითური ბეტონის სახე, რომლის შემჭიდროება ხდება მასზე დიდი წნევით მოქმედი გარეგანი ძალის გავლენით.

ბეტონი დეკორატიული (decorative concrete, декоративный бетон) – შენობის ან ნაგებობის მოსაპირკეთებელი სპეციალური ბეტონი. მიიღება ჩვეულებრივი ბეტონის ნარევიში ჰიგმენტის (ოხრა, სურინჯი და სხვ.) დამატებით ან ფერადი ცემენტის გამოყენებით.

ბეტონი ვაკუუმირებული (vacuum concrete, вакуумбетон) – ახლადჩაწყობილი ბეტონის სახეობა, რომელშიც ზედმეტი წყლისა და ჩათრეული ჰაერის ნაწილაკები მოცილებულია ვაკუუმირებით (ჰაერის გაიშვიათებით).

ბეტონი ზემძიმე (extra heavy concrete, сверхтяжелый бетон) – ცემენტის შემკვრელითა და მკვრივი შემვსებით (ქვიშა, ბარიტი, მაგნეზიტი, ლიმონიტი, თუჯი, ტყვიის საფანტი და სხვ.) შედგენილი, მსხვილმარცვლოვანი, გამყარების ყოველგვარ პირობებში დამზადებული ბეტონი.

ბეტონი კონსტრუქციული (structural concrete, конструктивный бетон) – ბეტონი, რომელიც გამოიყენება მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების დასამზადებლად.

ბეტონი მონოლითური (monolithic concrete, монолитный бетон) – ბეტონის კონსტრუქცია, რომელიც მზადდება უშუალოდ მისი განლაგების ადგილზე.

ბეტონი მსუბუქი (lightweight concrete, легкий бетон) – მკვრივი აგებულების, ცემენტის შემკვრელითა და მსუბუქი მსხვილი ან წვრილი შემვსებით (ტუფი, პერლიტი, კერამიტი, ვერმიკულიტი, არბოლიტი და სხვ.) შედგენილი მსხვი-

ლმარცვლოვანი, გამყარების ყოველგვარ პირობებში დამზადებული ბეტონი.

ბეტონი მძიმე (ჩვეულებრივი ბეტონი) (heavy concrete, тяжелый бетон) – მკვრივი აგებულების, ცემენტის შემკვრელითა და მკვრივი შემვსებით (ქვიშა, ხრეში, ღორღი, გრანიტი, ბაზალტი, კირქვა და სხვ.) შედგენილი მსხვილმარცვლოვანი, გამყარების ყოველგვარ პირობებში დამზადებული ბეტონი.

ბეტონი მხურვალმდგრადი (refractory concrete, жароустойчивый бетон) – სპეციალური შედგენილობის მაღალი ტემპერატურის ამტანი ბეტონი, რომელიც ტემპერატურის გავლენით არ განიცდის დეფორმაციას.

ბეტონი მხურვალმედეგი (heat resistant concrete, жаростойкий бетон) – ბეტონის სახეობა, რომელსაც შეუძლია მაღალი ტემპერატურის პირობებში შეინარჩუნოს თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები.

ბეტონი პლასტიკური (plastic concrete, пластичный бетон) – ბეტონის სახეობა, რომელშიც მჭიდა მასალად გამოყენებულია სინთეზური პოლიმერული ფისები; წვრილ და მსხვილ შემვსებად – მსუბუქი მინერალური მასალები (ქვიშა, ხრეში, ღორღი და წვრილად ნაფქვავი დანამატები).

ბეტონი პლასტიფიცირებული (plasticized concrete, пластифицированный бетон) – ბეტონი, დამზადებული პლასტიფიკატორებისა და სუპერპლასტიფიკატორების გამოყენებით (ცემენტის მასიდან 0,1-0,7% რაოდენობით), რაც საშუალებას იძლევა, შემცირდეს ბეტონის ნარევის წყალმოთხოვნილება, გაიზარდოს ადვილჩაწყობადობა, ბეტონის სიმტკიცე ან შემცირდეს ცემენტის ხარჯი 15-20%-ით.

ბეტონი პოლიმერსილიკატური (polymer silicate concrete, полимерсиликат-

ный бетон) – თხევადი მინის საფუძველზე დამზადებული, პოლიმერის დამატებით მიღებული ბეტონი.

ბეტონი რომაული (roman concrete, opus caementicium; римский цемент) – საშენი მასალა, რომელიც მშენებლობაში გამოიყენებოდა გვიანდელი რომის რესპუბლიკის ეპოქაში (ძვ. წ. 133-27 წწ.) რომის იმპერიის დაცემამდე (476 წ.).

ბეტონი საგზაო (road concrete, дорожный бетон) – ბეტონის სახეობა, რომელსაც იყენებენ საავტომობილო გზების მშენებლობაში.

ბეტონი სადრენაჟო (drainage concrete, дренажный бетон) – ბეტონის სახეობა, დამზადებული მსხვილ შემვსებზე, რომელშიც წვრილი შემვსები საერთოდ არ შედის ან მცირე რაოდენობითაა, ხოლო ცემენტის რაოდენობა საპროექტოზე ნაკლებია, რათა ცემენტის ცომმა მთლიანად არ შეავსოს ფორები და სივარულიები ბეტონის მასაში.

ბეტონი სასაქონლო (ready-mixed concrete, товарный бетон) – ბეტონი, რომელიც იწარმოება საქარხნო პირობებში და მიეწოდება სამშენებლო ობიექტს მზა სახით.

ბეტონი სილიკატური (silicate concrete, силикатный бетон) – ბეტონის სახეობა, რომელიც მიიღება კირკაჟმიწოვანი მჭიდა ნივთიერების, არაორგანული შემვსებისა და წყლისაგან შედგენილი ნარევის ავტოკლავში თბოტენიანი დამუშავებით.

ბეტონი სპეციალური (special concrete, специальный бетон) – ბეტონი, რომელიც მზადდება სპეციალური შემკვრელის, სპეციალური შემვსების, სპეციალური ქიმიური დანამატმოდიფიკატორისა და ზოგჯერ სპეციალური არმირების გამოყენებით.

ბეტონი სწრაფმყარებადი (quickhardening concrete, быстротвердеющий бетон) – ბეტონის სახეობა, რომელიც ნორმა

ლურ პირობებში გამაგრებისას შედარებით მაღალ სიმტკიცეს აღწევს ადრეულ ასაკში – 1-3 დღეში.

ბეტონი უჯრედოვანი (cellular concrete, ячеистый бетон) – მსუბუქი ბეტონის სახეობა, რომელიც მზადდება ფორწარმომქმელის მეშვეობით აქაფებული შემკვრელის, კაჟმინა კომპონენტისა და წყლის ნარევის გამოყენებით.

ბეტონი ფერადი (colored concrete, цветной бетон) – ბეტონი, რომელიც მიიღება ნარევი ტუტე და შუქმდეგი პიგმენტის (ცემენტის მასის 8-10%) დამატებით (მხრა, მუშია, სურიხჯი და სხვ.) ან ფერადი ცემენტის გამოყენებით.

ბეტონი წვრილმარცვლოვანი (fine-grained concrete, мелкозернистый бетон) – წვრილი შემვსებით (ქვიშაზე) დამზადებული საშუალო სიმკვრივის (1800 კგ/მ³) ბეტონი.

ბეტონი ჰიდროტექნიკური (hydraulic concrete, гидротехнический бетон) – მძიმე, ჩვეულებრივი ბეტონის სახესხვაობა. ხასიათდება წყალუქონადობით, დაბალი სითბოგამოყოფით, წყალ-, ყინვა- და ქიმიურმდეგობით.

ბეტონიერი (betonier, бетоньер) – მანქანა, რომელიც მექანიკურად ურევს ერთმანეთში ბეტონის შემადგენელ ნაწილებს; ბეტონსარევი.

ბეტონის გამაგრება (hardening of concrete, затвердевание бетона) – პროცესი, რომლის დროს ბეტონის ბლანტი მასა გადადის მყარ მდგომარეობაში. ის გრძელდება ბეტონის მომზადებიდან 28 დღის განმავლობაში ანუ ბეტონი საპროექტო მარკას (კლასს) აღწევს ამ პერიოდში.

ბეტონის დამცავი შრე (protective layer of concrete, защитный слой бетона) – რკინაბეტონის კონსტრუქციის ბეტონის შრე გარე ზედაპირსა და კონსტრუქციაში მოთავსებული არმატურის ახლომდებარე ზედაპირს შორის.

ბეტონის დანამატები (additives for concrete, добавки для бетона) – ნივთიერებები, რომელიც გამოიყენება ბეტონში ცემენტის ეკონომიისა და ნარევის თვისებების რეგულირებისათვის.

ბეტონის ვაკუუმირება (concrete vacuuming, вакуумирование бетона) – ბეტონის ნარევის შემკვრივება მისგან ჭარბი წყლის მოცილებით.

ბეტონის თბოგამტარობა (thermal conductivity of concrete, теплопроводность бетона) – ფიზიკური სიდიდე, რომელიც ახასიათებს ბეტონში ტემპერატურის ცვლილების (გათანასწორების) სიჩქარეს არათანაბარ სითბურ მოვლენებში.

ბეტონის კარბონიზაცია (concrete carbonization, карбонизация бетона) – ცემენტის ქვის ნახშირმჟავა გაზთან ურთიერთქმედების პროცესი, რომელიც იწვევს ბეტონის თხევადი ფაზის ტუტიანობის შემცირებას.

ბეტონის კვეთის სამუშაო სიმაღლე (working height of the concrete section, рабочая высота сечения бетона) – მანძილი ბეტონის ელემენტის კვეთის შეკუმშული ზონის კიდიდან გაჭიმული გრძივი არმატურის სიმძიმის ცენტრამდე.

ბეტონის კლასი (concrete class, класс бетона) – ბეტონის სიმტკიცის (კუმშვაზე და გაჭიმვაზე) კონტროლირებული მინიმუმი, რომლის ალბათობის საიმედოობა არის 0,95. მიიღება 18-20°C ტემპერატურისა და არანაკლებ 90% ფარდობითი ტენიანობის პირობებში გამყარების 28-ე დღეს.

ბეტონის კონსტრუქციები და ნაკეთობები (concrete structures and products, бетонные конструкции и изделия) – შენობებისა და ნაგებობების ელემენტები, შესრულებული უარმატურო ან სუსტად დაარმირებული (კონსტრუქციული) ბეტონისაგან.

ბეტონის კოროზია (corrosion of concrete,

коррозия бетона) – ბეტონის თვისებებისა და მახასიათებლების გაუარესება მისი შედგენილობიდან ხსნადი ნაწილების გამორეცხვის (გამოტუტვის) შედეგად (პირველი სახის კოროზია).

ბეტონის მარკა (concrete grade, марка бетона) – სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს ბეტონის ხარისხს ცინვამდეგობის, წყალშეუღწევობის, საშუალო სიმკვრივისა და თვითღაძაბვის თვისებების მიხედვით.

ბეტონის ნარევი (concrete mix, смесь бетона) – სათანადოდ შერჩეული და კარგად არეული ბეტონის კომპონენტები შეკვრის დაწყებამდე და გამაგრებამდე.

ბეტონის ნორმატიული წინაღობა (normative resistance of concrete, нормативное сопротивление бетона) – ბეტონის პრიზმის წინაღობა ღერძული კუმშვისას R_{bn} (პრიზმული სიმტკიცე) და წინაღობა ღერძული გაჭიმვისას R_{bt} .

ბეტონის საანგარიშო წინაღობა (design resistance of concrete, расчетное сопротивление бетона) – საანგარიშო წინაღობა მიიღება ბეტონის ნორმატიული წინაღობისაგან პირველი (R_b , R_{bt}) და მეორე ($R_{b,ser}$, $R_{bt,ser}$) ჯგუფის ზღვრული მდგომარეობებისთვის ნორმატიული წინაღობების გაყოფით ბეტონის შესაბამის სანიმედობის კოეფიციენტებზე γ_{bi} – კუმშვისა და γ_{bt} – გაჭიმვის შემთხვევაში, რომლებიც ბეტონის სახეობებზე დამოკიდებულებით აიღება სამშენებლო ნორმების მიხედვით.

ბეტონის სიმკვრივე (concrete density, плотность бетона) – ბეტონის ერთეული მასის ფარდობა მის მოცულობასთან.

ბეტონის სიმტკიცე (concrete strength, прочность бетона) – ბეტონის უნარი, გაუძლოს გარე მექანიკურ ზემოქმედებას.

ბეტონის ფორიანობა (concrete porosity, пористость бетона) – ბეტონის მასის ფორებით შევსების ხარისხი.

ბეტონის ქარხანა (concrete factory, бе-

тонный завод) – მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ბეტონის ნარევის მომზადების ტექნოლოგიური პროცესის ყველა ოპერაციას.

ბეტონის ცინვამდეგობა (frost resistance of concrete, морозостойкость бетона) – ბეტონის თვისება, წყალგაჯერებულ (ან მარილხსნარში გაჯერებულ) მდგომარეობაში გაუძლოს გაყინვა-გაღობის მრავალჯერად ციკლს რღვევის, სიმტკიცის კლების, მასისა და სხვა ტექნიკური მახასიათებლების ყოველგვარი ცვლილების ნიშნების გარეშე.

ბეტონის ცენტრიფუგირება (centrifugation of concrete, центрифугирование бетона) – მილისებრი განიკვეთის რკინაბეტონისა და ბეტონის ელემენტების დამზადება სპეციალურ დაზგებზე, სადაც დოლაბების ბრუნვისას წარმოქმნილი ცენტრიდანული ძალის ზემოქმედებით ბეტონი ძლიერ მკვრივდება და იღებს მნიშვნელოვან სიმტკიცეს.

ბეტონის ცეცხლმდეგობა (fire resistance of concrete, огнестойкость бетона) – ბეტონის ნაკეთობის უნარი, ხანძრის პირობებში შეინარჩუნოს მზიდუნარიანობა, აგრეთვე წინააღმდეგობა გაუწიოს გამჭოლი ხვრელების (ღიობების) წარმოქმნასა და მასალის კრიტიკულ ტემპერატურამდე გაცხელებას.

ბეტონის წყალშეუღწევობა (water resistance of concrete, водонепроницаемость бетона) – ბეტონის თვისება, არ გაატაროს ნიმუშში გარკვეული წნევის წყალი.

ბეტონის ხანგამძლეობა (durability of concrete, долговечность бетона) – ბეტონის საექსპლუატაციო ვადა კონკრეტულ კლიმატურ პირობებსა და ექსპლუატაციის რეჟიმში საექსპლუატაციო თვისებების შენარჩუნებით.

ბეტონიტი (ბეტონის ქვა) (bentonite, бентонит) – სხვადასხვა ზომისა და წონის ჩვეულებრივი ან დაარმატურებული ხელოვნური ქვა.

ბეტონპოლიმერი (concrete polymer, бе-

тонполимер) – ბეტონი, გამყარების შემდეგ გაჟღენთილი მონომერებით ან თხევადი ოლიგომერებით, რომლებიც შესაბამისი დამუშავების შემდეგ (მაგ., გახურება) გადადის მყარ პოლიმერებში და ავსებს ბეტონში არსებულ ფორებსა და დეფექტებს.

ბეტონსაზიდი (ბეტონის ბადია) (concrete-deliver agitator truck, бетоновоз) – ბეტონის სარიგებელი საკიდი ან გადასატანი მოწყობილობა, რომლითაც ბეტონის ნარევი მიეწოდება სამშენებლო ობიექტს გარკვეულ მანძილზე.

ბეტონსარეველა (ბეტონსარევი) (concrete mixer, бетоносмеситель) – დანადგარი ბეტონის ნარევის მოსამზადებლად კომპონენტების (ცემენტი, წყალი, ქვიშა, ხრეში) შერევით მბრუნავ ან უძრავ დოლში (ვარცლში).

ბეტონსატუმბი (concrete pump, бетононасос) – დანადგარი, რომელიც ბეტონს გადაქაჩავს ავტობეტონსაზიდიდან მილსადენებში (სპილოს ხორთუმის მსგავს კონსტრუქციაში) და მიაწოდებს დაგების ადგილზე. მოქმედების პრინციპის მიხედვით არის დგუმიანი და როტორული.

ბეტონჩასაგები (concrete placer, бетоноукладчик) – თვითმავალი მანქანა ბეტონის ნარევის ჩასაგებად საავტომობილო გზების საფარის მოწყობისას (ზოლის სიგანე 3,5-7 მ).

ბზარი (crack, трещина) – მკვრივ საგანზე მცირე ნახეთქი, მთლიანობის დამრღვევი ორგანოზომილებიანი დეფექტი, რომელიც თავისუფალ ზედაპირებს წარმოქმნის.

ბიგი (post, pillar; стойка) – რაიმეს გასამაგრებლად სხვადასხვა მასალისგან დამზადებული და დაყენებული დგარი.

ბიდონი (jug, бидон) – თავსახურიანი ლითონის ან პლასტმასის ჭურჭელი სითხეებისათვის.

ბიკროელასტი (bicroelast, бикроэласт) – მოდიფიცირებული ბიტუმის საბურულე

და ჰიდროსაიზოლაციო მასალა.

ბილიკი (path, тропинка) – ვიწრო საცალფეხო გზა პარკში, ტყეში, მინდორში, მთაში, კლდეზე და სხვ.

ბიმეტალი (bimetal, биметалл) – მასალა, რომელიც შედგება ორი მტკიცედ შეერთებული სხვადასხვა მეტალის ან შენადნობის ფენისგან.

ბინა (flat, apartment; квартира) – საცხოვრებელი სახლი, სათავსი, სამყოფი, სადგომი.

ბიოგაზი (biogas, биогаз) – მცენარული და ცხოველური წარმოშობის გაზების (აირების) ნარევი, რომელიც წარმოქმნება ორგანული ნარჩენების დაშლით.

ბიოლოგიური კოროზია (biological corrosion, биологическая коррозия) – სამენი მასალების დაზიანების პროცესი ცოცხალი ორგანიზმების (ბაქტერიები, სოკოები, ობი, მწერები, მიკროორგანიზმები და სხვ.) ცხოველმოქმედებით.

ბიოლოგიური მედეგობა (biological stability, биологическая стойкость) – მასალებისა და ნაკეთობების თვისება, ხანგრძლივად გაუწიოს წინააღმდეგობა სოკოებისა და ბაქტერიების ზემოქმედებას, რომელიც იწვევს ლპობას ან სხვა მრღვევ ბიოლოგიურ პროცესს.

ბიოსაწვავი (biofuel, биотопливо) – საწვავი, მიღებული მცენარული, ცხოველური, ცოცხალი ორგანიზმის ცხოველმოქმედების ან სამრეწველო ორგანული ნარჩენების გადამუშავების შედეგად.

ბიოსეპტიკი (წვეთოვანი ბიოფილტრი) (bioseptic, биоцепптик) – მცირე წარმადობის ავტონომიური კანალიზაციის თანამედროვე გამწმენდი სისტემა ქალაქგარეთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის.

ბიოტუალეტი (dry closet, биотуалет) – სანტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ფეკალური მასის გადასამუშავებლად ორგანულ სასუქად ბიოლოგიური ჟანგვის პროცესის მეშვეობით.

ბიოცემენტი (biocement, биоцемент) – საშენი მასალა, რომელიც მიიღება კალციუმის კარბონატის მიკრობიოლოგიური პრეციპიტაციით, რისთვისაც გამოიყენება ბაქტერიები (*Sporosarcina pasteurii*), ქვიშა, კალციუმის ქლორიდი და შარდოვანა.

ბიტუმი (bitumen, битум) – ფისოვან ნივთიერებათა (ასფალტი, გუდრონი, ნავთობი) საერთო სახელწოდება; მყარი ან ფისისმაგვარი პროდუქტი, რომელიც შედგება ნახშირწყალბადებისა და მისით ნაწარმოები აზოტის, წყალბადის, გოგირდისა და ლითონის შემცველი ნარევიებისგან.

ბიტუმი ბუნებრივი (natural bitumen, природный битум) – ბიტუმოვანი ქანების გამოხარშვით ან ორგანულ გამხსნელებში გახსნით მიღებული ბიტუმი.

ბიტუმი საგზაო (road bitumen, дорожный битум) – ჰეტეროორგანული ნაერთი, რომელიც მიიღება ნავთობმომპოვებელი მრეწველობის პროდუქტების გადამუშავებით.

ბიტუმი სამშენებლო (construction bitumen, строительный битум) – უნივერსალური მყარი ჰიდროსაიზოლაციო მასალა, რომელიც მიიღება ნავთობისა და მისი ნარევიების (ასფალტთან და ზეთების ექსტრაქტთან) პირდაპირი გადამუშავების შედეგად ნარჩენი პროდუქტების დაქანვით.

ბიტუმიზაცია (bitumization, битумизация) – ბიტუმის დაჭირხნა წნევის (5-8 მპა) საშუალებით ბზარიან და ქვიშიან გრუნტებში წყალშეუღწევადობის გაზრდის მიზნით.

ბიტუმის ემულსია (bituminous emulsion, битумная эмульсия) – ემულგატორის წყლის ხსნარი, რომელშიც ბიტუმი დისპერსიულ მდგომარეობაშია.

ბიტუმის მასტიკა (bituminous mastic, битумная мастика) – გათხევადებული ბიტუმისა და სხვადასხვა დანამატის ნარევი.

ბიტუმის მოდიფიკაცია (bitumen modification, модификация битума) – ბიტუმის მახასიათებლების გაუმჯობესება პოლიმერულ დანამატებთან შერევის გზით.

ბიტუმის პლასტიკი (bituminous plastic, битумовый пластик) – მყარი პლასტიკი, რომელიც გამოიყენება საბურულე მასალის ჰიდროსაიზოლაციო ფენის დასაწებებლად და კონსტრუქციული ელემენტების შემოგოზვისათვის კოროზიის საწინააღმდეგოდ, ელექტრო- და რადიოაპარატურის დეტალების, აკუმულატორების დასამზადებლად და სხვ.

ბიტუმმზიდი (bitumen carrier, битумовоз) – სამშენებლო მანქანა – სპეციალურცისტერნიანი სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი 200°C-მდე ტემპერატურის თხევადი ბიტუმის მასალების გადასაზიდად.

ბიტუმსაცავი (bitumen depository, битумохранилище) – ბიტუმისა და ბიტუმი-სებრი მასალების შესანახი და გასაცხელებელი (80-100°C-მდე) ბეტონის რეზერვუარი.

ბიუვეტი (pump room, бювет) – მინერალურ წყაროზე მოწყობილი ნაგებობა, საიდანაც უშუალოდ იღებენ სასმელ მინერალურ წყალს.

ბიუჯეტი (budget, бюджет) – სახელმწიფოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს, საოჯახო მეურნეობისა და ა.შ. შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა დროის გარკვეულ პერიოდში, ჩვეულებრივ, ერთი წლის განმავლობაში;

ბიფორა (ბიფორი) (bifora, бифора) – რომანულ-გოტიკური არქიტექტურის ეპოქის ორფრთიანი ფანჯარა, რომლის დიობი ორადაა გაყოფილი შუა სვეტით და დაგვირგვინებულია წრიული ან ისრი-სებრი ფორმის თაღებით.

ბლინდაჟი (dugout, блиндаж) – რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით ან მიწა-წყარილი მორებით გადახურული სანგარი.

ბლობიტექტურა (ბლობ-არქიტექტურა,

ბლობიზმი) (blobitecture, блобитектура) – არქიტექტურული მიმართულება, რომელსაც შენობა-ნაგებობების ორგანული, ამებასმაგვარი ფორმა ახასიათებს.

ბლოკ-ფორმა (block form, блок-форма) – სივრცითი კონსტრუქცია, რომელიც შედგება ფოლადის ფარების, კარკასის, სამაგრებისა და მოწყობილობებისგან, ცალკე მდგომი კონსტრუქციების (საძირკვლები, კოლონები) დასაბეტონებლად

ბლოკი (blok, блок) – კონსტრუქციულად ასაწყობი ელემენტი ან ნაკეთობა, ძირითადად ქარხნული წესით დამზადებული, რომელიც გამოიყენება თანამედროვე ინდუსტრიულ მშენებლობაში.

ბლოკი ბეტონისა (ბეტონიტი, სიდრუეებიანი ბლოკი, ცემენტის ბლოკი, ბეტონის აგური) (concrete block, бетонный блок) – ბეტონისგან ჩამოსხმული ნაკეთობა.

ბლოკი კლინკერული (clinker block, клинкерный блок) – იაფი სამშენებლო ბლოკი, რომელშიც შემავსებლად გამოყენებულია კლინკერული წიდა.

ბლოკი კომუნიკაციებისა (communication block, коммуникационный блок) – ასაწყობი ერთეული, რომელშიც შედის მილსადენები, საყრდენები, გარე ზემოქმედებისგან დაცვის საშუალებები და სხვა მოწყობილობები.

ბლოკი მოცულობითი (volume block, объемный блок) – კონსტრუქციული სამონტაჟე ელემენტი, რომელიც შენობის მოცულობის ნაწილია.

ბლოკი პემზისა (pumice block, блок из пемзы) – პემზისგან დამზადებული მასიური ან სიდრუეებიანი ცალობითი სამშენებლო ბლოკი.

ბლოკი საკედლე (wall block, стеновой блок) – კონსტრუქციული ასაწყობი ელემენტი კედლის ასაშენებლად.

ბლოკი სამშენებლო (building block, строительный блок) – ქარხნული წესით დამზადებული კონსტრუქციული

ანაკრები ელემენტი ან ნაკეთობა, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში.

ბლოკი სამშენებლო საგზაო (building road block, строительный дорожный блок) – მძიმე ბეტონისგან დამზადებული ბლოკები, რომლებიც გამოიყენება საგზაო მშენებლობაში.

ბლოკი საძირკვლისა (foundation block, фундаментный блок) – მასიური რკინა-ბეტონის სხვადასხვა ზომისა და მართკუთხედის ფორმის კონსტრუქციული ელემენტი.

ბლოკირება (blocking, блокировка) – მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს აპარატის, მანქანის ან სქემის (ელექტრული) სამუშაო ელემენტების დამაგრებას განსაზღვრულ მდგომარეობაში, რაც შენარჩუნდება მახლოკირებელი ზემოქმედების მოხსნის შემდეგაც.

ბლოკირებული საცხოვრებელი სახლი (blocked residential building, блокированный жилой дом) – დაბალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახეობა, თითოეულ ბინაში დამოუკიდებელი შესასვლელითა და ბინის მიმდებარე ნაკვეთით.

ბმა (connection, связь) – სხეულის ან მექანიკური სისტემის თავისუფალი გადაადგილების შემზღუდავი პირობა.

ბმა არასტაციონარული (რეონომური ბმა) (non-stationary communication, нестационарная связь) – ბმა, რომელიც ცხადად არის დამოკიდებული დროზე. მაგ., ის გამოსახება ტოლობით: $f(x,y,z,t)=0$.

ბმა გეომეტრიული (ჰოლონომური ბმა) (geometric connection, геометрическая связь) – ბმა, რომელიც ცხადად არ არის დამოკიდებული მექანიკური სისტემის წერტილების სიჩქარეზე, ე.ი. არ ზღუდავს სიჩქარეს. გამოსახება ტოლობით: $f(x,y,z) = 0$.

ბმა დამჭერი (ორმხრივი ბმა) (suppor-

ting communication, поддерживающая связь) – ბმა, გამოსახული განტოლებით, რომელიც აკავშირებს მექანიკური სისტემის წერტილთა კოორდინატებსა (შეიძლება მათ წარმოებულებსაც დროით) და დროს.

ბმა იდეალური (perfect connection, идеальная связь) – ბმა, რომლისთვისაც სისტემის წერტილებზე მოქმედი რეაქციის ძალების მიერ შესრულებული შესაძლო მუშაობათა ჯამი ნულის ტოლია ნებისმიერ შესაძლო გადაადგილებაზე.

ბმა კინემატიკური (არაჰოლონომური ბმა) (kinematic connection, кинематическая связь) – ბმა, რომელიც დამოკიდებულია მექანიკური სისტემის წერტილების სიჩქარეზე, ე.ი. ზღუდავს მათ სიჩქარეს.

ბმა სტაციონარული (სკლერონომური ბმა) (landline connection, стационарная связь) – ბმა, რომელიც ცხადად არ არის დამოკიდებული დროზე.

ბოვი [(blast) cupola, вагранка] – მანტური ტიპის (შვეული) საწვავი ღუმელი თუჯის გამოსადნობად და ფერადი მალნეულის გამოსაწვავად.

ბოილერი (boiler, бойлер) – მილოვანი თბოგადამცემი ქვაბი, რომელშიც გაცხელებული წყალი არის მიღებში, ხოლო გამთბობი გარემო (ორთქლი, წყალი) - მიღებს გარეთ.

ბორბალი (wheel, колесо) – ამა თუ იმ მასალისაგან დამზადებული რგოლი (წრე), რომელიც ბრუნავს ღერძის გარშემო და ამოძრავებს ავტომობილს, ვაგონს, ეტლსა და სხვა გადასაადგილებელ საშუალებებს.

ბორდიური (curb, бордюр) – გზის, ტროტუარის, მოედნის, ბილიკის, გაზონისა და მისთ. გამომყოფი თვალსაჩინო ზოლი, რომელიც შესრულებულია ბუნებრივი თლილი ქვით, ხელოვნური ქვით, ბეტონით, პლასტმასით, ლითონითა და

სხვ.

ბორდიური კუთხისა (corner fencing, угловой бордюр) – მართკუთხა პროფილის კერამიკული ან თლილი ქვის ბორდიური, რომელიც გამოიყენება მოედნების, ტროტუარების ქვის წყობის კუთხეების ჩასაკეტად, შენობის ირგვლივ სარინელის გარე კიდის ჩასაკეტად, სააბაზანო სათავსის მოსაწყობად და სხვ.

ბორდიური მაგისტრალური (main curb, магистральный бордюр) – ბეტონის ან თლილი ქვის ყველაზე დიდი ბორდიური, რომელიც გამოიყენება მაგისტრალურ ტრასებზე ქალაქებს შორის, ხილებსა და გზაჯვარედინებზე. საქართველოში მზადდება სამი ზომისა: 1000x300x180 მმ; 1000x450x150 მმ და 1000x450x180 მმ.

ბორდიური პარაპეტისა (parapet border, парапетный бордюр) – საგრძეზე დალაგებული ქვის ან ბეტონის ბორდიურების რიგი, რომელიც შენობის ან მისი ნაწილების პარაპეტის მოვალეობას ასრულებს.

ბორდიური საბაღე (garden border, садовый бордюр) – ბეტონის ან თლილი ქვის ბორდიური, რომელიც გამოიყენება კერძო საბაღე ფართობებისა და საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოსაწყობად. საქართველოში მზადდება ორი ზომისა: 1000x200x80 და 500x200x80 მმ.

ბორდიური საგზაო (road curb, дорожный бордюр) – ბეტონის ან თლილი ქვის ბორდიური, რომელიც გამოიყენება საქალაქო გზების, ეზოებისა და საპარკე ზონების კეთილმოსაწყობად. საქართველოში მზადდება ერთი ზომისა: 1000x300x150 მმ.

ბორდიური ფასადისა (facade curb, фасадный бордюр) – სპეციალური მოსაპირკეთებელი ქვის ან ბეტონის თხელი ბორდიურების რიგი, რომელიც ვიზუალურად გამოყოფს შენობის ცოკოლს ფასადისგან.

ბორპლასტიკი (boroplastics, боропласт-

тик) – კომპოზიტური მასალა, რომელშიც შემავსებლად გამოყენებულია ბორის ბოჭკოები, ჩანერგილი თერმორეაქტიულ პოლიმერულ მატრიცაში.

ბორტი (board, борт) – ხელოვნური ქვის (ბლოკის) ჩამოსასხმელი ფორმის ელემენტი, რომლის დანიშნულებაა, შექმნას ნაკეთობის გარე პერიმეტრის ნაწილი ქვეშის სიბრტყის მიღმა.

ბოფორტის სკალა (beaufort scale, шкала бифорта) – ქარის ძალის გასაზომი სკალა მიწისზედა საგნებზე ქარის მოქმედებისა და ზღვის დეღვის მიხედვით (ამჟამად მიღებულია 17-ბალიანი სკალა).

ბოქლომი (padlock, всячий замок) – კარზე ჩამოსაკიდი საკეტი.

ბოქსიტი (bauxite, боксит) – ალუმინის ჰიდროჟანგებით მდიდარი დანალექი ან ელუვიური ქანი, რომელიც შედგენილობითა და თვისებებით ალუმინის მადნების კონდიციებს შეესაბამება.

ბოყვი (molding, moulding; изложница, лужко) – ლითონის ფორმა, შევსებული გამდნარი ლითონით, რომელშიც ის ზოდად იქცევა.

ბოძი (pillar, стол) – რისამე ქვეშ შედგმული საყრდენი ძელი, ბოძკინტი, დგარი, სადგარი, საკავი, ბიგა.

ბოჭკო (fiber, волокно) – შეზღუდული სიგრძის მოქნილი, მტკიცე, გრძელი, ძაფისმაგვარი ტანი, რომლის სიგრძე მნიშვნელოვნად აღემატება განიკვეთის ზომას. გამოიყენება ბოჭკოვანი კომპოზიტების დასაარმირებელი ბოჭკოვანი მასალების დასამზადებლად.

ბოჭკო ქიმიური (chemical fiber, химическое волокно) – საფეიქრო ბოჭკო, რომელიც მიიღება ბუნებრივი ან ორგანული პოლიმერებისგან.

ბრა (sconce, бра) – 1. კედელზე მისამარებელი ერთ ან რამდენიმე ელექტრონათურიანი არმატურა; ინტერიერის დეკორატიული ელემენტი; 2. კედლის მანდალი.

ბრანდმაური (firewall, брандмауер) – კაპიტალური ხანძარსაწინააღმდეგო (ცეცხლგამძლე) კედელი, რომელსაც აგებენ უწყვი მასალისაგან შენობებს (სათავსებს) შორის.

ბრანდსპოიტი (hose, брандспойт) – მოწყობილობა (ლითონის კონუსური მილი), რომელიც დაყენებულია სახანძრო შლანგის ბოლოზე წყლის ჭავლისათვის ფორმისა და მიმართულების მისაცემად.

ბრეუნენტი (tarpaulin, брезент) – მტკიცე აფრისი, გაჟენთილი ცეცხლგამძლე, წყალ- და ლპობასაწინააღმდეგო ნივთიერებებით.

ბრემსბერგი (bremsberg, бремсберг) – მოწყობილობა ტვირთის დასაშვებად დახრილ სიბრტყეზე.

ბრეჯჩია (breccia, брекчия) – დაკუთხული ნატეხებით აგებული შეცემენტებული ქანი.

ბრიგადა (brigade, бригада) – მუშათა კოლექტივი, რომელიც შედგება 2 ან მეტი ადამიანისგან ბრიგადირის ჩათვლით.

ბრიზოლი (brizol, бризоль) – ბიტუმრეზინოვანი საიზოლაციო მასალა.

ბრიკეტი (briquette, брикет) – ქვანახშირის ან სხვა ბიომასის მყარი ნივთიერების (ნახშირი, ტორფი, ნახერხი, ხის ბურბუმელა, ქაღალდი და სხვ.) დაწნეხილი ბლოკი, რომელიც გამოიყენება საწვავად და ცეცხლის დასანთებად.

ბრიქსონი (brixon, бриксон) – პარკეტის ნაძვისებრი წყობა.

ბრინელის მეთოდი (brinell method, метод бринелля) – მასალის სიმაგრის განსაზღვრის მეთოდი განსაზღვრული დატვირთვისას გამოსაცდელ ზედაპირზე ნაწრთობი ფოლადის ბურთულას ჩაწნევით.

ბრინჯაო (bronze, бронза) – შენადნობი სპილენძის საფუძველზე, რომელსაც უმთავრესად დამატებული აქვს კალა, ალუმინი, ბერილიუმი, სილიციუმი, ტყვია, ქრომი და სხვ., გარდა თუთიასა

და ნიკელისა.

ბრისტოლი (bristol, бристоль) – მატალი ხარისხის ქაღალდის ფურცლების დაწებებით დამზადებული მუყაო.

ბროკატელო (brocatello, брокателло) – ჭრელი მოვარდისფრო ძვირფასი იტალიური მარმარილო.

ბროლი (crystal, хрусталь) – მინის განსაკუთრებული სახეობა ("კრისტალი"), რომელშიც ტყვიის ჟანგის (PbO) წონითი შემცველობა 18-40%-ია.

ბრტყელტურჩა (pliers, плоскогубцы) – საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტი მართკუთხა კვეთის პირამიდული ფორმის ტურჩებით.

ბრუსტვერი (parapet, бруствер) – 1. საფორტიფიკაციო ნაგებობაში მიწაყრილი, რომლის დანიშნულებაა მოხერხებული სროლა, თავდაცვა ტყვიებისა და ჭრვებისაგან, ასევე შენიღბვა; 2. დამცავი კედელი სამხედრო არქიტექტურაში.

ბრუტო (gross, брутто) – სამშენებლო ელემენტის განივკვეთის ფართობი შესუსტების გარეშე; 2. საქონლის წონა შესაფუთი მასალის ან ტარის მასასთან ერთად.

ბრძმედი (blast furnace, доменная печь) – შახტური ტიპის შვეული მეტალურგიული ღუმელი, რომლის დანიშნულებაა რკინის მადნიდან თუჯის, აგრეთვე სხვა სამრეწველო ლითონების (მაგ., ტყვია, სპილენძი) გამოდნობა.

ბრჯენი (კრონშტეინი) (bracket, кронштейн) – არქიტექტურულად დამუშავებული კონსოლი, რომელიც შენობის გამორჩეული ნაწილების ან ქანდაკების საყრდენს წარმოადგენს.

ბუაზერი (panelling, paneling; бязери) – ხის რელიეფური, დეკორატიული პანელი ან ინტერიერის შემოსვა ასეთი პანელებით.

ბუდე (nest, гнездо) – სხვადასხვა დეტალის, მაგ., ბურთულის, კლიტის, ლინზის, ნემსის, საკისრის, სარქვლის, შტეფ-

სელის, ჩობლის, წირწკიმალის, სოგმანისა და სხვ. ჩასასმელი ადგილი.

ბუდინაჟი (boudinage, будинаж) – შრეებში მოქცეული მკვრივი ქანის ფენების ან ძარღვების დანაწევრება ცალკეულ ლინზებად და ბლოკებად.

ბულდოზერი (bulldozer, бульдозер) – მიწასათხრელი სატრანსპორტო მანქანა.

ბუნებრივი განათება (daylight, естественное освещение) – სათავსების განათება გარე შემომზღუდავ კონსტრუქციებში მოწყობილი შუქდიობებიდან შემოსული პირდაპირი ან არეკლილი სინათლით.

ბუნებრივი ვენტილაციის სისტემა (natural ventilation system, естественная вентиляционная система) – კონსტრუქციული ელემენტებისგან შემდგარი ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც სათავსოში უზრუნველყოფს საჭირო ჰაერცვლას.

ბუნიკი (shoe, tip; башмак, наконечник) – 1. საყრდენი სვეტის ქვედა ნაწილი, რომელიც თანაბრად ანაწილებს დაწნევას ძირზე; 2. ხიმინჯის წამახვილებულ წვეროზე წამოსაცმელი ფოლადის ნაკეთობა.

ბუნკერი (bunker, бункер) – ხვიმირი; წაკვეთილი პირამიდის ფორმის დიდი ყუთი, საშენი მასალის დროებით შესანახი ტევადობა.

ბურთულსაკისარი (bearing, подшипник) – გორვის საკისარი, რომლის შიგა და გარე რგოლებს შორის განლაგებულია ბურთულები.

ბურული (roof, кровля) – სახურავის (დახურვის) ზედა ელემენტი, რომელიც იცავს შენობას ყველა სახის ატმოსფერული ზემოქმედებისგან.

ბურული რბილი (soft roof, мягкая кровля) – ტოლით, რუბეროიდიტა და სხვა რბილი მასალით დაფარული სახურავი.

ბურული ფოტოვოლტაიკური (ფოტოვოლტური) (photovoltaic roof, фото voltaическая кровля) – სახურავის ბურული,

შემდგარი ბრტყელი ფოტოვოლტაიკური (ფოტოვოლტური) მოდულებისგან, რომლებიც მართკუთხედის ფორმის შედგენილი (კომპოზიტური) ფურცლებია, რომლითაც ხდება მზისა და კოსმოსის ენერგიების აკუმულირება.

ბურღვა (drilling, сверление) – დეტალში მრგვალი ნახვრეტის (ბუდის) ამოღების პროცესი, რომელიც სრულდება ხელით ან სპეციალური საბურღი ჩარხით.

ბურღი (drill bit, сверло) – გრძივი ღერძის მქონე საჭრელი ინსტრუმენტი ბრუნვითი მოძრაობით მასალაში ნახვრეტების გასაკეთებლად ან არსებული ნახვრეტის გასაფართოებლად.

ბურჯი (abutment, устой, нык) – საძირკველზე დატვირთვების გადამცემი მასიური მზიდი კონსტრუქცია (საბჯენი, საყრდენი, მასიური ბოძი, კოშკი და სხვ.); 2. კონტრფორტის ტიპი შუა საუკუნეების ტაძრულ არქიტექტურაში.

ბუსოლი (compass, компас) – ხელსაწყო ჰორიზონტალური კუთხეების გასაზომად (გეოდეზიური აგეგმვისას, საარტილერიო სროლის დროს).

ბუსტერი (booster, бустер) – დამხმარე მოწყობილობა მანქანის ან მექანიზმის სამუშაო ძალვისა და სიჩქარის გასაზრდელად.

ბუტილკაუჩუკი (butyl rubber, бутилкаучук) – სინთეზური კაუჩუკი, იზობუტილენისა და მცირე რაოდენობის (1-5%) იზოპრენის თანაპოლიმერიზაციის პროდუქტი.

ბუტონი (bud, бутон) – 1. ორნამენტული მოტივის სახეობა; 2. სვეტის კაპიტელის ტიპი, რომელსაც ლოტოსის ყვავილის ფორმა აქვს.

ბუჩარდა (bush hammer, бучарда) – ლითონის ჩაქუჩი პირამიდულკბილებიანი ორმხრივი დასარტყმელი სიბრტყეებით.

ბუხარი (fireplace, камин) – საცხოვრებელი ნაგებობის გასათბობი საშუალება – სახლის კედელში დატანებული ქვის ან აგურის ღია (უკარო) კვამლსადენიანი ღუმელი.

ბუხარ -დეკორატიული (decorative fireplace, декоративный камин) – ბუხარი, რომელსაც არ აქვს კვამლსავალი მილი.

გაბარიტი [clearance (limit); габарит] – საგნის, მოწყობილობისა და ნაგებობის ზღვრული გარემომოწერილობა – ზომა.

გაბიონი (gabion, габион) – ყუთისმაგვარი კონსტრუქციის ორმაგი გრების მეთოდით მოქსოვილი ფოლადის მავთულის ბადე, რომელიც ქვით ან კენჭით არის სავსე.

გადაზიდვა (transportation, транспортирование) – ნებისმიერი საშუალებით ტვირთის გადაზიდვა საწყობის ან გამოყენების ადგილის მიმართულებით.

გადაიარაღება (rearmament, перевооружение) – სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობა ნაგებობის საექსპლუატაციო ხარისხის გასაუმჯობესებლად და ცვეთის აღმოსაფხვრელად (კაპიტალური რემონტი, მოდერნიზაცია, რეკონსტრუქცია).

გადამრთველი (switch, переключатель) – მოწყობილობა რაიმეს გადასართავად მუშაობის სხვა რეჟიმში.

გადამტვირთავი (loader, перегружатель) – მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება ტვირთების მოხსნა და გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე.

გადაცემა (transfer, передача) – მექანიზმი, რომელიც გამოიყენება მანქანებში მოძრაობის გადასაცემად.

გადახრა, გადაფრლება (deviation, skew; отклонение, перекося) – დაუმთხვევლობა, დარღვევა, განსხვავება.

გადახრა აბსოლუტური (absolute deviation, отклонение абсолютное) – საშუალო მნიშვნელობისაგან გადახრის აბსოლუტური სიდიდე.

გადახურება (overheating, перегрев) – ლითონის გახურების რეჟიმის დარღვევა უფრო მაღალ ტემპერატურაზე დაყოვნების გამო.

გადახურვა (overlap, перекрытие) – შენობის ერთ-ერთი ძირითადი კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც მას სართულებად ყოფს და დატვირთვას კაპი-

ტალურ კედლებს ან სვეტებს გადასცემს. **გადახურვის დისკო** (overlap disk, диск перекрытия) – ჰორიზონტალური დიაფრაგმა, რომელსაც უნარი აქვს, მიიღოს ჰორიზონტალურ სიბრტყეში მოქმედი ძალები და გააერთიანოს ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციები ერთიან სივრცით სისტემაში.

გადახურვის ფილა (floor slab, плита перекрытия) – შენობის მზიდი სისტემის ელემენტი, რომელიც იღებს მასზე მოქმედ ვერტიკალურ დატვირთვებს და გადასცემს რიგელებს.

გადაჯერება (oversaturation, перенасыщенность) – არსებული ნივთიერების ჭარბი კონცენტრაცია ხსნარში ან ორთქლში ხსნადობის ზევით ანუ კონცენტრაციის მეტობა შესაბამის გაჯერებულ ხსნარში ან გაჯერებულ ორთქლში მოცემულ პირობებში; ხსნარის ან ორთქლის არამდგრადი მდგომარეობა.

გაერთიანებული ენერგოსისტემა (interconnected energy system, объединенная энергосистема) – რამდენიმე ენერგეტიკული სისტემის ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია ერთიან საშუალო რეჟიმში და აქვს საერთო სადისპეტჩერო მომსახურება.

გაერთიანებული სადგური (joint station, объединенная станция) – შენობა-ნაგებობათა კომპლექსი სხვადასხვა სახის ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურებისათვის.

გაზი (gas, газ) – 1. ლითონის ორტუჩა ხელსაწყო (მარწუხი), რომელიც იხმარება რისამე ამოსაძრობად; 2. საერთო სახელწოდება გაზისებრი ან ორთქლისებრი საწვავი ნივთიერებებისა, რომელთაც იყენებენ გასანათებლად, გასათბობად და სხვ.; 3. აირი.

გაზის გამანაწილებელი სისტემა (gas distribution system, газораспределительная система) – 1. ქონებრივი კომპლექსი, რომელიც შედგება ტექნოლოგიურად

ურთიერთდაკავშირებული ობიექტების-გან და განკუთვნილია გაზის ტრანსპორტირების, განაწილებისა და მომხმარებლებისთვის მისაწოდებლად; 2. კომპლექსი მაგისტრალური გაზსადენიდან მომხმარებელამდე გაზის ტრანსპორტირებისთვის.

გაზის საქვაბე (a gas boiler, газовый котел) – საქვაბე, რომელშიც მხოლოდ ბუნებრივი გაზი იწვის.

გაზის ქსელი (გაზგამანაწილებელი) (gas network, газовая сеть) – გარე გაზსადენების სისტემა გაზის მიწოდების პუნქტიდან მომხმარებელთან მისი შეყვანის ადგილამდე, აგრეთვე ნაგებობები, მოწყობილობები და მათი აღჭურვილობა.

გაზიფიკაცია (გაზიფიცირება) (provision of gas supply, газификация) – 1. პროცესი, რომლითაც ორგანული ან წიაღისეული ნახშირბადის შემცველ მასალებს (ქვანახშირი, მურა ნახშირი, წვადი ფიქალი, შუმა, მაზუთი, კოქსი, გუდრონი და სხვ.) გენერატორებში ნახშირბადის მონოქსიდად, წყალბადად და ნახშირბადის ორჟანგად გადააქცევენ; 2. საცხოვრებელი სახლების, კომუნალურ და სამრეწველო საწარმოთა უზრუნველყოფა საწვავი გაზით.

გაზმომარაგება (აირმომარაგება) (gas supply, газоснабжение) – საწვავი (ბუნებრივი) აირის მომხმარებელამდე მიწოდება გაზსადენით.

გათბობა (heating; отопление, обогрев) – სათავსში ოპტიმალური ტემპერატურის მიღწევა და შენარჩუნება იმ დონეზე, რომელიც პასუხობს საყოფაცხოვრებო თბური კომფორტის ან ტექნოლოგიური პროცესის მოთხოვნებს.

გათბობა კონვექციური (convective heating, конвекторное отопление) – გათბობის სახეობა, როდესაც სითბო გადაეცემა ცხელი და ცივი ჰაერის გადაადგილებით.

გათბობა პანელური (panel heating, панельное

отопление) – გათბობის სახეობა, რომლის დროს სითბო გასათბობ სათავსს გადაეცემა კედელში, ტიხარსა ან იატაკში განლაგებული გათბობის პანელების გახურებული ბრტყელი ზედაპირით.

გათბობა სხივური (radiant heating, лучистое отопление) – გათბობის სახეობა, როდესაც სითბო გადაეცემა ძირითადად გამოსხივებით, ნაკლებად – კონვექციით.

გათბობა წყლით (hydronic heating, водяное отопление) – ყველაზე მეტად გავრცელებული გათბობის სისტემა, რომელიც გამოიყენება საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და სამრეწველო შენობებში და რომელიც სითბოს გამოყოფს ცხელი წყლის მეშვეობით გასათბობ სათავსებში არსებული სათბობი მოწყობილობებიდან.

გათბობა ჰაერით (air heating, воздушное отопление) – გათბობის სისტემა, სადაც თბოგადამტანის (ჰაერის) გაცხელება ხდება ღუმელში ცეცხლის მეშვეობით.

გათბობის სისტემა (heating system, система отопления) – ტექნიკური ელემენტების ერთობლიობა, გათვალისწინებული სითბოს რაოდენობის მიღების, გადატანისა და გადაცემისათვის, რომელიც საჭიროა მოცემულ დონეზე ტემპერატურის შესანარჩუნებლად.

გალავანი (fence, ограда) – ქალაქის, ციხის, ეზოს, ცალკეული არქიტექტურული კომპლექსის (სასახლის, მონასტერის და ა.შ.) გარშემოვლებული, ჩვეულებრივ, ქვის ან აგურის კედელი; ზღუდე.

გალერეა (gallery, галерея) – შენობის სხვადასხვა ნაწილის დამაკავშირებელი გრძელი ნათელი სათავსი, რომელიც ერთი ან ორივე გრძელი გვერდიდან შემოსაზღვრულია სვეტების, კამარების, თაღების, გარსების რიგით; სვეტნარი ან თაღედი.

გალესვა, შელესვა (plastering, оштукатуривание) – აშენებული კედლის, იატაკ-

კის, ჭერის ან კონსტრუქციის ზედაპირის დაფარვა დუღაბით, ცემენტის ხსნარით, გაჯით, თაბაშირითა და მისთ.

გალვანიზაცია (galvanization, гальванизация) – მუდმივი ელექტრული დენის გამოყენება სამკურნალო ან ტექნიკური მიზნებისათვის.

გალვანოტექნიკა (electrodeposition, гальванотехника) – გამოყენებითი ელექტროქიმიის დარგი, რომელიც იკვლევს ლითონების დალექვას მათი მარილის ხსნარებიდან ელექტროლიზის გზით. დალექვა შეიძლება მოხდეს ლითონური ან არალითონური ნაკეთობის ზედაპირზე.

გამართულობა (correctness, исправность) – სამშენებლო კონსტრუქციების მოპირკეთების, საინჟინრო სისტემების მდგომარეობა, რომლის დროსაც ნაგებობის ფუნქციები, ასევე გარეგნული სახე, ექსპლუატაციის სიმარტივე და სხვ. პასუხობს მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

გამაგრება ნაპირისა (coastal fortification, береговое укрепление) – მდინარის, ზღვის, ტბის, დამბის, წყალსატევის, არხის ნაპირების გამაგრების პროცესი სხვადასხვა მეთოდისა და მასალის გამოყენებით (მაგ., ნაყარი ქვით, ბეტონის ხელოვნური ქვით, ხიმინჯებით, საყრდენი კედლებით, შპუნტებით, ცემენტაციით და სხვ.).

გამამყარებელი (hardener, отвердитель) – პლასტმასისა და ბეტონის დანამატი, რომლის დანიშნულებაა დააჩქაროს ნაკეთობის გამყარების დრო.

გამოთვლა (computing, вычисление) – საწყისი მონაცემებიდან რიცხვითი შედეგის მიღება რაიმე ალგორითმით.

გამოთვლითი ტექნიკა (computer facilities, вычислительная техника) – ტექნიკური და მათემატიკური საშუალებების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება გამოთვლებისა და ინფორმაციის დამუშავების მათემატიკური პროცესის მექა-

ნიზაციისა და ავტომატიზაციისათვის.

გამოორთქვლა (evaporation, выпаривание) – ხსნარების კონცენტრირება გამხსნელის ნაწილობრივი აორთქლების გზით.

გამოსაწვავი ღუმელი (furnace, oven, kiln; обжигательная печь) – სხვადასხვა მასალის გამოსაწვავი ღუმელი, რომლის სამუშაო ტემპერატურაა 700-1300°C ცეცხლმედეგი თიხის, კირქვის, მაგნეზიტის, დოლომიტის, ცემენტის შიხტის და ლითონის მადნის გამოსაწვავად.

გამოსაჭიმი ხელსაწყო (tensioning device, натяжное устройство) – თავისუფლად მბრუნავი ბლოკი (თვალი) დვედური ან ბაგირული გადაცემის ამყოლი შტოს რეგულირებისათვის, დაჭიმვისათვის.

გამოფიტვა (weathering, выветривание) – მთის ქანების რღვევის პროცესი ატმოსფეროს, გრუნტის, ზედაპირული წყლებისა და ორგანიზმების მექანიკური და ქიმიური ზემოქმედების შედეგად.

გამოყვანა (მოსაწვავა) (finish, finishing; отделка) – ნაგებობის, მისი ცალკეული ელემენტების დამუშავების პროცესი (მოპირკეთება, შეღებვა, შელესვა, გაპრიალება და სხვ.).

გამომშრობა (drying, просушивание) – მასალიდან (სხეულიდან) ტენის მოშორების პროცესი ბუნებრივად ან ხელოვნურად.

გამოცდა (test, trial, experiment; испытание) – მასალის, ნივთიერების, მოქმედების, წარმოების, კონსტრუქციისა და სხვათა შემოწმება რისამე მნიშვნელობის გამოსარკვევად.

გამოწვა (roasting, firing, burning, calcination; обжиг) – სხვადასხვა მასალის გახურება და დაყოვნება მაღალ ტემპერატურაზე (გამოსაწვავ ღუმელებში) მისთვის საჭირო თვისებების მინიჭების მიზნით (მაგ., თიხების, ცეცხლგამძლე მასალების, კერამიკის, ცემენტის კლინკერისა და სხვ.).

გამყარება (გამკვრივება) (hardening,

твердение) – სითხის სრული ან ნაწილობრივი გადასვლა მყარ მდგომარეობაში.

გამშენებელი (real estate developer, застройщик) – ფიზიკური (იურიდიული) პირი ან სახელმწიფო ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანო, რომელსაც, დადგენილი წესით მიღებული აქვს მიწის ნაკვეთი და ორგანიზაციას უკეთებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და რემონტს საკუთარი საცხოვრისისთვის, არენდით გასაცემად ან გასაყიდად.

გამძლეობა (ამტანობა) (endurance, выносливость) – მასალებისა და კონსტრუქციების უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს განმეორებად (ციკლურ) დატვირთვებს, აგრეთვე რღვევასა და შეუქცევად პლასტიკურ დეფორმაციებს.

გამწვანება (planting of greenery, озеленение) – მწვანე ნარგავების გაშენებისა და გამოყენების ღონისძიებათა სისტემა, რომლის დანიშნულებაცაა მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. აქვს სანიტარიულ-ჰიგიენური, საინჟინრო-ტექნიკური, ხანძარსაწინააღმდეგო და ესთეტიკური მნიშვნელობა.

გამწვანებული ტერიტორია (green territory, озелененная территория) – მიწის ნაკვეთი, რომლის ტერიტორიის არანაკლებ 80%-ზე არის მცენარეული საფარი, ღია სათამაშო მოედანი, ბილიკები ან ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი მოპირკეთებული გრუნტის ზედაპირი, სადაც შესაძლებელია მოწყობილი იყოს დასასვენებელი (გასართობი) ადგილები (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვ.).

გამჭოლი (cross-cutting, сквозной) – რაც რისამე შიგნით გაივლის (მაგ., გამჭოლი ხვრეტი, გამჭოლი კონსტრუქცია და სხვ.).

განათება (illumination, освещение) – არქიტექტურულ-სამშენებლო და შუქტექნიკური ხერხების ერთობლიობა სხივ-

რი ენერჯის გამოყენებისათვის უტილიტარული და მხატვრული მიზნით.

განათება ლოკალური (local lighting, локальное освещение) – შენობის ან ნაგებობის ნაწილის, ცალკეული არქიტექტურული ელემენტის (პილონის, შესასვლელისა და სხვ.) განათება საერთო განათების არარსებობის შემთხვევაში.

განათება საერთო (general lighting, общее освещение) – ერთი და იმავე ტიპისა და სიმძლავრის ნათურების ერთ სიმაღლეზე განლაგებით მიღებული განათება, რომელიც სათავსში ქმნის ერთნაირ ფონს.

განათება შეთავსებული (combined lighting, совмещенное освещение) – ბუნებრივი დღის განათებისა და ხელოვნური განათების ერთობლიობა.

განათება ხელოვნური (artificial, lighting искусственное освещение) – განათება, რომელიც მიიღება ხელოვნური სინათლის წყაროთი (მაგ., ელექტროგანათება).

განათებულობა (illuminance, освещенность) – მოცემულ ზედაპირზე დაცემული სინათლის ნაკადის სიმკვრივე.

განგაში (alarm, тревога) – ემოციური მდგომარეობა, რომელიც ჩნდება გაურკვეველი საშიშროების პირობებში – შფოთიანი ხმაური, მღელვარება, აურზაური და სხვ.

განმბჯენი (strut, распорка) – თაღოვანი, დაკიდებული და ჩარჩოსებრი კონსტრუქციების საყრდენ კვანძებში მოქმედი ჰორიზონტალური ძალა, რომელსაც იღებს კონსტრუქციის შემკრავი (შემკოჭი) ან გადაეცემა უშუალოდ საყრდენებს.

განმტვირთავი თაღი (unloading arch, разгружающая арка) – თაღი, რომელიც, ჩვეულებრივ, კედლის წყობაშია დაყოფილი და შენობის ზედა ნაწილების დატვირთვას ცალკე მდგომ საყრდენებს გადასცემს ან პირიქით – ცალკეული საყრდენების დატვირთვებს გადას-

ცემს საძირკველს.

განტვირთვა (unloading, разгрузка) – მიწოდებული საქონლის (მასალა, კონსტრუქცია, ნივთიერება და სხვ.) გადმოტვირთვა სატრანსპორტო საშუალებიდან მომხმარებლის მიერ მითითებულ ადგილზე.

განჩუ (განჩი) (ganch, ганч) – თიხათაბაშირი, გაჯი, ალებასტრი; სამშენებლო თიხათაბაშირი, რომელიც მიიღება თაბაშირის მერგელების გამოწვევით 160-250°C ტემპერატურაზე და შემდეგ ფხვნილად გადაქცევით.

გაორთქვლა (steaming, пропарка) – ორთქლში გატარება, შეორთქვლა, გათუთქვა, დამლუღვრა, მოწალვა.

გარაჟი (ავტოფარეხი) (garage, гараж) – სათავსი შენობაში ან ცალკე მდგომი ნაგებობა სატრანსპორტო საშუალებებისათვის.

გარგულია (gargoyle, monster; гаргуля) – რაიმე ძალზე უცნაური დეკორატიული ელემენტი, რომელიც გამოიყენებოდა დეკორატიულ ქანდაკებებში ეკლესიების, მონასტრების, ტაძრებისათვის და სხვ. ხშირად მას წყალსადინარის დანიშნულებაც ჰქონდა.

გარდერობი (wardrobe, гардероб) – საცხოვრებელი ბინის ნაწილი, ოთახი, კუთხე, კარადა, საკუჭნაო, სადაც მაცხოვრებლები (სტუმრები) ტანსაცმელს, ქოლგას ან ფეხსაცმელს დროებით ტოვებენ;

გარე კედელი (outer wall, наружная стена) – მზიდი ან არამზიდი კედელი, რომელიც, განსხვავებით ცეცხლმედეგი კედლისაგან, შენობის შემომსაზღვრელი ნაწილია და მისი დახრა თარაზული სიბრტყის მიმართ 60° ან მეტია.

გარემო (environment, окружающая среда) – ორგანიზაციის ფუნქციონირების პირობები და მის საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორების (ცვლადების) ერთობლიობა.

გარემო აგრესიული (aggressive environment, агрессивная окружающая среда) – 1. სიცოცხლისათვის საშიში გარემო (მაგ., ჰაერი მინერალური სასუქების საწყობში, აგრესიული სითხეები და სხვ.); 2. სამშენებლო კონსტრუქციების ექსპლუატაციის გარემო, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ამ კონსტრუქციების სიმტკიცეზე, ხანგამძლეობაზე, ხანმედგობაზე, ტექსტურასა და სხვ. ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე.

გარემო დისპერსიული (dispersive environment, дисперсионная окружающая среда) – გარემო, რომელიც შეიცავს დისპერსიულ ნივთიერებებს (მაგ., მერქნის ფქვილის ნაწილაკები, მტვერი, კვამლი და სხვ.).

გარეცხვა (washing, промывание) – საშენი მასალიდან გამაჭუჭყიანებელი ჩანართების მოცილება, რაც ამაღლებს მის ხარისხს.

გარნისაჟი (skull, гарниссаж) – მყარი დამცავი ფენა; წარმოიქმნება ისეთი მეტალურგიული აგრეგატის კედლების შიგა (სამუშაო) ზედაპირზე, რომელიც განიცდის ინტენსიურ გაცივებას.

გაუთვალისწინებელი სამუშაოები (unforeseen work, непредвиденные работы) – სამუშაოები, რომელთა მოცულობა შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ობიექტის მშენებლობის პროცესში; ფინანსდება ხარჯთაღრიცხვაში არსებული სპეციალურად ღიმიტირებული რეზერვით (გაუთვალისწინებელი ხარჯებით).

გაშენება (building, development; застройка) – ქალაქებსა და სოფლებში შენობების, ბაღების, ბულვარების, ქარსაფარი ზოლების, ვენახების, სამთო-სათხილამურო კურორტებისა და მისთ. განთავსების წესრიგი.

გაშენება ბლოკირებული (blocked building, блокированная застройка) – დაბალსართულიანი საცხოვრებლის გაშენების ტიპი, რომლის დროსაც ერთ რიგში გან-

ლაგებული ერთნაირი სახლები ერთმანეთის ბლოკირებას ახდენენ გვერდითი კედლებით.

გაშენება პანელური (panel building, панельная застройка) – გაშენების ტიპი, რომელიც მოიცავს ტიპური პროექტების შესაბამისად აშენებულ ერთი სერიის საცხოვრებელ სახლებს.

გაშენების კოეფიციენტი (development ratio, коэффициент застройки) – შენობებისა და ნაგებობების დაკავებული ფართობის შეფარდება ნაკვეთის მთლიან ფართობთან.

გაშენების სიმჭიდროვის კოეფიციენტი (growing density coefficient, коэффициент плотности выращивания) – შენობისა და ნაგებობის ყველა სართულის საერთო ფართობის შეფარდება ნაკვეთის მთლიან ფართობთან.

გაშენების შემჭიდროება (growing density, плотность выращивания) – საცხოვრებელი ფართობის რაოდენობის გაზრდა ტერიტორიის ერთეულზე არსებული გაშენების რეკონსტრუქციის პირობებში.

გაჩარხვა (turning, обточка) – ბრუნვის გარე ზედაპირების ჭრით დამუშავება სახარატო დაზგებზე, სადაც მთავარ სამუშაო (ბრუნვით) მოძრაობას უმეტესად ასრულებს ნამზადი, ხოლო მიწოდების მოძრაობას – საჭრისი.

გაჭიმვა (tension, растяжение) – ღეროს (ძელის) გრძივი დეფორმაციის სახე, რომელიც აღინიშნება ღეროს გრძივი ღერძის გასწვრივ გამჭიმვი ძალის მოდებისას.

გახურება (გაცხელება) (heating; нагрев, отопление) – რაიმე მიზნით ნივთიერების (სხეულის) ტემპერატურის აწევის პროცესი (მაგ., სადურგლო წებოს გათბობა მოხმარების წინ, ფარის გახურება გალაქვის წინ).

გაჯერება (saturation, насыщение) – მერქნის, ქსოვილის, ღუღაბისა და მისთ. გაუღენტა სპეციალური ხსნარებითა და

ემულსიებით მათთვის განსაზღვრული თვისებების მისანიჭებლად (ბიომედეგობა, ტენმედეგობა და სხვ.).

გაჯერების ზღვარი (saturation limit, предел насыщения) – იგივეა, რაც ჰიგროსკოპულობის ზღვარი.

გაჯი (natural clay-gypsum, гаж) – 1. ჰაერული შემკვრელი ნივთიერება, რომელიც მიიღება ბუნებრივი თიხათაბაშირიანი ქანებისაგან 150-250°C ტემპერატურაზე გამოწვით; 2. ძვ. მიწა-ცარცი.

გაჯირჯვება (swelling, набухание) – ტექნოლოგიური დამუშავების პროცესში მასალის მოცულობის ზრდა (მაგ., მერქნის გაჯირჯვება ტენის გავლენით).

გეგმა (plan, план) – 1. შენობის სართულის თარაზული ჭრილის გრაფიკული გამოსახულება; 2. დაგეგმარების საპროექტო გადაწყვეტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის ამსახველი გენერალური ნახაზი.

გეგმა არქიტექტურული (architectural plan, архитектурный план) – შენობის, შენობების კომპლექსის, დასახლებული პუნქტის ან მათი ნაწილის ჰორიზონტალური პროექციის გამოსახულება, შესრულებული განსაზღვრულ მასშტაბით.

გეგმა გენერალური (general plan, генеральный план) – 1. მთავარი, ძირითადი გეგმა, განვითარების მაგისტრალური მიმართულება (მაგ., წარმოების განვითარებისა); 2. დასახლებული ადგილის ან მისი ნაწილის დაგეგმარების ამსახველი გამოსახულება.

გეგმა კალენდარული (calendar plan, календарный план) – მოქმედების გეგმა, განაწილებული დღეების მიხედვით.

გეგმა პერსპექტიული (perspective plan, перспективный план) – განვითარების გეგმა მომავალი პერიოდისათვის.

გეგმა სამრეწველო (industrial plan, промышленный план) – გეგმა, რომელიც წარმოების განვითარების, მოქმედების ყველა ძირითად მაჩვენებელს მოიცავს (მაგ., ხელფასის ფონდი, პერსონალის

რაოდენობა, პროდუქციის რაოდენობა, საბრუნავი ფონდები და სხვ.).

გეგმა საწარმოო (production plan, производственный план) – წარმოების განვითარების გეგმა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

გეგმა სიტუაციური (situational plan, ситуационный план) – ადგილთან ან მშენებარე ნაგებობასთან მიერთებული არსებული ობიექტის განლაგების მაჩვენებელი.

გეგმა-გრაფიკი (schedule, план-график) – მოქმედების პერიოდულობის გეგმა დროის გარკვეული მონაკვეთისთვის.

გეგმაზომიერი (systematic, планомерный) – გეგმის შესაბამისი, მოწესრიგებული.

გენერალური დამპროექტებელი (general designer, генеральный проектировщик) – საპროექტო ორგანიზაცია ან ფირმა, რომელიც პასუხისმგებელია საპროექტო და საძიებო სამუშაოების კომპლექსის შესრულებაზე დამკვეთთან ხელშეკრულების საფუძველზე.

გეოდეზია (geodesy, геодезия) – საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებათა დარგი, რომელიც დედამიწის გეომეტრიული ელემენტების ასტრონომიულ-გეოდეზიური, გრავიმეტრიული და წმინდა ასტრონომიული გაზომვებისა და დაკვირვებების, განაზომთა მათემატიკური დამუშავებისა და გამონათვალთა გრაფიკული გამოხაზვის (გეგმები, რუკები, პროფილები) საშუალებით შეისწავლის დედამიწის ნამდვილ სახესა და ოდენობას დროთა ვითარებაში მათი ცვალებადობის გათვალისწინებით.

გეოდეზია საინჟინრო (the engineering geodesy, инженерная геодезия) – გეოდეზიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ინსტრუმენტებსა და გაზომვის მეთოდებს, გამოყენებულს საინჟინრო ნაგებობების მშენებლობაში.

გეოდეზიური დაკვალვა (geodetic plan-

ning, геодезическая планировка) – სამშენებლო მოედნის დაყოფა კვადრატებად ან მართკუთხედებად.

გეოდეზიური მანძილსაზომი (geodetic rangefinder, геодезический дальнометр) – ხაზის სიგრძის გასაზომი გეოდეზიური ოპტიკური ხელსაწყო.

გეოდეზიური მიბმა (geodetic reference, геодезическая привязка) – ტერიტორიაზე დამაგრებული წერტილების, შენობა-ნაგებობებისა და მათი ელემენტების მდებარეობის განსაზღვრა მიღებულ კოორდინატთა სისტემაში.

გეოდეზიური ნიშანი (geodetic sign, геодезический знак) – ხის, ლითონის ან რკინაბეტონის ნაგებობა გეოდეზიური პუნქტის ცენტრზე, რომელიც ემსახურება ობიექტის დამიზნებასა და ინსტრუმენტის დაყენებას მიწის ზევით კუთხურ და ხაზოვან განზომილებაში.

გეოდეზიური სამუშაოები (geodetic works, геодезические работы) – ხაზოვანი, კუთხური, მაღლივი გაზომვები და ნახაზების აგება, რომლებიც მშენებლობაში საწარმოო პროცესების განუყოფელი ნაწილია და მოიცავს გეოდეზიური დაკვალვის საფუძვლებს მშენებლობისათვის.

გეოდეზიური ცენტრი (geodetic plummet, геодезический центрир) – გეოდეზიური ხელსაწყო, წერტილების შვეული დაპროექტებისათვის ერთი ზედაპირიდან მეორეზე.

გეოლოგია (geology, геология) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დედამიწის ქერქის შედგენილობას, აგებულებასა და ისტორიას.

გეოლოგია საინჟინრო (engineering geology, инженерная геология) – გეოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის დედამიწის ქერქის ზედა ჰორიზონტებსა და მათ დინამიკას საინჟინრო-სამშენებლო საქმეში გამოყენების თვალსაზრისით.

გვარლი (wire rope, трос) – საერთო და-

სახელება თოკ-ბაგირული ნაკეთობისა, რომელიც დამზადებულია ბოჭკოვანი მასალის ან ფოლადის მავთულისგან.

გვირაბი (tunnel; туннель, выработка) – მიწისქვეშა საინჟინრო ჰორიზონტალური, ვერტიკალური ან დახრილი ნაგებობა, რომლის სიგრძე გაცილებით აღემატება მისი განივკვეთის ზომებს და დედამიწის ზედაპირთან დაკავშირებულია ერთი ან რამდენიმე შესასვლელით.

გვირაბი გამხსნელი (revealing tunnel; вскрывающий туннель) – მიწის ზედაპირიდან საბადომდე გაყვანილი გვირაბი.

გვირაბი განფენილი (extensive tunnel, протяженный туннель) – გამხსნელი, მოსამზადებელი და საწმენდი გვირაბები.

გვირაბი დაზვერვითი (exploration tunnel, разведочный туннель) – გვირაბი, რომელიც გაყვანილია სასარგებლო წიაღისეულის დაძიების მიზნით.

გვირაბი დახრილი (inclined tunnel, наклонный туннель) – დახრილად გაყვანილი გვირაბი: ჭაური, ბრემსბერგი, დაქანებული, სასვლელი, სასულე.

გვირაბი ვერტიკალური (vertical tunnel, вертикальный туннель) – ვერტიკალურ გვირაბებს მიეკუთვნება ჭაური, გეზენკი, ბრმა ჭაური, შურფი.

გვირაბი კაპიტალური (capital tunnel, капитальный туннель) – 1. გვირაბი, რომელიც შანტს დედამიწის ზედაპირთან აკავშირებს და ძირითადად გამოიყენება სატრანსპორტო მიზნით.

გვირაბი მოსამზადებელი (preparation tunnel, подготовительный туннель) – გვირაბი, რომელიც საბადოს ყოფს ამოსადებ ველებად, უბნებად და ბლოკებად.

გვირაბი საექსპლუატაციო (production tunnel, эксплуатационный туннель) – გვირაბი, რომელიც გამოიყენება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის.

გვირაბი სატრანსპორტო (transportation tunnel, транспортный туннель) – გვირაბი, რომლის დანიშნულებაცაა საავტომობილო,

ბილო, სარკინიგზო და სპეციალური დანიშნულების ტრანსპორტის (მაგ., მატარებლები მაგნიტურ ან საჰაერო ბალიშზე) გატარება.

გვირაბი ძირითადი (main tunnel, основной туннель) – შანტის ველის გახსნისათვის განკუთვნილი გვირაბი: შტოლნი, ვერტიკალური და დახრილი ჭაურები.

გვირაბი ჰორიზონტალური (horizontal tunnel, горизонтальный туннель) – ჰორიზონტალურად გაყვანილი გვირაბი: შტრეკი, კვერძლაგი, შტოლნი, ორტი, გამკვეთი.

გზა (road, way; дорога) – ადგილსავალი ფენით და ტრანსპორტით მოსიარულეთათვის, მათ შორის სალიანდაგო და საბაგირო.

გზა გრუნტისა (earthen road, грунтовая дорога) – საავტომობილო ან სატრაქტორო გზა დატკეპნილი ბუნებრივი გრუნტის ან ბუნებრივი გრუნტის დანამატებით.

გზა საავტომობილო (highway, автомобильная дорога) – საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაცაა, უზრუნველყოს ავტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალი საშუალებების უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთვებითა და გაბარიტებით.

გზა საკარიერო (career road, карьерная дорога) – კარიერზე მისასვლელი მოხრეშილი (ან მის გარეშე) გრუნტის გზა მოპოვებული მადნის ავტოთვიმცლელებით გამოსაზიდად.

გზა სასოფლო (rural road, сельская дорога) – ცენტრალური გზიდან სოფლისკენ მიმავალი გრუნტის ან მოასფალტებული გზა, რომელიც ემსახურება სოფლის მაცხოვრებლებს.

გზა სატრანზიტო (transit road, транзитная дорога) – მაღალი კატეგორიის გზა (საავტომობილო, სარკინიგზო) სატრანზიტო მგზავრების გადასაყვანად ან

ტვირთების გადასაზიდად.

გზაგამტარი (viaduck, путепровод) – ხიდი სახმელეთო გზების გადაკვეთაზე. უზრუნველყოფს მოძრაობას სხვადასხვა დონეზე.

გზატკეცილი (highway, шоссе) – ურელსო ტრანსპორტის მოძრაობისათვის განკუთვნილი მკვირვსაფარიანი გზა (ხრეშით მოფენილი, დატკეპნილი, ასფალტიანი და სხვ.).

გზაჯვარედინი (crossroads, перекресток) – ორი ან მეტი გზის გადაკვეთის ადგილი; ჩრდილოეთ ამერიკაში: გზა, რომელიც კვეთს მთავარ გზას ან აერთებს ორ მთავარ გზას.

გზის გეომეტრიული პარამეტრები (geometric parameters of the road, геометрические параметры дороги) – მიწის ვაკისის, სავალი ნაწილის, გამყოფი ზოლის, გვერდულის გამაგრების ზოლის, გვერდულისა და კიუვეტის სიგანე; გზის სავალი ნაწილის ქვეშ საგზაო სამოსის კონსტრუქციული ფენების სისქე; კიუვეტის სიღრმე; გრძივი და განივი ქანობების, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მრუდეებისა და ხილვადობის არის სიდიდე, ხელოვნური ნაგებობების სიგრძე და გაბარიტი.

გზის დიაგნოსტიკა (road diagnostics, диагностика дороги) – გზების ტექნიკური, სატრანსპორტო და საექსპლუატაციო მდგომარეობის განსაზღვრა გამოკვლევის ჩატარების გზით.

გზის ინფრასტრუქტურა (road infrastructure, инфраструктура дороги) – გზის კეთილმოწყობის, ავტოტრანსპორტისა და მგზავრების სერვისის ობიექტები.

გზის კეთილმოწყობა (road improvement, благоустройство дороги) – საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის ნაწილი, რომელიც მოიცავს დასასვენებელ, გადასახედ და მანქანების დასადგომ მოედნებს, წყაროებს, ავტომანქანების გასაჩერებლებს, პავილიონებსა და სხვ.

გზის სამოსი (pavement, дорожная

одежда) – საავტომობილო გზის ნაწილი, რომელიც შედგება მიწის ვაკისზე დადებული საფარის, ფუძისა და ქვენაფენი შრისაგან და რომელსაც გადაეცემა დატვირთვები ტრანსპორტისაგან.

გზის საფარი (road surface, покрытие дороги) – გზის სამოსის ზედა ფენა, რომელიც უშუალოდ იღებს საანგარიშო დატვირთვას და განიცდის ატმოსფერული ფაქტორების პირდაპირ ზემოქმედებას.

გზისპირი (roadside, обочина) – გზის გვერდითი, განაპირა მხარე, სავალი ნაწილის ნაპირი.

გიროთეოდოლიტი (gyrotheodolite, гипотеодолит) – გეოდეზიური და მარკუმიდერული ხელსაწყო ჭეშმარიტი (გეოგრაფიული) აზიმუტის დასადგენად ადგილობრივი საგნების მიმართულებით.

გისოსი (ცხაურა) (lattice, grille; решетка) – დამცავი ან გამყოფი ორნამენტული კონსტრუქცია, დამზადებული ლითონის წნელისგან.

გლინულა (wire rod, катанка) – 5-10 მმ დიამეტრის მქონე ცხლადგლინული მავთული, რომელსაც ამზადებენ საგლინავ დაზგებზე.

გნეისი (gneiss, гнейс) – გრანიტის სახესხვაობა, დედამიწის ქერქში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, ფიქლური სტრუქტურის მქონე მეტამორფული ქანი, რომელიც შედგება, უპირატესად კვარცის, მინდვრის შპატებისა და ქარსისგან.

გონდოლა (gondola, гондола) – 1. დახურული ვაგონი საჯდომი ადგილებით 2-8 მგზავრისათვის; 2. ერთნიჩბიანი გრძელი და ბრტყელძირა ვენეციური ნავი, რომელსაც აქვს აწეული ფიგურული ცხვირი და მაღალი კიჩო.

გონიო (gon, угольник) – მყარი სხეულის ბრტყელ წახნაგებს შორის კუთხის გამზომი ხელსაწყო.

გორგალი (skein, моток) – საარმატურე ფოლადი დახვეული მავთულის სახით.

გორგოლაჭი (roller, ролик) – 1. ცილინ-

დრული, კონუსური ან კასრისებრი ფორმის სხეული; 2. პატარა ბორბალი, თვალი.

გოფრა (corrugation, гофра) – სავარცხლისებრი ან ტალღისებრზედაპირიანი ლითონის, ხის ან პლასტმასის (მინაპლასტიკის) ფურცელი, რომელიც გამოიყენება სახურავის, კედლის, ტიხრის, მოაჯირის დასაფარავად ან მილების დასამზადებლად.

გოფირებული რკინა (corrugated iron, гофрированное железо) – ტალღოვანი პროფილის ლითონის ფურცელი.

გრადაცია (gradation, градация) – თანამიმდევრობა, რაიმეს განლაგების თანდათანობითობა, დაყოფა, ერთიდან მეორეზე გადასვლის საფეხურები.

გრადიენტი (gradient, градиент) – ვექტორი, რომელიც გვიჩვენებს მოცემული სკალარული ველის $\phi(P)$ უსწრაფეს ცვლილებას, სადაც P არის სივრცის წერტილი, რომელიც აღინიშნება $g = \text{grad}\phi(P)$.

გრადუსი (degree, градус) – ტემპერატურის (სხვადასხვა ტემპერატურული სკალის) აღმნიშვნელი სიდიდე.

გრავიმეტრი (gravimet, гравиметр) – სიმძიმის ძალის საზომი ხელსაწყო. იყენებენ მადნეულის ძიებისას.

გრავირება (engraving; гравирование, гравировка) – მყარ მასალებზე (ლითონი, ქვა, ძვალი და სხვ.) წარწერის, მოხატულობისა და ა.შ. დატანა საჭრელი საგრავიურო იარაღით.

გრავიტაცია (gravity, gravitation; гравитация) – მსოფლიო მიზიდულობა, უნივერსალური ურთიერთქმედება მატერიის ნებისმიერ სახეთა შორის.

გრავიურა (printmaking, гравюра) – ფიცარი ან ფირფიტა, რომელზეც ამოჭრილია რელიეფური გამოსახულება პოლიგრაფიული ანაბეჭდის მისაღებად.

გრამონიტი (gramonite, грамонит) – გრანულირებული წყალმედეგი ფეთქებადი ნივთიერება, ამიაკური გვარჯილის ნა-

რევი ტროტილთან და ალუმინის ფხვნილთან. გამოიყენება ღია და მიწისქვეშა აფეთქებით სამუშაოებში.

გრანიტი (granite, гранит) – რუხი, ცისფერი ან მუქი წითელი შეფერილობის ბუნებრივი მთის ქანი.

გრანულაცია (granulation, грануляция) – რაიმე ნივთიერებისათვის მარცვლის ფორმის მიცემა, მისი წვრილ მარცვლებად ქცევა; გრანულირება.

გრანულირებული წიდა (granular slag, гранулированный шлак) – წილის ჰემზა, რომელიც მიიღება გამდნარი მეტალურგიული წილის სწრაფი გაცივებით.

გრანულომეტრია (granulometry, гранулометрия) – ქანის ან ნიადაგის კომპონენტების ზომის განსაზღვრა და რაოდენობის გამოსახვა პროცენტებით.

გრაფიტი (graphite, графит) – რუხი ან შავი ფერის, ფენოვანი სტრუქტურის, ცეცხლგამძლე, დენგამტარი, კრისტალური მინერალი თვითნაბადი ელემენტების კლასიდან, ნახევრად ლითონი, ნახშირბადის ერთ-ერთი ალოტროპიული სახეობა.

გრეიდერ-ელევატორი (grader-elevator, грейдер-элеватор) – გრეიდერი კონვეიერით (ტრანსპორტიორით) მოჭრილი გრუნტის მისაწოდებლად ნაყარში ან სატრანსპორტო საშუალებებში.

გრეიდერი (grader, грейдер) – მისაბმელი ან თვითმავალი მიწასათხრელი სატრანსპორტო მანქანა.

გრეიფერი (greifer, грейфер) – ამწევი მექანიზმის ტვირთჩამჭიდი მოწყობილობა თვითჩამკეტი ყბებით (საგდულით).

გრუნტბეტონი (soil concrete, грунтбетон) – ბეტონი, რომელიც მზადდება დამსხვრეული ან გრანულირებული გრუნტის, ცემენტისა და წყლის შერევით.

გრუნტების მექანიკა (soil mechanics, механика грунтов) – მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის შენობა-ნაგებობათა ფუძეების, ბუნებრივი და ხელოვნური ფერდობებისა და მიწის ნაგებო-

ბათა დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას, მდგრადობასა და სიმტკიცეს, ფუძის დეფორმაციასთან დაკავშირებულ ნაგებობათა შესაძლო გადაადგილებებს; გრუნტის წნევას საყრდენ კედლებსა და ნაგებობათა მიწისქვეშა ნაწილებზე და სხვ.

გრუნტი (priming, грунт) – მთის ქანების კრებსითი სახელი.

გრუნტი გაყინული (frozen ground, мерзлый грунт) – გრუნტი, რომელსაც აქვს უარყოფითი ან ნულოვანი ტემპერატურა, შეიცავს ხილულ ყინულის ჩანართებსა და ყინულ-ცემენტს და ახასიათებს კრიოგენური სტრუქტურული კავშირები.

გრუნტი გაცივებული (chilled ground, охлажденный грунт) – გაპოზილი მსხვილნატეხებიანი, ქვიშოვანი და თიხოვანი გრუნტები, რომელთა უარყოფითი ტემპერატურა მათი გაყინვის დაწყების ტემპერატურაზე მაღალია.

გრუნტი გაჯირჯვებადი (heaving, swelling soil; пучинистый, набухающий грунт) – გრუნტი, რომელიც წყლით ან სხვა სითხით დასველებისას მოცულობაში იმატებს და ფარდობითი გაჯირჯვების დეფორმაცია $\epsilon_{sw} \geq 0,04$.

გრუნტი დაჯდომადი (sedimentary ground, осадочный грунт) – გრუნტი, რომელიც გარე დატვირთვისა და საკუთარი წონის ან მარტო საკუთარი წონის მოქმედებით, წყლით ან სხვა სითხით დასველებისას, განიცდის ვერტიკალურ დეფორმაციას (დაჯდომას) და აქვს დაჯდომის ფარდობითი დეფორმაცია $\epsilon_s \geq 0,01$.

გრუნტი დისპერსიული (dispersed soil, дисперсный грунт) – გრუნტი, რომელიც შედგება ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული სხვადასხვა ზომის ცალკეული მინერალური ნაწილაკებისაგან (მარცვლებისაგან).

გრუნტი თიხოვანი (clay soil, глинистый грунт) – გრუნტის სახეობა, რომელსაც უნარი აქვს, შეიკუმშოს, წაირეცხოს და

გაყინვისას – გაჯირჯვდეს.

გრუნტი კლდოვანი (rocky ground, скальный грунт) – გრუნტი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე მინერალის კრისტალებისგან და აქვს კრისტალური ტიპის ხისტი სტრუქტურული კავშირები.

გრუნტი მსხვილნატეხებიანი (coarse-grained, крупнообломочный) – შეუკავშირებელი გრუნტი, რომელშიც 2 მმ-ზე მეტი ზომის ნაწილაკების მასა 50%-ზე მეტია.

გრუნტი მცურავი (floating ground, плавающий грунт) – ფხვიერი ქვიშოვანი ქანების თავმოყრა, რომელიც წყლით არის გაჯერებული და განსაზღვრულ ჰიდროდინამიკურ პირობებში იძენს დიდ ძვრადობას (ცურვას).

გრუნტი ნაყარი (bulk soil, насыпной грунт) – 1. მიწა, ნიადაგი; ნაყარი ზედაფენა მიწისა, ნიადაგისა; 2. ტექნოგენური გრუნტი, რომლის გადაადგილება და დაყრა განხორციელებულია სატრანსპორტო საშუალებებით, აფეთქებით.

გრუნტი ნახევრადკლდოვანი (semi-rocky soil, полускальный грунт) – გრუნტი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე მინერალისგან და რომელთაც აქვს ცემენტაციური ტიპის ხისტი სტრუქტურული კავშირები.

გრუნტი პლასტიკურად გაყინული (plastic frozen ground, пластичномерзлый грунт) – დისპერსიული გრუნტი, შეცემენტებული ყინულით, მაგრამ ადჭურვილი ბლანტი თვისებებითა და კუმშადობით გარე დატვირთვების მიმართ.

გრუნტი სეზონურად გაყინვადი (seasonally frozen ground, сезонномерзлый грунт) – გრუნტი, რომელიც ცივი სეზონის განმავლობაში პერიოდულად გაყინულ მდგომარეობაშია.

გრუნტი ტექნოგენური (technogenic soil, техногенный грунт) – გრუნტი, შექმნილი ადამიანის მიერ სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საქმიანობის შედეგად.

გრუნტი ტორფიანი (peat ground, тор-

фяний грунт) – ქვიშისა და ტორფის (10-დან 50%-მდე მასის მიხედვით) შერეული გრუნტი.

გრუნტი ქვიშოვანი (sandy ground, песчаный грунт) – ფხვიერი გრუნტი, რომელიც შედგება 0,1 მმ-ზე მეტი ზომის ბურთულოვანი წვრილი ნაწილაკებისგან (2 მმ-ზე ნაკლები ზომის ნაწილაკების წილობრივი რაოდენობა 50%-ზე მეტია).

გრუნტის გამაგრება (soil reinforcement, укрепление грунта) – გრუნტის თვისებათა ხელოვნური გარდაქმნა ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით.

გრუნტის გრანულომეტრიული შედგენილობა (soil granulometric composition, гранулометрический состав грунта) – დისპერსიულ გრუნტებში სხვადასხვა სისხოს ნაწილაკების რაოდენობრივი თანაფარდობა ანუ გრუნტის პირველადი ნაწილაკების პროცენტული წონითი შემცველობა.

გრუნტის დამაგრება (ground fixing, закрепление грунта) – გრუნტისთვის გაუმჯობესებული ან ახალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მინიჭება მასში შემკვრელი მასალების შეყვანით.

გრუნტის დაჯდომა (sediment, ground осадка грунта) – შვეულად ქვევით მიმართული კუმუზითი დეფორმაცია, რომლის დროსაც გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები უმნიშვნელოდ იცვლება.

გრუნტის მდგრადობა (soil stability, устойчививость грунта) – გრუნტის ფიზიკური მდგომარეობის შენარჩუნება ხანგრძლივ პერიოდში.

გრუნტის სილიკატიზაცია (soil silicification, силикатизация грунта) – სუსტი გრუნტების გამაგრება სილიკატური ხსნარების (თხევადი მინა, ქლორკალციუმი) გრუნტში დაჭირხვნით.

გრუნტის სიმკვრივე (ground density, плотность грунта) – 1 м^3 გრუნტის მასა ბუნებრივ მდგომარეობაში, კგ/მ³.

გრუნტის სტაბილიზაცია (soil stabilization, стабилизация грунта) – გრუნტის თვისებების შეცვლა მისი დეფორმირებადობის შემცირებისა და სიმტკიცის გაზრდის მიზნით.

გრუნტის სტრუქტურა (ground texture, структура грунта) – გრუნტის კომპონენტების სივრცითი ორგანიზაცია, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური, გეომეტრიული და ენერგეტიკული ნიშნების ერთობლიობითა და განსაზღვრული გრუნტის კომპონენტების შედგენილობით, რაოდენობრივი თანაფარდობითა და ურთიერთმოქმედებით.

გრუნტის ტენიანობა (soil moisture, влажность грунта) – გრუნტში არსებული წყლის მასის ფარდობა გრუნტის მყარი ნაწილაკების მასასთან. გამოისახება პროცენტობით.

გრუნტის ტექსტურა (ground texture, текстура грунта) – გრუნტის შემადგენელი ელემენტების სივრცითი განლაგება (ფენიანობა, ბზარიანობა და სხვ.).

გრუნტის ფილტრაციის კოეფიციენტი (soil filtration coefficient, коэффициент фильтрации грунта) – წყალშეუღწევადობის მაჩვენებელი, რომელიც ტოლია წყლის ფილტრაციის სიჩქარისა (მ/დღ) გრუნტში ერთის ტოლი ნაკადური გრადიენტის დროს.

გრუნტის შეჭიდულობა (ground cohesion, сцепление грунта) – კავშირი გრუნტის ნაწილაკებს შორის, რომელსაც იწვევს მიზიდულობის მოლეკულური ძალები.

გრუნტის წყალი (ground water, грунтовая вода) – ხმელეთის ზედაპირის ქვეშ არსებული პირველი უახლოესი, უდაწნეო წყლიანი ჰორიზონტი.

გრუნტმცოდნეობა (soil science, грунтоведение) – საინჟინრო გეოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის გრუნტების სხვადასხვა გენეტიკური ტიპების შედგენილობას, მათ აღნაგობასა და ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს სამშენებლო საქმეში გამოყენების თვალსაზრისით.

გრუნტული რეპერი (ground benchmark, грунтовы́й репер) – სანიველირო რეპერი, რომლის ფუძე თავსდება გაყინვის სიღრმის, ლღობის ან გრუნტის გადანაცვლების დონის ქვევით და როგორც სიმადლის გეოდეზიური საფუძველი, ემსახურება გეოდეზიური ქსელის შექმნას.

გუდრონატორი (asphalt distributor, гудронозатор) – ხელის, მისაბმელი ან თვითმავალი მანქანა ბიტუმისა და კუპრის ტრანსპორტირებისა და განაწილებისათვის გზების მშენებლობისა და რემონ-

ტის დროს.

გუდრონი (goodron, гудрон) – ბლანტი სითხე ან მყარი ასფალტისებრი შავი პროდუქტი, რომელიც რჩება ნავთობისგან სათბობი და საზეთი ფრაქციების გამოხდის შედეგად.

გუმბათი (dome, купол) – გადახურვის სივრცითი მზიდი კონსტრუქცია, რომელიც ფორმით ახლოსაა ნახევარსფეროსთან ან მრუდის (ელიფსი, პარაბოლა და სხვ.) ბრუნვით ზედაპირთან.

გურზი (mace, булава) – ტევადობის შიგნით მოთავსებული ვიბრატორის ბუნიკი ბეტონის ნარევის შემკვრივებისათვის.

დაარმირება (reinforcing, reinforcement, армирование) – მასალის ან კონსტრუქციის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაძლიერება სხვა უფრო მაგარი მასალით (მაგ.: ბეტონის ნაკეთობის გაძლიერება ფოლადის არმატურით; დაწებებული ხის კოჭის გაძლიერება მინაპლასტიკის არმატურითა და სხვ.).

დაბალანსება (balancing, балансировка) – მანქანების მბრუნავი ნაწილების გაწონასწორება დებალანსის აღმოსაფხვრელად.

დაბალასტება (ballasting, балластировка) – რკინიგზის ხაზზე ბალასტის ჩაწყობაზე, გამოცვლასა და რემონტზე გაწეული სამუშაოები, რომელიც ხელს უწყობს რკინიგზის ლიანდაგისა და მოძრავი შედგენილობის შენახვას.

დაბეტონება (concreting, бетонирование) – ტექნოლოგიური პროცესი ნარევის მიღებიდან ბეტონის ნაკეთობის საპროექტო სიმტკიცის მიღებამდე (ციკლი: განაწილება, ჩაწყობა, გამკვრივება).

დაბეტონება წყალქვეშ (concreting under water, бетонирование под водой) – ბეტონის სამუშაოების წარმოების პროცესი, რომლის დროსაც ნარევი მიეწოდება წყალქვეშ.

დაგეგმარება (layout, планировка) – შენობათა განლაგება განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

დაგეგმარება ანფილადური (enfilade layout, анфиладная планировка) – ურთიერთდაკავშირებული სათავსების განლაგება თანამიმდევრობით ერთ ღერძზე, ერთმანეთის წინ მდებარე ოთახების კარის სიმეტრიული მდებარეობით.

დაგეგმარება ღერეფნული (corridor layout, коридорная планировка) – სათავსების განლაგების არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სქემა ღერეფნის ერთ ან ორივე მხარეზე.

დაგეგმარება მოქნილი (flexible layout, гибкая планировка) – დაგეგმარების სქემა, რომელიც ითვალისწინებს ზომების

ტრანსფორმაციას, ურთიერთგანლაგებას, ცალკეული სათავსების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ კონფიგურაციას, განპირობებულს ფუნქციური მოთხოვნებით.

დაგეგმარება ტერიტორიული (territorial planning, территориальное планирование) – სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დადგენილების მომზადება გარკვეულ ტერიტორიაზე სახელმწიფო დანიშნულების ობიექტების განთავსების თაობაზე.

დაგეგმარება ურბანული (urban planning, урбанное планирование) – აგლომერაციის, ქალაქისა თუ თემის სივრცითი მოწყობა (თანაცხოვრება).

დაგეგმარება ცენტრალური (central planning, центральное планирование) – დაგეგმარების სქემა, რომელიც ითვალისწინებს დიდი მთავარი შენობის არსებობას, რომლის ირგვლივ განლაგდება მცირე ზომის დამხმარე სათავსები.

დაგეგმვა (planning, планирование) – სამეურნეო-ორგანიზაციული დონის ძიებების განხორციელების ძირითადი მეთოდი, რომელიც მოიცავს თვით გეგმის შემუშავებას, მისი განხორციელების ორგანიზაციასა და შესრულების კონტროლს.

დაკრანება (shielding, экранирование) – ადამიანების, ხელსაწყოების დაცვა გარეშე მავნე ზემოქმედებისაგან (მაგ.: ელექტრული და მაგნიტური ველებისგან, რადიოაქტიური გამოსხივებისგან, ხმაურისა და ვიბრაციისაგან და მისთ.).

დაზიანება (damage, порча) – 1. კონსტრუქციის დეფექტი, რომელიც ხელს არ უშლის მუშაობის უნარის შენარჩუნებას; 2. ნაკეთობის წესიერულობის დარღვევა.

დათაკრება (დამტაბელება) (stacking, штабелирование) – მასალის, ნაკეთობების ან ნახვარფაბრიკატების თაკრე-

ბად (შტაბელუბად) დალაგება (დაწყობა).

დათვალიერება (inspection, осмотр) – ზედამხედველობა და კონტროლი შენობის ელემენტების საექსპლუატაციო პარამეტრებზე.

დათვალიერება პერიოდული (periodic inspection, периодический осмотр) – რაიმეს დათვალიერება-გასინჯვა დროის გარკვეულ პერიოდში.

დათვალიერება ტექნიკური (technical inspection, технический осмотр) – ტექნიკური საშუალებების გამოყენებით რაიმეს დათვალიერება მისი ტექნიკური ვარგისობის დადგენის მიზნით.

დაკვალვა (precipitation, разбивка) – დაპროექტებული სამშენებლო ობიექტის გეომეტრიული ზომებისა და ნიშნულების ნატურაში გადასატანად განხორციელებული გეოდეზიური სამუშაოები.

დაკვალვა ნაგებობისა (construction breakdown, разбивка сооружения) – ნახაზიდან ნაგებობის აგების ადგილზე ძირითადი ღერძების, ზომებისა და ვერტიკალური ნიშნულების გადატანა, წარმოებული გეოდეზიური და სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით.

დაკვირვება (observation, наблюдение) – საგნების, მოვლენების, ზემოქმედების მიზანმიმართული აღქმა.

დაკონსერვება (canning, консервация) – მასალის, ნაკეთობის, შენობის გარკვეული დროით შენახვის პროცესი, რაც განპირობებულია თვისებების გაუმჯობესების ან შენარჩუნების მიზნით, აგრეთვე ფინანსური ხელმოკლეობით, სტიქიური უბედურებით, საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირებით, იურიდიული შეუსაბამობითა და სხვ.

დაკრონი (dacron, дакрон) – 1. ამერიკული ხელოვნური ბოჭკო; 2. იგივეა, რაც ლავსანი.

დაკუთხვა (cutting, нарезка) – 1. კუთხვილის მოჭრა ჭანჭიკზე, ღეროზე, წკირსა და მისთ.; 2. ამონაჭრების გაკეთება ხის

დეტალების შესაერთებლად (ხის შენობების, გემებისა და მისთ. ასაგებად).

დალამვა (salting sandfilling; заилиение, заиление) – შეწონილი ნატანის დალექვა ტბებში, წყალსაცავებში და სარწყავი (სამრობი) არხების ტრასებზე.

დალექვა (precipitation, осождение) – თხევადი დისპერსიული სისტემის (ჰიდრონარევი, სუსპენზია, ემულსია) დაყოფა ფაზებად მიზიდულობის ძალის მოქმედებით.

დალითონება (metallization, металлизация) – ნაკეთობის ზედაპირის დაფარვა ლითონის ან შენადნობის ფენით მისთვის ძირითადი მასალის განსხვავებული ფიზიკური, ქიმიური ან მექანიკური თვისებების მინიჭების მიზნით.

დამზღვევი ბაგირი (safety cable, предохранительный трос) – ბაგირი, რომელიც ემსახურება სიმაღლიდან ვარდნის უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებას; დამცავი საშუალება.

დამოწმება (the confirmation, подтверждение) – პროცედურა, რომელიც მოიცავს გაზომვის საშუალების გარეგან დათვალიერებას, დამოწმების ნიშნის დატანასა და დამოწმების მოწმობის გაცემას, რომელიც ადასტურებს, რომ გაზომვის საშუალება შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

დამცავი ქამარი (protective belt, защитный ремень) – ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც მაგრდება ადამიანის ტანზე და გამოიყენება ავტონომიურად ან დაცვის სხვა საშუალებებთან ერთად ადამიანის სიმაღლიდან ჩამოვარდნის საწინააღმდეგოდ, აგრეთვე სავარიო სიტუაციებში მისი საშიში ზონიდან ევაკუაციისათვის.

დამცავი შემოღობვა (protective fence, защитное ограждение) – ძაბვის ქვეშე მყოფ ნაწილებთან შეხების შემზღვეველი შემოღობვა.

დამცავი ჩამიწება (protective earth, защитное заземление) – შეხების ძაბვის

შემცირების მიზნით ელექტროდანადგარის ლითონის იმ ნაწილების წინასწარგანზრახული ჩამიწება, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ ძაბვის ქვეშ.

დამცველი (მცველი) (fuse; предохранитель, защитник) – მოწყობილობა, რომელიც იცავს მექანიზმს, დანადგარს, ძრავას გადატვირთვისაგან (მაგ., ქურო, ნახევარქურო, სარქველი, ზამბარა, ამორტიზატორი, ჩამკეტი ფარი და სხვ.).

დამხმარე მასალები (auxiliary materials, вспомогательные материалы) – მასალები, რომლებიც აუცილებელია წარმოების პროცესში, მაგრამ ნივთიერი ფორმით არ შედის საბოლოო პროდუქტის შედგენილობაში.

დამხმარე მოსამსახურე (auxiliary employee, вспомогательный служащий) – ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე.

დამხმარე ნაგებობანი (auxiliary facilities, вспомогательные сооружения) – სამრეწველო საწარმოს სათავსები, სადაც განლაგებულია ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ტექნიკური სამსახურები, აგრეთვე მომუშავეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

დამხმარე ტექნიკური საშუალებები (auxiliary technical means, вспомогательные технические средства) – ხარაჩოები, სამონტაჟო მანქანები, ტრავერსები, ჩასაბმელები, ყალიბები, ქარგილები, აფურვილობა და სხვ., რომელიც ხელს უწყობს ძირითადი სამუშაოების წარმოებას.

დანგრევა (დარღვევა, რღვევა) (destruction, разрушение) – 1. მასალის მთლიანობის დარღვევა, რომლის დროსაც წყდება დრეკადი და პლასტიკური დეფორმაციების პროცესი; 2. სამშენებლო კონსტრუქციების ან ტექნოლოგიური სისტემის ცალკეული ელემენტების გეომეტრიული ზომების ცვლილება ძალე-

რი, თერმული ან სხვა სახის ზემოქმედებით, რასაც თან სდევს ობიექტის მზიდუნარიანობის დაკარგვა; 3. კონსტრუქციაში ბზარების განსნის კინეტიკური პროცესი გარე ან შიგა ძაბვების მოქმედების შედეგად, რომელიც სრულდება ნაკეთობის მთლიანობის დარღვევით.

დაპროგრამება (programming, программирование) – პროგრამის შედგენის პროცესი, რომელიც რეალიზდება მოცემული ალგორითმის ეგმ-ზე ან კომპიუტერზე.

დაპროექტება [design(ing), проектирование] – კომპლექსური ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, რომელიც შეიცავს ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, ნახაზებს, გაანგარიშებებს, მაკეტებს, კალკულაციას, განმარტებით ბარათსა და სხვა მასალებს, რაც საჭიროა ნაკეთობის დასამზადებლად.

დაპროექტების ერთიანი ნორმები (common design norms, единые нормы проектирования) – სათავო საპროექტო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ნორმები (შეთანხმებული ქვეყნის მთავრობასთან), რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველა საპროექტო სამუშაოს შესრულებისას.

დარაბა (shutter, ставень) – მერქნის, პლასტმასის ან ლითონის დასაკეცი კონსტრუქცია ფანჯარაზე ან კარზე ასაფარებლად.

დარბაზი (hall, зал) – 1. ძვ. ტაძარი (VIII-XI საუკ.), სრა (XI საუკუნიდან), სასახლე (XV საუკუნიდან), "სამეფო დიდი სახლი" (საბა); 2. ქართული საცხოვრებელი სახლის სახეობა, რომლის გადახურვა დედაბოძზე დაყრდნობილი გუმბათისებრი კონსტრუქციაა.

დარტყმა (blow, impact, stroke, hit, shok; удар) – ბიძგი, სხეულების ხანმოკლე ურთიერთქმედება, რომლის დროსაც ხდება კინეტიკური ენერჯის გადანაწილება.

დარტყმა დინამიკური (dynamic impact,

динамический удар) – დარტყმის პროცესი, რომელიც დინამიკური ძალის ზემოქმედებისას წარმოიქმნება.

დარტყმა ექსცენტრული (eccentric impact, эксцентричный удар) – დარტყმა, როდესაც დარტყმის ნორმალი არ გადის სხეულთა მასების ცენტრებზე.

დარტყმამდეგობა (impact resistance, ударостойкость) – მასალის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს დარტყმის მოქმედებას, ე.ი. იქონიოს დარტყმითი სიბლანტე.

დარტყმა პირდაპირი და არაპირდაპირი (direct and indirect strikes, прямые и не прямые удары) – დარტყმა პირდაპირია, თუ სხეულთა მასის ცენტრის ფარდობითი სიჩქარე მიმართულია დარტყმის ნორმალის გასწვრივ, საწინააღმდეგო შემთხვევაში დარტყმა არაპირაპირია.

დარტყმა ცენტრალური (central impact, центральный удар) – დარტყმა, რომლის ნორმალი გადის სხეულის მასის ცენტრზე.

დარტყმა ჰიდრავლიკური (hydraulic impact, гидравлический удар) – დარტყმა, რომელიც მოძრავი სითხის უცაბედი შეჩერების შედეგად წარმოიქმნება და მოძრავი სითხის მასისა და მოძრაობის სიჩქარის პირდაპირპროპორციულია.

დარტყმითი სიბლანტე (impact strength, ударная вязкость) – მასალის უნარი, ჩააქროს მექანიკური ენერგია დეფორმაციისა და რღვევის პროცესში დარტყმითი დატვირთვის დროს.

დარტყმითი ტალღა (shock wave, ударная волна) – ტალღა, რომელიც წარმოიქმნება საომარი მასალების ან ტექნიკური აფეთქებისას (ქვაბის, აირსაღენის, საშიში ტვირთის და სხვ.), აგრეთვე მიწისძვრისას სეისმური ტალღების ზემოქმედებით.

დარტყმის დრო (დარტყმის ხანგრძლივობა) (stroke duration, продолжительность удара) – დროის მცირე შუალედი, რომლის განმავლობაშიც ხდება დარ-

ტყმა.

დარტყმის იმპულსი (shock impulse, ударный импульс) – დარტყმის დროს თითოეულ შემჯახებელ სხეულზე მოქმედი დარტყმითი ძალის იმპულსი.

დარტყმის ნორმალი (impact normal, нормаль удара) – დასარტყმელი სხეულების შეხების მომენტში მათი ზედაპირების საერთო ნორმალი, რომელიც გადის შეხების წერტილში.

დარტყმის ფაზა (impact phase, фаза удара) – დარტყმის პირველი ფაზა – დროის შუალედი, როცა დარტყმის ძალები იზრდება; დარტყმის მეორე ფაზა – დროის შუალედი, როცა დარტყმის ძალები მცირდება ნულამდე.

დარტყმის ცენტრი (impact center, центр удара) – მყარი ტანის წერტილი, რომელსაც აქვს უძრავი ბრუნვის ღერძი და ისეთი თვისებები, როგორც ამ წერტილის მართობული სიბრტყისადმი მიმართულ დარტყმას, რომელიც გადის ბრუნვისა და ინერციის ცენტრზე, არ გადაეცემა ღერძს და არ ახდენს დარტყმით ზემოქმედებას საკისრებზე, რომელზეც ეს ღერძია მიმაგრებული.

დარტყმის ძალის იმპულსი (impact force momentum, импульс ударной силы) – რეაქციის ძალის იმპულსი.

დარღვევა (დაშლა) (destruction, разрушение) – შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მთლიანობის ხელყოფა, დანაწევრება, ჩამოშლა, დემონტაჟი.

დასაშვები ძაბვა (allowable voltage, допустимое напряжение) – ძაბვის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება ელემენტმა მისი ექსპლოატაციის პირობებში უსაფრთხოდ აიტანოს.

დასახლება (resettlement, расселение) – განსახლების განსხვავებული ფორმების (ტიპების) საერთო სახელწოდება (ქალაქი, დაბა, თემი, სოფელი).

დასახლებათა განვითარება (settlement development, развитие расселения) – დასახლებათა (ქალაქის, დაბის, სოფლის)

ტერიტორიის ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესი ან მართვა, რომელიც აისახება ქალაქმშენებლობითი დაგეგმარების დოკუმენტებში.

დასახლებული ტერიტორია (populated area, населенная территория) – ტერიტორიის ნაწილი, სადაც განთავსებულია საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, ბალები, პარკები და სკვერები, მაგრამ არ არის სამრეწველო საწარმოები.

დასკდომა (cracking, растрескивание) – ბზარების გაჩენა მასალაში ან ნაკეთობაში გარე ძალების გავლენით ან შიგა ძაბვების ზემოქმედებით.

დატერასება (terracing, террасирование) – ფერდობის ზედაპირის ხელოვნური შეცვლა სასოფლო-სამეურნეო და ტყის კულტურების უკეთ გამოყენებისა და ეროზიასთან ბრძოლის მიზნით.

დატვირთვა (load, нагрузка) – 1. გარკვეული სიდიდისა და მიმართულების მექანიკური ზემოქმედება, რომელიც იწვევს შენობისა და ნაგებობის კონსტრუქციებში დაძაბულ-დეფორმირებულ ცვლილებებს; 2. განსახილველ სხეულზე მოქმედი აქტიური გარე ძალების ერთობლიობა, რაიმეს ზემოქმედება, დატვირთვის პროცესი (მაგ., სახურავის დატვირთვა თოვლით, ელექტროქსელის დატვირთვა ძაბვით, ბაგირის დატვირთვა გამჭიმვი ძალითა და ა.შ.).

დატვირთვა განსაკუთრებული (special load, особая нагрузка) – დატვირთვა, რომელიც ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში, როგორც წესი, არ მოქმედებს, მაგრამ შესაძლებელია იმოქმედოს განსაკუთრებულ პირობებში.

დატვირთვა დინამიკური (dynamic load, динамическая нагрузка) – სიდიდით, მდებარეობითა და მიმართულებით სწრაფად ცვლადი დატვირთვა, რომელიც კონსტრუქციას გადაეცემა მოძრავი

ტრანსპორტის, ქარის დაწოლის, სეისმური, ინერციული, ცენტრიდანული დარტყმების და სხვ. მსგავსი ზემოქმედებისაგან.

დატვირთვა დროებითი (live load, временная нагрузка) – დატვირთვა, რომელიც ნაგებობის მშენებლობის ან ექსპლუატაციის ზოგიერთ პერიოდში არ მოქმედებს.

დატვირთვა ელექტრონიკული (electronic load, электронная нагрузка) – ძალა, რომელიც რეალურად მიეწოდება მომხმარებელს (მიმღებს) ენერჯის წყაროდ.

დატვირთვა უღვრული (ultimate load, предельная нагрузка) – დატვირთვა, რომელიც შეესაბამება კონსტრუქციის ერთ-ერთ უღვრულ მდგომარეობას.

დატვირთვა თანაბრად განაწილებული (uniformly distributed load, равномерно распределенная нагрузка) – მუდმივი ინტენსივობის განაწილებული დატვირთვა ერთეული სიგრძის (ფართობის) ზედაპირზე.

დატვირთვა თბური (thermal load, тепловая нагрузка) – სითბოს რაოდენობა, რომელიც აკუმულირდება ხანძრის დროს სამშენებლო კონსტრუქციის 1 მ² ზედაპირზე.

დატვირთვა თოვლის ნორმატიული (normative snow load, нормативная снеговая нагрузка) – მიიღება მშენებლობის კლიმატური რაიონის მიხედვით და დამოკიდებულია თოვლის საფარის წონაზე გადახურვის ჰორიზონტალური პროექციის 1 მ²-ზე.

დატვირთვა თოვლის საანგარიშო (design snow load, расчетная снеговая нагрузка) – მიიღება თოვლის ნორმატიული მნიშვნელობის გადამრავლებით დატვირთვის საიმედოობის კოეფიციენტზე.

დატვირთვა კრიტიკული (critical load, критическая нагрузка) – სამშენებლო მექანიკაში – დატვირთვა, რომლის დროს

დეფორმირებადი სისტემა (ღერო, ფირფიტა, გარსი და ა.შ.) კარგავს მდგრადობას.

დატვირთვა ლიპყინულისა (ice load, го-лоледная нагрузка) – ელექტროგადაცემი და საჰაერო ხაზების სადენებზე, შენობის სახურავის შვერილებზე, პარაპეტებზე, ლავარდნებზე, ბაგირებზე, ვანტებზე, ხიდის ვაკისებზე, ელექტროფიცირებული ტრანსპორტის საკონტაქტო ქსელებზე, ანტენებსა და სხვ. ელემენტებზე, დაბალი ტემპერატურის მოქმედებით გაჩენილი ყინულის მასის წონა.

დატვირთვა მოძრავი (mobile load, передвижная нагрузка) – სამშენებლო მექანიკაში, დატვირთვა, რომლის მოდების ადგილი და მოქმედების მიმართულება შესაძლოა შეიცვალოს ნაგებობის ექსპლუატაციისას (მაგ., მოძრავი მატარებლის წონა ხიდის მალის ნაშენზე).

დატვირთვა მუდმივი (constant load, постоянная нагрузка) – დატვირთვა, რომელიც მისი ნორმატიული ან სხვა უფრო მაღალი მნიშვნელობისას, ნაგებობის მშენებლობის ან ექსპლუატაციის პირობებში მოქმედებს მუდმივად.

დატვირთვა ნორმატიული (normative load, нормативная нагрузка) – ნაგებობაზე მისი ნორმალური ექსპლუატაციის დროს მოქმედი დატვირთვის მაქსიმალური მნიშვნელობა.

დატვირთვა პარაბოლური (parabolic load, параболическая нагрузка) – დატვირთვა, რომლის ეპიურასაც აქვს პარაბოლის ფორმა.

დატვირთვა რადიალური (radial load, радиальная нагрузка) – რადიუსის გასწვრივ მოქმედი დატვირთვა (გამოიყენება ძალთა სისტემაში, რომელიც განიხილება პოლარულ, სფერულ ან ცილინდრულ კოორდინატებში).

დატვირთვა საანგარიშო (design load, расчетная нагрузка) – სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული (ნორმატიული) დატვირთვის სიდიდე, გამრავლე-

ბული საიმედოობის შესაბამის კოეფიციენტზე.

დატვირთვა სამკუთხა (triangular load, треугольная нагрузка) – დატვირთვა, რომლის ეპიურასაც აქვს სამკუთხედის ფორმა.

დატვირთვა სამშენებლო (building load, строительная нагрузка) – ძალის მოქმედება, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციების დეფორმაციას.

დატვირთვა სასარგებლო (payload, полезная нагрузка) – კონსტრუქციაზე მოქმედი დატვირთვა ამ კონსტრუქციის საკუთარი წონის გამოკლებით.

დატვირთვა სახანძრო (fire load, пожарная нагрузка) – სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა ხანძრისას წვის ზედაპირის ერთეული ფართობიდან დროის ერთეულ მონაკვეთში.

დატვირთვა სეისმური (seismic load, сейсмическая нагрузка) – ინერციული ძალა, რომელიც წარმოიქმნება მიწისძვრისას გრუნტების სეისმური რხევებით.

დატვირთვა სტატიკური (static load, статическая нагрузка) – მუდმივად მოქმედი ან დროში ნელა ცვალებადი დატვირთვის სახეობა.

დატვირთვა ტემპერატურული (temperature load, температурная нагрузка) – კლიმატური ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი დატვირთვა.

დატვირთვა ტრაპეციისებრი (trapezoidal load, трапециевидная нагрузка) – დატვირთვა, რომლის ეპიურასაც აქვს ტრაპეციის ფორმა.

დატვირთვა უწყვეტი (continuous load, непрерывная нагрузка) – რაიმე სიგრძეზე ან ფართობზე მოდებული მუდმივ-მოქმედი დატვირთვა, რომლის ინტენსივობა ამ სიგრძეზე ან ფართობზე შეიძლება იყოს მუდმივი ან ცვლადი.

დატვირთვა ქარისა (wind load, ветровая нагрузка) – კონსტრუქციაზე ან მის კომპონენტზე პირობითი კლიმატური ზემოქმედების ერთ-ერთი სახე. აქვს აქტი-

ური (დაწოლა) და პასიური (გამწოვი) ეფექტები.

დატვირთვა ქარის ნორმატიული (normative wind load, нормативная ветровая нагрузка) – დატვირთვა, რომელიც დამოკიდებულია ქარის ნორმატიულ დაწნევაზე, აეროდინამიკურ კოეფიციენტსა და შენობის სიმაღლის გავლენის კოეფიციენტზე.

დატვირთვა ქარის საანგარიშო (design wind load, расчетная ветровая нагрузка) – ქარის ნორმატიული დატვირთვის მნიშვნელობის დატვირთვის საიმედოობის კოეფიციენტზე გადამრავლებით მიღებული სიდიდე.

დატვირთვა ღერძული (axle load, нагрузка на ось) – ღეროს ღერძის გასწვრივ მიმართული დატვირთვა.

დატვირთვა შეყურსული (concentrated load, сосредоточная нагрузка) – გადახურვის, სახურავის, კიბისა და აივნის მზიდ ელემენტებზე მოქმედი, პირობით შეყურსული, ვერტიკალური დატვირთვა, რომელიც მოდებულია ელემენტის ყველაზე არახელსაყრელი ადგილის ერთეულ ფართობზე გვერდის ზომით 10 სმ (თუ სხვა რაიმე სახის დროებითი დატვირთვა არ მოქმედებს).

დატვირთვა ჰიდრაულიკური ჩამდინარი წყლებისა (sewage hydraulic load, гидравлическая нагрузка сточных вод) – ჩამდინარი წყლების მოცულობა, რომელიც გაედინება დროის ერთეულში, მიკუთვნიებული საწმენდი ნაგებობის ზედაპირის ერთეულს ან მოცულობას.

დატვირთვების შეხამება (combination of loads, сочетание нагрузок) – კონსტრუქციებისა და ნაგებობების ექსპლუატაციის დროს, შერჩევითად, რამდენიმე სახის დატვირთვის ერთდროული ზემოქმედება.

დატვირთვის ეპიურა (load diagram, эпюра нагрузки) – დატვირთვის ინტენსივობის გრაფიკი, როგორც სხეულის წერტილის მდებარეობის განმსაზღვრელი

კოორდინატის ფუნქცია.

დატვირთვის ინტენსივობა (კუთრი დატვირთვა) (load intensity, интенсивность нагрузки) – უწყვეტი დატვირთვა, რომელიც მოქმედებს სიგრძის ან ფართობის ერთეულზე.

დატვირთვის ცენტრი (load center, центр нагрузки) – ღეროს განივი კვეთის წერტილი, რომელზეც გადის ღეროს ჩამოცილებულ ნაწილზე მოქმედი გარე ძალების ტოლქმედის ფუძე.

დატვირთვის ხანგრძლივობის კოეფიციენტი (load duration factor, коэффициент длительности действия нагрузки) – დატვირთვის მოქმედების საანგარიშო დროზე დამოკიდებული კოეფიციენტი.

დატკეპნა (rolling; укатка, утрамбовка) – გრუნტის მოსწორება სატკეპნი მანქანით.

დაუმთავრებელი მშენებლობა (construction in progress, незавершенное строительство) – სამშენებლო ობიექტი, რომელიც მიღებული არ არის ექსპლუატაციაში განსაზღვრულ დროს.

დაფარული სამუშაოები (hidden works, скрытые работы) – სამუშაოები, რომელთა ფაქტობრივი შემოწმება ობიექტის მიმდებ კომისიას არ შეუძლია, რადგან იგი დასრულებულ მდგომარეობაში სხვა მასალით ან გრუნტით არის დაფარული (მაგ., ბეტონში ჩადებული არმატურა, კოჭის ფარული დაარმატურება, საძირკვლის ჰიდროიზოლაცია და სხვ.).

დაფქვა (grinding, помол) – წარმოებაში ცემენტის, კირის, თაბაშირის, კერამიკული ნაკეთობებისა და სხვ. საჭირო მასალის დაქუცმაცება მილიმეტრის მეთაღზე ნაკლები ზომის ნაწილაკებად.

დაფქვის სიწმინდე (grinding purity, чистота помола) – მასალის ნაწილაკების სიდიდე დაფქვის შემდეგ.

დაშენება (superstructure, надстройка) – შენობის რეკონსტრუქციის სახე, რომელიც ითვალისწინებს არსებულ

შენობაზე ერთი ან რამდენიმე დამატებითი სართულის მოწყობას.

დამშრობა (drainage, осушение) – სამეურნეო საქმიანობის მიზნით წყლის საზიანო ზემოქმედების აცილება ან ლიკვიდაცია. ხორციელდება დასაშრობი და სარინი არხებისა და დრენაჟების მოწყობით.

დაცენტრება (centering, центрирование) – ნამზადის ცენტრალური ხვრელის დამუშავების სახე მისი შემდგომი მექანიკური დამუშავებისათვის ცენტრალურ ნაწილში.

დაცვა (protection; защита, предохранение) – საშენი მასალების ან კონსტრუქციების იზოლირება მავნე გარემო ფაქტორების ზემოქმედებისაგან (მაგ., კოროზიისაგან დაცვა, ხანძრისაგან დაცვა და სხვ.).

დაციტი (dacite, дацит) – კვარცული ანდეზიტი.

დაცული კონსტრუქციები (protected structures, защищенные конструкции) – სამშენებლო კონსტრუქციები, რომელთათვის, ხანძრის მოქმედების პირობებში, მიღებულია ზომები ზედაპირზე ტემპერატურის შესამცირებლად, რათა გამოირიცხოს ან შეჩერდეს დანახშირების პროცესი.

დაცული ჭიშკარი (protected gate, защищенная ворота) – უსაფრთხოების ვესტიბული ორი ან მეტი კარით ან ჭიშკრით, რომლის დანიშნულებაცაა, შეაფერხოს უწყვეტად და დაუბრკოლებლად გასვლა და ამის გამო ერთ ჯერზე იღება მხოლოდ ერთი კარი ან ჭიშკარი.

დაძაბული მდგომარეობა (tense state, напряженное состояние) – ნივთიერი სხეულის მდგომარეობა, რომელიც ამ სხეულის ყოველ წერტილში განისაზღვრება ძაბვის ტენზორით.

დაძაბული მდგომარეობა არაერთგვაროვანი (inhomogeneous stress state, неоднородное напряженное состояние) – დაძაბული მდგომარეობა, რომლის კომ-

პონენტები სხეულის წერტილების კოორდინატთა ფუნქციაა.

დაძაბული მდგომარეობა ბრტყელი (plane stress state, плоское напряженное состояние) – ორდერდა დაძაბული მდგომარეობა, რომლის დროსაც მოცემული სიბრტყის (რომელსაც ძაბვის სიბრტყე ეწოდება) პარალელურ ყველა კვეთაში ძაბვა ნულის ტოლია.

დაძაბული მდგომარეობა ერთგვაროვანი (uniform stress state, однородное напряженное состояние) – დაძაბული მდგომარეობა, რომელიც სხეულის ყოველ წერტილში განისაზღვრება ერთი და იმავე კომპონენტებით (კოორდინატთა მართკუთხა სისტემაში).

დაძაბული მდგომარეობა სივრცითი (spatial stress state, пространственное напряженное состояние) – სამდერდა დაძაბული მდგომარეობა, რომლის დროსაც სამი მთავარი ძაბვიდან თითოეული არ უდრის ნულს.

დაძაბული მდგომარეობა წრფივი (linear stress state, линейное напряженное состояние) – ერთდერდა დაძაბული მდგომარეობა, რომელიც იქმნება მოცემული დერძის გასწვრივ მარტივი გაჭიმვისას ან კუმშვისას.

დაძაბულობა (tension, напряженность) – კონსტრუქციის (ელემენტის) მექანიკური მდგომარეობა, როდესაც მასში აღძრულია გარეგანი ზემოქმედებით გამოწვეული შინაგანი დეფორმაციის ძალები.

დაძველება (ageing, старение) – ასაკის მატება რამისთვის.

დაძველება ლითონისა (metal aging, старение металла) – ლითონებისა და შენადნობების თვისებების შეცვლა, რომელიც მიმდინარეობს თავისთავად, მათი დაყოვნებისას ხანგრძლივად ოთახის ტემპერატურაზე (ბუნებრივი დაძველება) ან მათი გახურებით (ხელოვნური დაძველება).

დაძველება მასალისა (material aging, старение материала) – მასალის ფიზი-

კურ-მექანიკური თვისებების, სტრუქტურის ან ქიმიური შედგენილობის შეცვლა დროში გარემოს ზემოქმედებით (მზის გამოსხივება, ჰაერის ჟანგბადი, მაღალი ტემპერატურა და სხვ.).

დაწებებული კოჭი (glued beam, клееная балка) – შეწებებული თხელი ფიცრების პაკეტი.

დაწებებული ძელი (glued laminated timber, клееный брус) – მზიდი კონსტრუქციული ელემენტი, დამზადებული ერთმანეთთან შეწებებული თხელი ფიცრებისაგან.

დაწნევა (head, напор) – დაწოლით ადრული ძალა (ორთქლის დაწნევა, გრუნტის დაწნევა, სითხის დაწნევა და სხვ.); ჰიდრაულიკაში – წრფივი სიდიდე, რომელიც გამოსახავს სითხის ნაკადის კუთრ (სითხის წონის ერთეულთან შეფარდებულ) ენერგიას მოცემულ წერტილში.

დაწნევა (pressing, прессование) – 1. რაიმეს მიღება, დამზადება დაწნეხით; 2. რაიმეს შემჭიდროების პროცესი.

დაწნევა ცივი (cold pressing, холодное прессование) – დაწნეხის პროცესი, როდესაც გამოიყენება ერთსართულიანი წნეხი ცივი ფილებით (მაგ., ავეჯის წარმოებაში დეკორატიული ქაღალდფენოვანი პლასტიკით დაფანერება).

დაწნევა ცხელი (hot pressing, горячее прессование) – დაწნეხის პროცესი, როდესაც წნეხის მუშა ორგანოები წინასწარ გაცხელებულია რეჟიმით გათვალისწინებულ ტემპერატურამდე.

დანრილი ბურღვა (inclined drilling, наклонное бурение) – წინასწარ განსაზღვრული, ვერტიკალიდან გადახრილი მიმართულებით ბურღვა.

დანრილი ნივნივები (layered rafters, наклонные стропила) – მცირემალიანი მარტივი ტიპის სახურავის მზიდი კონსტრუქცია.

დანრილობა (incline; наклон, наклонение; крутизна) – ვერტიკალურ და ჰორი-

ზონტალურ სიბრტყეებს შორის მახვილი კუთხით დახრილი ზედაპირი; ქანობი.

დაჯავშნა (მოჯავშნა) (booking, бронирование) – არსებული რესურსების, სახსრების ნაწილის შენახვა განსაკუთრებულ სიტუაციაში პიროვნებათა გარკვეული ჯგუფის მიერ მათი შემდგომი გამოყენებისათვის.

დაჯდომა (setting, осадка) – ძალის მოქმედების მიმართულებით კონსტრუქციის საყრდენის გადაადგილება.

დაჯდომადი მთის ქანები (sedimentary rocks, осадочные горные породы) – ქანები, წარმოქმნილი წყლიან გარემოში მიწერალური და ორგანული ნივთიერებების დალექვითა და შემდეგ გამკვრივებით.

დაჯდომის ნაკერი (sedimentary seam, осадочный шов) – ნაკერი, რომელიც შენობის ცალკეულ ნაწილებს – ნაკვეთურებს დამოუკიდებლად დაჯდომის საშუალებას აძლევს.

დგარი (post, стаяк) – რისამე საყრდენი ძელი.

დგარი წყალსადენისა (plumbing riser, водопроводный стаяк) – შვეული მილსადენი (ლითონის, უჟანგავი ლითონის, პლასტმასის) საცხოვრებელი, საზოგადოებრივი ან საწარმოო შენობის შიგნით, რომელიც გადის ყველა სართულში და გამოიყენება მომხმარებლისათვის წყლის (გაზის) მისაწოდებლად განშტოებების მეშვეობით.

დეაერატორი (deerator, деаэратор) – მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაცაა წყლის დეაერაცია (წყლისგან მასში გახსნილი აირების მოცილება).

დეამბულატორიუმი (deambulatory, деамбулаторий) – რომაულ და გოტიკურ სატიძრო არქიტექტურაში ნახევარწრიული გარშემოსავლელი გალერეა საკურთხევლის ირგვლივ, რომელიც იქმნება გვერდითი ნავების შვერილებით.

დეგაზაცია (degassing, дегазация) – მომ-

წამლავი ნივთიერებებით დაბინძურებული ადგილების, სათავსების, ტანსაცმლის გაუვნებლობა ან მომწამლავი ნივთიერების მოშორება სხვადასხვა ობიექტიდან (მაგ., შახტიდან); ხორციელდება ფიზიკური, მექანიკური და ქიმიური საშუალებებით.

დეველოპერი (developer, девелопер) – ინვესტორი, რომელიც ახორციელებს სამშენებლო ობიექტის ინვესტიციას მოგების მიღების მიზნით (გაყიდვა, არენდით გადაცემა და სხვ.).

დეველოპმენტი (უძრავი ქონების დეველოპმენტი, დეველოპინგი) (development, девелопмент) – სამეწარმეო საქმიანობა, დაკავშირებული უძრავი ქონების ობიექტის შექმნასთან, რეკონსტრუქციასთან, არსებული შენობის ან მიწის ნაკვეთის შეცვლასთან მათი საბაზრო დირეზულების გაზრდის მიზნით.

დეზინტეგრატორი (disintegrator, дезинтегратор) – წვრილი მსხვრევის სამსხვრევი მყიფე და აბრაზიული მასალების სათვის.

დეზინტეგრაცია (disintegration, дезинтеграция) – მთელის დაშლა, დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად.

დეკანტაცია (decantation, декантация) – სითხიდან ნალექის გამოყოფის ლაბორატორიული და ტექნიკური ხერხი; დაწოდება.

დეკინგი (decking, декинг) – ფილის მოდული ხის ზედაპირით, რომელსაც აგებენ სწორ იატაკზე.

დეკორატიული (decorative, декоративный) – ადგილის, შენობის, ნაკეთობის, რაიმე საგნის დამამშვენებელი, ეფექტური, ლამაზი რამ.

დეკორატიული მასალები (decorative materials, декоративные материалы) – შენობის შიგა მოპირკეთებისთვის გამოყენებული ყველა მასალა დეკორაციული, აკუსტიკური ან სხვა ეფექტების შესაქმნელად.

დეკორატიული ღორღი (ქვიშა) [decorative gravel, декоративный щебень (песок)] – მთის ქანების დამსხვრევითა და დანაწევრებით მიღებული ღორღი (ქვიშა), რომელსაც აქვს დეკორატიული თვისებები.

დეკორატიული ხელოვნება (decorative arts, декоративное искусство) – შენობის მხატვრულად მორთვა, გაფორმება და მისი შიგა დიზაინი (ფერწერა, მოზაიკა, ვიტრაჟები, ვიტრინები, მოჩუქურთმება, თევზა და სხვ.).

დეკორაცია (decoration, декорация) – შენობა-ნაგებობათა ინტერიერისა და ექსტერიერის, ასევე საყოფაცხოვრებო საგნებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობათა გაფორმება ფერწერულად ან არქიტექტურულად.

დეკორი (décor, декор) – შენობა-ნაგებობათა ფასადისა და ინტერიერის ან ნაკეთობის ზედაპირის მორთულობის (სამკაულების) სისტემა.

დემონტაჟი (dismantling, демонтаж) – შენობა-ნაგებობათა დაშლა (დანგრევა) ან კონსტრუქციების, ნაკეთობების, მოწყობილობების, დანადგარების, მანქანების დაშლა კვანძებად, ნაწილებად.

დემპფერი (damper, демпфер) – მოწყობილობა ან სამარჯვი, რომლის საშუალებით ხდება რხევის ენერჯის შთანთქმა, ჩახშობა, ასევე მექანიკური რხევების წარმოქმნის აცილება მანქანებისა და ხელსაწყოების მუშაობის დროს.

დემპფირება (damper, демпфирование) – მავნე რხევების ჩახშობა ან მათი ამპლიტუდის შემცირება დემპფერების გამოყენებით.

დენადობა (fluidity, текучесть) – 1. ტანის თვისება, მიიღოს პლასტიკური დეფორმაცია მექანიკური დაძაბულობის ზემოქმედებით; 2. ტანის თვისება, დატვირთვის მუდმივობის პირობებში ნელა განავითაროს პლასტიკური დეფორმაციის პროცესი.

დენადობის ზღვარი (yield point, предел текучести) – დაძაბულობა, რომლის დროსაც ხდება პლასტიკური დეფორმაციის სწრაფი ზრდა დაძაბულობის მცირე (შეუმჩნეველი) ზრდისას.

დენი (current, ток) – ნაკადი, მოძრაობა ერთი მიმართულებით. მისი ძირითადი სახეობაა ელექტროდენი, რომელიც თავის მხრივ იყოფა 8 ჯგუფად, ესაა: მუდმივი, ცვლადი, ერთფაზიანი, ორფაზიანი, სამფაზიანი, პულსირებული, მოხეტიალე და გრიგალური დენი.

დენი ელექტრული (electricity, электрический ток) – დამუხტული ნაწილაკების – ელექტრონების, იონების მოწესრიგებული, მიმართული მოძრაობა.

დენის ძალა (current strength, сила тока) – ფიზიკური სიდიდე, რომელიც გამტარის განიკვეთში დროის ერთეულში გასული მუხტის ტოლია. SI სისტემაში დენის ძალის ერთეულია ამპერი.

დენტიკულა (denticle, дентикул) – არქიტექტურული ნატენი, კარნიზის პატარა დეკორატიული მართკუთხა შვერილი კლასიკურ იონიურ და დორიულ ორდერებში.

დერეფანი (corridor, коридор) – გასასვლელთან მისადგომის შემომზღუდავი დახურული სივრცე (კომპონენტი), რომელიც განსაზღვრავს და უზრუნველყოფს გასასვლელისკენ სავალ გზას; 2. შენობის გრძელი გასასვლელი, ტალანი, კორიდორი.

დერივაცია (derivation, деривация) – ნაგებობათა ერთობლიობა, რომლის დანიშნულებაა წყლის გადაგება მდინარიდან, წყალსაცავიდან ან სხვა წყალსატევიდან ჰესის სადგურის კვანძის, სატუმბი სადგურისაკენ და ა.შ.

დერიკი (დერიკ-ამწე) (derrick, деррик) – ამწე, რომლის ირიბულა ბრუნავს ჰორიზონტალური ღერძის, ხოლო ჩარჩო – ვერტიკალური ღერძის გარშემო.

დეტალები სამშენებლო (building details, строительные детали) – ქვის, ხის, ლი-

თონის, რკ.ბ.-ის, პლასტმასის ან მინისგან დამზადებული მცირე ზომის ნაკეთობა, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში (მაგ., ბოძი, ფილა, ცალუდი, ჩუქურთმა, კარი, ფანჯარა და სხვ.).

დეტალების გაცვეთა (wear parts, износ деталей) – ცვეთის პროცესების შედეგი განსაზღვრულ, დადგენილ ერთეულებში (სიგრძე, მოცულობა, მასა და სხვ.), რომელიც გამოვლინდება მასალის მოცილების ან ნარჩენი დეფორმაციის სახით.

დეტალი (detail, деталь) – ნაკეთობა ან მისი ერთი მთლიანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც არ შეიძლება დაიშალოს უფრო მარტივ ნაწილებად (არმატურის ღერო, საყელური, ზამბარა, ფანჯრის თარო და სხვ.).

დეტალირება (განდეტალება) (detailing, детализация) – ნაკეთობის (მანქანის) საამწყობო ნახაზიდან ცალკეული დეტალების (ნაწილების) გამოყოფა (სპეციფიცირება) და გამონახვა მათი სამუშაო ნახაზის დამზადების მიზნით.

დეტერმინირება (determination, детерминация) – მოვლენათა ერთი ჯგუფის განსაზღვრა, განპირობება მოვლენათა სხვა ჯგუფით.

დეტონატორი (detonator, детонатор) – 1. ფეთქებადი ნივთიერება, რომელიც თავისი აფეთქებით იწვევს სხვა ფეთქებადი ნივთიერების მყისიერ აფეთქებას; 2. კაფსულა, ამნთები, რომელსაც იყენებენ აფეთქებისათვის.

დეტონაცია (detonation, детонация) – ფეთქებადი ნივთიერების მყისიერი აფეთქება, რაც გამოწვეულია სხვა ნივთიერების აფეთქებით ან დარტყმით.

დეფექტი (defect, дефект) – 1. კონსტრუქციის (მასალის) ნებისმიერი შეუსაბამობა დაპროექტების ნორმებთან, ტექნიკურ პირობებთან, პროექტთან; 2. საწარმოო წუნი, ზადი, ნაკლოვანება, ხარვეზი.

დეფექტოსკოპი (flaw detector, дефектос-

კონ) – მასალის (ნაკეთობის) მთლიანობის დარღვევის გარეშე ზედაპირული და შიგა დეფექტების დამდგენი ხელსაწყო.

დეფექტოსკოპია (defectoscopy, дефектоскопия) – არამრღვევი მეთოდები და საშუალებები, რომლებსაც იყენებენ მასალასა და ნაკეთობაში დეფექტების აღმოსაჩენად.

დეფორმაცია (deformation, деформация) – მყარი სხეულის წერტილების ურთიერთგანლაგების შეცვლა გარეშე ძალების ზემოქმედებით, რომლის დროსაც იცვლება მანძილი მათ შორის.

დეფორმაცია აქტიური (active deformation, деформация активная) – დეფორმაციის პროცესი, როცა დროის ყოველ მომენტში დაძაბულობისა და დეფორმაციის ინტენსივობა აჭარბებს დროის წინა მომენტში არსებულ მნიშვნელობას.

დეფორმაცია ბრტყელი (plane deformation, плоская деформация) – სხეულის დეფორმირებული მდგომარეობა, როდესაც სხეულის ყველა წერტილის გადაადგილება გარკვეული სიბრტყის პარალელურია.

დეფორმაცია გრენისა (torsional deformation, деформация кручения) – დეფორმაცია, რომელიც ვითარდება ერთი ბოლოთი ხისტად ჩამაგრებულ ღეროში, როდესაც ამ ღეროზე მოქმედებს გრძივი ღერძის მართობ სიბრტყეში მოქმედი პარალელური და ურთიერთმართობი მიმართულების ძალები.

დეფორმაცია დრეკად-პლასტიკური (elastic-plastic deformation, упругопластическая деформация) – სხეულის დრეკადი და ნარჩენი დეფორმაციების ერთობლიობა.

დეფორმაცია დრეკადი (elastic deformation, упругая деформация) – დეფორმაცია, რომელიც ისპობა მისი გამომწვევი დატვირთვის (გარე ძალების) მოხსნასთან ერთად.

დეფორმაცია ერთგვაროვანი (uniform

deformation, однородная деформация) – დეფორმაცია, რომლის დროსაც სხეულის ყველა წერტილის გადაადგილება წარმოიდგინება მისი კოორდინატების წრფივი ფუნქციის სახით.

დეფორმაცია მარტივი (simple deformation, простая деформация) – დეფორმაცია, რომლის დროსაც ღეროს კვეთში ექვსი ძალვიდან აღიძვრება მხოლოდ ერთი. მისი ძირითადი სახეებია: გაჭიმვა, კუმშვა, თელვა, ძვრა, გრეხა და ღუნვა.

დეფორმაცია მოცულობითი (სუფთა დეფორმაცია) (bulk deformation, объемная деформация) – დეფორმაცია, როდესაც იცვლება სხეულის (ან მისი ელემენტის) მხოლოდ მოცულობა ფორმის შეუცვლელად.

დეფორმაცია პლასტიკური (ნარჩენი დეფორმაცია) (plastic deformation, пластическая деформация) – დეფორმაცია, რომელიც მთლიანად არ ქრება მისი გამომწვევი დატვირთვის (გარე ძალების) მოხსნის შემდეგ.

დეფორმაცია სივრცითი (spatial deformation, пространственная деформация) – დეფორმირებული მდგომარეობა, როდესაც სამი მთავარი წაგრძელებიდან ყველა განსხვავდება ნულისგან.

დეფორმაცია ტანგენციალური (tangential deformation, тангенциальная деформация) – დაყალიბებული ნიშუშის ნომინალური დეფორმაცია (გამოსახული მშობით), მიღებული მუდმივი დატვირთვისა და დეფორმაციის გრაფიკის მხების ექსტრაპოლაციით.

დეფორმაცია ტემპერატურული (thermal deformation, температурная деформация) – დეფორმაცია, რომელიც გამოწვეულია სხეულის ტემპერატურის ცვლილების შედეგად.

დეფორმაცია ტენიანობისა (moisture deformation, деформация влаги) – სხეულის გეომეტრიული ზომებისა და მოცულობის ცვლილება ტენიანობის გავლენით.

მასალის შემრობისას მისი ზომისა და მოცულობის შემცირებას შეკლება ეწოდება. ზომისა და მოცულობის გადიდებას დატენიანებისას ან წყლით გაჟღენთისას – გაჯირჯვება.

დეფორმაცია ფარდობითი (relative strain, относительная деформация) – წრფივი ელემენტის სიგრძის, ზედაპირული ელემენტის ფართობის ან მყარი სხეულის ელემენტის მოცულობის ნაზრდის ფარდობა ამ ელემენტის პირველსაწყის სიგრძესთან, ფართობთან ან მოცულობასთან.

დეფორმაცია შექცევადი (reversible deformation, обратимая деформация) – დეფორმაცია, რომელიც ქრება მასალაზე ამ დეფორმაციის გამომწვევი ძალოვანი ფაქტორების ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ (დამატებით იხ. დეფორმაცია დრეკადი).

დეფორმაცია ცხელი (hot deformation, горячая деформация) – ლითონების წნევით დამუშავება (ჭედვა, გლინვა და მისთ.) ნამზადის იმ ტემპერატურამდე გაცხელების შემდეგ, რომლის დროსაც უკუქვევის პროცესები დეფორმაციასთან ერთად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში დეფორმაცია შეიძლება გაგრძელდეს უწყვეტად, რადგან უკუქვევა აქრობს დეფორმაციით გამოწვეულ განმტკიცებას.

დეფორმაცია ძვრისა (სუფთა ძვრა) (shear strain, деформация сдвига) – დეფორმაცია, როდესაც იცვლება სხეულის (ან მისი ელემენტის) მხოლოდ ფორმა მოცულობის შეუცვლელად.

დეფორმაციის მოდული (deformation modulus, модуль деформации) – პროპორციულობის კოეფიციენტი წრფივი კავშირის ნიმუშზე დაწვევის ნამატსა და მის დეფორმაციას შორის.

დეფორმაციის მოდული ბეტონისა (concrete deformation modulus, модуль деформации бетона) – ბეტონში ძაბვის ფარდობა (ხანგრძლივი დატვირთვისას)

ბეტონის სრულ დეფორმაციასთან.

დეფორმაციის მოდული გრუნტისა (soil deformation modulus, модуль деформации грунта) – გრუნტზე მოქმედი წნევის ნამატისა და შესაბამისი დეფორმაციის წრფივი კავშირის მანასიათებელი.

დეფორმაციის მუშაობა (deformation work, работа деформации) – მუშაობა, რომელსაც ასრულებენ სხეულზე მოქმედი გარე ძალები მისი დეფორმაციის დროს.

დეფორმაციის სიჩქარე (strain rate, скорость деформации) – რეალური დეფორმაციის სიდიდის ფარდობა იმ დროსთან, რომელშიც ეს დეფორმაცია განვითარდა.

დეჰიდრატაცია (dehydration, дегидратация) – ნივთიერებიდან წყლის მოცილება; გაუწყლოება.

დიაბაზი (დოლერიტი) (diabase, диабаз) – სრულკრისტალური პალეოტიპური მუქი-ნაცრისფერი ან მომწვანო მაგმური ქანი; ბაზალტის ნაირსახეობა.

დიაგნოსტიკა (diagnostics, диагностика) – შენობა-ნაგებობების სამშენებლო კონსტრუქციების მუშაობის მდგომარეობის შესწავლა მათი ნორმალური საექსპლუატაციო რეჟიმიდან გადახრის აღმოსაფხვრელად.

დიატომიტი (კიზელგური) (diatomite, диатомит) – ინფუზორიული მიწა, მოთეთრო ან მოყვითალო ცარცისმაგვარი ფოროვანი მსუბუქი დანალექი ქანი.

დieleქტრიკი (იზოლატორი) (dielectric, диэлектрик) – ნივთიერება, რომელიც პრაქტიკულად არ ატარებს ელექტრულ დენს.

დიზაინერი (designer, дизаинер) – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტური შემოქმედებითი შრომის შედეგად იქმნება შენობის, ნაგებობის, ინტერიერის, ექსტერიერის, ლანდშაფტის, სკვერისა და მისთ. დიზაინი.

დიზაინი (design, дизаин) – სახვითი ხელოვნების ნაირსახეობა, რომელიც მო-

იაზრება, როგორც პროცესი ან თავად საბოლოო პროდუქტი და ნიშნავს რაიმე ობიექტის (მანქანის, შენობის, ინტერიერის, ნაკეთობის, პროდუქტისა და ა.შ.) მონახაზის, მოდელის ან თვით ობიექტის შექმნა-დამუშავების გეგმას (ან ამ გეგმაზე მუშაობის პროცესს).

დილატომეტრი (dilatometer, дилатометр) – ხელსაწყო, რომლითაც ადგენენ გათბობის შედეგად ნივთიერების გაფართოების კოეფიციენტს.

დინამიტი (dynamite, динамит) – ნიტროგლიცერინში გაჟღენთილი ნაქლიბი ან აბსორბენტი. ასაფეთქებელი ნივთიერება.

დინასი (dinas, динас) – კირიან შემკვრელზე დამზადებული ცეცხლგამძლე აგური, რომელიც არანაკლებ 93% კაჟმიწას შეიცავს. გამოიყენება საქარხნო (მარტენის, საკოქსავი და სხვ.) ღუმლების მშენებლობაში.

დიორიტი (diorite, диорит) – ნაცრისფერი სრულკრისტალური (55-65% SiO₂-ის შემცველი) საშუალო მჟავიანობის მაგმური ინტროზიული ქანი.

დისოციაცია (dissociation, диссоциация) – გახსნა, განზავება, დაშლა.

დისპერსია (dispersion, дисперсия) – მონაცემთა გაფანტულობის საზომი.

დისპეტჩერი (dispatcher, диспетчер) – პირი, რომელიც აწესრიგებს ადამიანებისა და ტრანსპორტის მოძრაობას ან საწარმოს მუშაობას ერთი ცენტრალური ადგილიდან.

დიფუზია (diffusion, диффузия) – მატერიის ან ენერგიის გადასვლა მაღალი კონცენტრაციის არიდან დაბალი კონცენტრაციის არეში.

დიქტი (dict, дикт) – მრავალშრიანი ფანერა, ფირფიცარი.

ღნობა (ღღობა) (melting, плавление) – მყარი სხეულის თხევად მდგომარეობაში გადასვლის პროცესი გარეგანი ფაქტორის ზემოქმედებით.

ღოზა (dose, доза) – 1. რისამე გარკვეული

რაოდენობა; 2. ზუსტი რაოდენობა ნივთიერებისა, რომელიც შედის ნარევის შედგენილობაში.

ღოზატორი (dispenser, дозатор) – მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება მოცემული მასით ან მოცულობით თხევადი ან ფხვიერი მასალების ავტომატური მოზომვისათვის ბეტონის ნარევისა და სამშენებლო ხსნარების წარმოებაში, აგრეთვე კაზმის მოსამზადებლად შუშისა და კერამიკულ ნაკეთობათა საწარმოებსა და სხვა დარგებში.

ღოლი (drum, барабан) – მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობების შემადგენელი ნაწილი, რომელიც დანიშნულებითა და კონსტრუქციის მიხედვით არის მრავალგვარი, ფორმით – ცილინდრული, კონუსური, წახნაგოვანი.

ღოლომიტი (dolomite, доломит) – უფერო, თეთრი, ნაცრისფერი, ყვითელი ან მოყავისფრო კარბონატების ჯგუფის მინერალი.

ღომკრავი (jack, домкрат) – მცირე სიმაღლეზე ტვირთის ასაწევი მექანიზმი. არსებობს ლარტყიანი, ხრახნიანი, ჰიდრავლიკური, ჰნევმატიკური.

ღონარიტი (donarit, донарит) – ფეთქებადი ნივთიერება ამონიტების ჯგუფისა. იყენებენ სამთო საქმეში.

ღრაგა (dredge, драга) – მცურავი კომპლექსურ-მექანიზებული სამთო-გამამდიდრებელი აგრეგატი წყალქვეშ მომუშავე მრავალციცხვიანი მუშა ორგანოთი.

ღრაგლაინი (dragline, драглайн) – ექსკავატორის ერთ-ერთი სახეობა.

ღრანკა (გონტი, შინდელი) (shingles, драпка) – მოკლე ნაპობი ან დახერხილი ხის ვიწრო ფირფიტები, რომლებიც გამოიყენება სახურავის მოსაწყობად, ასევე კედლებისა და ქერის მოსაპირკეთებლად ბათქამის ქვეშ.

ღრეკადობა (elasticity, упругость) – მასალის თვისება, დატვირთვისას განიცადოს დეფორმაცია და მოხსნის შემდეგ დაიბრუნოს საწყისი ფორმა და ზომა.

დრეკადობის ზღვარი (elastic limit, предел упругости) – მასალის სხვადასხვა სახის დეფორმაციის (გაჭიმვა, გრენა და სხვ.) დროს წარმოქმნილი უდიდესი ძაბვა, რომლის დროს არ ფიქსირდება ამ მასალის ნარჩენი (პლასტიკური) დეფორმაცია.

დრეკადობის თეორია (elasticity theory, теория упругости) – კლასიკური მექანიკის დარგი, რომელიც შეისწავლის მყარ სხეულებში გარე ძალებით, გათბობითა და სხვა ზემოქმედებით წარმოქმნილ გადაადგილებებს, დრეკად დეფორმაციებსა და ძაბვებს.

დრეკადობის მოდული (elastic modulus, модуль упругости) – რამდენიმე ფიზიკური სიდიდის საერთო დასახელება, რომელიც ახასიათებს მყარი სხეულის (მასალა, ნივთიერება) უნარს, ძალის მოდებისას განიცადოს დრეკადი დეფორმაცია.

დრენა (drain, дрена) – მიწისქვეშა ხელოვნური წყალსადინარი (კერამიკული, პლასტმასის ან სხვა მასალის მილი, ჭაბურღილი) დაჭაობებული ნიადაგის ამოსაშრობად (დასაწრეტად), ნიადაგში გრუნტის წყლების შეგროვებისათვის, არინებისათვის და სხვ.

დრენაჟი (drainage, дренаж) – ტერიტორიის ზედაპირიდან წყლის მოცილება ბუნებრივი ან ხელოვნური გზით, რომელიც ხორციელდება სადრენაჟო მილების, ჭაბურღილების, არხების, მიწისქვეშა გალერეებისა და სხვა ნაგებობების დახმარებით.

დრენაჟი დახურული (closed drainage, закрытый дренаж) – ღრმა ტრანშეა სარევიზიო ჭებით, შევსებული დრენირებადი მასალით (ხრეში, ღორღი, მსხვილი ქვიშა).

დრენაჟი ზედაპირული (surface drainage, поверхностный дренаж) – დრენაჟის გავრცელებული სახეობა წყლის გადასაყვანად ტერიტორიიდან, სადაც გრუნტის წყლების მაღალი დონეა.

დრენაჟი კომბინირებული (combined drainage, комбинированный дренаж) – ჰორიზონტალური და შვეული დრენაჟების ერთობლიობა წყალარინების რთული სისტემის მოსაწყობად.

დრენაჟი სამშენებლო (building drainage, строительный дренаж) – სადრენაჟე სისტემა მოედნიდან ან ნაგებობიდან გრუნტის წყლების შესაკრებად და ტერიტორიიდან გასაყვანად სადრენაჟე მილების, ჭაბურღილების, არხების, მიწისქვეშა გალერეებისა და სხვა მოწყობილობების მეშვეობით.

დრენაჟი შვეული (vertical drainage, вертикальный дренаж) – ჭაბურღილების სისტემა, გაერთიანებული კოლექტორით, საიდანც წყალი ამოიქაჩება ტუმბოებიანი აგრეგატით ან ცალკეული ტუმბოებით თითოეული ჭაბურღილიდან.

დრენაჟი წერტილოვანი (point drainage, точечный дренаж) – წვიმისა და გამდინარი წყლის შესაგროვებელი ლოკალური დრენაჟის მოწყობილობა, რომელიც ეწყობა წყალშემკრების, სარწყავი ონკანისა და მისთ. ქვეშ.

დრენაჟი ხაზოვანი (linear drainage, линейный дренаж) – წყლის მოსაცილებელი ჩადრმავებული არხებისა და ქვიშადამჭერი სისტემა, ზემოდან დახურული დამცავი დეკორატიული გისოსით, რომელიც, როგორც წესი, უერთდება სანიაღვრე კანალიზაციას.

დრენაჟი ჰიდროტექნიკური (hydraulic drainage, гидротехнический дренаж) – სადრენაჟე სისტემა, მოწყობილი ჰიდროტექნიკური ნაგებობის ქვედა ნაწილში წყლის მისაღებად ან მოსაცილებლად.

დრენაჟი ჰორიზონტალური (horizontal drainage, горизонтальный дренаж) – დრენების, არხებისა და ღარების მილოვანი ან გალერეებიანი სადრენაჟე სისტემა, განლაგებული მიწის ზედაპირის პარალელურად შედარებით მცირე სიღრმეებზე (1,5 მ-მდე).

დრენჩერი (drencher, дренажер) – წყლის

ფარდის შემქმნელი სპეციალური ავტომატური მოწყობილობა შენობის ცეცხლ-მოუდებელი ნაწილების გადასარჩენად.

დროებითი დამაგრება (temporary attachment, временное прикрепление) – გადახურვის კონსტრუქციის შვეული მონტაჟი, რომელიც უზრუნველყოფს მის დაცენტრებასა და სტაბილურ მდგომარეობას, რათა შესაძლებელი იყოს სახურავის მონტაჟის პროცესის გაგრძელება.

დროებითი საცხოვრებელი (temporary housing, временные жилища) – საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულის გამოყენება არაუმეტეს 30 დღის განმავლობაში.

დროებითი შენობა და ნაგებობა (temporary buildings and structures, временные здания и сооружения) – ანაკრები ელემენტებისგან აგებული, ასაწყობ-დასამლეული ან მობილური სამშენებლო სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და არ აქვს მიწისქვეშა სათავსები.

დროის ნორმა (norm of time, норма времени) – ოპერაციის შესასრულებლად ან ერთეული პროდუქციის დასამზადებლად განსაზღვრული დრო, რომლის დასადგენად გამოიყენება ქრონომეტრაჟის მეთოდი.

დრონი (drone, дрон) – დისტანციურად მართული მინიატურული უპილოტო საფრენი აპარატი.

დუბელი (dowel, дюбель) – სამაგრი ნაკეთობა (ხის, პლასტმასის, ლითონის), რომელიც სხვა სამაგრ ნაკეთობასთან ერთად სხვადასხვა მეთოდით მაგრდება მზიდ საფუძველში და იჭერს რაიმე კონსტრუქციას.

დუბლიკატი (duplicate, дубликат) – რაიმე წერილობითი დოკუმენტის დედანის ასლი, რომელსაც იურიდიულად დედანის ძალა აქვს.

დუბლირება (duplication, дублирование) – რაიმეს შესრულება ან დამზადება ორ

ეჭემპლიარად.

დუმპერი (dumper, думпер) – მოკლე მანძილებზე ფხვიერი მასალის გადასაზიდი თვითმავალი მანქანა, რომელიც ხასიათდება კარგი მანევრირებით.

დუმპკარი (dump car, думпкар) – რკინიგზის სატვირთო თვითმცლელი ნახევარვაგონი ქვანახშირის, მადნისა და მისთ. ფხვიერი ტვირთის (ქვიშა, ხრეში, ღორღი, გრუნტი) გადასაზიდად და ავტომატიზებულიად დასაცლელად.

დუნიტი (dunit, дунит) – მომწვანო-შავი ფერის სიღრმული მაგმური ქანი.

დუპლექსი (duhkt, дуплекс) – ორი ან მეტი ოთახისგან შედგენილი, მოსაზღვრე სართულებზე განლაგებული და ერთმანეთთან შიდა კიბით დაკავშირებული საცხოვრებელი იზოლირებული სივრცე ან სასტუმროს ნომერი.

დურგალი (carpenter, плотник) – ხელოსანი, რომელიც ხის ნაკეთობებს (ავეჯი, კონსტრუქცია, დეტალი, ინსტრუმენტი და სხვ.) ამზადებს.

დუდაბი (solution, mortar; раствор) – ერთგვაროვანი (ჰომოგენური) ნარევი, რომელიც შედგება ხსნადი ნივთიერების, გამხსნელისა და მათი ურთიერთქმედების პროდუქტის ნაწილაკებისაგან.

დუდაბი დეკორატიული (decorative mortar, декоративный раствор) – დუდაბი, რომელიც გამოიყენება სამშენებლო დეტალებისა და კონსტრუქციების ზედაპირული მოპირკეთებისათვის საქარხნო პირობებში, აგრეთვე შენობის ფასადისა და ინტერიერის მოსაპირკეთებლად ფერის, ფაქტურისა და ატმოსფერომედგობის მისაცემად.

დუდაბი თბილი (warm solution, теплый раствор) – დუდაბი ფორებიანი შემავსებლით (აფუებული პერლიტით, ვერმიკულიტით).

დუდაბი კირისა (mortar, известковый раствор) – დუდაბი, რომელიც მიიღება კირის ცომის, ქვიშისა და წყლის ნარევისგან.

დულაბი მჟავამედეგი (acid-resistant mortar, кислотоупорный раствор) – დულაბი, რომელსაც, ზოგადტექნიკურ თვისებებთან ერთად, საექსპლუატაციო პერიოდში, ხანგრძლივად შეუძლია რღვევის გარეშე იმუშაოს მჟავების კონცენტრირებული ხსნარების აგრესიული ზემოქმედების ქვეშ.

დულაბი სამშენებლო (building mixture, строительный раствор) – სამშენებლო ხსნარი, რომელიც მიიღება რაციონალურად შერჩეული შემკვრელი ნივთიერების, ქვიშის, წყლისა და დანამატების შერევით.

დულაბი სპეციალური (special solution, специальный раствор) – დულაბი, რომლის შემადგენელი კომპონენტებია: ცემენტი, დანამატები, წყალი და სპეციალური ქვიშა.

დულაბი ქვის წყობისათვის (masonry mortar, раствор для каменной кладки) – საწყობე დულაბი, რომელიც გამოიყენება ქვის კონსტრუქციების ასაგებად.

დულაბი ცემენტ-თიხისა (cement-clay mortar, цементно-глинистый раствор) – დულაბი, რომელიც მიიღება ცემენტის,

თიხის ცომის, ქვიშისა და წყლის ნარევისაგან.

დულაბი ცემენტ-კირისა (cement-lime mortar, цементно-известковый раствор) – დულაბი, რომელიც მიიღება ცემენტის, კირის ცომის, ქვიშისა და წყლის ნარევისაგან.

დულაბი ცეცხლმედეგი (fireproof mortar, огнестойкий раствор) – დულაბი, რომელიც გარკვეულ საზღვრებში ინარჩუნებს ზოგადტექნიკურ თვისებებს მაღალი ტემპერატურის ხანგრძლივად მოქმედების პირობებში.

დულაბი ცივი (cold solution, холодный раствор) – დულაბი ბუნებრივი შემავსებლით (კვარცის ქვიშით, რომლის მარცვლების მაქსიმალური სისხო 5 მმ-მდეა).

დულაბსარევი (mortar mixer, растворомешалка) – ხსნარშემრევი; სამშენებლო ხსნარების (დულაბის) მოსამზადებელი იძულებითი შერევის ციკლური და უწყვეტი მოქმედების მანქანა.

დულია (boiler, кипелка) – წვრილად დაფქული ჩაუმქრალი კირი, რომელსაც იყენებენ სადულაბე ხსნარების მოსამზადებლად.

ებონიტი (ebonite, эбонит) – შავი ფერის მაგარი რეზინი, ნატურალური და სინთეზური კაუჩუკის პროდუქტი გოგირდის დიდი შემცველობით.

ევაკუატორი (evacuator, эвакуатор) – სატრანსპორტო ერთეულთა გადაზიდვის საშუალება.

ევაკუაცია (evacuation, эвакуация) – ადამიანების ორგანიზებული დამოუკიდებელი მოძრაობის პროცესი იმ სათავსიდან გარეთ, რომლებშიც შესაძლებელია მათზე ხანძრის ან სხვა საშიში ფაქტორების ზემოქმედება.

ევტექტიკა (eutectic, эвтектика) – ნივთიერებათა ნარევი, რომელსაც აქვს ლდობის ყველაზე დაბალი ტემპერატურა სხვა თანაფარდობით აღებული იმავე ნივთიერებათა ნარევებთან შედარებით.

ეზო (yard, двор) – ღია სივრცე მიწის ნაკვეთზე, სადაც მდებარეობს შენობა, რომელიც შემოსაზღვრულია ღობით და შეუზღუდავია მიწიდან ცამდე.

ეთილენი (ეთენი) (ethylene, этилен) – უფერო საწვავი გაზი, რომელიც შედგება ნახშირბადისა და წყალბადისაგან. შედის სანათი გაზის შედგენილობაში.

აკერი (acker, эккер) – პორტატიული გეოდეზიური ხელსაწყო, ფიქსირებული კუთხის (45°-ის ჯერადი) ადგილზე დასატანად.

აკლარის ქვა (eklari stone, эklarский камень) – ზედაცარცული ასაკის სქელშრიანი კირქვა.

აკლიმეტრი (eclimeter, эклиметр) – პორტატიული გეოდეზიური ხელსაწყო ტერიტორიის დახრილობის კუთხის გასაზომად.

აკლოგიტი (eclogite, эклогит) – მასიური, ზოგჯერ ფიქლისებრი კრისტალურ-მარცვლოვანი ქანი, რომელიც ძირითადად პიროქსენისა და გრანიტისგან შედგება.

აკობამბა (ბამბა ცელულოზის) (ecowool, эковата) – მერქნის ბოჭკოვანი მასალა.

აკოლოგია (ecology, экология) – მეცნი-

ერება ცოცხალ ორგანიზმებს, აგრეთვე ორგანიზმებსა და მათ საცხოვრებელ გარემოს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ეკოლოგია საინჟინრო (engineering ecology, инженерная экология) – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის საზოგადოებრივი წარმოების პროცესში საზოგადოებისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთქმედებას.

ეკოლოგია სოციალური (social ecology, социальная экология) – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ურთიერთობას განიხილავს სისტემაში – "საზოგადოება-ბუნება" და სწავლობს ადამიანთა საზოგადოების ურთიერთკავშირს ბუნებასთან.

ეკოლოგია ქიმიური (chemical ecology, химическая экология) – ეკოლოგიის სფერო, რომელიც სწავლობს გარემოზე ქიმიური ნივთიერებების ჰირდაპირი და ირიბი ზემოქმედების შედეგებსა და მათი უარყოფითი გავლენის შემცირების გზებს.

ეკოლოგიური კატასტროფა (ecological catastrophe, экологическая катастрофа) – განსაკუთრებით დიდი მასშტაბისა და მძიმე შედეგების მქონე ეკოლოგიური უბედურება, რომელიც, როგორც წესი, ხასიათდება ბუნებრივი გარემოს შეუქცევადი ცვლილებებით.

ეკოლოგიური რისკი (ecological risk, экологический риск) – ალბათობა გარემოსთვის არახელსაყრელი შედეგების მომტანი მოვლენებისა, რომლებსაც იწვევს სამეურნეო და სხვა საქმიანობის, ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების ნეგატიური ზემოქმედება.

ეკოლოგიური საშიშროება (ecological danger, экологическая опасность) – არახელსაყრელი ეკოლოგიური ზემოქმედების ნებისმიერი ეფექტის პოტენციური საფრთხე.

ეკოლოგიური სიტუაცია (ecological situation, экологическая ситуация) – ბუნებრივი და ტექნოგენური ჰირობების, პროცესებისა და გარემოებების შეხამება, რომელიც განსაზღვრავს ბუნებრივი ან ბუნებრივ-ტექნიკური სისტემის მდგომარეობას.

ეკოლოგიური ფაქტორები (ecological factors, экологические факторы) – რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება ეკოლოგიური ზემოქმედებისა, რომელიც ხასიათდება სივრცითი და დროითი მასშტაბით, მავნეობით, ნივთიერებათა ტოქსიკურობით, ფიზიკური ზემოქმედებით.

ეკონომიზერი (economizer, экономайзер) – საქვავე დანადგარის ის ნაწილი, რომლის მეშვეობით ქვავში მისაწოდებელი წყლის წინასწარი გაცხელება კვამლის, გაზის ან ნამუშევარი ორთქლის სითბოს ეფექტურად გამოყენებით ხდება.

ეკონომეტრიკა (econometrics, эконометрика) – მეცნიერება, რომელიც შეიწავლის ეკონომიკური ობიექტებისა და პროცესების კონკრეტულ რაოდენობრივ კანონზომიერებებს მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

ეკოტეკი (ecotek, экотек) – 1. მწვანე არქიტექტურა; 2. თანამედროვე არქიტექტურული სტილი, რომელშიც შენობებს, ძირითადი დანიშნულების პარალელურად, მინიჭებული აქვთ ეკოლოგიური ფუნქციაც.

ელევატორი (elevator, элеватор) – 1. ტვირთების შვეულად გადასაადგილებელი ტრანსპორტიორ-კონვეიერი; 2. ნაგებობის კომპლექსი დიდი რაოდენობის მარცვლეულის შესანახად.

ელექტროამძრავი (electricdrive, электропривод) – მანქანების ან მექანიზმების მოძრაობაში მომყვანი ელექტრომექანიკური მოწყობილობა.

ელექტროკარი, ელექტროურიკა (battery-driven truck, электрокар) – თვლებიანი

ურიკა ელექტრონული ამძრავით, რომელიც იკვებება ურიკაზე დაყენებული აკუმულატორით.

ელექტროკორუნდი (electrolytically produced corundum, электрокорунд) – სინთეზური აბრაზიული მასალა, რომლის ფუძეა კრისტალური ალუმინის ოქსიდი.

ელექტროლიზი (electrolysis, электролиз) – ნივთიერების შემადგენელ ნაწილებად დაშლისა და ამ ნაწილების ელექტროდებზე დალექვის პროცესი (ელექტროლიტი დენის გავლისას).

ელექტროლიტი (electrolyt, электролит) – ქიმიური ნივთიერება, რომელიც იშლება შემადგენელ ნაწილებად მასში ელექტრონული დენის გავლის შედეგად.

ელექტრომობილი (electromobile, electrically driven car, электромобиль) – ავტომობილი, რომელიც მოძრაობაში მოდის ერთი ან რამდენიმე ელექტროძრავათი, რომელსაც ელექტროენერგია მიეწოდება ავტონომიური წყაროებიდან (აკუმულატორი, საწვავი ელემენტები და სხვ.).

ელექტრომომარაგება (power supply, электроснабжение) – ღონისძიებების ერთობლიობა მომხმარებლების ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის.

ელექტრორადიატორი (electroradiator, электрорадиатор) – სათბობი ელექტროხელსაწყო, რომელიც სითბოს გადასცემს გამოსხივებითა და გარე სამუშაო ზედაპირის კონვექციით.

ელექტროსადგური (power station, power-plant, generating station; электростанция) – სადგური, რომელიც გამომუშავებს ელექტრულ ენერგიას.

ელექტროსადგური ატომური (atomic power station, атомная электростанция) – ატომური დანადგარი და მისი მუშაობისათვის აუცილებელი ნაგებობებისა და მოწყობილობების კომპლექსი, რომელიც გამოიყენება ბირთვული ენერგიის გარდასაქმნელად სხვა სახის ენერგიად.

ელექტროსადგური მზისა (solar power-plant, солнечная электростанция) – საინ-

ჟინრო ნაგებობა, რომელიც მზის რადიაციას გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად.

ელექტროსადენი (wiring, электропроводка) – ელექტრული ენერგიის გადასაცემი სადენი.

ელექტროსკოპი (electroscope, электроскоп) – ხელსაწყო, რომლითაც არკვევენ, დამუხტულია თუ არა სხეული ელექტრობით.

ელექტროფიკაცია (electrification, электрификация) სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგსა და ყოფაცხოვრებაში ელექტროენერგიის ფართოდ დანერგვა.

ელექტროფილტრი (electric filter, electric precipitator; электрофильтр) – ღუმლებიდან, გამოსაშრობი დოლებიდან, წისქვილებიდან გამოსული ნამუშევარი აირებისა და ასპირაციული ჰაერის გამწმენდი ელექტროაპარატი.

ელექტროქვესადგური (electrical substation, электроподстанция) – ელექტრომონოცილობათა ერთობლიობა, რომლის დანიშნულებაა ერთი ძაბვის ელექტროენერგიის სხვა ძაბვის ელექტროენერგიად გარდაქმნა.

ელექტროქსელი (electrical network, электросеть) – მომხმარებელთა შორის ელექტრული ენერგიის გამანაწილებელი ხაზების სისტემა.

ელექტროშედუღება (electric welding, электросварка) – ლითონთა შედუღება ელექტრული დენით.

ემულსია (emulsion, эмульсия) – ორი ერთმანეთში გაუხსნელი სითხის ნარევი, რომელშიც ერთი სითხის უწვრილესი ნაწილაკები შეტივტივებულია მეორეში წვეთების სახით.

ენდოვა, შენადარი (valley, ендова, разжелобок) – სახურავის ორი დაქანების გადაკვეთის ადგილი, რომელშიც წვიმის წყალი მოედინება.

ენერგია (energy, энергия) – მატერიის მოძრაობის სხვადასხვა ფორმის საერ-

თო რაოდენობრივი საზომი.

ენერგია კინეტიკური (kinetic energy, кинетическая энергия) – სხეულის მოძრაობის სიჩქარესთან დაკავშირებული ენერგია.

ენერგია მექანიკური (mechanical energy, механическая энергия) – სხეულთა მექანიკური მოძრაობისა და მათი ურთიერთქმედების ენერგია.

ენერგია პოტენციური (potential energy, потенциальная энергия) – სიდიდე, განსაზღვრული იმ მუშაობით, რომელიც შეიძლება შეასრულოს ძალთა ველში არსებულმა ძალებმა ამ ველში ნივთიერი წერტილის ან სისტემის მდებარეობის შეცვლისას.

ენერგია სითბური (thermal energy, тепловая энергия) – ატომებისა და მოლეკულების უწესრიგო (სითბური) მოძრაობის ენერგია.

ენერგია ქარისა (wind energy, ветровая энергия) – განახლებადი ენერგიის სახეობა, ენერგეტიკის დარგი, რომელიც ემსახურება ატმოსფეროში არსებული ჰაერის მასების კინეტიკური ენერგიის გარდაქმნას ელექტრულ, სითბურ, მექანიკურ ან სხვა სახის ენეგიად სახალხო მეურნეობაში გამოყენების მიზნით.

ენერგია ჰიდრავლიკური (hydraulic energy, гидравлическая энергия) – განახლებადი ენერგიის სახეობა – ენერგეტიკის დარგი, რომელიც ემსახურება წყლის ნაკადების პოტენციური (ზოგჯერ კინეტიკურისაც) ენერგიის გარდაქმნას ელექტროენერგიად.

ენტაზისი (entasis, энтазис) – სვეტის ტანის გამსხვილება კლასიკური სვეტის დაახლოებით 1/3 სიმაღლის ზევით, რაც სვეტის ტანის შეზნეილობის შთაბეჭდილებას აქარწყლებს.

ეექტორი (ejector, эжектор) – ჭავლური ტუმბო, რომელშიც ერთი ნაკადის (ჰაერის, წყლის) კინეტიკური ენერგია გადაეცემა მეორეს და ა.შ.

ერკერი (bay window, эркер) – შენობის

ფასადის სიბრტყიდან გამოტანილი სხვადასხვა მოხაზულობის (ნახევარწრიული, სამკუთხა, წახნაგოვანი) შემინული სივრცე, რომელიც ზრდის ძირითადი სადგომის ფართობს.

ეროზია (erosion, эрозия) – წყლის ნაკადის დამანგრეველი ზემოქმედება კალაპოტის ამგებ ქანებსა და ნიადაგზე.

ესთეტიკა სამშენებლო (building aesthetics, строительная эстетика) – ესთეტიკა, რომელიც წყვეტს შენობის განათების, კედლების, ჭერის, იატაკისა და სხვა ელემენტების ფერის, ტერიტორიის გამწვანების, სათავსებში მხატვრულ-ესთეტიკური გარემოს შექმნისა და სხვა საკითხებს.

ესთეტიკა ტექნიკური (technical aesthetics, техническая эстетика) – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ჰარმონიული საგნობრივი გარემოს ფორმირების სოციალურ-კულტურულ, ტექნიკურ და ესთეტიკურ პრობლემებს.

ესკალატორი (escalator, эскалатор) – უწყვეტი ქმედების სამგზავრო საწველა, რომელიც მოძრავსაფეხურებიანი კიბეა.

ესკიზი (sketch, rough drawing; эскиз) – მომავალი ნაწარმოების, არქიტექტურული პროექტის, ქანდაკების, კონსტრუქციული გადაწყვეტისა და ა.შ. გრაფიკული, ფერწერული ან სკულპტურული ჩანახატი.

ესტაკადა (platform, gantry, trestle, scaffold bridge, эстакада) – ქვის, ლითონის, რკინაბეტონის ან ხის ხიდისებური ნაგებობა, რომელიც ახდენს გზის გატარებას მიწის (წყლის) დონიდან რაღაც სიმაღლეზე, სხვადასხვა კომუნიკაციების გაყვანასა და სხვ.

ესტრიქ-თაბაშირი (estrih-gypsum, эстрих-гипс) – მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი თაბაშირი.

ეტაჟერი (whatnot, этажерка) – თაროებისანი დგამი, თაროელი.

ეტერნიტი (eternit, этернит) – საბურულე მასალა, აზბესტისა და ცემენტის ნარევისაგან გაკეთებული ცეცხლგამძლე და წყალმუდწვევი ფილა.

ეტრინგიტი (etringit, этрингит) – მინერალი, კალციუმის ჰიდროსულფოალუმინატი; ხელოვნურად წარმოიქმნება პორტლანდცემენტის ჰიდრატაციის დროს.

ეტროლი (etrol, этрол) – პლასტმასის სახეობა ცელულოზის ეთერის ფუძეზე.

ეფექტურობა (effectiveness, efficiency; эффективность) – რაიმე მოქმედების, მუშაობის შედეგი, რომელიც ფასდება განსაზღვრული ჰარამეტრით.

ექსიკატორი (exsiccator, эксикатор) – მინის (ზოგჯერ ლითონის) სქელკედლიანი ხელსაწყო ისეთ ნივთიერებათა გასაშრობად ან შესანახად, რომლებიც ჰაერიდან ადვილად იღებენ ტენს.

ექსკავატორი (excavator, экскаватор) – თვითმავალი (პნევმატურთვლიანი, მუხლუხა და მახვილი სვლით) მიწასათხრელი მანქანა, რომლის დანიშნულებაა გრუნტის (ქანის) ამოღება ან ამოთხრა და განტვირთვა სატრანსპორტო საშუალებებში ან ნაყარში.

ექსკავატორი გადასახსნელი (overburden excavator, вскрышной экскаватор) – ექსკავატორი წაგრძელებული ისრიანი პირდაპირი ნიჩბით ან დრაგლაინით.

ექსკავატორი დრაგლაინი (dragline excavator, экскаватор драглайн) – ერთციხვიანი ექსკავატორი რთული ბაგროვანი სისტემით, რომელსაც, როგორც წესი, აქვს პოლისპასტი, ამწვევი ჯალამბარი, ისარი და ჩამჩა.

ექსკავატორი მრავალციხვიანი (multi-bucket excavator, многоковшовый экскаватор) – უწყვეტი მოქმედების მიწასათხრელი მანქანა, რომელიც შეიძლება იყოს ჯაჭვური და როტორული.

ექსკავატორი საკარიერო (mining excavator, карьерный экскаватор) – ექსკავატორი, რომელიც ძირითადად გათვალისწინებულია მძიმე გრუნტების (IV–VI

კატეგორიის) დასამუშავებლად კარიერებსა და ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში, ასევე გამონამუშევრის ჩასატვირთავად სატრანსპორტო საშუალებებში.

ექსკავატორი სატრანშეო (trench excavator, траншейный экскаватор) – მანქანა, რომელიც გამოიყენება ვერტიკალურ კედლებიანი ტრანშეის გასათხრელად კავშირგაბმულობის კაბელების, აირ- და ნავთობსადენების, კანალიზაციის მილებისა და სხვ. ჩასაწყობად.

ექსკავატორი უნივერსალური (universal excavator, универсальный экскаватор) – ერთციცხვიანი ექსკავატორი, რომელსაც აქვს ორი და მეტი საცვლელი სამუშაო მოწყობილობა: პირდაპირი ნიჩაბი, გრეიფერი, დამტვირთავი, დრაგლაინი, ურნალი, ამწევი მექანიზმი, ბულდოზერი და სხვ.

ექსკავატორი უწყვეტი მოქმედების (continuous excavator, экскаватор непрерывного действия) – ექსკავატორი, რომელიც გრუნტის ქრის, ტრანსპორტირებისა და განტვირთვის ოპერაციებს ასრულებს ერთდროულად და უწყვეტად.

ექსკავაცია (excavation, экскавация) – ქანების ამოღების პროცესი ექსკავატორის, ბულდოზერის, სკრეპერისა და მისთ. საშუალებით.

ექსპერტი (expert, эксперт) – პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად, რაც ფორმდება საექსპერტო დასკვნაში.

ექსპერტიზა (examination, commission of expert; экспертиза) – პრობლემის გამოკვლევა დამოუკიდებელი სპეციალისტის მიერ, რომელიც განსაზღვრულ საკითხზე მოტივირებულ დასკვნას წარადგენს.

ექსპერტიზა ეკოლოგიური (ecological expertise, экологическая экспертиза) – გარემოსდაცვითი აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ტარდება გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ექსპერტიზა კომპლექსური (comprehensive expertise, комплексная экспертиза) – მოსამართლის განჩინების საფუძველზე დანიშნული ექსპერტიზა, რომელსაც ატარებს სხვადასხვა სპეციალობის რამდენიმე ექსპერტი.

ექსპერტიზა სამშენებლო (construction expertise, строительная экспертиза) – სამშენებლო საქმიანობის კონტროლის ფორმა, რომელიც ეფუძნება ინსტრუმენტურ კვლევებსა და არსებული ნორმატიული, საპროექტო ან სამართლებრივი დოკუმენტაციის მონაცემთა შეჯერების ანალიზს.

ექსპერტიზა საპროექტო დოკუმენტაციისა (examination of project documentation, экспертиза проектной документации) – საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნებთან, სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სტანდარტებთან. ის შეიძლება იყოს სახელმწიფო და არასახელმწიფო.

ექსპერტიზის დასკვნა (conclusion of the examination, заключение экспертизы) – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სამრეწველო უსაფრთხოების მოთხოვნებთან ექსპერტიზის ობიექტის შესაბამისობის ან შეუსაბამობის საფუძვლიან დასკვნას.

ექსპლუატაცია (exploitation, maintenance, operation, working, service, running; эксплуатация) – ბუნებრივი სიმდიდრის, წარმოების საშუალებების, შენობა-ნაგებობათა და ტრანსპორტის გამოყენება დანიშნულების, ტექნიკური პარამეტრებისა და მოთხოვნების შესაბამისად,

ექსტერიერი (exterior, экстерьер) – 1. ტანის გარე ნაწილის მხატვრული ან არქიტექტურული სახე, რომელიც პირველ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე; 2. შენობის გარე ფასადი.

ექსტრუდერი (extruder, экструдер) – შპრიცმანქანა, რომლის დანიშნულებაცაა პოლიმერული მასალის დარბილება (გა

დნობა) და მისთვის სასურველი ფორმის მიცემა.

ექსჰაუსტერი (exhauster, экстрактер) – ცენტრიდანული გამწოვი ვენტილატორი. მოწყობილობა, რომლის დანიშნუ-

ლებაა მწერების, მტვრის, ნახერხის, ბურბუშელისა და სხვ. ნარჩენების გამოწოვა ხის დასამუშავებელი საამქროებიდან.

ვაგონეტი (truck, trolley, lorry; вагонетка) – ვიწროლიანდაგიან გზებზე მოძრავი პატარა სატვირთო ვაგონი ან პლატფორმა.

ვაგონი (wag(g)on, carriage, coach; вагон) – რელსებზე მოძრავი ბორბლებიანი დახურული ან ღია სატრანსპორტო საშუალება მგზავრთა გადასაცვანად ან ტვირთის გადასაზიდად.

ჰაერი (wire, ваер) – ფოლადის ბაგირი ტრალის ბუქსირებისთვის.

ვაკუუმი (vacuum, void, rarefied air; вакуум) – ჰაერის, აირის გაუხშობელი მდგომარეობა, სივარცლე, არარსებობა.

ვაკუუმმეტრი (vacuum gauge, вакуумметр) – ვაკუუმური მანომეტრი, გაზების წნევის გასაზომი ხელსაწყო.

ვალმა (hip, вальма) – დახრილი სახურავის სამკუთხა ფერდი.

ვანტი (ვანტა) [(stay, guy (rope); ванта) – მოქნილი გაჭიმული ელემენტი (საბელი, ჭიმი) ფოლადის ბაგირის სახით დაკიდებული კონსტრუქციების, ანძების, ანტენებისა და სხვ. დასამაგრებლად.

ვანტუზი (air release, air cock; вантуз) – 1. მოწყობილობა წყალსადენის მილებში დაგროვებული ჰაერის ავტომატურად გამოსადევნად; 2. დანაგვიანებული სველი წერტილის ჰაერით ჩასაწმენდი ხელსაწყო.

ვარგისობა (უტყუარობა) (suitability, годность) – მასალის (ნაკეთობის) თვისება, სათანადო დროის განმავლობაში, შეინარჩუნოს მზიდუნარიანობა ექსპლუატაციის გარკვეულ რეჟიმში, რემონტისათვის იძულებითი შესვენების გარეშე.

ვარსკვლავა (sprocket, chain gear, spider, asterisk; звездочка) – ჯაჭური ან მუხლუხა გადაცემის ძირითადი ელემენტი, რომელზეც გადებულია რგოლებიანი ან გორგოლაჭებიანი უსასრულო ჯაჭვი.

ვარცლი (tray, trough, pan; корыто) – მოგრძო და ღრმა, ორივე მხარეს წაშვერილთავიანი ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება პლასტიკური მასის ან ბეტონის ნარევის მოსამზადებლად.

ნის ნარევის მოსამზადებლად.

ვატერპასი [(water) level, waterpass; ва-терпас] – უმარტივესი ხელსაწყო ჰორიზონტალურობის შესამოწმებლად და დახრილობის მცირე კუთხეების გასაზომად; თარაზო.

ვატერპლაგი (waterplug, ва-терплаг) – ჰიდროსაიზოლაციო მასალა, ალუმინატური კვარცის ქვიშისა და აქტიური ქიმიური დანამატების რუხი ფერის მშრალი ნარევი.

ვენეციური ფანჯარა (venetian window, венецианское окно) – დიდი ზომის სამფრთიანი ფანჯარა შუაში ნახევარწრიული თალით, რომელიც პილასტრებითაა გამოყოფილი განაპირა, შედარებით წვრილი ფრთებისგან.

ვენტილატორი (ventilator, fan, blower; вентилятор) – მოწყობილობა, რომელიც ქმნის ჰაერის ან სხვა აირის ჭარბ წნევას, გადაადგილებს აერონარევებს მილსადენში და ახდენს სათავსის განიავებას.

ვენტილაცია (ventilation, aeration; вентиляция) – რეგულირებადი ჰაერცვლა შენობებში, სათავსებში, მეტროპოლიტენში, მახტებში, კარიერებსა და სხვ.

ვენტილაცია ადგილობრივი (local ventilation, местная вентиляция) – სავენტილაციო სისტემა, რომლითაც ხორციელდება მავნე ნივთიერებების მოცილება უშუალოდ სათავსის იმ ადგილებიდან, სადაც აღინიშნება მათი დაგროვება.

ვენტილაცია ბუნებრივი (natural ventilation, естественная вентиляция) – სავენტილაციო სისტემა, რომელშიც გამოყენებულია სათავსის ღიობები (ფანჯარა, სარკმელი, სამერცხული და მისთ.) და განიავება ხდება ატმოსფერული ჰაერის ბუნებრივი ცირკულაციით.

ვენტილაცია გამწოვი (exhaust ventilation, вытяжная вентиляция) – სავენტილაციო გამწოვი სისტემა სათავსიდან დაბინძურებული ჰაერის მოსაცილებლად.

ვენტილაცია მექანიკური (mechanical ve-

ntilation, механическая вентиляция) – სავენტილაციო სისტემა, რომელშიც გამოყენებულია ერთდერძა ვენტილატორები, ჰაერსახურებლები, მტვერსაჭერები და სხვა ენერგიასაჭირო მოწყობილობები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ჰაერის გადაადგილება მნიშვნელოვან მანძილზე.

ვენტილაცია მომდენ-გამწოვი (suction-and-exhaust ventilation, приточно-вытяжная вентиляция) – სავენტილაციო სისტემა, რომელშიც შეთავსებულია მომდენი და გამწოვი სისტემები.

ვენტილაცია მომდენი (plenum ventilation, приточная вентиляция) – სავენტილაციო მომდენი სისტემა დაბინძურებული ჰაერის ნაცვლად სათავსში სუფთა ჰაერის მისაწოდებლად.

ვენტილი (valve, вентиль) – მოწყობილობა მილსადენებში სითხის ან აირის ნაკადის რეგულირებისათვის (ხელით ან ავტომატურად) ან მის გადასაკეტად.

ვერანდა (veranda, веранда) – 1. დერეფანი; ღია ან შემინული (ჩვეულებრივ, გაუმთბარი) მინაშენი, რომელიც გადახურული სვეტნარია მოაჯირით ან შემინული გალერეაა; 2. სახურავიანი აივანი.

ვერმიკულიტბეტონი (vermiculite concrete, вермикулитобетон) – მსუბუქი ბეტონის სახეობა, რომელშიც შემავსებლად გამოყენებულია აქაფებული ვერმიკულიტი.

ვერმიკულიტი (vermiculite, вермикулит) – უფერო, თეთრი, ყავისფერი, შავი, მომწვანო ან მოყვითალო მინერალი.

ვერმიკულიტი გაფუებული (expanded vermiculite, вермикулит вспученный) – თბოსაიზოლაციო მასალა, რომელიც მიიღება ბუნებრივი ვერმიკულიტის (ქარსის ნაირსახეობა) გამოწვივით.

ვერნიერი (vernier, верньер) – გეოდეზიური და ასტრონომიული ხელსაწყოების ნაწილი – დამატებითი სკალა, რომელიც მოძრაობს ძირითადი (უძრავი) სკალის გაყოლებით; საჭიროა ზუსტი გა-

მოთვლებისათვის.

ვერტიკალი (vertical, perpendicular upright; вертикаль) – ცის სფეროს ყოველი დიდი წრე, რომელიც ზენიტის წერტილზე გადის.

ვერტიკალური (vertical, вертикальный) – შვეული, რაც ჰორიზონტალურ სიბრტყესთან ქმნის მართ კუთხეს.

ვერტიკალური გამწვანება (vertical gardening, вертикальное озеленение) – საპარკო და სპეციალური დანიშნულების შენობების ფასადების გამწვანება ლიანებითა და კედელზე მცოცავი სხვა მცენარეებით.

ვერტიკალური გეგმარება ტერიტორიისა (vertical planning of the territory, вертикальное планирование территории) – ბუნებრივი რელიეფის შეცვლა გრუნტის მოჭრით ან დაყრით და მისი მოყვანა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც პასუხობს მშენებლობის მიზნებსა და ექსპლუატაციას.

ვერტიკალური დაგეგმარება (vertical layout, вертикальная планировка) – განსაზღვრული ტერიტორიის, ქუჩის, მოედნის, კვარტლისა და ა.შ. რელიეფის საპროექტო დონეებისა და მათზე შენობების განლაგების სქემა.

ვესტიბიული (vestibule, вестибюль) – სადგომი საზოგადოებრივ შენობის შესასვლელთან, რომელიც ამ უკანასკნელს ძირითად ოთახებთან ან კიბის უჯრედთან აკავშირებს.

ვექტორი (vector, complexor; вектор) – მიმართული მონაკვეთი, რომელზეც ერთერთი მიმართულება მიღებულია დადებითად.

ვიადუკი (viaduct, виадук) – ხიდის ტიპის ნაგებობა ღრმა ხრამებზე, ღარტაფებსა და ხეობებზე;

ვიბრატორი (vibrator, dipole, oscillator, jigger, shaker; вибратор) – სისტემა, რომელშიც აღიძვრება რხევები (მექანიკური, ელექტრომაგნიტური და სხვ.).

ვიბრაცია (vibration, oscillation, jarring,

shaking; вибрация) – მექანიკური რხევები ტექნიკაში (მანქანებში, კონსტრუქციებში და სხვ.).

ვიბრაციის ჩახშობა (vibration damping, затухания вибраций) – პროცესი, რომელიც დამყარებულია რხევების დინამიკური ჩახშობის პრინციპზე.

ვიბრაციული მანქანა (vibration machine, вибрационная машина) – მანქანა, რომელსაც ტექნოლოგიური პროცესის შესასრულებლად ან ინტენსიფიკაციისათვის ესაჭიროება სამუშაო ორგანოსათვის რხევითი მოძრაობის მინიჭება.

ვიბრაციული მოედანი (vibration platform, вибрационная площадка) – სტაციონარული ვიბრაციული დანადგარი ბეტონის ნარევის შესამჭიდროებლად.

ვიბრაციული სატკეპნი (vibrating roller, вибрационный каток) – მასალების შესამჭიდროებელი დანადგარი იმპულსების ენერგიით, რომელიც ნაწილაკებს ანიჭებს აჩქარებას და აღძრავს ინერციის ძალებს.

ვიბრაციული ტრანსპორტიორი (vibratory conveyor, вибрационный транспортер) – ფხვიერ-ნატეხი მასალებისა და სითხეების გადაადგილება სატრანსპორტო მანქანების მოვიბრირე სამუშაო ორგანოებით.

ვიბრაციული ურო (ჩამსობი) (vibrating hammer, вибрационный молот) – ვიბრაციულ-დარტყმითი მოწყობილობა, რომელსაც იყენებენ რკინაბეტონის, ხისა და ლითონის ხიმინჯების, ბოძების, მილების, შპუნტებისა და სხვა ელემენტების ჩასასობად გრუნტში, გაყინული მასალების გასაფხვიერებლად, გრუნტის შესამკვრივებლად და ა.შ., დარტყმებისა და ვიბრაციის ერთობლივი მოქმედების გზით.

ვიბრაციული ცხავი (vibrating screen, vibrating sieve; вибрационный грохот, вибрационное решето) – მანქანა მადნის, ხრეშის, ღორღისა და სხვა ფხვიერი მასალის მარცვლების დასახარისხებლად

სისხოს მიხედვით.

ვიბრაციული წისქვილი (vibrating mill, вибрационная мельница) – წისქვილი, რომელიც გამოიყენება ცემენტის ზეწმინდა დაფქვისათვის.

ვიბრაციული ჭრა (vibration cutting, вибрационная резка) – ლითონების ჭრით დამუშავება, რომლის დროს მჭრელი ინსტრუმენტი (საჭრისი, ხერხი, ბურღი, დანა და სხვ.), ძირითადის გარდა, ასრულებს დამატებით მოძრაობას – ვიბრაციას.

ვიბრობაქანი (vibration platform, виброплощадка) – ბეტონის ნარევის შესამკვრივებელი ვიბრაციული მანქანა, რომელსაც იყენებენ ქარხანაში და პოლიგონზე ბეტონისა და რკ.ბ.-ის ნაკეთობათა დამზადებისას.

ვიბროგურზი (vibrator head, вибро-булава) – მექანიზმი სიღრმითი ვიბრაციის შესაქმნელად ბეტონის ნარევის სრული ჩაწყობისა და გამკვრივებისათვის.

ვიბროიზოლაცია (vibration isolation, виброизоляция) – კეთდება შენობის საძირკველსა (კონსტრუქციას) და რხევად მანქანა-დანადგარს შორის ხისტი კავშირის მოცილების მიზნით, რისთვისაც ვიბრაციის წყაროსა და ფუნდამენტს შორის ათავსებენ დრეკად მასალას – ამორტიზატორს (რეზინის, ფოლადის, ზამბარარეზინის ან პნევმატიკურსა და სხვ.).

ვიბროსაცერი (shaker, вибросито) – ფხვიერი საშენი მასალების ფრაქციებად განსაცალკევებელი მოწყობილობა, რომელიც მუშაობს ვიბრაციისა და სიმძიმის ძალის მოქმედებით.

ვიბროფილა (vibrating plate, виброплита) – დამჭიდროებელი მანქანის ან დამოუკიდებელი ვიბრაციული დანადგარის მუშა ორგანო, რომელიც გამოიყენება შეუკვრელი გრუნტის, ქვიშა-ღორღისა და სხვა მასალების შესამჭიდროებლად (შესამკვრივებლად).

ვიბროჩაქუჩი (vibration hammer, вибро-молоток) – დარტყმითი მოქმედების

პნევმატიკური ინსტრუმენტი მცირე გადაადგილებადი მასით, გადაადგილების დიდი სიჩქარითა და დარტყმების სიხშირით 6000-მდე წუთში.

ვილა (villa, вилла) – მდიდრული სახლი, აგარაკი ქალაქგარეთ.

ვინიპლასტი (vinyl plastic, винипласт) – პოლივინილქლორიდისა და პერქლორვინილის საფუძველზე მიღებული გაუმჟვირი ხისტი თერმოპლასტიკური მასა.

ვინკელი (winkel, винкель) – მართი კუთხის შესამოწმებელი სადურგლო იარაღი; გონიო.

ვირა (vira, вира) – მშენებელთა, პორტის მტვირთავთა და მეზღვაურთა ტერმინოლოგიაში სიტყვა, რომელიც ამა თუ იმ ტვირთის მაღლა ატანის ბრძანებას შეესაბამება.

ვისკოზა (viscose, вискоза) – ბლანტი მოყვითალო-ყავისფერი ხსნარი.

ვისკოზიმეტრი (viscometer, вискозиметр) – სიბლანტის გასაზომი ხელსაწყო.

ვისკოზიმეტრია (viscometry, вискозиметрия) – ფიზიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სიბლანტის გაზომვის მეთოდებს.

ვისკოზინი (viscosine, вискозин) – გამჟვირვალე მინერალური ზეთი, რომელიც მიიღება ნავთობისაგან (მაზუთისაგან).

ვისკოზური ბოჭკო (viscose fiber, вискозное волокно) – ხელოვნური ბოჭკო, რომელიც მიიღება ვისკოზის ფორმირებით.

ვიტრაჟი (stained glass window, витраж) – 1. სურათი ან ორნამენტული კომპოზიცია, რომელიც ავსებს საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებისა და ნაგებობების სინათლის დიობებს, ნიშებსა და ა.შ.; 2. მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების სახეობა (მხატვრობა მინაზე); 3. დიდი ფართობის შემინული სინათლის დიობი.

ვორსონიტი (vorsonite, ворсонит) – ქიმიური ბოჭკოების საფუძველზე დამზადებული რულონური საფარი იატაკისთვის. მიიღება პოლიპროპილენისა და პოლიამიდის ქიმიური შტაპელური ბოჭკოების დასვრეტით, ქიმიური და ბუნებრივი ბოჭკოების ნარჩენების დამატებითა და შემდგომი გაჟღენთით შემკვრელ პოლიმერებში.

ვორტიციზმი (vorticism, вортицизм) – XX საუკუნის დასაწყისის ინგლისური კულტურული მოვლენა, მოდერნიზმის ინგლისური შტო, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იმპრესიონიზმსა და კლასიკურ მხატვრულ ტრადიციებს.

ვუტი (wut, вут) – რკინაბეტონის კონსტრუქციის განივკვეთის მდოვრე გამსხვილება საყრდენთან.

ზაკომარა (zakomara, закомара) – ბიზანტიურ და რუსულ არქიტექტურაში შენობის გარე კედლების ნახევარწრიული ან კილისებრი ზედა ნაწილი.

ზედა ბუნებრივი განათება (overhead natural light, верхнее естественное освещение) – სათავსების ბუნებრივი განათება სანათურებით, გადახურვის შუქდიობებითა და შენობებს შორის სიმაღლეთა ვარდნილობის ადგილებში გარე კედლების შუქდიობებით.

ზედამხედველობა (supervision, надзор) – სახელმწიფო ორგანოების მოქმედების ფორმა კანონიერების უზრუნველსაყოფად.

ზედამხედველობა მშენებლობაში (supervision in construction, надзор в строительстве) – ზედამხედველობა ასაშენებელი ობიექტის ხარისხიანად შესრულებაზე, რომელსაც ახორციელებს ქვეყნის ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

ზედამხედველობა საავტორო (author's supervision, авторский надзор) – სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე დაწესებული ზედამხედველობა, რომელსაც აწარმოებს საპროექტო ორგანიზაცია.

ზედამხედველობა სახელმწიფო (state supervision, государственный надзор) – ობიექტის მშენებლობაზე ზედამხედველობა პროექტიდან გადაცდომებისა და დარღვევების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის მიზნით; ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებისა და სტანდარტების დაცვა. ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები.

ზედამხედველობა ტექნიკური (technical supervision, технический надзор) – სამშენებლო სამუშაოების ხარისხიანად შესრულების მიმდინარეობაზე დაწესებული ზედამხედველობა მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ზედამხედველობა ხარისხზე (supervision behind the quality, надзор за качеством) –

ობიექტის მდგომარეობაზე უწყვეტი დაკვირვება და შემოწმება, ასევე დადგენილი მოთხოვნების შესრულების შესახებ ოქმების ანალიზი.

ზედაპირი (surface, поверхность) – გეომეტრიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება; ევკლიდეს სამგანზომილებიან სივრცეში ის წერტილთა სიმრავლეა, რომელთა კოორდინატები აკმაყოფილებს $w(x,y,z) = 0$ სახის განტოლებას (ზედაპირის არაცხადი სახის განტოლება) ან განტოლებას $z = f(x,y)$ (ცხადი სახის განტოლება).

ზედაპირი ეკვიპოტენციური (equipotential surface, эквипотенциальная поверхность) – პოტენციალთა დონის ზედაპირი, რომლის ყველა წერტილს აქვს ერთნაირი პოტენციალი.

ზედაპირი ნივთიერი (real surface, вещественная поверхность) – ზედაპირის ფორმის უწყვეტი გარემო, რომელიც წარმოქმნილია უწყვეტად განაწილებული ნივთიერი წერტილებით.

ზედაპირის სიმქისე (surface roughness, шероховатость поверхности) – მცირებიჯიან უსწორობათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის ზედაპირის რელიეფს. მისი რიცხობრივი განსაზღვრის პარამეტრები, ტერმინები და აღნიშვნები სტანდარტიზებულია.

ზედაპირული ენერგია (surface energy, поверхностная энергия) – თერმოდინამიკაში სხეულთა (ფაზების) შეხების ზედაპირზე ნივთიერების თხელ ფენაში ენერგიის სიჭარბე იმ ენერგიასთან შედარებით, რომელიც სხეულის შიგნითაა.

ზედაპირული სიმტკიცე (surface strength, поверхностная прочность) – გაჭიმული ღეროს თხელი ზედაპირული ფენის სიმტკიცე, რომელიც ზოგჯერ გაცილებით მეტია ღეროს შიგნით მასალის სიმტკიცეზე.

ზედაპირული ტალღები (surface waves, поверхностные волны) – დრეკადი ტალ-

დები, რომლებიც გავრცელებულია მყარი სხეულის თავისუფალ ზედაპირზე ან მყარი სხეულის სხვა სხეულთან საზღვრის გასწვრივ. საზღვრიდან დამორებისას ეს ტალღები ქრება.

ზეინკალი (locksmith, слесарь) – ხელოსანი, რომელიც ლითონის ნაკეთობების დამზადებაზე, აწყობასა და შეკეთებაზე მუშაობს.

ზემოქმედება (action, воздействие) – ერთი ობიექტის მეორესთან ურთიერთქმედების პროცესი, რომელიც შეიძლება იყოს დარტყმითი, დისკრეტული, იმპულსური, ჰარამეტრული, შემაშფოთებელი, ჰარმონიკული და სხვ., ზოგადად კი – სტატიკური და დინამიკური.

ზემოქმედება ავარიული (accidental action, аварийное воздействие) – ხანმოკლე ინტენსიური ზემოქმედება, რომელსაც აქვს გაჩენის მცირე ალბათობა სამსახურის საანგარიშო ვადის განმავლობაში.

ზემოქმედება გეოტექნიკური (geotechnical action, геотехническое воздействие) – ზემოქმედება, რომელიც კონსტრუქციას გადაეცემა გრუნტის, ნაყარის ან გრუნტის წყლებისგან.

ზემოქმედება დინამიკური (dynamic action, динамическое воздействие) – ზემოქმედება, რომელიც იწვევს ნაგებობის კონსტრუქციული ელემენტების მნიშვნელოვან აჩქარებას.

ზემოქმედება დროებითი (variable action, временное воздействие) – ზემოქმედება, როცა აუცილებელია მისი ცვლილების გათვალისწინება სიდიდის ან მიმართულების მხრივ.

ზემოქმედება თავისუფალი (free action, свободное воздействие) – ზემოქმედება, რომელსაც ნაგებობის ზედაპირზე შესაძლებელია ჰქონდეს სხვადასხვა სივრცითი განაწილება.

ზემოქმედება კვაზისტატიკური (quasi-static action, квазистатическое воздействие) – დინამიკური ზემოქმედება, რომელიც

მელიც სტატიკურ საანგარიშო მოდელში წარმოდგენილია ეკვივალენტური სტატიკური დატვირთვის სახით.

ზემოქმედება მარტივი (single action, простое воздействие) – ზემოქმედება, რომელიც სხვა ნებისმიერი ზემოქმედებისაგან სტატიკურად დამოუკიდებელია დროსა და სივრცეში.

ზემოქმედება მუდმივი (permanent action, постоянное воздействие) – ზემოქმედება, რომელიც მოქმედებს ელემენტის ექსპლუატაციის საანგარიშო ვადის განმავლობაში და რომლის საანგარიშო მნიშვნელობის ცვლილება უსასრულოდ მცირეა საშუალო მნიშვნელობასთან შედარებით ან ზემოქმედება, რომლის საანგარიშო მნიშვნელობის ცვლილება ყოველთვის მიმდინარეობს მონოტონურად ერთი მიმართულებით ვიდრე არ მიაღწევს ზღვრულ მნიშვნელობას.

ზემოქმედება სეისმური (seismic action, сейсмическое воздействие) – ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებულია გრუნტის მოძრაობასთან მიწისძვრის დროს.

ზემოქმედება სტატიკური (static action, статическое воздействие) – ზემოქმედება, რომელიც არ იწვევს ნაგებობის ან მისი ელემენტების მნიშვნელოვან აჩქარებას.

ზემოქმედება ფიქსირებული (fixed action, фиксированное воздействие) – ზემოქმედება, რომელსაც აქვს ფიქსირებული განაწილება და მდგომარეობა მთელი ნაგებობის ან კონსტრუქციული ელემენტის მიმართ.

ზემოქმედების ბაზური პერიოდი (reference period of action, базовый период воздействия) – დროის შუალედი, შერჩეული სტატიკური დროებითი ან შესაძლო საავარიო ზემოქმედებისას.

ზემოქმედების ეფექტი (effect of action, эффект воздействия) – სამშენებლო კონსტრუქციის რეაქცია (მაგ., შიგა ძალა, მომენტი, ძაბვა, გაჭიმვა, კუმშვა და სხვ.) ან ნაგებობის რეაქცია (მაგ., გადახრა,

ბრუნვა).

ზემოქმედების ნორმატიული მნიშვნელობა (characteristic value of an action, нормативное значения воздействия) – ზემოქმედების ძირითადი რეპრეზენტატიული რიცხვითი მნიშვნელობა.

ზემოქმედების საანგარიშო მნიშვნელობა (design value of an action, расчетное значения воздействия) – ზემოქმედების მნიშვნელობა, მიღებული მისი რეპრეზენტატიული მნიშვნელობის გამრავლებით საიმედოობის პარციალურ (ნაწილობრივ) კოეფიციენტზე.

ზიგზაგი (იკანკელი, იკლიბაკლო) (zigzag, зигзаг) – ტეხილი ხაზი, რომლის მოკლე ხაზები თანამიმდევრობით, თანაბარი კუთხეებით მისდეს ერთმანეთს; ყოველი მეორე მოკლე ხაზი პარალელურია.

ზოლი (stripe, полоса) – ამა თუ იმ მასალიდან გამოჭრილი ვიწრო ნაწილი (მაგ., ქაღალდის ზოლი, შპონის ზოლი).

ზომა (size, measure; размер, мера) – ზღვარი, რომლის იქით რაოდენობის შეცვლა იწვევს ობიექტის თვისებრიობის შეცვლას და პირიქით.

ზომა კონსტრუქციული (constructive size, конструктивный размер) – ზომა, რომელიც მიიღება კონსტრუქციის გაანგარიშებისას და რომელიც ითვალისწინებს მინიმალურად აუცილებელ დამორეგებს.

ზომა ნამდვილი (real size, реальный размер) – რაიმეს ფაქტობრივი ზომა.

ზომა ნომინალური (nominal size, номинальный размер) – რაიმეს დადგენილი, მიღებული, ოპტიმალური ზომა.

ზონა (zone, зона) – 1. სარტყელი, ზოლი, სივრცე რაიმე ორ ხაზს შორის (მაგ., გეოგრაფიული ზონა); 2. გარკვეული სივრცე დაცულ შენობაში, რომელიც განსაზღვრავს ფართობს, საიდანაც შეიძლება შეტყობინების მიღება, გაგზავნა ან გარკვეული სახის კონტროლის განხორციელება.

ზონა ეკოლოგიური უბედურებისა (ecological disaster zone, зона экологического бедствия) – ტერიტორიის ნაწილი, სადაც სამეურნეო ან სხვა საქმიანობის შედეგად ბუნებრივი გარემოს ღრმა შეუქცევადი ცვლილებები ხდება.

ზონა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო (landscape and recreational zone, ландшафтно-рекреационная зона) – დასახლების (ადმინისტრაციულ) საზღვრებში ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორია, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად.

ზონა სამრეწველო (industrial area, промышленная зона) – არსებობს ორი სახის: 1. ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებული სახეობაა სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო (მავნე) საწარმოო პროცესები; 2. ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებული სახეობა არის სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო (მავნე) საწარმოო პროცესები. ამ ზონას ასევე მიეკუთვნება ნაგავსაყრელის ტერიტორიები.

ზონა სამუშაო (work zone, рабочая зона) – 1. სივრცე იატაკის ან ფართობის დონიდან 2 მ სიმაღლეზე, რომელზეც მდებარეობს მუდმივი ან დროებითი სამუშაო ადგილი; 2. სამუშაო ფრონტის ან სამშენებლო მოედნის ნაწილი, სადაც უშუალოდ ხორციელდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და განთავსებულია საჭირო მანქანები და მოწყობილობები, აგრეთვე სამუშაოებისათვის გამზადებული მასალები და კონსტრუქციები.

ზონა სანიტარიული (sanitary zone, санитарная зона) – გამწვანებული ტერიტო-

რიების ზონა, რომელიც იცავს სხვა ზონა(ებ)ს მავნე ზემოქმედებისაგან და, ამასთანავე, აქვს გარემოს გამაჯანსაღებელი ფუნქცია.

ზონა სარეკრეაციო 1 (recreational zone 1, рекреационная зона 1) – სარეკრეაციო ზონა, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვ.). აღნიშნულ ზონაში დაშვებულია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდისა და დეკორატიული გაფორმების ობიექტისა.

ზონა სარეკრეაციო 2 (recreational zone 2, рекреационная зона 2) – სარეკრეაციო ზონა, რომელიც მდებარეობს ქალაქის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებსა და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს, სადაც ასევე დასაშვებია სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები. მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი $k-1 = 0,2$.

ზონა სარეკრეაციო 3 (рекреационная зона 3, рекреационная зона 3) – ზონა, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში, სადაც დასაშვებია დასასვენებელი, სამკურნალო, სასპორტო და გასართობი დანიშნულების შენობა-ნაგებობების განთავსება. ასევე დასაშვებია სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები. ზონისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისი კოეფიციენტებია: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი $k-1 = 0,3$; მიწის ნაკვეთების გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი $k-3 = 0,5$; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი $k-2 = 1,0$.

ზონა საცხოვრებელი (living zone, жилая зона) – ტერიტორია განკუთვნილი ადამიანების საცხოვრებლად.

ზონა სპეციალური 1 (special area 1, специальная зона 1) – ზონა, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან საზღვრებს გარეთ, სადაც დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსების, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულებების, აგრეთვე, საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება.

ზონა სპეციალური 2 (special area 2, специальная зона 2) – სასაფლაოებისთვის განკუთვნილი ტერიტორია.

ზონა ტექნიკური (დამცავი) (technical area, техническая зона) – იმ ტერიტორიის ფარგლები, რომელიც გამოიყენება მიწისზედა და მიწისქვეშა სატრანსპორტო და საინჟინრო ნაგებობებისა და კომუნიკაციების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის.

ზონა უსაფრთხოებისა (security zone, зона безопасности) – ამა თუ იმ ობიექტის უსაფრთხოებისათვის მის ირგვლივ ზონა.

ზონა შეტბორვისა (flood zone, зона подтопления) – ტერიტორია, რომელიც ექვემდებარება შეტბორვას წყალსაცავის ან წყლის სხვა ობიექტების მშენებლობისას.

ზონარი (cord, braid; шнур, тесьма) – წვრილი ქსოვილური ან ნაქსოვი ზოლი ან შნური დამზადებული დაგრეხილი ძაფებისაგან ან მათი კონების დაწვინით.

ზონდი (probe, зонд) – სამშენებლო კონსტრუქციების დარებში (მიღებში) კაბელის გასაჭიმი იარაღი.

ზღარბი (hedgehog, ежик) – რკინაბეტონის ან რელსებისგან შექმნილი საინჟინრო ზღუდე, განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებათა იძულებით გასაჩერებლად.

ზღვარი (limit, предел) – მასალების მე-

ქანიკური მახასიათებლების მაქსიმალურად შესაძლებელი მნიშვნელობები, განსაზღვრული თეორიული ან ექსპერიმენტული გზით, რომელიც აფიქსირებს საზღვარს ამ მახასიათებლებს შორის ანუ რაოდენობრიობის გადასვლას თვისებრიობაში.

ზღვრული დრეკადობა (ultimate elasticity, предельная упругость) – დრეკადობა, რომლის დროსაც დეროში კრიტიკული დაძაბულობა სიდიდით ტოლია პროპორციულობის ზღვრისა დეროს მასალისათვის.

ზღვრული მდგომარეობა (limit state, предельное состояние) – სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდი. კონსტრუქციის მდგომარეობა ზღვრულია, როცა ის ვეღარ აკმაყოფილებს წაყენებულ საექსპლუატაციო მოთხოვნებს, ე.ი. არის მზიდუნარიანობის ამოწურვის ზღვარზე და დაკარგული აქვს გარეგანი ზემოქმედებისადმი წინაღობის უნარი ან არ არის დაცული ნორმალური საექსპლუატაციო პირობები, რადგან დეფორმაციებმა მიაღწია ზღვრულად დასაშვებზე მეტ სიდიდეს.

ზღვრული მდგომარეობა კრიტიკული (ultimate limit state, критическое предельное состояние) – მდგომარეობა, დაკავშირებული ჩამორღვევასთან (ჩამოქცევასთან) ან მზიდი კონსტრუქციის

რღვევის სხვა მსგავს ფორმასთან.

ზღვრული მდგომარეობა საექსპლუატაციო (serviceability limit states, эксплуатационное предельное состояние) – მდგომარეობა, რომლის გადაჭარბებისას აღარ სრულდება ნაგებობის ან მისი ცალ დროსაც გადაჭარბებული ზემოქმედების ზოგიერთი შედეგი რჩება ამ ზემოქმედების მოცილების (ნორმაში მოქცევის) შემდეგაც.

ზღვრული მდგომარეობა საექსპლუატაციო შექცევადი (reversible serviceability limit states, обратимое эксплуатационное предельное состояние) – საექსპლუატაციო ზღვრული მდგომარეობა, რომლის დროსაც ხდება გადაჭარბებული ზემოქმედების ზოგიერთი შედეგის სრული ლიკვიდაცია.

ზღუდარი (jumper, перемычка) – კონსტრუქციული ელემენტი (ქვის, ხის, ლითონის, რკინაბეტონის), რომლითაც გადაიხურება კარის ან ფანჯრის ღიობი.

ზღუდე (obstruction, преграда) – რისამე დასაცავად გარშემოვლებული კედელი, ღობე, დაბრკოლება, საზღვარი, გალავანი და მისთ.

ზღურბლი (threshold, порог) – ბჭე, დირე (კარისა), კარობანი, კარაპინი, კარნაგელა; კარის ჩარჩოს ქვედა გამოტანილი ძელი ან ის უხილავი ხაზი, რომელიც გასდევს დახურულ კარს იატაკზე.

თაბაშირ-მუყაოს ფილები (gypsum boards, гипскартонные плиты) – შემომზადავი საშენი მასალა, დამზადებული თაბაშირისა და მუყაოს ფურცლებისგან.

თაბაშირბეტონი (gypsum concrete, гипсобетон) – თაბაშირის მჭიდა (შემკვრელი) მასალების ბაზაზე დამზადებული ბეტონი.

თაბაშირბოჭკოს ფურცელი (gypsum fiber sheet, гипсофибровый лист) – ფურცლოვანი მოსაპირკეთებელი ნაკეთობა, რომელიც მზადდება სამშენებლო თაბაშირის, ცელულოზის ბოჭკოსა და სხვადასხვა ტექნოლოგიური დანამატებისგან.

თაბაშირი (gypsum, гипс) – სულფატების კლასის მინერალი (ქიმიური ფორმულა $\text{CaSO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$), უფერო, თეთრი, რუხი კრისტალებით; დანალექი ქანი.

თაბაშირმუყაოს ფურცელი (drywall sheet, гипскартонный лист) – ფურცლოვანი ნაკეთობა თაბაშირის უწვავი შუა შრისაგან, რომლის სიბრტყეები, ტორსული ნაწიბურების გარდა, შუა შრესთან მჭიდროდ მიწებებული მუყაოთია შემოსილი.

თაბაშირსხმული (gibsolite, гипсолит) – თაბაშირის სხმული ნაკეთობა, რომელიც მზადდება პლასტიკური თაბაშირის უწყვეტი ჩამოსხმით.

თაბაშირწიდაბეტონი (gypsum slag concrete, гипсошлакобетон) – ბეტონი, რომელშიც მჭიდაა სამშენებლო თაბაშირი, ხოლო შემვსებია – წიდა. გამოიყენება ისეთ კონსტრუქციებში, რომლებიც არ ტენიანდება.

თავისუფალი (საკუთრივი) რხევები [free (natural) vibrations, свободные (собственные) колебания] – რხევები, რომლებიც ხდება გარე ზემოქმედების გარეშე.

თავშესაფარი (refuge, убежище) – სპეციალური ნაგებობა მოსახლეობის დასაცავად სიცოცხლისათვის საშიში დაზი-

ანებებისაგან.

თავზე (ridge beam, коньковый брус, конек) – მთავარი კოჭი, რომელიც სახლის სახურავის გასამართავადაა გადებული და რომელსაც მიემაგრება სახურავის დანარჩენი კოჭები.

თაკარა (შტაბელი) (stack, штабель) – გარკვეული წესით დალაგებული, დაწყობილი ხის მასალა. არსებობს თაკარის სახეები: გადამბული, გოჯილა, კვადრატული, ლარტყებიანი, შუასაღებებიანი, ჩაძირული, წყალქვეშა და სხვ.

თამასა (საპირე) (plank, планка) – სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ვიწრო, თხელი ფირფიტა (ძელაკი).

თამასა დამცავ-დეკორატიული (protective and decorative strip, защитно-декоративная планка) – ნაკეთობა, დაყენებული კარზე ან ფანჯარაზე სახელურის, საკეტის ცილინდრული მექანიზმის, გასაღების მოსარგები ნახვრეტის დეკორატიული გაფორმებისა და დაცვის მიზნით.

თანრიგი (discharge, разряд) – ჯგუფი, ხარისხი, კატეგორია.

თარაზო (spirit level; ватерпас, уровень) – ხაზებისა და სიბრტყეების ჰორიზონტალურობის შესამოწმებელი, ასევე მცირე დახრის კუთხის გასაზომი ხელსაწყო.

თარაზო ლაზერული (laser spirit level, лазерный ватерпас) – გეოდეზიური ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება წერტილის კოორდინატების დასატანად ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და დახრილ სიბრტყეებში ლაზერის სხივის მეშვეობით.

თარაზოს მგრძნობიარობა (spirit level sensitivity, чувствительность ватерпаса) – მხილებისუნარიანობა, რომელსაც გამოავლენს თარაზო მისი დერძის ამა თუ იმ კუთხით დახრის შემთხვევაში.

თარგი (stencil, трафарет) – 1. შაბლონი, არქიტექტურული დეტალის ნატურალური სიდიდით შესრულებული ნახაზი; 2. ნაკეთობის, დეტალის დასამზადებელი

ნიმუში.

თარო (rack, shelf, tray, wing, flang; полка) – 1. კედელზე ან ნიშაში (დოლაბში) დამაგრებული ჰორიზონტალური ფიცარი ჭურჭლის, წიგნების და მისთ. დასაღებად; 2. არქიტექტურული პროფილი მართკუთხა შვერილის სახით.

თაუნჰაუსი (town-house, таунхаус) – დაბალსართულიანი კოტეჯების კომპლექსი დამოუკიდებელი შესასვლელით, რომლებიც შეთავსებულია ერთმანეთთან გვერდითი კედლებით და როგორც წესი, აქვთ მცირე საკუთარი მიწის ნაკვეთი.

თაღელი (arcade, аркада) – ერთნაირი სიდიდის თაღების რიგი, დაყრდნობილი სვეტებზე, ბოძებზე ან პილონებზე.

თაღი (arch, арка) – არქიტექტურული მრუდხაზოვანი ღეროვანი კონსტრუქცია დაყრდნობილი ღიობის კედლებზე ან ორ საყრდენზე.

თაღი აწეული (ამაღლებული) (stilted arch, приподнятая арка) – თაღი, რომლის ქუსლები განლაგებულია იმპოსტიის ღონის ზევით.

თაღი განმტვირთავი (relieving arch, разгрузочная арка) – თაღი, რომელიც, ჩვეულებრივ, კედელშია დაყოლებული და დატვირთვას ანაწილებს შენობის ზედა ნაწილებიდან საყრდენებზე ან პირიქით – ცალკეული საყრდენების დატვირთვას ანაწილებს საძირკვლებზე (იხ. ყირათაღი).

თაღი გოტიკური (gothic arch, готическая арка) – ისრული თაღი; ერთნაირი რადიუსის მქონე ორი რკალისგან შედგენილი წვეტიანი თაღი.

თაღი დაკალიბრებული (calibrated arch, калиброванная арка) – თაღი, რომელიც დაკალიბრებული აგურებისგანაა აწყობილი.

თაღი დამრეცი (gently sloping arch, пологая арка) – თაღი, რომლის ქუსლები რკალის ცენტრის ზევით მდებარეობს. ისინი შეიძლება განლაგებული

იყოს ერთ ან სხვადასხვა დონეზე.

თაღი ელიფსური (elliptical arch, эллиптическая арка) – თაღი, რომლის რკალი ელიფსის ფორმისაა.

თაღი ვენეციური (venetian arch, венецианская арка) – წრიული თაღის სახეობა, რომელიც პირველად შეიქმნა იტალიის ქ. ვენეციაში.

თაღი ისრული (pointed arch, стрельчатая арка) – თაღი, შედგენილი ორი რკალისგან, რომლებიც კვხში ურთიერთგადაკვეთისას ქმნის კუთხეს.

თაღი კათენარული (ჯაჭვური თაღოვანი კამარა) (catenary arch, катенарная арка) – თაღი, რომელსაც გადაბრუნებული ჩაკიდებული ჯაჭვის ფორმა აქვს.

თაღი კილისებრი (keeled arch, килевидная арка) – თაღი, რომლის მოხაზულობა ამობრუნებულ კილიან გემს ან ნავს წააგავს.

თაღი კოლოფა (box arch, коробовая арка) – სამი (სამცენტრიანი) ან ხუთი (ხუთცენტრიანი) ცენტრიდან მოხაზული რკალის ფორმის თაღი.

თაღი ნახევარწრიული (round arch, полукруглая арка) – თაღი, რომლის რკალი ნახევარწრეა. ქუსლები, როგორც წესი, განლაგებულია ცენტრის დონეზე, საიდანაც ნახევარწრეა შემოხაზული.

თაღი ოჟივური (ogival arch, оживальная арка) – დიაგონალური თაღი გოტიკურ ჯვრისებრ კამარაში.

თაღი პარაბოლური (parabolic arch, параболическая арка) – თაღი, რომელსაც პარაბოლის ფორმა აქვს.

თაღი პერსპექტიული (perspective arch, перспективная арка) – კედლის სიღრმი-საკენ თანამიმდევრულად შემცირებული რადიუსის მქონე თაღების ერთობლიობა.

თაღი სამკუთხა (triangular arch, треугольная арка) – სამკუთხედის ფორმის ისრული თაღის ტიპი.

თაღი სამფრთიანი (three-blade arch, трехлопастная арка) – თაღი, რომელიც

შედგება სამი პატარა თაღისაგან.

თაღი სამცენტრიანი (tricenter arch, трехцентровая арка) – ნახევრადოვალური ფორმის თაღი, რომელიც შედგება სამი წრიული რკალისაგან, რომელთაგან უდიდესის ცენტრი მდებარეობს მალის ცენტრზე გამავალ ღერძზე.

თაღი სეგმენტური (segmental arch, сегментная арка) – თაღის ფორმა, რომელიც შეადგენს წრის ნაწილს.

თაღი სოლისებრი (wedge arch, клинчатая арка) – სოლისებრი ფორმის ქვებით ამოყვანილი ნაწიბურებიანი თაღი.

თაღი ტიუდორისა (tudor arch, арка тюдоров) – ოდნავ შეისრული სამცენტრიანი დამრეცი თაღი.

თაღი ტოლგვერდა (equilateral arch, равносторонняя арка) – ისრული თაღის ტიპი, რომლის სიმრუდის რადიუსი თაღის მალის ტოლია.

თაღი ფლორენციული (arch florence, арка флоренциальная) – წრიული თაღის ტიპი.

თაღი ცრუ (false arch, ложная арка) – თაღი, რომელიც არ წარმოშობს ჰორიზონტალურ განმბეჭენს და ამოყვანილია ქვების თანდათანობით წამატებით.

თაღის აწევის ისარი (arch lifting boom, стрела подъема арки) – თაღის სიმაღლე.

თაღნარი (არკატურა) (arcade, аркада) – დეკორატიულ-პლასტიკური დამუშავების მიზნით შენობის ფასადზე ან სათავსის კედლებზე გამოყვანილი გამჭოლი ან ყრუ თაღების რიგი, რომელიც ზოგჯერ ოთხივე მხარეს გასდევს შენობას.

თბოგადაცემა (heat transfer, теплопередача) – სითბოს გადაცემის პროცესი ერთი გარემოდან მეორეში მათი გამოყოფი კედლის მეშვეობით.

თბოგადაცემის წინაღობა (heat transfer resistance, сопротивление теплоотдачи) – სიდიდე, უკუპროპორციული თბოგადაცემის კოეფიციენტისა.

თბოგამოსხივება (heat radiation, теплоизлучение) – ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომელიც წარმოიშობა ტანის (სხეულის) შიგა ენერჯის ხარჯზე.

თბოგამტარი (heat-conducting, теплопроводный) – სითბოს გამტარი.

თბოგამტარობა (thermal conductivity, теплопроводность) – ფიზიკური სიდიდე, რომელიც ახასიათებს ნივთიერების ტემპერატურის ცვლილების (გათანასწორების) სიჩქარეს არათანაბარ სითბურ მოვლენებში.

თბოგაცემა (heat transfer, теплоотдача) – სითბოს გადატანა კონსტრუქციის ზედაპირიდან გარემოში კონვექტური ან სხივური თბოცვლით.

თბოდაცვა (thermal protection, теплозащита) – ღონისძიებათა კომპლექსი ნორმალური ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფისათვის შენობაში, სათავსოში, დანადგარში, აპარატში და ა.შ.

თბოიზოლატორი (heat insulator, теплоизолятор) – თბოსაიზოლაციო მასალა, რომლის თბოგამტარობის კოეფიციენტი ძალიან დაბალია.

თბოიზოლაცია (thermal insulation, теплоизоляция) – კონსტრუქციის ელემენტი, რომელიც ამცირებს ერთი გარემოდან მეორეში თბოგადაცემის პროცესს და ასრულებს კონსტრუქციაში თერმული წინაღობის როლს.

თბოკვანძი (heat node, теплоузел) – მოწყობილობების კომპლექსი თბომომხმარებლის სისტემის მისაერთებლად თბოქსელთან.

თბომაგისტრალი (warmlytrunk line, тепломагистраль) – მილგაყვანილობის სისტემა ქალაქის, დაბის, დასახლებული პუნქტის ცხელი წყლით მომარაგებისათვის.

თბომდგრადობა (warmlysustainability, теплоустойчивость) – მასალის თვისება, შეინარჩუნოს თავისი ძირითადი თვისებები დადებითი (ტემპერატურამედგობა, ტემპერატურამდგრადობა, თბო-

მედეგობა) ან უარყოფითი (სიმყიფე, ყინვამედეგობა) ტემპერატურის მოქმედებისას.

თბომდეგი (heat resistant, теплостойкий) – ტანის თვისება, შეინარჩუნოს თავისი თვისებები მათალი ტემპერატურის ან ტემპერატურათა მნიშვნელოვანი სხვაობის პირობებში.

თბომდეგობა (heat resistance, теплостойкость) – იხ. თერმომდეგობა.

თბომომარაგება (heat supply, теплоснабжение) – სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების შენობებისა და ტექნოლოგიური მომხმარებლების გათბობისა და ცხელი წყლის მიწოდების სისტემის ცენტრალიზებული მომარაგება ცხელი წყლით ან ორთქლით.

თბოპუნქტი (heat point, теплопункт) – თბური კვანძი თბოგადამტანის გასანაწილებლად სითბოს მოთხოვნის სახეების მიხედვით.

თბოსადგური (warmlystation, теплостанция) – სადგურ-ობიექტი, საიდანაც თბური ენერგია მილსადენების მეშვეობით მიეწოდება მოსახლეობასა და წარმოებებს.

თბოსადენი (warmlystation, теплопроводник) – მილსადენი თბოგადამტანის (ცხელი წყლის, აირისა და ორთქლის) ტრანსპორტირებისათვის თბომომარაგების სისტემაში.

თბოსაიზოლაციო მასალები (thermal insulation materials, теплоизоляционные материалы) – საშენი მასალები, რომელთა თბოგამტარობა არაუმეტეს 0,175 ვატიცა 25°C ტემპერატურაზე.

თბოტევადობა (heat capacity, теплоемкость) – მასალის თვისება, შთანთქოს სითბო გაცხელებისას.

თბოტევადობა კუთრი (specific heat, удельная теплоемкость) – სითბოს რაოდენობა, რომელიც საჭიროა ერთეული მოცულობის მასალის (ნივთიერების) ტემპერატურის ასაწევად ერთი გრადუსით.

თბოტექნიკა (heat engineering, теплотехника) – ზოგადტექნიკური სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც სწავლობს სითბოს მიღების, გარდაქმნის, გადაცემისა და გამოყენების მეთოდებს, აგრეთვე სითბური მანქანების, აგრეგატებისა და მოწყობილობების თბური და ორთქლგენერატორების მუშაობის პრინციპებსა და კონსტრუქციულ თავისებურებებს.

თბოუნარიანობა (calorific value, теплотворность) – სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა მყარი, თხევადი ან აირადი სათბობის მასის ან მოცულობის ერთეულის დაწვის დროს.

თბოქსელი (warmlynetwork, теплосеть) – თბოგამტარების სისტემა, რომელთა მეშვეობით თბოცენტრალიდან თბური ენერგია თბოცენტრალიდან მიეწოდება მომხმარებელს.

თბოცენტრალი (heating plant, теплоцентраль) – სადგური ან დანადგარი, რომელიც გამოიმუშავებს თბურ ენერგიას რაიონული თბოსაქვების ან თბოელექტროცენტრალის თბომომარაგებისათვის.

თეთრი და ფერადი პორტლანდცემენტი (white and colored portland cement, белый и цветной портландцемент) – სუფთა კირქვითა და თეთრი კაოლინით დამზადებული კლინკერისგან მიღებული ცემენტი.

თეოდოლიტი (theodolite, теодолит) – ჰორიზონტალური და ვერტიკალური კუთხესაზომი გეოდეზიური ხელსაწყო.

თეოდოლიტი ასტრონომიული (astronomical theodolite, астрономический теодолит) – თეოდოლიტი, რომლის დანიშნულებაა ასტრონომიული დაკვირვებების ჩატარება განედის, გრძედისა და აზიმუტის განსაზღვრისათვის.

თერმოგენური (thermogenic, термогенный) – ის, რაც შექმნილია თერმოქიმიური პროცესების შედეგად.

თერმოდინამიკა (thermodynamics, тер-

модинамика) – მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სითბური მოძრაობის კანონზომიერებებსა და სითბური მოძრაობის გავლენას სხეულთა ფიზიკურ თვისებებზე.

თერმოდინამიკური ციკლი (thermodynamic cycle, термодинамический цикл) – წრიული პროცესები თერმოდინამიკაში ანუ ისეთი პროცესები, რომელშიც სამუშაო ტანის მდგომარეობის განმსაზღვრელი საწყისი და საბოლოო პარამეტრები (წნევა, მოცულობა, ტემპერატურა და ენტროპია) ერთმანეთს ემთხვევა.

თერმოდირფუზია (thermal diffusion, термодиффузия) – თერმოდინამიკური ეფექტი (სოპეს ეფექტი), რომელიც ხასიათდება ნარევის წარმოქმნით კომპონენტების კონცენტრაციის გრადიენტის ტემპერატურის სხვაობის შედეგად.

თერმოზიტი (expanded clay, керамзит) – ფოროვანი მასა, მიღებული ბრძმედის მჭავე წილებისგან წყლით მათი სწრაფი გაცივების გზით.

თერმოლიტი (thermolite, термолит) – მასალა, მიღებული ღორღის ან კაჟბადის ოპალური ქანების წინასწარ მომზადებული გრანულების (დიატომიტი, ტრეპელი, ოპოკა) გამოწვივით.

თერმომედეგობა (თბომედეგობა) (temperature-resistant, термостойкий) – ცეცხლმედეგი და მყიფე მასალების უნარი, დაუშლელად გაუძლოს ტემპერატურული ძაბვების ზემოქმედებას.

თერმოსტატი (thermostat, термостат) – ტემპერატურის მუდმივობის შესანარჩუნებელი ხელსაწყო. გამოიყენება ლაბორატორიული ცდების ჩასატარებლად.

თერმოფილა (thermoplate, термоплита) – თბოსაიზოლაციო მასალისაგან დამზადებული სხვადასხვა ზომის ფილა.

თერმოფორმა (thermoform, термоформа) – ფორმა, რომლის ელემენტებში განთავსებულია სითბოს წყაროები ან თბოგადამტანები.

თერმული იზოლაცია (thermal insulation,

термальная изоляция) – კონდიციონირება სივრცეების გამმიჯნავი მიშენებულ მზიან ოთახსა და საცხოვრებელ ერთეულს შორის, რომელიც შედგება არსებული ან ახალი კედლ(ებ)ისგან, კარებისა და/ან ფანჯრ(ებ)ისგან.

თვალაკი (peephole, глазок) – ნაკეთობა, რომლითაც შესაძლებელია გარე სივრცის დათვალიერება სათავსის შიგნიდან კარის გაღების გარეშე.

თვითამწე (self-elevating crane, самоподъемный кран) – მშენებარე ნაგებობის კონსტრუქციაზე დამაგრებული ამწე, რომელიც გადაადგილდება საკუთარი მექანიზმების მეშვეობით შენობის სიმაღლის მატების შესაბამისად.

თვითდაძაბული კონსტრუქცია (self-heating construction, самонагревающаяся конструкция) – რკინაბეტონის კონსტრუქცია, დამზადებული დამძაბავ ცემენტზე, რომელიც ბეტონის გამყარების პროცესში გაფართოების ხარჯზე ქმნის დაძაბულ მდგომარეობას.

თვითმავალი სატრანსპორტო საშუალებები (self-propelled vehicles, самоходные транспортные средства) – ნებისმიერი სახის თვითმავალი ტრანსპორტი, რომელიც დაპროექტებული და კონსტრუირებულია კონკრეტულად იმ სახის სამუშაოს შესასრულებლად და, მისი კონსტრუირების მანასიათებლებიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი მგზავრთა გადასაყვანად ან ტვირთის გადასატანად.

თვითმაშველი (self-rescuer, самоспасатель) – მიწისქვეშა ავარიის (აფეთქება, ხანძარი, აირის უეცარი გამოტყორცნა, ჩამოქცევა) შემთხვევაში ადამიანის სუნთქვისათვის უვარგის გარემოში ინდივიდუალური დაცვისათვის ერთჯერადი გამოყენების აპარატი.

თვითმზიდი კედელი (self-supporting wall, самонесущая стена) – კედელი, რომელიც ასრულებს შემომზღულავ ფუნქციებს და არ ზიდავს ვერტიკალურ და-

ტივრთვებს, გარდა საკუთარი წონისა.

თვითწვა (self-combustion, самосгорение) – მყარი ნივთიერების წვა, რომელიც გამოწვეულია ნივთიერების შიგნით მიმდინარე ქიმიური, მიკრობიოლოგიური ან მექანიკური პროცესის შედეგად გამოყოფილი სითბოს დაგროვებით.

თითბერი (brass, латунь) – სპილენძისა და თუთიის შენადნობი.

თიქსოტროპია (thixotropy, тиксотропия) – ზოგი ნაცრისა და გელის ერთმანეთში გადასვლის თვისება მექანიკური ზემოქმედების – არევის, შენჯღრევის დროს.

თიხა (clay, глина) – წვრილმარცვლოვანი დანალექი და ჰიდროთერმულად შეცვლილი მთის ქანი, რომელიც ძირითადად შედგება კაოლინიტის, მონტმორილონიტის ჯგუფის მინერალებისაგან ან სხვა ფენოვანი ალუმინსილიკატებისაგან.

თიხა აბისალური (abyssal clay, абиссальная глина) – წყლის ქვეშ ღრმად განლაგებული (3000 მ და მეტი) ქანი, რომელსაც უჭირავს მსოფლიო ოკეანის ფსკერის ფართობის 90%-მდე.

თიხა ადვილდნობადი (fusible clay, легкоплавкая глина) – თიხა, რომელიც უძლებს 1350°C-ზე ნაკლებ ტემპერატურას.

თიხა ბენტონიტური (bentonite clay, бентонитовая глина) – კოლოიდური თიხა, რომელიც შედგება ძირითადად მონტმორილონიტის ჯგუფის მინერალებისაგან.

თიხა ბლანტი (viscous clay, вязкая глина) – დაბალტემპერატურული შეცხოების სველი თიხა მინარევებისა და ქვიშის გარეშე.

თიხა გამომწვარი (baked clay, выпечанная глина) – მიიღება ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა წითელი თიხის გამოწვით, დანაწევრებითა და გამოწვით მაღალ ტემპერატურაზე საჭირო ტექნოლოგიის დაცვით.

თიხა თეთრი (White clay, белая глина) – თეთრი თიხა, რომელიც კოსმეტიკაში

გამოიყენება.

თიხა პოლიმერული (polymer clay, полимерная глина) – პლასტიკური მასალა მცირე ზომის ნაკეთობების (სამშენისი, სამკაული, თოჯინა, სათამაშო, სკულპტურა და სხვ.) გამოსაძერწად, რომელიც მყარდება 100-130°C ტემპერატურაზე. აქვს სპეციფიკური სუნი. გარეგნულად ჩამოჰგავს პლასტილინს.

თიხა სააგურე (clay for brick, глина для кирпича) – თიხის სახეობა, რომელიც ძირითადად შედგება კაოლინიტის, ჰიდროქარსების, მონტმორილონიტისა (კვარცის, კარბონატებისა და რკინის ქანგის მინარევებით) და სხვა მინერალებისაგან.

თიხა ფაიფურისა (china clay, фарфоровая глина) – უმაღლესი ხარისხის თეთრი თიხა.

თიხა ცეცხლგამძლე (refractory clay, огнеупорная глина) – წვრილად დანაწევრებული, სხვადასხვა ქიმიურ-მინერალური შედგენილობის დანალექი მთის ქანი, რომელიც ბუნებაში გვხვდება ფხვიერ ან შემკვრივებულ მდგომარეობაში.

თიხა ცეცხლმედეგი (fire retardant clay, огнестойкая глина) – თიხა, რომელიც უძლებს 1580°C და მეტ ტემპერატურას.

თიხა ძნელდნობადი (hard-melting clay, тугоплавкая глина) – თიხა, რომელიც უძლებს 1350-1580°C ტემპერატურას.

თიხაბზე (adobe, саман) – ჰაერზე გამომშრალი აგური, დამზადებული თიხის, ქვიშისა და ჩალისგან (ბზისგან).

თიხამიწა (alumina, глинозем) – ალუმინის ოქსიდი, თეთრი ფხვნილი. მიიღება ისეთი მინერალებისაგან, როგორიცაა ბოქსიტი, ნეფელინი, კაოლინი.

თიხასაზელი (clay mixer, глиномялка) – აგრეგატი, რომელიც გამოიყენება თიხის მასის მეორეული დაქუცმაცებისა და დამუშავებისათვის.

თიხასარევი (clay mixer, глиномешалка) – მოწყობილობა თიხის ასაზელად და

თიხოვანი ხსნარის მოსამზადებლად.

თიხასაჭრელი (clay cutting machine, глинорезка) – ერთ- ან მრავალსიმიანი ავტომატი, რომელიც ლენტური წნეხის სატუჩედან გამოსულ თიხის ძელს ჭრის აგურის შესაბამის ზომაზე.

თიხნარი (loam, суглинок) – ფხვიერი თიხა-ქვიშის დაჯდომადი მთის ქანი, რომლის შედგენილობაში 10-30% (მასის მიხედვით) თიხის ნაწილაკებია (ზომით ნაკლები 0,005 მმ-ზე), ხოლო დანარჩენი – ქანებისა და მინერალების სხვადასხვა ზომის ნატეხები.

თუნუქი (sheet metal, жесть) – ცივნაგლინი გამომწვარი ფურცლოვანი ფოლადი, დაფარული კალით ან სპეციალური საფარვლით.

თუჯი (cast iron, чугу́н) – რკინის შენადნობი ნახშირბადთან (2-4,5%), მანგანუმის მცირე რაოდენობასთან (1,5%-მდე), კაჟთან (4,5%-მდე), გოგირდთან (< 0,08%), ფოსფორთან (< 1,8%) და სხვა ელემენტებთან

თუჯი თეთრი (white cast iron, белый чугу́н) – თუჯი, რომელშიც ნახშირბადი (5,8%-მდე) შედის რკინის კარბიდის ან ცემენტიტის სახით.

თუჯი ლეგირებული (alloy cast iron, легированный чугу́н) – თუჯი, რომელიც ჩვეულებრივ კომპონენტებთან ერთად, შეიცავს სპეციალურ დანამატებს (ქრომს, ნიკელს, მოლიბდენს, ვანადიუმს, ტიტანს, ალუმინს, სპილენძს, ცირკონიუმსა და სხვ.), რომლებიც თუჯს აძლევენ განსაზღვრულ თვისებებს.

თუჯი მაღალი სიმტკიცისა (high-strength cast iron, высокопрочный чугу́н) – თუჯი,

რომელშიც ნახშირბადი შედის სფეროსებრი გრაფიტის სახით.

თუჯი რუხი (gray cast iron, серый чугу́н) – თუჯი, რომელშიც ნახშირბადი შედის ფირფიტის ან ბოჭკოვანი გრაფიტის სახით.

თუჯი სამსხმელო (foundry pig iron, литейный чугу́н) – ბრძმედის ღუმელში ჩამოსხმული თუჯი.

თუჯი სარკისებრი (mirror iron, зеркальный чугу́н) – ფოლადის წარმოებაში გამოყენებული თუჯი მანგანუმის 10-15% შემცველობით.

თუჯი ჭქადი (ductile cast iron, ковкий чугу́н) – რბილი და ბლანტი თუჯის სახეობა.

თხევადი მერქანი (liquid wood, жидкая древесина) – მერქან-პოლიმერული კომპოზიტი.

თხელი (thin, тонкий) – მცირე განივკვეთის მქონე; დალეული, გამხდარი; ნაკლებად მკვრივი (სითხე, ორთქლი), არანშირი, მეჩხერი.

თხელკედლიანი კონსტრუქციები (thin-walled structures, тонкостенные конструкции) – სამშენებლო კონსტრუქციები, რომლებსაც ერთი ზომა (სისქე), სხვა ორ ზომასთან შედარებით, გაცილებით მცირე აქვს (გარსები, გუმბათები და სხვ.).

თხემი (ქიმი) (comb, гребень) – ორ- ან ოთხფერდა სახურავის დაქანებული ფერდების ზედა შემაერთებელი ხაზის არქიტექტურულად გაფორმებული დეტალი, რომელიც წიბოს მიჰყვება უწყვეტად.

თხრილი (ditch, moat, канава, ров) – ნათხარი, გაჭრილი, გათხრილი მიწა, გრძლად გაჭრილი ორმო.

იარუსი (tier, ярус) – შენობის ან ნაგებობის ნაწილი, რომლის სიმაღლე პირობითად შემოსაზღვრულია და არის ერთიანი სივრცე მოცულობით-გეგმარებითი, ტექნიკური და კონსტრუქციული თვალსაზრისით.

იატაკი (floor, пол) – სათავსის ან სატრანსპორტო საშუალების ქვედა ზედაპირი.

იატაკი აქტიურად თბილი (active floor heating, активно теплый пол) – იატაკი, რომლის საფუძველში იატაკის ქვედა მხრიდან ჩაწყობილია გასათბობი ელემენტები, როგორცაა მილსადენები ცხელი თბომატარებლებით, ელექტროკაბელები და სხვ.

იატაკი ბეტონისა (concrete floor, бетонный пол) – მონოლითური ბეტონის იატაკი, მოწყობილი მთელი ფართობის დამონოლითებით (თუ ფართობი მცირეა) ან პარალელური სექციების დამონოლითებით რამდენიმე ეტაპად (თუ ფართობი დიდია).

იატაკი დასასხმელი (self-leveling floor, bulk floor; наливной пол) – იატაკის მონოლითური საფარი, დამზადებული დენადი პოლიმერშემცველი ნივთიერებებისგან წინასწარ მომზადებულ საფუძველზე ან მოჭიმვაზე.

იატაკი ვინილისა (vinyl floor, vinyl flooring; виниловый пол) – იატაკის მრავალფენიანი კომპოზიციური საფარველი, რომელიც ძირითადად შედგება ზედა, შუა და ქვედა შრეებისაგან.

იატაკი თბილი (warm floor, теплый пол) – იატაკი, რომლის საფუძველად გამოყენებულია სითბოს ათვისების დაბალი კოეფიციენტის მქონე მასალები.

იატაკი კაფელისა (tiled floor, tile floor; кафельный пол) – იატაკი, მოწყობილი ბუნებრივი ქვის ან ხელოვნური კაფელის ფილებისაგან.

იატაკი კერამიკული გრანიტისა (porcelain stoneware floor, керамогранитный пол) – იატაკის ძვირფასი სახეობა, რომელიც

მელიც გამოირჩევა ცვეთამდეგობით, ხანგამძლეობითა და მოვლის სიმარტივით.

იატაკი ლამინატისა (floor from laminate, пол из ламината) – თანამედროვე იატაკის სახეობა, სადაც პარკეტის ნაცვლად გამოყენებულია დაწნეხილ საფუძველზე დაგებული ლამინატი.

იატაკი ლინოლეუმისა (floor of linoleum, пол из линолеума) – იატაკი, რომლის საფარველად გამოყენებულია ლინოლეუმში.

იატაკი მოზაიკური (mosaic floor, мозаичный пол) – იატაკი, რომელიც დაფარულია მონოლითური ბეტონისა და მარმარილოს (ან სხვა მასალის) მოზაიკური დეკორით.

იატაკი მცურავი (floating floor, плавающий пол) – იატაკი, რომელიც დაგებულია უშუალოდ გადახურვის ფილებზე. შედგება საფარველის, ხისტი საფუძვლისა და უწყვეტი ბგერასაიზოლაციო შრისაგან, რბილი, დრეკადი ან ფხვიერი მასალისაგან.

იატაკი პარკეტისა (parquet floor, паркетный пол) – იატაკის მოწყობის ერთ-ერთი ძვირადღირებული სახეობა, რომლისთვისაც საფარველად გამოყენებულია პარკეტი.

იატაკი რეგულირებადი (adjustable floor, регулируемый пол) – შავი იატაკი, რომლის დონეების რეგულირება ხდება ლაგებისა და პლასტმასის ხრახნების მეშვეობით.

იატაკი სუფთა (clean floor, чистый пол) – იატაკის ზედა ხილული ზედაპირი.

იატაკი ფენოვანი (layered floor, слоистый пол) – იატაკი, რომელიც შედგება მყარი საფარისა და თხელი ბგერათსაიზოლაციო ფენებისგან, დაგებული უშუალოდ გადახურვის ფილებზე ან ცემენტის მოჭიმვაზე.

იატაკი შავი (draft floor, черновой пол) – იატაკის კონსტრუქციული ნაწილი, შედგენილი სხვადასხვა მასალებისგან,

რომლებიც ქმნიან მყარ საფუძველს სუფთა იატაკის (პარკეტის, ლამინატის, ლინოლეუმისა და სხვ.) მოსაწყობად.

იატაკი ხისა (wooden floor, деревянный пол) – იატაკის უძველესი სახეობა, რომლის საფარვლად გამოყენებულია ხის ფიცარი. ის ლაგდება მოსწორებულ და ჰიდროიზოლირებულ ზედაპირზე ან ხის კოჭებზე.

იატაკის მოჭიმვა (floor screed, стяжка пола) – ცემენტ-ქვიშის ნარევის უწყვეტი ფენის დაგება, რომელიც იატაკის სტრუქტურის ნაწილი და ზედა საექსპლუატაციო ფენის საფუძვლია.

იატაკის საფარი (floor covering, покрытие пола) – იატაკის ზედა შრე (პარკეტი, ფიცარი, ლინოლეუმი, ბეტონი, ასფალტი, ასფალტბეტონი, ლითონცემენტი, ქსილოლითი, პოლიმერცემენტბეტონი, სხვადასხვა სახის ფილები, ხალიჩები და სხვ.), რომელზეც უშუალოდ მოქმედებს საექსპლუატაციო დატვირთვები.

იატაკის საფუძველი (მოჭიმვა) (floor base, основа пола) – იატაკის შრე, რომელიც ასწორებს მის ქვევით მდებარე გადახურვის მზიდი კონსტრუქციის ზედაპირს, საჭიროების შემთხვევაში აძლევს დახრას, ფარავს სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო გაყვანილობებს, ღრეჩოებს, ნაპრალებს, ნახეთქებს და ზედაპირს აძლევს დასრულებულ სუფთა სახეს მასზე იატაკის მოსაწყობად.

იატაკის ქვენაფენი (floor underlayment, подстилающий слой пола) – იატაკის ფენა (შრე), რომელიც დატვირთვას ანაწილებს გრუნტზე.

იატაკის შუაშრე (floor layer, прослойка пола) – შუალედური ფენა, რომელიც საფარს აკავშირებს იატაკის ქვედა შრესთან (ცემენტ-ქვიშა, ღუდაბი, ბიტუმის მასტიკა, სინთეზური წებო და სხვ.).

იატაკის ჰიდროსაიზოლაციო შრე (waterproofing floor layer, гидроизоляционный прослойка пола) – იატაკის შრე (შრეები), რომელიც ეწინააღმდეგება ია-

ტაკში წყლისა და სხვა სითხეების გავლას, ასევე გრუნტის წყლების ამოსვლას (გამოჟონვას).

იზოპლასტი (isoplast, изопласт) – საბურულე და ჰიდროსაიზოლაციო ბიტუმ-პოლიმერული რულონური ორიენტირებული მასალა პრემიუმკლასისა.

იზოჰიპსი (isogypsum, изогипс) – ზღვის დონიდან ერთნაირ სიმაღლეზე მდებარე წერტილების (ნიშნულების) შემაერთებელი ხაზი გეოგრაფიულ რუკაზე, რომელიც წარმოადგენას გვაძლევს დედამიწის ზედაპირის რელიეფზე.

იმპრეგანაცია (იმპრეგნირება) (impregnation, импрегнация) – მერქნის, ქსოვილის გაჟღენთა სპეციალური ხსნარით ან ემულსიით განსაკუთრებული თვისებების მისანიჭებლად (უღპობობა, თელვამდეგობა და სხვ.).

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა (individual housing construction, индивидуальное жилищное строительство) – მოქალაქეების საცხოვრებლით უზრუნველყოფის ფორმა სახლების მშენებლობითა და მათზე პირადი საკუთრების უფლებით, რომელიც ხორციელდება ამ მოქალაქეების მონაწილეობით ან მათი სახსრებით.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (individual residential building, индивидуальный жилой дом) – საცხოვრებელი სახლი, რომელიც განკუთვნილია ერთი ოჯახისათვის.

ინდიკატორი (indicator, индикатор) – ხელსაწყო, მოწყობილობა, საინფორმაციო სისტემა, ნივთიერება, რომელთაც იყენებენ ფიზიკური სიდიდეების (მაგ., წნევის, დატვირთვის, დეფორმაციის, ძაბვისა და სხვ.) გასაზომად.

ინჟექტორი (injector, инжектор) – ჭავლური ტუმბო აირის ან სითხის დასაჭირხნად რეზერვუარებში, მაგ., სასმელი წყლის ორთქლის ქვაბში.

ინჟინერ-კონსტრუქტორი (design engineer, инженер-конструктор) – უმაღლესი

სამშენებლო განათლების (დოქტორი, მაგისტრი) მქონე პირი, რომელიც ამუშავებს სამშენებლო პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს (გაანგარიშება, სამუშაო ნახაზები, მასალების ამოკრეფა, სპეციფიკაცია, სახანძრო უსაფრთხოება და ა.შ.) და ხელმძღვანელობს დოკუმენტაციის მომზადებას მშენებლობის დაწყებისათვის.

ინჟინერი (engineer, инженер) – უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე პირი, რომელიც ეწევა საინჟინრო საქმიანობას – აპროექტებს, აშენებს, ცდის სტრუქტურებს, მასალებს, კონსტრუქციებს, ტექნიკურ მოწყობილობებს, შეიმუშავებს ტექნოლოგიებს, ამზადებს ტექნიკურ დოკუმენტაციას, ატარებს გამოცდებს, რემონტს, ნარჩენების უტილიზაციას, ნაგებობების ზედამხედველობას, მოწყობილობების ტექნიკურ მომსახურებასა და სხვ.

ინჟინირინგი (engineering, инжиниринг) – 1. ახალი საინჟინრო-საკონსულტაციო საქმიანი მომსახურების ერთ-ერთი სახეობა, ინტელექტური საქმიანობის ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს კომერციულ საფუძველზე ამა თუ იმ საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევას; 2. მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში არსებული ერთ-ერთი ფორმა საერთაშორისო კომერციული კავშირებისა.

ინსტრუმენტი (tool, инструмент) – ფართო გაგებით შრომის იარაღი, მაგ., სამჭედლო, საზეინკლო, ლითონსაჭრელი, ხის დასამუშავებელი და ა.შ. ინსტრუმენტი.

ინსტრუქტაჟი (instruction, инструктаж) – ინსტრუქციების მიცემა.

ინსტრუქტაჟი განმეორებითი (reinstruction, повторный инструктаж) – ყველა მუშისთვის ყოველ სამ თვეში ერთხელ (ადგილობრივი წესებით შეიძლება დაწესდეს სხვა ვადები, მაგრამ არა უგვიანეს 6 თვისა) ჩატარებული ინსტრუქ-

ტაჟი.

ინსტრუქტაჟი მიმდინარე (current instruction, текущий инструктаж) – იმ სამუშაოების დაწყების წინ ჩატარებული ინსტრუქტაჟი, რომელზეც საჭიროა გაფორმდეს განაწესი-დაშვება.

ინსტრუქტაჟი პირველადი (initial briefing, первичный инструктаж) – ყველა ახლად მიღებულისთვის სამუშაო ადგილზე ჩატარებული ინსტრუქტაჟი.

ინსტრუქცია (instruction, инструкция) – მითითება. რაიმეს შესრულების, განხორციელების წესისა და პირობების დამდგენი დებულებების კრებული; 2. (კომპ.) კომპიუტერული პროგრამის მონაკვეთი, რომელიც განსაზღვრავს და ასრულებს კონკრეტულ ოპერაციას.

ინტერიერი (interior, интерьер) – შენობის ან სათავსის არქიტექტურულად გაფორმებული შიგა სივრცე, სადაც ადამიანს უწევს ცხოვრება, მოღვაწეობა და ატარებს ცხოვრების მნიშვნელოვან დროს.

ინფილტრაცია (infiltration, инфильтрация) – სითხის ნაწილაკების გაღწევა მყარ ნივთიერებაში; გაჟონვა.

ინფილტრაციული ნაგებობა (infiltration facility, инфильтрационное сооружение) – ნაგებობა მიწისქვეშა წყლების ასაღებად ან მათ შესავსებად ხელოვნური გზით.

ინფრაბგერა (infrasound, инфразвук) – დაბალი სიხშირის (20 ჰერცზე ნაკლები) მექანიკური რხევები, რომლებსაც ადამიანის ყური ვერ აღიქვამს.

ინფრასტრუქტურა (infrastructure, инфраструктура) – 1. საზოგადოების ან ორგანიზაციის საბაზისო სტრუქტურა; დაგროვილი კაპიტალური აღჭურვილობის ფონდი (სატრანსპორტო საშუალებები, სკოლები, ფაბრიკები, გზები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, წყალმომარაგება, სამშენებლო ობიექტები და ა.შ.); 2. საინჟინრო-ტექნიკური და სოციალური მომსახურების, ასევე საკომუ-

ნიკაცით ობიექტების, ნაგებობებისა და ქსელების ერთობლიობა;

ინცერტი (insert, инцерт) – 1. ბეტონის ზედაპირის მოპირკეთება ბუნებრივი ან ხელოვნური უსწორო ქვებით; 2. კედლის რომაული უწესრიგო ქვის წყობა.

ინჰიბიტორი (inhibitor, ингибитор)– ქიმიური პროცესების შემაფერხებელი (შემნელებელი, შემწყვეტი) ნივთიერება.

იონიკი (ionic, ионик) – ორნამენტული დეტალი, რომელიც, ჩვეულებრივ, ამშვენებს ნაოთხალ ლილვს და მიიღება ოვალური ამოზნექილობის, კვარცხისებრი, ისრული და ფოთლოვანი მწკრივების მონაცვლეობით. გამოიყენება კლასიკური იონიური და კორინთული არქიტექტურული ორდერების სვეტისთავებში, ფრიზებსა და კარნიზებში.

იპოდრომი (hippodrome, ипподром) – ცხენთსარბიელი, საგანგებოდ მოწყობილი ასპარეზი შეჯიბრებების ჩასატარებლად ცხენოსნობაში და ჩორთმავალი ცხენების გამოსაცდელად, ასევე ცხენების გამოსაფენად და გამოსაყვანად.

ირიბანა (brace, раскос) – სამშენებლო კონსტრუქციის (წამწის, კარკასის) ელემენტი, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს კონსტრუქციის ორ შემადგენელ ნაწილს და განსაზღვრული კუთხით არის მიმართული დგარებისა და ჰორიზონტალური სარტყლის მიმართ.

ირიბი ღუნვა (oblique bend, косо́й изгиб) – ღუნვა, რომლის დროსაც მღუნავი მომენტის ვექტორი არ ემთხვევა ღეროს განივი კვეთის ინერციის მთავარი ცენტრალური ღერძების არც ერთ მიმართულებას.

ირიბი ჩაჭრა (oblique cut, косо́й врез) – შეერთების სახეობა ძელების ან მორების სიგანეში წასაზრდელად.

ირიგაცია (irrigation, ирригация) – წყლის განსაზღვრული რაოდენობა მცენარეული კულტურების მოსარწყავად დროის გარკვეულ შუალედში.

ისტორიული ძეგლი (historical monument, исторический памятник) – ცალკეული არქიტექტურული ნაგებობა ან დასახლებული ტერიტორიული კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრულ კულტურასთან, ფაქტთან ან ისტორიულ მოვლენასთან.

იტალიური კლასიკა (იტალიური რენესანსი, იტალიური აღორძინება) (Italian classic, итальянская классика) – XIV-XVI საუკუნეების იტალიური არქიტექტურის აღორძინების (რენესანსის, იტალ. Rinascimento) პერიოდი, რომელმაც უდიდესი კულტურული ცვლილებები და მიღწევები გამოიწვია XV საუკუნის ევროპაში.

იტალიური პანდუსი (italian ramp, итальянский пандус) – ფართო დახრილ-საფეხურებიანი დამრევი კიბე პანდუსის გაგრძელებაზე.

იუნგის მოდული (გრძივი დრეკადობის მოდული) (Young's modulus, модуль юнга) – დრეკადობის მოდულის ერთ-ერთი სახე, ფიზიკური სიდიდე, რომელიც ახასიათებს მასალის თვისებას წინააღმდეგობა გაუწიოს გაჭიმვის ან კუმშვის დრეკად დეფორმაციას.

იურტა (yurt, юрта) – ცენტრალური აზიის ველებში მცხოვრები მომთაბარე ხალხების ტრადიციული გადასატანი სადგომი, სახლი, რომლის კონსტრუქციაც შედგება წრიულად დაწნული გვირგვინისგან.

იჯარა (rent, аренда) – მეიჯარის მხრიდან გარკვეული ქონების მოიჯარისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

კაბელი (cable, кабель) – ჰერმეტიკულ გარსში მოთავსებული მოქნილი ელექტროსადენი (ან სადენები), რომელსაც, ჩვეულებრივ, ზემოდან დამცავი საფარი აქვს.

კაბელი თანადერძული (coaxial cable, коаксиальный кабель) – კაბელი, რომელიც შედგება ორი ერთმანეთისგან იზოლირებული სადენისაგან; ერთი მათგანი გატარებულია მეორეში. იყენებენ ძალიან მაღალი სიხშირის ენერჯის გადასაცემად.

კაბელი იზოლირებული (insulated cable, изолированный кабель) – ელექტრული კაბელი, დაფარული საიზოლაციო გარსით.

კაბელი საკონტროლო (control cable, контрольный кабель) – ელექტრომოწყობილობის სიგნალიზაციის, კონტროლისა და მართვის ელექტრული კაბელი.

კაბელმაძიებელი (cable locator, кабелеискатель) – ხელსაწყოთა კომპლექტი, რომლითაც ადგენენ მიწისქვეშა და წყალქვეშა კაბელების ტრასისა და ჩაწყობის სიღრმეს, აგრეთვე მათი ძარღვების დაზიანების ადგილს იმ შემთხვევაში, როცა ისინი მთლიანადაა მიწაში ჩაფლული.

კაბელჩამწყობი (cable layer, кабелеукладчик) – მისაბმელი ან თვითმავალი მექანიზმი, რომელიც კაბელს აწყობს მიწაში ან წყალქვეშ.

კაბესტანი (capstan, кабестан) – ტვირთის გადასადგილებელი მექანიზმი – ვერტიკალური ლილვი, რომელზეც იხვევა ჯაჭვი, გვარლი ან ბაგირი.

კაბინა (cabin, кабина) – სპეციალური დანიშნულების, სხვადასხვა ფორმისა და კონსტრუქციის პატარა სათავსი (მაგ., მართვის კაბინა, მძღოლის კაბინა, ბაგირგზის კაბინა, ჰერმეტიკული კაბინა და სხვ.).

კავალიერი (cavalier, кавальер) – მიწაყრილი გზის გაყოლებაზე, რომელიც ეწყობა ამოღებული გრუნტით თოვლის

ნამქერისა და ჩამდინარი წყლებისაგან დასაცავად.

კავუული (locksmith's work, скобяные изделия) – წვრილი, ძირითადად ლითონური ნაწილები, გამოყენებული სამშენებლო, სადურგლო, სახუროე სამუშაოებში (კავი, გონიო, საკვალთი და სხვ.).

კავი (clamp, скоба) – ტვირთამწვევი მანქანების ნაწილი (დეტალი), რომელიც გამოიყენება ტვირთის ან ტვირთჩამჭერი მოწყობილობის ჩამოსაკიდად ამწვევი მექანიზმის ბაგირზე ან ჯაჭვზე, ასევე ტრაქტორისა და გამწვასაგან წვეის ძალის გადასაცემად მისაბმელზე.

კაკვი, კაუჭი (loal hook, крюк) – იგივეა რაც კავი, ოღონდ უფრო გამოყენებული გამწვებზე ან მცირე ტვირთამწეობის მოწყობილობებზე.

კალანდრი (calender, каландр) – წნეხი, რომლის ლილვებს შორის ატარებენ ქსოვილს, ქაღალდს, რეზინს და სხვ. – სიგლუვის მისაცემად, გასაპრიალებლად ან მოსახატად.

კალატოზი (mason, каменщик) – ხელოსანი, რომელიც აშენებს ქვის, აგურის და მისთ. შენობებს.

კალიბრომეტრი (calibrometer, калиброметр) – ხელსაწყო, რომლითაც ზომავენ მავთულის, ფურცლოვანი რკინისა და მისთ. სისქეს; კალიბრსაზომი.

კალორიფერი (ar heater, калорифер) – ჰაერის გასახურებელი მოწყობილობა (მილების სისტემა, რომელშიც მოძრაობს ცხელი წყალი, ორთქლი და სხვ.).

კალცინაცია (calcination, кальцинация) – ნივთიერების გავარჯარება ან გამოწვა დაჟანგვის ან დაშლის მიზნით.

კამარა (კონქი, კონქა, ქონქი, კურტიმალი, ხულა) (arch, свод) – გადახურვის ტიპი ან სივრცის (სათავსის) სახურავი, შემოსაზღვრული კედლებით, კოჭებით ან სვეტებით – კონსტრუქცია, რომელიც შექმნილია დახრილი სწორხაზოვანი ან მრუდწირული ზედაპირებით.

კამერა (chamrer, камера) – ჩაკეტილი

სივრცე ამა თუ იმ მანქანაში, მაგ., წვის კამერა ძრავაში, სამსხვრევი კამარა ყბებიან და დარტყმითი მოქმედების სამსხვრევებში, კამარა ასაფეთქებელი მუხტის ჩასადებად, შემრევი კამარა და სხვ.; **კანალიზაცია** (canalization, sewerage; канализация) – 1. ინფრასტრუქტურა (გვირაბი, არხი, დრენაჟი, მილი, წყალშემკრები, სატუმბი სადგური, შტორმული გადასასვლელი, მაეკრანებელი კამერა, ჭა, ლუკი და ა.შ.), რომელიც ატარებს ზედაპირულ (წვიმის წყალი, ნიაღვარი, ლხობილი წყალი), ჩამდინარე წყლებს და ფეკალურ მასებს, ძირითადად, მიწისქვეშა საკანალიზაციო სისტემით, რომელიც მთავრდება დაბინძურებული წყლის გამწმენდი ნაგებობით ან გარემომცველ გარემოში გადაგდებით; 2. წყალში შეტივტივებული ფეკალური მასების გამყვანი მილი აღჭურვილი სათვალთვალო ჭებით.

კანეკალონი (kanekalon, канекалон) – მაღალტექნოლოგიური სინთეზური ბოჭკო, მიღებული უნიკალური იაპონური ტექნოლოგიით.

კანელურა (კედელდარი) (cannelure, каннелюра) – სვეტის ან პილასტრის ტანზე ამოღებული ვერტიკალური დარაკი, აგრეთვე ჰორიზონტალური დარაკები იონიური ბაზისის ლილვზე.

კანიონი (canyon, каньон) – მთის მდინარის ღრმა ხეობა, ძალზე ციცაბო ფერდობებითა და ვიწრო ფსკერით, რომელიც, ჩვეულებრივ, მთლიანად მდინარის კალაპოტს უკავია.

კანტი (არშია, კიდე) (edging, кант) – რაიმე მასალის ვიწრო ზოლი, შემოვლებული რაიმეს კიდეზე. გამოიყენება რბილი ავეჯის წარმოებაში და საყოფაცხოვრებო ნივთების დასამზადებლად.

კაოლინი (kaolin, каолин) – თეთრი ცეცხლგამძლე თიხა, რომელიც მიიღება მინერალ კაოლინიტისაგან.

კაპიტალური კედელი (capital wall, капитальная стена) – შენობის, ნაგებობის ძირითადი (მზიდი) კედელი, რომელსაც ეყრდნობა სახურავი.

კაპიტალური მშენებლობა (capital construction, капитальное строительство) – მშენებლობის სახეობა (შენობა, ნაგებობა), რომელსაც აქვს საგნობრივი ნიშნები, კერძოდ: 1. სამშენებლო ობიექტს არ აქვს დროებითი ხასიათი; 2. შენობა (ნაგებობა) მიბმულია კაპიტალურ საძირკველთან და დროთა განმავლობაში არ ექვემდებარება დამლასა და გადატანას; 3. დამთავრებულ სამშენებლო ობიექტზე გაიცემა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მეპატრონის უფლებას საკუთრებაზე; 4. ობიექტს აქვს სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

კაპიტელი (capital, капитель) – სვეტის თავი. ვერტიკალური საყრდენის (ბოძი, სვეტი, პილასტრი, პილონი) დამაგვირგვინებელი ნაწილი, რომელიც ზრდის საყრდენის ფართობს და დატვირთვას გადასცემს მას არქიტრავისა და მის ზევით მდებარე ნაწილების (ანტაბლემენტის) კონსტრუქციებისაგან.

კაპიტელი ბიზანტიური (byzantine capital, византийская капитель) – კლასიკური იონიური და კორინთული კაპიტელების შეცვლილი ვარიანტი.

კაპიტელი გოტიკური (gothic capital, готическая капитель) – სვეტის კაპიტელის ტიპი, რომელშიც არ არის გამოყენებული კლასიკური არქიტექტურული ორდერების ელემენტები.

კაპიტელი ვოლიუტური (volute capital, волюта капитель) – კლასიკური იონიური ორდერის კაპიტელი, რომლის ექვინი შემკულია ორი წყვილი ვოლიუტით.

კაპიტელი კუბისებრი (cube capital, кубоватая капитель) – სვეტის კაპიტელის ტიპი, რომელსაც კუბის ფორმა აქვს. ის უზრუნველყოფს სვეტის მრგვალი ტანის გადასვლას კაპიტელზედა კვადრატულ ფილაზე (აბაკაზე).

კაპიტელი ლოტოსისებრი (კოკრისებრი)

(lotus capital, лотосовидная капитель) – არქიტექტურული ორდერის სვეტის კაპიტელის ტიპი, რომელსაც ყვავილის კოკრის ფორმა აქვს.

კაპიტელი ჰალმისებრი (palm-shaped capital, пальмовидная капитель) – კლასიკური არქიტექტურული წრიული კაპიტელი, რომელიც შემკულია ჰალმის მცენარის ფოთლების სტილიზებული გამოსახულებით.

კაპიტელი ჰატჰორიული (capital hathor, капитель хатхор) – ეგვიპტური კაპიტელის სახეობა ქალღმერთ ჰატჰორის თავის გამოსახულებით.

კაჟბადი (silicon, кремний) – სილიციუმი.

კაჟი (flint, кремень) – ნაცრისფერი, ყავისფერი, წითელი ან შავი ფარულკრისტალური კვარცის ჯგუფის მინერალი.

კაჟმიწა (silica, кремнезем) – ყვითელი ბუნებრივი მინერალური საღებავი.

კარავი (ფარდული) (marquee, шатер) – დროებითი სადგომი, რომლის საბჯენებზე გადაჭიმულია ქსოვილი, ქეჩა, ბრეზენტი ან ტყავი.

კარაკინა (calipers, кронциркуль) – საზომი იარაღი დეტალთა გარე ხაზოვანი ზომების შესადარებლად მასშტაბური სახაზავის ან კალიბრის მეშვეობით აღებულ ზომებთან;

კარბა (shell, обечайка) – ძროების არმქონე კონუსური ან ცილინდრული ფორმის დოლი, რომელიც ფურცლოვანი მასალისგანაა დამზადებული.

კარბამიდფორმალდეჰიდური ფისი (urea-formaldehyde resin, карбамидоформальдегидная смола) – ჰლასტმასის ნაირსახეობა, რომელიც კარბამიდის ფორმალდეჰიდთან პოლიმერიზაციის პროდუქტია.

კარბოლინეუმი (carbolineum, карболинеум) – ანტისეპტიკური და სადეზინფექციო საშუალება, მოყავისფრო ან შავი სითხე, რომელსაც იღებენ ქვანახშირის კუპრისგან.

კარბოლიტი (carbolite, карболит) – ჰლასტმასის სახეობა; სინთეზური ფენოლალდეჰიდური ფისი, რომელიც მიიღება ფენოლის პოლიკონდენსაციით ფორმალდეჰიდთან, ნავთობის სულფომჟავასთანლებით.

კარბონადო (carbonado, карбонадо) – ალმასის სახესხვაობა, წვრილმარცვლოვანი კრისტალური აგრეგატი მოშავო ფერისა.

კარბონიზაცია (კარბონირება) (carbonization, карбонизация) – რაიმე ხსნარის ან სითხის გაჯერება ნახშირმჟავა აირით.

კარბორუნდი (carborundum, карборунд) – კაჟბადისა და ნახშირბადის ნაერთი. უფერო, მაგარი კრისტალური ნივთიერება.

კარე (carre, капе) – გეგმაში კვადრატული შენობა მართკუთხა შიდა ეზოთი.

კარი (door, дверь) – შენობაში, ოთახში, სათავსში შესასვლელ-გამოსასვლელი კონსტრუქციული ელემენტი.

კარი ასაწევი (roll door, подъемная дверь) – ერთფრთიანი, ჰორიზონტალური თამასებისაგან შედგენილი კარი, რომელიც იწევა ქვევიდან ზევით და იხვევა კარსზევით მოთავსებულ ცილინდრულ დოლში.

კარი გასაწევ-გამოსაწევი (double slide door, раздвижная дверь) – ორფრთიანი კარის ტიპი, რომელიც თავის სიბრტყეში მოძრაობს.

კარი გლუვზედაპირიანი (flush door, гладкая дверь) – კარის ტიპი, რომლის ფრთის ზედაპირი სადა და გლუვია.

კარი დაკიდებული (hanging door, висячая дверь) – ხუროს ტიპის კარი, რომელიც დაკიდებულია კარსზევით მოთავსებულ მიმართველზე და გადაადგილდება გორგოლაჭების მეშვეობით თავის სიბრტყეში.

კარი დასაკეცი (folding door, складная дверь) – კარის ტიპი, რომელიც შედგება ერთმანეთთან სახსრულად დაკავშირებული რამდენიმე ფრთისაგან.

კარი-ჯალუზური (louvred door, жалюзийная дверь) – კარის ტიპი, რომლის ფრთის ჩარჩოში ჩასმულია ორი ან მეტი, შედარებით ვიწრო, ჰორიზონტალური ფრთა, რომლებსაც საშუალება აქვთ, მობრუნდნენ საკუთარი ჰორიზონტალური ღერძის გარშემო.

კარი საბრუნე (revolving door, вращающаяся дверь) – ერთ ცენტრალურ მბრუნავ ღერძზე ურთიერთმართობულად ხისტად შეკიდებული ნახევრადშემიწული კარის ოთხი ფრთა, რომლებიც მოთავსებულია ცილინდრული ფორმის ნაკვეთურში.

კარი ფრანგული (french door, французская дверь) – შემიწული პანორამული კარი.

კარი შემიწული (glass door, стеклянная дверь) – კარის ტიპი, რომლის ფრთა მთლიანად შემიწულია.

კარი ჰოლანდიური (dutch door, голландская дверь) – კარი, რომელიც შედგება ორი – ზედა და ქვედა ნაწილებისგან, რომლებიც იღება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

კარი-აკორდეონი (accordion door, дверь аккордеон) – დასაკვეც-გასამლედი ფრთებიანი კარის ტიპი. გამოიყენება ვიტრაჟებისა და ტიხრების მოსაწყობად.

კარიბჭე (portico, портал) – საზეიმო შესასვლელი ციხე-ქალაქის, სასახლისა და მისთ. გალავანში.

კარიერი (quarry, карьер) – დედამიწის ქერქში სამთო გამონამუშევართა ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნება სამთამადნო სამუშაოების წარმოების შედეგად მიწის ზედაპირიდან ღია წესით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას.

კარკასი (ჩონჩხედი) (skeleton, каркас) – შვეული დგარებისა (კოლონების) და მათზე დაყრდნობილი ჰორიზონტალური ელემენტებისაგან (კოჭი, რიგელი, გრძივი, წამწე) შექმნილი მზიდი კონსტრუქცია, რომელიც იღებს ძირითად დატვირთვებს და უზრუნველყოფს მთლიანად შენობის სიმტკიცესა და მდგრადობას.

კარკასულპანელური შენობა (frame-panel building, каркасно-панельное здание) – შენობა, რომელიც შედგება კარკასის მზიდი (კოლონები, რიგელები) და შემომზღუდავი ელემენტებისგან (კედელი, სართულშუა გადახურვა, სახურავი).

კარკასული კონსტრუქცია (frame construction, каркасная конструкция) – კონსტრუქცია ხის, ლითონის ან რკინაბეტონის კარკასით.

კარკასული შენობა (frame building, каркасное здание) – შენობები მზიდი ჩარჩოებით, რომლებიც მთლიანად იღებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დატვირთვებს.

კარნიზი (cornice, карниз) – 1. ლავგარდანი; 2. კლასიკური ანტაბლემენტის ყველაზე ზედა დეტალი, რომელიც, როგორც წესი, შედგება კიმატიონის, გვირგვინისა და საბაზო პროფილისაგან.

კარტუში (cartouche, картуш) – ქალაქის გრაგნილის მსგავსი დეკორატიული ორნამენტული მოტივი, ცენტრში წარწერით ან მის გარეშე.

კასეტი (cassette, кассета) – მოწყობილობა ჩარხისგან განცალკევებით ან ჩარხზე დადგმული, რომელშიც ერთდროულად რამდენიმე ნამზადი მაგრდება შემდგომში მათი სამუშაო ორგანოსათვის მისაწოდებლად.

კატალიზატორი (catalyst, катализатор) – ქიმიური ნივთიერება, რომელიც აჩქარებს რეაქციას, მაგრამ თვითონ არ შედის რეაქციის პროდუქტში.

კატაპულტი (catapult, катапульта) – ლოდების სატყორცნი მანქანა ძველ საბერძნეთსა და რომში.

კატასტროფა (catastrophe, disaster; катастрофа) – შენობის ან ნაგებობის უეცარი, მოულოდნელი ნგრევა.

კაუჩუკი (cauchuc, каучук) – ნატურალური

ან სინთეზური ელასტომერი, რომელიც ხასიათდება მოქნილობით, წყალგაუმტარობით, ელექტროსაიზოლაციო თვისებებით.

კაფელი (შორენკეცი) (tile, dutch tile; кафель) – კერამიკული ფილები კედლების, ღუმლების, არხებისა და ა.შ. მოსაპირკეთებლად.

კედელი (wall, стена) – შენობის სათავსის ვერტიკალური შემომზღუდავი კონსტრუქცია, რომელიც ამ სათავსს გამოყოფს გარემოსაგან ან მეზობელი სათავსისაგან.

კედლის ბაღი (wall mounted garden, настенный сад) – ვერტიკალური დეკორატიული ნაგებობა, რომელიც აშენებულია დაწყობილი ქვებისაგან ფერდოს ან საყრდენი კედლის სახით.

კეთილმოწყობა (beautification, благоустройство) – სამუშაოებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც სრულდება მოსახლეობის ჯანმრთელი, მოსახერხებელი და კულტურული ცხოვრების პირობების შესაქმნელად.

კენჭი (pebble, галька) – გლუვზედაპირიანი მცირე ზომის ქვა.

კერამზიტბეტონი (expanded clay concrete, керамзитобетон) – მსუბუქი ბეტონის სახეობა, რომელშიც შემვსებად გამოყენებულია კერამზიტი, ხოლო შემკვრელად – ცემენტი, თაბამირი ან სინთეზური ფისი.

კერამზიტი (expanded clay, керамзит) – საშენი მასალა, რომელიც მიიღება მათალ ტემპერატურაზე ადვილდნობადი თიხის სწრაფი აფუებით.

კერამიკა (ceramics, керамика) – თიხისა და მინერალების ნარევის გამოწვითა და შემდგომი გაცივებით მიღებული მასალა. ვიწრო გაგებით, სიტყვა კერამიკა ნიშნავს გამომწვარ თიხას.

კერამიტი (roof tile, черепица) – კარგად გამომწვარი აგური ძელაკის ფორმისა, რომლითაც გზებს აპირკეთებენ.

კერნი (core, керн) – ქანის ცილინდრული

სვეტი, რომელსაც ჭაბურღილიდან ამოიღებენ გეოლოგიური ჭრილის შესასწავლად, ქანის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად და სხვ.

კესონი (caisson, кессон) – 1. წყალშეუვალი დიდი კამერა, რომელიც იდგმება ზღვის ან მდინარის ფსკერზე წყალქვეშა სამუშაოებისათვის; 2. არქიტ. მხატვრულად გაფორმებული კვადრატული ან მრავალკუთხოვანი ჩაღრმავება ჭერზე ან კამარის შიგნითა ზედაპირზე.

კენი (ridge, конек крыши) – დახრილი სახურავის ზედა ჰორიზონტალური წიბო (გადატეხის ხაზი), შექმნილი ორი ფერდოს სიბრტყეების გადაკვეთით.

კვალიფიკაცია (qualification, квалификация) – 1. შრომის რომელიმე სახეობისთვის ვინმეს ვარგისიანობის, მომზადების ხარისხის განსაზღვრა; 2. პროფესია, სპეციალიზაცია; 3. კანონის შესაბამისად, დანაშაულის სამართლებრივი შეფასება.

კვალიფიციური ექსპერტი (qualified expert, квалифицированный эксперт) – ფიზიკური პირი, რომელიც დადგენილი წესით, შესაბამისი სტრუქტურებისგან მიღებული სერტიფიკატის, პროფლიცენზიის ან აკადემიური კვალიფიკაციისა და გამოცდილების საფუძველზე, აღიარებულია შესაბამის სფეროში ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე პირად.

კვამლი (ბოლი) (smoke, дым) – წვის შედეგად ჰაერში გამოყოფილი აირადი ნივთიერება (ხილვადი ტივტივარი), რომელიც შედგება ნივთიერების (მასალის, ნარევის) არასრული წვისას გამოღვენილი მცირე ზომის მყარი და თხევადი ნაწილაკებისაგან.

კვანტი (quantum, квант) – რაიმე ენერგიის უმცირესი რაოდენობა (მაგ., სინათლის კვანტი – იგივეა რაც ფოტონი).

კვანძი (node, узел) – ადგილი, სადაც თავს იყრის და ერთმანეთს უერთდება რამდენიმე დეტალი ან სხვა რამე (წამ-

წის კვანძი, კონსტრუქციული კვანძი, სარკინიგზო კვანძი, სატელეფონო კვანძი და სხვ.).

კვანძი კონსტრუქციული (constructive knot, конструктивный узел) – ამა თუ იმ სახისა და დანიშნულების კონსტრუქციის დეტალების შეერთების ადგილი.

კვანძი ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა (node of hydraulic structures, узел гидротехнических сооружений) – ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა თავშეყრის ადგილი (მაგ., მიმღებ-გამანაწილებელი დამბა, აუზი და სხვ.).

კვარცი (quartz, кварц) – კრისტალური კაჟმინა.

კვარციტი (quartzite, кварцит) – კვარცის სახესხვაობა, მაღალი სიმტკიცის (400 მპა) თეთრი, წითელი ან ნაცრისფერი ქანი.

კვეთი (section, сечение) – რისამე გადაკვეთის ადგილი.

კვეთი ბრტყელი (plane section, плоское сечение) – სხეულის გაკვეთის შედეგად მიღებული ბრტყელი ზედაპირი.

კვეთი განივი (განივკვეთი) (cross section, поперечное сечение) – სხეულის განივად გაკვეთის შედეგად მიღებული სიბრტყე.

კვეთი გრძივი (longitudinal section, продольное сечение) – სხეულის გრძივად გაკვეთის შედეგად მიღებული სიბრტყე (მაგ., მორის გრძივი გახერხვით მიღებული სიბრტყე).

კვეთი ნორმალური (normal section, нормальное сечение) – ელემენტის კვეთა სიბრტყით, რომელიც მისი გრძივი ღერძის მართობულია.

კვეჯო (mallet, киянка) – სადურგლო ინსტრუმენტი, მაგარი ჯიშის მერქნისგან დამზადებული ჩაქუჩი.

კვერი (malleus, молоточек) – მცირე ზომის ხისტარიანი ჩაქუჩი მრგვალი სფერული ზედაპირით.

კიბე (stairs, лестница) – ფუნქციური საფეხურებიანი კონსტრუქციული ელემენტი

ტი შვეული კავშირის დასამყარებლად ჰორიზონტალური სიბრტყის ერთი ან მეტი ამალეებით.

კიბის ბაქანი (landing, лестничная площадка) – ჰორიზონტალური სიბრტყე, რომელსაც უერთდება კიბის მარში.

კიბის მარში (flight of stairs, лестничный марш) – კიბის ნაწილი ორ მეზობელ ბაქანს შორის.

კიბის უჯრედი (საკიბური) (stairwell, лестничная клетка) – კედლებით შემოსაზღვრული შენობის ნაწილი, რომელშიც მოთავსებულია კიბე.

კილიტაიზოლი (ფოლგაიზოლი) (folgoizol, фольгоизол) – მასალა, რომელიც შედგება რულონური ორფენიანი თხელი დატალღული ან სწორი კილიტებისგან და ქვედა მხრიდან დაფარულია დამცავი ბიტუმპოლიმერული ფენით.

კიპრეგელი (kipregel, кипрегель) – გოდვიური ხელსაწყო ვერტიკალური კუთხეების, მანძილისა და გრაფიკული აგებულების მიმართულების გასაზომად ტოპოგრაფიული გადაღებების დროს.

კირი (lime, известь) – უძველესი შემკვრელი ნივთიერება, რომელიც დღესაც ფართოდ გამოიყენება სილიკატური ბეტონის, აგურის, დუღაბის, დაბალი სიმტკიცის ბეტონისა და ქვის დასამზადებლად.

კირი ჩამქრალი (slaked lime, гашеная известь) – კირქვის გამოწვის შედეგად მიღებული თეთრი ნივთიერება, რომელიც გახსნილია წყალში.

კირი ჰაერული (air lime, aerial lime; воздушная известь) – კირი, რომლის ნედლეულია კარბონატული მთის ქანები: კირქვა, ცარცი და დოლომიტი.

კირი ჰიდრაულიკური (hydraulic lime, гидравлическая известь) – მიიღება მერგელოვანი კირქვების გამოწვით. პროცესში წარმოიქმნება დაბალფუძიანი სილიკატები რომლებიც კირს აძლევს ჰიდრაულიკურ თვისებებს.

კირქვა (limestone, известняк) – CaCO_3 , დანალექი მთის ქანი, რომელიც შედგება უმთავრესად კალციტისგან, იშვიათად – არაგონიტისგან, შეიძლება შეიცავდეს ტერიგენულ ან აუტიგენულ მინერალებსა და პირიტისა და სიდერიტის ქანების ნატეხებსაც.

კიუბელი (kyubel, кубель) – ტვირთსატაცი მოწყობილობა ფხვიერი ტვირთის მექანიზებული გადატვირთვისათვის.

კიუვეტი (ditch, кювет) – გზის, ქუჩის გასწვრივ გაყვანილი თხრილი, მოპირკეთებული მაგარი საფარით (რიყის ქვა, კერამიკული ფილა, ხელოვნური ქვის ფილა და სხვ.) ზედაპირული წყლების შესაგროვებლად.

კლასიფიკატორი (classifier, классификатор) – აპარატი, რომელიც გამოიყენება მინერალური ნარევების ნაწილაკების გასაცალკევებლად სისხოს, ფორმისა და სიმკვრივის მიხედვით.

კლასიფიკაცია (classification, классификация) – საგნების, მოვლენების, ცნებების დაყოფა კლასებად და ჯგუფებად ამა თუ იმ ნიშან-თვისებათა მიხედვით.

კლასტერი (cluster, кластер) – 1. რამდენიმე ერთგვაროვანი ელემენტის გაერთიანება, რომელიც განიხილება, როგორც განსაზღვრული თვისებების დამოუკიდებელი ერთეული; 2. ქალაქმშენელობაში: მეგაპოლისის შიგნით ტერიტორიული ავტონომიური ერთეული, რომელიც თავისი მაცხოვრებლებისათვის უზრუნველყოფს საქალაქის ფუნქციის სრული პაკეტის განხორციელებას.

კლინკერი (clinker, клинкер) – დაქუცმაცებული ნედლეულის თანაბრად გამომწვარი ნარევის პროდუქტი. გამოიყენება ცემენტის წარმოებაში.

კლინკერული მინა (clinker glass, клинкерное стекло) – კლინკერის თხევადი ფაზის პროდუქტი, რომელმაც სწრაფი გაცივების პროცესში ვერ მოასწრო დაკრისტალდება.

კლინომეტრი (clinometer, клинометр) –

ხელსაწყო ფერდობთა დახრის კუთხის გასაზომად.

კლიტე (საკეტი, შეერთება) (lock, castle; замок) – თაღის, პორტალის, ფანჯრის მოჩარჩოების ცენტრალური დეკორატიული ელემენტი, ზედა ჩამკეტი ქვა.

კლიფი (cliff, утес) – წყლის ტალღების მოქმედებით წარმოქმნილი აბრაზიული ფლატე ზღვისა და ტბის სანაპიროებზე.

კლოაკა (cloaca, клоака) – სიბინძურის სადინარი მიწისქვეშა არხი დიდ ქალაქებში.

კლოზეტი (closet, клозет) – 1. ტუალეტი; 2. ნებისმიერი პატარა სათავსი აშშ-ში.

კოაგულაცია (coagulation, коагуляция) – კოლოიდურ ხსნარში დისპერსიულობის შემცირების ფიზიკურ-ქიმიური პროცესი, რასაც თან სდევს ნივთიერების ნაწილაკების ნალექად გამოყოფის, შედეგების პროცესი.

კოეფიციენტი (coefficient, коэффициент) – ჩვეულებრივ, ციფრებით გამოსახული მამრავლი.

კოეფიციენტი გადატვირთვისა (საიმედოობის კოეფიციენტი დატვირთვის მიხედვით) (overload factor, overload coefficient; коэффициент перегрузки) – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დატვირთვის შემთხვევით შესაძლო გადახრას გაანგარიშების ნორმებით დადგენილი მისი ნორმატიული მნიშვნელობიდან.

კოეფიციენტი ვარიაციისა (the coefficient of variation, коэффициент вариации) – ექსპერიმენტის შედეგად მიღებული სიდიდეების საშუალო კვადრატული გადახრის ფარდობა საშუალო არითმეტიკულთან. გამოისახება პროცენტობით.

კოეფიციენტი მარაგისა (stock coefficient, коэффициент запаса) – სიდიდე, რომელიც უჩვენებს კონსტრუქციის უნარს, გაუძლოს მასზე მოქმედ საანგარიშო დატვირევებზე მეტ დატვირთვებს.

კოეფიციენტი მდგრადობისა (coefficient of stability, коэффициент устойчивости) –

მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს შვეულად მდგარ სამშენებლო კონსტრუქციას (კოშკი, ანძა, რეზერვუარი, სილოსი და სხვ.) ან ტვირთამწევ მანქანას, შეინარჩუნოს მდგრადობა გადამყრავებელი ფაქტორების ზემოქმედებისას.

კოეფიციენტი მუშაობის პირობებისა (working conditions coefficient, коэффициент условий работы) – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის ან კონსტრუქციის მუშაობის გარემო ფაქტორებს, როგორცაა რეჟიმი, ტემპერატურა, ტენიანობა, აგრესიული გარემო, გეომეტრიული ზომები და სხვ.

კოეფიციენტი საიმედოობისა (reliability coefficient, коэффициент надежности) – გაანგარიშების ნორმებით დადგენილი კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დატვირთვის ან მასალის სიმტკიცის შესაძლო გადახრას მისი ნორმატიული მნიშვნელობიდან.

კოეფიციენტი ხახუნისა (coefficient of friction, коэффициент трения) – ძალის რაოდენობრივი მახასიათებელი, რომელიც საჭიროა ერთი მასალის ზედაპირის სრიალის ან მოძრაობისათვის მეორე მასალის ზედაპირზე.

კოლექტორი (collector, коллектор) – მოწყობილობა ან ნაგებობა რაიმეს შესაგროვებლად, შესაკრებლად.

კოლექტორი საკანალიზაციო (sewer collector, канализационный коллектор) – საკანალიზაციო ქსელის უბანი, რომელიც თავს უყრის საკანალიზაციო აუზებიდან ჩამდინარე წყლებს.

კოლმატაჟი (colmatage, кольматаж) – მიწის ნაკვეთზე წყლის მიგდებით შლამის დალექვა ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით.

კომბინეზონი (overalls, jumpsuit; комбинезон) – სამუშაო სპეცტანსაცმელი, გაერთიანებული ქურთუკი და შარვალი.

კომბინირებული პნევმატიკური კონსტრუქციები (combined pneumatic designs, комбинированные пневматические кон-

струкции) – ჰაერზე დაყრდნობილი და პნევმოკარკასული კონსტრუქციების ერთობლიობა.

კომპანია (company, компания) – 1. სავაჭრო ან სამრეწველო ფირმა, სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანება – მეწარმეთა კავშირი; 2. საწარმოს ორგანიზების ფორმა, სადაც მისი იურიდიული სტატუსი განსხვავდება მასში მონაწილე პირთა იურიდიული სტატუსისაგან. კომპანიებს აქვს იურიდიული პირის სტატუსი.

კომპანია დეველოპერული (development company, девелоперская компания) – კომპანია, რომელიც ეწევა დეველოპერულ საქმიანობას ანუ ახორციელებს სამშენებლო ობიექტის ინვესტიციას მოგების მიღების მიზნით.

კომპენსატორი (compensator, компенсатор) – მოწყობილობა ან შემავსებელი, რომელიც ანაზღაურებს ან აწონასწორებს სხვადასხვა ფაქტორის (ტემპერატურა, წნევა და სხვ.) გავლენას ნაგებობის, სისტემის, მანქანის, ხელსაწყოს მდგომარეობასა და მუშაობაზე.

კომპლექსი (the complex, комплекс) – საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა, რომელიც შეადგენს ერთ მთლიანს.

კომპლექსური ავტომატიზაცია (complex automation, integrated automation; комплексная автоматизация) – წარმოების ავტომატიზაციის ეტაპი, რომლის დროსაც საწარმოო პროცესების ყველა ოპერაციის კომპლექსი, პროდუქციის კონტროლისა და ტრანსპორტირების ჩათვლით, ხორციელდება ავტომატური მანქანებისა და ტექნოლოგიური აგრეგატების სისტემებით, წინასწარ დასახული პროგრამებითა და რეჟიმებით სხვადასხვა ავტომატური მოწყობილობის დახმარებით, რომლებიც მართვის ერთიან სისტემაშია გაერთიანებული.

კომპლექსური გაშენება (complex building, комплексная застройка) – ტერიტორიის გაშენება, რომელიც ითვალისწი-

ნებს შენობებისა და ნაგებობების გეგმაზომიერ განლაგებას, ფუნქციური პროცესების, დაგეგმვითი გადაწყვეტის, მშენებლობის თანამიმდევრობის გავალისწინებით.

კომპლექსური კონსტრუქციები (complex designs, комплексные конструкции) – ქარხნული წესით დამზადებული დიდზომიანი კონსტრუქციები, რომელშიც ფუნქციურადაა შეთავსებული ერთმანეთთან დაკავშირებული გადაწყვეტები (მაგ., საკედლე პანელი ჩამონტაჟებული ფანჯრისა და კარის ბლოკებით, სახურავის პანელი დამათბუნებლით, სახურავის პანელი ბურულით და სხვ.).

კომპლექსური მექანიზაცია (complex mechanization, integrated mechanization; комплексная механизация) – წარმოების პროცესში ყველა ძირითადი და დამხმარე სამუშაოს შესასრულებლად მანქანებისა და მექანიზმების გამოყენება.

კომპლექტი (kit, комплект) – ორი ან მეტი ნაკეთობა, რომლებიც არ არის შეერთებული საამწყობო ოპერაციებით (ავჯის კომპლექტი, დანების კომპლექტი და სხვ.).

კომპოზიტი (composite, композит) – ორი ან მეტი კომპონენტისგან ხელოვნურად შექმნილი კონსტრუქციული მყარი მასალა, ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმით და/ან ფაზური მდგომარეობით, და/ან ქიმიური შედგენილობით, და/ან თვისებებით და, როგორც წესი, ფიზიკურად შეკავშირებულია ერთიან მონოლითად – კონგლომერატად, რომელსაც აქვს გაყოფის საზღვარი აუცილებელ მასალასა (მატრიცა) და მის შემავსებელს შორის, მარმირებელი შემავსებლის ჩათვლით.

კომპოზიტი ბოჭკოვანი (fiber composite, волокнистый композит) – ფენოვანი სტრუქტურის კომპოზიტები, რომელშიც თითოეული ფენა (შრე) დაარმირებულია დიდი რაოდენობით უწყვეტი ბოჭკოთი ან ქსოვილით, რომელთა სიგანე

და სიგრძე ემთხვევა საბოლოო პროდუქტის ზომებს.

კომპოზიტიური მასალა (კომპოზიტი) (composite material, композитный материал) – ხელოვნურად შექმნილი არაერთგვაროვანი უწყვეტი მყარი მასალა, რომელიც შედგება ორი ან მეტი კომპონენტისაგან, რომლებიც ზუსტი საზღვრებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

კომპოსტი (compost, компост) – წყლის ქვეშ მიწასთან შერეული დამჰალი ნარჩენი.

კომპრესია (compression, компрессия) – ჰაერის, აირის ან საწვავი ნარევის შეკუმშვა (ცილინდრებში).

კომპრესორი (compressor, компрессор) – ჰაერის, გაზის, ორთქლის შესაკუმში მანქანა ჭარბი, არანაკლებ 0,2 მპა წნევით.

კომუნალური (communal, коммунальный) – საერთო, ზოგადი, საქალაქო მეურნეობასთან დაკავშირებული.

კომუნიკაცია (communication, коммуникация) – ერთი ადგილის მეორესთან დამაკავშირებელი გზა ან კავშირგაბმულობის საშუალება (მაგ., ქალაქის კომუნიკაციები, ფრონტის კომუნიკაციები და სხვა).

კომფორტი (comfort, комфорт) – კეთილმოწყობილი ყოფაცხოვრების პირობების ერთობლიობა; ბინების, საზოგადოებრივი დაწესებულებების, მიმოსვლის საშუალებების (ავტომობილი, მატარებელი, თვითმფრინავი, გემი და მისთ.) კეთილმოწყობა.

კონდენსატი (condensate, конденсат) – პროდუქტი, მიღებული ორთქლის კონდენსაციის შედეგად, რაც გამოიხატება მისი აირადი მდგომარეობიდან თხევადში გადასვლით.

კონდენსაცია (condensation, конденсация) – ორთქლის ან აირის სითხედ გადაქცევა.

კონდიციონერი (conditioner, кондиционер) – აგრეგატი ბინებში, სახლებში,

ოფისებში, ავტომობილებში კლიმატური პირობების ოპტიმიზაციისათვის, ასევე შენობებში ჰაერის არასასურველი ნაწილაკებისგან გასუფთავებისათვის.

კონვეიერი (conveyor, конвейер) – ტრანსპორტიორი, უწყვეტი მოქმედების დანადგარი, რომელიც განკუთვნილია ფხვიერი, ნაჭროვანი (ნატეხოვანი) ან საცალო ტვირთების გადასაადგილებლად.

კონვექტორი (convector, конвектор) – გამათბობელი ხელსაწყო, რომელშიც სითბო თბომატარებლიდან ან გამაცხელებელი ელემენტიდან გასათბობ სათავსს გადაეცემა კონვექციის გზით.

კონიმეტრი (conimeter, кониметр) – ხელსაწყო შენობაში ან უბანზე ჰაერში მტვრის შემცველობის განსაზღვრისათვის.

კონკურსი (contest, конкурс) – მშენებლობასა და საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში სამუშაოების შემსრულებლის გამოსავლენი მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაქტის შესრულების საუკეთესო პირობებს.

კონსერვაცია (conservation, preservation; консервация) – მოქმედება, რომელიც მიმართულია ობიექტის ხანგრძლივი შენარჩუნებისაკენ.

კონსოლი (მბჯენი, კრონშტეინი) (console, консоль) – არქიტექტურულ-დეკორატიული ელემენტი, რომელიც გამოშვრილია კედლიდან და ასრულებს აივნის, პორტალის, კარნიზის, ქანდაკების საყრდენის ფუნქციას.

კონსორციუმი (consortium, консорциум) – სამრეწველო კომპანიების, ფირმების ან ბანკების დროებითი გაერთიანება ფართო მასშტაბის ფინანსური ან კომერციული ოპერაციების ჩატარების, მსხვილი სამრეწველო ობიექტების აშენების ან კაპიტალტევადი პროექტის განხორციელების მიზნით.

კონსტრუქტივიზმი (constructivism, конструктивизм) – პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გავრცელებული მიმართულება

არქიტექტურაში (ბაუჰაუსის სკოლის), რომელიც ითვალისწინებს, თანამედროვე საშენი მასალების გამოყენების პირობებში, შენობის ფორმების მიზანშეწონილობისა და ფუნქციური დანიშნულების მაქსიმალურად რაციონალურ გადაწყვეტას.

კონსტრუქტორი (constructor, конструктор) – საინჟინრო-ტექნიკური განათლების მქონე პირი, რომელიც რისამე კონსტრუქციას ქმნის (შეიმუშავებს).

კონსტრუქცია (design, конструкция) – შენობის ან ნაგებობის ცალკეული მზიდი ან არამზიდი ელემენტი – კოჭი, წამწე, კამარა, დგარი, ირიბანი, გრძივი, სარტყელი, საძირკველი, კედელი და სხვ.

კონსტრუქცია პნევმატიკური (pneumatic design, pneumatic construction; пневматическая конструкция) – სამშენებლო კონსტრუქცია, რომლის მზიდუნარიანობა უზრუნველყოფილია ჰაერის შიგა ჭარბი წნევით.

კონსტრუქცია პნევმოკარკასული (pneumoframe construction, pneumoframe design; пневмокаркасная конструкция) – კონსტრუქცია, რომელიც შედგება ცალკეული სწორხაზოვანი ან მრუდი ფორმის ჰერმეტიულად ჩაკეტილი წრიული განივკვეთის ბალონებისგან (პნევმოღეროებისგან).

კონსტრუქციები ვანტური (cable-stayed structure, cable-stayed design; вантовая конструкция) – დაკიდებული გადახრვები, ბურული, ხიდები და სხვა კონსტრუქციები, რომელთა მუშაობა ეფუძნება ხისტი საყრდენებისა და გაჭიმული ბაგირების (ღეროების) ერთობლივ მუშაობას.

კონსტრუქციები ლითონისა (metal structure, metallic construction; металлическая конструкция) – ლითონისა და სხვადასხვა შენადნობებისაგან დამზადებული იმ კონსტრუქციების საერთო დასახელება, რომელიც გამოყენებულია სახალხო მეურნეობასა და ყოფაცხოვრე-

ბაში: შენობებში, ნაგებობებში, ჩარხებში, მასშტაბურ მოწყობილობებში, მექანიზმებში, აპარატებში და ა.შ.

კონსტრუქციები მონოლითური (monolithic construction, monolithic design; монолитная конструкция) – სამშენებლო კონსტრუქციები, რომელთა ძირითადი ნაწილები შესრულებულია უშუალოდ შენობებისა და ნაგებობების აგების ადგილზე, როგორც ერთიანი, მთლიანი (ძირითადად ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები).

კონსტრუქციები ტენტიანი (awning construction, тентовая конструкция) – გადახურვის სახეობა, რომლის მზიდი ზედაპირი შექმნილია წინასწარ დაძაბული ან ვანტებით გაძლიერებული ტენტით.

კონსტრუქციები ფოლადისა (steel structure, стальная конструкция) – სამშენებლო კონსტრუქციები, რომელთა მზიდი ელემენტები დამზადებულია ფოლადისაგან და შეერთებულია შედუღებით, ჭანჭიკებით ან მოქლონებით.

კონსტრუქციები ქვისა (stone structures, stone construction; каменные конструкции) – შენობა-ნაგებობათა მზიდი და შემომზღუდავი კონსტრუქციები (საძირკველი, კედელი, სვეტი, ზღუდარი, კამარა, თაღი, ხიდი, ვიადუკი და სხვ.), რომელიც შესრულებულია ქვის წყობისაგან.

კონსტრუქციები ხისა (wooden structures, wooden constructions; деревянные конструкции) – სამშენებლო კონსტრუქციები, რომელთა მზიდი ელემენტები ძირითადად დამზადებულია ხისგან.

კონსტრუქციული არაწრფივობა (constructive non-linearity, конструктивная нелинейность) – ნაგებობის (შენობის) საანგარიშო სქემის ცვლილება დატვირთვის პროცესში, რომელიც დაკავშირებულია ნაგებობის (შენობის) ცალკეული ნაწილებისა და საძირკვლის ფუძის ურთიერთ გადაადგილებასთან.

კონსტრუქციული კვანძი (constructive knot, конструктивный узел) – კონსტრუქციის რამდენიმე ელემენტის შეერთების ადგილი.

კონსტრუქციული მასალები (structural materials, constructive materials; конструктивные материалы) – სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების, მანქანათა ნაწილების, სატრანსპორტო საშუალებების, ხელსაწყოების, აპარატების, სამხედრო და კოსმოსური ტექნიკისა და ა.შ. დასამზადებლად გამოყენებული მასალები.

კონსტრუქციული მდგრადობა (constructive stability, конструктивная устойчивость) – შენობა-ნაგებობის უნარი, შეინარჩუნოს მდგრადობა საანგარიშო დატვირთვების ზეგავლენისას.

კონსტრუქციული მოთხოვნები (constructive requirements, конструктивные требования) – მოთხოვნები სამშენებლო კონსტრუქციების სრულყოფისადმი.

კონსტრუქციული მტყუნება (constructive refusal, конструктивный отказ) – მტყუნება, რომელიც წარმოიქმნება ობიექტის კონსტრუირების დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგად.

კონსტრუქციული საიმედოობა (constructive reliability, конструктивная надежность) – შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სისტემის სამშენებლო დოკუმენტით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება მისი გამოყენების მთელ პერიოდში.

კონსტრუქციული სიმტკიცე (constructive strength, конструктивная прочность) – მოწყობილობის კონსტრუქციული ელემენტების (შედუღებული კვანძი, მუხლალილივი, ჭანჭიკი, მოქლონი, წირწიკი-მალი, ტურბინის ფრთა და სხვ.) თვისება, გარკვეულ პირობებში რღვევის გარეშე მიიღოს ესა თუ ის ზემოქმედება (დატვირთვები; ტემპერატურული, მაგნიტური, ელექტრული ცვლილებები;

არათანაბრად მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესები და სხვ.).

კონსტრუქციული სისტემა (constructive system, конструктивная система) – განსაზღვრული ტიპის მზიდი სისტემა, რომელსაც ახასიათებს შემადგენელი ელემენტების კონსტრუქციული გადაწყვეტა, ურთიერთგანლაგება და ძალების გადაცემის ხერხები.

კონტეინერი (container, контейнер) – გასახსნელი სტანდარტული ტევადობა, რომლის დანიშნულებაც სხვადასხვა სახის ტრანსპორტით ტვირთების გადატანა ისე, რომ მიმღებთან მიტანამდე შეიძლება შეიცვალოს ტრანსპორტის სახე ისე, რომ თვით ტვირთის გადატვირთვა-გადმოტვირთვა არ მოხდეს.

კონტრქანჩი (lock-nut, locknut; контргайка) – დამატებითი ქანჩი, რომელიც ეხრახნება ქანჩიკს ან სარჭს ძირითადი ქანჩის ზემოთ, რომ არ მოხდეს თვითამოხრახნა.

კონურბაცია (conurbation, конурбация) – მსხვილი პოლიცენტრალური საქალაქო აგომერაცია, რომელიც, როგორც წესი, ფორმირდება ერთმანეთთან ახლოს განლაგებული ქალაქებისა და მათი გარეუბნების განვითარების საფუძველზე.

კონცენტრაცია (concentration, концентрация) – რისამე თავმოყრა, დაგროვება, შეკრება ერთ ადგილზე ან ერთი ცენტრის ირგვლივ.

კონცენტრაცია ძაბვებისა (voltage concentration, концентрация напряжений) – ძაბვების მნიშვნელოვანი ზრდა ნაკეთობის ფორმის მკვეთრად შეცვლის ადგილებში.

კონცერნი (concern, концерн) – იმ დამოუკიდებელი სამრეწველო, საფინანსო და სავაჭრო საწარმოების გაერთიანება, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკური, საინვესტიციო, საფინანსო, საგარეო-ეკონომიკური და სხვა ფუნქციების ნებაყოფლობითი ცენტრალიზაციის საფუძველზე ეწევიან ერთობლივ საქმიანო-

ბას.

კორდიერიტი (cordierite, кордиерит) – სილიკატების კლასის მინერალი, რომელიც ნედლეულად გამოიყენება კერამიკული ნაკეთობების წარმოებაში.

კორექცია (correction, коррекция) – განზომილების, სიჩქარის, სხეულის მოძრაობის ტრეექტორიის, ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციის მონტაჟისა და ა.შ. შესწორება, გასორება.

კორიდორი (corridor, hallway; коридор) – დერეფანი, ტალანი; შენობა-ნაგებობების ოთახებს შორის გასასვლელი ან რაიმეს გასატარებელი ადგილი (ფართობი).

კოროზია (corrosion, коррозия) – მყარი სხეულების დარღვევა, რასაც იწვევს გარემოსთან მისი ურთიერთქმედებისას განვითარებული ქიმიური და ელექტროქიმიური პროცესები.

კოროზია ბეტონისა (concrete corrosion, коррозия бетона) – ბეტონის სტრუქტურის დაზღვა (გამყიფება) გარემოს ზემოქმედებით.

კოროზია ლითონებისა (corrosion of metals, коррозия металлов) – ლითონებისა და მათი შენადნობების რღვევის თვითწარმოებადი პროცესი კოროზიულ გარემოზე ქიმიური და ელექტროქიმიური ზემოქმედების შედეგად.

კოროზია მერქნისა (wood corrosion, коррозия древесины) – მერქნის სტრუქტურის რღვევა აგრესიული გარემოს ზემოქმედებით.

კოროზია რკინაბეტონისა (corrosion of reinforced concrete, коррозия железобетона) – რკ.ბ.-ის დაზღვა ბეტონისა (იხ. კოროზია ბეტონის) და არმატურის კოროზიის შედეგად.

კოროზია ქიმიური (chemical corrosion, химическая коррозия) – ლითონის ნაკეთობების ზედაპირის დაზღვის პროცესი მჟავების, ტუტეების, მარილებისა და მისთ. ზემოქმედებით.

კოროზიამდეგობა (corrosion resistance,

коррозиестойкость) – მასალის უნარი, გაუძლოს გარემოს ზემოქმედებით გამოწვეულ ზედაპირის დაზიანებას ან თვისებების დაკარგავას.

კოროზიული დაღლილობა (corrosion fatigue, коррозионная усталость) – მასალის მზიდუნარიანობის შემცირება მრავალჯერ გამეორებადი დატვირთვისა და აგრესიული გარემოს ერთდროული მოქმედების პირობებში.

კორპუსი (corps, корпус) – ერთი ტიპის შენობათა კომპლექსში ცალკე მდგარი შენობა ან რაიმე დაწესებულების ნაწილი.

კორუნდი (corundum, корунд) – მეტად მტკიცე, მკვრივი, გამჭვირვალე, ნახევრადგამჭვირვალე ან გაუმჭვირი სტაბილური მინერალი.

კოსმატესკო (cosmatesco, косматеско) – მოზაიკური იატაკის სახეობა მარმარილოსა და სხვადასხვა ფერის ქვის ნატეხებისგან.

კოსმოპოლისი (cosmopolis, космополис) – დიდი ქალაქი სხვადასხვა კულტურის ხალხის მოსახლეობით.

კოტა (შკანტი) (thorn, spike; шип) – მერქნულ ნაკეთობათა დეტალების ურთიერთშეერთების საშუალება.

კოტეჯი (cottage, коттедж) – პატარა, ინდივიდუალური, უმეტესად ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი უზოთი.

კოშკი (tower, башня) – თავისუფლად მდგომი ძალიან მაღალი საინჟინრო ნაგებობა, რომლის სიმაღლე გაცილებით მეტია მის ხაზოვან ზომებზე საყრდენთან. ანძისგან განსხვავებით, მის მდგრადობას უზრუნველყოფს ძირითადი ხისტი კონსტრუქცია საჭიმრის გარეშე.

კოშკურა (tower, tower; вышка) – წყვეტილი მოქმედების ტვირთამწვეი მანქანა, რომლის დანიშნულებაც ადამიანების გადაყვანა ვერტიკალურად (ინსტრუმენტებთან და მასალებთან ერთად).

კოშკური საცხოვრებელი სახლი (tower dwelling house, башенный жилой дом) –

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელსაც აქვს შვეული კომუნიკაციების (კიბე, ლიფტი) ერთი კვანძი და გეგმაში შედარებით მცირე ზომები.

კოჭა (coil, spool; катушка, нобина) – გამხლოებული მავთულის დასახვევი ღერო.

კოჭ-ამწე (ამწე კოჭი) (girder crane, beam crane; балочный кран) – ხიდური ამწის ნაირსახეობა, რომლის ელექტრული ან ხელის ტალი თვლებით გადაადგილება სავალ კოჭზე.

კოჭი (girder, балка) – შენობებისა და ნაგებობების ჰორიზონტალური მზიდი კონსტრუქცია ორი ან მეტი საყრდენით; სახლის მოპირდაპირე კედლების თავზე გარდგარდმო გადებული ძელი.

კოჭი დამხმარე (supporting beam, вспомогательная балка) – კოჭი, რომელიც ეყრდნობა მთავარ მზიდ კოჭებს.

კოჭი ვირენდელისა (wirendel beam, балка виренделя) – გადახურვის ჰორიზონტალური მზიდი კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც ძირითადად მუშაობს ღუნვაზე.

კოჭი კონსოლური (cantilever beam, cantilever girder; консольная балка) – ჰორიზონტალური კოჭი ხისტად ჩამაგრებული ერთი ბოლოთი (ერთი საყრდენით).

კოჭი მთავარი (main girder, главная балка) – მზიდი კოჭი, რომელიც ეყრდნობა კოლონებს (სვეტებს) ან გრძივ კედლებს.

კოჭი ორტესებრი ფოლადისა (steel I-beam, балка стальная двутавровая) – სპეციალური დანიშნულების ორტესებრი განივკვეთის ფოლადის კოჭი.

კოჭი ჭერისა (ceiling beam, потолочная балка) – ხის კარკასული კონსტრუქციის ელემენტი, რომელიც იჭერს ჭერს.

კოჭოვანი კონსტრუქცია (beam construction, girder structure, балочная конструкция) – ჰორიზონტალურად განლაგებული მზიდი კოჭების სისტემა, დაყრდნობილი ვერტიკალურ მზიდ საყრდენებზე (სვეტი, კოლონა).

კრამიტი (roof tiles, черепица) – გამომწვარი თიხის (თიხის კრამიტი), ცემენტქვიშის ხსნარის (ცემენტის კრამიტი) ან (იშვიათად) კირქვიშის ხსნარისაგან (სილიკატური კრამიტი) დამზადებული ცალობითი საბურულე მასალა.

კრამიტი ბიტუმოვანი (მოქნილი კრამიტი, რბილი კრამიტი) (bituminous tiles, битумная черепица) – საბურულე მასალა მინაქსოვილის, მოდიფიცირებული ბიტუმისა და გრანულირებული ქვის წანაყარის გამოყენებით.

კრამიტი ესპანური (Spanish roof tiles, испанская черепица) – საბურულე ცალობითი ნატურალური კერამიკული კრამიტი, რომელსაც ნახევარცილინდრული ფორმა აქვს მარჯვენა მხარეს ნაშვერით.

კრამიტი კენისა (ridge roof tiles, коньковая черепица) – სახურავის ბურულის სამკუთხა ან ნახევარწრიული ფორმის კრამიტი, რომელიც გამოიყენება კენის (წვერო, აპექსი) ან ორი ფერდის შეერთების წიბოს (ქელი) გადასახურად.

კრამიტი პოლიმერ-ქვიშისა (polymer-sand tile, полимерпесчаная черепица) – კრამიტის სახეობა, რომელიც დამზადებულია პორტლანდცემენტის, გაცხელებული კვარცის ქვიშის, ტუტემედეგი პიგმენტის, პოლიეთილენის დაქუცმაცებული ნარჩენებისა (ბოთლი, აფსკი და სხვ.) და წყლისაგან.

კრამიტი მარსელისა (Marseille roof tile, марсельская черепица) – ორღარიანი ბრტყელი კრამიტის სახეობა.

კრამიტი მონტერეი (roof tiles monterrey, черепица монтеррей) – კლასიკური ტიპის მეტალოკრამიტი, რომელიც მაქსიმალურად იმეორებს ტრადიციული კერამიკული კრამიტის ფორმას.

კრაფტ-ქაღალდი (kraft paper, kraft cellulose; крафт-бумага) – მაღალი სიმტკიცის ქაღალდი. მზადდება გრძელბოჭკოვანი სულფატური ცელულოზისგან.

კრაფტ-ცელულოზა (kraft pulp, крафт-целлюлоза) – სუსტად გამოხარშული გრძე-

ლბოჭკოიანი ხის ცელულოზა, რომლისგანაც კრაფტ-ქაღალდს, ქაღალდის ნართს, თოკსა და ხეზს ამზადებენ.

კრიოგენული (cryogenic, криогенный) – დაბალ ტემპერატურასთან, ვაკუუმთან, გაყინვასთან დაკავშირებული.

კრიოგენული სითხე (криогенная жидкость, криогенная жидкость) – შეკუმშული აირი, რომელიც ძალიან დაბალ ტემპერატურაზე თხევად მდგომარეობაშია.

კრიპტოპორტიკი (cryptoportico, криптопортик) – გადახურვაში მოწყობილი ღიობების საშუალებით განათებული მიწისქვეშა გალერეა.

კრისტალი (crystal, кристалл) – მყარი მასალის სხეული, რომელსაც ბუნებრივად აქვს სწორი, სიმეტრიული მრავალკუთხედის ფორმა.

კრისტალიზაცია (crystallization, кристаллизация) – თხევადი, აირადი, ნაღობი, ამორფული მდგომარეობიდან მყარ მდგომარეობაში ნივთიერების ფაზური გადასვლის პროცესი კრისტალების წარმოქმნით, რის შედეგადაც ნივთიერების ქიმიური შედგენილობა, სტრუქტურა და თვისებები იცვლება ნახტომისებურად.

კრიტერიუმი (criteria, критерии) – რაიმე მტკიცების შეფასება, განსაზღვრა.

კრიტიკული (critical, критический) – კონსტრუქციის მდგომარეობა, ზოგადი სიტუაცია ან არსებული პრობლემა, რომელიც პოტენციურად შეიძლება ნაგებობის კატასტროფის მიზეზი გახდეს.

კრიტიკული ინფრასტრუქტურა (critical infrastructure, критическая инфраструктура) – სტრატეგიული და სასიცოცხლო მნიშვნელობის ურთიერთდაკავშირებული მომსახურების სტრუქტურებისა და ეკონომიკის ობიექტების კომპლექსი, რომელთა უმთავრესი ამოცანაა გარკვეული პრობლემის გადაჭრის უზრუნველყოფა.

კრიტიკული მდგომარეობა (critical condition, критическое состояние) – მდგომარეობა, რომლის დროსაც ორი გან-

სხვავებული ფაზა წონასწორობაშია და იდენტური ხდება ყველა თავისი თვისებებით.

კრიტიკული ტემპერატურა (critical temperature, критическая температура) – ნივთიერების ტემპერატურა მისი კრიტიკული მდგომარეობისას.

კრიტიკული წერტილი (critical point, критическая точка) – წერტილი მდგომარეობის დიაგრამაზე, სადაც თანაარსებობის ორი ფაზა თვისებრივად ერთნაირია და არის წონასწორულ მდგომარეობაში.

კროკუსი (crocus, крокус) – ფხვნილისებრი, კრისტალური რკინის ჟანგი. გამოიყენება, როგორც აბრაზივი ძვირფასი ქვების, მინის, ლითონების გასაპრიალებლად.

კროსინგი (crossing, кроссинг) – გვირაბების ურთიერთგადამკვეთი საჰაერო ჭავლების გამმიჯნავი სავენტილაციო ნაგებობა.

კუბატურა (cubature, кубатура) – რისამე მოცულობა, გამოსახული კუბური ერთეულებით.

კუთრი მასა (удельная масса, удельная масса) – ნივთიერების მოცულობის ერთეულის მასა.

კუთრი მოცულობა (specific volume, удельный объем) – ფიზიკური სიდიდე, რომელიც ტოლია ნივთიერების მიერ დაკავებული მოცულობის ფარდობისა მის მასასთან.

კუთრი სიმტკიცე (specific strength, удельная прочность) – მასალის სიმტკიცის მანასიათებლის ფარდობა ამ მასალის სიმკვრივესთან.

კუთრი წონა (specific gravity, удельный вес) – ფიზიკური სიდიდე, რომელიც ტოლია სხეულის წონის ფარდობისა მის მოცულობასთან.

კუთხე (corner, angle; угол) – ერთი წერტილიდან გამოსულ ორ სწორ ხაზს შუა მოქცეული ფართობი.

კუთხესაზომი (goniometer, угломер) –

კონტაქტური მეთოდით ნაკეთობათა სიბრტყეებს შორის კუთხის გასაზომი ხელსაწყო.

კუთხესანიშნი (malka, малка) – სახუროე, სადურგლო სახაზავი კუთხეების მოსანიშნად და გადასატანად, აგრეთვე პარალელური ხაზების გასავლებად.

კუთხვილი (carving, резьба) – ბრუნვით სხეულზე მონაცვლეობითი შვერები და ღრმულები, რომლებიც განლაგებულია ხრახნულ ხაზზე.

კუთხური აჩქარება (angular acceleration, угловое ускорение) – ვექტორული სიდიდე, რომელიც ახასიათებს მყარი სხეულის კუთხური სიჩქარის ცვალებადობის სისწრაფეს.

კუთხური ბორდიური (corner border, угловой бордюр) – ქვის წყობის ტიპი, რომელიც შემოზღუდავს კედელს გვერდიდან.

კუთხური კავშირი (angular ligament, угловая связка) – ჰორიზონტალური ძელი, რომელიც მაუერლატებს კრავს შენობის კუთხეში.

კუთხური სიჩქარე (angular velocity, угловая скорость) – ვექტორული სიდიდე, რომელიც ახასიათებს მყარი სხეულის ბრუნვის სისწრაფეს.

კუთხური სიხშირე (angular frequency, corner frequency; угловая частота) – 2π წამის განმავლობაში შესრულებული რხევების რიცხვი.

კულმანი (kullman, кулман) – დახრილად დამაგრებული სპეციალური სახაზავი დაფა და პანტოგრაფიული მოწყობილობა.

კუმშვა (შეკუმშვა) (compression, сжатие) – ღეროს (ძელის) გრძივი დეფორმაციის სახე, რომელიც აღინიშნება ღეროს გრძივი ღერძის გასწვრივ მკუმშავი ძალის მოდებისას.

კუპრი (tar, деготь) – მუქი ყავისფერი ან შავი ბლანტი სითხე, მიღებული ფართო სპექტრის ორგანული მასალებისაგან (მერქანი, ქვანახშირი, ნავთობი,

ტორფი, ფიქალი) დესტრუქტიული დისტილაციის გზით (მშრალი გამოხდით).

კურდონერი (court d'honneur, курдонер) – ბერძნული „ჰი“ ასოს (Π) მოყვანილობის შენობის გამონაშვერებით ან ცალკე მდგომი კორპუსებით წარმოქმნილი სა-

აღლუმო ეზო, რომელიც ქუჩის მხარესაა გახსნილი.

კურტინა (curtain, куртина) – 1. პარკში გაზონის ღია ნაკვეთი, რომელიც შემოსაზღვრულია სუფთად გაკრეჭილი ერთი ჯიშის ბუჩქებით ან ხეებით; 2. ბადის, ტყის ცალკე გამოყოფილი ნაკვეთი.

ლაბორატორია (laboratory, лаборатория) – ობიექტი, რომელიც უზრუნველყოფს საკონტროლო ჰირობებს სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევების, სამრეწველო-საკონტროლო ან სასწავლო ექსპერიმენტებისა და გაზომვების ჩასატარებლად.

ლაბრადორიტი (labradorite, лабрадорит) – გაბროს ჯგუფის მაგმური ქანი.

ლაგი (log, лага) – წოლანა.

ლაგვარდანი (კარნიზი) (cornice, curtain rod; карниз) – 1. კედლის ან მისი ნაწილის დამაგვირგვინებელი, ჩვეულებრივ, დაპროფილებული ელემენტი; 2. ანტაბლემენტის ზედა ნაწილი.

ლაგვარდნის განაკიდი (overhang of eaves, свес карниза) – სახურავის პერიმეტრის ქვედა კიდე, რომელიც გადასულია (გადაცილებულია) გარე კედლების სიბრტყეზე.

ლავსანი (lavsan, лавсан) – პოლიეთილენტერეფთალატისგან მიღებული სინთეზური ჰეტეროჯაჭვური ბოჭკო.

ლაზურიტი (ლილაქვა) (lazurite, лазурит) – ლურჯი ქვა, ალუმინის სილიკატის, ნატრიუმისა და კალციუმის ნაზავი.

ლაკოლითი (laccolith, лакколит) – ინტრუზიული მასივი (ამოფრქვეული ქანების უზარმაზარი მასა), რომელსაც ჭრილში აქვს სოკოსებრი ან გუმბათისებრი ფორმა.

ლალი (ბადანში) (ruby, рубин) – ვარდისფერ-წითელი ფერის ქვა, მინერალ კორუნდის (ალუმინის ჟანგი) ნაირსახეობა.

ლამი (silt, sludge; ил, шлам) – წვრილმარცვლოვანი რბილი მთის ქანი, რომელიც შედგება ძალიან წვრილი ფრაქციის მინერალური და ორგანული ნივთიერებების ნარევისაგან და დალექილია წყალსატევებისა და წყალსაცავების ფსკერზე.

ლამინატი (lamine, ламинат) – ფართოდ გავრცელებული იატაკის ფენოვანი საფარველი მაღალი სიმკვრივის მერ-

ქანბოჭკოვანი ფილების საფუძველზე, რომლის ზედა ფენა დამცავ-დეკორატიული ცვეთამდეგი აფსკია.

ლამინირება (lamination, ламинирование) – რაიმე დეტალის, ნაკეთობის ზედაპირის დაფანერება-მოპირკეთების მეთოდი.

ლამპა (lamp, лампа) – გასანათებელი (ან გასახურებელი) ხელსაწყო.

ლამპიონი (lampion, лампион) – ფერადი ქალაქის ან მინის სანათი ილუმინაციისათვის.

ლამფა (ceiling board, потолочная доска) – ჭრზე აკრული გარანდული, ღარამოღებული თხელი, 20 მმ-მდე სისქის ფიცარი დაპროფილებული წახნაგებითა და ზედაპირით.

ლანდშაფტი (landscape, ландшафт) – ტერიტორიის სივრცით-მოცულობითი ორგანიზება, ბუნებრივი სამშენებლო და არქიტექტურული კომპონენტების ერთიანი კომპოზიცია, სადაც კომფორტული და ესთეტიკურად სრულყოფილი გარემო ფორმირებულია ბუნებრივი მასალებით (რელიეფი, წყალი, მწვანე ნარგავები) და არქიტექტურული ნაგებობების დანმარებით.

ლანდშაფტური მშენებლობა (landscape construction, ландшафтное строительство) – პარკის, ბაღის, ბულვარის, სკვერის მშენებლობა და ლანდშაფტის კეთილმოწყობა, აგრეთვე ნარგავების, გაზონებისა და სხვა მცენარეული საფარის მოწყობა სამშენებლო ტერიტორიის ნაკვეთებზე.

ლანდშაფტური პარკი (landscape park, ландшафтный парк) – პეიზაჟური პარკი; არარეგულარული დაგეგმარების მქონე პარკი, რომელიც მეტად წააგავს ბუნებრივ ადგილს და ხშირად მოიცავს ტყეს პატარა მინდვრებით, ხევებსა და ა.შ.

ლარი (lari, лари) – 1. საქართველოს ეროვნული ფულის ერთეული; 2. წვრილი და მტკიცე თოკი, რომელზეც დაკიდებულია სიმძიმე და გამოიყენება მშენებარე კედ-

ლის ვერტიკალურობის შესამოწმებლად. უმეტესად იყენებდნენ კალატოზებს.

ლარტყა (lath, рейка) – სანიველირე გოდეზიური დანაყოფებიანი ძელაკი (თამასა), რომელიც გამოიყენება წერტილის ნიშნულის დასადგენად.

ლატერიტი (laterite, латерит) – 1. მზეზე გამომწვარი, გამომშრალი აგური; 2. ნოტიო ტროპიკული და სუბტროპიკული ჰავის პირობებში ლატერიტიზაციის შედეგად წარმოქმნილი ალუმინსილიკატების გამოფიტვის ელუვიური პროდუქტი.

ლაფეტი (carriage, лафет) – 1. დახერხილი ხე-ტყის ჩამოუგანავი მასალა, ფიცრის სახეობა, რომლის სისქე 50 მმ-ს აღემატება; 2. სატვირთო ავტომობილის მისაბმელი დია პლატფორმა კონტეინერების, მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა ტვირთის გადასაზიდად.

ლაქი (varnish, лак) – სინთეზური ან ბუნებრივი ნივთიერების (ძირითადად ფისის) თხევადი ან ბლანტი ხსნარი სხვადასხვა გამხსნელში (ნახშირწყალბადი, აცეტონი, წყალი, ეთანოლი, ოლიფა, ეთერის ზეტი და სხვ.), რომელიც რაიმე ნაკეთობის ზედაპირზე თხელ ფენად წასმის შემდეგ შრობის პროცესში წარმოქმნის მკვრივ აფსკს (როგორც წესი, გამჭვირვალეს).

ლენტი (ribbon, tape; лента) – სხვადასხვა მოქნილი მასალისგან (ქსოვილი, რეზინი, რეზინქსოვილი და სხვ.) დამზადებული გრძელი ვიწრო ზოლი, რომელიც გამოიყენება კონვეიერის, მულუნას, მკვებავის, ტრანსპორტიორის, ჩამტვირთავისა და მისთ. სამუშაო მექანიზმების მოსაწყობად.

ლენტური მკვებავი (belt feeder, tape feeder; ленточный питатель) – ტრანსპორტიორი ბუნკერებიდან ტექნოლოგიურ მანქანებში ფხვიერი მასალისა და ბეტონის მისაწოდებლად.

ლენტური ტრანსპორტიორი (band con-

veyer, belt conveyor; ленточный транспортер) – უწყვეტი მოქმედების სატრანსპორტო დანადგარი, რომლის ტვირთმზიდი ელემენტია ლენტი.

ლესვა (plastering, оштукатуривание) – ბათქაშით კედლის დაფარვის პროცესი.

ლიანდაგი (railroad, рельсовый путь) – ნაგებობებისა და მოწყობილობების კომპლექსი, რომელიც ქმნის გზას მიმართველი სარელსო ლიანდით.

ლიანდაგსაგები (tracklayer, путеукладчик) – ამწეებით აღჭურვილი მანქანებისა და მექანიზმების კომპლექტი, რკინიგზის გამზადებული რელსებისა და მკვლების სამონტაჟო ერთეულის ტრანსპორტირებისა და დაგებისათვის მექანიზებული წესით.

ლიანდი (track gauge, колея) – ავტომობილის, ტრაქტორის ან სხვა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების თვლებს შორის მანძილი თითოეულ ღერძზე, რომელიც ახასიათებს მის მდგრადობას (გვერდითი გადაყირავების საწინააღმდეგოდ) სიმძიმის ცენტრის განსაზღვრული მდებარეობისას.

ლიგნამონი (lignamon, лигнамон) – ქიმიურ-მექანიკური მეთოდითა და ამიაკით მოდიფიცირებული მერქანი, რომელიც გამოიყენება პარკეტის წარმოებაში, ვაგონთმშენებლობაში, გემთმშენებლობასა და სხვ.

ლითონების გამოწვა (annealing of metals, отжиг металлов) – ლითონების თერმული დამუშავების სახე, რომელიც ითვალისწინებს წინა დამუშავების შედეგად არამდგრად მდგომარეობაში მყოფი ლითონების ან მისი შენადნობების გაცხელებას მაღალ ტემპერატურაზე და შემდეგ თანდათანობით გაგრილებას წონასწორული მდგომარეობის მისაღწევად.

ლითონთერმია (მეტალოთერმია) (metallothermy, металлотермия) – მაღალ ტემპერატურაზე ლითონების აღდგენა მათი ნაერთებიდან ქიმიურად უფრო აქ-

ტიური ლითონებით.

ლითონი (მეტალი) (metal, металл) – ნებისმიერი ელემენტარული კლასის კრისტალური ნივთიერება, რომელსაც მაღალი თბო- და ელექტროგამტარობა, ქედადობა, პლასტიკურობა, ბზინვა ახასიათებს, რაც განპირობებულია მათ კრისტალურ მესერში თავისუფლად გადაადგილებადი ელექტრონების დიდი რაოდენობით.

ლითონის დაკბილული ფირფიტა (ლდფ) [metal toothed plate, металлическая зубчатая пластинка (мзп)] – ფოლადის ფურცლისგან დამზადებული 1,2-2მმ სისქის ფირფიტა, რომელშიც ამოშტამპულია 90°-ით ამოღებული ლურსმნისმაგვარი კბილები.

ლითონის ნაწარმი (metal products, металлическая продукция) – სხვადასხვა დანიშნულების ნაკეთობანი, დამზადებული ფოლადის მავთულის, გლინულასა და ლენტისაგან (შედულების ელექტროდები, ბადეები, ჭიმები, სამაგრი ელემენტები და სხვ.).

ლითონის პროფილები (metal profiles, metallic profiles; металлические профили) – სხვადასხვა განიკვეთის ლითონის გრძელი პროფილები ფოლადისა (გაგლინული, შენადუდი, ცივნაჭედი) და ალუმინის შენადნობებისაგან (გაგლინული და დაწნეხილი).

ლითონის რბილი მავთული (metal soft wire, металлическая мягкая проволока) – მავთული, გამოყენებული ფანჯრის საწვიმრის, გვირგვინის, პარაპეტის, საკვამურის ხუფის საფარვლის სარტყლის გასამაგრებლად.

ლითონკერამიკა (cermet, металлокерамика) – ფხვნილთა მეტალურგიის მეთოდით (შეცხოვით) ლითონთა, შენადნობთა და მათ ნარევთა ფხვნილები-საგან არალითონური დანამატებით დამზადებული მასალა.

ლითონკრამიტი (metal tile, металлочерепица) – დაპროფილებული მოთუთი-

ებული ფოლადის ფურცელი, რომლის ორივე ზედაპირი დაფარულია პოლიმერული დეკორატიული ნივთიერებით.

ლითონტევადობა (metal consumption, металлоемкость) – საწარმოში დაყენებული მოწყობილობის ლითონის მასა. ერთეული პროდუქციის მასას ეწოდება ლითონტევადობის კოეფიციენტი.

ლიკვაცია (liquation, ликвация) – ლითონთა შენადნობების კრისტალიზაციის პროცესში წარმოქმნილი ქიმიური არაერთგვაროვნება.

ლილვაკი (roller, валик) – სამსხვრევი და საფეკვაკი მანქანების გლუვი ან დაღარული ზედაპირის მქონე მუშა ორგანო.

ლიმონიტი (limonite, лимонит) – რკინის მადანი, მურა ან მოყვითალო შეფერილობის რკინაქვა.

ლინეკრომი (linocrom, линохром) – რუსული წარმოების ბიტუმის რულონური საბურულე ორიენტირებული მასალა სახურავის ორთქლ- და ჰიდროიზოლაციისათვის, აგრეთვე ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების ჰიდროიზოლაციისათვის.

ლინკრუსტი (linkrust, линкруст) – კედლის შესამოსი რელიეფურნახატიანი მუყაო.

ლინოლეუმი (linoleum, линолеум) – ჯვალოს ტილო, დაფარული ერთი მხრიდან ფისის, სელის ზეთის, კანიფოლის, კორპის ფევილისა და მინერალური საღებავების მინარევებით, ხოლო მეორე მხრიდან – ლპობის საწინააღმდეგო შედგენილობით.

ლიოსი (loess, лесс) – თიხოვანი გრუნტის განსაკუთრებული სახე, რომელიც დასველების შემთხვევაში სწრაფად იცვლის ფიზიკურ თვისებებს და იძლევა დიდ ჯდომებს.

ლიპარიტი (რიოლითი) (liparit, rhyolite; липарит, риолит) – მაგმატური ვულკანური მთის ქანი, რომელიც ქიმიური შედგენილობით გრანიტს ჩამოჰგავს.

ლირსი (panel, филенка) – ირიბად პირ-

წაჭრილი ფიცარი.

ლიფტი (lift, лифт) – წყვეტილი მოქმედების სტაციონარული საწვევლა ადამიანებისა და ტვირთის შვეული ტრანსპორტირებისათვის შენობის, ნაგებობის, გემის ან სხვა სტრუქტურის სართულებს შორის, კაბინის ან პლატფორმის გადაადგილებით ხისტი მიმმართველების მეშვეობით.

ლოკალური (local, локальный) – ადგილობრივი; განსაზღვრული ადგილისათვის დამახასიათებელი; გარკვეულ საზღვრებს შორის მდებარე, მოქცეული, გავრცელებული.

ლუკარნა (lukarna, лугарна) – სამერცხული.

ლუმინესცენცია (ცივი ნათება) (luminescence, люминесценция) – სითბურ გამოსხივებასთან შედარებით ჭარბი გამოსხივება, რომელიც გრძელდება სინათლის რხევის პერიოდზე ბევრად უფრო მეტი დროის განმავლობაში.

ლუნეტი (lunet, лунет) – კამარის ან თადის სივრცეში მოქცეული კედლის სიბ-

რტყის ნახევარმთვარისებრი ან ნახევარწრიული დეკორატიული ან სასინათლო ღიობი.

ლურსმანი (the nail, гвоздь) – ლითონის (რკინის, ფოლადის), პლასტმასის, ხის თავბრტყელი და ბოლოწვეტიანი ღერო.

ლურსმანსაძრობი (nail puller, nailer; гвоздодер) – ხელის ბერკეტულ-სოლისებრი ლითონის სამარჯვი მასალაში (ხე, პლასტიკი) ჩასობილი ლურსმნის ამოსაძრობად.

ლურჯმეტეხობა [blue (irreversible temper) brittleness, синеломкость] – ნახშირბადმცირე ფოლადებში პლასტიკურობისა და დარტყმითი სიბლანტის შემცირება სიმტკიცის გაზრდასთან ერთად 200-300°C ტემპერატურის ინტერვალში, რომელიც იწვევს ფოლადის სილურჯეს.

ლუსტჰაუზი (lusthaus, люстгауз) – ფანჯატურის ტიპის დიდი საბაღე პავილიონი ძვირფასი არქიტექტურული მოპირკეთებით.

მარმირებელი პროფილი (reinforcing profile, армирующий профиль) – მოთუთიებული ფოლადის თხელკედლიანი გამაძლიერებელი ელემენტი, რომელიც თავსდება პლასტმასის (მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების) პროფილებში კარ-ფანჯრის კონსტრუქციებისათვის სინისტის გასაძლიერებლად.

მაგისტრალი (trunk line, магистраль) – მთავარი ხაზი, ძირითადი მიმართულება.

მაგნეზიტი (საბერძნეთის ფესალის ტერიტორია მაგნესიის სახელის მიხედვით) (magnesite, магнезит) – თეთრი ან მოყვითალო ფერის მინერალი, მაგნიუმის კარბონატი, რომლის შედგენილობაში შედის რკინა, მანგანუმი და კალციუმი.

მაგნეტიტი (magnetite, магнетит) – შპინელის ჯგუფის მინერალი, რომელიც რკინას შეიცავს და აქვს მაგნიტური თვისებები; მაგნიტური რკინაქვა.

მავთული (wire, проволока) – ლითონური ნაკეთობა, ძაფი, ზონარი, მეტწილად მრგვალი, იშვიათად – კვადრატული, ექვსკუთხა, ტრაპეციული ან ოვალური კვეთისა.

მაზიდა (wheelbarrow, тачка) – მარტივი მოწყობილობა (ურიკა) მცირე ტვირთების გადასატანად. მასში გამოყენებულია ბერკეტის პრინციპი მოდებული ძალის შესამცირებლად.

მაზუთი (mazut, мазут) – ნავთობისაგან ბენზინისა და ნავთის გამოხდის შემდეგ დარჩენილი მუქი მოყავისფრო ან შავი თხევადი პროდუქტი, რომელიც არის ნახშირწყალბადების, ნავთობის ფისების, ასფალტენების, კარბონების, კარბოიდებისა და ორგანული შენაერთების ნარევი.

მათუნებელი (მათუნებელელი) (insulation, утеплитель) – სამრეწველო მეთოდით დამზადებული მასალის ფენა, რომელიც უზრუნველყოფს შენობის შემომზღუდავ კონსტრუქციებში (კედელი, ტი-

ხარი, გადახურვა) სითბოგადაცემის საჭირო წინაღობას და აქვს თბოსაიზოლაციო თვისებები.

მაინა (myna, майна) – პორტში, მშენებლობაზე ბრძანება: დაუშვი! დაწიე!

მაკეტი (მოდელი, მასშტაბური მოდელი) (layout, макет) – 1. მცირე ზომის ნიმუში (მოდელი) ასაშენებელი ან უკვე არსებული ნაგებობისა.

მაკროსტრუქტურა (macrostructure, макроструктура) – მყარი სხეულის (მაგ., ქვის, მერქნის, ბეტონის, მინერალის, ლითონის, შენადნობის) აგებულება, რომელიც ჩანს უმიკროსკოპოდ (შეუიარაღებელი თვალით ან ლუპით) გახეხილ და ამოჭმულ ნიმუშზე.

მალი (flight, пролет) – 1. მანძილი ორ კედელს, სვეტს ან საყრდენს შორის; 2. ორ საყრდენზე მდებარე კონსტრუქციის (კოჭი, წამწე, კამარა, თაღი და ა.შ.) სიგრძე.

მალი კოჭისა (beam span, пролет балки) – გეომეტრიული მანძილი კოჭის საყრდენებს შორის.

მალი კოჭის საანგარიშო (beam design span, расчетный пролет балки) – კოჭის მალის ნამრავლი კოჭის ბოლოების ჩამაგრების სახეობის გამთვალისწინებულ კოეფიციენტზე.

მანჯეტი (the cuff, манжет) – სხვადასხვა ფორმისა და კონსტრუქციის თვითმოქმედი მოწყობილობა ცილინდრული ზედაპირის მქონე დეტალების შესამჭიდროებლად.

მანსარდა (attic, мансарда) – სათავსი (ძირითადად საცხოვრებელი) შენობის სხვენში, რომლის სახურავის ყოველი ფერდი შედგება ზემო – დამრეცი და ქვემო – ციცაბო ნაწილებისგან.

მანსარდის სიმაღლე (attic height, высота мансарда) – იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედა ნიშნულსა და ქერის კონსტრუქციის ქვედა ზედაპირს შორის არსებული საშუალო მანძილი.

მანსარდის მოცულობა (attic volume, объем мансарды) – მანსარდის ფუძის

კონტურის ჰორიზონტალური კვეთის ფართობის ნამრავლი მის საშუალო სიმაღლეზე.

მანუფაქტურა (manufactory, мануфактура) – მანუფაქტურული წარმოება, რომელიც დასავლეთ ევროპაში XVI-XVII საუკუნეებში იყო გაბატონებული.

მანქანა (machine, машина) – მოწყობილობა, რომელიც ასრულებს მოძრაობებს ენერჯის, მასალის ან ინფორმაციების გარდასაქმნელად.

მანქანა ავტომატი (machine automatic, машина автомат) – მანქანა, რომელშიც ენერჯის, მასალისა და ინფორმაციის გარდაქმნა სრულდება ადამიანის უშუალო მონაწილეობის გარეშე.

მანქანა დამტვირთავი (machine loader, loading machine; машина погрузчик, машина погрузочная) – მანქანა, მექანიზმი ან დამტვირთავ-გადამტვირთავი მანქანების ჯგუფი, რომელიც გამოიყენება ფხვიერი, ნატეხი და ცალობითი მასალებისათვის რკინიგზისპირა საწყობებში, საგზაო-სამშენებლო ბაზებსა და ქარხნებში, აგრეთვე სარკინიგზო ვაგონებისა და სამდინარო ბარჟების განტვირთვისათვის.

მანქანა სატრანსპორტო (transport car, транспортная машина) – მანქანა, რომლის დანიშნულებაა ხალხისა და ტვირთების გადაადგილება.

მანქანა ტექნოლოგიური (technological machine, технологическая машина) – მანქანა, რომლის დანიშნულებაა, დასამუშავებელ საგანს შეუცვალოს ზომა, ფორმა, თვისებები ან მდგომარეობა.

მანქანა ხელისა (manual machine, ручная машина) – ტექნოლოგიური მანქანა ძრავათი, რომლის მუშაობის დროს დატვირთვა მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა ოპერატორის ხელებს.

მანქანათმშენებლობა (mechanical engineering, машиностроение) – მძიმე მრეწველობის დარგების კომპლექსი, სადაც მზადდება შრომის იარაღები სახალხო

მეურნეობისათვის, სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე ფართო მოხმარების საგნები და თავდაცვის პროდუქცია.

მანქანების კომპლექტი (set of machines, комплект машин) – ინდივიდუალური მანქანების ნაკრები, რომლებიც მუშაობენ შეთანხმებულად, ტექნოლოგიური პროცესის მოთხოვნების შესაბამისად.

მანქანების პარკი (machine park, машинный парк) – მანქანების ერთობლიობა გარკვეული მოცულობის სამუშაოების შესასრულებლად.

მანქანების სისტემა (system of machines, система машин) – ტექნოლოგიური პროცესის რეალიზაციის საშუალება საწარმოს ჰირობებში.

მანძილი (სიშორე) (distance; расстояние, дальность) – დაშორება ორ წერტილს შორის, რომელზეც ვინმეს ან რაიმეს შეუძლია გაავრცელოს თავისი მოქმედება, იმოძრაოს და სხვ.

მანძილსაზომი (rangefinder, distance meter; дальнометр) – ხელსაწყო, რომლის დანიშნულებაა მანძილის გაზომვა დამკვირვებლიდან ობიექტამდე.

მარაგი (stock, reserve; запас) – გარკვეული რაოდენობა რისამე; ერთობლიობა, რაც მომავალში გამოყენების მიზნით არის დაგროვებული, შესანახად გადადებული.

მარბლიტი (marblit, марблит) – შესქელებული, ბრტყელი, გაუმჭვირი ფერადი მინა.

მართვა (მენეჯმენტი) (management, управление) – განსაზღვრული ინფორმაციის საფუძველზე შერჩეული მოქმედებების ერთობლიობა მოცემული პროგრამის შესაბამისად ობიექტის ფუნქციონირების შესანარჩუნებლად ან გასაუმჯობესებლად.

მარკა (brand, марка) – საშენი მასალის სიმტკიცის მახასიათებელი (ცემენტის მარკა, ბეტონის მარკა, დუღაბის მარკა და სხვ.).

მარკა საშენი მასალისა (brand of building

materials, марка строительных материалов) – საშენი მასალის მაჩვენებელი, დადგენილი ტექნიკური ნორმებით ძირითადი საექსპლუატაციო თვისებების (მაგ., კუმშვა) ან მასალის მთავარი თვისებების კომპლექსის მიხედვით (მაგ., ღუნვა, კუმშვა და სხვ.).

მარკეტინგი (marketing, маркетинг) – სოციალური და მმართველობითი პროცესი, რომლის დანიშნულებაა ბაზრის, პროდუქციის წარმოების, მიწოდების, საბაზრო მოთხოვნის შესწავლა და გათვალისწინება ადამიანთა საჭიროებებისა და კეთილდღეობის ამადლების მიზნით.

მარკუეიდერი (mine surveyor, маркшейдер) – სამთო ინჟინერი.

მარკუეიდერია (mine surveying, маркшейдерия) – მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რომელიც შეისწავლის საბადოს სტრუქტურას, სასარგებლო წიაღისეულის ფორმასა და ზომას, სასარგებლო და მავნე კომპონენტების განაწილებას, შემცველი ქანების თვისებებს, გვირაბების სივრცულ მდებარეობას, სამთო სამუშაოებით გამოწვეული ქანებისა და მიწის ზედაპირის დეფორმაციებს, აგრეთვე ასახავს სამთო საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების დინამიკას.

მარმარილო (marble, мрамор) – ერთიანი მეტამორფული კლდოვანი მინერალური წარმონაქმნი, რომელიც კირქვებისა და დოლომიტის გადაკრისტალაციით წარმოიქმნება და ძირითადად კალციტისგან შედგება.

მარმარილო ბერგამოსი (bergamo marble, мрамор бергамо) – იტალიური ღია ცისფერი მარმარილო.

მარმარილო პენტელიკონისა (pentelian marble, пентелийский мрамор) – თეთრი ბერძნული ძვირფასი მარმარილო, რომელიც ანტიკური ხანიდან, ძირითადად პენტელიკონის მთების მთავარი მწვერვალის – კოკინარასის ჩრდილოეთ კალთაზე მოიპოვებოდა.

მარმარილო ხელოვნური (აკრილის ქვა) (artificial marble, искусственный мрамор) – მიიღება აკრილის ფისის, ნატურალური მინერალური შემავსებლებისა და პიგმენტური დანამატებისაგან.

მარმარილოს მოზაიკა (marble mosaic, мраморная мозаика) – მარმარილოს ნამსხვრევების ერთობლიობა, დაკავშირებული ერთმანეთთან ცემენტის ხსნარით.

მარმარილოს ნაფქვაკვი (marble grinding, мраморный помол) – დეკორატიული ბეტონებისა და საბათქაშე ღულაბების შემვსები.

მარმარილოს ფხვნილი (marble powder, мраморный порошок) – ფხვნილისებრ დაქუცმაცებული თეთრი მარმარილო.

მასალა (material, материал) – ნივთიერება ან ნივთიერებათა ნარევი, რომელიც გამოიყენება საგნებისა და ფიზიკური სხეულების დასამზადებლად.

მასალა აბრაზიული (abrasive material, абразивный материал) – ბუნებრივი ან ხელოვნური წარმოშობის მაღალი სისალის მასალა, რომელიც გამოიყენება სახეხი ხელსაწყოებისა და იარაღების დასამზადებლად (ზუმფარა, სალესი, სახეხი ქვები და სხვ.).

მასალა ანიზოტროპიული (anisotropic material, анизотропный материал) – მასალა, რომლის ფიზიკური თვისებები არაერთგვაროვანია სხვადასხვა მიმართულებით.

მასალა არაერთგვაროვანი (inhomogeneous material, non-uniform material; неоднородный материал) – მასალა, რომლის ფიზიკური თვისებები სხვადასხვა წერტილში სხვადასხვაა.

მასალა არაკუმშვადი (incompressible material, несжимаемый материал) – მასალა, რომელსაც არ ახასიათებს მოცულობითი დეფორმაცია.

მასალა ბლანტი (viscous material, вязкий материал) – ღრეკადი მასალა, რომლის დატვირთვის შედეგად მასში წარმოქ-

მნილი დაბვები და ლეფორმაცია იცვლება დროში მაშინაც კი, როცა დატვირთვა მუდმივია.

მასალა დრეკადი (resilient material, упругий материал) – მასალა, რომელიც გარეგანი ძალის მოქმედებით იცვლის ფორმასა და ზომებს, ხოლო ამ ძალის მოქმედების შეწყვეტისთანავე უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას (მაგ., კაუჩუკი, რეზინი და სხვ.).

მასალა ერთგვაროვანი (homogeneous material, uniform material; однородный материал) – მასალა, რომელსაც სხვადასხვა წერტილში, ერთი და იმავე მიმართულებით, ერთნაირი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები აქვს.

მასალა თერმოროექტიული (thermoset material, термореактивный материал) – მასალა, რომელსაც უნარი აქვს ულტრათიისფერი გამოსხივების, გაცხელების, კატალიზატორებისა და ქიმიური რეაქციის ზემოქმედებით მიიღოს ძნელდნობადი მდგომარეობა.

მასალა იზოტროპიული (isotropic material, изотропный материал) – მასალა, რომელსაც ნებისმიერ წერტილში, ნებისმიერი მიმართულებით, ერთნაირი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები აქვს.

მასალა ინერტული (inert material, инертный материал) – საშენი მასალა, რომელიც გამოიყენება ბეტონის დასამზადებლად; რეაქციაში არ შედის ცემენტთან, წყალთან, ჰაერთან, პლასტიფიკატორთან, ორგანულ და მინერალურ დანამატებთან (ქვა, ქვიშა, ხრეში, ღორღი და მისთ.).

მასალა მერქნისა (wood material, древесный материал) – ხის მორების დანაწევრების შედეგად მიღებული მასალა.

მასალა მეტალკერამიკული (cermet material, metal-ceramic material; металло-керамика материал) – მასალა, მიღებული ფხვნილისა და არამეტალური დანამატებისგან (გრაფიტი, ლითონის ჟანგეულები, აზბესტი და სხვ.) ფხვნილო-

ვანი მეტალურგიის მეთოდებით.

მასალა პლასტიკური (ductile material, пластичный материал) – მასალა, რომელსაც აქვს პლასტიკური ლეფორმაციის თვისება.

მასალა პრეციზიული (precision material, прецизионный материал) – მაღალი სიზუსტის მასალა (ზუსტი შედგენილობის ლითონური შენადნობი).

მასალა უწვავი (non-combustible material, негорючий материал) – მასალა, რომელიც ცეცხლის ან მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით არ ააღდება, არ ღვივდება და არ ნახშირდება.

მასალა უწყვეტი (solid material, сплошной материал) – მასალა, რომელსაც არ აქვს სიცარიელები, ბზარები, ფორები, ჩანართები და ა.შ.

მასალა ცეცხლგამძლე (refractory material, огнеупорный материал) – მასალა, რომელსაც აქვს თვისება, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით არ გადნეს, არ შეიცვალოს შედგენილობა და მექანიკური თვისებები.

მასალა ძნელად წვადი (slow-burning material, трудногораемый материал) – მასალა, რომელიც ტემპერატურის ზემოქმედებით არ ღნება, არ იცვლის შედგენილობასა და მექანიკურ თვისებებს. თბური წყაროს არსებობისას აგრძელებს წვას, ფუჟვას ან დანახშირებას. მისი მოშორების შემდეგ კი წვა და ფუჟვა წყდება.

მასალა წვადი (combustible material, горючий материал) – მასალა, რომელიც ცეცხლის ან მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად ააღდება, ღვივდება ან ნახშირდება და აგრძელებს წვას, ფუჟვას, დანახშირებას მოკიდების წყაროს მოცილების შემდეგაც.

მასალის დაღლილობა (material fatigue, усталость материала) – მასალაში ცვალებადი (ციკლური) შიგა დაბვების მოქმედებით, დაზიანებების თანდათანობითი დაგროვების პროცესი, რასაც თან

ახლავს თვისებების შეცვლა, ბზარების წარმოქმნა, განვითარება და, ბოლოს – მასალის რღვევა განსაზღვრულ დროში.

მასალის თვისება (material properties, свойства материала) – მასალის მახასიათებელი, რომელიც ვლინდება მისი დამუშავების, გამოყენებისა და ექსპლუატაციის პროცესში.

მასალის რღვევა (destruction of the material, разрушение материала) – მასალის ერთიანობის მიკროსკოპული რღვევა, რომელიც ხშირად ვითარდება ერთდროულად დრეკადი და პლასტიკური დეფორმაციების შედეგად.

მასალის ქიმიური თვისებები (material chemical properties, химические свойства материала) – მასალის თვისება, რომელიც მქდავდება ქიმიურ პროცესებში მისი მონაწილეობისას ანუ თვისება, რომელიც ვლინდება ქიმიური რეაქციის დროს და გავლენას ახდენს მის მიმდინარეობაზე.

მასალის ხარისხი (material quality, качество материала) – მასალის თვისებების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს მის უნარს, დააკმაყოფილოს განსაზღვრული მოთხოვნები დანიშნულების შესაბამისად.

მასშტაბი (scale, масштаб) – ნახაზზე, გეგმაზე ან რუკაზე დატანილი ხაზის სიგრძის შეფარდება შესაბამისი ხაზის სიგრძესთან ნატურაში.

მაღლივი სამუშაოები (high-altitude work, high-rise works; высотные работы) – სამშენებლო-სამონტაჟო, სამონტაჟო, სადემონტაჟო და სხვა სახის სამუშაოები, რომლებიც სრულდება დიდ სიმაღლესა და ძნელად მისადგომ ადგილებზე.

მეგაპოლისი (მეგარეგიონი) (metropolis, megacity; мегаполис) – რამდენიმე ქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიების გაერთიანება, რომელშიც წარმოქმნილია რამდენიმე საქალაქო აგლომერაციის შერწყმით.

მემონტაჟე (erector, монтажник) – მზა

ნაწილებისგან კონსტრუქციების, ნაგებობების, მანქანებისა და მისთ. აწყობის სპეციალისტი.

მენეჯერი (manager, менеджер) – დაქირავებული ხელმძღვანელი პირი საკუთარი კაპიტალის გარეშე, რომელიც პასუხს აგებს შრომის ორგანიზაციასა და კონტროლზე დაწესებულებასა თუ საწარმოში.

მენეჯმენტი (management, менеджмент) – ბიზნესორგანიზაციული მოქმედება, წარმოების მართვა, საქმიანობა სასურველი მიზნების შესასრულებლად.

მერქანბოჭკოვანი ფილა (wood fiber board, древесноволокнистая плита) – ხელოვნური ფურცლოვანი მასალა ფილის სახით, რომელიც მზადდება მერქნის ბოჭკოებისა და სინთეზური ფისის ნარევის ცხელი დაწნხვით.

მერქანბურბუმელოვანი ფილა (chiboard, древесно-стружечная плита) – ხელოვნური მასალა ფილის სახით, რომელიც მზადდება მერქნის ბურბუმელისა და სინთეზური ფისების ნარევის ცხელი დაწნხვით.

მერქანი (ქსილემა) (wood, timber; древесина) – ხის ქერქქვეშ არსებული მკვრივი ფორებიანი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მცენარეში წყლისა და მინერალური მარილების გატარებას ფესვთა სისტემიდან ფოთლებამდე.

მერქანი მოდიფიცირებული (modified wood, модифицированная древесина) – მერქანი, რომელიც დამუშავებულია რომელიმე ქიმიური ნივთიერებით (სინთეზური ფისი, ამიაკი და სხვ.) მექანიკური სიმტკიცის ასამაღლებლად და წყალმდედეგობის მისანიჭებლად.

მერქანი სპეციალური (special wood, special timber; специальная древесина) – განსაკუთრებული დანიშნულებისათვის სპეციალურად შერჩეული მერქანი (მაგ., საავიაციო, რეზონანსული, სანიჩბე, საანძე და სხვ.).

მერქანფენოვანი პლასტიკი (wood-lami-

nated plastic, древесно-слоистый пластик) – სინთეზური ფისით გაჟღენთილი ხის შპონის ჰაკეტების ცხელი დაწნებით მიღებული ფურცლოვანი მასალა.

მერქნის სიმაგრე (wood hardness, hardness of the wood; твердость древесины) – მერქნის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს ტანში მასზე უფრო მაგარი სხეულის ჩაწნებას. მერქნის სიმაგრის გასაზომად იყენებენ იანკის ტესტს.

მერქნის სიმკვრივე (wood density, density of the wood; плотность древесины) – მერქნის ერთეული მოცულობის მასა ბუნებრივ მდგომარეობაში ანუ ტენისა და სიცარიელების გათვალისწინებით.

მერქნის სიმტკიცე (wood strength, прочность древесины) – მერქნის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს რღვევას მექანიკური ზემოქმედების დროს.

მეტალოპლასტი (metal-plastic, металлопласт) – ფოლადის ზოლი ჰოლიმერული საფარვლით.

მეტლახის ფილა (mettlach tiles, метлахская плитка) – გამომწვარი თიხის გლუვ-ზედაპირიანი, ფერადი, მცირე ზომის ფილა, რომელიც იატაკზე დასაგებად გამოიყენება.

მეტოპი (metope, метопа) – კლასიკური დორიული ორდერის ფრიზის ელემენტი, რომელიც ტრიგლიფებს შორის მოთავსებული მართკუთხა (ჩვეულებრივ კვადრატულ), ხშირად ფერწერული ან სკულპტურული რელიეფით შემკული ფილაა.

მეტროპოლიტენი (subway, underground; метрополитен) – რელსებიანი საქალაქო ტრანსპორტის ნაირსახეობა, რომლის გზები განლაგებულია ქუჩებისგან განცალკევებით, როგორც წესი, მიწისქვეშ.

მეხსარიდი (lightning rod, молниеотвод) – მეხსარინი; შენობაზე ან მის სიახლოვეს დადგმული საგანგებო მოწყობილობა, რომელიც ნაგებობას მეხისგან იცავს.

მზიდი ბაგირი (load-bearing rope, несущий канат) – ბაგირი, რომელზეც გადა-

ადგილდება ბაგირგზის მოძრავი შედგენილობა.

მზიდი კონსტრუქცია (load-bearing structure, несущая конструкция) – კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც იღებს ძირითად დატვირთვებს, გადასცემს საძირკვლებს და უზრუნველყოფს ნაგებობის (შენობის) სიმტკიცეს, სიხისტესა და მდგრადობას.

მთხრებლი (ქვაბული) (foundation pit, котлован) – ხელოვნური ჩაღრმავება გრუნტში შენობებისა და ნაგებობების ფუძეებისა და საძირკვლების მოსაწყობად; ქვაბული.

მიკრობზარი (microcrack, microfracture; микротрещина) – ბზარი, რომლის ზომები მილიმეტრის მეათასედებით იზომება და მიკროსტრუქტურის ელემენტების თანაზომვადია.

მიკროდეფექტი (microdefect, микродефект) – დეფექტი ლითონში ან შენადნობში, რომლის აღმოჩენა მხოლოდ მიკროსკოპული კვლევითაა შესაძლებელი.

მიკროდეფორმაცია (microdeformation, microstrain; микродеформация) – დეფორმაცია მოცულობის მცირე ნაწილში, რომლის ზომა აღემატება სტრუქტურის ელემენტის ლოკალური გადანაცვლების სიდიდეს.

მიკროკლიმატი (microclimate, микроклимат) – მეტეოროლოგიური პირობები საწარმოო სათავსის გარემოში. განისაზღვრება ადამიანის ორგანიზმზე მოქმედი ტემპერატურის, ფარდობითი ტენიანობის, ჰაერის მოძრაობის სიჩქარისა და გახურებული ზედაპირებიდან თბური გამოსხივებით.

მიკროლანდშაფტი (microlandscape, микроландшафт) – მიწის ნაკვეთი, რომელიც განსხვავებულია ახლომანლო ადგილებისაგან რაიმე ნიშნებით (ჭაობი, ტყე მინდორში და სხვ.).

მიკროპორიტი (microporitis, микропорит) – თბოსაიზოლაციო საშენი მასალა, მსუ-

ბუქი კირქვიანი ბეტონი, რომლის გამოყარება ჩქარდება გაორთქლვით.

მიკრორაიონი (micro-district, микрорайон) – ტერიტორიის დაყოფის სტრუქტურულ-დაგეგმარებითი ერთეული, რომელიც შედგება საცხოვრებელი სახლებისა და სამომსახურო ობიექტებისაგან.

მიკროშედულება (microwelding, микросварка) – ფერადი და შავი ლითონების, აგრეთვე ელექტრონული და ნახევარგამტარული ხელსაწყოების 0,5 მმ-მდე სისქისა და 10 მმ²-მდე კვთის დეტალების შედულება.

მიკროშემავსებელი (microfiller, microfiller; микронаполнитель) – მინერალური ფხვნილები წმინდაფოროვანი სტრუქტურით (ტრეპელი, ოპოკა, ცარცი, კირქვა), რომლებიც აუმჯობესებენ მასალის ფიზიკურ თვისებებს, ამადლებენ ბზარმედეგობას, ხელს უწყობენ მასალის ხანმედეგობის გაზრდას.

მილი (trumpet, труба) – დრუ ნაკეთობა, უმეტესად წრიული განივკვეთისა და შედარებით დიდი სიგრძისა, რომელსაც იყენებენ მილსადენებისა და სამშენებლო კონსტრუქციების დასამზადებლად.

მილისი (bushing, втулка) – მანქანის, მექანიზმის ცილინდრული ან კონუსური დეტალი ღერძული (გრძივი) ნახვრეტით, რომელშიც თავსდება შესაუღლებელი დეტალი.

მილსადენი (pipeline, трубопровод) – ნავთობის, გაზის, წყლის, ფხვიერი მასალის, ქვანახშირისა და ქიმიური პროდუქტების ტრანსპორტირების სპეციფიკური საშუალება მოპოვების ადგილიდან მოხმარების ბაზრამდე.

მილსადენის არმატურა (pipeline accessories, трубопроводная арматура) – მოწყობილობა მილსადენით ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირისა და გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირის ნაკადის მართვისათვის.

მილტუჩი (flange, фланец) – მილის, არმატურის, რეზერვუარის, ლილვის შემავ

ერთეული ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, არის ბრტყელი რგოლი ან დისკო თანაბრად განლაგებული ხვრეტებით ჭანჭიკების ან სარჭებისათვის.

მილყელი (pipe branch, потрубок) – მოკლე მილი აირის, ორთქლის ან სითხის გასატანად ძირითადი მილგაყვანილობიდან ან რეზერვუარიდან.

მილჩამწყობი (pipelayer, трубоукладчик) – ამწე, რომელსაც იყენებენ სპეციალურ მანქანებთან ერთად მილსადენების გაყვანის დროს.

მილძაბრა (trumpet, паструн) – ძაბრი-სებრი გაფართოება მილის ბოლოს ან ის, რაც ფორმით ჰგავს ასეთ გაფართოებას.

მინა (შუშა) (glass, стекло) – ხელოვნური ან მინერალური ნედლეულის დნობით მიღებული მასალა, რომლის ყველაზე დამახასიათებელი თვისებებია შუქგამტარობა და სიხისტე.

მინა დაარმირებული (reinforced glass, армированное стекло) – მინის სახეობა, რომელიც მიიღება გამდნარ მინის მასაში ქრომირებული მავთულის ბადის ჩაწნხით.

მინა დარტყმამედეგი (shockproof glass, impact resistant glass; противоударное стекло) – დამცავი მინა, რომელიც უძლებს თავისუფლად ვარდნილი სხეულის მრავალგზის დარტყმას ნორმირებული მაჩვენებლით.

მინა თბოიზოლაციური (heat insulating glass, thermal insulation glass; теплоизоляционное стекло) – მინის სახეობა, რომელიც ჩვეულებრივისაგან გამოირჩევა იმით, რომ შიგა მხრიდან დაფარულია თხელი სპეციალური აფსკით, რომელიც ამცირებს სითბოს კარგვას სპექტრის ინფრაწითელი სხივების არეკვლით და უკან შენობაში დაბრუნებით. ასეთი მინების სინათლეგამტარობაა 72-79%.

მინა თხევადი (liquid glass, жидкое стекло) – კალიუმის ან ნატრიუმის სილიკატი.

მინა მოჯავშნული (armored glass, бронированное стекло) – მატალი სიმტკიცის ტყვიაგაუმტარი მინა.

მინა მქრქალი (frosted glass, matt glass; матовое стекло) – გაუმჭირი მინა ხორკლიანი ზედაპირით.

მინა ნაწრთობი (strained glass, tempered glass; закаленное стекло) – წრთობის ტემპერატურამდე (540-560°C) მრავალჯერ გაცხელებული მინა, რომელიც შემდეგ ჰაერით სწრაფად და თანაბრად ცივდება.

მინა ოპტიკური (optical glass, оптическое стекло) – სპეციალური შედგენილობისა და მატალი გამჭვირვალობის მქონე უფრო ერთგვაროვანი და ქიმიურად მდგრადი მინა, რომელიც გამოიყენება ოპტიკური ხელსაწყოების დეტალების დასამზადებლად.

მინა ორგანული (organic glass, органическое стекло) – გამჭვირვალე მყიფე მასალა, რომელიც მიიღება შუშაწარმომქმნელი კომპონენტებისა (კაჟის, ბორის, ალუმინის, ფოსფორის, ტიტანისა და სხვ. ჟანგეულები) და ზოგიერთი ლითონის (ლითიუმი, კალიუმი, ნატრიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, ტყვია და სხვ.) შენადნობების გაცივებით.

მინა პირექსი (pyrex glass, стекло пирекс) – სილიკატური მინა კაჟმინისა და ბორის ანჰიდრიდის მატალი შემცველობით.

მინა სავიტრინე გაპრიალებული (showcase glass polished, витринное стекло полированное) – ნაწრთობი მინა, რომელიც გამოიყენება პირველი კლასისა და უნიკალური დანიშნულების შენობებში.

მინა სარკისა (mirror glass, зеркальное стекло) – გამჭვირვალე ფურცლოვანი მატალხარისხოვანი გაპრიალებული მინა, რომლის სისქე 1,6 მმ-მდეა, ზედაპირი კი დაფარულია გამდნარი კალით.

მინა სითბოდამცავი (მზედამცავი) (heat shield glass, heat protection glass; теплозащитное стекло) – ასრულებს უკუფუნ-

ქციას, ის ირეკლავს დაცემულ სხივურ ენერგიას და არ უშვებს მას შენობაში, ეს მიიღწევა მინაზე ლითონის ძალიან თხელი ფენის დატანით, რომელიც მუშაობს, როგორც სარკე.

მინა სილიკატური (silicate glass, силикатное стекло) – მინა, რომელიც მიიღება კვარცის ქვიშის, ცარცის, სოდისა და სხვა კომპონენტებისაგან.

მინა ტყვიაგაუმტარი (glass bulletproof, стекло пуленепробиваемое) – დამცავი მინა, რომელიც უძლებს ცეცხლსასროლი იარაღის ზემოქმედებას და ეწინააღმდეგება მავნე ელემენტის გამჭოლ გაღწევას მასში.

მინა უჯრედოვანი (ქაფმინა) (cellular glass, ячеистое стекло) – უჯრედოვანი თბოსაიზოლაციო მასალა, მიღებული მინის ფხვნილის შეცხოვით დუმელში და ერთდროული აქაფებით ქაფწარმომქმნელის დამატებით (საშუალო სიმკვრივე 1200 კგ/მ³).

მინა ფანჯრისა (window glass, оконное стекло) – უფრო გამჭვირვალე ნაჭიმი ფურცლოვანი მინა გლუვი ზედაპირით.

მინაბეტონი (glass concrete, стеклобетон) – მინაბოჭკოთი დაარმირებული ბეტონი.

მინაბეტონის კონსტრუქციები (glass concrete structures, стеклобетонные конструкции) – სამშენებლო კონსტრუქციები, რომლებიც განკუთვნილია შუქმდნევადი შემომზღუდავი ელემენტების მოსაწყობად საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და სამრეწველო ნაგებობებში (ტიხრები, სანათურები, კიბის უჯრედები, ლიფტის მანქები და სხვ.).

მინაბოჭკობეტონი (fiberglass concrete, стеклофибробетон) – არაორგანული კომპოზიტური საშენი მასალა, ფიბრობეტონის ნაირსახეობა, რომელიც შედგება ცემენტის მატრიცის, მინის ბოჭკოს, წვრილფრაქციული ქვიშის, პოლიმერის (როგორც წესი, აკრილის), წყლის, განსაზღვრული ზომის მინის ბოჭკოებისა და

სპეციალური დანამატებისაგან, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან რთულ სტრუქტურას.

მინამარმარილო (marble glass, мраморное стекло) – მარბლიტის სახესხვაობა ფილების სახით, რომელიც დამზადებულია ჩამქრალი მინისაგან; აქვს მარმარილოს შეფერილობა.

მინაპაკეტი (double glazing, glass unit; стеклопакет) – სამშენებლო ნაკეთობა, პერიმეტრზე ჩარჩოთი (მჭიდით) ჰერმეტიკულად შეერთებული ორი ან მეტი მინის ფურცელი.

მინაპლასტიკი (მინაკომპოზიტი) (fiber-glass, стеклопластик) – პლასტმასის ნაირსახეობა, რომელიც შედგება შემკვრელისა და მაარმირებლისაგან. შემკვრელად, ძირითადად, თერმორეაქტიული ფისები (პოლიეთერი, ალკიდი, ფენოლფორმალდეჰიდი) გამოიყენება, ხოლო მაარმირებლად – მინის ბოჭკო, მინის ძაფი, მინის ქსოვილი, კვარცის ბოჭკო.

მინაპროფილი (glass profile, стеклопрофиль) – კოლოფისებრი ან შველერის კვეთის მქონე გრძელი (5 მ) უფერო ან ფერადი, დაარმატურებული ან არადაარმატურებული, გლუვი, მოხატული ან დადარული პროფილი.

მინაქსოვილი (glass fabric, стеклоткань) – ტილო, დამზადებული სპეციალური მინის ბოჭკოებისგან ქსოვილისათვის მაღალი სიმკვრივის მისანიჭებლად.

მინაშენი (annexe, пристройка) – შენობის ნაწილი, განლაგებული კაპიტალური კედლების კონტურის გარეთ.

მინერალი (mineral, минерал) – ბუნებრივი ქიმიური ნაერთი ან ელემენტი, რომელიც შედის დედამიწის ქერქის შედგენილობაში.

მინერალური ბამბა (mineral wool, минеральная вата) – სინთეზური მინერალური ბოჭკოს იზოლაცია, რომელიც მზადდება ვულკანური წარმოშობის ქანების ან ღუმლის წილისა და სხვა არაორგანული ნივთიერებების დნობითა და შემდეგ გამდნარი მასის ფიზიკურად გარდაქმნით ბოჭკოებად.

მინერალური ბოჭკო (mineral fiber, минеральное волокно) – შემკვრელებით ან მათ გარეშე ძირითადად ქანების, წილის ან მინის ბოჭკოებისგან დამზადებული საიზოლაციო მასალა.

მინის ბამბა (glass wool, стеклянная вата) – მასალა, რომელიც შედგება უწესრიგოდ განლაგებული მინის ბოჭკოებისაგან.

მინის ბლოკი (glass block, стеклянный блок) – მინის სამშენებლო ბლოკი, რომელიც მიიღება დაწნეხილი ორი ნახევარბლოკის პერიმეტრზე შედუღებით.

მინის ბოჭკო (glass fiber, стеклянное волокно) – მრგვალი ან პროფილური კვეთის ბოჭკო, რომელიც შედგება მინის წვრილი ბოჭკოების ერთობლიობისგან.

მინის მოზაიკური ფილა (glass mosaic tiles, стеклянная мозаичная плитка) – მცირე ზომის მოსაპირკეთებელი ფილა, რომელიც მზადდება გაუმჭირი ფერადი მინისგან უწყვეტი გლინვის მეთოდით (ხშირად კვადრატული ფორმისა).

მიშენება-დამშენება (extension-superstructure, пристройка-надстройка) – შენობის ან სტრუქტურის იატაკის ფართობის ან სიმაღლის გაზრდა.

მიწასათხრელი მანქანები (earthmoving machines, землеройные машины) – მანქანები, რომლებიც გამოიყენება მიწის სამუშაოების შესასრულებლად შენობანაგებობების, გზების, მილსადენების, მიწისქვეშა კომუნიკაციების, ჰიდროტექნიკური და საირიგაციო ნაგებობების მშენებლობისას, ასევე კარიერებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას.

მიწასათხრელი სატრანსპორტო მანქანები (earthmoving transport vehicles, землеройные транспортные машины) – მანქანები, რომლებიც უზრუნველყოფენ გრუნტის მოთხრას საკუთარი ან გამწეს

ძალით მზიდავთან ერთად და სპეციალური ტრანსპორტის გამოყენების გარეშე გადაადგილებენ მას დაგების (განტვირთვის) ადგილზე.

მიწის ნაგებობები (earthen structures, земляные сооружения) – გრუნტის მასივში ან გრუნტისგან აგებული საინჟინრო ნაგებობების ერთობლიობა.

მიწის ნაკვეთი (land plot, parcel of land, земельный участок) – საკუთრების უფლების ობიექტი, შემოსაზღვრული ერთი უწყვეტი ხაზით, რომელიც საკადასტრო ერთეულია და შესაძლებელია გამოიყენებოდეს სამშენებლო საქმიანობის განვითარების მიზნით.

მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური (individual land plot, individual plot of land; индивидуальный земельный участок) – მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის (ბინის) მიმდებარედ, რომელშიც გასვლა უშუალოდ სახლიდან (ბინიდან) არის შესაძლებელი.

მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3 (greening coefficient of the land plot K-3, Landscaping coefficient for the land plot K-3; коэффициент озеленения земельного участка K-3) – მიწის ნაკვეთის გამწვანებული ზედაპირის, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მინიმალური მაჩვენებელი.

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 (coefficient of intensity of development of the land plot K-2, коэффициент интенсивности застройки земельного участка K-2) – მიწის ნაკვეთზე განთავსებული კაპიტალური შენობა-ნაგებობების სართულების ჯამური ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან.

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 – (coefficient of development intensity of land plot K-1, коэффициент застройки земельного участка K-1) მიწის ნაკვეთის კაპიტალური შენობა-ნაგებობებით დაფარული, განაშენიანებული

ზედაპირის ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან.

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი (building area of the land plot, площадь застройки земельного участка) – მიწის ნაკვეთის კაპიტალური შენობა-ნაგებობებით დაფარული, განაშენიანებული ზედაპირის ფართობი.

მიწის ნაკვეთის საზღვარი (boundary of land, граница земельного участка) – საზღვარი (საკუთრების ხაზი), რომელიც მიწის ერთ ნაკვეთს გამოყოფს მეორისგან, ქუჩისგან ან ნებისმიერი საზოგადოებრივი ადგილისგან.

მიწის სამუშაოები (excavation, earthworks, земляные работы) – სამშენებლო სამუშაოების კომპლექსი, რომელიც მოიცავს გრუნტის დამუშავებას (ამოღებას), გადაადგილებასა და დაგებას განსაზღვრულ ადგილზე გრუნტის შემჭიდროებით.

მიწის სამუშაოების კომპლექსური მექანიზაცია (complex mechanization of earthworks, комплексная механизация земляных работ) – მიწის სამუშაოების ყველა პროცესის მექანიზებული განხორციელება.

მიწისზედა ნაგებობები (elevated structures, above ground structures; надземные сооружения) – ნაგებობები, განთავსებული მიწის ზედაპირის დონის ზევით, მიწისზედა სივრცეში.

მიწისპირა სართული (floor at ground level, этаж на уровне земли) – სართული, რომლის იატაკის ნიშნულის მიწის ზედაპირიდან ამოწვევის საშუალო სიმაღლე 1,8 მეტრამდეა, მისი ქერის მიწის ზედაპირიდან ამოწვევის საშუალო სიმაღლე კი 1,8 მეტრს აღემატება.

მიწისქვეშა მეურნეობა (underground facilities, подземная хозяйство) – საინჟინრო კომუნიკაციებისა და დამხმარე მოწყობილობების მიწისქვეშ განლაგებული ქსელი დასახლებული პუნქტის კომუნა-

ლური მეურნეობის მომსახურებისათვის (წყალსადენი, კანალიზაცია, გათბობა, ვენტილაცია, წყალჩააღინარი, წყალგადასაშვები, კავშირგაბმულობის კაბელები, საექსპლუატაციო ჭები და სადგურები).

მიწისქვეშა ნაგებობა (an underground structure, подземное сооружение) – გრუნტის ზედაპირის ქვემოთ, მიწაში განლაგებული არხები, კოლექტორები, წყალსატარები, კამერები, შახტები, გვირაბები, ჭები, თავშესაფრები, მაცივრები, საწყობები და სხვ.

მიწისქვეშა რეზერვუარი (underground reservoir, underground tank; подземный резервуар) – რეზერვუარი, რომელშიც სითხის მაქსიმალური შევსების დონე, სულ მცირე 0,2 მ-ით დაბლაა მიმდებარე მოედნის (რეზერვუარის კედლიდან არანაკლებ 3 მ-ის ფარგლებში) უდაბლეს საპროექტო ნიშნულზე.

მიწისქვეშა სართული (underground floor, подземный этаж) – სართული, რომლის ჭერის მიწის ზედაპირიდან ამოწვეის საშუალო სიმაღლე 1,8 მეტრს არ აღემატება.

მიწისქვეშა შენობა (the underground building, подземное здание) – ადამიანის სარგებლობისათვის განკუთვნილი სივრცე, სადაც იატაკის დონე შენობიდან გამოსასვლელი ყველაზე ქვედა დონის მოპირკეთებულ იატაკზე 9,15 მ-ზე ქვემოთ მდებარეობს.

მიწისქვეშა წყალი (underground water, groundwater; подземная вода) – დედამიწის ქერქის ზედა ნაწილის ქანებში თხევად, მყარ და აირად მდგომარეობაში არსებული წყალი.

მკვებავი (feeder, питатель) – მოწყობილობა, რომელიც ბუნკერიდან თუ სხვა ჩამტვირთავი დარიდან სატრანსპორტო და გადამამუშავებელ მანქანებს თანაბრად და რეგულარულად აწვდის ფხვიერსა და საცალო ტვირთს.

მკვნიტარა (wire cutters, кусачки) – ხე-

ლის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება მცირე დიამეტრის მავთულის, სადენის, კაბელის შემადგენელი ძარღვების, ლითონის თხელი ფურცლის ნაწილების, პლასტმასის, პლასტიკატებისა და მისთ. გადასაჭრელად.

მოაჯირი (railing, перила) – შენობის ელემენტი ან ელემენტების სისტემა, რომელიც მდებარეობს სხვადასხვა დონეზე სავალი ზედაპირების საზღვართან ან მასთან ახლოს ღია მხარეს და ამცირებს სავალი ზედაპირიდან ქვედა დონეზე ჩავარდნის რისკს.

მოგობვა (მოქიშვა) (boarding, отбортовка) – ლითონის ფურცლის პირის გადაღუნვა მის შესაერთებლად სხვა ნაკეთობის პირთან ან სხვა ფურცელთან (შედულებით, მოქლონებით და ა.შ.).

მოდაკრილი (modacrylic, модакрил) – სინთეზური ბოჭკო, მიღებული აკრილნიტრილის თანაპოლიმერებისა და ვინილქლორიდის (40-60%) ან ვინილიდენქლორიდის (20-50%) საფუძველზე.

მოდელი (model, модель) – ფიზიკური სისტემა (მოწყობილობა, სქემა, დანადგარი, მანქანათა

მოდელირება (modeling, simulation; моделирование) – რთული აგრეგატების ან პროცესების ექსპერიმენტის დადგმისა და დამუშავების შესწავლის მეთოდი მოდელებზე ან რეალურ აგრეგატებზე მსგავსების თეორიის გამოყენებით.

მოედანი (area, площадь) – რამდენიმე ქუჩით გადაკვეთილი და განაშენიანებისაგან თავისუფალი, არქიტექტურულად მოწესრიგებული საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცე დასახლებულ ადგილში.

მოზაიკა (mosaik, мозаика) – საროთი, სოფიის კენჭი; დეკორატიულ-გამოყენებითი და სხვადასხვა ჟანრის მონუმენტური ხელოვნება, სადაც გამოსახულება მიიღება მყარი მასალების (მარმარილო, გრანიტი, მინა, ფილა, სმალტი, კენჭებისა და მისთ.) ფერადი ნატეხების მჭიდ-

როდ შეერთებით.

მოლარტყვა (subpurlin, обрешетка) – ნივნივებზე ზედა მხრიდან დამაგრებული გისოსებიანი კონსტრუქცია ან უწყვეტი ფენილი.

მოლითონება (მეტალიზაცია) (metallization, металлизация) – სხვადასხვა მასალის ნაკეთობის ზედაპირის გამდნარი ლითონის თხელი ფენით დაფარვა გაფრქვევით.

მონიტორინგი (monitoring, мониторинг) – რაიმე ობიექტის მდგომარეობაზე სპეციალურად ორგანიზებული სისტემური დაკვირვებების კომპლექსი.

მონიტორინგი გეოდეზიური (geodetic monitoring, геодезический мониторинг) – შენობის (ნაგებობის) გამოკვლევის სახეობა, შენობაში (ნაგებობაში) დეფორმაციული პროცესების განვითარებაზე კონტროლისათვის მშენებლობის, ექსპლუატაციისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების პირობებში.

მონიტორინგი ლოკალური (local monitoring, локальный мониторинг) – დაბინძურებულ ატმოსფეროში, წყალში, ნიადაგში, მცენარეულობაში ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების შემცველობის კონტროლი.

მონობლოკი (monoblock, моноблок) – ორი ან მეტი მოწყობილობისგან შედგენილი მთლიანი კომპლექტი ჩამონტაჟებული ერთ კორპუსში; მაგ., რადიოლა (რადიომიმღები და ელექტროფონი), მაცივარი (კომპრესორი და ჰაერგამაცივებელი), ტელეფონი (მიმღები და გადამცემი) და სხვ.

მონობოჭკო (მონოძაფი) (monofibre, моноволокно) – ერთმაგი ბოჭკოს უმცირესი ნაწილი, რომლის დიამეტრი რამდენიმე მიკრონია. მიიღება პოლიამიდის, პოლიურეთანის, პოლიეთერისა და პოლიოლეფინისაგან.

მონოკოტურა (monocottura, монокоттура) – დაწნეხილი გამომწვარი ფილა, რომელიც დაფარულია ფერადი ან თეთ-

რი მინანქრით.

მონოლითი (monolith, монолит) – გეოლოგიური ბუნებრივი წარმონაქმნი – ქვის მთლიანი ზოდი.

მონოლითური მშენებლობა (monolithic construction, монолитное строительство) – რკინაბეტონისაგან შენობებისა და ნაგებობების აგების ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა, მოკლე დროში აშენდეს პრაქტიკულად ნებისმიერი ფორმის შენობა ან ნაგებობა.

მონოლითური უკოჭო გადახურვა (monolithic beamless ceiling, монолитное безбалочное перекрытие) – გადახურვის მთლიანი ფილა, რომელიც მონოლითურად არის დაკავშირებული სვეტის კაპიტელთან.

მონორელსი (monorail, монорельс) – სატრანსპორტო ნაგებობა, რომელშიც სატვირთო ურიკები ან ვაგონები საკიდ რელსზე გადაადგილდება.

მონტაჟი (erection, монтаж) – სამშენებლო კონსტრუქციების, ტექნოლოგიური მოწყობილობის, ელექტროსქემების, აგრეგატების, მანქანების, მექანიზმების, ხელსაწყოების აწყობა და დაყენება.

მონტმორილონიტი (montmorillonite, монтмориллонит) – თიხოვანი მინერალი, რომელიც მიეკუთვნება ბენტონიტის ძირითად კომპონენტს – ფენოვანი სილიკატს.

მოპირკეთება (fasing, облицовка) – საფარველი შრე ბუნებრივი ან ხელოვნური მასალებისაგან, რომელიც შენობის ზედაპირს იცავს მექანიკური და ატმოსფერული ზეგავლენისაგან და ემსახურება არქიტექტურული გაფორმების მიზნებს.

მორი (log, бревно) – სუფთად ჩამოხერხილობიანი, ტოტებისაგან გაწმენდილი, გარკვეული სიგრძის ხის ტანის ჩამონაჭერი.

მორი დაპროფილებული (profiled log, профилированное бревно) – ორმხრივ ჩამოგანული ცილინდრული მორი რო-

მელსაც ჩამოგანულ გვერდებზე ამოღებული აქვს დარები.

მორი ცილინდრული (cylindrical log, цилиндрическое бревно) – მექანიკურად დამუშავებული მორი, რომელსაც მთელ სიგრძეზე ერთნაირი დიამეტრი აქვს.

მორკინვა (iron pleting, железнение) – ლითონის ნაკეთობის ზედაპირის დაფარვა რკინის თხელი ფენით.

მოქლონი (rivet, заклепка) – სამაგრი დეტალი, რომელიც შედგება ღეროსა და ჩასატანებელი (ამოსავსები) თავისგან.

მოქლონური შეერთება (rivet connection, riveted joint; заклепочное соединение) – დეტალების დაშლელი შეერთება მოქლონების მეშვეობით.

მოქრომვა (chroming, хромирование) – ქრომის თხელი შრის ელექტროლიტური დადება ლითონური ნაკეთობის ზედაპირზე ან ფოლადის ნაკეთობის ზედაპირული შრის ქრომით დიფუზიური გაჯერება კოროზიისაგან დაცვის ან დეკორატიული მიზნით.

მოშანდაკება (planning, планировка, планирование) – სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის მოსწორება.

მოციკლვა (მოხვეწა) (scraping, циклевка) – ხის ნაკეთობათა ზედაპირის, ხის პარკეტის იატაკის მოსწორება.

მოწყობილობა (device, equipment; устройство, оборудование) – მექანიზმები, ჩარხები, დანადგარები, ხელსაწყოები, სისტემები რთული შიგა სტრუქტურით, შექმნილი რაიმე გარკვეული ფუნქციის (მასალის დამუშავება, აწევა, გადატანა, განთავსება, მონტაჟი და ა.შ.) შესასრულებლად (როგორც წესი, ტექნიკის სფეროში).

მოწყობილობა ამწე-სატრანსპორტო (lifting and transport device, подъемно-транспортное устройство) – ყველა სახის ტვირთამწე და სატრანსპორტო დანადგარის ერთობლიობა.

მრეწველობა (industry, промышленность) – სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვა-

ნესი დარგი, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების დონეზე.

მსხვილბლოკური კონსტრუქციები (large-block constructions, крупноблочные конструкции) – შენობის ქარხნულად დამზადებული კონსტრუქციები (კედლები, საძირკვლები), რომლებიც შედგება დიდი ზომის მოცულობითი ელემენტებისაგან (ბლოკებისგან).

მსხვილპანელური კონსტრუქციები (large-panel constructions, крупнопанельные конструкции) – მსხვილზომიანი ბრტყელი ასაწყობი ელემენტებისაგან დამზადებული (სართულშუა გადახურვის ფენილები, შენობების გადახურვის პანელები, კედლის პანელები და სხვ.) ინდუსტრიული კონსტრუქციები.

მტვერსაჭერი (dust catchers, пылеуловитель) – მოწყობილობა მტვრისა და სხვა მექანიკური მინარევების დასაჭერად, რომელიც მოსდევს დამტვრიანებულ ჰაერს, ღუმლებს, საშრობებში გამავალ აირებსა და სხვ.

მულდა (mold, mould, trough; мульда) – 1. ფოლადის სხმული კოლოფი კაზმის (ნედლეულის) ჩასატვირთად ფოლადსადნობ ღუმელში; საბრძმედე წარმოებაში: ყალიბი თუჯის ზოდების ჩამოსახმელად; 2. გეოლოგ. სამთო ქანების ჩაწოლილი შრის თეფშისებრი ფორმა; 3. ტექნიკ. მანქანის ნაწილი დარის, ვარცლის ფორმისა.

მულტიაქსიალური (multiaxial, multiax; мультиаксиальный) – მრავალღერძული.

მუტული (მუტულა) (mutule, мутул) – ბრტყელი დახრილი შვერილი ანტაბლემენტის კარნიზის გამოტანილი ფილის ქვეშ დორიულ ორღერძში.

მუფელი (muffle, муфель) – ცეცხლგამძლე მასალის ან სიცხეგამძლე ფოლადის კამერა, რომელშიც გასაწურებლად ან გამოსაწვავად ათავსებენ სხვადასხვა ნაკეთობას (წვის პროდუქტების ზემოქმედებისგან დასაცავად).

მუყაო (boar, paper; картон) – მაგარი სქელი ქაღალდი, რომლის ზედაპირული სიმკვრივე (1მ^2 -ის მასა) 250 გ/მ^2 და მეტია.

მუშაობა (work, job; работа) – სიდიდე, რომელიც ახასიათებს განსახილველ ფიზიკურ პროცესში ენერჯის ერთი ფაზიდან სხვა ფაზაში გადასვლას.

მუხლუხი (caterpillar, гусеница) – სახსრულად შეერთებული რგოლებისაგან შედგენილი მთლიანი ლენტი ან ჯაჭვი, რომელიც გამოიყენება მუხლუხა სავალ მოწყობილობაში.

მუხრუჭი (brake, тормоз) – მექანიზმი (მოწყობილობა) მანქანის სიჩქარის შესამცირებლად ან მისი სრული გაჩერებისათვის.

მყარი (მაგარი, სალი) (solid, твердый) – ის, რაც ძნელად ექვემდებარება კუმშვას, ღუნვას, ჭრასა და სხვა ფიზიკურ ზემოქმედებას; მკვრივი.

მყიფე (მსხვრევალი) (fragile, brittle; хрупкий) – ის, რაც ადვილად ტყდება, იმტვრევა, იმსხვრევა.

მშენებლობა (construction; development; civil engineering; building site; строительство) – მატერიალური წარმოების დარგი, რომელშიც წარმოიქმნება საწარმოო და არასაწარმოო ძირითადი ფონდები. ის მეურნეობის დამოუკიდებელი დარგია, რომლის ნაწარმია გამზადებული ან რეკონსტრუირებული სამრეწველო ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი შენობები, მილსადენები, კაშხლები და სხვ.

მშენებლობა კაპიტალური (capital construction, капитальное строительство) – სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების, იურიდიული და კერძო პირების საქმიანობა, მიმართული საწარმოო თუ არასაწარმოო დანიშნულების ახალი ძირითადი ფონდების შექმნისკენ ან არსებული საწარმოო ფონდების გაფართოება-რეკონსტრუქციისკენ.

მშენებლობა საგზაო (road construction,

дорожное строительство) – საავტომობილო გზების, გზაგამტარების, ესტაკადების, ხიდების მშენებლობა და შეკეთება, მათზე საგზაო სამოსის დატანა, შემდგარი საფარის, ფუძისა და ქვედა ფენისაგან, რომელიც იდება მიწის ვაკისზე.

მშენებლობა სამოქალაქო (civil engineering, гражданское строительство) – სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პროცესი.

მშენებლობა სამრეწველო (industrial construction, промышленное строительство) – კაპიტალური მშენებლობის დარგი, რომელიც ქმნის მრეწველობის ძირითად ფონდებს.

მშენებლობა სარკინიგზო (railway construction, railroad building, железнодорожное строительство) – რკინიგზისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესი (ლიანდაგები, ხიდები, გვირაბები, გზაგამტარები, ესტაკადები, ბაქნები, სადგურები და სხვ.).

მშენებლობა სატრანსპორტო (transport construction, транспортное строительство) – მშენებლობის ერთ-ერთი დარგი, რომელიც მოიცავს ყველა სახის ტრანსპორტის ნაგებობებსა და მოწყობილობებს.

მშენებლობა უნებართვო (building without a permit, construction without permission; строительства без разрешения) – უნებართვო (უკანონო) მშენებლობა არის ისეთი მშენებლობა, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი (ნებართვა). უკანონო მშენებლობად ასევე მიიჩნევა ისეთი მშენებლობა, რომლის ფარგლებშიც არსებითად დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნები, კერძოდ, იცვლება შენობა-ნაგებობის ფუნქცია ან/და ხდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება.

მშენებლობის ეფექტურობა (construction

efficiency, эффективность строительства) – სამშენებლო ობიექტის პროექტის მაჩვენებლების შესაბამისობა მშენებლობის მაჩვენებლებთან, რომელიც სამშენებლო პროექტის შექმნისას განსაზღვრავს მისი ღირებულების, ხარისხისა და რესურსების დანახარჯებს მშენებლობის წარმოების პროცესში.

მშენებლობის კონსერვაცია (construction conservation, консервация строительства) – დამკვეთის მიერ მშენებლობის პროცესის 6 თვეზე მეტი დროით შეჩერება, როდესაც ხდება მშენებარე ობიექტის კონსერვაცია, რის შესახებაც ეცნობება მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის განმანორციელებელ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს. კონსერვაცია გულისხმობს ობიექტის მდგრადობის, უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დაცვას, მისი კონსტრუქციული ელემენტების დაუზიანებლად შენარჩუნებას, რაც უზრუნველყოფს სამშენებლო ღონისძიებათა შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობას, ამასთან მოსაზღვრე შენობებისა და ტერიტორიების უსაფრთხოებას.

მშენებლობის მექანიზაცია (mechanization of building, механизация строительства) – მშენებლობაში ხელით შრომის ჩანაცვლება მანქანებითა და მექანიზმებით, შრომის ნაყოფიერების გაზრდის, მშენებლობის ღირებულების შემცირებისა და დამღლელი, რუტინული შრომისგან ადამიანის განთავისუფლების მიზნით.

მშენებლობის ნებართვა (building permit, construction permit; разрешение на строительство) – უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონით დადგენილი წესითა და ფორმით, გარკვეული ვადით მინიჭებული უფლება, რომელიც არის მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (მოპ) (construction organization project,

проект организации строительства) – მშენებლობის პროექტის განუყოფელი ნაწილი, სადაც დეტალურადაა ასახული მშენებლობის განხორციელების პირობები,

მშენებლობის პროექტი (construction project, building process; проект строительства) – მშენებლობის პროცესის დასაწყებად აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი საბუთი – ასაშენებელი ობიექტისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია, რომლითაც განისაზღვრება: მშენებლობის მთავარი კონცეფცია, სამშენებლო სამუშაოების წარმოების მეთოდები და ტექნოლოგიური თავისებურებები, საშენი მასალებისა და ინსტრუმენტების სახეები და რაოდენობა, სახანძრო უსაფრთხოება, ხარჯთაღრიცხვა, მშენებლობის ვადები და ა.შ.

მშენებლობის პროცესი (construction process, building process; процесс строительства) – ყველა სახის მოქმედება, რომელიც მიზანმიმართულია შენობა-ნაგებობის ასაშენებლად.

მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (estimated construction cost, construction cost estimate; сметная стоимость строительства) – ყველა დანახარჯის ერთობლიობა, გაწეული საწარმოს, ცალკეული შენობის, ნაგებობის ან მათი კომპლექსის მშენებლობისას (რეკონსტრუქციისას).

მშენებლობის ტექნოლოგია (construction technology, технология строительства) – სამშენებლო პროცესების, ტექნიკური საშუალებების, შრომითი რესურსების, საშენი მასალებისა და ნაკეთობების ერთობლივი ქმედებებისა და გამოყენების მუშავებით მათი თვისებების, მდგომარეობისა და სივრცეში განლაგების შეცვლა სამშენებლო პროექტის შექმნის მიზნით.

მშენებლობის ხარისხი (construction quality, качество строительства) – სამშენებლო პროცესების პარამეტრების შე

საბამისობა პროექტის მონაცემებთან, რაც მიიღწევა მშენებლობის ყველა ეტაპზე კონტროლის სისტემის უპირობო განხორციელებით.

მშრალი წყობა (board masomry, сухая кладка) – ცალობითი მასალის (აგური, ბლოკი, ქვა და სხვ.) წყობა გასამაგრებელი ხსნარის გამოყენებლად, მაგრამ საგები ქვების შერჩევითა და აუცილებელი დადორღვით.

მცურავი ქანი (heaving sand, плавун) – წყლით გაჯერებული ფხვიერი გრუნტი, რომელიც მექანიკური ზემოქმედებით გადადის დენად მდგომარეობაში.

მწარმოებლურობა (მწარმოებლობა) (performance, productivity; производительность) – ნებისმიერი მანქანის მიერ დროის ერთეულში შესრულებული სამუშაოს (პროდუქციის) რაოდენობა, რომელიც დამოკიდებულია მისი გამოყენების ეფექტურობაზე დროში (ექსტენსიური გამოყენება) და მუშაობის რეჟიმზე (ინტენსიური გამოყენება).

მწვანე მასივი (green array, green massif; зеленый массив) – პარკის ლანდშაფტის ყველაზე მსხვილი ერთეული. ოპტიმალური სიგანე, რომელიც იცავს ადამი-

ანებს ხმაურისა და მტვრისაგან, შეადგენს 100-150 მ-ს.

მწვანე მშენებლობა (green construction, зеленое строительства) – დაგეგმილი ღონისძიებების სისტემა, რომელიც ემსახურება ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებებში, სამრეწველო ობიექტებსა და მისთ. მწვანე ნარგავების შენარჩუნებისა და გაფართოების საქმეს.

მჭიდა მასალები (binding materials, вяжущие материалы) – მინერალური და ორგანული ნივთიერებები, რომლებსაც იყენებენ ბეტონისა და დუღაბის მოსამზადებლად, სამშენებლო კონსტრუქციების ცალკეული ელემენტების დასამაგრებლად, ჰიდროსაიზოლაციოდ და სხვ.

მხურვალმედეგი კონსტრუქციები (heat-resistant structures, жаростойкие конструкции) – კონსტრუქციები, რომლებიც მაღალი ტემპერატურის პირობებში ინარჩუნებენ კონსტრუქციულ თვისებებს.

მხურვალმტკიცე (heat-resisting, жаропрочный) – მასალის (ძირითადად ლითონის შენადნობების) თვისება, მაღალი ტემპერატურის პირობებში გაუძლოს მექანიკურ დატვირთვებს რღვევის გარეშე.

ნაგავი (trash, garbage; мусор) – უვარგისი სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ჭუჭყი, მტვერი და მისთ.

ნაგავი სამშენებლო (construction garbage, строительный мусор) – მშენებლობის წარმოების პროცესში დარჩენილი მასალები ან საგნები, რომელთა შემდეგი გამოყენება ფიზიკურად და ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და ექვემდებარება განადგურებას ან უტილიზაციას.

ნაგავსატარი (refuse chute, мусоропровод) – ნაგვის ბუნკერში ჩასაშვები ლითონის, კერამიკის ან პლასტმასის სპეციალური არხი (ტანი, ჭაური) მრავალსართულიან შენობაში, რომელსაც ყოველ სართულზე ნაგვის ჩასაყრელი სარკმელი აქვს.

ნაგავსაცლელი (garbage disposal, мусороудалитель) – დროებითი ტერიტორია საწარმოო და სამომხმარებლო ნარჩენების განსათავსებლად.

ნაგებობა (building, сооружение) – საშენი მასალებისა და ნაკეთობებისგან შექმნილი კონსტრუქციული სისტემა, რომელიც გრუნტთან უძრავადაა დაკავშირებული.

ნაგებობა არაკაპიტალური არასტაციონარული (non-permanent non-stationary construction, некапитальное нестационарное сооружение) – მსუბუქი კონსტრუქციებისაგან დამზადებული ნაგებობა, რომელიც, როგორც წესი, არ ითვალისწინებს ჩაღრმავებული საძირკვლებისა და მიწისქვეშა სათავსების მოწყობას.

ნაგებობა არქიტექტურული (architectural structure, архитектурное сооружение) – ნაგებობა, რომელიც თავისი ფორმით ქმნის არქიტექტურულ სივრცეს და აქვს განსაზღვრული სამომხმარებლო ფუნქცია.

ნაგებობა დამხმარე (ancillary facility, вспомогательное сооружение) – სათავსო ბინაში, რომლის დანიშნულებაცაა საყოფ-

ფაცხოვრებო-სამეურნეო ფუნქციის შესრულება. ასეთია: სამზარეულო, საკუჭნაო, ტუალეტი, აბაზანა, წინკარი, ჩამენებული კარადა, დერეფანი, შიდა კიბე და სხვ.

ნაგებობა კაპიტალური (capital structure, капитальное сооружение) – მშენებლობის შედეგი მოცულობითი, ბრტყელი ან ხაზობრივი სამშენებლო სისტემის სახისა, რომელსაც აქვს მიწისზედა, მიწისპირა და/ან მიწისქვეშა ნაწილები.

ნაგებობა სათავო (head building, головное сооружение) – საინჟინრო ნაგებობა, რომელიც განსახილველი გაშენების (ობიექტის) ენერგომომარაგებისა და უზრუნველყოფის წყაროა.

ნაგებობა სასაწყობე (storage facility, складское сооружение) – მიწისზედა ან მიწისქვეშა ნაგებობა ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, მასალების, პროდუქტის, საქონლის განსათავსებლად და შესანახად.

ნაგებობა საწარმოო (production facility, производственное сооружение) – მიწისზედა სამშენებლო ნაგებობა, რომელსაც აქვს სათავსები საწარმოო მოწყობილობა-დანადგარებისა და მომსახურე პერსონალის განსათავსებლად.

ნაგებობა სეისმომდებელი (earthquake-resistant structures, сейсмостойкое сооружение) – ნაგებობა, რომელიც მდგრადია მიწისძვრების მიმართ რისკის გარკვეულ საზღვრებში.

ნაგებობა წყალასაღები (intake structure, водозаборное сооружение) – ნაგებობა წყლის ასაღებად წყლის წყაროსგან.

ნაგებობა წყალგამტარი (aqueduct structure, водопропускное сооружение) – ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ნაკადის ტრანსპორტირებას ხელოვნური (არხი, გზა, მიწაყრილი) ან ბუნებრივი (ხეობა, ხრამი, მდინარე) წინაღობის დაძლევიტ.

ნაგებობა წყალდასახარჯი (culvert, водопропускное сооружение) – ჰიდროტექ-

ნიკური ნაგებობა, რომელიც ემსახურება წყლის მიწოდებასა და განაწილებას დასახლებული პუნქტებისა და სამრეწველო ობიექტებისათვის.

ნაგებობა წყალმიმღები (water folding structure, водоприемное сооружение) – წყალსატევი ან ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომელიც კრებს წყალს რაიმე ტერიტორიიდან და შემდეგ აწვდის მომხმარებელს.

ნაგებობა წყალსაგდები (spillway structure, водосбросное сооружение) – ჰიდროტექნიკური ნაგებობა ზედმეტი წყლის გადასაგდებად ზედა ბიეფიდან ქვედაში.

ნაგებობა წყალსადაწნეო (water pressure, водонапорное сооружение) – კოშკზე ან მალლობზე განთავსებული რეზერვუარი ან ჰაერის წნევის ქვეშ მყოფი ტევადობა, რომელიც გამოიყენება წყალმცირე დასახლებული პუნქტის ან საწარმოს წყალმომარაგებისთვის.

ნაგებობა ხელოვნური (artificial structure, искусственное сооружение) – პირობითი დასახლება ნაგებობისა, რომელსაც აშენებენ გზების გადაკვეთის ადგილებში ბუნებრივ წინააღმდეგობებზე (მდინარე, ხევი, ხეობა, ხრამი და სხვ.) გადასასვლელად.

ნაგებობათა დინამიკა (ნაგებობათა რხევების თეორია) (structurals dynamics, динамика сооружений) – სამშენებლო მექანიკის დარგი, რომელიც სწავლობს კონსტრუქციების დინამიკური დატვირთვით გამოწვეული რხევების განსაზღვრის მეთოდებსა და რხევათა კორექტირების ხერხებს.

ნაგებობათა მდგრადობა (load stability of structures, устойчивость сооружений) – ნაგებობის ან მისი რომელიმე მზიდი ელემენტის უნარი, დატვირთვისას შეინარჩუნოს ფორმა და წონასწორობა.

ნაგებობის გაანგარიშება (structural analysis, расчет сооружения) – ძალებისა და დეფორმაციების (გადაადგილებების)

განსაზღვრა ნაგებობის ელემენტებში და მათი სიმტკიცის, სიხისტის, მდგრადობის, ცეცხლმდეგობისა და რხევების დადგენა სტატიკური და დინამიკური დატვირთვების ზემოქმედების დროს ნაგებობის საიმედოობისა და ხანმედგობის უზრუნველყოფის მიზნით, მასალების მინიმალური ხარჯის პირობებში.

ნაგებობის ფუძე (structural base, основание сооружения) – ბუნებრივი ან ხელოვნური (გამკვირივებული) გრუნტის მასივის ნაწილი, რომელსაც საძირკვლის მეშვეობით გადაეცემა ნაგებობის მთელი დატვირთვა.

ნაგვერდული (ყუაფიცარი) (slab, обанол) – მორის სიგრძეში დახერხვის პირველი განაპირა არასრული ნახევარმორი, დაუმუშავებელი ფიცარი.

ნაგლინი (rental, прокат) – საგლინავ დგანზე მიღებული პროდუქცია (მილი, კუთხედი, შველერი, კვადრატი და ა.შ.) ცხელი, თბილი ან ცივი გლინვის გზით.

ნაზოლი (bevel, скос) – ზედაპირი, რომელიც მიიღება მასალის ტორსული ნაწიბურის ირიბად წაჭრით (ცერობით).

ნაკადური (in-line, поточный) – ის, რაც სრულდება კონვეიერის საშუალებით (მაგ. სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება ნაკადური მეთოდით).

ნაკერი (joint, шов) – 1. გრძელ შენობებში ან კონსტრუქციებში დატოვებული მუდმივი ჭრილი (ჭვრიტე), რომელიც დაცალკევებულ ნაწილებს დამოუკიდებელი გადაადგილებისა და დეფორმაციის საშუალებას აძლევს; 2. ანაწყობებში ან მომიჯნავე ანაწყობებს შორის ღიობი, რომელსაც ქმნის შენობის ღრეჩოები ან დაგეგმარებულია იმისათვის, რომ თერმული, სეისმური (მიწისძვრისმიერი), ქარისმიერი ან ნებისმიერი სხვა დატვირთვისას შენობამ შეძლოს დამოუკიდებლად მოძრაობა ნებისმიერ სიბრტყეში.

ნაკერი ანტისეისმური (joint antiseismic, антисейсмический шов) – ნაკერი, რომე-

ლიც დიდი ზომისა და რთული კონფიგურაციის შენობას დამოუკიდებლად რხევის უნარის მქონე ცალკეულ ნაკვეთურებად ჰყოფს.

ნაკერი დაჯდომისა (ჩაჯდომის) (shrinkade, осадочный шов) – ნაკერი, რომელიც შენობის ცალკეულ ნაწილებს დამოუკიდებელი დაჯდომის საშუალებას აძლევს.

ნაკერი დეფორმაციული (movement joint, деформационный шов) – ნაკერი, რომელიც შენობის ცალკეულ ნაწილებს დამოუკიდებელი დეფორმაციის საშუალებას აძლევს.

ნაკერი კონსტრუქციული (constructive seam, конструктивный шов) – ნაკერი, რომელიც ეწყობა შენობის ცალკეული კონსტრუქციების მცირედი გადაადგილებისათვის მხოლოდ ჰორიზონტალური მიმართულებით.

ნაკერი საიზოლაციო (insulating seam, изоляционный шов) – ნაკერი, რომელიც ეწყობა კოლონების, კედლებისა და მოწყობილობა-დანადგარების საძირკვლების ირგვლივ, რათა დაცული იყოს იატაკის მოჭიმვა დატენიანებისა და ნულოვანი ციკლის კონსტრუქციების დეფორმაციათა გავლენისაგან.

ნაკერი ტემპერატურული (joint expansion, температурный шов) – ნაკერი, რომელიც შენობას საძირკვლამდე ჭრის და საშუალებას აძლევს მის მიერ გამოყოფილ ნაკვეთურებს, დამოუკიდებლად განიცადონ ტემპერატურის ცვალებადობით გამოწვეული დეფორმაცია.

ნაკერი შეკლებისა (shrink seams, усадочные швы) – შენობის ნაკერი, რომელიც გამოიყენება მონოლითურ მშენებლობაში ბეტონის გამყარების პროცესში გაჩენილი შიგა ჭარბი ძაბვების მოსახსნელად, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონსტრუქციებში ბზარების წარმოქმნა.

ნაკეცი (folds, складки) – შენობის სახურავის ზედაპირი, რომელიც შექმნილია

დახრილი ბრტყელი წახნაგების სისტემისგან.

ნაკვეთური (compartment, отсек) – ცალკე გამოყოფილი ნაწილი სპეციალური სათავსისა, სადგომისა.

ნამეტი (allowance, припуск) – სამშენებლო ნაკერების, ლითონის ან ხის ნაკეთობათა ზომების გადიდება მათი შემდგომი დამუშავების მიზნით.

ნაოთხალი ლილვი (quarter shaft, четвертной вал) – არქიტექტურული პროფილი, რომელსაც წრის მეოთხედის მონახულობა აქვს.

ნაპირგამაგრება (bank protection, берегоукрепление) – წყალსატევების, მდინარეების, ზღვების, ტბების, ოკეანეების ნაპირების დაცვა ტალღების, დინებების, წყლის დაწვევისა და ა.შ. ზემოქმედებისგან.

ნაპირი (coast, берег) – ადგილი ხმელეთზე, სადაც წყალი, წყლის სივრცე იწყება, კიდე, პირი.

ნაპრალი (crack, трещина) – ვიწრო და წაგრძელებული ხვრელი, გახეთქილი, ჩანგრეული ადგილი, დიდი და ღრმა ბზარი ორ ობიექტს შორის.

ნარანდი (მუხნტი) (tongue, шпунт) – ნარიმანი; ფიცარზე ან ძელზე ამოღებული სხვადასხვა ზომისა თუ ფორმის გრძივი ღარი, რომელშიც თავსდება მეზობელი ფიცრის გასწვრივი შვერილი.

ნარევი (mixture, смесь) – ერთგვაროვანი მასა, რომელიც რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება.

ნარიმანი (rebate, фальц) – ნაკერის სახეობა, რომელიც აერთიანებს ორ – ხის ან ლითონის ბრტყელ ელემენტს.

ნარჩენი (departure, отход) – სამრეწველო საწარმოს პროდუქტი ღირებული კომპონენტების მცირე შემცველობით, რომელთა შემდეგი გამოყოფა ტექნიკურად შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიუღებელია.

ნარჩენი ინერტული (inert waste, инертные отходы) – საყოფაცხოვრებო და სამ-

რეწველო ნარჩენი, რომელიც დროთა განმავლობაში არ განიცდის ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს, არ შედის რეაქციაში სხვა მასალებთან, ნაკლებად ტოქსიკურია და მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ნარჩენი მავნე (hazardous waste, вредные отходы) – ნივთიერება ან პრეპარატი, რომლის შესუნთქვა, ჩაყლაპვა ან კანში შეღწევა ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათოა.

ნარჩენი მუტაგენური (mutagenic waste, мутагенные отходы) – ნივთიერება ან პრეპარატი, რომლის შესუნთქვა, ჩაყლაპვა ან კანში შეღწევა იწვევს მემკვიდრეობით გენეტიკურ დეფექტებს ან ზრდის მისი გაჩენის ალბათობას.

ნარჩენი რადიოაქტიური (ნარჩენი ატომური) (radioactive waste, радиоактивные отходы) – ნარჩენი, რომელიც შეიცავს ქიმიური ელემენტების რადიოაქტიურ იზოტოპებს და უვარგისია წარმოებაში გამოსაყენებლად.

ნარჩენი საყოფაცხოვრებო (household waste, хозяйственные отходы) – საოჯახო მეურნეობაში წარმოქმნილი ნარჩენი.

ნარჩენების მართვა (waste management, управление отходав) – პროცესი, რომელიც მოიცავს ნარჩენების შეგროვებას, დროებით შენახვას, წინასწარ დამუშავებას, ტრანსპორტირებას, აღდგენასა და განთავსებას, ამ საქმიანობების დონისძიებებისა და ოპერაციების ზედამხედველობასა და ნარჩენების განთავსების ობიექტების შემდგომ მოვლას.

ნატეხი (bummer; облом, кусок) – ელემენტარული არქიტექტურული პროფილი (მაგ., პლინთი, ლილვი, მეოთხედი ლილვი, ფოსო, ბატიყელა, ქუსლა, თარო და სხვ.).

ნაყარი (clamp, отвал) – ფუჭი ქანების, არაკონდიციური სასარგებლო წიაღისეულის, გამდიდრების ნარჩენების, წიღებისა და სხვ. მასალების ხელოვნური

ყრილი.

ნაყარი საგზაო (collapse of the road, обвал дороги) – ნაყარ გრუნტზე მოწყობილი მიწის ვაკისის ნაწილი, რომლის საზღვრებში სავალი ნაწილის ზედაპირი მიწის ზედაპირის დონიდან მაღლაა განლაგებული.

ნაშენი (structure, строение) – მშენებლობის შედეგი – რაც ააშენეს, ააგეს (შენობები და ნაგებობები).

ნაშვერი (overhanding, вынос) – კონსოლი (დაკიდებული ფილა), რომელიც ერთი ბოლოთი ჩამაგრებულია შენობის კონსტრუქციაში.

ნაშხეფბეტონი (shotcrete; торкретбетон, набрызгбетон) – ცემენტის, ქვიშისა და ხრემის (ღორღის) მშრალი ნარევი, რომელიც საჭირო ზედაპირზე დაიტანება დაშხეფებით 4-6 ატმ. წნევის ქვეშ.

ნაცარბეტონი (ash concrete, бетон из золы) – მსუბუქი ბეტონის სახეობა, რომელშიც შემავსებად გამოიყენება ნაცარი.

ნაწიბური (edge, кромка) – 1. ბრტყელი მასალის გახერხვის შედეგად გრძივ ვიწრო მხარეზე დარჩენილი ხის ბოჭკოები; 2. ფურცლოვანი ნაგლინის გვერდითი ზედაპირი.

ნაწრთობი (tempered, закаленный) – რაც აწრთეს, გამოაწრთეს.

ნაჭედი (forged, кованный) – ჭედვით გამოყვანილი, გამოჭედილი, მოჭედილი, დაჭედილი.

ნაჭერი (piece, кусок) – მთელიდან მოცილებული პატარა ნაწილი.

ნახაზი (drawing, чертеж) – საგნების, ტექნიკური მოწყობილობებისა და დეტალების გამოსახულება, შესრულებული მათი ზომების, მასშტაბის, შედგენილობისა და ა.შ. ჩვენებით.

ნახატი (picture, рисунок) – ხელით შესრულებული გრაფიკული გამოსახულება, რომელიც მიღებულია კონკრეტული ხაზის, შტრიხის, ლაქისა და სხვ. შერწყმით.

ნახევარგამტარი (semiconductor, полу-

проводник) – მყარი ნივთიერება ან ნივთიერებათა ნაერთი, რომელიც გარკვეულ პირობებში ელექტრულ დენს დიელექტრიკზე უკეთესად, მაგრამ გამტარზე უარესად ატარებს.

ნახევარვაგონი (gondola car, полувагон) – რკინიგზის მატალბორტიანი ღია სატვირთო ვაგონი.

ნახევარლილვი (thumbnail bead, полувалик) – არქიტექტურული ნატეხი, ნახევარი ან მეოთხედი ლილვის ფორმის კარნიზი.

ნახევარმისაბმელი (semitrailer, полуприцеп) – ერთ-, ორ- ან სამღერძა უძრავო მისამბმელის სახეობა, რომელსაც არ გააჩნია წინა ღერძი და ეყრდნობა საწვავარს.

ნახევარმორი (ფინი) (half log, полупревно) – შუალედური ფორმის მასალა, რომელიც მიიღება მორის გრძივი გახერხვით.

ნახევარსარდაფი (semi-basement, полуподвал) – მიწისქვეშა სართულში განთავსებული სათავსი/სადგომი, რომლის ჭერის ამოწვევის საშუალო სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 0,7-1,6 მ-ია.

ნახევარსახეხელა (trowel, полутерка) – საბათქაშე ხელის ინსტრუმენტი, მართკუთხედის ფორმის ხის (ლითონის, პლასტმასის) ფარი სახელურით.

ნახევარსვეტი (semicolon, полустойка) – აყრდნობილი სვეტი, პილასტრი, კედლის სვეტი.

ნახევარტრანშეა (semi-trench, полутраншея) – ტრანშეა, რომელსაც მთაგორიან რელიეფზე არასრული პროფილი აქვს.

ნახევარფრონტონი (semi-pediment, полупронтон) – ნებისმიერი ფორმის ფრონტონი, რომლის ჰორიზონტალური კარნიზი გაწყვეტილია ფანჯრის ან დეკორატიული ჩანართით.

ნახვრეტი (hole, отверстие) – რაიმე სიბრტყეში, საგანში გაკეთებული წვრილი სიცარიელე; ჭუჭრუტანა, ხვრელი.

ნახშირბადიანი ფოლადი (carbon steel,

углеродистая сталь) – არალეგირებული ფოლადი, რომელშიც ნახშირბადის შემცველობა 0,04-2%-ია და მუდმივი მინარევები – მანგანუმი, კაჟი, გოგირდი და ფოსფორი არ აღემატება 1%-ს.

ნახშირბადპლასტიკი (ნახშირბადკომპოზიტი; კარბონი, კარბონპლასტი) (carbon fiber, углепластик) – პოლიმერული კომპოზიტური მასალა, დაარმირებული ურთიერთგადახლართული ნახშირბადის ბოჭკოებით, რომლებიც განლაგებულია პოლიმერული ფისების (მაგ., ეპჟანგის) მატრიცაში.

ნახშირი (coal, carbon, charcoal; уголь) – დანალექი მყარი საწვავი სასარგებლო წიაღისეული.

ნებულა (nebuly/nebule, небула) – არქიტექტურული ნატეხი, რომელსაც ზიგზაგის ფორმა აქვს.

ნელლეული (raw material, сырье) – დაუმუშავებელი მასალა პროდუქციის დასამზადებლად.

ნეილერი (ლურსმანსასობი პისტოლეტი, პნევმატიკური პისტოლეტი) (nailer, нейлер) – ხელის ინსტრუმენტი მასალაში ლურსმნის (სამაგრის) ჩასასობად ფიზიკური ძალის გამოყენების გარეშე.

ნეოპრენი (neoprene, неопрен) – სინთეზური კაუჩუკის სახესხვაობა, ქლორპრენული კაუჩუკი.

ნერვიურა (rib, нервюра) – ვერტიკალური და ჰორიზონტალური დაპროფილებული ზოლურები შენობის ფასადებზე და ინტერიერში.

ნეფელინი (nepheline, нефелин) – სილიკატების კლასის მომწვანო ან ღია ნაცრისფერი მინერალი.

ნიღლტრუზია (needletrusion, нидлтрюзия) – კომპოზიტური არმატურის გამოწვევა (წაგრძელება) პოლიმერიზაციული კამერის გავლით ფილერების გამოყენების გარეშე.

ნიველირება (ნიველობა) (leveling, нивелирование) – დედამიწის ზედაპირის წერტილების სიმაღლეთა განსაზღვრა

ზოგიერთ ამორჩეულ წერტილთან ან ზღვის დონესთან მიმართებაში.

ნიველირი (level, нивелир) – გოდეზიური ოპტიკური ხელსაწყო, რომლითაც ტერიტორიის ნიველირება (ვერტიკალური გეგმარება), აგრეთვე ხაზებისა და სიბრტყეების საჭირო დახრის კუთხით დაკვალვა ხორციელდება.

ნივნივი (rafter, стропило) – ერთი იმ ორ დახრილ ძელთაგან, რომელიც ზედა ბოლოთი ერთმანეთთან არის შეერთებული, ხოლო ქვედა ბოლოთი კედელს ეყრდნობა და ქმნის სახურავის ჩონჩხს.

ნივნივის ფეხი (rafter leg, стропильная нога) – სახურავის კონსტრუქციის ელემენტი, რომელიც ქვედა ბოლოთი დამაგრებულია საპირისპირო ნივნივის ფეხის კუთხესთან.

ნიპელი (nipple, ниппель) – ლითონის მილაკი, რომელსაც ორივე ბოლოზე აქვს კუთხვილი.

ნიჟარა (shell, ракушка) – 1. სხვადასხვა ზომისა და ფორმის სიცარიელე მასალებში, რომელიც წარმოიქმნება ზოდის შიგნით ან ზედაპირზე; 2. სამზარეულოს (ტუალეტის) თეფშისებრი აქსესუარი, რომელიც გამოიყენება ხელ-პირის დასაბანად და მცირე ზომის საგნების გასარეცხად.

ნიჟარქვა (shell rock, ракушечник) – ფოროვანი კირქვა, რომელიც თითქმის მთლიანად შედგება მთელი ან დამსხვრეული ზღვის ორგანიზმების ნიჟარებისგან.

ნიტრიფიკაცია (nitrification, нитрификация) – ჰერმეტულ რეზერვუარებში ჩამდინარი წყლების გაწმენდა აქტიური ლამის გამოყენებით.

ნიში (recess, ниша) – ძირითადად ნახევრადცილინდრული (ან სხვა ფორმის) შვეული დრმული, რომელიც გამოკვეთილია კედელში ქანდაკების ან რამე სხვა დეკორატიული ელემენტის მოსათავსებლად.

ნიშნული (mark, отметка) – წერტილის

აბსოლუტური ან ფარდობითი სიმაღლის რიცხვითი მნიშვნელობა.

ნიჩაბი (ხოპი, ხოფი, ხოპე, სახვეტელი) (blade, лопатка) – სამუშაო იარაღი მიწის, ბალასტისა და სხვ. ნაყარი და ფხვიერი მასალის ასაღებად.

ნომინალური ძაბვა (kated voltage, номинальное напряжение) – მწარმოებლის მიერ მითითებული ძაბვა ან ძაბვის დიაპაზონი, რომლის დროს ესა თუ ის მანქანა-დანადგარი ნორმალურად მუშაობს.

ნორია (noria, нория) – უწყვეტი მოქმედების ამწევი მოწყობილობა – დაუსრულებელი ჯაჭვი ან ლენტი, რომელზეც ჩამოკიდებულია ჩამჩები, დოქები, სათლები და მისთ.

ნორმაიზოლი (normaizol, нормаизол) – ქიმიურად ნაქსოვი პოლიეთილენის ქაფი, დაფარული ალუმინის კლიტით (ფოლგით), რაც უზრუნველყოფს თბომანგიტური ტალღების 97%-ით არეკვლას.

ნორმალი (normal, нормаль) – მოცემულ წერტილზე გამავალი წრფე, რომელიც მართობულია ამავე წერტილზე გამავალი მხები წრფისა (მხები სიბრტყისა).

ნორმატივი (specification norm, норматив) – 1. რაიმე ჩვეულებრივი, ტიპური, სტანდარტული; უნივერსალური, ფართოდ გავრცელებული ნორმა; 2. ეკონომიკური ან ტექნიკური მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც სრულდება სამუშაო.

ნულოვანი ნიშნული (zero mark, нулевая отметка) – შენობა-ნაგებობის საკონტროლო ნიშნული, რომელიც მიწისპირა ან პირველი მიწისზედა სართულის იატაკის ნიშნულია.

ნულოვანი ციკლი (zero cycle, нулевой цикл) – მშენებლობაში გავრცელებული (ნორმატიულ დოკუმენტებში არარსებული) ცნება, რომელიც სამშენებლო ობიექტზე მოსამზადებელ სამუშაოებს აღნიშნავს (სადირკვლის ფუძიდან პირ-

ველი სართულის იატაკამდე).

ნუსელტის რიცხვი (husselt number, число нуссельта) – უგანზომილებო პარამეტრი, რაც ახასიათებს სხეულის ზედაპირ-

სა და აირის (სითხის) ნაკადს შორის კონვექციისა და თბოგამტარობის ინტენსივობას.

ობიექტი (object, обЪект) – ფილოსოფიური კატეგორია, არსებული მოვლენა, საგანი, პირი, დაწესებულება, საწარმო, მშენებლობა, რისამე ცალკეული უბანი, მატერიალური რეალობა, რომლისკენაც არის მიმართული ვისიმე მოქმედება, ყურადღება და ა.შ.

ობსიდიანი (obsidian, обсидиан) – ერთგვარი მაგმური ქანი, ვულკანური წარმოშობის მინა, რომელიც მიიღება ლავის სწრაფი გამყარებით კრისტალიზაციის გარეშე.

ოვალი (odeon, овал) – ბრტყელი ჩაკეტილი მკაცრად ამოზნექილი გლუვი მრუდი, რომელსაც ნებისმიერ წრფესთან არა უმრტეს ორი საერთო წერტილი აქვს. მისი უმარტივესი ფორმაა ელიფსი.

ოთახი (room, комната) – სადგომი, სათავსი; საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის ნაწილი, რომელიც კედლებით გამოყოფილი სივრცეა.

ოლივინი (olivine, оливин) – სილიკატების კლასის მოყვითალო-მწვანე მინერალი, რომელიც შედის ვულკანური ქანების შედგენილობაში.

ოლიფა (drying oil, олифа) – ზეთოვანი სითხე, რომელიც ნაკეთობის ზედაპირზე დატანის შემდეგ შრება და ქმნის ელასტიკურ წყალშეუღწევად აფსკს.

ონდულინი (onduline, ондулин) – ბურუნის ტალღოვანი ფურცლოვანი მასალა, რომლის მისაღებად გამოიყენება გაწმენდილი ბიტუმი, ცელულოზის ბოჭკოები, მინაბოჭკო და შემავსებლად – მინერალური დანამატები.

ონკანი (tap, кран) – ჩამკეტი მოწყობილობა, რომლის მოძრავ დეტალს აქვს მბრუნავი ნახვრეტიანი სხეული ნაკადის გასაშვებად.

ოოლითი (oolite, оолит) – სფერული ან ელიფსოიდური ფორმის მინერალური წარმონაქმნი, რომელიც შედგება რკინისა და მანგანუმის ჟანგულების, სილიკატების, კარბონატებისა და სხვ. მინე-

რალეებისგან.

ოპალი (opal, опал) – ცისარტყელასებრი ფერების მქონე ძვირფასი საიუველირო ქვა; კვარცის ჯგუფის მინერალი.

ოპოკა (flask, опока) – მსუბუქი, მყარი, წვრილფოროვანი კაჟმიწა მთის ქანი, მდიდარი (97%-მდე) ამორფული კაჟმიწით, ქვიშისა და თიხოვანი ნაწილაკების მინარევით.

ოპტიმალური (optimal, оптимальный) – ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე შესაფერისი, საუკეთესო (ოპტიმალური პირობები, ოპტიმალური ვადა და სხვ.).

ოპტიმიზაცია (optimization, оптимизация) – სიტუაციის ან რესურსის გამოყენების ყველაზე ეფექტური (საუკეთესო) ვარიანტის არჩევა.

ორგანობოჭკოვანა (organo fiber, органо-волокнит) – კომპოზიტი, რომელიც შედგება პოლიმერული შემკვრელისა და განმამტკიცებლისაგან (შემავსებლისაგან) სინთეზური ბოჭკოების სახით.

ორგანული მინა (პოლიმეთილმეტაკრილატი, პლექსიგლასი, აკრიმა, კარბოგლასი, ნოვატრო, პლექსიმა, ლიმაკრილი, პლაზკრილი, აკრილეკსი, აკრილაიტი, აკრილპლასტი, აკრილის მინა, აკრილი, მეთაპლექსი) (organic glass, органическое стекло) – კონსტრუქციული პლასტმასი, რომელიც მთლიანად შედგება თერმოპლასტიკური პოლიმეთილმეტაკრილატის ფისისაგან დანამატების გარეშე.

ორგტექნიკა (ორგანიზაციული ტექნიკა) (office equipment, оргтехника) – ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პროცესებისა საინჟინრო-ტექნიკური სამუშაოების სამართავად.

ორთოგონალი (orthogonal, ортогональ) – გეგმის ან ფასადის გამოსახულებათა სისტემა. სრულდება სწორი ხაზებით პერსპექტივის შემოკლებათა გარეშე.

ორთოკლაზი (orthoclase, ортоклаз) – სილიკატების კლასის მინდვრის მჰატების

ჯგუფის მინერალი.

ორთოსტატი (orthostat, ортостат) – ქვის კედლის ქვედა ნაწილის ვერტიკალური ფილები.

ორთქლი (steam, пар) – ნივთიერების აირისმაგვარი მდგომარეობა, როდესაც აირის ფაზა ამავე ნივთიერების მყარ ფაზასთან წონასწორობაშია.

ორთქლიზოლაცია (vapor barrier, пароизоляция) – წყალ- და ორთქლგაუმტარი მასალის ფენა თბოიზოლაციის ქვეშ.

ორთქლის ქვაბი (steam boiler, паровой котел) – საცეცხლურის მქონე დახშული ჭურჭელი, რომელშიც გამომუშავდება ატმოსფერულზე მაღალი წნევის ორთქლი.

ორთქლსადენი (steam pipeline, паропровод) – მილსადენი, რომლის მეშვეობით ორთქლის ქვაბებში გამომუშავებული ორთქლი გადაეცემა მომხმარებელს.

ორთქლშედწევადობა (vapor permeability,

паропроницаемость) – მასალის უნარი გაატაროს წყლის ორთქლი.

ორიენტაცია შენობის (building orientation, ориентация здания) – შენობის განლაგება ქვეყნის მხარეებისა და მზის მიმართ.

ორგულიანობა (double core, двойная сердцевина) – მერქნის მანკი, რაც კარგად ჩანს ხის ტანის გადანაჭერზე. მისი ფორმა ამ ადგილზე ოვალურია.

ორნამენტი (ჩუქურთმა) (ornament, орнамент) – მცირემასშტაბური ნაძერწი ან მხატვრული, გრაფიკული, რიტმულად განმეორებადი ელემენტებისაგან შემდგარი სამკაული, რომელსაც გეომეტრიული ფიგურების, სტილიზებული ცხოველების, მცენარეების გამოსახულებათა სახე აქვს.

ოქტასტილი (octastyle, октастиль) – შენობა ან შენობის ნაწილი, განსაკუთრებით კლასიკური პორტიკი, რომელსაც რვა სვეტი აქვს.

პავილიონი (pavilion, павильон) – მსუბუქი შენობა ბაღ-პარკში, სკვერში, ეზოში, აგარაკზე და მისთ.

პაკჰაუზი (warehouse, пакгауз) – რკინიგზის სადგურთან ან ნავსადგურთან ტვირთის დროებითი შესანახი სასაწყობე შენობა.

პალაფიტი (palafite, палафит) – ხის ხიმინჯებზე დაყრდნობილი საცხოვრებელი ნაგებობა ზღვის ყურის, მდინარის, ტბის დაჭაობებულ ნაპირთან.

პანდუსი (ramp, пандус) – 1. სწორი ან მრუდი მოხაზულობის დახრილი სიბრტყე, რომელიც ცვლის კიბეს და ხშირად გამიზნულია ტრანსპორტის ასასვლელად; 2. დახრილი სავალი ზედაპირი, რომლის ქანობი 1:20 (5%) და უფრო მეტია.

პანელი (panel, панель) – 1. კედლის შემადგენელი ელემენტი ანაკრებ მშენებლობაში, რომელიც წიბოზე დადგმული ფილაა; 2. გადახურვის ანაკრები ელემენტი დიდი ზომის რკინაბეტონის, ლითონის, ხის ან პლასტმასის ფილის სახით.

პანელური სახლთმშენებლობა (panel housing construction, панельное домостроение) – მშენებლობის სახე, რომელიც დაფუძნებულია ქარხნული წარმოების დიდგაბარიტიანი პანელების გამოყენებაზე საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული შენობების ასაგებად.

პანო (pano, пано) – ნაძერწი ან სხვა სახის ჩარჩოთი შემოსაზღვრული კედლის, ქერის, კარის ნაწილი, რომელიც ხშირად შევსებულია რელიეფით, ფერწერით ან ტილოზე შესრულებული სურათით.

პანტომეტრი (pantometer, пантометр) – გეოდეზიური ხელსაწყო ადგილზე შვეული და ჰორიზონტალური კუთხეების გასაზომად.

პარაპეტი (მოაჯირი) (parapet, парапет) – სახურავის, აივნის, ხიდის, ტერასის, სანაპიროსა და მისთ. მცირე სიმაღლის

უწყვეტი კედელი.

პარკერიზაცია (parkerization, паркеризация) – ლითონის ნაწარმის კოროზიისგან დაცვის ხერხი ფოსფატების ხსნარში მისი ჩაყურსვისა და შემდგომ ლაქსაღებავებით დაფარვის გზით.

პარკეტი (parquet, паркет) – სიმეტრიულად დაწყობილი პატარა ზომის ოთხკუთხა ან სხვა გეომეტრიული ფორმის ბრტყელი ფიცრები იატაკის შესაქმნელად.

პარკეტი ლარტყული (slatted parquet, печный паркет) – ცალობითი პარკეტი, რომლის სიგრძე მეტია ჩვეულებრივი სტანდარტული პარკეტის სიგრძესთან შედარებით.

პარკეტი მოზაიკური (ასაწყობი) (mosaic parquet, мозаичный паркет) – სპეციალურ ქაღალდზე ან ქსოვილზე დაწებული გარკვეული ნახატის შემქმნელი მცირე ზომისა (40×40 მმ; 60×60 მმ) და 8-18 მმ სისქის პარკეტის ნაჭრები, რომელიც შემდეგ ეწებება ასაწყობ ფილაზე (ფუძეზე).

პარკეტი მხატვრული (artistic parquet, художественный паркет) – სხვადასხვა ძვირფასი ჯიშისაგან დამზადებული და მხატვრულად დალაგებული პარკეტი.

პარკეტი ფარისებრი (panel parquet, щитовой паркет) – პარკეტის სახეობა, რომელიც შედგება ხის ნარჩენებისაგან დამზადებული ფარისგან (ძირითადად ოთხკუთხედის ფორმისა) ზედაპირზე დაწებებული ცალობითი პარკეტის თამასებით.

პარკეტი ფიცრისა (board parquet, дощечный паркет) – ფიცრის თამასებისგან აწყობილი პარკეტი, რომლის ფუძეზე დაკრულია 6-8 მმ სისქის მაგარი ჯიშის ხის შპონი.

პარკი (park, парк) – მიწის ნაკვეთი ბუნებრივი ან სპეციალურად დარგული მცენარეულობით, გზებით, ხეივნებით, წყალსატევებით, შადრევნებით, ატრაქციონებით, სასპორტო მოედნებით, რო-

მლებიც ქმნიან საპარკო არქიტექტურულ ანსამბლს.

პასპორტიზაცია (passportization, паспортизация) – მოწყობილობის ფიქსირებული მაჩვენებლის შემცველი ტექნიკური დოკუმენტის დამუშავება, რომელიც უსტად განსაზღვრავს მოცემული აგრეგატის დანიშნულებას, მუშაობის ოპტიმალურ პირობებს, ხარჯვის ნორმატივსა და სხვა საექსპლუატაციო მახასიათებლებს.

პასტა (paste, паста) – ცომის კონსისტენციის მქონე მასა – ცემენტის, პოლიმერული, თიხისა და სხვ.

პასტადა (ფარდია) (pasta, пастада) – ერთმხრივ გახსნილი სათავსი; გვერდებიდან კედლებით შემოსაზღვრული პორტიკი.

პატენტი (patent, патент) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სახელმწიფოს მიერ გამოგონების ტექნიკური გადაწყვეტის აღიარებასა და ამაგრებს პიროვნებაზე (პატენტის მფლობელზე) განსაკუთრებულ უფლებას ამ გამოგონებაზე.

პატერნა (pattern, патерна) – გრძივი გალერეა წნევის ქვეშ მყოფი ბეტონისა და რკინაბეტონის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში.

პატერნოსტერი (paternoster, патерностер) – შენობის შვეული ტრანსპორტის სახეობა, რომელიც განუწყვეტლივ მოძრავ ბაგირზე შეკიდებული ღია კაბინების რიგია.

პატინა (patina, патина) – სხვადასხვა ფერის თხელი ფენა ჟანგისა სპილენძისა და მისი შენადნობების (ბრინჯაო, თითბერი) ზედაპირზე (ბუნებრივად ან სპეციალური დამუშავების შედეგად), რომელიც იცავს ნაკეთობას კოროზიისაგან და ერთდროულად აქვს დეკორატიული მნიშვნელობა.

პატიო (patio, патио) – საცხოვრებლის ღია შიდა ეზო, შემოსაზღვრული კედლებით, გალერეებით, ჭიშკრებით, გისოსებითა და ა.შ. ან მწვანე ბუჩქნარითა

და ხეებით.

პემზა (pumice, пемза) – ფოროვანი, დრუბლოვანი-დაჩვრეტილი მინისებრი ვულკანური ქანი.

პემზაბეტონი (pumice stone, пемзабетон) – მსუბუქი ბეტონი, რომლის შემვსებია ბუნებრივი პემზა.

პენდელტურა (pendelthur, пендельтюр) – ანჯამებზე მოქანავე ორმხრივად გასაღები კარი.

პენეკრიტი (penecrete, пенекрит) – ჰიდროსაიზოლაციო მასალა, რუხი ფერის მშრალი ნარევი.

პენეტრანტი (penetrant, пенетрант) – სპეციალური ინდიკატორული ნივთიერება, რომელიც კაპილარული ძალების მეშვეობით აღწევს მასალის დეფექტებში.

პენეტრომეტრი (penetrometer, пенетрометр) – ხელსაწყო ნახევრადთხევადი ნივთიერებების (ბიტუმი, საღებარი, ცხიმი, საცხი და მისთ.) კონცენტრაციის დასადგენად.

პენეტრონი (penetron, пенетрон) – ბეტონის სტრუქტურის ზედაპირზე წასასმელი მასალა, რომელიც ბეტონს ანიჭებს წყალგაუმტარობას.

პენტაპლასტი (pentaplast, пентапласт) – პენტაერიტიტის დაქლორვით მიღებული მაღალმოლეკულური პოლიეთერი.

პენტჰაუზი (penthouse, пентхаус) – იზოლირებული ფეშენებლური ბინა მრავალსართულიანი სახლის ბანზე.

პეპელა (butterfly, бабочка) – 1. სამშენებლო კონსტრუქციების სამაგრის ტიპი; 2. მილგაყვანილობის ჩამკეტი ბურთულიანი ონკანის სახეობა.

პერგამინი (glassine, пергамин) – ნავთობის ბიტუმში გაჟღენთილი სახურავის მუყაო.

პერგოლა (თალარი) (pergola, пергола) – ცოცხალი მცენარეებით გაწყობილი ფანჩატური.

პერიკლაზი (periclase, периклаз) – უფე-

რო, მოყვითალო ან მომწვანო მინერალი, მაგნიუმის ჟანგი, რომელიც კირქვებისა და დოლომიტების მეტამორფიზაციით მიიღება.

პერიციკლი (პერიკამბიუმი) (pericycle, перицикл) – მცენარის პირველადი ქსოვილი, რომელიც მრავალ შრედაა შემოვლებული გამტარ ქსოვილზე. მრავალწლიან მცენარეებზე მისგან ფორმირდება ფისსავალი გზები.

პერლიტბეტონი (perlite concrete, перлитобетон) – მსუბუქი ბეტონის სახეობა, რომელშიც შემავსებლად გამოიყენება აფუებული პერლიტი, ხოლო შემკვრელად – ცემენტი, კირი, სამშენებლო თაბაშირი, სინთეზური ფისი და სხვ.

პერლიტი (perlite, перлит) – ბუნებრივად წარმოქმნილი, ეკოლოგიურად სუფთა ვულკანური მიწა.

პერლონი (perlon, перлон) – კაპრონის ტიპის პეტროჯაჭვური სინთეზური ბოჭკო – კაპროლაქტამის პოლიმერიზაციის პროდუქტი.

პერსონალი (personnel, персонал) – რაიმე დაწესებულების, საწარმოსა და მისთ. პირადი შედგენილობა.

პერფორატორი (perforator, перфоратор) – საბურღი ჩაქუჩის დასახელება.

პერფორაცია (perforation, перфорация) – ლითონის, პლასტმასის, ხის თხელი ბრტყელი ფილების ან ფირფიტების გამჭოლი გახვრეტა.

პიანო ნობილე (piano nobile, пиано нobile) – კერძო სახლის მეორე სართული ფართო საზეიმო და უფრო მაღალი სათავსებით, ვიდრე სხვა სართულებზე.

პიაცა (piazza, площадь) – იტალიაში – ღია სივრცე შემოსაზღვრული ნაგებობებით.

პიგმენტაცია (pigmentation, пигментация) – ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილების შეღებვა პიგმენტებით.

პიგმენტი (pigment, пигмент) – კომპოზიტიური მასალის კომპონენტი, რომელიც მასალას აძლევს ფერს, ანიჭებს კოროზიამდეგობას, ხდის გაუმჭვირვალსა და სხვ.

ლესა და სხვ.

პიკეტაჟი (picketing, пикетаж) – წერტილების ამორჩევა ადგილზე და მათი დაფიქსირება პალოებით (სარებით, მარგილებით) ტერიტორიის ნიველირების დროს.

პიკეტი (picket, пикет) – 1. ტრასის (ლიანდაგის, გვირაბის, საავტომობილო გზის) სიგრძის საზომი ერთეული, რომელსაც აქვს ნუმერაცია; 2. ადგილის წერტილი, რომელიც გარკვეული მანძილით არის დამორებული სხვა ასეთი წერტილებისგან და დანიშნულია მიწაში ჩარჭობილი პალოთი.

პიკნომეტრი (pycnometer, пикнометр) – ხელსაწყო, რომლითაც განისაზღვრება მცირე მოცულობის სითხისა და მყარი სხეულების სიმკვრივე (კუთრი წონა).

პილასტრი (pilaster, пилястр) – კედლის ან სვეტის ზედაპირზე მართკუთხა კვეთის ბრტყელი ვერტიკალური ნაშვერი (ზოლი), რომელიც იმეორებს რომელიმე ორდერის სვეტის რიგს და არის დეკორატიული ელემენტი ან კედლის კონსტრუქციული შესქელება.

პილონი (pylon, пилон) – 1. მასიური ბოძი, რომელიც კამარის, გუმბათის ან სხვა კონსტრუქციის ერთ-ერთ საყრდენია; 2. ხიდის ბურჯი.

პინცეტი (пинцет, пинцет) – ლითონის ან პლასტმასის პატარა ორკაპა მამა წვრილი, სათუთი, სრიალა საგნების ასაღებად. გამოიყენება ტექნიკაში, ლაბორატორიაში, მედიცინაში, კოსმეტიკაში, ყოფაცხოვრებასა და სხვ.

პირამიდული სახურავი (pyramidal roof, пирамидальная крыша) – კარვისებრი სახურავი; მრავალკალთიანი, წვეტიანი სახურავი, რომელსაც პირამიდის ფორმა აქვს.

პირაპირი (joint, стык) – ადგილი, სადაც მჭიდროდ ერთდება, თავს იყრის რაიმე დეტალის (მაგ., კედლისა და იატაკის, სარკმლის მომიჯნავე ალათებისა და ა.შ.), კონსტრუქციის ორი ბოლო, კიდე,

მიმართულება.

პირგადადება (overlap, нахлестка) – მოსაპირკეთებელი ფიცრების შეერთების ტიპი, როცა კედელზე ასაკრავი ჰორიზონტალური ზედა ფიცარი გადადებულა ქვედა ფიცარზე.

პირველადი საცხოვრებელი კომპლექსი (primary residential complex, первичный жилой комплекс) – საცხოვრებელი სახლების ჯგუფი, რომელშიც შედის მოსახლეობის პირველადი მომსახურების დაწესებულებები და განლაგებულია კომპლექსიდან დაახლოებით 300 მ-მდე რადიუსში.

პირი (blade; острое, лезвие) – დანის, ცულის, ბუღდოზერის ფარის, სკრეპერის ციცხვის, ნიჩბის, აღმასის, საჭრისის, რანდის, მკვეთარას და ა.შ. წამახვილებული მჭრელი ნაწილი.

პიროგრანიტი (ჟოლნაის გრანიტი, ცეცხლოვანი გრანიტი) (pyrogranite, пирогранит) – განსაკუთრებული არქიტექტურული საფასადე კერამიკული ფილები ან აგურის ბრიკეტები. მზადდება თიხის დაწნეხის მეთოდით 50 მპა წნევისა და 1200-1300°C ტემპერატურის პირობებში.

პირომეტრი (pyrometer, пирометр) – უკონტაქტო მეთოდით გაუმჭვირი სხეულების ტემპერატურის საზომი ხელსაწყო.

პირსაბანი (washstand, умывальник) – ნიჟარა ან ავზი, როგორც წესი, დამაგრებული კედელზე ან დადგმული კვარცხლბეკზე, რომელსაც აქვს ონკანი და განკუთვნილია ხელისა და პირის დასაბანად.

პლასტიზოლი (plastisol, пластизол) – 0,5 მმ სისქის ლითონის ფურცელი, რომლის გარე ზედაპირზე დატანილია 200 მკმ სისქის პოლიმერი, გრუნტის ფენა, პასივატორი და თუთიის მრე.

პლასტიკატი (plastic compound, пластикат) – პოლივინილქლორიდის საფუძველზე მიღებული თერმოპლასტიკური რბილი მასალა, რომლის შედგენილო-

ბაში შედის აგრეთვე პლასტიფიკატორი, თერმო- და შუქსტაბილიზატორი, ანტიოქსიდანტი, საპოხი, საღებარი ან პიგმენტი, შემავსებელი (კაოლინი, ცარცი და სხვ.).

პლასტიკურობა (plasticity, пластичность) – მასალის უნარი, ძალვის ზეგავლენით, ნაოჭებისა და ბზარების გაჩენის გარეშე შეიცვალოს ზომები და ფორმა და შეინარჩუნოს ის დატვირთვის მოხსნის შემდეგ.

პლასტიფიკატორი (plasticizer, пластификатор) – 1. პლასტმასის დანამატი მალაღმოლეკულური პოლიმერის დარბილების ტემპერატურის შესამცირებლად და მოქნილობის, ელასტიკურობის, სითბო- და ყინვამდეგობის ასამაღლებლად; 2. სამშენებლო დუდაბებისა და ბეტონების აქტიური დანამატი (შემკვრელის 0,15-0,3%), რომელიც ხელს უწყობს ფორმებში მასალის ადვილჩაწყობადობას, წყლისა და ცემენტის ხარჯის შემცირებას, აგრეთვე ბეტონის მასის ვიბრაციის პროცესის გამარტივებასა და სხვ.

პლასტიფიკაცია (plasticization, пластификация) – მასალაში ძნელადაქროლადი დაბალმოლეკულური ნივთიერების შეყვანა პლასტიკურობისა და ელასტიკურობის ამაღლების მიზნით.

პლასტმასი (plastic material, plastic; пластмасса) – პლასტიკი, პლასტიკური მასალა, რომლის საფუძველი არის ხელოვნური ან ბუნებრივი მაღალმოლეკულური სინთეზური პოლიმერი, რომელიც მაღალი ტემპერატურისა და წნევის გავლენით იღებს ნებისმიერ ფორმას და გაცივების შემდეგ ინარჩუნებს მას ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

პლასტმასი გამჭვირვალე (transparent plastic, прозрачная пластмасса) – პოლიმეთილმეტაკრილატი, პოლისტირენი, რომლებიც სინათლის სხივს ატარებენ ტალღების ფართო დიაპაზონში.

პლასტმასი თერმოპლასტიკური (thermoplastic, термопластичная пластмасса) – პლასტმასის სახეობა, რომელიც გახურებისას რბილდება, ხოლო გაცივებისას გადადის მყარ მდგომარეობაში.

პლასტმასი თერმორეაქტიული (რეაქტოპლასტი) (thermoset plastic, термореактивная пластмасса) – პლასტმასის სახეობა, რომელიც პლასტიკურობას იღებს მხოლოდ დამზადების პროცესში და გაცივებისას მყარდება, ხელმეორედ გახურებისას კი ინარჩუნებს სტრუქტურასა და ფორმას თვით დამლისა და წვის პროცესშიც ანუ ხელმეორედ გახურებისას აღარ გადადის პლასტიკურ მდგომარეობაში.

პლასტმასი კონსტრუქციული (engineering plastic, конструкционная пластмасса) – პლასტმასი, რომელიც სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების დასამზადებლად გამოიყენება.

პლასტმასის ნარჩენები (plastic waste, пластмассовые отходы) – ექსპლუატაციაში ნამყოფი პლასტმასები, რომლებმაც ამოწურეს სამსახურის ვადა ან გარეგნული სახით ვეღარ აკმაყოფილებენ წაყენებულ მოთხოვნებს.

პლასტიკრიტი (plasticrite, пластикрит) – ბეტონის თხევადი ჰიდროსაიზოლაციო დანამატი (აკრილის ფისი).

პლინთი (plinth, плинт) – სვეტის ბაზისის ქვედა ნაწილი, რომელიც კვადრატული ან მრავალწახნაგა ფილაა.

პლინთუსი (skirting, baseboard; плинтус) – კედლისა და იატაკის პირაპირის საფარი დაპროფილებული თამასა.

პლინფა (plinfa, плинфа) – კვარცისა და რკინის შემცველი თიხისაგან დამზადებული ფართო და ბრტყელი გამომწვარი აგური (ცნობილი ქართული აგურის მსგავსი).

პლომბი (seal, stamp; пломба) – სპეციალური ბეჭდით ჩაჭყლეტილი ტყვიის ან სხვა პლასტიკური მასალის პატარა ნაჭერი, რომელსაც ნიშნად ადებენ დაკე-

ტილ კარს, შეფუთულ საქონელს, ელექტრომრიცხველსა და სხვ.

პნევმატიკურსაბურავებიანი სატკეპნი (pneumatic roller, пневмоколесный каток) – სატკეპნი, რომელიც აღჭურვილია გლუვი ან დაპროფილებული სამუშაო ზედაპირის მქონე პნევმატიკური თვლებით.

პნევმატიკური (pneumatic, пневматический) – ის, რაც შეიცავს ჰაერს ან აირს, ან ექსპლუატაციაში შედის ჰაერის ან აირის წნევის მოქმედებით.

პნევმატიკური იარაღი (pneumatic tool, пневматический инструмент) – ხელის მანქანა პნევმატიკური ამძრავით.

პნევმატიკური მანქანა (pneumatic machine, пневматическая машина) – ენერგეტიკული მანქანა, რომლის დანიშნულებაცაა მყარი სხეულის მექანიკური ენერჯის გარდაქმნა აირის მექანიკურ ენერჯიად (ან პირიქით).

პნევმატიკური მოწყობილობა (pneumatic equipment, пневматическое оборудование) – პნევმომოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც შედის პნევმოამძრავის შედგენილობაში.

პნევმატიკური სამშენებლო კონსტრუქცია (pneumatic building structure, пневматическая строительная конструкция) – სამშენებლო კონსტრუქცია, რომლის მზიდუნარიანობა უზრუნველყოფილია ჰაერის შიდა ჭარბი წნევით.

პნევმატიკური ტრანსპორტი (pneumatic transport, пневматический транспорт) – შეკუმშული ჰაერით მომუშავე მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ფხვიერი, საცალო და ბლანტ-პლასტიკური მასალების გადასატანად, როგორცაც ცემენტი, წილა, ნახერხი, ქვიშა და სხვ. ტვირთის გადაადგილება ხორციელდება ჰაერის ნაკადში.

პნევმატიკური ქსოვილი (პნევმატიკური გარსის ქსოვილი) (pneumatic cloth, пневматическая ткань) – ქსოვილი, რომელიც პნევმოკარკასული გარსის დასამზადებ-

ლად გამოიყენება.

პნევმატოლიზი (pneumatolysis, пневматоллиз) – მინერალების წარმოქმნის პროცესი ქანებზე აირებისა და აქროლად ნივთიერებათა ზემოქმედების გზით.

პნევმერკატორი (pneumocator, пневмеркатор) – პნევმატიკური ხელსაწყო, რომლითაც განსაზღვრავენ სითხის დონეს რეზერვუარში, ცისტერნაში, გემის ნაკვეთურსა და სხვ.

პობედიტი (will win, победит) – რუსული წარმოების სპეციალური ინსტრუმენტული ლითონკერამიკული შენადნობი, რომელიც შედგება ვოლფრამის კარბიდის (~90%), კობალტისა (~10%) და მცირე რაოდენობის ნახშირბადისგან.

პოდუმი (podium, подиум) – შენობის ძირი მაღალი ბაქნის სახით, რომლის წინა მხარეზე კიბეა მოთავსებული.

პოლარიზაცია (polarization, поляризация) – პროცესები და მდგომარეობა, დაკავშირებული სივრცეში რაიმე ობიექტის გაყოფასთან, განცალკევებასთან, დანაწევრებასა და მისთ.

პოლიგონი (polygon, полигон) – მოწყობილობებითა და დანადგარებით აღჭურვილი ღია მოედანი სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების დასამზადებლად.

პოლიეთერი (პოლიესტერი) (polyester, полиэстер) – სინთეზური ქსოვილი, დამზადებული პოლიეთერული ბოჭკოსაგან.

პოლიეთილენი (polyethylene, полиэтилен) – თერმოპლასტიკური პლასტმასა, რომელიც მიიღება ეთილენის პოლიმერისგან.

პოლიეთილენი დაბალი წნევისა (მაღალი სიმკვრივის) (low-pressure polyethylene, полиэтилен низкого давления) – პოლიეთილენი, რომელიც მიიღება დაბალ წნევაზე.

პოლიეთილენი მაღალი წნევისა (დაბალი სიმკვრივის) (high pressure polyethylene, полиэтилен высокого давления)

– პოლიეთილენი, რომელიც მიიღება მაღალი წნევის ზემოქმედებით.

პოლიეთილენი საშუალო წნევისა (medium density polyethylene, полиэтилен среднего давления) – ხისტი პროდუქტი, რომელიც შედგება მკაცრად გარკვეული პროპორციით აღებული დაბალი და მაღალი წნევით მიღებული პოლიეთილენების ნარევისგან.

პოლიეთილენტერაფთალატი (polyethylene terephthalate, полиэтилентерефталат) – მსუბუქი, მტკიცე და ხისტი პლასტმასა.

პოლივინილაცეტატი (polyvinyl acetate, поливинилацетат) – სინთეზური პოლიმერი, მაგარი, გამჭვირვალე, უფერო არატოქსიკური ნივთიერება.

პოლივინილქლორიდი (პვექ, პოლიქრომვინილი, ვინილი, ვესტოლიტი, ხოსტალიტი, ვინოლი, კორვიკი, სიკრონი, დეჟონი, ნიპეონი, სუმილიტი, ლუკოვილი, ხელვიკი, ნორვიკი) (polyvinyl chloride, поливинилхлорид) – თეთრი ფერის პლასტმასა, რომელიც მიიღება ვინილქლორიდის სუსპენზიური ან ემულსიური პოლიმერიზაციით.

პოლითერმია (polythermy, политермия) – ნივთიერების მუდმივ კონცენტრაციაზე მიმდინარე პროცესის აღმწერი ხაზი თბური პროცესების დიაგრამაზე.

პოლიიზობუტილენი (polyisobutylene, полиизобутилен) – სინთეზური პოლიმერი.

პოლიიმიდები (polyimides, полиимиды) – პოლიმერების კლასი, რომელიც ძირითად ჯაჭვში შეიცავს იმიდურ ციკლებს, როგორც წესი, კონდენსირებული არომატული ან სხვა ციკლებით.

პოლიკაპროლაქტონი (polycaprolactone, поликапролактон) – თერმოპლასტიკური პლასტმასა, ბიოხრწნადი პოლიეთერი ლდობის დაბალი (59-64°C) ტემპერატურით.

პოლიკარბონატი (polycarbonate, поликарбонат) – თერმოპლასტიკური პლას-

ტმასა, რომელიც მიიღება ფენოლისა და აცეტონის კონდენსატის ბისფენოლ A-სთან სინთეზით.

პოლიკონდენსაცია (პოლიმერის კონდენსაცია) (polycondensation, поликонденсация) – ნახევრადფუნქციური ნაერთებისაგან (ძირითადად ბიფუნქციონალური) მიღებული პოლიმერების სინთეზის პროცესი, რომელსაც, როგორც წესი, თან სდევს დაბალმოლეკულური მასის მქონე თანამდევნი პროდუქტების (წყალი, სპირტი და სხვ.) გამოყოფა.

პოლიკრისტალი (polycrystal, поликристалл) – რაიმე ნივთიერების კრისტალების აგრეგატი (საწინააღმდეგოდ მონოკრისტალის), რომელიც შედგება არაწესიერი ფორმის კრისტალური მარცვლებისგან.

პოლიმერბეტონი (polymer, concrete полимернобетон) – ჩამოსხმული ქვა, ჩამოსხმული მარმარილო, კომპოზიტური მასალა, პოლიმერულ შემკვრელზე დამზადებული ბეტონი (ცემენტისა და წყლის გარეშე), რომლის საფუძველია სინთეზური ფისები (ეპოქსიდური, პოლიეთერის, აკრილის, კარბამიდის, ფორმალდეჰიდის, ფურანისა და სხვ.) ან მონომერი (ფურფურულაცეტონური და სხვ.) და რომელიც ბეტონში მაგრდება სპეციალური დანამატის მეშვეობით.

პოლიმერი (polymer, полимер) – მაღალმოლეკულური მასის ქიმიური ნაერთი, რომლის მოლეკულები შედგება განმეორებადი მრავალრიცხოვანი რგოლებისაგან.

პოლიმერების დაძველება (polymer aging, старение полимеров) – სინათლის, სითბოს, ჟანგბადის, ოზონის, მაიონიზებული გამოსხივებისა და სხვა ზემოქმედებით პოლიმერის თვისების შეუქცევი შეცვლა.

პოლიმერიზაცია (polymerization, полимеризация) – რეაქცია, რომლის საშუალებითაც მონომერიდან მიიღება პოლიმერი.

პოლიმერიზაციის ხარისხი (degree of polymerization, степень полимеризации) – რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს პოლიმერში ელემენტარული რგოლების რაოდენობას.

პოლიმერული ფიცარი (polymer board, полимерная доска) – იგივეა, რაც კომპოზიტი მერქან-პოლიმერული.

პოლიმორფიზმი (polymorphism, полиморфизм) – იგივეა, რაც ალოტროპია.

პოლიპროპილენი (პოლიპროპენი) (polypropylene, полипропилен) – თერმოპლასტიკური პოლიმერი, რომელიც მიიღება პროპილენის პოლიმერიზაციით კომპლექსური ლითონის კატალიზატორების თანხლებით.

პოლისპასტი (chain hoist, полиспаст) – მექანიზმი, რომელიც ბაგირებითა და გვარლებით შეერთებული რამდენიმე უძრავი და მოძრავი ბლოკის ერთობლიობაა.

პოლისტირენბეტონი (polystyrene concrete, полистиролбетон) – მსუბუქი ბეტონის სახეობა, კომპოზიტური მასალა, რომლის შედგენილობაში შედის პორტლანდცემენტი, ფორებიანი შემკვები (აფუებული პოლისტირენის გრანულები), წყალი და ჰაერჩამთრევი დანამატები.

პოლისტირენი (polystyrene, полистирен) – სინთეზური არომატული პოლიმერი, თერმოპლასტიკური პლასტმასა, რომელიც სტირენის (ვინილბენზოლის) პოლიმერიზაციის პროდუქტია.

პოლიტურა (varnish, политура) – ბუნებრივი ფისის (ჩვეულებრივ შელაქის) 10-20%-იანი სპირტიანი ლაქი, რომელიც გამოიყენება ხის ნაკეთობების ზედაპირის გასაპრიალებლად.

პოლიურეთანი (polyurethane, полиуретан) – კომპოზიტური ნივთიერება, ჰეტეროჯაჭვური პოლიმერი, რომელიც მიეკუთვნება სინთეზურ ელასტომერებს.

პოლიფორმალდეჰიდი (პოლიოქსიმეთილენი, პოლიაცეტალი) (polyformalde-

hyde, полиформальдегид) – თერმოპლასტიკური პლასტმასა, ფორმალდეჰიდის პოლიმერიზაციის პროდუქტი, თეთრი კრისტალური ფხვნილი, რომლის ლღობის ტემპერატურაა 180°C.

პოლიფორუმი (polyforum, полифорум) – არქიტექტურულად გაფორმებული დიდი მოედანი, სადაც ეწყობა საზეიმო მსვლელობები, კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, სახვითი ხელოვნების გამოფენები და მისთ.

პორტალი (portal, портал) – კარიბჭე; არქიტექტურულად დამუშავებული შენობის შესასვლელი, რომელიც გაფორმებულია სვეტების, ქანდაკებების, ფერწერის გამოყენებით.

პორტლანდცემენტი (portland cement, портландцемент) – ძირითადი საშენი მასალა, გამოყენებული თანამედროვე სამრეწველო, სამოქალაქო, საგზაო, ჰიდროტექნიკურ და სხვა მშენებლობაში.

პრაიმერი (primer, праймер) – მასალა, რომელიც გამოიყენება რკინაბეტონის, ლითონის ზედაპირის წინასწარი დამუშავებისათვის მასზე ადჰეზივის დასატანად.

პრე-პრეგი (pre-preg, пре-прег) – კომპოზიტური ნახევარფაბრიკატი.

პროგნოზი (forecast, прогноз) – გარკვეულ მონაცემებზე დაყრდნობით რაიმე მოვლენის, პროცესის განვითარებაში მოსალოდნელ ცვლილებათა წინასწარ განჭვრეტა, წინასწარმეტყველება.

პროდუქტი (product, продукт) – შრომის ნივთობრივი (მაგ., მსხვრევისა და დახარისხების პროდუქტი – ქვიშა, ღორღი, ცემენტი და ა.შ.) ან არამატერიალური შედეგი (მეცნიერული აღმოჩენა, იდეა და სხვ.).

პროექტანტი (designer, проектант) – პირი, რომელიც პროექტს ადგენს; დამპროექტებელი.

პროექტი დაგეგმვისა (planning project, планировочный проект) – ქალაქთმშენებლობის დოკუმენტაცია, რომელიც

განსაზღვრავს ტერიტორიის გეგმარებითი სტრუქტურის, განაშენიანების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო მომსახურების, საინჟინრო უზრუნველყოფის წინადადებებს და ადგენს ქალაქთმშენებლობის ზონირებული ტერიტორიის რეგლამენტსა და მისი განვითარების ძირითად მაჩვენებლებს.

პროექტი ესკიზური (preliminary design, эскизный проект) – საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ერთობლიობა, რომელიც პრინციპულ საკონსტრუქტორო გადაწყვეტილებებს მოიცავს და ნაკეთობასა და მისი მუშაობის პრინციპზე ზოგად წარმოდგენას იძლევა.

პროექტი კონსტრუქციული (constructive project, конструктивный проект) – მშენებლობის განხორციელებისთვის საჭირო კონსტრუქციული გაანგარიშებისა და გადაწყვეტის ამსახველი დეტალური (მუშა) დოკუმენტი.

პროექტი სამუშაო (მუშა) (working draft, рабочий проект) – საკონსტრუქტორო დოკუმენტაცია, რომელშიც მოცემულია: ნაკეთობის (ნაგებობის) გარე ხედი, გაბარიტული და ფუნქციური ზომები, კვანძები, ჭრილები და ცალკეული დეტალის ნახაზები, აგრეთვე ახსნა-განმარტებითი ბარათი ნაკეთობაზე (ნაგებობაზე).

პროექტი ტექნიკური (technical project, технический проект) – საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ერთობლიობა, რომელიც საბოლოო ტექნიკურ გადაწყვეტილებას მოიცავს და სრულ წარმოდგენას იძლევა ნაკეთობის სახეზე, ზომაზე, ფორმაზე, აგრეთვე შეიცავს მონაცემებს სამუშაო დოკუმენტაციის დამუშავებისათვის.

პროექტის მართვა (project management, управление проекта) – მოქმედების სფერო, რომლის ფარგლებში განისაზღვრება და გამოკვეთილად მიიღწევა პროექტის მიზანი სამუშაოების მოცულობას, რესურსებს (ფული, შრომა, მასალები,

ენერგია, სივრცე და სხვ.), დროს, ხარისხსა და რისკებს შორის ბალანსირებით.

პროთეზი (prosthesis, протез) – სპეციალური კონსტრუქცია, რომელიც ერთვება გასაძლიერებელი კონსტრუქციის მუშაობაში მისი დაზიანებული ნაწილის შესაცვლელად.

პროფილი (profile, профиль) – ლითონის მოღუნული, დაწნეხილი ნაგლინი.

პულვერიზატორი (spray, pulverizer; пульверизатор) – სითხის მისასხურებელი მოწყობილობა, რომელიც მშენებლობაში ძირითადად სამღებრო სამუშაოების შესასრულებლად გამოიყენება.

პულპა (pulp, пульпа) – მყარი ნაწილაკებისა და სითხის შეწონასწორებული ნარევი, როგორცაა, მაგ., წვრილად დაფქული სასარგებლო წიაღისეულის ნარევი წყალთან.

პულსატორი (pulsator, пульсатор) – მანქანა, რომელიც ასრულებს რხევით მოძრაობას.

პუცოლანი (pozzolan, пуццолан) – ვულკანური ამონაფრქვევის ფხვიერი პროდუქტი (ფერფლი, პემზა, ტუფი), ნალექი ქანი, აგრეთვე ქარხნის პროდუქტი (წიდა, ნაცარი), რომელსაც ურევენ სამშენებლო დუღაბში წყალგამძლეობის ასამაღლებლად.

ჟალუზი (ფირფიტანა) (shutters, жалюзи) – ფანჯრის დარაბა ან შტორი, რომელიც შედგება ერთმანეთის პარალელურად განლაგებული პირგადადებული თამასებისაგან, რომელიც უზრუნველყოფს ვენტილაციას და სათავს იცავს წვიმის წყლისა და მზის სხივების პირდაპირი მოხვედრისაგან.

ჟანგბადი (oxygen, кислород) – ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის VI ჯგუფის არალითონური, ქიმიურად აქტიური, მსუბუქი ელემენტი. ის მეორე ყველაზე გავრცელებული ელემენტია დედამიწაზე (დედამიწის ქერქის 47%).

ჟანგეულები, ოქსიდები (oxides, окислы) – ქიმიურ ელემენტთა ნაერთები ჟანგბადთან.

ჟანგვა (oxidation, окисление) – რომელიმე ნივთიერების ჟანგბადთან შეერთება.

ჟანგი (rust; ржавчина, окись) – რკინის

ნაწილობრივ ჰიდრატირებული ოქსიდების შრე, რომელიც წარმოიქმნება რკინის ნაკეთობის ზედაპირზე კოროზიის შედეგად; გამოწვეულია ძირითადად ჟანგბადისა და ტენის ზემოქმედებით.

ჟანგმიწა (ochre, охра) – ფხვნილისებრი და მიწისებრი ბუნებრივი რკინის ჟანგი (ლიმონიტი).

ჟეოდა (geode, жеода) – ქანში არსებული დიდი ბუნებრივი სივარული (სეკრეცია), რომელიც ნაწილობრივ ამოვსებულია მინერალთა ფარული ან აშკარად კრისტალური აგრეგატებით.

ჟირანდოლი (girandole, жирандоль) – კედელზე დამაგრებული ფიგურული სანათი არმატურა – შანდალი სანთლის რამდენიმე ბუდით.

ჟღალობა (discoloration, побежалость) – მეტალის თვისება, შეიცვალოს შეფერილობა გაცხელებისას.

რაბი (sluice, шлюз) – 1. ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფს გემების გადაყვანას წყლის ერთი დონიდან მეორეზე; 2. სათავანი, ჯებირი, კამხალი, ხერგი; ნაგებობა, რომელიც მდინარის დინების განივად იგება, კეტავს წყლის დინებას და ქმნის წყალსატევს.

რადიატორი (radiator, радиатор) – ცენტრალური გათბობის მილების სისტემა, რომელშიც ცხელი წყალი ან ცხელი ორთქლი მოძრაობს.

რადიოანძა (radio mast, радиомачта) – კონსტრუქცია, რომლის ვერტიკალურ საყრდენზე საჭირო სიმაღლეზე მაგრდება მიწისზედა რადიოსადგურის ანტენა.

რაზა (latch, защелка) – 1. ზირზა, კავი, რკინა, რომელიც კარის დასაკეტად კოჭაკს გადაეცმება; 2. ურდული; რკინისტარიანი ზოლი, რომელიც კარის დასაკეტად მარყუში გაეყრება; 3. საგდული; წყლის დინების გადასადობი ფარი.

რამპა (ramp, рампа) – 1. მრუდი მოხაზულობის პანდუსი; 2. მოედანი, განლაგებული სასაწყობო შენობის შესასვლელის წინ, აწეული მიწის ზედაპირიდან 1,15 მ-ზე.

რანდა (adze; струг, рубанок) – უწყვეტი მოქმედების მიწასათხრელი მანქანა გრუნტის ფენებად მოსაჭრელად.

რანდვა (ათლა) (planing, строгание) – ხის მასალის ზედაპირის დამუშავება.

რანდკოჭი (rand-beam, ранд-балка) – დირე, საძირკვლის კოჭი; წყვეტილ საძირკვლებზე ან კარკასის დგარების შვერილებზე დაყრდნობილი კოჭი, რომელიც იღებს კაპიტალური კედლების ნაწილის ან კარკასის შევსების დატვირთვას.

რაპაკივი (rapeseed, рапакиви) – პორფირისებრი სტრუქტურის მოვარდისფრო-მოწითალო-მომწვანო გრანიტი; ძვირფასი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვა.

რაფა (window sill, подоконник) – ფანჯრის ღიობის შიდა მოჩარჩოების ქვედა

თარაზული ნაწილი, რომელიც კედლის სიბრტყიდან ნაწილობრივ გამოწეული ფიჯარი ან ფილაა.

რაფინერი (refiner, рафинер) – 1. დისკური წისქვილი, დამატუცმაცებელი; 2. მანქანა ბოჭკოვან ნივთიერებათა დასაფქვავად.

რბია (runner, бегун) – მანქანა მყარი ნივთიერების დანამცეცებისა და შერევისათვის, რისთვისაც გამოიყენება გაჭყლეტა და ცვეთა.

რბილი გარსი (soft shell, мягкая оболочка) – სივრცითი კონსტრუქცია, დამზადებული მაღალი სიმტკიცის გაჭიმვაზე მომუშავე მასალებისგან, გაძლიერებული (დაარმირებული) პლასტმასის, მინის, ლითონის ბოჭკოების ან ფირებისგან ისეთი ხარისხით, რომ ისინი არ იღებენ სხვა სახის დეფორმაციებს.

რეაბილიტაცია (rehabilitation, реабилитация) – შენობის დაზიანებული ნაწილის, კონსტრუქციის, დეტალის აღდგენა.

რეგულარული დაგეგმარება (regular planning, регулярное планирование) – დასახლებული ადგილის, მისი ნაწილის, პარკისა და ა.შ. ისეთი დაგეგმარება, სადაც ქუჩების ქსელის სისტემა ძირითადად ემყარება განსაზღვრულ გეომეტრიულობას ან რაიმე ღერძის სიმეტრიულად არის განლაგებული.

რეგულატორი (regulator, регулятор) – მოწყობილობა, რომელიც მექანიზმს ავტომატურად უნარჩუნებს თანაბარ მუშაობას, სიჩქარეს, ტემპერატურასა და სხვ.

რეგულირება (regulation, регулирование) – მოწესრიგება; სისტემებისა და მექანიზმების მოყვანა ისეთ მდგომარეობაში, რომ შეძლონ სწორად, ნორმალურად და გამართულად მუშაობა.

რედუქტორი (reducer, редуктор) – 1. კბილანური (მათ შორის ჭია) ან ჰიდრავლიკური დახურული გადაცემა, რომლის დანიშნულებაა კუთხური სიჩქარეების

შემცირებით (ზოგჯერ გადიდებით) შესაბამისი მაბრუნე მომენტების გაზრდა (შემცირება); 2. ხელსაწყო, რომელიც საჭიროა მილსადენში მოძრავი სითხის ან გაზის წნევის შესამცირებლად ან მუდმივი წნევის შესანარჩუნებლად.

რევერბერაცია (reverberation, реверберация) – ჟღერადობა დახურულ სათავსში, შენარჩუნებული ბგერის წყაროს მოქმედების შეწყვეტის შემდეგ იმის გამო, რომ ბგერის ტალღები სათავსის კედლებიდან მრავალგზის აირეკლება.

რევერსი (reverse, реверс) – მექანიზმი, რომელიც გამოიყენება მანქანის ან მისი ცალკეული ელემენტების მოძრაობის მიმართულების შესაცვლელად (საწინააღმდეგოდ).

რეზერვი (reserve, резерв) – რისამე მარაგი, რომელიც საჭიროა ნაკეთობის ფუნქციის (დანიშნულების) შესრულების საიმედოობის გასაზრდელად.

რეზერვუარი (tank, резервуар) – ხელოვნური საცავი სითხეების, აირების ან სხვა ნივთიერებების შესანახად.

რეისმუსი (reysmus, рейсмус) – საღურგლო ხელსაწყო, რომელიც ფიცრის (ძელის) ზედაპირზე საბაზო ხაზის პარალელური ხაზების დასატანად გამოიყენება.

რეკოგნოსცირება (reconnoitre, рекогносцировка) – წინასწარი დათვალიერება, გამოკვლევა (ადგილმდებარეობისა) გეოდეზიურ სამუშაოთა საწარმოებლად.

რეკონსტრუქცია (reconstruction, реконструкция) – კაპიტალური მშენებლობის სახეობა, რომელიც დაკავშირებულია ნაგებობის ფუნქციური, კონსტრუქციული და ესთეტიკური თვისებების გაუმჯობესებასთან.

რეკრეაციული ზონა (recreational area, рекреационная зона) – სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორია ქალაქში ან ქალაქგარეთ მოსახლეობის დასვენების ორგანიზებისათვის, რომელიც ითვალისწინებს ბაღების, პარკების, ტყე-პარ-

კების, ხეივანების, პლაჟებისა და მისთ. მოწყობას.

რეკუპერაცია (recuperation, recuperация) – წარმოების ნარჩენების დაჭერა და გამოყენება.

რელასკოპი (relascope, реласкоп) – ხელსაწყო ტყეში ხის სიმაღლის, განივკვეთის, მანძილის, ადგილმდებარეობის დახრის კუთხისა და სხვ. გასაზომად.

რელინი (relin, релин) – რეზინის ლინოლუმი; იატაკის საფარი, რომელსაც ამზადებენ სინთეზური კაუჩუკის საფუძველზე.

რემონტი (repair, ремонт) – სამუშაოები, რომელთა საშუალებით ხდება შენობის, ნაგებობის, კონსტრუქციის დაკარგული თვისებების აღდგენა საპროექტო დონემდე.

რეომეტრი (rheometer, реометр) – აირის მოცულობითი ხარჯის გასაზომი ხელსაწყო. იყენებენ 10^4 ლ/სთ-მდე აირის ხარჯის გასაზომად.

რეოსტატი (rheostat, реостат) – ელექტროლი ხელსაწყო, რომელიც ელექტროლ წრედში დენის ძალის ან ძაბვის რეგულირებას ახდენს.

რეპერი (benchmark, репер) – გასაკუთრებული ნიშანი, რომელიც ჩამაგრებულია შენობის კედელში ან გრუნტში და აღნიშნავს ამ წერტილის სიმაღლეს ზღვის დონიდან.

რეჟიმი (mode, regime; режим) – რაიმე პროცესის (მუშაობის) მიმდინარეობის დამახასიათებელი პირობა (მაგ., მანქანის მუშაობის რეჟიმი).

რესივერი (resiver, ресивер) – აირის, ორთქლის ან სითხის შესაგროვებელი ჭურჭელი, რომელშიც ხდება წნევის პულსირებული მიწოდებითა და წყვეტილი ხარჯით გამოწვეული ცვალებადობის გათანაბრება.

რესტავრაცია (restoration, реставрация) – დონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ემსახურება არქიტექტურული, ფერწერული, სკულპტურული და სხვა მატერი-

ალური კულტურის ძეგლების პირველადი ან მასთან მიახლოებული სახით აღდგენას.

რესურსი (resource, ресурс) – 1. რისამე მარაგი; 2. ტექნიკური მოწყობილობის (მანქანა, სისტემა) ნამუშევარი იქამდე, სანამ ეს მოწყობილობა მიაღწევს ზღვრულ მდგომარეობას, რომ მისი შემდგომი ექსპლუატაცია შეუძლებელია ან არ არის სასურველი ეფექტურობის შემცირების ან ადამიანისათვის გაზრდილი საფრთხის გამო.

რეტიკულატი (reticulate, ретикулат) – კედლის მოპირკეთება ოთხკუთხა ქვებით, რომელიც სწორ ბადეს ქმნის.

რიგელი (crossbar, ригель) – მწეკოჭი; შემკვრელი კოჭი, შიხიდი კონსტრუქციის ჰორიზონტალური ელემენტი – სვეტების შემაერთებელი ძელი.

რიზალიტი (risalit, ризалит) – სამხრე; შენობის ნაწილი, რომელიც ფასადის გარეთაა გამოწეული.

რიკული (baluster, балясина) – ბალიასინა, სურაია; მცირე ზომის ფიგურული ბოძი, რომელსაც ეყრდნობა კიბის, აივნისა და მისთ. მოაჯირი.

რიყის ქვა (კაჭარი) (cobblestone, булыжник) – მომცრო მომრგვალო ფორმის ქვა, ლოდის სახესხვაობა.

რკინაბეტონი (reinforced concrete, железобетон) – სამენი მასალა, მიღებული ბეტონისა და მასში გარკვეული წესით ჩაღებული ფოლადის არმატურის კონსტრუქციული შეერთებით, რომელიც რაციონალურად არის გაერთიანებული ელემენტში, როგორც ერთიანი, მთლიანი სხეული გარე დატვირთვისა და ზემოქმედების ასატანად.

რკინაბეტონი წინასწარ დაძაბული (prestressed concrete, предварительно напряженный железобетон) – რკინაბეტონის კონსტრუქციები, რომლებშიც საექსპლუატაციო დატვირთვების მოქმედებამდე არმატურაში წინასწარ აღძრულია გამჭიმის, ხოლო ბეტონში – მკუმშავი ძაბვები

ბზარმედგობისა და სიხისტის გასაზრდელად.

რკინაბეტონის კონსტრუქციები (reinforced concrete structures, железобетонные конструкции) – მონოლითური ან ანაკრები კონსტრუქციები, დამზადებული ერთდროულად მომუშავე ფოლადის არმატურის კარკასისა და ბეტონისაგან.

რკინაბეტონის კოროზია (reinforced concrete corrosion, коррозия железобетона) – რკინაბეტონის რღვევა ბეტონისა და (ან) არმატურის კოროზიის შედეგად.

რკინაბეტონის სამუშაოები (reinforced concrete works, железобетонные работы) – სამუშაოები, რომელიც საჭიროა მონოლითური რკინაბეტონის ნაგებობებისა და კონსტრუქციების, აგრეთვე ასაწყობ-მონოლითური კონსტრუქციების მონოლითური ნაწილების დასაბეტონებლად – საყალიბე, საარმატურე და ბეტონის სამუშაოები.

რკინიგზა (railway, железная дорога) – კომპლექსური სატრანსპორტო საწარმო, რომელიც აღჭურვილია მგზავრების გადასაყვანი, ტვირთის, ფოსტისა და მისთ. გადასაზიდი ტექნიკით.

როზეტი (ვარდული, ქულბაქი) (rosette, розет) – გამლილი ვარდის მსგავსი დეკორატიული ორნამენტი.

როლგანგი (roller table, рольганг) – გორგოლაჭებიანი კონვეიერი – მოწყობილობა მასიური საცალო ტვირთების ტრანსპორტირებისათვის ერთმანეთისაგან მცირე მანძილით დაშორებულ გორგოლაჭებზე, რომლებიც განლაგებულია საყრდენ სადგარზე.

როლერი (roller, ролик) – ხელის ურიკა მშენებლობებზე წვრილმანი ტვირთის გადასაზიდად.

როსტვერკი (grillage, ростверк) – ხიმინჯების ერთ სისტემად გამაერთიანებული ბალიში ფილის ან კოჭის სახით, რომელიც შენობიდან გადაცემულ დატვირთვებს თანაბრად გადასცემს საძირკველს (ფუძეს).

როტონდა (rotunda, ротонда) – წრიული გეგმის მქონე, ჩვეულებრივ გუმბათით დახურული ნაგებობა.

როტორი (rotor, ротор) – მანქანის მბრუნავი ნაწილი, რომელიც განლაგებულია სტატორის შიგნით.

რუბეროიდი (ruberoid, рубероид) – ხელოვნური საბურულე და ჰიდროსაიზოლაციო მასალა, რომელიც მზადდება საბურულე მუყაოს გაჟღენთით ადვილად დნობადი ნავთობის ბიტუმით, შემდგომში ორივე მხრიდან ძნელად დნო-

ბადი ბიტუმით დაფარვითა და დამცავ ფენად აზბესტის, ტალკის, ქვიშის ფხვნილის მოყრით.

რულეტი (roulette, рулетка) – სიგრძის საზომი ხელსაწყო, დანაყოფებიანი ვიწრო ლენტი (ფოლადისა, ტილოსი ან მუშამბისა), რომელიც დახვეულია ლიღვზე და მოთავსებულია ბუდეში.

რულონი (roll, рулон) – რისამე (ქაღალდის, ქსოვილის, ლინოლეუმისა და მისთ.) გრაგნილი.

საბურულე მასალა (roofing material, кровельный материал) – შენობის სახურავის ატმოსფერული ნალექებისგან (წვიმა, თოვლი, სეტყვა, ქარი) დამცავი საშენი მასალა.

საბურულე ფოლადი (roofing steel, кровельная сталь) – მცირედ ლეგირებული ფოლადისაგან დამზადებული ფურცლები, რომელთა სისქე 0,25-2 მმ-ია.

საბურღი მანქანა (drilling machine, буровая машина) – თვითმავალ სატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული გრუნტის საბურღი სპეციალური მოწყობილობა, მცირე სიღრმის ჭაბურღილებისათვის.

საბეჭნი (emphasis; упор, упорка) – ადგილი, საგანი, დეტალი, მოწყობილობა, რომელიც რისამეს გადაადგილებას ზღუდავს ან იჭერს.

საგდული (wing; створ, створка) – ფანჯრის, კარის, ჭიშკრის მოძრავი ნაწილი; ალათი;

საგები (bed; постель, мат) – 1. კედლის ან რაიმე ზედაპირის ფენა, რომელზეც მაგრდება მოპირკეთება, ეწყობა საძირკვლები და სხვ.; 2. აგურის ყველაზე ფართო წახნაგი.

საგზაო საინჟინრო ნაგებობები (road engineering structures, дорожная инженерная сооружения) – მიწის ვაკისი, გზის სამოსი, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები, გზის მოწყობილობები, წყალამრიდი, ხელოვნური და დამცავი ნაგებობები და სხვ.

საგზაო ზღუდარი (საგზაო ბარიერი, დამცავი ბარიერი) (road barrier, дорожный барьер) – საავტომობილო გზის კონსტრუქციული ელემენტი, რომლის დანიშნულებაა, ავარიის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება დარჩეს სავალ გზაზე და არ შეეჯახოს სიცოცხლისათვის საშიშ წინაღობას.

საგზაო მიწის ვაკისი (road subgrade, дорожное земляное полотно) – მიწის საფუძველი მასზე რკინიგზის ხაზის ან სა-

ავტომობილო გზის მშენებლობისთვის.

საგზაო პირობები (road conditions, дорожные условия) – გზის გეომეტრიული პარამეტრების, საფარისა და კეთილმოწყობის ელემენტების მდგომარეობისა და ხარისხის სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ საგზაო მოძრაობის პირობებზე.

საგზაო სამოსი (road clothes, дорожная одежда) – საავტომობილო გზის სამოძრაო ნაწილის მრავალშრიანი კონსტრუქცია, რომელიც სატრანსპორტო საშუალებებისგან იღებს დატვირთვებს და გადასცემს მას მიწის ვაკისს.

საგზაო-სამშენებლო მანქანები (road-building machines, дорожно-строительные машины) – მექანიზაციის საშუალებები, გამოყენებული გზებისა და გზისპირა ნაგებობების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და შენახვისათვის.

საგიტალური (sagittal, сагиттальный) – სიგრძეზე სხეულის ორ თანაბარ ნაწილად გამყოფი.

საგოზავი (fill, замазка) – ოლიფის, ცარცის, გლიცერინის, თუთიის ქლორჟანგის, მაგნიუმის ქლორჟანგის (სორელის ცემენტი) ან ტყვიასურინჯოვანი თეთრასგან დამზადებული ნივთიერება, რომელიც მერქნის ნაკეთობის წაგლესისთვის გამოიყენება.

სადგარი (bed, frame; станина) – დანადგარის ძირითადი კორპუსის უძრავი ნაწილი, რომელზეც მაგრდება მუშა მექანიზმი.

სადგომი (parking, стоянка) – დიდ შენობებში კედლებით (ტიხრებით) გამოყოფილი ცალკე სივრცე სხვადასხვა დანიშნულებისა.

სადგური (station, станция) – შენობა, მოედანი ან პლატფორმა, სადაც ჩერდება ავტო ან რკინიგზის ტრანსპორტი, ან ორივე ერთად.

სადები (shell, insert; вкладыш, подбивка)-

– სრიალის საკისრის შესაცვლელი დეტალი, რომელზეც ეყრდნობა მბრუნავი ლილვის ჰოჭოჭიკი.

სადენი (wire, провод) – ცალკეული მავთულის ან მავთულების წნულისგან შემდგარი ელექტროტექნიკური ნაკეთობა, რომელიც ემსახურება ელექტრული დენის გადაცემას დენის წყაროდან მომხმარებელამდე.

სადერიაციო არხი (by-pass canal, депривационный канал) – დედამიწის ერთი რეგიონიდან მეორისთვის წყლის მისაწოდებელი, საირიგაციო ან ჰიდრავლიკური ტურბინებისკენ მიმყვანი არხი, რომლის დანიშნულებაცაა წყლის ნაკადის ენერჯის გაზრდა.

სადრენაჟო მილი (drainage pipe, дренажная труба) – სიღრმითი დრენაჟის სისტემის ძირითადი ელემენტი, რომელიც ასრულებს წყლის მიღებისა და მოცილების ფუნქციას.

სადურგლო ნაკეთობა (joinery, столярное изделие) – ხის მასალისგან დამზადებული ნაკეთობა.

საევაკუაციო გზა (escape route, эвакуационный путь) – ხანძრის, დაკვამლიანების, გაზის გაჟონვის, ავარიის, სტიქიური უბედურების დროს ადამიანების ევაკუაციის უსაფრთხო გზა, რომელიც მიდის გასასვლელთან.

სავარცხელი (comb, гребенка) – 1. კბილანების ამოსაჭრელი ინსტრუმენტი, რომელიც დამზადებულია მათალი სიმტკიცის ლეგირებული ფოლადისგან; 2. საჭრისი კუთხვილის ამოსაჭრელად.

სავენტილაციო კამერა (ventilation chamber, вентиляционная камера) – სათავსში ჰაერის გამწმენდი დანადგარის დასამონტაჟებელი ადგილი.

საზეთი მასალა (lubricant, смазочный материал) – ბლანტი, მყარი, პლასტიკური ან აირადი ნივთიერება, რომელიც გამოიყენება მექანიზმის ხახუნის კვანძებში ლითონის ელემენტების ცვეთის

შესამცირებლად.

საზეთური (oiler, маслянка) – მანქანებისა და მექანიზმების ხახუნის კვანძების შესაზეთი მოწყობილობა.

საზიარო კედელი (common wall, общая стена) – სამეზობლო საზღვარზე ამოყვანილი კედელი, რომლის ნაწილი შეიძლება მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობასთან საზიარო იყოს.

საზოგადოებრივი გზა (public road, общественная дорога) – ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ საზოგადოებრივი გამოყენების მიზნით გამოყოფილი გამზირი, ქუჩა, ჩიხი და მისთ., რომლის სუფთა სიგანე არ არის 3 მ-ზე ნაკლები.

სათავისი (headbank, оголовок) – გრძივი სამშენებლო კონსტრუქციის (სვეტი, კოლონა, დგარი, ბოძი, მილი, ხიმინჯი და მისთ.) ბოლო ზედა ნაწილი.

სათავსი (room; помещение, вместилище) – კედლებით გამოყოფილი შენობის ნაწილი; ოთახი.

სათბობი (საწვავი) (fuel, топливо) – ნივთიერება, რომელსაც უნარი აქვს, განსაკუთრებული პროცესების დროს გამოყოს ენერჯია ტექნიკური მიზნით მოსაყენებლად.

სათლი (ჭადანი) (bucket, ведро) – ცილინდრული ან წაკვეთილი კონუსის მოყვანილობისა და რკალისებრი სახელურის მქონე ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება სითხის (ფხვიერი მასალის) გადასატანად ან შესანახად.

საილინგი (siding, сайдинг) – შენობის კედლების ჰორიზონტალურად განლაგებული ერთმანეთზე პირგადადებული მოსაპირკეთებელი მასალა, რომელიც ასრულებს უტილიტარულ (შენობის დაცვა ატმოსფერული ზემოქმედებისგან) და ესთეტიკურ (შენობის ფასადის მორთვა) ფუნქციებს.

საიმედობა (reliability, надежность) – ნაკეთობის (შენობის, ნაგებობის, კონსტრუქციული ელემენტების, ტექნოლოგიურ-საინჟინრო მოწყობილობების) თვი-

სება, შეინარჩუნოს საკუთარი საექსპლუატაციო მაჩვენებლები გარკვეულ ნორმატიულ საზღვრებში.

საინჟინრო ნაგებობა (engineering structure, инженерное сооружение) – სპეციალური მოთხოვნების მიხედვით დაგეგმარებული ნაგებობა, რომელიც შენდება ტერიტორიის (ადგილმდებარეობის) საინჟინრო მოწყობის მიზნით. ასეთებია: ესტაკადა, გზაგამტარი, საყრდენი კედელი, კაშხალი, საირიგაციო არხი, საფორტიფიკაციო ნაგებობა, ხიდი, აეროდრომი, გვირაბი და სხვ.

საინჟინრო-კომუნალური ქსელები (utility networks, инженерно-коммунальные сети) – ქალაქების, დაბების, სოფლების, დასახლებების, კრძო მიწის ნაკვეთების ტერიტორიებზე განთავსებული წყალმომარაგების (საერთო, ლოკალური), კანალიზაციის (წყალარინების), ნავთობის, აირის მილსადენების სისტემა, აგრეთვე ელექტრომომარაგების, სატელეფონო, საკაბელო ტელევიზიებისა და კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ხაზების ერთობლიობა.

საკანალიზაციო სეპტიკი (სალექარი) (sewer septic tank, канализационный септик) – ლოკალური საწმენდი ნაგებობის ელემენტი.

საკანალიზაციო ჭა (sewer well, канализационный колодец) – მოწყობილობა, რომელიც ასრულებს ჩამდინარი წყლების, სიბინძურისა და მილოვანი განშტოების გამანაწილებლის ფუნქციას, ასევე საკანალიზაციო მილოვანი სისტემის ცალკეული უბნების გაწმენდის შესაძლებლობას იძლევა.

საკედლე პანელი (wall panel, стеновая панель) – სამშენებლო კონსტრუქცია შენობის კედლის შესავსებად.

საკვალთი (valve, задвижка) – რისამე ჩამკეტი მოწყობილობა.

საკვალთი მილსადენისა (pipeline valve, задвижка трубопровода) – მილსადენის გადასაკეტი მოწყობილობა. გამოიყენე-

ბა წყალ-, ორთქლ- და აირსადენებში.

საკიდელა (cradle, люлька) – შენობაზე საფასადე სამუშაოების (ღებვა, ლესვა, შებათქაშება, კარნიზების მოწყობა და სხვ.) ჩასატარებლად ჩამოკიდებული ხის ან ლითონის შეფიცრული ბაქანი, რომლის ჩამოსაკიდ ბაგირებს, როგორც წესი, ამაგრებენ სახურავიდან შვერილ მყარ კონსტრუქციაზე.

საკიდი (clamp, хомут) – ბოლოებით დამაგრებული მოღუნული ღეროს კავის ფორმის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მილების დამაგრებას, ხის ძელების, ხიმინჯების გადაბმასა და სხვ.

საკისარი (bearing, подшипник) – მექანიზმის მბრუნავი ღერძის ან ლილვის საყრდენი ნაკეთობა, რომელიც მათგან იღებს დატვირთვებს.

საკომპრესორო დანადგარი (compressor unit, компрессорная установка) – მოწყობილობების ერთობლიობა შეკუმშული ჰაერის მისაღებად.

საკომპრესორო სადგური (compressor station, компрессорная станция) – სტაციონარული ან გადასაადგილებელი დანადგარი შეკუმშული ჰაერის მისაღებად.

საკოჭი (tiebar, затяжка) – გაჭიმვაზე მომუშავე ძელი ან ლითონის ღერო, რომელიც აერთებს სამშენებლო კონსტრუქციის (სანივნივე ფეხი, თაღი, კამარა, გარსი) ბოლო კვანძებს.

სალექარი (settler, sump; отстойник) – აუზი, რომელშიც დაბალი სიჩქარით მოძრავი სითხის ნაკადიდან გამოიყოფა და დაილექება მასში შეტივტივებული (შეწონილი) ნაწილაკები.

სამაგრი (fastener; крепь, крепеж) – ლითონის, ხის ან რკ.ბ.-ის სპეციალური კონსტრუქცია სანგრის, გვირაბის, შანტისა და მისთ. გასამაგრებლად.

სამანი (ალიზის აგური, თიხაბეტონი, თიხაფიბრაბეტონი) (adobe, саман) – ჰაერზე გამომშრალი აგური, დამზადებული ქვიშის, თიხისა და ჩალის ნარევისგან.

სამაჯური (cuff, манжет) – ჰიდრავლიკურ სისტემაში გამოყენებული შემამჭიდროებელი დეტალი, რომელიც მუშაობს უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის პირობებში.

სამერცხული (ლუკარნა) (skylight, dormer; слуховое окно) – შვეული ფანჯარა, რომელიც სახურავის ქანობის სიბრტყიდან გარეთაა გამოტანილი.

სამკაპა (tee, тройник) – ფიტინგის სამნახვრეტიანი ნაისახეობა, რომელიც გამოიყენება მილგაყვანილობის ძირითად ნაზთან შტოების მისაერთებლად.

სამონტაჟო (mounting, монтажный) – კონსტრუქცია, დეტალი, ელემენტი, რაც მონტაჟისთვისაა განკუთვნილი.

სამონტაჟო სამუშაოები (installation work, монтажные работы) – ხის, ლითონის, რკ.ბ.-ის პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების პროექტის შესაბამისად აწყობის სამუშაოები.

სამრეწველო ნაგებობა (industrial building, промышленное сооружение) – გარკვეული ფუნქციის ნაგებობა, რომელიც ზიდავს მუდმივ, დროებით, ტექნოლოგიურ და საკომუნიკაციო დატვირთვებს.

სამსხვრევ-სახარისხებელი (crushing and screening, дробильно-сортировальный) – ქარხანა, კვანძი, დანადგარი, სადაც ხდება საშენი მასალის (ქვა, სამთო ქანი, ხრეში და სხვ.) დამსხვრევა და დახარისხება სხვადასხვა ფრაქციებად.

სამსხვრევი (crusher; дробилка, рушка) – ქვის მასალების დასაქუცმაცებელი მანქანა.

სამუშაო ადგილი (workplace, рабочее место) – საწარმოთა წარმოებრივი სტრუქტურის პირველადი რგოლი, სადაც უშუალოდ ხორციელდება წარმოების პროცესი.

სამუშაო ნახაზები (working drawings, рабочие чертежи) – სამშენებლო ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომლის

მიხედვით ხდება კონსტრუქციების, ნაკეთობების, კვანძებისა და მისთ. დამზადება და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება.

სამღებრო აპარატი (painting apparatus, малярный аппарат) – შეკუმშულ ჰაერზე მომუშავე მცირე ზომის აპარატი, რომელიც კედლების, ჭერის, ფასადების შესაღებად გამოიყენება.

სამღებრო სამუშაოები (painting works, малярные работы) – შენობის ცალკეული ნაწილის (კედელი, ტიხარი, ჭერი, ფასადი, სახურავი და ა.შ.) ზედაპირის დამუშავება და დაფარვა წყალემულსიური, წებოვანი, სინთეზური ან ზეთოვანი საღებავებით ესთეტიკური და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიზნით.

სამშენებლო (construction, строительный) – ყველაფერი ის, რაც შენებასთან, მშენებლობასთან, სამშენებლო საქმესთანაა დაკავშირებული ან მისთვისაა განკუთვნილი (მასალა, კონსტრუქცია, მექანიზმი, პროექტი, ფირმა, ინდუსტრია, მიწის ნაკვეთი, მოედანი, ყალიბი და ა.შ.).

სამშენებლო აკუსტიკა (building acoustics, строительная акустика) – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სათავსის, შენობისა და დასახლებული ადგილის ტერიტორიის ხმაურისაგან დაცვასა და მათთვის ოპტიმალური აკუსტიკური პირობების შექმნის საშუალებებს.

სამშენებლო აწევა (building lift, строительный подъем) – მცირე აღუნვა სამშენებლო კონსტრუქციის დამზადების პროცესში.

სამშენებლო დოკუმენტები (construction documentation, строительная документация) – მშენებლობის ნებართვის მისაღებად აუცილებელი ვერბალური, გრაფიკული და დასურათებული დოკუმენტები, რომლებიც აღწერენ პროექტის ელემენტების დიზაინს, მდებარეობასა

და ფიზიკურ მახასიათებლებს.

სამშენებლო ეზო (საქმიანი ეზო) (building yard, строительный двор) – მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოღობილი ნაწილი, სადაც განთავსებულია მშენებლობისთვის საჭირო დამხმარე საწარმოები.

სამშენებლო თბოტექნიკა (structural heat engineering, строительная теплотехника) – სამშენებლო ფიზიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სითბოს გადაცემის პროცესს და მის გავლენას სხვა ფიზიკურ პროცესებზე, რომლებიც აღინიშნება შენობა-ნაგებობებსა და მათ კონსტრუქციებში.

სამშენებლო ინჟინერია (construction engineering, строительная инженерия) – 1. მშენებლობის პროცესის სრული საინჟინრო უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს საინვესტიციო-სამშენებლო პროექტების ყველა ფაზას: დაპროექტებას, მშენებლობასა და ექსპლუატაციას; 2. სამრეწველო, ინფრასტრუქტურული და სხვა ობიექტების საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურება.

სამშენებლო კლიმატოლოგია (building climatology, строительная климатология) – მეცნიერება, მეტეოროლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის განსაზღვრული ადგილის კლიმატს - ამინდის მახასიათებლებს ერთობლობას მრავალწლიან პერიოდში.

სამშენებლო კომპანია (construction company, строительная компания) – იურიდიული პირის უფლების მქონე კომპანია, რომელიც აწარმოებს სამშენებლო პროფილის სამუშაოებს.

სამშენებლო კომპლექსი (building complex, строительный комплекс) – მატერიალური საწარმოო დარგების, სამშენებლო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო, სამშენებლო-სამონტაჟო, საშენი მასალებისა და ნაკეთობების, მექანიზაციისა და ტრანსპორტის საჯარო სამართლის იურიდიულ და

კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ერთობლობა.

სამშენებლო კონსტრუქციები (structural constructions, строительные конструкции) – შენობა-ნაგებობის ძირითადი შემადგენელი ელემენტები, რომლებიც ასრულებენ მზიდ, შემომზღუდავ ან ორივე ფუნქციას ერთად და მათი ზომები დგინდება გაანგარიშებით, რაც საფუძვლიანად განასხვავებს მათ არქიტექტურული კონსტრუქციებისაგან.

სამშენებლო მანქანები (building machines, строительные машины) – მშენებლობაში გამოყენებული მანქანები.

სამშენებლო მექანიკა (structural mechanics, строительная механика) – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ღეროვანი სისტემების სიხისტის, სიმტკიცისა და მდგრადობის გაანგარიშების მეთოდებს.

სამშენებლო მინა (structural glass, строительное стекло) – მინა, რომელიც გამოიყენება შუქლიობის შესამინად, გამჭვირვალე ტიხრის მოსაწყობად, ნაგებობის გარე და შიგა მოპირკეთებისათვის და სხვ.

სამშენებლო მოედანი (construction site, строительная площадка) – ტერიტორია, რომელზეც განლაგებულია მშენებარე ნაგებობები, დროებითი, ადმინისტრაციული და სამეურნეო შენობები, დამხმარე საწარმოები, საწყობები და ამ მშენებლობისათვის საჭირო სხვა ნაგებობები.

სამშენებლო ნაკეთობა (building product, строительное изделие) – სამშენებლო კონსტრუქციის ელემენტი (ან კონსტრუქცია მთლიანად), დამზადებული არა გამოყენების ადგილზე (კედლის პანელი, სანივნივე კოჭი, გადახურვის ფილა, კიბის მარში, ჰაერსატარის რგოლი, ჭის რგოლი, ფანჯრის თაროს ფიცარი, სანიტარიულ-ტექნიკური კაბინა და სხვ.).

სამშენებლო ნორმები და წესები (construction norms and rules, строительные

нормы и правила) – სავალდებულო ნორმატიულ დოკუმენტთა ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება მშენებლობაში. შედგება 4 ნაწილისაგან: 1. ზოგადი დებულებები; 2. დაპროექტების ნორმები; 3. სამუშაოთა წარმოებისა და ჩაბარების ნორმები; 4. სახარჯთაღრიცხვო ნორმები და წესები (შესაბამისი სახარჯთაღრიცხვო ნორმების კრებულების თანხლებით).

სამშენებლო ობიექტი (building object, строительный объект) – ცალკეული შენობა, ნაგებობა, ნაშენი ან შენობათა ჯგუფი მანქანა-მექანიზმების, საინჟინრო მოწყობილობების, უსაფრთხოების სისტემებისა და მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით.

სამშენებლო პროდუქტი (building product, строительный продукт) – ნებისმიერი პროდუქტი ან პროდუქტების ნაკრები, რომელიც წარმოებული და ბაზარზე განთავსებულია სამშენებლო ობიექტში ან მის ნაწილებში მუდმივი ინტეგრირების მიზნით და რომლის თვისებებიც ზეგავლენას ახდენს სამშენებლო ობიექტის თვისებებზე.

სამშენებლო რეგლამენტი (building regulations, строительный регламент) – სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი, რომელიც მოიცავს სამშენებლო-ტექნიკურ ნორმებს, სამშენებლო სტანდარტებსა და რეკომენდაციებს.

სამშენებლო სამუშაოები (construction works, строительные работы) – სამშენებლო მოედანზე შესრულებული საწარმოო პროცესები, შენობა-ნაგებობათა მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან რემონტის მიზნით.

სამშენებლო ტექნიკა (construction machinery, строительная техника) – მანქანები, მექანიზმები, მოწყობილობები, დანადგარები, ინსტრუმენტები, აპარატურა სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის.

სამშენებლო ურნალი (construction pile driver, копер строительный) – ხიმინჯსასობი მოწყობილობის დამჭერი, აგრეთვე გრუნტში ჩასობისას ხიმინჯის მიმართველი მანქანა.

სამშენებლო ფიზიკა (building physics, строительная физика) – სამეცნიერო დისციპლინათა კომპლექსი (გამოყენებითი ფიზიკის ნაწილი), რომელიც შეისწავლის შემომზღუდავ და სხვა კონსტრუქციებში, ნაგებობებში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებს, რომლებიც დამოკიდებულია კლიმატურ პირობებსა და ექსპლუატაციის რეჟიმზე.

სამშენებლო ფოლადი (building steel, строительная сталь) – დაბალნახშირბადიანი ჩვეულებრივი ხარისხის ფოლადი.

სამშენებლო შუქტექნიკა (building lighting, строительная светотехника) – სამშენებლო ფიზიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის მშენებლობასა და არქიტექტურაში სხივური ენერგიის სპექტრის ოპტიკური ნაწილის გამოყენებას.

სამშენებლო წარმოება (building production, строительное производство) – მოსამზადებელი და ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების კომპლექსის შესრულება ნებისმიერ კლიმატურ პირობებში ყველა ტიპის შენობებისა და ნაგებობების აგების, რეკონსტრუქციის, ტექნიკური გადაიარაღებისა და კაპიტალური რემონტისათვის.

სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია (construction technology, технология строительного производства) – მეცნიერების მიმართულება, რომელიც სწავლობს სამშენებლო სამუშაოების თანამიმდევრობასა და მეთოდებს, რომლის შედეგია სამშენებლო წარმოების პროდუქცია სამრეწველო, სამოქალაქო, საცხოვრებელი შენობების, გზების, ხიდების, კაშხლების, ელექტროსადგურების, მილსადენებისა და ა.შ. სახით.

სამშენებლო ჯალამბრები (construction winches, строительные лебедки) – ჯალამბრები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ასაწევი სატრანსპორტო ოპერაციების შესასრულებლად, ლითონის კონსტრუქციებისა და მოწყობილობების დასამონტაჟებლად, ურნალებისა და საწვევლების დაკომპლექტებისათვის და სხვა სახის სატვირთავ-განსატვირთავი სამუშაოების განსახორციელებლად.

სანაპირო (embankment, набережная) – ნაგებობა, რომელიც გარს ეკვრის წყალსატევის (წყალსაცავი, მდინარე, ტბა, ზღვა, ოკეანე) ნაპირს და იცავს მას წარეცხვისაგან, ასევე უზრუნველყოფს ადამიანების მოხერხებულ გადაადგილებას ნაპირის გასწვრივ, გემების თავისუფალ მისადგომს უშუალოდ ტერიტორიისადმი, მგზავრების გადასვლას ნაპირიდან გემზე და პირიქით და სხვ.

სანგი (sledge, кувалда) – ხელის დასარტყმელი ინსტრუმენტი (ფოლადის, რკინის, თუჯის) მძიმე უროს სახით, რომელიც გამოიყენება ქვის სამსხვრევად, ლითონების ხელით ჭედვისთვის, სამშენებლო კონსტრუქციების მონტაჟისა და ობიექტზე სადემონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად.

სანდრიკი (გვირგვინი) (corona, сандрик) – კარის ან ფანჯრის ღიობის თავზე მოთავსებული მცირე ზომის კარნიზი ან ფრონტონი, რომელიც ზოგჯერ ორ კონსოლს ეყრდნობა.

სანიაღვრო კანალიზაცია (storm sewer, ливневая канализация) – წყალშემკრებების, მილების, არხებისა და კოლექტორების სისტემა, სახურავებიდან და მოედნებიდან ჩამონადენი წყლის მოსაგროვებლად და ტერიტორიიდან გასაყვანად.

სანტექნიკა (plumbing, сантехника) – სხვადასხვა სახის ნაკეთობა, რომელიც წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, გათბობის, ვენტილაციის, კონდიციონერებისა და ნაგავგამტარების მოსაწყობად გამოიყენება.

საპირე (casing, jambeau; наличник) – 1. პირი; ფანჯრის, კარის ღიობისა და მისთ. გლუვი ან დაპროფილებული ხის, ქვის, ბეტონისა ან ლითონის მოჩარჩოება; 2. თამასა.

საპირწონე (counterweight, противовес) – ტვირთი, რომელიც გამოიყენება მანქანებში მოქმედი ძალისა და მომენტის გასაწონასწორებლად.

საპროექტო მოცემულობა (project task, проектное задание) – პროექტის შედგენის პირველი ეტაპი, რომელიც ასაბუთებს ნაგებობის ტექნიკურ შესაძლებლობას და ეკონომიკურ მიზანშეწონილობას.

სარდაფი (basement, подвал) – საცხოვრებელი ან საწარმოო შენობის პირველი სართულის ქვევით, მიწის დონეზე დაბლა მდებარე სართული.

სარევი (mixer, мешалка) – მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება მშრალი და თხევადი მასალების (სუსპენზიების) ასარევად, შესარევად, ცირკულაციისა და დისპერგირებისათვის, აგრეთვე ერთგვაროვნების შესანარჩუნებლად.

სართული (floor, этаж) – სივრცის ნაწილი შენობის ორ ჰორიზონტალურ გადახურვას შორის (იატაკსა და ჭერს შორის), სადაც განთავსდება სათავსები.

სართული არასრული (incomplete floor, неполный этаж) – სართული, რომლის საშუალო სიმაღლე იატაკის ზედაპირის ნიშნულიდან ჭერის ზედაპირამდე 1,8 მ-დან 2,5 მ-მდეა.

სართული მიწის დონის ზემოთ (floor above ground level, этаж выше уровня земли) – ნებისმიერი სართული, რომლის მოპირკეთებული იატაკის ზედაპირი მთლიანად მიწის დონის ზემოთა ან სადაც იატაკის მოპირკეთებული ზედაპირი არის: 1. 1,8 მ-ზე მაღლა მიწის დონიდან; 2. 3,7 მ-ზე მაღლა მოპირკეთებული მიწის ნიშნულის ნებისმიერი

წერტილიდან.

სართული მიწის დონის ქვემოთ (floor below ground level, этаж ниже уровня земли) – სართული, რომელიც არ არის მიწის დონის ზემოთ.

სართული სრული (full floor, полный этаж) – სართული, რომლის საშუალო სიმაღლე იატაკის ნიშნულიდან ჭერამდე არის 2,5 მეტრი ან მეტი.

სართული ტექნიკური (technical floor, технический этаж) – საინჟინრო მოწყობილობათა განსათავსებელი ან კომუნიკაციების გასაცვანი სართული, რომლის საშუალო სიმაღლე იატაკის ნიშნულიდან ჭერამდე 1,8 მ-ზე ნაკლებია.

სართულიანობა (number of storeys, этажность) – მიწისზედა სართულების რაოდენობა, მათ შორის ტექნიკური სართული, მანსარდი, აგრეთვე ცოკოლის სართული, თუ მისი ჭერის ნიშნული მიწის საპროექტო ნიშნულზე 2 მ-ით და მეტიით მაღლაა.

სართულის სიმაღლე (floor height, высота этажа) – იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედა ნიშნულსა და სართულშუა გადახურვის ძირითადი კონსტრუქციის(ებ)ის ზედა ნიშნულ(ებ)ს შორის საშუალო ვერტიკალური მანძილი (როდესაც იატაკი მდებარეობს ერთ ნიშნულზე).

სართულის ფართობი (floor area, площадь этажа) – სართულის შემომსაზღვრელ კედლებსა და კოლონებს შორის არსებული ფართობი მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გამოკლებით, აივნებისა და ტერასების ფართობების დამატებით.

სართულშუა გადახურვა (interfloor overlap, межэтажное перекрытие) – შენობის კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც მას სართულებად ყოფს, იღებს ტიხრების, მოწყობილობის, ავეჯის, ადამიანთა და სხვ. დატვირთვებს და მათ გადასცემს კაპიტალურ კედლებს.

სართულშუა სიმაღლე (floor height, межэтажная высота) – მანძილი იატაკიდან ჭერამდე.

სარინი (withdrawal, отвод, отводка) – დარი, არხი, მილი, დრენაჟი და მისთ. წყლის მოსაცილებლად, გასაცვანად, გადასაგდებად, შესაკრებად და სხვ.

სარკმელი (window leaf, форточка) – საჭაერო, შუკუმი; ფანჯრის საგდული ნაწილი, რომელიც დამოუკიდებლად იდება და სადგომის გასანიავებლად არის განკუთვნილი.

სარტყელი ანტისეისმური (anti-seismic belt, антисейсмический пояс) – მონოლითური რკინაბეტონის სარტყელი, რომელიც ეწყობა შენობის განივ და გრძივ კედლებზე სართულშუა გადახურვის დონეზე და რომელიც ქმნის უწყვეტ დაარმირებულ ჰორიზონტალურ ჩარჩოს.

სარქველი (valve, клапан) – მანქანებში ან მილსადენებში დეტალი ან მოწყობილობა გაზის, ორთქლის ან სითხის ხარჯის სამართავად, რაც მიიღწევა გამტარის განივკვეთის შემცირებით.

სარჩილაჯი (soldering iron, паяльник) – ხელის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ლითონების მისარჩილად.

სარჭი (hairpin, шпилька) – ლითონის სამაგრი ნაკეთობა დეროს სახით გარე ხრახნით, რომელიც ქმნის შეერთებას ქანჩთან ან ხრახნულ ნახვრეტთან ერთად.

სასვრეტელა (drill, дрель) – ხელის პნევმატიკური ან ელექტრული ხელსაწყო, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ბურდი ან სხვა მჭრელი ინსტრუმენტი ნაკეთობაში ნახვრეტის გასაკეთებლად. გამოიყენება სამშენებლო, სადურგლო, საუნიკლო და სხვა სახის სამუშაოების შესასრულებლად.

სატაცი (capture, захват) – ამწევ ბაგირზე ან ჯაჭვზე ჩამოკიდებული ტვირთამწვევი მანქანის ნაწილი ტვირთების წატაცებისა და შეკავებისათვის (ერთმაგი და ორმაგი კავები, გრეიფერები, ელექტრო-

მაგნიტები და სხვ.).

სატვირთველი (loader, погрузчик) – თვითმავალი სატვირთო მანქანა, რომლის დანიშნულებაა ტვირთის წატაცების, აწევის, გადატანისა და სატრანსპორტო საშუალებებში თაკარებად ან ნაყარად დაწყობის ოპერაციების შესრულება.

სატვირთო ამწევი (cargo lift, грузовой подъемник) – ამწე, საცალო და დაფასოებული სამშენებლო ტვირთების გადასაადგილებლად.

სატიტულო სია (title list, титульный список) – კაპიტალური მშენებლობის იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომელთა პროექტები და ხარჯთაღრიცხვა უკვე დამტკიცებულია.

სატკეპნელა ხელისა (manual rammer, ручная трамбовка) – ინსტრუმენტი ფხვიერი საშენი მასალების ხელით დასატკეპნად.

სატუმბი სადგური (pumping station, насосная станция) – ნაგებობის, მანქანებისა და მოწყობილობების კომპლექსი სითხის გადასაადგილებლად წნევის მეშვეობით.

სატურატორი (saturator, сатуратор) – ნახშირორჟანგით სითხეების გასაჯერებელი აპარატი (ჰულსოქსიმეტრი).

საფეხური (ledge, уступ) – კიბის სავალი ნაწილი, რომელიც შეიცავს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეებს.

საფითხი (შპატელი) (putty, шпаклевка) – ინსტრუმენტი სამღებრო, საფითხი და სარემონტო-მოსაპირკეთებელი სამუშაოების შესასრულებლად.

საფხვიერებელი (ripper, рыхлитель) – მისაბმელი ან დასაკიდებელი მოწყობილობა მუხლუნა ტრაქტორზე მძიმე ქანების, აგრეთვე გზის ძველი ასფალტბეტონის საფარის მოსანგრევად წინასწარი გაფხვიერებისათვის საავტომობილო გზის რემონტის დროს.

საქრევი (purge; продувательный, продувочный) – სავენტილაციო ღიობი, ნახვ-

რეტი ქანობიან სახურავზე.

სადარავი (ფრეზი, ფრეზა) (cutter, фреза) – ინსტრუმენტი ერთი ან რამდენიმე მჭრელი ჰირით (კბილებით; დარაკის კიდის გასწვრივ განლაგებული კბილებით), რომელიც ბრუნვის დროს ამუშავებს, დარავს ლითონის თუ სხვა მასალის ზედაპირს.

საღებავი (dye, краска) – ჰიგმენტებისა და აფსკწარმომქმნელი ნივთიერებების ერთგვაროვანი სუსპენზია.

საღებავსასრესი (paint grater, краскотерка) – აპარატი საღებავის დასრესისათვის მოძრავ და უძრავ ვერტიკალურ დისკოებს ან ჰორიზონტალურ დოლაბებს შორის.

საღებავსაფრქვეველი (paint sprayer, краскораспылитель) – ხელის ინსტრუმენტი საღებავის, ლაქის, ემალის, ემულსიის დასატანად შენობა-ნაგებობათა მასიური ელემენტებისა და დიდი ფართობის ზედაპირებზე შეკუმშული ჰაერით გაფრქვევის გზით.

საღებავსაშხევი (paint blower, краскодувка) – გადასატანი აპარატი, რომელიც გამოიყენება საღებავების შესაფრქვევად მცირე ფართობის ზედაპირებზე შეკუმშული ჰაერის მეშვეობით.

საღებარი (colorant, краситель) – ფერადი (იისფერი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, ყავისფერი და შავი) ორგანული ნაერთი, რომელსაც უნარი აქვს, გაჟღინთოს შესაღები მასალა დიფუზიის პროცესის შედეგად და მისცეს მის მთელ მოცულობას განსაზღვრული ფერი.

სადრევი ინსტრუმენტი (countersink tool, зенковочный инструмент) – მრავალპირიანი საჭრელი ინსტრუმენტი დეტალებში კონუსური ან ცილინდრული სიღრმული ნახვრეტის გასაკეთებლად, აგრეთვე ნახვრეტის ირგვლივ ნაზოლის მოსაჭრელად.

საყელური (washer, шайба) – ბრტყელი რგოლის ფორმის საფენი (საღები) ქან-

ჩის ან ჭანჭიკის თავის ქვეშ შესაერთებელ დეტალებზე ძაღვების გადასანაწილებლად, ასევე დეტალის ზედაპირის ქანჩის მოჭერისგან დასაცავად და საყრდენი ზედაპირის გასაზრდელად.

საყრდენი (support, опора) – 1. საბჯენი, საყრდნობი, ბურჯი; 2. მოწყობილობა ნაგებობის მზიდი კონსტრუქციის (სვეტი, დგარი, ბოძი, კედელი და მისთ.) ან მანქანის დეტალის შესაკავებლად და მისამაგრებლად, მბრუნავი ნაწილის შესაკავებლად და სხვ.

საყრდენი კედელი (retaining wall, опорная стена) – საინჟინრო ნაგებობა, რომელიც მის უკან მდებარე გრუნტს იკავებს.

საყრდენი ჯებირი (supporting dam, опорная дамба) – ღვარცოფსაწინააღმდეგ ნაგებობის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც საშუალო სიმაღლის მასიური (ბეტონის ან ქვის) ან გამჭოლი (რკინაბეტონის ან ლითონის კონსტრუქციები) კაშხალია.

საშენი მასალა (construction material, строительный материал) – მასალა, გამოყენებული მშენებლობაში შენობა-ნაგებობების ასაგებად, რემონტისა და რეკონსტრუქციისათვის.

საჩერი (stopper, стопор) – დეტალი ან მისი ნაწილი (შვერის ან დრმულის სახით) ან მოწყობილობა, რომელიც მექანიზმის ნაწილებს აფიქსირებს ან აკავებს რაღაც მდგომარეობაში.

საცემლა (block head of a hammer, боек) – ძირითადი სამჭედლო ინსტრუმენტი მანქანური ჭედვისათვის, რომელიც უშუალოდ ახდენს ლითონის დეფორმირებას დარტყმების ან დაწნევის საშუალებით.

საცერი (sieve, screen; сито) – მოწყობილობა სხვადასხვა პროდუქტისა და მასალის დასაზარისხებლად სისხოს მიხედვით, რაც ხორციელდება ბაღეებში გაცრით.

საცეცი (feeler, щуп) – დაკალიბრებული ფირფიტა ანაწყობ ზედაპირებს შორის ღრეჩობების შესამოწმებლად. თითო

ფირფიტის სისქე 20 მკმ-დან 1 მმ-მდეა.

საცეცხლე (furnace, топка) – საქვაბე აგრეგატის ან ღუმლის ნაწილი, რომელშიც იწვის ორგანული საწვავი მათალ-ტემპერატურიანი აირის მისაღებად.

საცვრე (საცრემლე) (water drip, слезник) – გრძივი ამონადარი კედლიდან გამომავრილი კარნიზის ფილის ქვეშ, რომელიც წყლის წვეთს მოწყვეტს და კედელზე გადასვლის საშუალებას არ აძლევს.

საცხი (ointment, мазь) – ნივთიერება, რომელიც მანქანა-მექანიზმების დეტალების ზედაპირებზე წასასმელად გამოიყენება მათ შორის ხახუნის ძალის შესამცირებლად.

საცხოვრებელი (საცხოვრისი) (housing, жилье) – შენობაში ერთი ან ორი საცხოვრებელი ერთეული, რომელიც გამოიყენება, გამოზნულია ან დაგეგმარებულია საცხოვრებლად, საარენდოდ, სალიზინგოდ, გასაქირავებლად და საქირავებლად.

საძირკვა (uprooting, корчевальный) – მანქანა, რომლის დანიშნულებაა ხეებისა და ფესვების ამოძირკვა, ქვების მოშორება მელიორაციული და საგზაო, აგრეთვე ახალი მიწების ათვისების საშუალების დროს.

საძირკველი (foundation, фундамент) – ნაგებობის მიწისქვეშა საყრდენი ნაწილი, რომელიც შენობის დატვირთვას ფუძეს გადასცემს.

საწარმო (company, facility; предприятие) – დაწესებულება ან ორგანიზაცია, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის განურჩევლად, სადაც მართლობიერი და არაერთჯერადი საქმიანობით დამოუკიდებლად და ორგანიზებულად ხორციელდება პროდუქციის შექმნა ან მომსახურება.

საწველა (lift, подъемник) – ციკლური ან უწყვეტი მოქმედების ტვირთამწვეი მანქანა.

საწერტელი (center punch, кернер) – ხელის საზეინკლო ინსტრუმენტი, რომე-

ლიც გამოიყენება ნაკეთობის წერტილისთვის.

საწვეთური (dripper, капельник) – სახლის ირგვლივ მოწყობილი ღარი სახურავიდან წვიმის წყლის ჩასადენად.

საწვიმური (storm water inlet, дождеприемник) – შენობის სახურავზე, გარკვეულ ადგილებზე მოწყობილი თუნუქის ძაბრი, რომლის მეშვეობითაც სახურავიდან ჰორიზონტალურ დარებში დაგროვილი წვიმის წყალი ჩადის საწვიმარ მილში.

საჭეჯი ქვა (capstone, замковый камень) – სოლისებრი ქვა ქვათადის წყობის უმაღლეს წერტილში.

საჭრეთელი (chisel, стамеска) – ინსტრუმენტი მცირე სიდრმის ბუდის ან ხვრელის ამოთლა-ამოსატეხად, მასალიდან მცირე სისქის მოსათლელად (გასათლელად), დასაჭრელად და ა.შ.

საჭრისი (cutter, резец) – ნეთობათა და სამუშავებელი მჭრელპირიანი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სახარატო, რევოლვერულ, შიგსაჩარხ, კარუსელურ, სარანდ, სატეხ, კბილსარანდ და სპეციალურ ჩარხებზე.

სახელური (handrail, поручень) – ჰორიზონტალური (დაქანებული) გრძივი ელემენტი, რომელსაც ხელით ეყრდნობიან.

სახეხელა (grater, терка) – ხელის საბათქაშე ინსტრუმენტი კედელზე დატანილი ბათქაშის პირველადი დამუშავებისათვის.

სახლი (house, дом) – შენობა, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად ან კულტურული და საზოგადოებრივი დანიშნულებით.

სახრახნისი (screwdriver, отвертка) – საზეინკლო-საამწყობო ხელსაწყო ხრახნებისა და სჭვალეების ჩასახრახნ-ამოსახრახნად.

სახსარი (hinge, шарнир) – სამშენებლო კონსტრუქციებისა და მანქანათა დეტალების მოძრავი შეერთება, რომელიც

უზრუნველყოფს ბრუნვას მხოლოდ საერთო ღერძის ან საერთო წერტილის ირგვლივ.

სახურავი (roof; крыша, покрытие) – შენობის კონსტრუქციის ზედა შემომზღუდავი ნაწილი, რომელიც ასრულებს მზიდ, ჰიდროსაიზოლაციო და თბოსაიზოლაციო ფუნქციებს.

სახურავი ბრტყელი (flat roof, плоская крыша) – უმნიშვნელო ქანობის (ფაქტობრივად ჰორიზონტალური) სახურავი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში.

სახურავი გამბლერისა (gumbler roof, крыша гамблера) – მანსარდული ტიპის სახურავი, რომელსაც მხოლოდ ორი დახრა აქვს.

სახურავი გოტიკური (gothic roof, отическая крыша) – მკვეთრად დაქანებულკალთებიანი, წვეტურიანი სახურავი.

სახურავი ვალმური (hip roof, вальмовая крыша) – სახურავის ტიპი, რომელსაც აქვს ოთხქანობიანი კონსტრუქცია.

სახურავი თაღოვანი (arched roof, арочная крыша) – მრუდი სახურავი, რომელსაც თაღის ფორმა აქვს.

სახურავი მანსარდული (mansard roof, мансардная крыша) – სახურავი, რომელსაც აკეთებენ მაშინ, როცა საჭიროა სხვენის საცხოვრებელი სათავსის (მანსარდის) მოცულობის გაზრდა.

სახურავი მრავალფერდა (sloping roof, многоскатная крыша) – გეგმაში კვადრატული ან მართკუთხა ფორმის სახურავი, რომელსაც ორი ან მეტი ფერდი აქვს.

სახურავი მრავალწვეტურა (multi-gable roof, многощипцовая крыша) – გეგმაში მრავალკუთხედის ფორმის შენობის სახურავი.

სახურავი მრგვალი (round roof, круглая крыша) – სახურავი, რომელსაც გეგმაში წრის ფორმა აქვს.

სახურავი მრუდი (curved roof, кривая крыша) – სახურავის არასტანდარტული

მრავალფუნქციური კონსტრუქცია, რომელსაც მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვა აქვს.

სახურავი ოთხფერდა (four-pitched roof, четырехскатная крыша) – ოთხქანობიანი სახურავი, რომლის ორი დიდი ფერდი ტრაპეციაა, ხოლო ტორსული კედლის მხრიდან – სამკუთხედები.

სახურავი პაგოდა (roof pagoda, крыша пагода) – სახურავი, რომელიც ამშვენებს ბუდისტურ, ინდურ ან ლაოსურ საკულტო ნაგებობებს.

სახურავი პირამიდული (pyramidal roof, пирамидальная крыша) – ოთხქანობიანი სახურავის კონსტრუქცია, რომლის საფუძველია კვადრატი ან მართკუთხედი, ხოლო საფუძვლის გვერდებიდან, ზედა ცენტრალურ წერტილამდე, მიემართება ოთხი ტოლფერდა სამკუთხედი.

სახურავი სოლყავრისა (shingle roof, гонтовая крыша) – ხის გრძივებზე მოწყობილი სახურავი, რომელშიც ბურულად გამოყენებულია სოლყავარი; მიეკუთვნება უმარტივესი ტიპის სახურავებს.

სახურავი სფერული (spherical roof, сферическая крыша) – სახურავი, რომელსაც სფეროს ნახევრის ან სფეროს სეგმენტის ფორმა აქვს.

სახურავი ტენტისა (awning roof, тентовая крыша) – ტენტისგან დამზადებული სახურავი, რომლის ქვეშაც წარმატებით შეიძლება განთავსდეს ზამთრის ბაღი, ბარი, საბანკეტო დარბაზი, სამზერი მოედანი, მობილური რესტორანი, სავაჭრო ცენტრი და სხვ. საყოფაცხოვრებო ობიექტი.

სახურავი ქვისა (stone roof, каменная крыша) – სახურავი, რომელშიც ბურულად გამოყენებულია ორგანული დანალექი სამთო ქანების ქვის ფიქალი.

სახურავი ყავრისა (shingled roof, тесовая крыша) – ხის გრძივებზე მოწყობილი სახურავი, რომელშიც ბურულად გამოყენებულია ყავარი.

სახურავი შედური (shed roof, шедовая

крыша) – ერთქანობიანი ხერხისკბილებიანი სახურავი.

სახურავი შპილისებრი (steeple roof, шпилевидная крыша) – სახურავი, რომელიც შედგება განსაზღვრულ წერტილში ერთმანეთთან მახვილი კუთხით შეერთებული რამდენიმე სამკუთხაქანობიანი უბნისგან.

სახურავი ცალფერდა (pent-roof, однокатная крыша) – სახურავის სახეობა (ნივნივების, წამწეების, კოჭების სისტემა), რომელსაც მხოლოდ ერთი ფერდი აქვს.

სახურავი ცილინდრული (cylindrical roof, цилиндрическая крыша) – სახურავი, რომელსაც წრის ნახევრის ფორმა აქვს.

სახურავი წვეტურა (gable roof, щипцовая крыша) – ორფერდა სახურავი, რომლის ფერდები დახრილია გარე კედლების მიმართ.

სახურავი ხისა (wooden roof, деревянная крыша) – სახურავის კონსტრუქცია, შედგენილი სხვადასხვა ტიპის ხის ნივნივებისა და ბურულისაგან.

სახურავის ფენილი (roof deck, настил крыши) – ატმოსფერული ზემოქმედებისაგან შენობის სახურავის დასაცავი რულონური ან ცალობითი მასალა (ბურული).

სეისმოიზოლაცია (seismic isolation, сейсмоизоляция) – სეისმოდაცვის ყველაზე ძველი მეთოდი, რომლის დროსაც აღწევენ შენობა-ნაგებობების საძირკველზე სეისმური ზემოქმედების მნიშვნელოვან შემცირებას საძირკველსა და შენობის ფუძეს შორის სპეციალური სისტემების ან ელემენტების მოწყობის გზით.

სელენიტი (selenite, селенит) – მზინავი მოვარდისფრო ყვითელი ფერის ბოჭკოვანი თაბაშირი.

სენდვიჩ-პანელი (sandwich panel, сэндвич-панель) – მსუბუქი უკარკასო სამფენოვანი პანელი, რომელიც შედგება ორი გარე, გლუვი ან დაპროფილებული (მი-

ნაპლასტიკი, ფანერა, ფოლადი, ალუმინი) და შუა დამათბუნებელი ფენებისაგან (ქაფპოლისტირენი, ქაფპოლიურეთანი, ბაზალტის მინერალური ბამბა).

სეპარატორი (separator, сепаратор) – აპარატი, რომელშიც ხდება 1 მმ-ზე ნაკლები სისხოს მშრალი ფხვნილისებრი მასალების დახარისხება.

სეპაროლი (separol, сепарол) – მინერალური ზეთისაგან დამზადებული ყალიბების დასაზეთი სითხე, რომელიც უზრუნველყოფს ბეტონის ნაკეთობის ზედაპირის სიგლუვესა და ყალიბის სწრაფ და ადვილად მოხსნას კონსტრუქციისგან.

სეპტიკი (septic tank, септик) – 1. ნაგებობა მცირე რაოდენობის ჩამდინარი წყლის გასაწმენდად; 2. საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ჩამდინარი წყლების დროებითი ლოკალური გამწმენდი ნაგებობის სალექარი.

სვეტი (კოლონა, ბოძი) (column, pole, post; столб, колонна, стойка) – არქიტექტურულად დამუშავებული შენობის, ნაგებობის მზიდი კონსტრუქციული შვეული დეროვანი ელემენტი, რომელიც მასზე დაყრდნობილი კონსტრუქციებიდან (რიგელი, წამწე, კოჭი, კამარა, სართულშუა გადახურვა და სხვ.) დატვირთვას გადასცემს საძირკველს და არის შენობის არქიტექტურული კომპოზიციის მნიშვნელოვანი ელემენტი.

სვეტნარი (collonade, колонада) – საერთო არქიტრავის ქვეშ განლაგებული სვეტების რიგი.

სიბლანტე (viscozity, вязкость) – სითხეებისა და აირების თვისება, წინააღმდეგობა გაუწის თავისი ერთი ნაწილის გადაადგილებას მეორის მიმართ.

სიენიტი (sienite, сиенит) – მატალი სიმტკიცის გრანიტზე მუქი ფერის ბუნებრივი სიღრმული მაგმური მთის ქანი.

სივრცითი სისტემა (სამშენებლო მექანიკაში) (spatial system, пространственная система) – მზიდი კონსტრუქციების სის-

ტემა (ან საანგარიშო სქემა), რომელიც ხასიათდება ელემენტებში ძალების სივრცითი განაწილებით.

სილაჭავლური აპარატი (sand-blast apparatus, пескоструйный аппарат) – აპარატი შეღებვის წინ ლითონის ზედაპირების, შენობის ფასადისა და ა.შ. გასაწმენდად.

სილიკატიზაცია (silicification, силикатизация) – სუსტი გრუნტების გამაგრება ქიმიური საშუალებით, სახელდობრ, სილიკატური ხსნარების (მაგ., ნატრიუმისა და ქლოროვანი კალციუმის) გრუნტში დაჭირხნით.

სილოსი (silage, силос) – დიდი ტევადობის საცავი ფხვიერი მასალებისთვის (ცემენტი, ქვიშა, მარცვლეული, კომბინირებული საკვები, გრანულები და სხვ.).

სიმკვრივე (density, плотность) – სკალარული ფიზიკური სიდიდე, რომელიც განისაზღვრება სხეულის მასის შეფარდებით თვით ამ სხეულის მოცულობასთან ან ფართობთან (ზედაპირული სიმკვრივე).

სიმტკიცე (strength, прочность) – მასალის თვისება გარკვეულ დროში, პირობებსა და საზღვრებში დაურღვევლად გაუწიოს წინააღმდეგობა ამა თუ იმ გარე ზემოქმედებით (დატვირთვები, არათანაბარი ტემპერატურული, მაგნიტური და ელექტრული ველები, არათანაბარი დეფორმაციები და სხვ.) ადრულ შიგა ძაბვებს ისე, რომ არ დაირღვეს მისი მთლიანობა ანუ არ დაკარგოს წინაღობის უნარი.

სიმტკიცის ზღვარი (დროებითი წინაღობა) (ultimate strength, предел прочности) – მასალის მექანიკური მახასიათებელი, გამოხატული უდიდესი დატვირთვის შესაბამისი პირობითი ძაბვით, რომელიც მოქმედებს ნიმუშზე უშუალოდ რღვევის წინ ანუ არის ზღვრული სიდიდე, რომლის გადაჭარბებისას მექანიკური ძაბვა არღვევს კონკრეტული მასალისაგან დამზადებულ ამა თუ იმ ტანს.

სიმულატორი (simulator, симулятор) – მექანიკური ან კომპიუტერული მოწყობილობა, რომელიც ახდენს რაიმე პროცესის, დანადგარის ან სატრანსპორტო საშუალების მართვის იმიტაციას.

სიმქისე (ხორკლიანობა) (roughness, шероховатость) – უსწორობათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის დეტალის ზედაპირულ რელიეფს შედარებით მცირე ბიჯებით.

სიმყიფე (fragility, хрупкость) – მასალის თვისება სტატიკური დატვირთვის დროს უმნიშვნელო დეფორმაციის შედეგად დაიშალოს ნარჩენი დეფორმაციის გარეშე.

სიმძლავრე (power, capacity; мощность) – ენერგეტიკული მახასიათებელი, რომელიც განისაზღვრება მუშაობის ფარდობით მისი შესრულების დროის ინტერვალთან.

სინთეზი (synthesis, синтез) – შეერთება, განზოგადება.

სისტემა (system, система) – გარკვეული წესრიგი, რაც დაფუძნებულია რისამე ნაწილების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე.

სიჩქარე (velocity, скорость) – ვექტორული ფიზიკური სიდიდე, რომელიც ახასიათებს მატერიალური წერტილის გადაადგილების სისწრაფესა და მოძრაობის მიმართულებას ათვლის არჩეული სისტემის მიმართ.

სიხისტე (stiffness, жесткость) – სხეულის ან კონსტრუქციის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს დეფორმაციის წარმოქმნას.

სიხისტის დიაფრაგმა (stiffness diaphragm, диафрагма жесткости) – შენობის მზიდი სისტემის ვერტიკალური ელემენტი, რომელიც იღებს ჰორიზონტალურ დატვირთვებს (ქარის, სეისმურსა და სხვ.) და გადასცემს მას საძირკველს.

სიხისტის წიბო (stiffener, ребро жесткости) – სამშენებლო კონსტრუქციის ელემენტი (სვეტებში, კოჭებში, ფილებში, გარსებში და სხვ.) თხელი ფირფიტის სახით, რომლის დანიშნულებაა ცალკეული ელემენტის სიხისტის გაზრდა, რომ არ მოხდეს ამ ელემენტის ადგილობრივი (საერთო) მდგრადობის დაკარგვა.

სკვერი (square, сквер) – კეთილმოწყობილი და გამწვანებული ტერიტორია საცხოვრებელი განაშენიანების შიგნით.

სკოცია (scotia, скоция) – კლასიკური არქიტექტურის მეზნეილი მრუდხაზოვანი მოხაზულობის არქიტექტურული ნატენი, რომელიც მიიღება სხვადასხვა რადიუსის მქონე ორი რკალის შეუღლებით.

სკრეპერით (skraper, скрепер) – ციკლური მოქმედების მიწასათხრელი სატრანსპორტო მანქანა.

სკრუბერი (scrubber, скруббер) – მყარი და აირადი მინარევების დამჭერი აპარატი.

სმალტი (smalt, смальта) – კობალტის მინა.

სოგმანი (key, шпонка) – ქვის ფილების, ხის ფიცრების ან ლითონის დეტალების დამაკავშირებელი მოგრძო ჩანადგამი, რომელიც ძირითადად კუმშვაზე მუშაობს და თავის თავზე იღებს ძვრის ძალებსა და მგრეხ მომენტებს.

სოლყავარი (shingles, гонт) – მერქნისგან (ნაძვი, ფიჭვი, ვერხვი, ლარიქსი) დამზადებული სოლისებრი ფიცარი, რომელსაც სქელი ნაწიბურის გასწვრივ აქვს ნარანდი.

სოფიტი (bank of light, софит) – კოჭის, თალის, კამარის, ლავგარდნისა და შენობის სხვა ნაწილების ქვევიდან ხილული, არქიტექტურულად დამუშავებული ზედაპირი.

სპეციფიკაცია (parts list, спецификация) – ნაკეთობის ტექნიკური საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ცხრილის სახითაა შედგენილი.

სპრინკლერი (sprinkler, спринклер) – ავ-

ტომატური ჩამრთველი, წყლის გამშხეფი საცმი ხანძარსაწინააღმდეგო მომარაგების სპრინკლერული სისტემების მიღზე.

სტრუქტურა (აგებულება) (structure, структура) – 1. მონაცემების ერთობლიობა მასალის აგებულებაზე, აღნაგობაზე, სტრუქტურული ელემენტების განლაგებაზე, მათ რაოდენობრივ თანაფარდობასა და ურთიერთკავშირზე, რომლებიც ქმნიან ერთიან მთლიანს.

სუპერპლასტიფიკატორი (superplasticizer, суперпластификатор) – ბეტონის ერთ-ერთი ეფექტური სინთეზური პო-

ლიმერული დანამატი (ლიგნოსულფონატი).

სჭვალი (wood-screw, штыр) – ხრახნი, რომლის დიამეტრი $d < 12$ მმ-ზე. აქვს სფერული ან ბრტყელი თავი განაჭვრით, რომელშიც ჩადის ხელის ან ელექტროსახრახნისის პირი, რომლის მეშვეობით ჩაიხრახნება მერქანში.

სხვენი (garret, чердак) – თავანი; შენობის ზედა სართულის ქერის კოჭებსა და სახურავის ნივნივებს შორის მოქცეული სივრცე.

ტაბიკურა (ომბოხი) (crutch, spike-nail; костыль) – ლითონის დეტალი ხის შპალებთან ყველა ტიპის რელსის დასამაგრებლად.

ტაბლო (scoreboard, табло) – საკონტროლო დაფა, რომელზეც მოთავსებულია სხვადასხვა პირობითი გამოსახულება, შექოვანი ან სხვაგვარი სასიგნალო მოწყობილობა.

ტაბურეტი (stool, табуретка) – უბრალო უზურგო სკამი, რომელიც ერთი ადამიანის დასაჯდომდაა განკუთვნილი.

ტალი (hoist, таль) – ტვირთის ასაწევი შეკიდებული მოწყობილობა, რომელსაც აქვს ხელის, ელექტრული ან პნევმატიკური ამძრავი.

ტალრეპი (lanyard, талреп) – მოწყობილობა კაბელის, ბაგირის, ტროსის, ჯაჭვის, ტაკელაჟის და მისთ. დასაჭიმად.

ტალდასატენი (ბრეკვატერი) (breakwater, breakwater) – ჰიდროტექნიკური ნაგებობა – წყალში შეჭრილი ქვის ზღუდე ნავსადგურის ან სანაპიროს დასაცავად ტალღებისაგან.

ტამბური (vestibule, тамбур) – შენობაში შესასვლელი სათავსი თანამიმდევრობით გასაღები კარით, რომელიც წინააღმდეგობას უწევს გარემოდან ცივი ჰაერის შეჭრას.

ტანდემი (tandem, тандем) – აგრეგატში მანქანების ან მანქანის ნაწილების განლაგება ერთიმეორის მიყოლებით, ერთ ღერძზე, ერთ ხაზზე.

ტარა (container, тара) – ჩამოსხმული პლასტმასის, მუყაოს, ასაწყობი ხის ან ლითონის კონსტრუქცია, რომელსაც იყენებენ რაიმეს შესაფუთად, ჩასაწყობად, ჩასალაგებლად.

ტარი (lever, рычажка) – ხელით სამუშაო იარაღის ის ნაწილი, რომელსაც უშუალოდ ხელით ეხებიან (მაგ., ნაჯახის, ბარის, ჩაქუჩის, უროსი და მისთ.).

ტარირება (tare, тарирование) – საზომი ხელსაწყოს შემოწმება.

ტაქომეტრი (tachometer, тахеометр) –

მანქანის (მექანიზმის) ლილვის ბრუნვის სიხშირის გასაზომი ხელსაწყო.

ტეგულა (tegula, тегула) – ბურუნის (სახურავის) კრამიტი ზევით აღუნული კიდეებით.

ტელფერი (telpher, тельфер) – ტვირთის ასაწევი მანქანა (ჯალამბარი), რომელიც მოძრაობს დაკიდებულ რელსზე.

ტემპერატურა (temperature, температура) – სისტემის თბური მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრი.

ტემპერატურა გამინებისა (glass transition temperature, температура стеклования) – ზღვრული ტემპერატურა, რომლის ქვევითაც ნივთიერება ხდება მინისებრი (მყარი), ხოლო ამ ტემპერატურის ზევით – თხევადი.

ტემპერატურა კრიტიკული (critical temperature, критическая температура) – 1. ტემპერატურა, რომელზეც ნივთიერება კრიტიკულ მდგომარეობაშია ანუ, რომელზეც განსხვავება სითხესა და ორთქლს შორის არ შეიმჩნევა; 2. ორი ფაზის (სითხე და მისი ორთქლი) თანაარსებობის ზღვრული ტემპერატურა, რომლის ზევით ეს ფაზები განურჩეველია. ორთქლის გათხევადება ხდება სითხის კრიტიკული ტემპერატურის დაწვევის შედეგად.

ტემპერატურა ნორმალური (normal temperature, нормальная температура) – 20°C ტემპერატურა.

ტემპერატურამტარობა (ტემპერატურამტარობის კოეფიციენტი) (thermal diffusivity, теплопроводность) – ნივთიერების ფიზიკური პარამეტრი, რომელიც ახასიათებს მისი ტემპერატურის ცვლილების სისწრაფეს არასტაციონარულ სითბურ პროცესებში.

ტემპერატურამდგრადობა (temperature resistance, температуроустойчивость) – მასალის უნარი, შეინარჩუნოს სტრუქტურა და ფიზიკური თვისებები ტემპერატურაზე, რომელიც შეესაბამება მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციის პირობებს.

ტემპერატურამდეგობა (temperature resistance, температуростойкость) – მასალის უნარი, შეინარჩუნოს თვისებები (სტრუქტურა, სიმტკიცე, თბოგამტარობა და სხვ.) მაღალ ტემპერატურაზე.

ტემპი (tempo, темп) – რისამე განხორციელების, მიმდინარეობის სისწრაფე (მაგ., მშენებლობის ტემპი, ტერიტორიის ათვისების ტემპი და სხვ.).

ტენდერი (tender, тендер) – საწარმოს მიერ მყიდველისათვის შეთავაზებული ფასი, რომლის განსაზღვრის დროსაც ამოსავალია არა საქონლის საკუთარი დანახარჯების დონე ან მასზე მოთხოვნა, არამედ კონკურენტთა მიერ დადებული ფასი.

ტენზოგადამწოდი (load, cell тензодатчик) – მყარი სხეულის დეფორმაციის ელექტრულ სიგნალად გარდაქმნელი.

ტენზომეტრი (strain gauge, тензомер) – დეფორმაციის გასაზომი ხელსაწყო.

ტენიანობა (humidity, влажность) – ტენის შემცველობა მყარ სხეულში, ფხვნილსა ან აირში.

ტენიანობა აბსოლუტური (absolute humidity, абсолютная влажность) – ნივთიერებაში არსებული ტენის მასის შეფარდება ამ ნივთიერების მასასთან აბსოლუტურად მშრალ მდგომარეობაში; იზომება პროცენტობით.

ტენიანობა ფარდობითი (relative humidity, относительная влажность) – ბუნებრივ მდგომარეობაში ნიმუშში არსებული ტენის მასის შეფარდებითა ამ ნიმუშის მასასთან.

ტენმდეგობა (water resistance, водостойкость) – მასალის, საფარველისა და ნაკეთობის თვისება, გაუძლოს ტენის ზემოქმედებას ხარისხის გაუარესების გარეშე.

ტენტი (awning, тент) – ქსოვილური, სინთეზური ან კომბინირებული ტილო, გადაჭიმული ლითონის ან ხის კარკასზე, ბუჩქის ან კლდის შვერილებზე საჭიმრების დახმარებით.

ტერასა (terrace, терраса) – ბანი.

ტერიტორია (territory, территория) – გარკვეულ საზღვრებში მოქცეული მიწის სივრცე.

ტირსერონები (tierserons, тьерсероны) – კამარის საყრდენიდან გამომავალი მცირე ზომის დიაგონალური წიბოები, რომლებიც ლიერნებთან ერთად ქმნიან ე.წ. "ვარსკვლავურ ნახატს".

ტესტერი (tester, тестер) – ხელსაწყო ან პროგრამა რისამე (მაგ., ელექტრონათურების, ელექტროწრედის) ვარგისობის შესამოწმებლად.

ტესტი (test, тест) – წინასწარი პროცედურა რაიმეს ხარისხის, მწარმოებლობის, საიმედოობის დასადგენად.

ტესტირება (გამოცდა) (testing, тестирование) – შესაბამისობის შეფასების ობიექტის ერთი ან მეტი მახასიათებლის განსაზღვრა პროცედურების შესაბამისად.

ტეფლონი (პოლიტეტრაფთორეთილენი) (teflon, тефлон) – თერმოპლასტიკური პლასტმასა, თეთრი ნივთიერება. ჩამოჰგავს პარაფინსა და პოლიეთილენს.

ტექნიკა (technique, техника) – ადამიანის საქმიანობის საშუალებათა ერთობლიობა, რაც ათავისუფლებს ადამიანს ფიზიკური და გონებრივი შრომისაგან.

ტექნიკური (technical, технический) – ტექნიკასთან, მის გამოყენებასთან დაკავშირებული.

ტექნიკური პირობები (specifications, технические условия) – ნაკეთობის, დეტალის, კონსტრუქციის, მასალისა და მისთ. დამზადებისათვის აუცილებელი პირობები, რომელიც პროდუქციის ხარისხს, ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებსა და მისი დამზადების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ტექნიკური პროექტი (technical project, технический проект) – ტექნიკური დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს პროექტის საბოლოო გადაწყვეტას.

ტექნოლოგია (technology, технология) – მზა პროდუქციის წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების მიღების, დამუშავების, ფიზიკური მდგომარეობის შეცვლისა და სხვა მოქმედებათა მეთოდების ერთობლიობა.

ტექნოლოგია ბეტონისა (concrete technology, технология бетона) – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ბეტონის მიღებისა (შედგენილობა, გამყარება, თვისებები, დანამატები და სხვ.) და ექსპლუატაციის პროცესებს.

ტექნოლოგიურობა (manufacturability, технологичность) – ნაკეთობის შესაბამისობა წარმოებისა და ექსპლუატაციის მოთხოვნებთან.

ტექსტოლიტი (textolite, текстолит) – ელექტროსაიზოლაციო კონსტრუქციული ფენოვან-ფურცლოვანი მასალა ბოჭკოვან ქსოვილზე, რომელიც გაჟღენთილია თერმორეაქტიული ფისით (ბაკელიტი, პოლიეთერი, ეპოქსიდი).

ტექსტურა (texture, текстура) – უპირატესი ორიენტაცია მარცვლებისა პოლიკრისტალში, მოლეკულებისა – მყარ სხეულში ან თხევად კრისტალებში, ნივთიერების აგებულების თავისებურება, რომელიც განპირობებულია მისი შემადგენელი ნაწილების, ფენების განლაგებით.

ტექტონიკა (tectonics, тектоника) – 1. არქიტ. შენობის ნაწილების, ურთიერთგანლაგებისა და მისი ფორმების, პროპორციების შეფარდების თავისებურებანი; 2. გეოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის მოძრაობასა და დეფორმაციებს და მათთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

ტეშენიტი (teshenite, тешенит) – ანალციმური გაბრო; სიდრმისეული ქანი, წითელი ფერის მოსაპირკეთებელი ქვა.

ტვირთამწევი მანქანა (lifting machine, грузоподъёмная машина) – მოწყობილობა ტვირთის ან ხალხის გადასაცვა-

ნად ვერტიკალურ ან დახრილ სიბრტყეზე (სატვირთო და სამგზავრო ლიფტი, ამწე, მანტური და სამშენებლო ამწე, საწევარა, ტალი, ტელფერი, მრავალჭადი, თვითმავალი ამწე და სხვ.).

ტვირთამწეობა (load capacity, грузоподъёмность) – სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა-მექანიზმების ძირითადი საექსპლუატაციო მახასიათებელი.

ტვირთბრუნვა (cargo turnover, goods turnover; грузооборот) – დროის ერთეულში გადაზიდული ტვირთის რაოდენობა.

ტვირთი (cargo, груз) – საგანი ან საგანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება გადატანას, გადაზიდვას, ტრანსპორტირებას.

ტვიფრა (punching; штампование, штамповка) – სხეულის ზედაპირზე (ლითონზე, მერქანზე და სხვ.) გამოსახულების, ნახატის, ნახჭის დატანის – ამოტვიფრის პროცესი.

ტიმპანი (tympanum, тимпан) – ფრონტონის თარაზულ და დახრილ ზოლურებს შორის მოქცეული ჩადრმავებული სამკუთხა ან მრუდხაზოვანი არე.

ტიოკოლი (thiokol, тиокол) – შავი ფერის ნახევრადსულფიდური სინთეზური კაუჩუკი, რომელსაც წარმატებით იყენებენ მეტალოპლასტიკის ფანჯრების მინაპაკეტების ჰერმეტიზაციისათვის, აგრეთვე შენობა-ნაგებობებში სხვადასხვა ტიპის ღრეჩოს, ნაპრალის, ბზარის ამოსავსებად.

ტიპიზაცია (typification, типизация) – მასობრივი მშენებლობისათვის გათვალისწინებული უნიფიცირებული ნაწილების, კომპლექსების, დეტალების ნომენკლატურის შედგენა და დაპროექტება.

ტიპური პროექტი (standard project, типовый проект) – საცხოვრებელი სახლის, საზოგადოებრივი ან სამრეწველო შენობის პროექტი, რომელიც უნიფიცირებულ კონსტრუქციებსა და არქიტექტუ-

რულ დეტალებზეა დაფუძნებული.

ტიტრია (titration, титрование) – ნაკეთობის (სხეულის) ზედაპირზე რაიმე ნახატიის დატანა.

ტიხარი (partition, septum; перегородка) – საძგიდე, ძგიდე; ოთახის სივრცის გამომყოფი კედელი, რომელსაც, კაპიტალური კედლისაგან განსხვავებით, კონსტრუქციული დატვირთვები არ გადაეცემა.

ტკუნა (rolling, укатка) – დაწოლით ან დარტყმით რისამე შემჭიდროება და მოსწორება.

ტკერი (wood chips, щепа) – სიგრძეზე ვიწროდ დაჭრილი თხელი ფიცრები.

ტოლი (tar paper, толь) – სახურავისა და კონსტრუქციების ჰიდროსაიზოლაციო მასალა, რომელიც მიიღება საბურულე მუყაოს გაუდენით ქვანახშირის ან ფიქალის კუპრით.

ტონაჟი (tonnage, тоннаж) – სატრანსპორტო საშუალებათა (ავტომობილი, ვაგონი, გემი, თვითმფრინავი და სხვ.) ტვირთმზიდაობა.

ტოპოგრაფია (topography, топография) – გეოდეზიის ნაწილი, რომლის ამოცანაა, კარტოგრაფიის უზრუნველყოფა მაღალი სიზუსტის გეოდეზიური საფუძვლის ბაზაზე შექმნილი მსხვილმასშტაბიანი რუკებით.

ტორკრეტბეტონი (shotcrete, торкретбетон) – ქვიშა-ცემენტის ნარევი დისპერსიული ჩანართებით, რომელთა მაქსიმალური ზომა არ აღემატება 8 მმ-ს და დასამუშავებელ ზედაპირზე დატანილია მაღალი წნევის ქვეშ.

ტორკრეტირება (shotcrete, filling; торкретирование) – სპეციალური პნევმატიკური აპარატის ან ცემენტსატყორცნის მიერ შეკუმშული ჰაერით მოწოდებული ცემენტის ხსნარის (ან ტორკრეტბეტონის) ფენის დატანა რაიმე ზედაპირზე.

ტორუსი (torus, торус) – არქიტექტურული ნატეხი (წარბი) – ნახევარწრიული განივკვეთის ამობურცული დეტალი,

რომელიც გამოიყენება სვეტის ბაზისის ქვედა ნაწილში.

ტორფი (peat, turf; торф) – მკვრივი მასა, წვადი სასარგებლო წიაღისეული, რომელიც წარმოქმნილია ჭაობის მცენარეების ლჰობის შედეგად, ჭარბი დანესტიანებისა და თითქმის უჰაერობის პირობებში.

ტრავერტინი (travertine, травертин) – ფორიანი, მცირე სიმკვრივის ნახევრადკრისტალური მყარი წვრილმარცვლოვანი ქანი, რომელიც წარმოიქმნება ცხელი ან ცივი მინერალური წყაროებისგან, კალციუმის კარბონატის (უფრო ხშირად არაგონიტის) დალექვის შედეგად.

ტრანსპორტი (transport, транспорт) – საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ახორციელებს მგზავრების, ტვირთის ან ინფორმაციის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანას.

ტრანსპორტიორი (კონვეიერი) (conveyor, транспортер) – დიდი სატრანსპორტო საშუალება ფხვიერი, დამსხვრეული ან საცალო ტვირთების გადასატანად, როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურ სიბრტყეში (დახრილად).

ტრანშეა (trench, траншея) – ვიწრო და გრძელი, საშუალო სიღრმის თხრილი, რომელსაც მრავალგვარი გამოყენება აქვს.

ტრანშეასათხრელი (არხსათხრელი) (trencher, траншеекопатель) – მოწყობილობა ან მანქანა სარწყავი, საწრეტი, სადრენაჟო არხების, ტრანშეების, კიუვეტებისა და ა.შ. მოსაწყობად.

ტრაპი (ladder, ramp; трап) – 1. წყლის მიმდები და გადამყვანი მოწყობილობა საკანალიზაციო ქსელში; 2. საჭიროებისამებრ მისადგმელი კიბე გემზე, თვითმფრინავზე.

ტრასა (track, трасса) – ხაზი, რომელიც აღნიშნავს რისამე (მაგ., გზის, არხის, მილსადენისა და მისთ.) მიმართულებას.

ტრასირება (tracing, трассирование) –

გზის, სარწყავი არხის, მილსადენის ან სხვა ხაზოვანი ნაგებობის დაპროექტება და გაყვანა ადგილზე.

ტრაქტორი (tractor, трактор) – თვითმავალი მანქანა, რომელიც განკუთვნილია მასთან მისაბმელი ან მასზე დაკიდებული მანქანა-იარაღების (მოწყობილობების) მოქმედებაში მოსაყვანად, საბიძგებლად, გამწეებად.

ტრევირა (ლავსანი) (trevira, тревира) – პლასტმასის ნაირსახეობა, რომელიც ცეცხლმედეგი პოლიესტერის ბოჭკოა და გამოიყენება ქსოვილების წარმოებაში.

ტრეილერი (trailer, трейлер) – მრავალღერძიანი ღია ან დახურული მისაბმელი, რომელსაც შორ მანძილებზე ტვირთის გადასაზიდად იყენებენ.

ტრიპლექსი (triplex, триплекс) – მინა, რომელიც შედგება გამჭვირვალე პლასტმასით (აფსკით, სპეციალური სითხით)

დაწებებული ორი ან სამი ფენისგან.

ტროსი (cable, трос) – თოკის, კანაფის, ბაგირის, ფოლადის მავთულის ან ბოჭკოვანი მასალისგან დამზადებულ ნაკეთობათა საერთო დასახელება.

ტრიტუარი (sidewalk, footway; тротуар) – ოდნავ შემადლებული საქვეითო გზა ქუჩის, მოედნის კიდეებზე, მოასფალტებული ან ქვის ფილებით დაფენილი.

ტუმბო (pump; насос, помпа) – ჰიდრომანქანა, რომელიც მიყვანილ ენერგიას გარდაქმნის სითხის ნაკადის ჰიდრავლიკურ (მექანიკურ) ენერგიად.

ტურბინა (turbine, турбина) – პირველადი ძრავა მუშა ორგანოს – როტორის ბრუნვითი მოძრაობით და უწყვეტი სამუშაო პროცესით; მუშა სხეულის (ორთქლი, აირი, წყალი) კინეტიკურ ენერგიას გარდაქმნის მექანიკურ ენერგიად.

უკოჭო გადახურვა (crossbarless ceiling, безригельное перекрытие) – სართულშუა ბრტყელი გადახურვა კოჭებისა და რიგელების გარეშე.

ულტრალამი (laminated veneer lumber, ультралам) – მაღალი სიმტკიცის ამერიკული წარმოების ერთგვაროვანი კომპოზიტური კონსტრუქციული მასალა (ფიცარი, ძელი, ფილა), რომელიც დამზადებულია 3 მმ სისქის ბუნებრივი მერქნის ანათალი შპონისგან.

ურბანიზაცია (urbanization, урбанизация) – მრეწველობისა და მოსახლეობის მსხვილ ქალაქებში თავმოყრის პროცესი.

ურბანისტიკა (urbanism, урбанистика) – არქიტექტურის დარგი, რომელიც სწავლობს თანამედროვე დიდი ქალაქების დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხებს.

ურიკა (cart, тележка) – თვლებიანი მომცრო საზიდარი (მაზიდა), რომელსაც ამოძრავებენ ხელით, რამეზე მიბმით ამ მასზე დადგმული ძრავათი.

ურნალი (pile driver, копёр) – სამშენებლო მანქანა სახიმინჯე უროს ან ვიბროჩამსობის ჩამოსაკიდად და მიმმართვე-

ლად, ჩასმისას ხიმინჯის მოსაჭიმად, ასაწევად და მიმმართველად.

როუ (ვარიოზი) (hammer, молот) – დიდი ჩაქუჩი.

უტილიზაცია (utilization, salvaging, waste recovery; утилизация) – ძირითადი ნედლეულის ნარჩენების კვლავ სასარგებლოდ გამოყენების პროცესი, რომელიც საშუალებას იძლევა უვარგისი ნარჩენებიდან კვლავ მივიღოთ სახალხო მეურნეობისათვის გამოსაყენებელი ნედლეული, მასალა, ენერჯია, ნაკეთობა და სხვ.

უცვლელი სისტემა (immutable system, неизменяемая система) – მექანიკური სისტემა, რომელშიც ცალკეულ ნივთიერ წერტილებს შორის მანძილი უცვლელი რჩება.

უძრავი საყრდენი (fixed support, неподвижная опора) – საყრდენი, რომელიც უზრუნველყოფს სხეულის ერთ წერტილში უძრავად ჩამაგრებას.

უწვავი მასალა (non-combustible material, негоряемый материал) – მასალა, რომელიც ცეცხლისა ან მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით არ ააღდება, არ დვითდება და არ ნახშირდება.

ფაბრიკა (factory, фабрика) – მანქანების გამოყენებაზე დაფუძნებული გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმო, სადაც ამა თუ იმ პროდუქციას აწარმოებენ.

ფაიფური (porcelain, china; фарфор) – ორგზის გამომწვარი და მოჭიქული მინარევიანი (მარმარილო, ცარცი და სხვ.) მკვრივი, წყალშეუღწევი მაღალხარისხოვანი თიხის მინერალური მასა, რომლისაგან სხვადასხვა სახის ნაკეთობა მზადდება.

ფალცი (фальц, фальц) – ფიცრის (ქვის და მისთ.) გაყოლებაზე ამოღარული ხაზი, რომელშიც იდება მასთან შემაერთებული დეტალის შვერილი; ნარიმანდი.

ფანერა (plywood, фанера) – მრავალფენიანი მერქან-ფენოვანი სამენი მასალა ფილის სახისა, რომელიც მზადდება ხის სპეციალური კენტი რაოდენობის შპონების შეწებებით.

ფანერა სამშენებლო (ფირფიცარი) (construction plywood, строительная фанера) – კონსტრუქციული, მრავალფენიანი, ქარხნული წესით დამზადებული ფურცლოვანი სამენი მასალა. შედგება კენტი რაოდენობის შპონების თხელი ფენებისაგან.

ფანკოილი (fancoil, фанкойл) – მარტივი დანადგარი, რომელიც შედგება გათბობისა და გაგრილების სითბოს მცვლელისა და ვენტილატორისგან.

ფანჩატური (alcove, ниша) – ფოთლების დერეფანი; საჩრდილობელი; ცოცხალი მცენარის ტოტებითა და ფოთლებით გადახურული მსუბუქი უკედლებო საბაღე ნაგებობა.

ფანჯარა (window, окно) – სარკმელი; შენობის კედელში დაყოლებული დიობი (სინათლისა და ჰაერისათვის), რომელშიც მომინული ჩარჩოა ჩასმული.

ფანჯრის ალათა (window cross casement, оконный переплет) – მინების დასამაგრებელი მოძრავი (ზოგჯერ უძრავი) კარკასი, რომელიც კედელში ჩამაგრებულ ჩარჩოში თავსდება.

ფანჯრის ფრთა (casement, оконная створка) – ასაწყობი ერთეული ჩარჩოვანი კონსტრუქციის ფანჯრის ბლოკისა, რომელიც ჩარჩოს უერთდება სახსრული ან მოსრიალე მაკავშირებლებით.

ფართობი არასაცხოვრებელი (living area, нежилищная площадь) – შენობის ის ნაწილი, რომელიც არ გამოიყენება საცხოვრებლად.

ფართობი სასარგებლო (effective area, полезная площадь) – საცხოვრებელი და დამხმარე სათავსების ფართობების ჯამი; ბინის საერთო ფართობი.

ფართობი საცხოვრებელი (living area, жилищная площадь) – 1. შენობის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად; 2. ბინის საცხოვრებელი ოთახების საერთო ფართობი.

ფარული სამუშაოები (hidden works, скрытые работы) – სამუშაოები, რომელთა შემოწმება ნატურაში შეუძლებელია მიმღები კომისიის მიერ შენობებისა და ნაგებობების ექსპლუატაციაში ჩაბარებისას (მაგ., არმატურის დაყენება მონოლითური რკ.ბ.-ის კონსტრუქციების მოწყობისას).

ფასადი (facade, фасад) – შენობის მთავარი მხარე, რომელიც, ჩვეულებრივ, ქუჩაში ან დია სივრცეში გამოდის.

ფაქტურა (texture, фактура) – 1. კედლის, ქერისა და სხვა არქიტექტურული ფორმის, ელემენტის, ასევე, მხატვრული ნაწარმოების (ფერწერა, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება და ა.შ.) ზედაპირის თავისებურება, აღნაგობა, ხილული აგებულება, დამუშავების ტექნიკა და სხვ.; 2. გამყიდველის მიერ მყიდველის სახელზე გამოწერილი და საქონლის ან მომსახურებისა და მათი ღირებულების ფაქტობრივი მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია საქონლის სახელწოდება, რაოდენობა, გასაყიდი ფასი და სხვ.

ფაცეტი (facet, фасет) – დაწახნაგებული

მინის გაპრიალებული ზედაპირი.

ფანვერკი (სათხელელი) (fachwerk, фахверк) – შენობის გრძივი დაბოლოების შემომზღუდავი სიბრტყის თვითმზიდი კარკასი (ხის, ლითონის, რკინაბეტონის), რომელიც ქარის დატვირთვას (ჰორიზონტალური დატვირთვა) გადასცემს შენობის ძირითად (გრძივ) კარკასს.

ფეთქებადსაშიში ობიექტი (explosive object, взрывоопасный объект) – ობიექტი, სადაც ინახება, გამოიყენება, მზადდება ან ტრანსპორტირდება ისეთი ნივთიერება, რომელსაც გარკვეულ პირობებში აქვს აფეთქების უნარი.

ფეთქვა (pulsing, пульсирование) – წვადი ნარევის ორთქლის ხანმოკლე აალება, რაც გამოწვეულია მასთან ღია ცეცხლის ან გავარვარებული საგნის შეხებით.

ფენა (bed, seam, stratum, formation; пласт) – 1. დახერხილი მასალის გრძივი განიერი მხარე; 2. ერთგვაროვანი ნივთიერების მასა, ზოლად გამილილი სხვა ნივთიერებათა შორის, ოღონდ მათგან განსხვავებული; შრე; 3. საბადოში, მადაროში სასარგებლო წიაღისეულის შრე.

ფენილი (boarding, pavement; настил) – გადახურვის კოჭებზე, ნივნივებზე, ლარტყაზე, ბალის ბილიკებზე, ტერასებსა და მისთ. მიჯრით დაწყობილი ფიცრები (ფიცარფენილი, ფიცარნაგი) ან ძელები (ძელჭერი).

ფენოლფორმალდეჰიდი (phenolformaldehyde, фенолформальдегид) – ფენოლისა და ფორმალდეჰიდის პოლიმერიზაციის პროდუქტი.

ფენოპლასტი (phenoplast, фенопласт) – პლასტიკური მასალა (ტექსტოლიტი, მინატექსტოლიტი, აზბოტექსტოლიტი, გეტინაქსი, ფენოქაფპლასტი, ფიჭაპლასტი) დამზადებული ფენოლფორმალდეჰიდური ფისების ფუძეზე.

ფერადი ლითონები (non-ferrous metals, цветные металлы) – რკინისა და მისი ჯგუფის ელემენტების გარდა ყველა

ლითონის სამრეწველო სახელწოდება (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ალუმინი, თუთია და ა.შ.).

ფერდო (მთის კალთა) (chamfer; откос, слон) – 1. მდინარის, მთის, ნაკეთობის, დეტალისა და მისთ. დაქანებული გვერდი; 2. არქიტექტურული ნატენი, სიბრტყის კიდეზე სიმეტრიულად დახრილი ზედაპირი; შენობის ფასადის ან ინტერიერის გრძივი ელემენტი (კარნიზი), რომელსაც ზედა მხრიდან აქვს ქანობი (ჩამონათალი).

ფთორპლასტი (ფთორლონი) (fluoroplast, фторопласт) – ფთორის შემცველი პოლიმერების ტექნიკური დასახელება.

ფიბრა (fibre, фибра) – მასალა წვრილი ბოჭკოების ან ვიწრო ზოლების სახით, რომელიც გამოიყენება ბეტონის ან პლასტმასის კონსტრუქციების დისპერსიული დაარმირებისათვის.

ფიბრობეტონი (fibrous concrete, фибробетон) – ახალი კონსტრუქციული მასალა, დაარმატურებული წვრილი არაორგანული ან ორგანული ბოჭკოებით – ფიბრათი, რომელიც თანაბრადაა განაწილებული ბეტონის მოცულობაში.

ფიბროლითი (fibreboard, fibre mat; фибролит) – მერქნის წვრილი ნარჩენების, ქიმიური დანამატებისა და მაგნეზიური შემკვრელისგან შედგენილი საშენი მასალა.

ფიბროცემენტი (fibrocement, фиброцемент) – საშენი მასალა, რომლის შედგენილობაში შედის ცემენტი (80-90%), მარმირებელი ფიბრა (ბოჭკო) და მინერალური შემკვრელები.

ფითხი (putty knife, pallet; шпатель) – 1. ნაკვერცხლის ასაღები რკინის ნიჩაბი; 2. საგოზავი ნივთიერება; 3. ინსტრუმენტი ბრტყელი და ფართო ბლაგვი პირით, რომელიც გამოიყენება ნივთიერებების შესარევადა და ზედაპირზე დასატანად.

ფილა (plate, slab; плита) – მკვრივი მასალა, რომელსაც დიდი ბრტყელი ზედაპირი აქვს.

ფილა თხელი (thin tiles, тонкая плитка) – ფილა, რომლის სისქე 5-ჯერ ან მეტად მცირეა მის მალთან შედარებით, რომლის გასწვრივაც აღიძვრება მაქსიმალური მდუნავი მომენტი.

ფილა კოჭური (beam slab, балочная плита) – ფილის სახეობა, რომელიც დაყრდნობილია ოთხივე კიდით და მიმდებარე გვერდების სიგრძეთა შეფარდება 2:1-ზე მეტია.

ფილა მღფ (medium density fibreboard, MDF; плита МДФ) – მერქანბოჭკოვანი ფილა საშუალო სიმკვრივისა; დამზადებულია დაწნეხით წვრილდისპერსიული ხის ფქვილისაგან მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში.

ფილა ხის ორიენტირებული (OSB) (oriented strand board, плита деревянная ориентированная) – ხის ფილა, დამზადებულია გრძელი ბურბუმელასგან (ხის ნაჭრებისგან), რომლის სისქე 0,6 მმ-მდეა, სიგრძე – 140 მმ-მდე.

ფილაქანი (flagstone, плитняк) – სუფთად გათლილი ქვის ფილა იატაკის დასაგებად; თვით ასეთი იატაკი.

ფილაქვა (slab stone, плитный камень) – თხლად, ფილის სახით გათლილი ქვა, რომელიც გამოიყენება საფასადე მოსაპირკეთებელ მასალად, ბილიკების, ფილაქნების, ტერასებისა და მისთანათა მოსაწყობად.

ფილტრატი (filtrate, фильтрат) – დასალევიად ვარგისი მიწისქვეშა წყალი; ბუნებრივად ან ხელოვნურად გაფილტრული (ფილტრში გატარებული) სითხე.

ფილტრაცია (filtration, filtering; фильтрация) – სითხეების ან აირების მოძრაობა ფორებიან გარემოში.

ფილტრაციის ველი (filter field, поле фильтрации) – ტერიტორია ჩამდინარი წყლების ბიოლოგიური გაწმენდისათვის.

ფილტრაციის კოეფიციენტი (filtration coefficient, коэффициент фильтрации) – ფილტრაციის სიჩქარე ჰიდრაულიკური

გრადიენტის გათვალისწინებით, რომლის სიდიდე მიიღება ≤ 1 .

ფილტრი (filter, stainer; фильтр) – ფორებიანი მოწყობილობა სითხიდან ან აირიდან მინარევებისა და მყარი ნაწილაკების მოსაცილებლად.

ფინი (layer, ledge; пласт) – ჰორიზონტალური მორი ან სქელი ძელი, განლაგებული ნივნივების მართობულად (გადახურვაში) ან სათავსის იატაკის განივად მასზე შეფიცვრის მოსაწყობად; ნახევარმორი.

ფირფიტა (plate, пластинка) – კონსტრუქციული ელემენტი, რომლის ერთი ზომა (სისქე) გაცილებით ნაკლებია დანარჩენ ორ ზომაზე (სიგრძე, სიგანე).

ფირფიტა თხელი (thin plate, тонкая пластинка) – ფირფიტა, რომლის სისქე არ არის მისი ფუძის უმცირესი განზომილების 1/5 -ზე მეტი (თუ 1/5 -ზე მეტია, მას ფილა ეწოდება).

ფირფიტა სქელი (thick plate, толстая пластинка) – ფირფიტა, რომლის სისქე იმავე რიგისაა, როგორც სხვა განზომილება.

ფისი (resin, смола) – ქვანახშირის, ტორფის, ხის კუპრის გამოხდის ნარჩენი.

ფიუჟენი (fusion, фьюжн) – თანამედროვე სტილისტიკათა შორის ყველაზე ახალი მიმართულება არქიტექტურასა და დიზაინში.

ფიქალი (shale, сланец) – ბრტყლად გათლილი და სუფთად დამუშავებული წვრილმარცვლოვანი ქვა.

ფიქსატორი (retainer, фиксатор) – სამონტაჟე მოწყობილობა, რომელიც ზღუდავს კონსტრუქციის ელემენტის მდგომარეობას დასაშვებ საზღვრებში ერთი ან ორი მიმართულებით.

ფიქსაცია (fixation, фиксация) – რაიმეს დამაგრება განსაზღვრულ მდგომარეობაში, რაც ხორციელდება სპეციალური ფიქსატორების საშუალებით, მაგ., გადამრთველით ან აწყობის ფიქსატორით. გვხვდება მანქანის გადაცემათა

კოლოფშიც.

ფიქსერი (fixer, фиксер) – ბიტუმ-პოლიმერული ცივი მასტიკა რბილი კრამიტის დასაწებებლად დიდქანობიან სახურავზე.

ფიცარი (board, plank; доска) – დახერხილი ხის მასალა, რომლის სიგანე ორჯერ და უფრო მეტად ჭარბობს მის სისქეს.

ფიცარფენი (reeling, накат) – ფიცარნაგი; მიჯრით დალაგებული ფიცრებით შექმნილი ზედაპირი.

ფიჭაპლასტი (იზომაუმი, ჰიათერმი, სტიროფორი) (honeycomb, сотопласт) – მასალა, შედგენილი რეგულარულად განმეორებადი გამჭოლი უჯრედებისგან, რომლებიც მიმართულია პანელის ან ფილის ზედაპირის მართობულად.

ფლიგელი (outbuilding, флигель) – საცხოვრებელი სახლის გვერდითი მინაშენი.

ფლინტგლასი (ფლინტი) (flintglass; флинтглас, флинт) – ერთგვარი ტყვიანაშემცველი ოპტიკური მინა, რომელსაც ახასიათებს სინათლის გარდატეხის დიდი კოეფიციენტი.

ფლუგარი (weather vane, флюгарка) – ბრტყელი სასუნთქი დეტალი სახურავის სავენტილაციო მილყელებისათვის.

ფლუგერი (vane, флюгер) – მეტეოროლოგიური ხელსაწყო, რომელიც უჩვენებს ქარის მიმართულებასა და სიჩქარეს.

ფლუსი (flux, флюс) – ნივთიერება (უმეტესად ნარევი) ორგანული ან არაორგანული წარმოშობისა, რომელიც გამოიყენება შედუღების პროცესში შესადუღებელი ლითონის ნაკეთობის ზედაპირიდან მჟანგავი ქიმიური ელემენტების მოსაცილებლად, ზედაპირული დაჭიმულობის მოსახსნელად, თხევადი სარჩილის განდენადობის გასაუმჯობესებლად და შედუღების ადგილის დასაცავად ატმოსფერული ზემოქმედებისაგან.

ფოიე (foyer, фойе) – თეატრში, კინოსა

და მისთ. – დარბაზი, სადაც იმყოფება მაყურებელი სანახაობის დაწყებამდე და შესვენებებს შორის.

ფოლადბეტონი (ლითონბეტონი) (reinforced concrete, сталебетон) – სპეციალური ცვეთამდეგი ბეტონი, რომელიც მზადდება პორტლანდცემენტზე კვარცის ქვიშის, ლითონის ბურბუმელისა და ნაქლიბის ნარევის დამატებით.

ფოლადი (steel, сталь) – რკინის, ნახშირბადისა და სხვა ელემენტების შენადნობი.

ფოლადი არალეგირებული (unalloyed steel, нелегированная сталь) – ფოლადის სახეობა, რომელსაც გამოდნობის პროცესში არ ემატება სხვა ელემენტები.

ფოლადი დამასკოსი (damascus steel, дамасская сталь) – ფოლადის სახეობა თვალთ შესამჩნევი ზედაპირული არაერთგვაროვნებით, უმეტესად ნახჭისა და ლაქების სახით, რომელიც მიიღება სხვადასხვა მეთოდით.

ფოლადი თბომდგრადი (heat resistant steel, теплоустойчивая сталь) – ჰეტეროგენული სტრუქტურის საკონსტრუქციო მცირედ ლეგირებული ფოლადის სახეობა, რომელიც სითბოსადმი მდგრადობით გამოირჩევა.

ფოლადი ინსტრუმენტული (tool steel, инструментальная сталь) – მაღალი სიმაგრის, სიმტკიცისა და ცვეთამდეგობის ფოლადი სხვადასხვა ინსტრუმენტის ან მისი სამუშაო ნაწილის დასამზადებლად.

ფოლადი კოროზიამდეგი (stainless steel, коррозионностойкая сталь) – მარტენსიტული, ფერიტული, აუსტენიტური ან შუალედურსტრუქტურებიანი კლასის ლეგირებული ფოლადი, რომელიც 11,7-30% ქრომს შეიცავს.

ფოლადი ლეგირებული (alloy steel, легированная сталь) – ფოლადი, რომელსაც საექსპლუატაციო და ტექნოლოგიური თვისებების გასაუმჯობესებლად დამატებული აქვს მალეგირებელი ელემენ-

ტები.

ფოლადი მაღალი სიმტკიცის (high strength steel, сталь высокая прочности) – ფოლადის სახეობა, რომლის დროებითი წინაღობა გაგლეჯაზე 1500 ნ/მმ²-ს აღემატება.

ფოლადი მცირედ ლეგირებული (low alloy steel, сталь низколегированная) – ლეგირებული ფოლადის სახეობა, რომელშიც მალეგირებელი ელემენტების ჯამი 2,5%-ზე ნაკლებია.

ფოლადი მხურვალმედეგი (heat resistant steel, жаростойкая сталь) – ფოლადი, რომლის მედეგობა აირულ გარემოში ზედაპირული კოროზიული რევევის მიმართ 550°C-ზე მეტია და მუშაობა უხდება დაუტვირთავ ან ნაკლებად დატვირთულ მდგომარეობაში.

ფოლადი ნაწრთობი (hardened steel, закаленная сталь) – ნახშირბადოვანი ფოლადის სახეობა, რომელიც გამოიყენება ინსტრუმენტებისა და მანქანათა მძიმე დეტალების დასამზადებლად. ასეთი ფოლადის მისაღებად ნახშირბადოვანი ფოლადი ცხელდება მაღალ ტემპერატურამდე და იწრთობა ცივ წყალში ან მარილხსნარში.

ფოლადი ნახშირბადუხვი (high carbon steel, высокоуглеродистая сталь) – ფოლადი, რომელშიც ნახშირბადის შემცველობაა 0,6-2%.

ფოლადი პრეციზიული (precision steel, прецизионная сталь) – უზვალეგირებული ფოლადის ნაშადი მოცემული მაგნიტური, ელექტრული, ფიზიკური და ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით.

ფოლადი საარმატურე (reinforcing steel, арматурная сталь) – ნახშირბადიანი ან მცირედ ლეგირებული საკონსტრუქციო ფოლადის სახეობა, რომელშიც ნახშირბადის შემცველობა არ აღემატება 0,4%-ს.

ფოლადი საკონსტრუქციო (structural steel, конструкционная сталь) – ფოლა-

დის სახეობა, რომელსაც აქვს განსაზღვრული მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური თვისებები. გამოიყენება სამშენებლო კონსტრუქციების, მანქანათა დეტალების, მექანიზმების, კონსტრუქციების დასამზადებლად.

ფოლადი ცივნაჭიმი (cold rolled steel, холоднокатаная сталь) – ცივი აღიდვის მეთოდით მიღებული ფოლადი.

ფოლადფიბრობეტონი (steel fiber reinforced concrete, сталефибробетон) – ბეტონი, დისპერსიულად დაარმირებული ფოლადის ბოჭკოებით – ფიბრებით, რომელიც საშუალებას იძლევა, მივიღოთ ახალი კომპოზიტიური მასალა, თვისებრივად განსხვავებული ბეტონმატრიცისაგან.

ფოლნვა (backlash, lost motion, люфт) – გადახრა, დაცილება ფიქსირებული მდგომარეობიდან, რაც იწვევს დეტალების, ლილვების, დერძების, კბილანების ე.წ. თამაშს შეერთებასა და მოდებამში.

ფორიანობა (porosity, пористость) – მასალის ფორების მოცულობის ფარდობა მასალის საერთო მოცულობასთან.

ფორმალდეჰიდი (formaldehyde, формальдегид) – ორგანული ნაერთი, უფერო აირი მკვეთრი სუნით; ჭიანჭველმკვას ანჰიდრიდი.

ფოროპლასტი (foam plastic, пенопласт) – მუქი ფერის ფოროვანი თბოსაიზოლაციო მასალა.

ფოსფორიტი (phosphorite, фосфорит) – ჯდენადი მთის ქანი, ბოჭკოვანი აპატიტის სახეობა, რომელიც ძირითადად შედგება წვრილკრისტალური ფოსფორის მინერალებისაგან.

ფრამუგა (fanlight, transom; фрамуга) – კარ-ფანჯრის თავზე მოთავსებული საგდულიანი ელემენტი მოძრავი ფრთის გაღებით ან გაღება-გადმოკიდებით.

ფრაქტალი (fractal, фрактал) – გეომეტრიული ობიექტი არასწორი, ტენილი ან ფრაგმენტული ფორმისა, რომელიც

წარმოქმნილია განმეორებადი სტრუქტურით, როგორც წესი, იტერაციის პროცესში.

ფრაქცია (fraction, фракция) – ფხვიერი ან დამსხვრეული მყარი საშენი მასალის ნაწილი (მაგ., ქვიშის, ღორღისა), რომელიც ნაწილაკების (ნაჭრების, მარცვლების) ზომის მიხედვით არის გაცალკეებული (საცრული ანალიზი) ან სიმკვრივის მიხედვით დაჯგუფებული (გრავიტაციული გამლიდრება).

ფრეზი (სატარავი, ფრეზა) (milling cutter, mill; фреза) – სატარავი.

ფრიზა (frieze, фриза) – გარკვეულ ზომაზე დაჭრილი მერქნის ნაშაბადი ცალობრივი პარკეტის დასამზადებლად.

ფრიზი (frieze, фриз) – კლასიკური ანტაბლემენტის შუა ჰორიზონტალური ნაწილი, რომელიც მოქცეულია არქიტრავსა და კარნიზს შორის.

ფრიქციული გადაცემა (friction gear, фрикционная передача) – მექანიკური გადაცემა, რომელიც ბრუნვით მოძრაობას ერთი ლილვიდან მეორეს გადასცემს ხახუნის მეშვეობით.

ფსიქრომეტრი (psychrometer, психрометр) – ხელსაწყო ჰაერის ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის გასაზომად.

რისა და ფარდობითი ტენიანობის გასაზომად.

ფუნდამენტი (foundation, фундамент) – საძირკველი.

ფუნიკულიორი (funicular, фуникулер) – ქანობიან რელიეფზე მოწყობილი საბაგრო რკინიგზა, რომელზეც ვაგონები მოძრაობენ საბაგრო წევით.

ფურნიტურა (fittings, фурнитура) – დამხმარე მასალა რაიმე წარმოებაში, სახელოსნო საქმეში.

ფურცელსაღური მანქანა (plate bending machine, листогибочная машина) – მანქანა ლითონის ფურცლების (ზოლების) გადასაღუნად და გასასწორებლად მბრუნავ ლილვებს შორის მათი გატარებით.

ფურცელი (sheet, лист) – ლითონის, მუყაოს, ფანერის, პლასტმასის ან მინის ბრტყელი ფართო ნაჭერი.

ფურცლოვანი კონსტრუქციები (metal constructions, листовые конструкции) – ფურცლოვანი ლითონისაგან დამზადებულ-შესრულებული კონსტრუქციები.

ფუძე (the foundation; основа, основание) – რისამე საყრდენი; საძირკველი, საფუძველი.

ქალაქთმშენებლობა (town planning, градостроительство) – ქალაქგანვითარება; ურბანული განვითარება.

ქალაქი (city, town; город) – მსხვილი და სახლებული პუნქტი, რომელიც ასრულებს სამრეწველო, სატრანსპორტო, სამეურნეო, კულტურულ, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

ქანი (breed, порода) – ღედამიწის ქერქის ამგები მინერალური მასალა (მკვრივი ან ფხვიერი), რომელიც ქმნის დამოუკიდებელ გეოლოგიურ სხეულს.

ქანობი (pitch, скат, уклон) – ფერდობის დახრის მაჩვენებელი – ადგილის სიმაღლის ფარდობა დაკვირვების ჰორიზონტალურ სიგრძესთან.

ქანობიანი სახურავი (pitched roof, скатная крыша) – სახურავი, რომელსაც აქვს 10% -ზე მეტი დახრა.

ქანქარა (pendulum, маятник) – მყარი სხეული, რომელიც მოდებული ძალის ზემოქმედებით ასრულებს რხევას უძრავი წერტილის ან ღერძის გარშემო.

ქანჩი (nut, гайка) – ლითონის სამაგრი ნაკეთობა ხრახნიანი შუაგულით, რომელიც ქმნის შეერთებას ხრახნის, ჭანჭიკის ან სარჭის დახმარებით.

ქანჩის გასაღები (gas spanner, гаечный ключ) – ხელის ინსტრუმენტი ქანჩებისა და ხრახნების ჩახრახნისა და ამოხრახნისათვის.

ქარგილი (circled, кружало) – თაღოვანი ან კამაროვანი კონსტრუქციის ამოსაყვანად აღმართული დამხმარე მოწყობილობა, რომელიც იმეორებს ამოსაყვანი ფორმის ზედაპირის სიმრუდეს, სადაც ქვების ან ბეტონის ჩასაწყობი ყალიბების წარმომქმნელი შეფიცვრა თავსდება.

ქარხანა (factory, завод) – სამრეწველო საწარმო, სადაც წარმოების მექანიზებული პროცესები ხორციელდება; ძირითადად ამზადებს წარმოების საშუალებებს.

ქაფბეტონი (foam concrete, пенобетон) –

უჯრედოვანი ბეტონი, რომლის ფორიანი სტრუქტურა მიიღება მთელ მოცულობაში არსებული ჩაკეტილი ფორებით (ბუშტულებით), რომელიც ჩნდება ნარევის გამყარებით; მასში ცემენტის, ქვიშისა და წყლის გარდა, შედის ქაფწარმომქმნელიც.

ქაფი (foam, пена) – უჯრედოვანი დისპერსიული სისტემა, რომელიც სითხის თხელი შუაშრებით გაყოფილი აირის ბუშტულების ერთობლიობაა.

ქაფპლასტი (foam plastic, пенопласт) – ზემსუბუქი, ეფექტური თბოსაიზოლაციო კონსტრუქციული მასალა.

ქაფჩა (მალა) (trowel; мастерок, лопата) – ხელის ინსტრუმენტი, ორმხრივ გახეხილი ფოლადის ნიჩაბი, მოღუნული ხის ან პლასტმასის სახელურით.

ქვასამსხვრევი (stone crusher, камнедробилка) – დანადგარი, რომელშიც ხდება ინერტული საშენი მასალის (ხრეში, რიყის ქვა, ლოდები, კლდის ნამსხვრევები და სხვ.) დამსხვრევა.

ქვაფენილი (stone pavement, каменная мостовая) – ქვით მოკირწყლული ქუჩის მყარი საფარი.

ქვაყორე (rubble stone, бытовой камень) – ქვებისა და ლოდების მოწესრიგებული გროვა, რომელიც ქვის ღობის ასაგებად გამოიყენება.

ქველი (pauline, подина) – კონსტრუქციის, დგანის, დანადგარის ქვედა, საყრდენი ნაწილი.

ქვესადგური (substation, подстанция) – სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი ნაგებობა, რომლის დანიშნულებაც რაიმეს მიღება და შემდეგ მისი განაწილებაა.

ქვის კონსტრუქციები (stone structures, каменные конструкции) – შენობისა და ნაგებობის ნაწილები (საძირკველი, კედელი, გადახურვა, კამარა, თაღი, ზღუდარი, საკვამლე მილი და სხვ.), რომელიც, როგორც წესი, აგებულია ადგილობრივი ბუნებრივი ნედლეულისგან (რიყის

ქვა, ფიქალი, გრანიტი, მარმარილო, გნეისი, გაბრო, ბაზალტი, ჰემზა და სხვ.).

ქვის წყობა (stonework, каменная кладка) – წყობა, რომელიც შედგება გარკვეული წესით დალაგებული (გადაბმული) ქვებისა ან აგურებისაგან.

ქვიმა (სილა) (sand, песок) – წვრილნამსხვრევი ფხვიერი მთის დანალექი ქანი, რომელიც შედგება 0,1-3,5 მმ ზომის კვარცის, კირქვის, დოლომიტის, მინდვრის შპატისა და ქარსის მარცვლებისაგან.

ქვიმა კარიერისა (quarry sand, карьерный песок) – დედამიწის წიაღში ღია წესით მოპოვებული ბუნებრივი გაუსუფთავებელი ქვიმა, რომელსაც აქვს ფხვიერი სტრუქტურა მოყვითალო შეფერილობით.

ქვიმა კვარცისა (თეთრი ქვიმა) (quartz sand, кварцевый песок) – საშენი მასალა, რომელიც მიიღება რძისფერ-თეთრი ქვიმის დაფქვით.

ქვიმა მდინარისა (river sand, речной песок) – შეუცვლელი საშენი მასალა, რომელსაც მოიპოვებენ მდინარის კალაპოტში და ასუფთავენ გარე მინარევისა და ქვებისგან.

ქვიმაბეტონი (sand concrete, пескобетон) – წვრილმარცვლოვანი ბეტონი, რომლის შედგენილობაში შედის წვრილი შემავსებელი (ქვიმა) და შემკვრელი მასალა.

ქვიმასაჭერი (sandbox, песколавка) – გამ-

წმენდი ნაგებობა – რეზერვუარი, კანალიზაციის სისტემაში ჩამდინარი წყლებიდან მექანიკური მინარევების, ძირითადად ქვიმის გამოსაცალკავებლად (გამოსაყოფად).

ქვიმაქვა (sandstone, песчаник) – ნატეხი დანალექი მთის ქანი – შეცემენტებული ქვიმა.

ქლიბი (file, напильник) – ნაჭდევიანი ფოლადის ძელაკი, რომლითაც ლითონს ფხევენ.

ქსილოლითი (xylolite, ксилолит) – მტკიცე, დრეკადი საშენი მასალა, ხელოვნური ქვა, დამზადებული მერქნის ნახერხისაგან, რომელიც შეკრულია მაგნეზიური შემკვრელი ნივთიერებით.

ქურო (clutch, муфта) – მართებელი მოწყობილობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ლილვებს, მილებს, ბაგირებს, კაბელებსა და ა.შ.

ქუსლი (heel, пята) – 1. სვეტის, კამარის ან თალის საყრდენი ნაწილი; 2. არქიტექტურული ნატეხი, რომელიც შედგება ამოზნექილი და ჩაზნექილი რკალებისაგან. პირდაპირი (ამოზნექილი რკალი ზევით) გამოიყენება კაპიტულებსა და კარნიზებში, ხოლო შექცეული (ამოზნექილი რკალი ქვევით) – სვეტის ბაზისებსა და ცოკოლებში.

ქუჩა (street, улица) – განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებული საზოგადოებრივი სივრცე, განკუთვნილი ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის გადაადგილებისათვის.

ღარაკი (quirk, канавка) – მცირე ღარი.

ღარვა (milling, фрезирование) – ლითონებისა და სხვა მასალის მექანიკური ჭრით, კვეთით დამუშავება, რომელიც სრულდება საღარავის (ფრეზის) დახმარებით.

ღარი (tray, лоток) – ხეში, ქვაში, ბეტონში, ლითონსა და ა.შ. ამოღებული სიგრძივი ჩაღრმავება.

ღაროვნობა (swarm, ройка) – ხის ტანის დამახასიათებელი მანკი, რომელიც ხის ძირის ნაწილში გრძივი ჩაღრმავებაა.

ღერო (ძელი) (kernel, стержень) – სხეული, რომელიც მიიღება ბრტყელი ფიგურის (მუდმივი ან ცვალებადი ფართობის) მოძრაობისას იმ პირობით, რომ ფიგურის სიმძიმის ცენტრი მოძრაობს რაიმე წირის გასწვრივ და ფიგურის სიბრტყე, რომელსაც ეწოდება ღეროს (ძელის) განივი კვეთი, რჩება ამ წირის მართობული.

ღეროვანი სისტემა (rod system, стержневая система) – მზიდი კონსტრუქცია, რომელიც შედგება კვანძებში ერთმანეთთან ხისტად ან სახსრულად შეერთებული წრფივი ან მრუდწირული ღეროებისაგან.

ღეროს გრეზა (rod torsion, кручение стержня) – ღეროს განივი კვეთის დეფორმაციისა და დაძაბულობის მდგომარეობა, როდესაც შიგა ძალებით შექმნილი წყვილძალა მოთავსებულია კვეთის სიბრტყეში.

ღველი (belt, ремень) – მოქნილი ტყავის ან ქსოვილის მოგრძო და ვიწრო ანაჭერი.

ღველური გადაცემა (belting, ременная передача) – გადაცემის სახეობა, რომელიც გამოიყენება ამძრავებში ბრუნვითი მოძრაობის გადასაცემად.

ღობე (fence, забор) – ყრუ ზღუდე, როგორც წესი, ადამიანის სიმაღლეზე მეტი; განსაკუთრებული ადგილის შემოსაკავებელი სხვადასხვა სახის კედელი.

ღობე ბეტონისა (concrete fence, бетон-

ный забор) – ღობის სახეობა, მოწყობილი რკ.ბ.-ის პანელებისაგან. ასეთი ღობეები რამდენჯერმე ეკონომიურია აგურისა და ლითონისგან დამზადებულ ანალოგიურ ღობეებთან შედარებით, ადვილი დასამონტაჟებელია, იაფია მათი ექსპლუატაცია და სხვ.

ღობე გადასაადგილებელი (adjustable fence, переставной забор) – სპორტულ ნაგებობებში ან ადამიანების თავშეყრის ადგილებში გამოყენებული ლითონის გადასატანი კონსტრუქცია, ხალხის ნაკადის მიმართულების შესაცვლელად.

ღობე მსუბუქი (light fence, легкий забор) – მიწაში ჩარჭობილ ხის სარებზე ან ჩაბეტონებულ ლითონის დგარებზე გადაჭიმული მავთულის ბადის ან ხის მესერის კონსტრუქცია ორი ტერიტორიის ერთმანეთისგან გასამიჯნად.

ღობე სტაციონარული (stationary fence, стационарный забор) – ლენტურ საძირკველზე აშენებული ქვის, აგურის, ბეტონის ან ლითონის სტაციონარული კედელი, გაძლიერებული იმავე მასალის სვეტებისაგან, როგორც წესი, ადამიანის სიმაღლეზე მეტი, რომლის გადაადგილება (გადაწევა-გადმოწევა) შეუძლებელია.

ღობე ქვისა (stone fence, каменный забор) – შესაბამის საძირკველზე აშენებული ყორე ქვის, აგურის, ბეტონის ბლოკების კედელი, გაძლიერებული იმავე მასალის სვეტებით.

ღორღი (rubble, щебень) – არაორგანული მარცვლოვანი, ფხვიერი მასალა, რომლის მარცვლების (ნამსხვრევების) ზომაა 3-70 მმ (ევროპული სტანდარტების მიხედვით). მიიღება მთის ქანების (გრანიტი, დიაბაზი, ქვიშაქვა, კირქვა, დოლომიტი) ან არაკონდიციონირებული ნარჩენების (აგურის ლეწი, ნაყარი წიდა, აგლოპორითი, პერლიტი) მექანიკური მსხვრევით ყბებიან ან სხვა ტიპის ქვასამსხვრევებში.

ლოჯი (chisel, зыбило) – ლითონის ან ქვის დასამუშავებელი სარტყამ-საჭრელი წაგრძელებული ინსტრუმენტი, რომელსაც ერთ ბოლოზე წამახვილებული მჭრელი პირი აქვს, ხოლო მეორეზე – ჩაქუჩის, სანგის, პერფორატორისა და მისთ. სარტყამი თავი.

ღრეჩო (gap, зазор) – კონსტრუქციების (ელემენტების) ორ მოსაზღვრე ზედაპირს შორის არსებული ვიწრო შუალედი (მანძილი).

ღრუ (hollow, пустотелый) – 1. სიცარიელე ამა თუ იმ საგნის შიგნით; 2. სიცარიელის შემცველი საგანი.

ღუმელი (печь, печь) – მოწყობილობა, რომელშიც სათბობის წვის ან ქიმიური რეაქციის (ზოგჯერ ელექტრული ენერჯიის გარდაქმნის) შედეგად გამოიყოფა სითბო, რომელიც გამოიყენება მასალების სითბური დამუშავებისათვის.

ღუნვა (bend, изгиб) – დეფორმაციის სახე, რომლის დროსაც ხდება სწორი ძელის ღერძის გამრუდება ან მრუდი ძე-

ლის ღერძის სიმრუდის ცვლილება.

ღუნვა განივი (transverse bend, поперечный изгиб) – ღუნვის სახეობა, როდესაც ელემენტის ღუნვა ხდება განივი ძალებისა და მღუნავი მომენტების ერთობლივი მოქმედებით.

ღუნვა გრძივი (buckling, продольный изгиб) – ღუნვის სახეობა, როდესაც ღუნვა ხდება სწორი ძელის ღერძის გასწვრივ მოდებული გრძივი მკუმშავი ძალების მოქმედებით.

ღუნვა ირიბი (oblique bend, косой изгиб) – ღუნვა, რომელსაც წარმოქმნის ძელის ღერძზე გამავალი და განივკვეთის ყველა მთავარ სიბრტყეს აცდენილი გარე ძალები; ღუნვა, რომლის დროსაც მღუნავი მომენტის ვექტორი არ ემთხვევა ღეროს განივი კვეთის ინერციის არც ერთ მთავარ ცენტრალურ ღერძს.

ღუნვა სუფთა (pure bend, чистый изгиб) – ძელის ღუნვა, რომლის დროსაც განივი ძალა ნულის ტოლია და არსებობს მხოლოდ მღუნავი მომენტი.

ყავარი (lath, дранка) – თხელი და ვიწრო ფიცარი, რომელიც გამოიყენება სოფლის სახლის ქანობიან სახურავზე ბურულის მოსაწყობად.

ყალაური (lighthouse, маяк) – მოწყობილობა კედლებში ბზარების განვითარებაზე თვალყურის სადევნებად – ორგანული მინის, თაბაშირის ან ალუბასტრის ნალესი, რომელიც ფარავს ბზარის ორივე კიდეს.

ყალიბი (formwork, опалубка) – მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება რაიმე ნაკეთობისათვის გარკვეული ფორმის მისაცემად.

ყვავილწნული (გირლანდა) (garland, гирлянда) – ერთმანეთში ჯაჭვივით ჩაწნული ყვავილები, ფოთლები ან ტოტები, რომლებითაც დღესასწაულებზე რთავენ ოთახებს, შენობებსა და სხვ.

ყველგანმავალი (all-terrain vehicle, вездеход) – მაღალი გამავლობის ავტომობილი მძიმე საგზაო პირობებში (უგზოობა, ჭაობი, თოვლი და სხვ.) ექსპლუატაციისათვის.

ყვინთა (plunger, плунжер) – წყალგაყვანილობის არმატურაში დასარეგულირებელი სარქველის ჩამკეტის მოძრავი მარეგულირებელი ელემენტი, რომლის

გადაადგილებით იცვლება მილის გამტარუნარიანობა.

ყინვამდეგობა (frost resistance, морозостойкость) – მასალის თვისება, წყლით გაჟღენთილმა გაუძლოს გაყინვა-გალახობის მრავალჯერად ციკლს დაშლის ნიშნებისა და სიმტკიცის მნიშვნელოვანი კლების გარეშე.

ყორე (but, бут) – უკიროდ და უტალახოდ ნაგები ქვის კედელი – ზღუდე, მიჯნა.

ყორე ქვა (ყორე) (rubble stone, бытовой камень) – ქვის უწესო ფორმის მსხვილი ნამსხვრევები, რომელთა წიბოს სიგრძე 150-500 მმ-ია.

ყორებეტონი (rubble concrete, бытобетон) – კედლის წყობა პლასტიკური ბეტონით, რომელშიც ჩართულია 15-20% მსხვილი ქვები.

ყრილი (mound, насыпь) – ნაყარი გრუნტი.

ყრუ ჩუქურთმა (deaf ornament, глухой орнамент) – არაგამჭოლი ბრტყელრელიეფური 1-2 სმ სიღრმის ჩუქურთმა ხის ნაკეთობის ზედაპირზე.

ყუა (hunchback; горбина, оных) – 1. მჭრელი იარაღის ბლაგვი მხარე; 2. მორის გასაპობად სოლის ჩასარჭობი ხის ურო.

ყურწი (eye, проушина) – ნახვრეტი ამა თუ იმ საგანზე რისამე გასაყრელად.

შაბერი (scraper, шабер) – ცალი მხრიდან წამახვილებული, მართკუთხა ან სამკუთხა ფოლადის ძელაკის ფორმის საზეინკლო იარაღი სახელურით.

შაბლონი (sample, шаблон) – ნიმუში, რომლის მიხედვითაც ამზადებენ ერთნაირ ნაკეთობებს.

შავი ლითონები (black metals, черные металлы) – რკინისა და რკინის შენადნობების ტექნიკური სახელწოდება.

შავი ნიშნული (black mark, черная отметка) – მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის რელიეფის ნიშნულები პროექტით გათვალისწინებული მიწის სამუშაოების ჩატარებამდე.

შალაშინი (jointer; фуганок, цыпубель) – ხის პირის მოსასწორებელი სადურგლო (სახუროე) ხელის იარაღი, რომელიც მზადდება მერქნის ან ლითონისაგან.

შამოტი (fireclay, шамот) – გამომწვარი ცეცხლგამძლე თიხა ან კაოლინი, რომელსაც დაკარგული აქვს შეკავშირებული წყალი და განსაზღვრული ხარისხით – შეცხოების უნარი.

შანდორი (sandor, шандор) – ლითონის, რკ.ბ.-ის ან ხის ფარი, რომელიც გამოიყენება წყალგამშვები ნახვრეტების გადასაკეტად ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში, სარწყავ, დასაშრობ, გამწყოლოვანებულ და სხვ. სისტემებში.

შასი (chassis, шасси) – მიწისზედა სატრანსპორტო საშუალების (ავტომობილი, თვითმცლელი, ცისტერნა, ფურგონი და სხვ.) გადაბმულობის, სავალი ნაწილისა და მართვის მექანიზმების აგრეგატების აწყობილი კომპლექტი, განთავსებული სატრანსპორტო საშუალების ჰორიზონტალურ ჩარჩოზე.

შახტი (mine, шахта) – 1. შემოზღუდული სივრცე, რომელიც ვრცელდება შენობის ერთ ან მეტ სართულზე და აკავშირებს თანამიმდევრული იატაკების ან იატაკებისა და სახურავების შვეულ დიობებს; 2. სამთო მრეწველობის საწარმოო ერთეული, რომელიც ახორციელებს მიწის-

ქვემა სამუშაოებს სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად.

შებრუნებული ნიჩაბი (უკუნიჩაბი) (backhoe, return bucket; обратная лопата, обратный ковш) – ერთციცხვიანი (ერთჩამჩიანი) ექსკავატორის მოწყობილობა მცირე ქვაბულებისა და თხრილების ამოსაღებად, რომელიც ჩვეულებრივ მდებარეობს იმ მოედნის ქვეშ, რომელზეც ის იმყოფება. ამგვარ ექსკავატორს ციცხვი მიმართული აქვს მანქანისაკენ და მუშაობს "თავისკენ".

შედგენილი ღერო (composite rod, составной, стержень) – ღეროვანი კონსტრუქციის ელემენტი, რომელიც შედგება რამდენიმე ღეროსგან (შტოსგან), რომლებიც ერთმანეთთანაა შეერთებული ფირფიტების ან გისოსის მეშვეობით და ქმნის მთლიან განიკვეთს.

შელუღება (welding; сварка, сваривание) – ლითონის კონსტრუქციული ელემენტების, მანქანის ნაწილების, ნაგებობათა დაუშლელი შეერთების მიღების პროცესი ატომთშორისი კავშირების დამყარებით შესაერთებელ ნაწილებს შორის, რაც მიიღწევა მათი ადგილობრივი გახურებით, პლასტიკური დეფორმაციით ან ორივეს ერთდროული მოქმედებით.

შეერთება (compound, соединение) – ნაკეთობის დამზადების პროცესი დეტალების, კვანძების ან აგრეგატებისგან მათი ფიზიკური გაერთიანებით (შეერთება, დაკავშირება, გადაბმა, შეკავშირება, შემჭიდროება, შეუღლება, შეთავსება, შეთანხმება, შეხამება) ერთ მთლიანად.

შევერი (shaver, шавер) – მრავალპირიანი ლითონსაჭრელი ინსტრუმენტი კბილებიანი ბორბლის (დისკოს) ან ძელის სახით, რომლის საჭრელი პირები განლაგებულია კბილების გვერდით ზედაპირებზე.

შეზეთვა (lubricant, смазка) – დეტალების მოხახუნე ზედაპირებს შორის შემზეთი მასალის მიწოდება.

შეკიდებული გზა (კიდული გზა) (suspension road, подвесная дорога) – ასაწევ-გადასაადგილებელი სატრანსპორტო ნაგებობა შეკიდული ბაგირებით ან მონორელსებით, რომლებიც განლაგებულია საყრდენებზე მიწის ზედაპირიდან ზევით.

შელესვა (მოხატვა) (plaster, штукатурка) – ნაგებობის ზედაპირზე სამშენებლო ხსნარით შექმნილი მოსაპირკეთებელი შრე, რომელიც ასწორებს ზედაპირს და გარე გავლენისაგან იცავს კონსტრუქციას.

შემვსები (შემავსებელი) (aggregate, заполнитель) – ბეტონის შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი – ნამსხვრევი ქვა, ნამსხვრევი წიდა, წყლით დაგლუვებული ხრეში, მდინარის ქვიშა, ღორღი, სილიკატები, მარმარილოსა და გრანიტის ნამსხვრევები, ლითონის ბურბუშელა და სხვ.

შემზღუდველი (limiter, ограничитель) – დეტალზე, კონსტრუქციაზე, ნაკეთობაზე დაყენებული მოწყობილობა, რომელიც აკონტროლებს მათ მოძრაობას.

შემთხვევითი სიდიდე (random value, случайная величина) – სიდიდე, რომელიც შემთხვევის შესაბამისად იღებს ამა თუ იმ მნიშვნელობას გარკვეული ალბათობით.

შემკვრელი (astringent, вяжущий) – პოლიმერი, რომელიც ბუნებრივი ან ხელოვნური სინთეზური მასალაა, რომელიც პლასტმასის საფუძველია.

შემკვრევა (seal, уплотнение) – ბეტონის ნარევის გამყარება ბეტონის ან რკინაბეტონის ნაკეთობების დაყალიბების პროცესში.

შემკოჭი (საანკერო კოჭი) (puff, затяжка) – კამარის ქვედა საყრდენების დამაკავშირებელი ძელი (ბაგირი, ფოლადის პროფილი) ჰორიზონტალური განმბჯენი ძალის მისაღებად.

შემოგოზვა (coating, обмазка) – ნაკეთობის დაცვის მიზნით მისი ზედაპირის (ან

ზედაპირის ნაწილის) დაფარვის პროცესი სპეციალური ცომისებრი ნივთიერებით.

შემოვლება (stroke, оводка) – მოწყობილობა ნაგებობის დაკვალვისათვის ნატურაში. შედგება მიწაში ჩასობილი ვერტიკალური ძელაკებისა და მათზე ჰორიზონტალურად მიმაგრებული ძელაკების ან ფიცრებისაგან, რომელიც მოწყობილია შენობის პერიმეტრის გარეთ.

შემოკირვა (ამოკირვა) (bricking, омурование) – თბოსაიზოლაციოდ ქვების, მილის, კვამლსადენის გარემოცვა აგურით.

შემონაკირწყლი (სარინელი) (tiling, замощение) – წყალუქონადი საფარველი შენობის ირგვლივ – ბეტონის, ასფალტის, ხის ან ქვის დახრილი ზოლი შენობის პერიმეტრზე.

შემოსვა (შემოფიცვრა) (sheathing, ошивка) – ფიცრებით, ლითონის ფურცლებითა და მისთ. შედგენილი თხელი კედელი, რომელიც მაგრდება კარკასზე ან შენობის სხვა ნაწილზე ერთი ან ორი მხრიდან.

შემრევი (mixer, смеситель) – სტაციონარული ან მობილური მოწყობილობა, რომლის მეშვეობით რამდენიმე კომპონენტიანი ტექნოლოგიური პროცესით მიიღება ერთგვაროვანი მასა.

შემჭიდროება (seal, уплотнения) – 1. დეტალების, მანქანათა ნაწილების ან ორი სისტემის ჰერმეტიკული ან რაიმე ხარისხით დაცული შეერთების პროცესი; 2. სიგანეში ელემენტების შეერთება; 3. ფიცრების, ფენილების შეერთების ტიპი.

შენადნობი (alloy, сплав) – ორი ან მეტი ქიმიურად ინდივიდუალური კომპონენტის ნადნობის გამყარების შედეგად მიღებული სხეული.

შენაზარდი (joint, стыок) – ხის მანკი, შეზრდილი ქრილობა, რომელსაც თანსდევს გრძივი დრეჩო (ნაპრალი, ჭვრიტე, ხვრელი), შვსებული ქერქისა და მკვდარი ქსოვილების ნარჩენებით.

შენატყლეუი (dent, вмятина) – ჩაღრმავება ხის მასალის ზედაპირზე, რომელიც წარმოიქმნა მერქნის ადგილობრივი თელვის შედეგად.

შენალარი (ენდოვა) (groove, разжелобок) – ჩაღრმავება, შექმნილი დახრილი სახურავის ორი მოსაზღვრე ქანობის გადაკვეთით; დარი წყლის დაშვებისათვის.

შენაჭერი (broke, влом) – ელემენტის კვეთი; კონსტრუქციის შეკიბული ნაწილის თარაზული სიბრტყე (მაგ., საძირკვლისა და კედლის საზღვარზე).

შენახვადობა (persistence, сохране-
мость) – ნაკეთობის, მოწყობილობის, კონსტრუქციის თვისება, შეინარჩუნოს (მოცემულ ფარგლებში) დადგენილი პარამეტრები, ხარისხის მაჩვენებლები.

შენება (build; строить, построение) – რაიმეს აგება, აშენება.

შენობა (building, здание) – მშენებლობის შედეგი, რომელიც არის მოცულობითი სამშენებლო სისტემა, აქვს მიწისზედა და/ან მიწისქვეშა ნაწილები, რომლებიც მოიცავს საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის ქსელებსა და სისტემებს და გამიზნულია ადამიანების საცხოვრებლად, წარმოების განსათავსებლად, პროდუქციის შესანახად, ცხოველებისა და ფრინველების მოსათავსებლად და სხვ.

შენობა მაღალსართულიანი (elevated building, здание повышенной этажности) – შენობა 11-16 სართულით.

შენობა დაბალსართულიანი (low-rise building, малоэтажное здание) – 1-2 სართულიანი შენობები, რომლებშიც ძირითადად განთავსებულია სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, მაღაზიები, ადმინისტრაციული დაწესებულებები, საავადმყოფოები, კლუბები, კინოთეატრები, ბიბლიოთეკები და სხვ.

შენობა მაღლივი (high building, высотное здание) – 1. 16 და მეტსართულიანი შენობა; 2. შენობა, რომლის მოხმარებადი იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის

მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23 მ-ზე მაღლა.

შენობა საშუალოსართულიანი (mid-rise building, среднеэтажное здание) – 3-5 სართულიანი შენობა.

შენობის გაშენების ფართობი (building area, площадь застройки здания) – შენობის ყველა სართულის ფართობების ჯამი.

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე (constructive number of storeys of the building, конструктивная высота здания) – შენობის სიმაღლე, რომელიც აითვლება ერთი შენობის ძირითადი კონსტრუქციის საძირკვლის ქვედა ნიშნულიდან (ხიმინჯების სიმაღლის გამოკლებით მათი არსებობის შემთხვევაში) ბოლო სართულის გადახურვის ზედაპირის ნიშნულამდე.

შესქელება (thickening, гущение) – ნარევიდან მყარი ნაწილაკების დალექვით თხევადი ფაზის გამოყოფის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს სიმძიმის ან ცენტრიდანული ძალების მოქმედებით.

შეტივტივება (weighing, взвешивание) – კომპონენტების შერევა მექანიკური ან კომბინირებული (მექანიკურად და შეკუმშული ჰაერით) მეთოდით მყარი ნაწილაკების დალექვის საწინააღმდეგოდ თხევად გარემოში.

შეუსაბამობა (absurdity, несуразность) – დადგენილ მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

შეფიცვრა (filing, подшивка) – ხის კონსტრუქციებით გადახურული შენობის სათავსის ქერი, რომელიც აწყობილია ხის მზიდი კონსტრუქციების ქვედა სარტყელზე მიღურსმნული თხელი ფიცრებით.

შედწევადობა (permeability, проницаемость) – მყარი ტანის უნარი, თავის შიგნით გამჭოლად გაატაროს სითხე ან აირი.

შეყინვა (freezing, смерзание) – დატენიანებული ფხვიერი მასალების ერთ დიდ

მონოლითად შეერთება უარყოფითი ტემპერატურის გავლენით.

შექიდება (clutch, сцепление) – ბეტონის კავშირი არმატურასთან რკ.ბ.-ის ნაკეთობების წარმოების დროს.

შველერი (channel, швеллер) – ლითონის გაგლინული სტანდარტული პროფილის კონსტრუქციული ელემენტი კედლითა და ერთ მხარეზე გამოშვერილი თაროებით.

შვეული არქიტექტურული სტილი (vertical architectural style, вертикальный архитектурный стиль) – მესამე, ყველაზე მეტად გამორჩეული ინგლისური სტილი (XIV-XVI საუკ.) სამ ბრიტანულ გოტიკურ სტილებს შორის, რომელსაც ახასიათებდა ხაზების მკაცრი შვეულობა და ჰორიზონტალურობა, დიდი ფანჯრები, წიბოვანი და მარაოსებრი კამარები.

შიბერი (channel, ширер) – მილგაყვანილობის არმატურა, საკვალთი, რომელიც გამოიყენება მილში გამავალი სითხის (აირის) რაოდენობის დასარეგულირებლად.

შიგსახრახნი (tap, метчик) – ლითონსაჭრელი იარაღი, რომელიც გამოიყენება ნაკეთობის შიგნით კუთხვილის მოსაჭრელად.

შინუაზრი (chinoiserie, шинуазри) – XVIII საუკუნის ჩინური სტილის არქიტექტურის ევროპული ინტერპრეტაცია, რომელსაც ახასიათებდა სასახლეებში დარბაზებისა და კაბინეტების, აგრეთვე საბაღე და საპარკე პავილიონების მორთვა-მოკაზმვა.

შიფერი (tap, шифер) – აზბესტცემენტის ან თიხის დაპროფილებული საშენი მასალა სახურავისათვის. იშვიათად გვხვდება ბრტყელი ფურცლოვანი სახითაც, რომელსაც იყენებენ მოსაპირკეთებელი სამუშაოებისთვის. აზბესტცემენტის შიფერი გამოყენება ამჟამად აკრძალულია, რადგან მის შედგენილობაში შედის ამფიბოლური აზბესტი, რომელიც შეიცავს კანცეროგენულ ნივთიერებებს.

შიხტა (charge, шихта) – საწყისი მასალეობის ნარევი განსაზღვრული პროპორციით, რომელსაც იყენებენ გადამუშავებისათვის მეტალურგიულ, ქიმიურ და სხვ. აგრეგატებში.

შკანტი (dowel, шкант) – წრიული განივკვეთის კოტა წებოს მეშვეობით ჩასმული ხის დეტალის შესაბამის ბუდეში.

შკივი (pulley, шкив) – ფრიქციული ბორბალი, რომელიც გამოიყენება ბაგირის მოძრაობის მიმართულების შესაცვლელად (მიმმართველი შკივი) ან წვევის ძალის გადასაცემად (ამძრავი შკივი).

შლაგბაუმი (barrier, шлагбаум) – ბერა; ხერგილი; გზის ჩასაკეტი მოწყობილობა, რომელიც, ჩვეულებრივ, ეწყობა რკინიგზისა და გზატკეცილის გადაკვეთაზე, განსაზღვრული მნიშვნელობის ობიექტების შესასვლელთან და ა.შ.

შლანგი (hose, шланг) – რეზინის ან სხვა მასალის მოქნილი მილი სითხის ან აირის გასატარებლად, შესაწოვად და სხვ.

შმალტა (სმალტა) (schmalt, шмалта) – ლაჟვარდოვანი (ლურჯი) საღებავი, მიღებული კობალტის მადნისგან (თიხამიწისა და კობალტის ჟანგის ნარევი).

შნევი (screw, шнек) – ხრახნული კონვეიერი.

შორენკეცი (tile, изразец) – ჭიქურით დაფარული დეკორატიული ფილა.

შოსე (highway, шоссе) – მყარსაფარიანი ფართო გზა, რომელზეც მოძრაობს ურელსო ტრანსპორტი; გზატკეცილი, შარაგზა.

შპალერი (wallpaper; обой, шпалера) – 1. ქარხნული წესით დამზადებული გობელენი; 2. გასხლული ბუჩქნარის ან ხეების რიგი ბილიკის გასწვრივ.

შპალი (განძელი) (sleeper, шпала) – ხის, რკინაბეტონის ან ლითონის ძელი, რომელსაც გარდიგარდმო აგებენ რკინიგზის ვაკისზე რელსების საყრდენად.

შპატელი (putty knife, шпатель) – ფოლადის ფირფიტა საღებავის გასაქნე-

ლად და წასასმელად; იგივე მასტინინი.
შპატი (spar, шпат) – მინერალი, რომელიც დარტყმის შედეგად იპოება ორი ან მეტი მიმართულებით სახვადასხვა ფორმისა და ზომის გეომეტრიულ ფიგურებად (მაგ., მინდვრის შპატი).

შპინგალეტი (latch, шпингалет) – ფანჯრის ან კარის საკეტი გასაწევ-გამოსაწევი გულანით.

შპონი (veneer, шпон) – მერქნის (ბუნებრივი) ან სხვა მასალის (სინთეზური) თხელი ფენა (0,1-10 მმ), რომელიც, როგორც წესი, გადაეკრება ხის ან სხვა მასალის უხეშ ზედაპირს.

შპრენგელი (sprengel, шпренгель) – ღეროებით შედგენილი დამხმარე კონსტრუქცია.

შპუნტი (tongue, шпунт) – 1. ფიცრის სიგრძეზე დატანებული შვერილი ან კილო მეორე ფიცართან შესაერთებლად; ნარანდი; 2. ფოლადის ღარისებრი პროფილი მომრგვალებული კიდეებით ან რკინაბეტონის ცილინდრული ფორმის ხიმინჯოვანი კონსტრუქცია შემომზღუდავი ან გრუნტის წყლების მოდინების საწინააღმდეგო კედლის მოსაწყობად.

შპური (hole, borehole; шур) – მთის ქანში 75 მმ-მდე დიამეტრისა და 5 მ-მდე სიგრძის გაბურღილი ცილინდრული ღრუ ასაფეთქებელი ნივთიერების მუხტის მოსათავსებლად და სხვა მიზნისათვის.

შრე (layer, слой) – ერთგვაროვანი ნივთიერების მასა, რომელიც ზოლადაა გაშლილი სხვა ნივთიერებათა შორის და მათგან განსხვავებულია; ფენა.

შრობა (drying, сушка) – თბომასამიმოცვლითი პროცესი სითხის მოსაცილებლად მყარი და თხევადი ნივთიერებიდან ან მათი ნარევიდან აორთქლების მეშვეობით.

შრომატევადობა (laboriousness, трудоемкость) – სამუშაო დროის აუცილებელი დანახარჯი გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე ან განსაზღვრული მოცუ-

ლობის სამუშაოს შესრულებაზე.

შტიფტი (pin, штифт) – პატარა ცილინდრული ან კონუსური ღერო, რომელსაც იყენებენ მანქანის რომელიმე ორი დეტალის უძრავად შესაერთებლად.

შტრიფსი (strip, штрипс) – ლითონის ზოლი ნაკეთობის სახით, რომელიც გამოიყენება შენადული მილების, საკაბელო პროდუქციის, მავთულის, თაბაშირმუყაოს პროფილების, პლასტმასის ფანჯრების დაარმირებული პროფილების დასამზადებლად, აგრეთვე ხის გადამამუშავებელ მრეწველობასა და ლითონის ნაკეთობათა საწარმოებში.

შუაკედლისი (partition, простенок) – ღიობებს შორის მოქცეული კედლის ყრუ ნაწილი.

შუასადები (pad, strip; прокладка) – წნევის ქვეშ მომუშავე ძრავას, აპარატისა და ხელსაწყოს დასაშლელი ნაწილის ჰერმეტიზაციის დეტალი, რომელიც მზადდება უფრო რბილი მასალისაგან, ვიდრე შეუღლებული ზედაპირები.

შუბლური ჭლობა (fishing cut, лововая вырвка) – შეერთების სახეობა, რომელიც შეკუმშული ელემენტიდან ძალა გადაეცემა უშუალოდ მეორე ელემენტს ყოველგვარი მუშა კავშირის გარეშე.

შუნგიზიტბეტონი (shungizite concrete, шунгизитобетон) – მსუბუქი ბეტონი, რომელშიც შემესებად გამოყენებულია სხვადასხვა ფრაქციის შუნგიზიტის ხრეში ან ღორღი.

შუნგიზიტი (shungizite, шунгизит) – რუსული ხელოვნური ფოროვანი მასალა, რომელიც მიიღება შუნგიტის შემცველი ქანების გამოწვით.

შურუპი (screw, шуруп) – სჭვალი.

შურფი (pit, шурф) – მიწის ზედაპირიდან ამოღებული 1-3 მ სიღრმის ჭა (ორმო), შენობის საძირკვლის ძირის დასათვალიერებლად და გრუნტის სინჯის ასაღებად.

შუქტექნიკა (lighting engineering, светотехника) – სამეცნიერო-ტექნიკური მი-

მართულება, რომელიც სწავლობს სინათლის თვისებებს, მისი გამოყენების შესაძლებლობებსა და პრინციპებს, აგრეთვე სინათლის მიღების ახალ ალტერნატიულ წყაროებს.

შუქფარანი (სანათური) (light lantern, световой фонарь) – სათავსის ზედა შუქით განათების მიზნით მოწყობილი, შენობის გადახურვის სიბრტყიდან მკვეთ-

რად გამოყოფილი შემინული ნაწილი, რომელსაც აქვს 1-2 მ-მდე სიმაღლის დიობები განათებისა და ვენტილაციისათვის.

შხეფსაცივარი (cooling tower, градирня) – სპეციალური კოშკური ნაგებობა ან მოწყობილობა ატმოსფერული ჰაერით დიდი რაოდენობის ცხელი წყლის გასაცივებლად.

ჩაანკერება (anchoring, анкерование) – კონსტრუქციის (ელემენტის) საყრდენზე მიმაგრება.

ჩაზნექილობა (concavity, вогнутость) – შიგნით ჩაზნექილი სფეროსებრი ზედაპირი, მაგ., ჩაზნექილი ლინზა (საპირისპიროა ამოზნექილობა).

ჩაკერვა (stitching, расшивка) – სამუშაო ოპერაცია აგურის ან ქვის წყობის პირის (ფასადის) ნაკერისათვის ამობურცული ან ჩაზნექილი ფორმის მისაცემად.

ჩალანგარი (ხეაგური) (fachwerk, фахверк) – მცირესართულიანი შენობის ხის კარკასი, რომელიც შედგება დგარების, ირიბნებისა და შემოსაკრავების სისტემისაგან, რომელიც შევსებულია ქვით, აგურით, თიხითა და მისთ.

ჩალიჩი (tourniquet, жгут) – თასმების, თივისა და მისთანათგან დაგრეხილი თოკი.

ჩამდინარი წყლები (wastewater, sewage; сточные воды) – წყლები, რომლებიც გამოიყენება საყოფაცხოვრებო ან საწარმოო მოთხოვნილებებისთვის და რომლებიც შეიცავენ დამატებით მინარევებს.

ჩამიწება (grounding, заземление) – წინასწარგანზრახული ელექტროშერთება ქსელის რაიმე წერტილის ან ელექტროდანადგარისა დამამიწებელ მოწყობილობასთან (მიწასთან).

ჩამონაჭერი (pruning, обрезка) – ლითონის, ხის, პლასტმასის ან სხვა რაიმე ნამზადის მოჭრილი, საღი ან დეფექტიანი ბოლო.

ჩამოსხმა (casting, отливка) – ნაკეთობის (სხმულის) დამზადების პროცესი სხვადასხვა მასალისაგან (ლითონი, პლასტმასი, კერამიკა, სამთო ქანები და სხვ.).

ჩამჩა (ციცხვი) (ladle, scoop, dipper; ковш) – მცირე ზომის ციცხვი, რომლითაც აღჭურვილია ჩამჩიანი ამწეს (ნორია), მრავალციცხვიანი მიწასაწოვების, დრაგების ელევატორები და სხვ.

ჩანა (კოსოური) (stringer, косоур) – კიბის დეტალი, დახრილი მზიდი კოჭი, რო-

მელსაც საფეხურები ეყრდნობა ზემოდან ან უერთდება გვერდიდან.

ჩანართები (inclusion, включение) – ლითონებში, შენადნობებში, პლასტმასებში, კომპიზიტებში, მინასა და მისთ. თხევადი ან მყარი სახის უცხო ნაწილაკები.

ჩანახერხი (notch, надпил) – ხერხით ან ხერხუნათი გაკეთებული მცირე ზომის ჭრილი.

ჩანგალი (fork, вилка) – სამაგრი დეტალი მოღუნული მავთულის ან ზოლის სახით.

ჩარჩო (frame, рама) – ღეროვანი სისტემა, რომლის ელემენტები ყველა ან ზოგიერთ კვანძში ხისტადაა ერთმანეთთან შეერთებული.

ჩარჩო-ხერხი (sawmill, пилорама) – ხის საჭრელი დანადგარი ძელებისა და მორების სიგრძეზე დასახერხად.

ჩარხი (დაზგა) (machine, станок) – სხვადასხვა მასალის დასამუშავებელი მანქანა (აგრეგატი, მექანიზმი) ან მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება სამრეწველო საწარმოებში.

ჩასატანებელი დეტალები (embedded details, закладные детали) – ლითონის დეტალები ანაკრები და მონოლითური რკ.ბ.-ის კონსტრუქციების დამზადებისა და მონტაჟისათვის.

ჩაქუჩი (კვერი) (hammer, молоток) – ხელის იარაღი დარტყმითი სამუშაოებისათვის.

ჩაქუჩი კაშკაროვისა (kashkarov's hammer, молоток кашкарова) – ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება არამრღვევი მეთოდით ბეტონის ან მონოლითური რკინაბეტონის ნაკეთობების სიმტკიცის განსაზღვრისათვის.

ჩაქუჩი ფიზდელისა (fizdel's hammer, молоток физделя) – ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება არამრღვევი მეთოდით (პლასტიკური დეფორმაციის მიხედვით) ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრისათვის.

ჩაქური შბიტისა (სკლერომეტრი) (schmidt hammer, молоток шмидта) – ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება არამრღვევი მეთოდით ბეტონის (სამთო ქანების) სიმტკიცის განსაზღვრისათვის.

ჩაქური ხისა (ურატა, საბეგველი) (wooden hammer, деревянный молоток) – მაგარი ჯიში მერქნისაგან (მუხა, წიფელი, რცხილა, თელა, კოპიტი) დამზადებული დარყმითი ინსტრუმენტი მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის საცემელათი.

ჩაღრუება (countersinking, зенкование) – დეტალის დამუშავება კონუსური ან ცილინდრული ჩაღმავების მიღების მიზნით.

ჩაღუნვა (deflection, прогин) – ნაკეთობაზე წერტილების გრძივი გადაადგილება მღუნავი ძალის მოქმედების მიმართულებით.

ჩაღუნვის ისარი (sag, стрела прогиба) – ღუნვადი კონსტრუქციული ელემენტის

(კოჭი, წამწე, რიგელი და სხვ.) ღერძის მაქსიმალური გადაადგილება გარე ძალის ზეგავლენით ამ ღერძისადმი მართობული მიმართულებით.

ჩაჯდომა (shrinkage, усадка) – ვერტიკალურად ქვევით მიმართული კუმშვითი დეფორმაცია, რომლის დროსაც გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები მკვეთრად იცვლება.

ჩილერი (chiller, чиллер) – სამაცივრო დანადგარი (მანქანა), რომლის მეშვეობით ხდება სითხის (წყალი, მარილხსნარი) გაცივება.

ჩინკვეჩენტო (cinquecento, чинквеченто) – XVI საუკუნის იტალიური დასახელება, რომელიც კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში გამოიყენება იტალიური ხელოვნების აღორძინების დასაყოფად და მოიცავს პერიოდს მათალი აღორძინების ბოლოსა და გვიან აღორძინებას შორის.

ცათამბჯენი (multistorey building, небоскреб) – ძალიან მაღალი შენობა ფოლადის ან რკინაბეტონის კარკასზე, რომელიც შეიძლება იყოს საცხოვრებელი ან საოფისე დანიშნულებისა (არანაკლებ 150 მ სიმაღლისა).

ცალკე მდგომი შენობა (detached building, отдельно стоящее здание) – ერთსართულიანი შენობა, მიწის დონის ქვედა სართულისა და დაბალი სივრცის გარეშე, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, სამეურნეო საქმიანობისათვის, საწყობად და სხვ.

ცალკე სახლი (separate house, отдельный дом) – კომფორტული, ხშირად ერთ- ან ორსართულიანი მრავალბინიანი ქალაქური საცხოვრებელი სახლი ერთი ოჯახისათვის.

ცალული (yoke; clamp, clip; хомут) – ერთგვარი შემაერთებელი, დამაკავშირებელი დეტალი, სალტე.

ცანგა (collet, цанга) – ლითონსაჭრელი ჩარხის ნაწილი – დასამუშავებელი მასალის ან ინსტრუმენტის დასაჭერი მოწყობილობა.

ცარგი (drum of siding steel, цара) – 1. დოლი, დამზადებული ფურცლოვანი ფოლადისაგან, რომლისაგან აგებენ საკვამლე მილების, ღუმლების, საშრობებისა და სხვა ცილინდრული ნაკეთობებისა და ნაგებობების კორპუსებს; 2. ჩარჩო, რომელიც აერთებს (კრავს) მაგიდის ან სკამის ფეხებს.

ცელოფანი (cellophane, целлофан) – ცელულოზის რეგენერირებით მიღებული თხელი გამჭვირვალე ფურცლოვანი (ან ბოჭკოსებრი) მასალა, რომელიც ხასიათდება წყლის, ზეთის, ცხიმის, ჰაერის, ბაქტერიების დაბალი გამტარობით.

ცელულოზა (cellulose, целлюлоза) – მერქნის ნაფოტების ხარშვით მიღებული, გრძელი ძაფისებრი, თეთრი, მაგარი, მდგრადი ნივთიერება.

ცელულოიდი (celluloid, целлулоид) – ცელულოზას ნიტრატზე დაფუძნებული

მაგარი, პლასტიკური, ადვილად აალებადი პლასტმასა, რომლის შედგენილობაში შედის პლასტიფიკატორი და პიგმენტი.

ცემენტატორი (cementer, цементатор) – დანადგარი, რომელიც გამოიყენება ცემენტაციის გზით შენობა-ნაგებობათა საძირკვლის ქვეშ ფუძეთა გასამაგრებლად.

ცემენტაცია (cementation, цементация) – გრუნტის გამაგრების მეთოდი, რომელიც ხორციელდება გრუნტში ინექტორით ცემენტის ხსნარის შეშვებით.

ცემენტბურბუშელოვანი ფილა (cement particle board, цементно стружечная плита) – ჩვეულებრივ ჰირობებში მერქნის დაწნეხილი ბურბუშელას, დანამატის, წყლისა და პორტლანდცემენტისაგან დამზადებული საშენი მასალა.

ცემენტი (cement, цемент) – მინერალური ჰიდრავლიკური შემკვრელი მასალების დიდი ჯგუფის კრებისთი სახელი.

ცემენტი გაფართოებადი (expanding cement, расширяющийся цемент) – ცემენტი, რომელიც მიიღება პორტლანდცემენტის (69-75%), ნახევარწყლიანი თაბაშირისა (9-11%) და სპეციალური სულფოალუმინატური დანამატის (16-20%) საფუძველზე.

ცემენტი მუჟავამძლე (acid-resistant cement, кислотоупорный цемент) – ცემენტის სახეობა, მიღებული კვარცის ქვიშისა (92-96%) და ნატრიუმფთორსილიკატის წმინდა დაფუძვით. ცემენტის აღუდაბება ხდება თხევადი მინით.

ცემენტი ნეფელინური (nepheline cement, нефелиновый цемент) – ჰიდრავლიკური ცემენტი, რომელიც შედგება დაქუცმაცებული ნეფელინის შლამის, გამყარების აქტივიზატორისა (პორტლანდცემენტი ან კირი) და თაბაშირისგან.

ცემენტი პუცოლანიანი (nepheline cement, пуццолановый цемент) – კრებისთი სახელწოდება იმ ცემენტების ჯგუ-

ფისა, რომელთა შედგენილობაში არანაკლებ 20% აქტიური მინერალური დანამატებია.

ცემენტი სორელისა (sorel cement, цемент сореля) – მაღალი სიმტკიცის მაგნიზიური ცემენტი, დამზადებული მაგნიუმის ჟანგის შერევით მაგნიუმის ქლორიდის წყლის კონცენტრირებულ ხსნართან.

ცემენტი სულფატმედეგი (sulfate resistant cement, сульфатостойкий цемент) – ცემენტის სახეობა, რომელიც მდგრადია სულფატური აგრესიის მიმართ.

ცემენტი ჰიდროფობული (hydrophobic cement, гидрофобный цемент) – შემკვრელი ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება წვრილად დაფქული პორტლანდ-ცემენტის კლინკერის შერევით თაბაშირთან და ჰიდროფობულ დანამატებთან (ასიდოლი, მილონაფტი, ოლეინმჟავა და სხვ.).

ცემენტის აღლუბება (cement mixing, затворение цемента) – ცემენტის შერევა წყალთან.

ცემენტის აქტიურობა (cement activity, активность цемента) – სტანდარტული ცემენტის ღუღაბისგან დამზადებული და სტანდარტულ პირობებში გამოცდილი ნიმუშების ფაქტობრივი სიმტკიცე კუმზაზე.

ცემენტის ღუღაბი (cement mortar, цементный раствор) – ცემენტის, ქვიშისა და წყლის ერთგვაროვანი ნარევი.

ცემენტის სიმტკიცე (cement strength, прочность цемента) – ნებისმიერი ხარისხის ცემენტის ძირითადი თვისება – კლასი და მარკა.

ცემენტის სიმტკიცის კლასი (cement strength class, класс прочности цемента) – დადგენილი ნორმატული დოკუმენტის შესაბამისი პირობითი აღნიშვნა სიმტკიცის ერთ-ერთი პარამეტრული რიგის მნიშვნელობისა.

ცემენტის ქვა (cement stone, цементный

камень) – მასალა, მიღებული ცემენტის ჰიდრატაციისა და გამაგრების შედეგად.

ცემენტის ყინვამედეგობა (frost resistance of cement, морозостойкость цемента) – ცემენტის ქვის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს მრავალჯერად გაყინვასა და გაღობას.

ცემენტის შეკვრა (cement setting, схватывание цемента) – ცემენტის ცომის ძვრადობის შეუქცევადი დაკარგვა ჰიდრატაციის შედეგად.

ცემენტის შეკლება (cement shrinkage, усадка цемента) – ცემენტის ქვის ხაზოვანი ზომების შემცირება გამყარების პროცესში.

ცემენტის ცომი (cement dough, тесто из цемента) – ცემენტისა და წყლის შერევით მიღებული მასა.

ცემენტის წყალმოთხოვნა (water requirements, водопотребность цемента) – წყალცემენტის ისეთი თანაფარდობა, რომლის დროსაც მიიღწევა სტანდარტული ცემენტის ღუღაბის ნორმირებული ძვრადობა (პლასტიკურობა).

ცემენტის ჰიდრატაცია (hydration of cement, гидратация цемента) – წყალთან ცემენტის შეერთების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს სითბოს გამოყოფით (ეგზოთერმული რეაქცია).

ცემენტიტი (cementite, цементит) – რკინის კარბიდი (Fe_3C), რკინანახშირბადიანი შენადნობის მეტასტაბილური ფაზა, რკინისა და ნახშირბადის ქიმიური ნაერთი.

ცემენტსაზიდი (cement truck, цементовоз) – ცემენტის ფხვნილის გადასაზიდი საშუალება, რომელსაც აქვს გრავიტაციული, მექანიკური ან აერაციულ-ჰნევემატიკური განტვირთვის მექანიზმი და ჰორიზონტალური ან ვერტიკალური რეზერვუარი.

ცემენტსატყორცნი (cement gun, цемент-пушка) – დანადგარი სამშენებლო კონსტრუქციების ზედაპირზე ცემენტის, ღუ-

დაბისა (ხსნარისა) და ბეტონის ნარევის გამხეფებით დასატანად (ტორკრეტირება).

ცენტრული შენობა (central building, центровое здание) – ჩვეულებრივ, გუმბათით დაგვირგვინებული შენობა, მკვეთრად გამოსახული ცენტრალური ნაწილით, რომლის გარშემო განლაგებულია დანარჩენი სადგომები.

ცეოლითი (ceolite, цеолит) – მინასავით ან სადაფივით ბზინვარე მინერალი.

ცეცხლამრიდი კედელი (firewall wall, брандмауэрная стена) – ბრანდმაუერი, ხანძარსაწინააღმდეგ კედელი.

ცეცხლგამძლეობა (refractoriness, огнеупорность) – მასალის თვისება, გაუძლოს მაღალი ტემპერატურის ხანგრძლივ ზემოქმედებას დეფორმაციისა და დაზიანების გარეშე.

ცეცხლმედეგი ტიხარი (fireproof partition, огнестойкая перегородка) – დაცული დიობების მქონე შვეული ანაწყობი, რომელიც ხელს უშლის შენობაში ცეცხლის გავრცელებას.

ცეცხლმედეგობა (fire resistance, огнестойкость) – სამშენებლო კონსტრუქციის ან მისი ელემენტის უნარი, ხანძრის პირობებში შეინარჩუნოს ამტანუნარიანობა, აგრეთვე წინააღმდეგობა გაუწიოს გამჭოლი ხვრელების (დიობების) წარმოქმნასა და მასალის კრიტიკულ ტემპერატურამდე გაცხელებას.

ცეცხლმედეგობის ზღვარი (fire resistance limit, предел огнестойкости) – კონსტრუქციის ცეცხლმედეგობის ხანგრძლივობა სტანდარტულ ტემპერატურულ რეჟიმში საცეცხლე გამოცდის დაწყებიდან ამ კონსტრუქციისათვის ნორმირებული ზღვრული მდგომარეობიდან ერთ-ერთის დადგომამდე.

ცეცხლრიკი (grate, колосник) – მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ცხელი მყარი ნაჭრების გასაცვივებლად კლინკერის წარმოებაში, აგრეთვე მყარი საწვავის შესაკავებლად საცეცხლურებში.

ცეცხლსაქრობი (ცეცხლმაქრი) (fire extinguisher, огнетушитель) – გადასატანი ან გადასაადგილებელი მოწყობილობა (აპარატი) ხანძარსაწინააღმდეგ ნივთიერების გამოფრქვევით ხანძრის კერის ჩასაქრობად.

ცვეთა (wear; износ, изнашивание) – მასალის რღვევა დარტყმითი და ცვეთის გამომწვევი ძალების ერთდროული მოქმედებისას. ფასდება ნიმუშის დაკარგული მასის ფარდობით ნიმუშის საწყის მასასთან (პროცენტობით).

ცვეთადობა (attrition, abrasion; изнашиваемость) – მასალის დაკარგული მასა ზედაპირის 1 მ²-დან.

ცვეთამედეგობა (wear resistance, износостойкость) – მასალის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს ხახუნისა (ხეხვის) და დარტყმის ერთდროულ მოქმედებას. სიმტკიცე ცვეთის დროს განისაზღვრება პროცენტობით გამოსახული მასით და დაკარგებით.

ცვეთის ინტენსივობა (wear rate, интенсивность износа) – ცვეთის სიდიდის შეფარდება იმ გზასთან, რომელშიც მოხდა გაცვეთა ან შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან.

ციბრუტი (brace, коловорот) – ხელის იარაღი, რომელშიც სხვადასხვა კონსტრუქციისა და დიამეტრის ბურღი იდგმება.

ცივმეტეხობა (cold brittleness, хладноломкость) – მასალის გამყიფება ტემპერატურის დაწვევისას.

ცივჭედვა (hardening, наклеп) – ლითონის მასალის სტრუქტურისა და თვისებების შეცვლა პლასტიკური დეფორმაციის ზემოქმედებით, რომლის დროსაც მცირდება პლასტიკურობა და დარტყმითი სიბლანტე, სამაგიეროდ იზრდება პროპორციულობისა და დენადობის ზღვარი და სისალე.

ციკლი (cycle, цикли) – მოვლენათა (პროცესთა) განვითარების დასრულებული წრე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.

ცილინდრული გარსი (cylindrical shell, цилиндрическая оболочка) – გარსი, რომლის შუალედური ზედაპირი არის ცილინდრული ზედაპირის ნაწილი.

ცირკულაცია (circulation, циркуляция) – 1. წრიული მოძრაობა; 2. ჰაერის ან წყლის მასის გადაადგილება, რომელიც გამოწვეულია ტემპერატურის გრადიენტით, წნევათა სხვაობითა და ა.შ. დიდ ფართობზე.

ცისტერნა (tank, цистерна) – სითხის შესანახი ან გადასაზიდი ჭურჭელი.

ციცხვი (ჩამჩა) (fadle, bucket, scoop; ковш, черпак) – ერთ- და მრავალციცხვიანი ექსკავატორის მიწასათხრელი მუშა ორგანოს ძირითადი ნაწილი.

ცოკოლი (plinth, цоколь) – შენობის ან ნაგებობის გარე კედლის საძირკველზე დაყრდნობილი ნაწილი, რომელიც გამოწვეულია კედლის ძირითადი სიბრტყიდან.

ცოკოლის სართული (ground floor, цокольный этаж) – სართული, რომლის იატაკის ნიშნული უფრო ქვევითაა, ვიდრე შემონაკირწყლის ან ტროტუარის (სარინელის) ნიშნული, მაგრამ არა სათავსის სიმაღლის ნახევარზე მეტი.

ცოცვადობა (creeping, ползучесть) – მყარი სხეულის ნელი, უწყვეტი პლასტიკური დეფორმაცია, რაც გამოწვეულია მუდმივი დატვირთვით ან მექანიკური ძაბვით.

ცოცვადობის ზღვარი (creep limit, предел

получести) – მასალის მექანიკური მახასიათებელი – მაქსიმალური ძაბვა, რომლის დროს ცოცვადობის სიჩქარე და დეფორმაცია დროის გარკვეულ შუალედში არ აღემატება ტექნიკური პირობებით დადგენილ სიდიდეს.

ცოცია (creeper, ползун) – მრუდხარაცოცია მექანიზმის დეტალი (ნაწილი), რომელიც სწორხაზოვან მიმმართველებში სრიალებს, ხისტად უკავშირდება დგუმის ჭოკს, ხოლო სახსრულად – ბარბაცას.

ცული (axe, топор) – ხის ან ლითონის ტარზე წამოცმული მჭრელპირიანი რკინის იარაღი ხის საპობად.

ცხავი (screen; грохот, решето) – ცალკეული დანადგარი, მანქანა ან აპარატი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ვიბრაციული საცრისგან (ბადე), ნაყარი მასალის დასახარისხებლად ნაჭრების ზომის ან ნაწილაკების ფრაქციის მიხედვით (ღორღი, ქვანახშირი, მადანი) ან მასალების გასაუწყლოებლად (გამდიდრებული ქვანახშირი, გარეცხილი მადანი).

ცხაურა (lattice, решетка) – ცხავის მუშა ნაწილი, გამცხრილავი ზედაპირი.

ცხიმგაცლა (degreasing, обезжиривание) – 1. დასამუშავებელი ლითონის ზედაპირიდან ცხიმოვანი ჭუჭყის მოცილება; 2. ჩამდინარე წყლებიდან ცხიმის მოცილება.

d

ძაბვა (tension, stress, pressure; voltage нап ряжение) – 1. გარეგანი ზემოქმედების გავლენით (დატვირთვები, ტემპერატურული ცვალეზადობა და სხვ.) სხეულში ადრული შინაგანი ძალებების საზომი; 2. პოტენციალთა სხვაობა ელექტრული წრედის ორ წერტილს შორის.

ძაბვა გამჭიმი (tensile stress, растягивающее напряжение) – ნორმალური ძაბვა, რომელიც მიმართულია სხეულის იმ ზედაპირის გარეთ, რომელზეც მოქმედებს და იწვევს ამ სხეულის წაგრძელებას.

ძაბვა გძივი (longitudinal stress, продольное напряжение) – ძაბვა ღეროს განივკვეთში (ღეროს ღერძის მიმართ მართობულ ან დახრილ კვეთში), რომელიც მიმართულია ღეროს ღერძის პარალელურად.

ძაბვა დაყვანილი (reduced stress, приведенное напряжение) – რაიმე ნაკეთობის განივკვეთში დატვირთვებისგან ადრული ძაბვის შეფარდება ნაკეთობის მასალის ძვრის მოდულთან.

ძაბვა კრიტიკული (critical stress, критическое напряжение) – კრიტიკული ძალის შეფარდება ღეროს განივი კვეთის ფართობთან.

ძაბვა მექანიკური (mechanical stress, механическое напряжение) – გარეგანი ზემოქმედების (სიმძიმე, ტემპერატურის ცვალეზადობა და სხვ.) შედეგად სხეულში (დანადგარებსა და მანქანებში) ადრული შინაგანი ძაბვა.

ძაბვა მთავარი (main stress, главное напряжение) – ნორმალური ძაბვა, რომელიც მოქმედებს იმ ფართობზე, სადაც მხები ძაბვა ნულის ტოლია.

ძაბვა მრღვევი (ultimate tensile, разрывающее напряжение) – ძაბვა, რომელიც შეესაბამება ნიმუშის რღვევის მომენტს.

ძაბვა მხები (shear stress, касательное напряжение) – შიგა განივი ძალების ინტენსიურობა ანუ განივი ძალა, რომელიც მოდის განსახილველი კვეთის

ფართობის ერთეულზე.

ძაბვა ნარჩენი (residual stress, остаточное напряжение) – ძაბვა, რომელიც რჩება დრეკად-პლასტიკურ სხეულში იმ დატვირთვის მოცილების შემდეგ, რომელმაც გამოიწვია პლასტიკური დეფორმაცია.

ძაბვა ნორმალური (normal stress, нормальное напряжение) – ღერძული შიგა ძალვის ინტენსივობა ანუ ღერძული ძალა, მოსული განსახილველი კვეთის ფართობის ერთეულზე.

ძაბვა საწყისი (initial stress, начальное напряжение) – ნივთიერ სხეულში არსებული ძაბვა რაიმე გარეგანი ძალის ზემოქმედების არარსებობის შემთხვევაში.

ძაბვა ტემპერატურული (temperature stress, температурное напряжение) – მექანიკური ძაბვა, რომელიც წარმოიშობა სხეულში, მის სხვადასხვა ნაწილში ტემპერატურის არათანაბარი განაწილების ან ტემპერატურის ცვალეზადობისას.

ძაბვა ჰიდროსტატიკური (hydrostatic stress, гидростатическое напряжение) – ძაბვა, რომელიც ყველა მიმართულებით თანაბარია.

ძაბვები დარტყმითი (shock stresses, ударные напряжения) – ძაბვები, რომლებიც წარმოიშობა დარტყმის ძალების მოქმედებისას.

ძაბვის რელაქსაცია (stress relaxation, релаксация напряжений) – დეფორმირებული მასალის ძაბვის დროში ცვალეზადობა, რომლის დეფორმაცია დაფიქსირებულია.

ძაბრი (funnel, воронка) – სითხის (ფხვიერი მასალის) გადასასხმელი (გადასატანი) სამარჯვი ბოლოში მილით.

ძალა (force, strength; сила) – ვექტორული სიდიდე, რომელიც სხეულთა ურთიერთქმედების საზომია; ხასიათდება მისი მოდულით, მიმართულებით სივრცეში, მოდების წერტილითა და მოქმედების ხაზით.

ძალა აქტიური (active force, активная сила) – ძალა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მოძრაობა ანუ სხეულზე მოქმედი ძალა, რომელიც არ არის დამოკიდებული ბმაზე.

ძალა გამჭიმი (tensile force, растягивающая сила) – გრძივი ძალა, რომელიც მიმართულია ღეროს განსახილველი კვეთის გარე ნორმალის მიმართულებით.

ძალა განაწილებულის (distributed force, распределенная сила) – ძალა, რომელიც მოქმედებს აღებული წირის, ზედაპირის ან მოცულობის ყველა წერტილზე.

ძალა გარე (external force, внешняя сила) – ძალა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ტანის ზედაპირზე.

ძალა ზღვრული (ultimate force, предельная сила) – მაქსიმალური ძალა, რომელიც შეიძლება მიიღოს ელემენტის კვეთმა მასალის მოცემული მახასიათებლების პირობებში.

ძალა ინერციისა (inertia force, сила инерции) – ძალა, რომელიც რიცხობრივად სხეულის მასისა და მისი აჩქარების ნამრავლის ტოლია.

ძალა კრიტიკული (critical force, критическая сила) – მკუმშავი ძალის ზღვრული მნიშვნელობა, რომლის მიღწევამდე ღეროს (თხელი ფირფიტის) ღერძის წრფივი ფორმა მდგრადია, ხოლო ამ მნიშვნელობის გადამეტებისას აღინიშნება ღეროს ღერძის მდგრადობის დარღვევა და ის გადადის ახალ, მდგრადი წონასწორობის მრუდწირულ ფორმაში.

ძალა მიზიდულობისა (force of gravity, сила притяжения) – ძალა, რომელიც განისაზღვრება მსოფლიო მიზიდულობის კანონით.

ძალა მკუმშავი (compression force, сила сжатия) – გრძივი ძალა, რომელიც მიმართულია ღეროს კვეთის შიგა ნორმალის გასწვრივ.

ძალა მრღვევი (destructive force, разрушающая сила) – ძალა, რომელიც აღემატება კონსტრუქციის მასალის სიმტკიცეს

(საანგარიშო წინაღობას) და მასზე მოქმედებისას იწვევს რღვევას.

ძალა სეისმური (seismic force, сейсмическая сила) – ძალა, რომელიც აღიძვრება მიწისძვრის კერაში გათავისუფლებული პოტენციური ენერჯის შედეგად და ვრცელდება ყველა მიმართულებით, მათ შორის დედამიწის ზედაპირისკენაც.

ძალა სიმძიმისა (gravity, force of gravity; сила тяжести) – ძალა, რომელიც მოქმედებს დედამიწის ზედაპირის სიახლოვეს არსებულ ნებისმიერ მატერიალურ ნაწილაკზე და დედამიწის მიზიდულობისა და ინერციის ცენტრიდანული ძალების გომეტრიული ჯამის ტოლია, დედამიწის დღედამური მოძრაობის ეფექტის გათვალისწინებით.

ძალა შეყურსული (concentrated force, сосредоточенная сила) – ძალა, მოდებული სხეულის რომელიმე წერტილში.

ძალა ცვლადი (variable force, переменная сила) – წერტილზე მოქმედი ძალების ტოლქმედი, რომელიც დამოკიდებულია წერტილის მდებარეობაზე, მისი მოძრაობის სიჩქარესა და დროზე.

ძალაყინი (საბურისი) (scrap, лом) – 1. კარის საკეტი ხის ძელი; 2. ბრტყელ ან ბასრწვერიანი რკინის ძელი.

ძალვა (შიგა ძალა) (effort, усилие) – ურთიერთქმედების ძალა მცირე ნაწილებად დანაწევრებული ნივთიერი სხეულის ნაწილებს შორის.

ძალთა სისტემა (system of forces, система сил) – რამდენიმე ძალის ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ მოცემულ სხეულზე ან სხეულთა სისტემაზე.

ძალური დანადგარი (power point, силовая установка) – ძრავები და დამხმარე მოწყობილობები მექანიკური ენერჯის მისაღებად ჰირველადი ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების (საწვავი, წყალი, ქარი, ატომი და სხვ.) გამოყენებით.

ძალური კაბელი (power cable, силовой кабель) – კაბელი ელექტროენერჯის

გადასაცემად.

ძალწირი (field line, силовая линия) – რომელიმე ძალთა ველში (გრაფიტაციული, ელექტრული, მაგნიტური) არსებული წირი, რომლის ყოველ წერტილში გავლებული მხები ემთხვევა ველის დამახასიათებელი ძალის (მაგ., გრაფიტაციული ან ელექტრული ველის დაძაბულობანი) მოქმედების მიმართულებას.

ძარა (body, кузов) – ავტომობილის ან სხვა სატრანსპორტო საშუალების საბაზო ნაწილი, რომელიც გამოიყენება ტვირთის, მგზავრების ან სპეციალური მოწყობილობის განსათავსებლად.

ძგიდე (cutting, разделка) – თხელი, რისამე გამყოფი კედელი; ტიხარი.

ძელაკი (bar, брусок) – ხის მასალა, რომელსაც ჩამორანდული აქვს ოთხივე მხარე და განივკვეთის სიგანე ნაკლებია ორმაგ სისქეზე. განივკვეთის გვერდის მაქსიმალური ზომაა 100 მმ.

ძელი (fender, fender guard; брызг) – 1. ფიზიკური სხეული, რომლის განივკვეთის ზომები გაცილებით ნაკლებია მის სიგრძეზე; 2. დახერხილი ან გათლილი ხე, რომლის განივკვეთის ზომები 100 მმ-ს აღემატება.

ძელურა (stone blocks, брусчатка) – ნამტვრევი ან თლილი ქვა, რომელსაც პა-

რალელებიპედის ფორმა აქვს.

ძელფენილი (ძელჭერი) (cobblestone flooring, брусчатый настил) – მჭიდროდ მორგებული ძელებით შექმნილი ფენილი.

ძელყორე (robe, ряж) – 1. ძელითა და ქვით (ფენა-ფენა) ნაშენი გალავანი; 2. ქვით ამოვსებული მორების ნაგებობა.

ძენძი (tow, пакля) – უხეში ბოჭკო, დამუშავებული სელისა და კანაფის ნარჩენები.

ძვრა (shear, shift, displacement; сдвиг) – მასალათა გამძლეობაში – ძელის გრძივი დეფორმაციის სახე.

ძვრის მოდული (shear modulus, модуль сдвига) – ფიზიკური სიდიდე, რომელიც ახასიათებს მასალის უნარს, წინააღმდეგობა გაუწიოს ძვრის დეფორმაციას ანუ აღწერს მასალის რეაქციას ძვრის გამომწვევი დატვირთვის მიმართ.

ძირითადი ხარჯები (basic expenses, основные расходы) – ხარჯები, რომლებიც პროდუქციის დამზადების ან მომსახურების გაწევის პროცესში უშუალოდ მონაწილეობენ.

ძრავა (motor, engine, мотор, двигатель) – მანქანა, რომელიც რაიმე ენერგიას გარდაქმნის მექანიკურ ენერგიად.

წამწე (truss, ферма) – ღეროების სისტემა, რომლებიც ბოლოებში შეერთებულია სახსრებით და ერთი მთლიანი ხისტი (მტკიცე) კონსტრუქციაა.

წამწე ბრტყელი (flat truss, плоская ферма) – წამწე, რომელშიც ყველა ღეროს ღერძი ერთ სიბრტყეში მდებარეობს.

წამწე ვანტური (cable truss, вантовая ферма) – საყრდენებზე ჩამოკიდებული განმბჯენიანი წამწე მოქნილი ღეროებით (ვანტებით).

წამწე მარტივი (simple farm, простая ферма) – წამწე, რომელიც ისეა შედგენილი, რომ დაწყებული სამი ღეროდან, რომლებიც ადგენენ სამკუთხედს, ყველა შემდგომი კვანძი იქმნება ორი ღეროს დამატებით ბრტყელ წამწეში ან სამი ღეროს დამატებით – სივრცით წამწეში.

წამწე პრატისა (pratt farm, ферма пратта) – თანამედროვე ტიპის წამწე ფოლადის შეკუმშული დგარებითა და გაჭიმული ირიბანებით.

წამწე სივრცული (spatial farm, пространственная ферма) – წამწე, რომელშიც ღეროთა ღერძები ერთ სიბრტყეში არ მდებარეობს.

წამწე უორენისა (warren farm, форма уоррена) – თანამედროვე წამწე ტოლგვერდა სამკუთხედებიანი გისოსით.

წამწე ხე-ლითონისა (wood-metal truss, деревометаллическая ферма) – ხის წამწე, რომლის ქვედა სარტყელი და გისოსის ზოგი ელემენტი ლითონისგანაა განხორციელებული.

წამწის კვანძი (truss node, узел фермы) – წამწის ღეროების ღერძების გადაკვეთის წერტილი ამ ღეროების შეერთების ადგილში.

წებო (glue, клей) – ბუნებრივი ან სინთეზური ნივთიერება, რომელსაც იყენებენ სხვადასხვა მასალის შესაწებებლად.

წერტვა (punching, кернение) – ნამზადზე ან ნაკეთობაზე წერტილოვანი ღრმულების გაკეთება.

წესივრულობა (serviceability, исправ-

ность) – ელემენტის ტექნიკური მდგომარეობის კატეგორია, რომლის დროსაც ელემენტი სრულად ჰასუნობს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს და მზად არის ექსპლუატაციაში შესასვლელად.

წვა (combustion, горение) – რთული, სწრაფად მიმდინარე ქიმიური გარდაქმნა, რასაც თან სდევს სითბოსა და/ან კვამლის გამოყოფა და/ან ბჟუტვის გაჩენა.

წვადი მასალა (combustible material, горючий материал) – მასალა, რომელიც ცეცხლის ან მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით აალებს, დვივდება ან ნახშირდება და აგრძელებს წვას, ფუჟვას ან დანახშირებას თბური წყაროს მოშორების შემდეგაც.

წვეტი (spire, шпиль) – ცალკე შენობის ან მისი ცალკეული ნაწილის წვეტიანი შვეული დაგვირგვინება, რომელიც ფორმით ვიწრო და მაღალ პირამიდას ან კონუსს წააგავს.

წვრილი საკედლე ბლოკი (small wall block, мелкий стеновой блок) – უჯრედოვანი ბეტონისაგან დამზადებული ბლოკი. გამოიყენება გარე და შიგა კედლებისათვის მცირე- და მრავალსართულიანი შენობის კარკასის შესავსებად.

წიბო (edge, ребро) – ორი სიბრტყის გადაკვეთის ხაზი.

წილა (slag, шлак) – რკინისა და მისთ. ნაღობთა ხენჯი.

წილა ბრძმედისა (blast furnace slag, доменный шлак) – მინისებრი ან ქვისებრი მასა, რომელიც ბრძმედის ღუმელში გამოდნობილი თუჯის ნარჩენია.

წილა ვულკანური (volcanic slag, вулканический шлак) – მსხვილფოროვანი ვულკანური მთის ქანი, რომელიც წარმოიქმნება აირების აქტიური გამოყოფის შედეგად თხევადი ლავის გაცივების პროცესში.

წილაბეტონი (slag concrete, clinker concrete; шлакобетон) – მსუბუქი ბეტონი,

რომლის შედგენილობაში შედის ცემენტი, ქვიშა და მეტალურგიული ან სათბობის წილა.

წიდაპემზაბეტონი (slag-pumice concrete, шлакопемзобетон) – მსუბუქი ბეტონის სახეობა, რომელშიც მსხვილ შემავსებლად გამოიყენება წიდაპემზის ღორღი ან ხრეში, ხოლო შემკვრელად – პორტლანდცემენტი, წიდაპორტლანდცემენტი, წიდასულფატცემენტი ან წიდაკირი.

წიდასამსხვრეველა (slag crusher, шлакодробилка) – დანადგარი წილის მსხვილი ნატეხების დასაქუცმაცებლად.

წიდაცემენტი (slag cement, шлакоцемент) – დაბალხარისხიანი მსუბუქი ცემენტის ნაირსახეობა, რომლის შემავსებელია მეტალურგიული წარმოების ნარჩენი – ბრძმედი წილა.

წითელი ნიშნული (red mark, красная отметка) – მიწის ზედაპირის საპროექტო ნიშნულები ასაგები შენობის კუთხეებზე.

წითელმდეგობა (red hardness, красностойкость) – ნივთიერების (მასალის) თბომდეგობა წითელი ვარვარების ტემპერატურაზე (550-650°C).

წითელმეტეხობა (red brittleness, краснотемпность) – ლითონის თვისება, გაიჩინოს ბზარები წნევით ცხელი დამუშავებისას (ჭედვა, ტვიფრა, გლინვა) ყვითელი ან წითელი წრთობის ტემპერატურის დიაპაზონში (850-1150°C).

წინასწარ დაძაბული კონსტრუქციები (prestressed structures, предварительно напряженные конструкции) – სამშენებლო კონსტრუქციები, რომელთა ელემენტებში წინასწარი (დამზადების ან მონტაჟის დროს) იქმნება ოპტიმალურად გადანაწილებული ძაბვა.

წინაფრა (visor, козирек) – შენობის შესასვლელის თავზე მოწყობილი გამონაშვერი ბრტყელი ან მომრგვალებული ფორმისა, რომელიც შემოსასვლელს იცავს წვიმის წვეთების პირდაპირი მოხვედრისაგან და შენობის ფასადს აძ-

ლევს დამთავრებულ არქიტექტურულ სახეს.

წინაღობა (resistance, сопротивление) – დეტალის, ნაკეთობის, გარემოს, მასალის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს დეფორმაციის გამომწვევი გარე ძალების ზემოქმედებას.

წინაღობა დროებითი (სიმტკიცის ზღვარი) (temporary resistance, временное сопротивление) – მასალის წინაღობა, რომელიც განისაზღვრება სტანდარტული ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდების შედეგად.

წინაღობა ნორმატიული (regulatory resistance, нормативное сопротивление) – სუფთა მასალის ძირითადი მახასიათებელი. მიიღება მასალის დროებითი წინაღობის სიდიდის მიხედვით შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით.

წინაღობა საანგარიშო (calculated resistance, расчетное сопротивление) – რეალური კონსტრუქციული ელემენტის რეალური მასალის სიმტკიცის ძირითადი მახასიათებელი. მიიღება მასალის ნორმატიული წინაღობის სიდიდის მიხედვით.

წინაღობის მომენტი (moment of resistance, момент сопротивления) – ღეროს განივი კვეთის გეომეტრიული მახასიათებელი, რომელიც საზღვრავს განსახილველი კვეთის წინაღობას ღუნვაზე ან გრენაზე და ტოლია ღერძული (ან პოლარული) ინერციის მომენტის ფარდობისა მანძილზე ღერძიდან (ან სიმძიმის ცენტრიდან) კვეთის ყველაზე დამორებული წერტილამდე.

წინკარი (წინათახი) (canopy, сеник) – ტამბური; სოფლის სახლის არასაცხოვრებელი ნაწილი, რომელიც საცხოვრებელი ნაწილის მომიჯნავეა; გამოიყენება სამეურნეო საქმიანობისათვის, ზაფხულში – საძინებლადაც.

წირთხლი (კარის ამყოლი) (cant, косяк) – 1. კარის ან ფანჯრის ღიობის ზედა სიბ-

რტყე; 2. კარის გადასასვლელზე გადებული ძელი (იხ. ზღურბლი); 3. ზღუდარი; კარის ღიობის შემკვრელი ზედა ძელი.

წირი (line, линия) – ჩაკეტილ ან უსასრულო სიგრძეზე განლაგებული წერტილების ერთობლიობა, რომელსაც არა აქვს სიგანე.

წირწიმალი (ნაგელი) (nog, нагель) – ღერო ან ფირფიტა, რომელიც შესაერთებელი ელემენტების ურთიერთძვრას ეწინააღმდეგება, თვითონ მუშაობს ღუნვაზე, ხოლო შესაერთებელი ელემენტები – თელვაზე.

წკირი (pin; штырек, штифт) – სამაგრი ნაკეთობა ცილინდრული ან კონუსური ღეროს სახით, რომელიც დეტალებს ერთმანეთთან უძრავად აერთებს.

წნევა – (pressure, давление) სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს სხეულის ზედაპირზე მოქმედი ძალების ინტენსივობას ამ ზედაპირისადმი მართობული მიმართულებით (ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა).

წნევა ატმოსფერული (atmosphere pressure, атмосферное давление) – დედამიწის ზედაპირზე ან მასზე არსებულ საგნებზე წნევა, რომელიც ტოლია ატმოსფერული ძალის მოდულისა, მოქმედი ზედაპირის ერთეულ ფართობზე ნორმალის მიმართულებით.

წნევა პარციალური (partial pressure, парциальное давление) – აირული ნარევის ერთ-ერთი კომპონენტის წნევა.

წნევა სრული (total pressure, полное давление) – სტატიკური და დინამიკური წნევების ჯამი.

წნევა სტატიკური (static pressure, статическое давление) – უძრავ სხეულზე უძრავი სითხის (აირის) ზემოქმედებით გამოწვეული წნევა.

წნევა ჰიდროდინამიკური (hydrodynamic pressure, гидродинамическое давление) – სითხის მოძრაობისას სითხის განსახილველ მასაში მოქმედი ძაბვა.

წნევა ჰიდრომექანიკური (hydromechanical pressure, гидромеханическое давление) – მკუმშავი ძაბვა, რომელიც მოქმედებს სითხის განსახილველ მასაში.

წნევა ჰიდროსტატიკური (hydrostatic pressure, гидростатическое давление) – სითხის წონასწორობისას სითხის განსახილველ მასაში მოქმედი ძაბვა.

წნეხა (pressing, прессование) – წნეხზე სხვადასხვა მასალის წნევით დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი, რომლის შედეგად მიიღება ნამზადები და ნაკეთობები ლითონების, პლასტმასებისა და ფხვნილებისაგან.

წნეხი (press, пресс) – დანადგარი მასალების წნევით დამუშავებისათვის.

წნეხფორმა (press form, пресформа) – მოწყობილობა, რომელსაც იყენებენ პლასტმასის, ლითონის, რეზინის, თაბაშირისა და სხვ. მასალისგან მოცულობითი ნამზადების (ნაკეთობების) მისაღებად დაწნეხის გზით; ყალიბი.

წოლანა (sill, лежень) – ლართხი; გადებული ძელთაგანი, რომლებზედაც ლაგდება ფიცარფენილი.

წონასწორობა (equilibrium, равновесие) – მექანიკური სისტემის მდგომარეობა, რომლის დროსაც მისი ყველა წერტილი უძრავია მოცემული ათვლის სისტემის მიმართ.

წოწება (escape; сбер, сбежимость) – ხის მანკი, როდესაც ხის (მორის) დიამეტრი კინტიდან (ძირიდან) წვეროსაკენ თანდათანობით მცირდება და ეს შემცირება აჭარბებს 1 სმ-ს 1 გრძივ მეტრზე.

წრეთარგი [cavetto (cone), выкружка] – შეზნექილი, წრიული ან მრუდხაზოვანი არქიტექტურული პროფილი, რომელსაც წრის მეოთხედის ან მასთან მიახლოებული მოხაზულობა აქვს.

წრთობა (hardening; закалка, каление) – მასალის (ლითონი, ლითონის შენადნობები, მინა) თერმული დამუშავება კრიტიკულზე მაღალ ტემპერატურაზე შემდეგი სწრაფი გაცივებით, ამ მასა-

ლისთვის განსაზღვრული თვისებების მისანიჭებლად.

წყალამოღვრა (drainage, водоотлив) – მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების არიდებას ან მოშორებას კარიერიდან, შახტიდან, შტოლნიდან და სხვა სამთო გვირაბიდან.

წყალარინება (sewerage, канализация) – იხ. კანალიზაცია.

წყალასაღები ნაგებობა (წყალასაღები) (intake structure, водозаборное сооружение) – ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომელიც ღია წყალსატევიდან (მდინარე, ტბა, წყალსაცავი) წყალს იღებს ჰიდროტექნიკური, წყალმომარაგების, ირიგაციისა და სხვ. მიზნით.

წყალაღება (water intake, водозабор) – ზედაპირული ან მიწისქვეშა წყალმიღები ობიექტებიდან წყლის გარკვეული რაოდენობის ამოღება ტექნიკური საშუალებებით ან მათ გარეშე.

წყალგადასაშვები (spillway, водослив) – ზღუდე (ზღურბლი), რომლიდანაც გადაიდვრება წყლის ნაკადი;.

წყალგადასაშვები კაშხალი (water, hob; водосливная плотина) – კაშხალი, რომელსაც აქვს წყლის გასაშვები ღიობები.

წყალგამანაწილებელი (water, distributor; водораспределитель) – ჰიდროტექნიკური ნაგებობა წყლის გასანაწილებლად წყალსადენის ქსელში.

წყალგამყოფი (water divider, водораздел) – ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომლის მეშვეობით ხდება წყლის გარკვეული რაოდენობის გაყოფა-განაწილება და გარკვეული მიმართულებით გატარება.

წყალგაუვალი (წყალგაუმტარი) (waterproof, водонепроницаемый) – ის, რაშიც წყალი ვერ გადის, რაც წყალს არ ატარებს.

წყალგაყვანილობა (water pipes, водопровод) – საინჟინრო ნაგებობებისა

და მოწყობილობების კომპლექსი, რომლის მეშვეობით ხორციელდება წყალმომარაგება ანუ წყლის მიღება ბუნებრივი წყაროებიდან, მისი გაწმენდა, ტრანსპორტირება და მომხმარებლისთვის მიწოდება.

წყალდიდობა (flood; наводнение, полное водье) – მდინარეებში, ტბებში, წყალსატევებსა და მისთ. წყლის მაღალი დონე, რასაც თან სდევს წყლით სანაპირო ზოლის დატბორვა.

წყალი (water, вода) – წყალბადის ჟანგი, H_2O – ჩვეულებრივ მარტივი მდგრადი ქიმიური ნაერთი წყალბადისა ჟანგბადთან (მასის მიხედვით 11,19% წყალბადი და 88,81% – ჟანგბადი).

წყალი აგრესიული (aggressive water, агрессивная вода) – წყალი, რომლის წყალბადური მაჩვენებელი ნაკლებია 7-ზე და შეიცავს ნორმაზე მეტ თავისუფალ ნახშირორჟანგს, სულფატისა და მაგნიუმის იონებს.

წყალი მტკნარი (fresh water, пресная вода) – წყალი, რომელიც არ შეიცავს მარილებს.

წყალი პიროგენული (pyrogenic water, пирогенная вода) – წყალი, რომელიც მყარი სათბობი წიაღისეულის უჭაროდ თერმული დაშლის შედეგად წარმოიქმნება.

წყალი რბილი (soft water, мягкая вода) – წყალი, რომელშიც მცირე რაოდენობითაა (ან საერთოდ არ არის) კალციუმისა და მაგნიუმის შემცველი მარილები.

წყალი შეკავშირებული (bound water, связанная вода) – მერქნის ბოჭკოების შიგნით არსებული წყალი.

წყალი ჩამდინარე (waste water, сточная вода) – სამშენებლო ობიექტის ტერიტორიიდან მოცილებული საყოფაცხოვრებო ან საწარმოო ნარჩენებით გაჭუჭყიანებული წყალი.

წყალი ხისტი (hard water, жесткая вода) – წყალი, რომელშიც დიდი რაოდენობითაა კალციუმისა და მაგნიუმის შემცვე-

ლი მარილები.

წყალმედგობა (water resistance, водостойкость) – მასალის თვისება, შეინარჩუნოს სიმტკიცე დასველებისას.

წყალმოთხოვნა (water demand, водопотребность) – წყლის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა განსაზღვრული დენადობის დუღაბის, ბეტონის ნარევის ან ნორმალური სისქის ცემენტის ცომის მისაღებად.

წყალმომარაგება (water supply, водоснабжение) – მომხმარებლის წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებათა ერთობლიობა.

წყალმომხმარება (water use, водопользование) – წყალსატევებიდან და წყალსადენებიდან მოსახლეობის, საყოფაცხოვრებო ორგანიზაციების, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის ობიექტების მიერ წყლის მიღება და გამოყენება.

წყალმცირობა (low water, маловодность) – მდინარის დაბალი დონე და მცირე ხარჯი (არანაკლებ 10 დღე-ღამის განმავლობაში) წლის ცივ პერიოდში, რაც ძირითადად განპირობებულია მიწისქვეშა წყლით საზრდოობაზე გადასვლით.

წყალუონადობა (წყალგამტარობა) (water permeability, водопроницаемость) – მასალის უნარი, გაატაროს წყალი გრავიტაციული ძალების ან წნევის ზემოქმედებით.

წყალსაგდები (spillway, водосброс) – დიობი (ნახვრეტი), საგუბარის კედელში, რომლის მეშვეობითაც ხდება ზედმეტი წყლის გადაგდება წყალსაცავიდან.

წყალსადენი (water pipes, водопровод) – შენობაში ან მოსამარაგებელ ტერიტორიაზე წყლის გამანაწილებელი მილგაყვანილობა.

წყალსადენის ქსელი (water supply network, водопроводная сеть) – წყალგაყვანილობის ხაზების (მილგაყვანილობების) ერთობლიობა მოხმარების ადგილამდე წყლის მიწოდებისათვის.

წყალსადენის ჩიხური ქსელი (plumbing dead-end network, водопроводная типовая сеть) – წყალსადენის ქსელი, რომელიც მომხმარებელს წყალს აწვდის მხოლოდ ერთი – ჩიხისებრი, მიმართულებით.

წყალსადინარი მილი (downpipe, водосточная труба) – ზედაპირული წყლების გადამყვანი მილი.

წყალსაზომი (water meter, водомер) – მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს დაზარჯული წყლის რაოდენობას.

წყალსათბობი (water heating, водонагреватель) – დანადგარი წყლის გასაცხელებლად ორთქლის, ცხელი წყლის, აირისა ან ელექტროენერჯის მეშვეობით.

წყალსაკრები (sump, водосборник) – სამთო გვირაბი ტუმბოებით ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შესაკრებად.

წყალსატევი (body of water, водоем) – ბუნებრივად ან ხელოვნურად შექმნილი წყლის მარაგი.

წყალსაცავი (reservoir, водохранилище) – მნიშვნელოვანი ტევადობის წყალსატევი, რომელიც მდინარის ხეობაში იქმნება წყლის შეჩერების, დაგროვების, შენახვისა და საჭიროებისამებრ განაწილებისათვის.

წყალსაცივებელი (water cooler, водохладитель) – აპარატი წყლის ან გაუყინავი სითხეების გასაცივებლად. მაცივებელ აგენტად ძირითადად გამოიყენება ამიაკმარილხსნარი.

წყალასაწევი მანქანა (water engine, водоподъемная машина) – მოწყობილობა სითხის (ძირითადად წყლის) გადასაადგილებლად.

წყალუონადობა (water resistance, водонепроницаемость) – მასალის თვისება, არ გაატაროს ნიმუშიმში გარკვეული წნევის წყალი.

წყალშემკრები აუზი (drainage basin, водосборный бассейн) – დედამიწის ზედაპირის ნაწილი, საიდანაც ზედაპირული

და მიწისქვეშა წყლები ჩაედინება წყალსატევებსა და წყალმდენებში.

წყალშთანთქმა (water absorption, водопоглощение) – მასალის თვისება, შეიწოვოს და შეინარჩუნოს წყალი თავის ფორებში.

წყალჩასაშვები (spillway, водоспуск) – სადაწნეო ჰიდროტექნიკური ნაგებობა წყალსაცავის დაცლისა და მდინარის ჩამონატანისაგან წყალსაცავის გასუფთავებისათვის, ასევე ქვედა ბიეფში წყლის გასაშვებად.

წყალწმენდა (water treatment, водочистка) – ტექნოლოგიური პროცესების ერთობლიობა, რომლის საშუალებით ბუნებრივი წყალმომარაგების წყაროდან წყალგაყვანილობით მიწოდებული წყლის ხარისხი დადგენილ ნიშნულამდე დადის.

წყვილძალა (couple of forces, пара сил) – მოდულით ტოლი და ურთიეთსაპირისპიროდ მიმართული ორი ძალა, რომელთა მოქმედების ფუძეები პარალელური წრფეებია.

წყლის გამტკნარება (water desalination, опреснение воды) – ბუნებრივ წყლებში მარილების შემცველობის შემცირება.

წყლის დაბინძურება (water pollution, загрязнение воды) – წყლის ხარისხის გაუარესება მდინარეში, ნაკადულში, ტბაში, ზღვასა და ოკეანეში სხვადასხვა ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების მოხვედრის შედეგად.

წყლის საკეტი (water constipation, водный запор) – მოწყობილობა, რომელიც ეწინააღმდეგება აირების შეღწევას ერთი სივრციდან მეორეში და რომელშიც წყლის ფენა აირების არასასურველი მიმართულებით მოძრაობისას დაბრკოლებას ქმნის.

წყლის ხარჯი (water consumption, расход воды) – წყლის მოცულობა, რომელიც ნაკადის წყალსადინარში (ცოცხალ კვეთში) გაედინება დროის ერთეულში (მ³/წმ).

წყობა (masonry, кладка) – შენობის კედლის ამოყვანა რიგებად დაწყობილი აგურით, ქვით, ბლოკით, მორითა და მისთ.

ჭაბურღილი (hole, well; скважина) – საბურღი დანადგარებით დედამიწის ზედაპირიდან ან მიწისქვეშა გვირაბიდან ქანში გაყვანილი ცილინდრული ფორმის სამთო გამონამუშევარი, რომელსაც აქვს მრგვალი კვეთი, რამდენიმე მეტრიდან 10 კმ და მეტი სიღრმე და 70-300 მმ დიამეტრი.

ჭავლი (jet; струй, струйка) – ამონადენი სითხის ან აირის სვეტი.

ჭანჭიკი (bolt, болт) – სამაგრი დეტალი, ჩვეულებრივ, მრგვალი ღერო ექვსკუთხა ან კვადრატული თავით, ღეროს ნაწილზე ან მთელ სიგრძეზე კუთხვილით, რომელზეც ჩაიხრახნება ქანჩი.

ჭანჭიკსაჭრელი (წკირსაჭრელი, საარმატურო მაკრატელი, საარმატურო მკვნეტარა) (bolt cutter, болторез) – საწნელე ლითონის გადასაჭრელი გრძელსახელურებიანი ხელის ინსტრუმენტი, რომლის სისქე (დიამეტრი) 10 მმ-მდეა.

ჭარბი წნევა (overpressure, избыточное давление) – სრული და ატმოსფერული წნევების სხვაობა.

ჭახრაკი (clamp, струбцина) – საზეინკლო, სახარატე და სხვ. სამუშაოების შესასრულებად ჩარხზე, დაზგაზე, შაბლონში დეტალის ჩასამაგრებელი მოწყობილობა.

ჭდობა (cutting, выработка) – ხის ნაწილების შეერთება, როდესაც ერთი ნაწილის ნამკვერი – კბილი, თავსდება მეორის სათანადო ამონატარში.

ჭდადობა (ductility, ковкость) – ლითონებისა და მათი შენადნობების ჭედვის უნარი.

ჭედვა (forging, ковка) – კვერვა; რელიეფური გამოსახულების მისაღებად საკვეთით ლითონის დამუშავების ტექნიკა.

ჭერი – (ceiling, потолок) ოთახის ან სხვა სათავსის ზედა შიგა ზედაპირი.

ჭერი კესონური (ceiling caisson, кессонный потолок) – ჭერის სიბრტყიდან გამოშვებული კოჭების ან დეკორაციული ზოლურების გადაკვეთით შექმნილი ჭერი.

ჭერი შეკიდებული (false ceiling, подвесной потолок) – კონსტრუქციულ-მოსაპირკეთებელი ელემენტების ერთობლიობა, რომელიც ქმნის დამატებით სივრცეს შეკიდებულ და ძირითად ჭერს შორის.

ჭიახრახნი (worm, screw; червяк) – ჭიახრახნული გადაცემის კბილანა, ხრახნი, რომელიც მოდებულია ჭიახრახნულ თვალთან.

ჭილიბყურა (cotter pin, шплинт) – სამაგრის სახე, მავთულის ორად გადაღუნული ღერო მცირედ განმხოლოებული ბოლოთი.

ჭიმი (bar, brace, guy; тяж) – მავთული, გვარლი, ბაგირი, ჯაჭვი, გამოყენებული ვერტიკალურად მდგარი ნაგებობის (ანძა, საკვამლე მილი, სვეტი, დგარი) მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ჭიქური (glaze, глазурь) – კერამიკულ ნაკეთობაზე გამოწვით დატანილი მინისებრი ან ნახევრადგამჭვირვალე საღებავის საფარი.

ჭიშკარი (gate, ворота) – ალყაფის კარი, ბჭე, ბჭე-კარი, ბჭის კარი; გალავნის დიდი, განიერი კარი – მთავარი შესასვლელი.

ჭრა (slice, срез) – რღვევა, რომელიც გამოწვეულია მასალის ერთი ნაწილის ძვრით დანარჩენის მიმართ, როცა მასზე მოქმედებს მხები ძაბვები.

ჭრილი (cut, разрез) – პროექტის ნაწილი, რომელიც პირობითად ასახავს შენობის ვერტიკალურ კვეთს კონსტრუქციებისა და ნაგებობის მოცულობათა გამოსავლენად.

ხაზი (line, линия) – 1. მიმართულება, თანამიმდევრობა, სამიმოსვლო გზა. მაგ., სარკინიგზო, საჰაერო, ტელეგრაფის, ავტომატური, ელექტროგადამცემი ხაზი; 2. სიბრტყის საზღვარი.

ხაზი ნაკადური (production line, поточная линия) – ხაზი, რომელზეც სამუშაო ადგილები ტექნოლოგიური ოპერაციების თანამიმდევრობითაა განლაგებული.

ხაზობრივი ნაგებობა (linear structure, линейное сооружение) – საავტომობილო გზა, რკინიგზა, ყველა სახის მილსადენი, მილგაყვანილობა (გარდა შენობის შიგა ქსელისა და მონაკვეთისა შენობიდან გარე ქსელთან მიერთების წერტილამდე), საჰაერო-საბაგირო გზა, საჰაერო და საკაბელო საკომუნიკაციო ხაზები, მათ შორის ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზები, ფუნქციონორი.

ხანგამძლეობა (durability, долговечность) – შენობის, ნაკეთობის ან კონსტრუქციის თვისება, შეინარჩუნოს მზიდუნარიანობა ზღვრული მდგომარეობის დადგომამდე.

ხანძარი (fire, пожар) – დროსა და სივრცეში განვითარებული არაკონტროლირებადი წვა.

ხანძარსაწინააღმდეგო კედელი (fire wall, противопожарная стена) – ბრანდმაუერი, ცეცხლამრიდი კედელი; ცეცხლგამძლე კედელი, რომელიც გამოყოფს სათავსების გარკვეულ ჯგუფს და გამიზნულია ხანძრის გავრცელების დასაბრკოლებლად.

ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება (fire water supply, противопожарное водоснабжение) – ტექნიკურ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას ხანძრის ჩასაქრობად უშუალოდ წყლის გამანაწილებელი მილების ქსელიდან ან უშუალოდ წყალსაცავიდან.

ხარაჩო (scaffold, строительные леса) – აღჭურვილობა სამშენებლო, სამონტა-

ჟო და სხვა სამუშაოების დროს მუშებისა და მასალების განთავსებისთვის.

ხარისხი (grade, quality; качества) – პროდუქციის (ნაკეთობის) რამდენიმე თვისების ერთობლიობა, რომელიც დანიშნულების შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ხარჯთაღრიცხვა (cost estimate, смета) – მომავალი ხარჯისა და შემოსავლის, შემოსავალ-გასავლის სავარაუდო გამოანგარიშება.

ხარჯთაღრიცხვა კრებსითი (summary estimate, сводная смета) – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს, ნაგებობის, შენობის ან მათი კომპლექსის საერთო ღირებულებას; დგება ყველა ცალკეული სამშენებლო ობიექტისათვის სამუშაო ნახაზების მიხედვით.

ხარჯთაღრიცხვა ლოკალური (local estimates, локальная смета) – პირველადი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი, რომელიც დგება სამუშაოების ცალკეულ სახეობებისთვის.

ხარჯთაღრიცხვა სამშენებლო (construction estimate, строительная смета) – დოკუმენტი, რომელშიც გამოთვლილია სამშენებლო ობიექტის მთლიანი ფინანსური დანახარჯები, რომელიც გაწერილია სტატიების (მასალები, ხელფასი, გადასახადები, დანარიცხები ხელფასზე, სამეურნეო ხარჯები, მაკომპლექტებელი დეტალები და სხვ.) მიხედვით.

ხარჯთაღრიცხვა საობიექტო (object estimate, объектная сметка) – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მთელი ობიექტის ლოკალურ ხარჯთაღრიცხვებს.

ხარჯი (consumption, расход) – სიდიდე, რომელიც გამოითვლება განსაზღვრულ კვთში ნივთიერების თანაბრად გადაადგილებისას მისი მასის (მასობრივი ხარჯი), რაოდენობის (მოლური ხარჯი) ან მოცულობის (მოცულობითი ხარჯი)

მეფარდებით დროის შუალედთან, რომლის განმავლობაშიც ხდება ეს გადაადგილება.

ხარჯსაზომი (flow meter, расходомер) – აირის, სითხისა და ფხვიერი მასალის ხარჯის გასაზომი ხელსაწყო.

ხახუნი (friction, трение) – მყარი სხეულების ფარდობითი გადაადგილება შეხების სიბრტყეში ან სითხის, აირის, დეფორმირებადი მყარი სხეულის პარალელური ფენების ფარდობითი გადაადგილება (შიგა ხახუნი ან სიბლანტე).

ხე (wood, дерево) – მრავალწლიანი, მერქნიანი ტანის (დეროს) მქონე მცენარე.

ხელოვნური (artificial, искусственный) – არაბუნებრივი, არანამდვილი; ადამიანის ხელით შექმნილი.

ხელოვნური ბიტუმი (artificial bitumen, искусственный битум) – ნავთობის გამომუშავების შედეგად მიღებული ნარჩენები.

ხელოვნური ფუძე (artificial base, искусственная основа) – სპეციალური მეთოდებით შემკვრივებული ან გამაგრებული ფუძე-გრუნტი.

ხენჯი (scale, окалина) – ჰაერზე ან ჟანგბადის შემცველ გარემოში ლითონის ზედაპირზე წარმოქმნილი ჟანგის პროდუქტი.

ხეობა (valley, долина) – ეროზიული, აკუმულაციური, დენუდაციური, გრავიტაციული და სხვ. პროცესებით წარმოქმნილი რელიეფის ფორმა.

ხერხი (saw, пил) – ხელის ან მრავალსაჭრისიანი დაზგური მჭრელი იარაღი ან მანქანა ხის, ლითონის, ქვის, პლასტმასის, მინისა და სხვა მასალების საჭრელად.

ხეხვა (grinding, шлифование) – დეტალების ზედაპირების სუფთად დამუშავება აბრაზიული ხელსაწყოებით.

ხვეტია (საფხეკი) (scraper, скребок) – ფოლადის ხისახელურიანი საბათქაშე ინსტრუმენტი. ანალოგიურია შპატელისა.

ხვეტია კონვეიერი (conveyor scraper, скребок конвейерный) – მოწყობილობა ხვეტიებით ტვირთის ტრანსპორტირებისათვის დარში ან მილში.

ხვეწი (cycle, цикл) – სადურგლო ინსტრუმენტი, რომელიც მერქნის ნაკეთობის ზედაპირის დასამუშავებლად გამოიყენება.

ხვია (ხვეულა, კაურა) (coil, виток) – საგანი, რომელსაც სპირალური სტრუქტურა აქვს.

ხიდი (bridge, мост) – სტრუქტურა, რომელიც აგებულია ფიზიკური წინაღობის (მდინარე, ხევი, არხი და მისთ.) გადასალახად ისე, რომ არ შეაფერხოს წყლის დინება, არ გადაკეტოს გზა ან ხევი.

ხიდი დაკიდებული (high bridge, высячий мост) – ხიდი, რომლის ძირითადი მზიდი კონსტრუქციები, როგორც წესი, მოქნილი ელემენტებია (ბაგირი, ჯაჭვი, ლითონის კაბელი და სხვ.), რომლებიც ეყრდნობა პილონებს (კოშკებს), ბოლოები კი ჩამაგრებულია ნაპირებზე.

ხიდი ვანტური (cable-stayed bridge, вантовый мост) – დაკიდებული ხიდის სახეობა, რომელიც შედგება ერთი ან მეტი პილონისაგან და ხიდის ვაკისთან შეერთებულია ფოლადის ვანტებით (ბაგირებით).

ხიდი თაღოვანი (arch bridge, арочный мост) – ხიდი, რომლის მზიდი კონსტრუქციები თაღები ან კამარებია.

ხიდი საქვეითო (საფეხმავლო, საცალფენო) (pedestrian bridge, пешеходный мост) – ხიდი ფეხით მოსიარულეთათვის.

ხიდის ბურჯი (bridge support, опора моста) – კუთხი; ხიდის საყრდენი კონსტრუქცია.

ხიმიწი (pile, свая) – გრუნტში მოთავსებული ძელური ელემენტი (სვეტი, ხის, ბეტონის ან ლითონის ძელი), რომელიც ფუძეს გადასცემს შენობის დატვირთვას.

ხის ბოჭკო (wood fiber, древесное волокно) – გამერქნებული გრძელი წვრილი უჯრედი ან უჯრედთა ჯგუფი, რომლებიც განაგებენ ძირითადად შედგება მერქანის.

ხის ტანი (tree trunk, ствол дерева) – ხის ნაწილი, რომელიც ხის ფესვთა სისტემას ხის ვარჯთან აერთებს.

ხის ფქვილი (wood flour, древесная мука) – ხეცის გადამუშავებული ნარჩენები ფქვილის სახისა.

ხის ქერქი (tree bark, древесная кора) – ხის ტანის დამცავი, რომელიც შედგება გარე – საცობისა და შიგა – ლაფანის ფენებისაგან.

ხის შპონი (wood veneer, древесный шпон) – ხის მორისგან ანათალი 3 მმ-მდე სისქის ფენა, რომელსაც იყენებენ ფანერის დასამზადებლად, აგრეთვე სხვა მასალის ზედაპირზე დასაწებებლად ლამაზი ტექსტურის მისაღებად.

ხისტი (hard, жесткий) – ხეშეში, ხმელი, ხამი; ძნელად მოსადრეკი, ძნელად მოსალუნი, ძნელად დამყოლი.

ხმაური (noise, шум) – სხვადასხვა ფიზიკური ბუნების ხმამათალი, უსიამოვნო, არასასურველი ხმა, რასაც გარემოს (სპექტრული სტრუქტურის) უწესრიგო რხევები იწვევს.

ხმაურსაზომი (sound level meter, шумомер) – ხელსაწყობის დონის ობიექტური გაზომვისთვის.

ხმელი (dry, сухой) – ტენს მოკლებული, მშრალი, გამხმარი; არა რბილი, არა ნეღლი, მაგარი.

ხრახნი (screw, винт) – ცილინდრული ფორმის (იშვიათად კონუსური) დეტალი, რომელსაც აქვს კუთხვილიანი ზედაპირი ან ხრახნული ფრთები.

ხრახნული გადაცემა (screw gear, винтовая передача) – კბილა გადაცემა ხრახნული რგოლებით, რომელთა სიმეტრიის ღერძები არ მდებარეობს ერთ სიბრტყეში და გადაიკვეთება სხვადასხვა კუთხით.

ხრეში (gravel, гравий) – ფზვიერი მსხვილნატეხებიანი (ფსეფიტური) დანალექი სამთო ქანი, რომელიც შედგება ქანის დამრგვალებული ნამსხვრევების, ზოგჯერ მინერალების სხვადასხვა ზომის (1-10 მმ) ფრაქციებისგან.

ხრეშსარეცხი (gravel washer, гравиемойка) – ჰორიზონტთან 7°-მდე დახრილი მბრუნავი დოლი, რომლის შიგნით განლაგებულია გამშხევი მოწყობილობა მასალის წყლით გასარეცხად.

ხრუტუნა მექანიზმი (ratchet, храповый механизм) – კბილანა მექანიზმი, რომელიც ბერკეტის უკუქცევით-ბრუნვით მოძრაობას გარდაქმნის ხრუტუნა (კბილა) თვლის წყვეტილ ბრუნვით მოძრაობად შუალედური რგოლის (სასხლეტის) მეშვეობით.

ხსნადობა (solubility, растворимость) – ნივთიერების უნარი, წარმოქმნას სხვა ნივთიერებებთან ერთგვაროვანი სისტემები – ხსნარები, რომელშიც ნივთიერება ცალკეული ატომების, იონების, მოლეკულების ან ნაწილაკების სახითაა.

ხსნარი (colution, раствор) – ორი ან მეტი ნივთიერებისაგან შემდგარი ცვლადი შედგენილობის მიკროსკოპულად ერთგვაროვანი ნარევი, რომელიც წარმოქმნის თერმოდინამიკურად წონასწორულ სისტემას.

ხსნარი სამშენებლო (mortar, раствор строительный) – შემკვრელი ნივთიერების, წყლისა და შემავსებლის ხსნარი, რომელიც დროთა განმავლობაში იქცევა ხელოვნურ ქვად.

ხსნარი სამშენებლო მშრალი (dry mortar, сухой строительный раствор) – მშრალი დოზირებული კომპონენტების (შემავსებელი, შემკრავი, დანამატები) გამზადებული ნარევი, რომელიც წყლის დამატებით გამოიყენება სამშენებლო საქმეში.

ხსნარსარევი (mortar mixer, растворешалка) – დანადგარი, რომელიც სამშენ-

ნებლო ხსნარების მოსამზადებლად გამოიყენება ციკლური და უწყვეტი მოქმედების იძულებითი შერევის პირობებში.

ხურო (carpenter, плотник) – მთლელი, ქვის მთლელი; ღურგალი.

ხუროთმოძღვარი (architect, зодчий) – არქიტექტორი; სპეციალისტი ხუროთმოძღვრების (არქიტექტურის) დარგში.

ხუროთმოძღვრება (architecture, зодчество, архитектура) – არქიტექტურა; მენო-

ბის, ნაგებობისა და მათი კომპლექსების მშენებლობის ხელოვნება; მისი დანიშნულებაა საზოგადოების საყოფაცხოვრებო და იდეურ-მხატვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და თავისი არსებობის განმავლობაში დამოკიდებულია საზოგადოების საწარმოო ძალებისა და ურთიერთობის განვითარებაზე.

ხუფი (cap, колпак) – რაიმეს თავსახური, სარქველი.

ჯავარი (swirl, свиль) – 1. დაფისებრი არაერთგვაროვნება მინაში; 2. ბუნებრივი ან ხელოვნური სახეები ხეზე.

ჯალამბარი (winch, лебедка) – ტვირთის ასაწევი მანქანა მოძრავი მოქნილი ელემენტის – ბაგირის ან ჯაჭვის დახმარებით.

ჯამი (bowl; чаша, миска) – 1. რბიას ნაწილი (დეტალი), რომლის ზედაპირზე შემოგორდება საგორავები მასალის დასასრესად; 2. მრგვალი ხის ჭურჭელი ფართო პირითა და ვიწრო ძირით. სულხან-საბას მიხედვით: ბადია, ლოდაკი, უსკურა, პინაკი, ფილჯამი.

ჯარგვალი (bonfire, костер) – გვირგვინი, ჯირგვალი; ოთხკუთხად ან სამკუთხად შეკრული მორები, ძელები.

ჯართი (srap, лом) – ლითონის ნაკეთობათა უვარგისი და გადასაყრელი ნაწილები, ნამტვრევები; ლითონის ძველი ნივთები.

ჯაჭვი (chain, цепь) – ცალკეული, თანამიმდევრობით შეერთებული ხისტი რგოლებისაგან შედგენილი მოქნილი ნაკეთობა.

ჯაჭვიანი ექსკავატორი (chain excavator, цепной экскаватор) – გრუნტის ამომღებ-დასატვირთავი მანქანა, რომლის სამუშაო ორგანოა ხისტი ან სახსრული ჩარჩო უსასრულო ჯაჭვითა და ციცხვებით.

ჯაჭვური გადაცემა (chain drive, цепная передача) – ორ ჰარალელურ ლილვს შორის ბრუნვითი მოძრაობის გადამცემი მექანიზმი მათზე ხისტად დამაგრებული კბილანების საშუალებით, რომლებზეც გადადებულია უსასრულო ჯაჭვი.

ჯგუფური წყალსადენი (group plumbing, групповой водопровод) – წყალსადენი, რომელიც ემსახურება რამდენიმე დასახლებული პუნქტის მომხმარებელს.

ჯებირი (dam, дамба) – მიწის კაშხლის მსგავსი ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

ჯვარედი (ჯვართავა) (cross, крестовина) – რისამე საყრდენი გადაჯვარებული ფიცრების, ძელების ან ლითონის ღეროების სახით.

ჯიბე (ფისოვანი ჯიბე) (pocket, карман) – მერქნის მანკი, ზოლი წლიურ რგოლებს შორის, რომელიც შევსებულია ფისით.

ჰაერგამთბობი (air heater, воздухонагреватель) – ჰაერის გასათბობი მოწყობილობა (ღუმელი) თბოგადამტანით, რომელიც სითბოს გადასცემს მილსადენების მეშვეობით.

ჰაერზე დაყრდნობილი კონსტრუქცია (air-supported structures, воздухоопорные конструкции) – კონსტრუქცია, რომელიც შედგება გარსის, შეკუმშული ჰაერის, საყრდენი კონტურის, შესასვლელი რაბისა და ჰაერდასაჭირხნი მოწყობილობისაგან.

ჰაერი (air, воздух) – უფერო აირების ნარევი, რომლისაგანაც შედგება ატმოსფერო და რითაც სუნთქავს ცოცხალი არსება.

ჰაერი გაჯერებული (saturated air, насыщенный воздух) – ატმოსფერული ჰაერი, რომელიც ზღვრულ ღონემდეა გაჯერებული წყლის ორთქლით ან სხვა აირებით.

ჰაერი სუფთა (fresh air, чистый воздух) – ჰაერი ნორმალური კომპონენტების შემცველობით, სხვა მინარევების გარეშე.

ჰაერი ტენიანი (wet air, влажный воздух) – ატმოსფერული ჰაერი, რომელიც შეიცავს წყლის ორთქლს.

ჰაერი შეკუმშული (compressed air, сжатый воздух) – ჰაერი, რომლის წნევა მეტია ნორმალურ ატმოსფერულ წნევაზე.

ჰაერის აბსოლუტური ტენიანობა (absolute air humidity, абсолютная влажность воздуха) – წყლის ორთქლის რაოდენობა (გრამ.), რომელსაც შეიცავს 1 მ³ მოცულობის ჰაერი.

ჰაერის კონდიციონირების სისტემა (air conditioning system, система кондиционирования воздуха) – ტექნიკური მოწყობილობა ერთმანეთთან კონსტრუქციული ელემენტებით დაკავშირებული დანადგარებისა, რომლის დანიშნულებაა სათავსში ან მის ცალკეულ ზონაში მიკროკლიმატის თუნდაც ერთი მაჩვენებლისა და ჰაერის სისუფთავის შექმნა და ავტომატურად შენარჩუნება.

ჰაერის ფარდა (air curtain, воздушная завеса) – მოწყობილობა ადგილობრივი მომდენი ვენტილაციის სისტემაში, რომელიც ხელს უშლის სამრეწველო სათავსში ღია კარიდან (ჭიმკრიდან) გარე ცივი ჰაერის შემოსვლას.

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (relative air humidity, относительная влажность воздуха) – წყლის ორთქლის აბსოლუტური ტენიანობის ფარდობა გამჟღენთი წყლის ორთქლის დრეკადობასთან მოცემულ ტემპერატურაზე (%).

ჰაერმიმოცვლა (ჰაერსატარი, ჰაერსადენი) (air exchange, воздухообмен) – მილგაყვანილობა ჰაერის გადაადგილებისათვის, რომელიც გამოიყენება სავენტილაციო, ჰაერის გასათბობი და ჰაერის კონდიციონირების სისტემებში, ტექნოლოგიური მიზნებისათვის და სხვ.

ჰაერმომარაგება (air supply, воздухоснабжение) – შეკუმშული ჰაერით სამრეწველო (სამოქალაქო) ობიექტის ან აგრეგატების მომარაგება სპეციალური სისტემის მეშვეობით.

ჰაერსატარი (ჰაერსადენი) (duct, воздуховод) – ჰაერის გადასადგილებელი მილსადენი, რომელიც გამოიყენება სავენტილაციო, ჰაერგამთბობის, ჰაერის კონდიციონირების სისტემებში, აგრეთვე ტექნოლოგიური მიზნებისათვის.

ჰაერსაცივარი (air cooler, воздухоохладитель) – თბოგადამცემი აპარატი, რომელიც გასაცივებელი სათავსისათვის მისაწოდებელი ჰაერის ტემპერატურას დაბლა სწევს.

ჰაერსაწმენდი (air cleaner, воздухоочиститель) – მოწყობილობა, რომელიც ნამუშევარ აირს (ჰაერს) წმენდს მტვრისაგან.

ჰაერსახურებელი (air heater, воздухонагреватель) – სითბოს მიმოცვლის დანადგარი, რომელიც უზრუნველყოფს მასში გამავალი ჰაერის ნაკადის გახურებას მოცემულ ტემპერატურამდე.

ჰაერშემკრები (air collector, воздухосбор-

ник) – ცილინდრული ფორმის რეზერვუარი შეკუმშული ჰაერისათვის.

ჰაერშედწევადობა (breathability, воздухопроницаемость) – მასალებისა და კონსტრუქციების უნარი, ჰაერი გაატაროს ზედაპირებზე წნევათა სხვაობის დროს.

ჰელიოტროპი (heliotrope, гелиотроп) – გეოდეზიური ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ ჰორიზონტალური კუთხეების გასაზომად ტრიანგულაციაში.

ჰერლენი (guerlain, герлен) – თვითნებვადი ლენტური საჰერმეტიზაციო ხანგამძლე მასალა, გამოყენებული კედლის პანელების პირაპირების ბგერათა და ჰიდროიზოლაციისათვის, აგრეთვე ვენტილირებადი ფასადების მოსაწყობად.

ჰერმა (germ, герма) – ოთხნახნაგოვანი, ქვევიდან ზევით გაფართოებადი სვეტი, რომელზეც ბიუსტია დადგმული.

ჰერმეტიზაცია (sealing, герметизация) – აირისა და სითხის სრული უქონადობა კედლის, ზედაპირის, სათავსის, ნაგებობის, პირაპირის მიმართებით.

ჰერმეტიკი (sealant, герметик) – პოლიმერული კომპოზიცია, რომელიც გამოიყენება ლითონის კონსტრუქციების ჭანჭიკური და მოქლონური შეერთებების, შენობების პანელურ გარე კედლებს შორის პირაპირების ტენშედწევადობის უზრუნველსაყოფად და ა.შ.

ჰეტეროგენული (heterogeneous, гетерогенный) – შედგენილობით, წარმოშობით, თვისებებით სხვადასხვაგვარი.

ჰექსასტილი (hexastyle, гексастиль) – ანტიკური ტაძრის კლასიკური პორტიკი ექვსი სვეტით მთავარ ფასადზე.

ჰიგროგრაფი (hygrograph, гигрограф) – ხელსაწყო ჰაერის ფარდობითი ტენიანობის უწყვეტი რეგისტრაციისათვის.

ჰიგრომეტრი (hygrometer, гигрометр) – ჰაერის ტენიანობის გასაზომი ხელსაწყო.

ჰიგროსკოპულობა (hygroscopic, гигроскопичность) – მასალის თვისება, ჰაერიდან

შთანთქას ტენი და წყლის ორთქლის კონდენსირება მოახდინოს თავის ფორმებში.

ჰიგროსკოპულობის ზღვარი (hygroscopicity limit, предел гигроскопичности) – მერქნის ბოჭკოებში შეკავშირებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა.

ჰიდრაულიკური ჩამკეტი (hydraulic seal, гидравлический затвор) – წყლის სვეტი სიფონში, რომელიც ხურავს გამტარ მილს.

ჰიდრატაცია (hydration, гидратация) – წყლის მოლეკულების შეერთება სხვა ნივთიერების მოლეკულებთან ან იონებთან.

ჰიდრატორი (hydrator, гидратор) – აპარატი ჰიდრატული (ჩამქრალი) კირის გამოსამუშავებლად.

ჰიდროამძრავი მანქანისა (machine hydraulic drive, гидропривод машины) – ენერჯის წყაროსა და მოწყობილობების ერთობლიობა, მისი გარდაქმნისა და მანქანამდე ტრანსპორტირებისათვის სითხეების მეშვეობით.

ჰიდროამწე (hydraulic hoist, гидроподемник) – ციკლური მოქმედების მექანიზმი ჰიდრაულიკური ამძრავით (ძირითადად ცილინდრი დგუშითა და ჭოკით), რომელიც გამოიყენება ტვირთების გადასაადგილებლად ვერტიკალურად ან დახრილ ზედაპირზე.

ჰიდროგენერატორი (hydrogenerator, гидрогенератор) – ელექტრული გენერატორი, რომელიც წყლის ტურბინის საშუალებით მიღებულ წყლის მოძრაობის ენერჯიას ელექტრულ ენერჯიად გარდაქმნის.

ჰიდროგრაფიული ქსელი (hydrographic network, гидрографическая сеть) – მდინარეების, მოქმედი წყალსადინარებისა და წყალსაცავების ერთობლიობა რაიმე ტერიტორიაზე.

ჰიდროელევატორი (hydraulic elevator, гидроэлеватор) – სითხის ჭავლური ამწე (ჭავლური ტუმბო), რომელიც სითხეებსა

და ჰიდრონარევებს იღებს და გადაადგილებს მილგაყვანილობაში.

ჰიდროელექტროსადგური (ჰეს) (hydroelectric, power station гидроэлектростанция) – ნაგებობებისა და მოწყობილობების კომპლექსი, რომლის დახმარებით წყლის ენერჯია გარდაიქმნება ელექტროენერჯიად.

ჰიდროენერჯეტიკა (hydropower, гидроэнергетика) – ენერჯეტიკის ქვესისტემა, რომელიც ენერჯიას აწარმოებს ჰიდროელექტროსადგურებში, რისთვისაც გამოიყენება წყლის ნაკადის ენერჯია.

ჰიდროვიბრატორი (hydraulic selector, гидровыбратор) – სიღრმითი ვიბრატორი იმ შეუკავშირებელი გრუნტების შესამჭიდროებლად, რომლებიც გაჯერებულია წყლით და ერთდროულად განიცდის ვიბრაციულ ზემოქმედებას.

ჰიდროიზოლაცია (waterproofing гидроизоляция) – შენობის, მისი ცალკეული ნაწილების დაცვა მიწისქვეშა და ზედაპირული წყლებისაგან.

ჰიდროსაიზოლაციო მასალა (waterproofing, гидроизоляционный материал – დამცავი მასალა, რომლის დანიშნულებაა სამშენებლო კონსტრუქციების, შენობებისა და ნაგებობების დაცვა წყლისა და ქიმიურად აგრესიული სითხეების მავნე ზემოქმედებისაგან.

ჰიდროკვანძი (ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კვანძი) (waterworks, гидроузел) – ჯგუფი ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა, რომლებიც გაერთიანებულია განლაგებისა და ერთად მუშაობის პრინციპის მიხედვით.

ჰიდროკლასიფიკატორი (hydroclassifier, гидроклассификатор) – აპარატი, რომელშიც წყლის მეშვეობით ხორციელდება სამშენებლო ქვიშების დისპერგაცია, თიხის ნაწილაკების გამოდევნა და მინერალური მარცვლების დაყოფა ზომის მიხედვით.

ჰიდროკრეკინგი (hydrocracking, гидрокрекинг) – კრეკინგის ერთ-ერთი სახე-

ობა, მაღალმდუღარე ნავთობის ფრაქციის, მაზუთის, ვაკუუმური გაზოლინის ან დეასფალტიზატის გადამუშავება, ბენზინის, დიზელისა და რეაქტიული საწვავის, საპონი ზეთის, კატალიზური კრეკინგის ნედლეულისა და სხვ. მისაღებად.

ჰიდროლიზი (hydrolysis, гидролиз) – პროცესი, რომლის დროს ერთი ნივთიერება დაშლის შემდეგ გადადის მეორე ნივთიერებაში წყლის დახმარებით.

ჰიდროლოგია (hydrology, гидрология) – მეცნიერება ჰიდროსფეროს შესახებ, რომელიც შეისწავლის ბუნებრივი წყლების დინამიკას და გეოგრაფიულ გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულებას.

ჰიდროლოკაცია (hydro location, гидролокация) – წყალქვეშა ობიექტის მდებარეობის განსაზღვრა ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყოების მეშვეობით (ჰიდროლოკატორით, ხმაურპულენგატორით და სხვ.).

ჰიდრომანქანა (sonar, гидромашина) – ენერჯეტიკული მანქანა, რომლის დანიშნულებაა მყარი სხეულის მექანიკური ენერჯიის გარდაქმნა სითხის მექანიკურ ენერჯიად.

ჰიდრომექანიზაცია (hydromechanization, гидромеханизация) – მიწის, სამთამადნო და სხვა სამუშაოების მექანიზაციის ხერხი.

ჰიდრომოდული (hydromodule, гидромодуль) – მაჩვენებელი წყლის იმ რაოდენობისა, რომელიც უნდა გადააგდონ (ამოშრობის დროს) ან მიიყვანონ (მოსარწყავად) ფართობის თითოეულ ერთეულზე.

ჰიდრომონიტორი (hydromonitor, гидромонитор) – წყლის ჭავლის წარმომქმნელი აპარატი, რომელიც მიმართავს ჭავლს მთის ქანების დასარღვევად.

ჰიდროპულტი (atomizer, гидропульт) – ხელის ტუმბოს მქონე აპარატი, რომელსაც იყენებენ ხანძრის საქრობად, კედლის შესაღებად, მცენარეთა მოსარწყა-

ვად, მოსასხურებლად, სადგომის სადენინფექციოდ და სხვ.

ჰიდროსაიზოლაციო მასალა (waterproofing material, гидроизоляционный материал) – ცემენტის, ბიტუმის, მოდიფიცირებული პოლიმერბიტუმის, მაღალელასტიკური ან ეპოქსიდური ფისის საფუძველზე დამზადებული ერთკომპონენტური (მრავალკომპონენტური) მოქნილი ჰიდროსაიზოლაციო სუსპენზია.

ჰიდროსაიზოლაციო ხალიჩა (waterproofing carpet, гидроизоляционный ковер) – მრავალფენიანი ჰიდროსაიზოლაციო შრე, სახურავის საფარის ფუძე.

ჰიდროსისტემა (hydraulic system, гидросистема) – ჰიდრომონოცილობათა ერთობლიობა, რომელიც შედის მოცულობითი ჰიდროამძრავის შედგენილობაში.

ჰიდროსტატი (hydrostat, гидростат) – 1. აპარატი, რომელიც გემიდან ბაგირის მეშვეობით ეშვება წყალში კვლევებისა და სამუშაოების შესასრულებლად; 2. ხელსაწყო – ტენიანობის საზომი რელე, სარეგულირებელი მოწყობილობა, რომელიც ჩაირთვება ჰაერის ტენიანობის ცვლილებისას. გამოიყენება კონდიციონერებისა და სავენტილაციო სისტემებში.

ჰიდროსტატიკა (hydrostatics, гидростатика) – ჰიდრომექანიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სითხეების წონასწორობის პირობებსა და კანონზომიერებას მათზე მოდებული ძალების მოქმედებით, აგრეთვე უძრავ სითხეებში ჩადირულ სხეულებზე მათ ზემოქმედებას.

ჰიდროსტატიკური დაწნევა (hydrostatic pressure, гидростатическое давление) – სითხის ჰოტენციალური ენერჯის განზოგადებული მახასიათებელი, რომელიც გახატავს ჰიდროსტატიკური წნევისა და წყლის დონის მდგომარეობის ენერჯიას.

ჰიდროსფერო (hydrosphere, гидросфера) – მსოფლიო ოკეანეებისა (ოკეანეები და ზღვები) და კონტინენტებზე არსებული წყლის აუზების ერთობლიობა.

ჰიდროტექნიკური არხი (hydraulic channel, гидротехнический канал) – ჰიდროტექნიკური ნაგებობა, ხელოვნური მდინარე, სადინარი.

ჰიდროტექნიკური გვირაბი (hydrotechnical tunnel, гидротехнический тоннель) – ჩაკეტილი განიკვეთის მიწისქვეშა წყალსატარი, სადაც წყალი გარკვეულ მანძილზე მიედინება წნევის მეშვეობით ან უდაწნეოდ.

ჰიდროტექნიკური ნაგებობა (hydraulic structure, гидротехническое сооружение) – საინჟინრო ნაგებობა, რომელიც წყლის მეურნეობის ამა თუ იმ ამოცანის გადასაჭრელადაა აგებული.

ჰიდროტრანსპორტი (hydrotransport, гидротранспорт) – წყლის ნაკადით მასალების ტრანსპორტირების სახე.

ჰიდროტუმბო (hydraulic pump, гидронасос) – ჰიდრომანქანა სითხის მიმართული დინების შესაქმნელად.

ჰიდროფილურობა (hydrophilicity, гидрофильность) – ნივთიერების თვისება, ინტენსიურად იმოქმედოს წყალთან, რაც განპირობებულია მოლეკულათშორისი ურთიერთქმედებით. ჰიდროფილური ნივთიერებებია ქელატინი, თიხა, სახამებელი და სხვ.

ჰიდროფობურობა (hydrophobicity, гидрофобность) – ნივთიერების თვისება, არ დასველდეს წყალში. ჰიდროფობური ნივთიერებებია: პარაფინი, ცხიმი, ცილა, გრაფიტი, გოგირდი და სხვ.

ჰიდროქურო (fluid coupling, гидромфта) – ქურო, რომელიც ბრუნვით მომენტს გადასცემს ამძრავი ლილვიდან ამყოლ ლილვს ტრანსმისიის ზეთის მეშვეობით.

ჰიდროციკლონი (hydrocyclone, гидроциклон) – უძრავი აპარატი, ჰიდროკლასიფიკატორი, რომელთანაც პულპა მკვებავი მილყელით ტანგენციალურად, საჭირო სიჩქარით მიიყვანება.

ჰიდროცილინდრი (hydraulic cylinder, гидроцилиндр) – ჰიდრავლიკური ძრავა

დგუმის უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობით.

ჰიდროძრავა (hydraulic motr, гидромотор) – მანქანა, რომელიც სითხის მექანიკურ ენერგიას გარდაქმნის მიმყოლი რგოლის (ლილვი, ჭოკი) მექანიკურ ენერგიად.

ჰიდროწნეხი (hydraulic press, гидропресс) – მარტივი კონსტრუქციის ჰიდრავლიკური მანქანა მნიშვნელოვანი მკუმშავი ძალის შესაქმნელად.

ჰიპერბოლური პარაბოლოიდი (hyperbo-

lic paraboloid, гиперболический парабо-
лоид) – ორმაგი სიმრუდის მქონე სახურავის ფორმა.

ჰიპერთერმია (hyperthermia, гипертермия) – ორგანიზმის ზედმეტად გახურება სითბოს წარმოქმნისა და გაცემას შორის ურთიერთქმედების (თერმორეგულაციის) დარღვევის შედეგად.

ჰიპოგეუმი (hypogeum, ги-гей) – ძვ. არქიტექტურაში შენობის ნებისმიერი მიწისქვეშა ნაწილი; მიწისქვეშა სამარხი.

ლიტერატურა

1. თ. ხმელიძე, დ. გურგენიძე, ლ. კლიმიაშვილი, კ. ხმელიძე. სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონი/პროფესორ დავით გურგენიძისა და პროფესორ თამაზ ხმელიძის საერთო რედაქციით. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ონლაინვერსია. თბილისი, 2021. - I-V ტომი. ISBN 978-9941-28-496-0.
2. მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი საშენი მასალების, არქიტექტურისა და მშენებლობის დარგში/შემდგენლები: მ. გუჯაბიძე, დ. ჯინჭარაძე. სააქციო საზოგადოება „კეგელი“, თბილისი, 1995. -191 გვ.
3. თ. ხმელიძე. ხის კონსტრუქციები. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2015. -531 გვ. ISBN 978-9941-0-566-8.
4. გ. აბაშიძე, თ. ხმელიძე, რ. მახვილაძე. რეკომენდაციები შენობებისა და ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. თბილისი, 2011. - 52 გვ. ISBN 978-9941-14-887-3.
5. ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული) რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977. - 521 გვ.
6. ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული) რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982. - 568 გვ.
7. მ. ჭაბაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ.: 1964. - 434 გვ.
8. ნ. ი. ალექსიშვილი, გ. შ. ქოჩლაძე-ახალაია. არქიტექტურულ-სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი. თბ.: 1986. -157 გვ. ISBN 978-9941-20-076-2.
9. ლ. სუთიძე, გ. იაკობაშვილი. განმარტებითი ლექსიკონი აშწე-სატრანსპორტო, სამშენებლო-საგზაო მანქანებისა და მოწყობილობებში. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2012. -124 გვ.
10. თ. მარგალიტაძე, გ. მელაძე, გ. ხუნდაძე. ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი.
თბ.: 2009. ონლაინ-ვერსია: <http://mil.dict.ge>.
11. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი: (3 ტომად) / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. - I-ლი გამოც. - თბ.: გამომცემლობა „ფანტაზია“, 2006.
12. ი. ჩუთლაშვილი. სატყეო-ტექნიკური და მერქნის დამუშავების განმარტებითი ლექსიკონი. თბ.: 2007. - 613 გვ.
13. არაორგანული მასალათამცოდნეობისა და მეტალურგიის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი/შემდგ. პროფ. ომარ შურაძე. თბ.: 2008. - 775 გვ.
14. მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი: (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული). მთ. რედ.: გ. ქაშაკაშვილი; თბ.: 2011. -1000 გვ.
15. სახურავის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი (ონლაინვერსია).
16. არქიტექტურული ტერმინების ლექსიკონი (ონლაინვერსია).
17. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. სარედაქციო კოლეგია: არნ. ჩიქობავა (მთავ. რედაქტორი), ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ. ჭაბაშვილი. თბ.: გამომც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი,

- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1986.
18. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი/აკადემიკოს, გენერალ-მაიორის ელგუჯა მეძმარიაშვილის საერთო რედაქციით. თბ., 2017. -692 გვ. ISBN 978-9941-0-9879-6.
 19. თ. ხმელიძე, გ. ყიფიანი, კ. ხმელიძე, თ. ვანიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. თბ.: გამომც. „უნივერსალი“, 2018. -201 გვ.
 20. თ. ხმელიძე, გ. ყიფიანი. კომპოზიტური კონსტრუქციები. ტექნიკური უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2022. -458 გვ. ISBN 978-9941-491-82-5.
 21. თ. კვიციანი. რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი.: განათლება, 1974. -219 გვ.
 22. ივ. ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი. თსუ-ს გამომცემლობა. თბ. 2002. -798 გვ.
 23. ი. იორდანიშვილი, გ. გავარდაშვილი, ი. ირემაშვილი, კ. იორდანიშვილი. ჰიდროსაინჟინრო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი.: გამომც. „უნივერსალი“, 2022. -371 გვ.
 24. Англо-русско-английский строительный словарь Polyglossum. Второе исправленное и дополненное издание. М.: 2011.
 25. Oxford Dictionaries (Online)

რედაქტორი მ. ლუღუშაური

გადაეცა წარმოებას 07.12.2022. ხელმოწერილია დასაბეჭდად 05.04.2023.
ქათალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16. #3538.

საგამომცემლო სახლი `ტექნიკური უნივერსიტეტი`, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent

